


საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებების
ინსტიტუტი


VI



თბილისი 1983

საქართველოს მსოფლიო ქართულ ენერჯისტიკა

ტექსტები გამოსაცემად მოამზადეს
ნათელა კეჭალაძემ და მანია რაფაეამ
გამოკლვეა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო
მანია რაფაეამ



„მეცნიერება“ 1983

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს ბერძენი ფილოსოფოსის, ამონიოს ერმისის (V—VI სს), ორი თხზულების: პორფირის „ხუთი ხმისა“ და არისტოტელეს „კატეგორიების“ კომენტარების ძველი ქართული თარგმანების პუბლიკაციას.

ამ თარგმანებმა, რომლებიც შესრულებულია XII ს-ში, ხელი შეუწვევს ნეოპლატონიზმის ალექსანდრიული სკოლის მსოფლმხედველობის დანერგვას ქართულ საზოგადოებაში. ლოგიკურ-ფილოსოფიური, და რაც განსაკუთრებით საინტერესოა, სხვადასხვა დარგის მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებისა და დახვეწის მხრივ მათ გარკვეული როლი შეასრულეს ძველ ქართულ მწერლობაში.

ქართული თარგმანების ისტორიულ-ფილოსოფიურ ანალიზთან დაკავშირებით ნაშრომში განხილულია ზოგადად ქართული, ასევე ბიზანტიური მწერლობისა და ფილოსოფიის ისტორიისათვის საყურადღებო ზოგი საკითხი.

წიგნი გარკვეულ სამსახურს გაუწევს ძველი ქართული ფილოსოფიის, ასევე ენისა და ლიტერატურის ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ პირთ.

სერიის სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე, ქ. ლომთათიძე, ელ. მეტრეველი (მთ. რედაქტორი) ც. ქუციანიძე (პასუხისმგებელი მდივანი), შ. ძიძიგური.

ტომის რედაქტორი: მუჰამად შანიძე

ავტორისაბან

ძველი ქართული ფილოსოფიური მწერლობის ისტორია არა ერთ ორიგინალურსა თუ ნათარგმნ ძეგლს ითვლის. ამ ძეგლთა პუბლიკაციებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი აზრის შესწავლის საქმეში. მხოლოდ ცალკეულ ნაწარმოებთა ისტორიულ-ფილოლოგიური, ასევე ტექსტოლოგიური შესწავლის შედეგად გახდება შესაძლებელი ზოგადად ქართული ფილოსოფიის განვითარებაზე თვალის მიდევნება და ზოგად-კულტურული პრობლემების განხილვა. ქართული ფილოსოფიური ძეგლების პუბლიკაციებს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვთ. კ. კეკელიძის, ს. ყაუხჩიშვილის, შ. ნუცუბიძის, ს. გორგაძის, ნ. კეჭალაძის, ივ. ლოლაშვილის, ს. ენუქაშვილის, გ. დედაბრიშვილის და სხვთა სახელთან დაკავშირებულია არა ერთი და ორი ფილოსოფიური ნაწარმოების გამოცემა.

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს კიდევ ორი ნათარგმნი ფილოსოფიური ძეგლის პუბლიკაციას. ეს არის V ს. ბიზანტიელი ფილოსოფოსის, ალექსანდრიელი ნეოპლატონური სკოლის მეთაურის, ამონიოს ერმისის, ორი ნაწარმოები, რომელთა სათაურებია:

1. „მოსაცსენებელი „ხუთთა კმათადმი“ პორფირი ფილოსოფოსისათა“.
2. „მოსაცსენებელი „ათთა კატილორიათადმი“ არისტოტელისათა“.

ამონიოს ერმისის ეს ორი თხზულება თარგმნილია XII საუკუნეში ბერძნული ენიდან. მთარგმნელი პეტრიწონელი სკოლის წარმომადგენელია. ნაწარმოების ენა და სტილი მისდევს იმ ტრადიციას, რაც ქართული მწერლობის ე. წ. პეტრიწონულ სკოლაში იყო გაბატონებული.

ამონიოს ერმისის ეს ორი ნაწარმოები ბერძნულად რამდენჯერმე არის გამოქვეყნებული, ხოლო მისი მოძღვრება, უფრო ზუსტად, კომენტატორული სულის მიახლოება, სათანადოდ არის შესწავლილი უცხოელ მკვლევართა მიერ. საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში კი ძალზე მწირი ცნობებია ამ ალექსანდრიელი ფილოსოფოსის შესახებ; უფრო ხშირად სხვა ალექსანდრიელ ნეოპლატონიკოს ფილოსოფოსთან, კერძოდ დავით უძლეველთან, მიმართებაში თუა იგი მოხსენიებული. არც ქართული სამეცნიერო ლიტერატურა დაიჩემებს ამ ფილოსოფოსის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცოდნას. (ძალზე ზოგადი ცნობები მოცემულია ივ. ლოლაშვილის მიერ გამოცემულ წიგნში „სათნობათა კიბე“, თბილისი, 1968).

და ეს მაშინ, როდესაც ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართულ თარგმანებს განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიაში. მათი სახით ქართულ ფილოსოფიურ მწერლობაში წარმოდგენილია ნეოპლატონიზმის ალექსანდრიული სკოლა. (გავიხსენოთ, რომ ქართულ ფილოსოფიას მოეპოვება ნეოპლატონიზმის მეორე, ათენური სკოლის წარმომადგენლის, პროკლეს „კავშირნი ღმთისმეტყველებითნი“ იოანე პეტრიწის თარგმანითა და კომენტარებით).

ამონიოს ერმისის თხზულებებში წარმოდგენილია ყველა ის ძირითადი მეცნიერულ-ფილოსოფიური პრობლემა, რაც ნიშანდობლივი იყო შუა საუკუნეთა ფილოსოფიისათვის და ამდენად, ქართულ სინამდვილეში სისტემატიზებულია მნიშვნელოვანი მეცნიერული თუ ფილოსოფიური ტერმინოლოგია. იოანე დამასკელის „დიალექტიკისა“ და იოანე პეტრიწის შრომების გვერდით ამ თარგმანებმა მნიშვნელოვნად გაამდიდრეს და წინ წასწიეს ქართული ფილოსოფიური ენა.

წინამდებარე გამოცემა მიზნად ისახავს ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართული თარგმანების ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიურ შესწავლას, რომელიც რამდენიმე საძიებელ საკითხს აერთიანებს:

განხილულია ის კულტურულ-ისტორიული გარემო, რომელმაც განაპირობა ამ ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის შრომების თარგმნა. მოცემულია ცნობები ნაწარმოებთა ავტორის შესახებ. დახასიათებულია ქართული ხელნაწერები, რომელთაც შემოვცინახეს ქართული თარგმანის ტექსტები, მოცემულია მოსაზრებანი არქეტიპისა და მისგან მომდინარე ნუსხების მიმართებისათვის. ქართული თარგმანი შედარებულია ბერძნულ ორიგინალთან და გამოყოფილია ქართული ტექსტის თავისებურებანი, რაც იძლევა საშუალებას ვივარაუდოთ ქართული ტექსტის უცნობი ბერძნულ ორიგინალიდან მომდინარეობა. ენობრივი თუ სტილისტური მონაცემების საფუძველზე მოცემულია ცდები მთარგმნელის ვინაობის დასადგენად.

შეძლებისდაგვარად გაანალიზებულია უძირითადესი ფილოსოფიურ-ლოგიკური ცნებები, ასევე სხვადასხვა მეცნიერული დარგის სპეციფიკური ტერმინები, რომლებიც საბოლოო ჯამში წარმოაჩენენ ფილოსოფიაში არისტოტელიკურ-ლოგიკურ ნაკადს.

ამონიოსის შრომათა ქართულ თარგმანთა ტექსტოლოგიურმა შესწავლამ შესაძლებელი გახადა ქრონოლოგიური სიახლის შეტანა სხვა ავტორის, კერძოდ, პორფირის შრომის, „შესავლის“, ქართულად თარგმნის საკითხში, ამონიოსის შრომის შემკველ ხელნაწერებში აღმოჩნდა პორფირის შრომის აღინდელი (XII ს.-ის) თარგმანის ფრაგმენტი. პორფირის „შესავალი“ XII ს.-ში უთარგმნიათ ქართულად.

ამონიოს ერმისის ნაწარმოებთა ტექსტოლოგიურ-შინარსობლივმა შესწავლამ საშუალება მოგვცა წარმოგვეჩინა ამ თხზულებათა სხვა ალექსანდრიელი ფილოსოფოსის, დავით უძლეველის, მოძღვრებასთან მიმართების ელემენტები და ხასიათი. ირკვევა, რომ ამონიოს ერმისის მოძღვრება წარმოადგენს წყაროს სხვა ალექსანდრიელი ფილოსოფოსებისათვის.

თუ რამდენად გამართლებული და ხორცშესხმული აღმოჩნდება ჩვენ მიერ დასახული მიზნები, მოგვინდვია მკითხველისათვის.

• • •

დაბოლოს, საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ პირველი მკვლევარი, რომელმაც ხელი მოჰკიდა ამ ძეგლების პუბლიკაციას და რომელსაც ყველაზე მეტად ხელწიფებოდა მათი გამოცემა, იყო აწ განსვენებული მეცნიერი ქალი ნათელა კეჭელმაძე. ნ. კეჭელმაძე ჯერ კიდევ 60-იან წლებში შეუდგა ამ საპატიო საქმეს. მკვლევარს მთლიანად ჰქონდა გადაწყვიტილი ამონიოსის პირველი თხზულება, ხოლო მეორე — ნაწილობრივ. მას დაწვებული

ჰქონდა ფილოსოფიურ ტერმინთა საძიებლის შედგენა პირველი „მოსაქსენებლისათვის“. იგი ეცნობოდა საკითხის ისტორიის გარშემო არსებულ ძირითად სამეცნიერო ლიტერატურას. მას დიდი და მისთვის ესოდენ სანუკვარი მიზნები ჰქონდა, მაგრამ აღარ დასცალდა.

წინამდებარე გამოცემაში, ესარგებლობთ რა ნათელა კეჰალმაძის მასალით, რაც უშურველად მოგვაწოდა მისმა დამ პატ. ეთერი კეჰალმაძემ, გვინდა საგანგებო პატივი მივაგოთ მეცნიერი ქალის ნათელ ხსოვნას. აქვე, დამატების სახით ვაქვეყნებთ ნ. კეჰალმაძის შრომას ამონიოსის პირველი თხზულების შესახებ, რაც მას წინასწარი დაკვირვებების სახით ჰქონდა წარმოდგენილი.

მ ა ი ა რ ა თ ა ვ ა

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ძველი ქართული მწერლობის შესწავლის ისტორია გვერდს ვერ აუვლის ფილოსოფიურ ლიტერატურას, როგორც ერის კულტურისა და სააზროვნო დონის ერთ-ერთ განმსაზღვრელს. თუ მწერლობის ცალკეულ დარგებში ამა თუ იმ უანობრივი ფორმებით აისახება სპეციფიკურ-კონკრეტული შეხედულებანი, მათ გარკვეული იდეური მიზანდასახულება და თემატური ერთიანობა განსაზღვრავს, ფილოსოფიურ ნაწარმოებებში განზოგადდება ის საყოველთაო, თეორიულ-აზროვნებითი მოდუსი, რაც ამა თუ იმ ისტორიული პერიოდის, ამა თუ იმ კულტურული ეპოქის აზროვნების წარმმართველია.

ფილოსოფიის, როგორც ზოგად-მსოფლმხედველობრივი ფენომენის, ისტორიის შესწავლა გარკვეული სიძნელეების წინაშე დგას. საქმე იმაშია, რომ ფილოსოფიის ისტორია, გარდა იმისა, რომ მოიცავს წმინდა ფილოსოფიურ თხზულებებს, ანუ ისეთ ნაწარმოებებს, რომელთაც აშკარად გამოკვეთილი ფილოსოფიური პრობლემატიკა განაპირობებს, გულისხმობს იმ იდეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი ასპექტის ძიებასაც, რომელიც სხვადასხვა უანობის ლიტერატურული ნაწარმოებისათვის არის ნიშანდობლივი. ამდენად, შესასწავლია ის ფილოსოფიური მარცვალი, რაც გაბნეულია თუნდაც ჰომილეტიკურ, ლიტურგიკულ, ეგზეგეტიკურ თუ სხვა დარგის ძეგლებში. სასულიერო ლიტერატურის მთელი რიგი ნაწარმოებები წარმოადგენს იმ ეპოქის ფილოსოფიური აზროვნების შესანიშნავ ნიმუშს.

ქართული ფილოსოფიის ისტორიაც ქართული კულტურის ქრისტიანობისდროინდელ პერიოდში გაიაზრება ქრისტიანულ რელიგიასთან გარკვეულ ურთიერთობაში.

ფილოსოფია და თეოლოგია იდეოლოგიური ფენომენის ორ განზომილებას წარმოადგენდა იმდენად, რამდენადაც ფილოსოფია ვერ მოიაზრებოდა თეოლოგიის მხრივ გარკვეული ჩარევის გარეშე.

ფილოსოფიის თეოლოგიზაცია და თეოლოგიის ფილოსოფიზაცია მეტნაკლები ინტენსივობით ვლინდებოდა ქართული კულტურის შუა საუკუნეობრივ პერიოდში.

ყველაზე ადრეული ზანა, როცა ფილოსოფიის ისტორია სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგის ძეგლებით განიზომება, არის ქართული პატრისტიკის აყვავების პერიოდი, როცა ქართული პაგიოგრაფიული, ბიბლიის წიგნთა ეგზეგეტიკური და ლიტურგიკული ძეგლები მუშავდებოდა. ფილოსოფია „თეოლოგიის მხედლის“ როლში გამოდის და ჭერ კიდევ არა აქვს დამოუკიდებელი არსებობა.

მოგვიანო ხანაში (XI ს.) იწყება ფილოსოფიის სქოლასტიკური პერიოდი, როცა დასტურდება ერთგვარი გადახრა თეოლოგიის სასარგებლოდ [179]. იოანე დამასკელის „ღიალექტიკა“, რომლის ქართული თარგმანები მოგვეცეს არსენ იყალთოელმა და ეფრემ მცირემ, საუკეთესო ნიმუშია იმისა, თუ თეოლოგიის მიზნებით როგორ იქნა გამოყენებული ფილოსოფია, როგორ იქ-

ცა იგი „დილაექტიკად“, ანუ თეოლოგიური ჰეგელიზმის მტკიცების საშუალებად [120, 205].

იმავე პერიოდში ჰუმანიზმისა და აღორძინების სულისკვეთებით აღბეჭდილ ქართულ მსოფლმხედველობრივ აზროვნებაში ორმაგი ჰეგელიზმის აღიარება შეიმჩნევა და თანდათან იკვეთება რწმენაზე სიბრძნის, ცოდნის პრიმატი. ეფრემ მცირეს მიერ დიონისე არეოპაგელის თხზულებების თარგმნამ, ასევე იოანე პეტრიწის მიერ პროკლეს ნაშრომის თარგმნამ და კომენტარებამ თვისობრივად ახალი ეტაპი შექმნეს ქართული ფილოსოფიის ისტორიაში [35, 81]. ეს უკვე ფილოსოფიის, კერძოდ ნეოპლატონისტური მოძღვრების, ქრისტიანულ იდეოლოგიასთან შერწყმის უფრო მომწიფებული ხანაა როცა ფილოსოფია მიზანი ხდება, ხოლო ქრისტიანული მოძღვრება რწმენად რჩება. ფილოსოფია დამოუკიდებელი არსებობის მტკიცე უფლებებს იძენს და გვიანდელი შუა საუკუნეების ქართული მსოფლმხედველობრივი აზროვნება ამ ნოვატორობით გამოირჩევა.

შუასაუკუნეობრივ ქართულ ფილოსოფიას მონოთეისტურ-რელიგიური ასპექტი ახლავს. ამ მხრივ რადიკალური ნაბიჯი გადადგა იოანე პეტრიწის ეპოქის (XII ს.) ქართველმა მოღვაწემ, რომელმაც ბერძნულიდან თარგმნა ქართულად ბიზანტიელი ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის, ამონიოს ერმისის, თხზულებები.

ამონიოსის შრომების თარგმნა შუასაუკუნეობრივი ქართული სააზროვნო ცხოვრებისათვის იღენად არის საყურადღებო, რამდენადაც ამ ფაქტში გამოქვამდა წმინდა ფილოსოფიით, მონოთეისტურ თეოლოგიასთან შეუზავებელი ნეოპლატონიზმით, დანტერესება.

ცნობილია, რომ შუა საუკუნეების ფილოსოფიის მარგველირებელი ფუნქცია თეოლოგიას ეუთვანდა, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ შუა საუკუნეების ბატონობის ხანაში ახალი სოციალურ-ისტორიული ნოვაციების გავლენით შეიქმნა ტიპოლოგიურად ახალი იდეოლოგია მონოთეისტური მოძღვრების და ანტიკური ფილოსოფიის შერწყმისა. ამავე დროს თავისი დამოუკიდებელი არსებობა არ შეუწყვეტია ანტიკურ ფილოსოფიას თავისი ესთეტიკურ-კოსმოლოგიური შეხედულებებით, ყოფიერების ფორმათა ძიებით [120, 4]. გვიანანტიკური ფილოსოფიის ისტორია ჭერ კიდევ დასრულებული არ იყო, რომ III ს.-ში აღმოცენდა და VI ს.-მდე გასტანა ნეოპლატონიზმმა. ქართულმა ფილოსოფიურმა აზროვნებამ სხვებთან შედარებით ყველაზე ღრმად სწორედ ნეოპლატონისტური იდეოლოგია შეიწოვა [70].

აი, სწორედ ასეთი ფილოსოფიის ნიმუშაა ამონიოს ერმისის ფილოსოფიური მოძღვრება. ამ ნეოპლატონიკოსის ნაწარმოებთა თარგმნით ქართველი მოღვაწე ქართულ სინამდვილეში ამკვიდრებს იმ რაციონალურ იდეებს, რომელთა მიხედვით ჰერეტა, გონება, სიბრძნე აღიარებულია სამყაროს და მისი მოვლენების შეცნობის რეალურ გზად. სამყარო მარადიულია და სიბრძნის სიყვარული წარმოადგენს ამქვეყნიურისა და იმქვეყნიურის კანონზომიერებათა ძიების ქვაკუთხედს. იმდროინდელი ქართული რენესანსული სულისკვეთებით აღბეჭდილი კულტურისათვის მსგავსი იდეები სრულიად კანონზომიერი ჩანდა. ამონიოს ერმისის თხზულებათა თარგმნით ქართველმა მოღვაწემ XII ს.-ის ქართულ იდეოლოგიურ ცხოვრებაში დააყენა შუასაუკუნეობრივი ნომინალიზმისა და რეალიზმის პრობლემა.

კერძოსა და ზოგადის მიმართება, ყოფიერების ფორმათა განსაზღვრა კერძოს, ან ზოგადის ნიშნით, მთელ შუასაუკუნეობრივ აზროვნებას გასდევდა [194]. ამონიოსის შრომათა თარგმნით ქართველი საზოგადოება გაეცნო ფილოსოფიის იმ განსაზღვრებებს, რომელთა უშუალო წყაროს პლატონის, არისტოტელესა და პითაგორას ნააზრევი წარმოადგენდა. ამონიოსის შრომებში აშკარად გამოვლინდა ფილოსოფიის დიდი მნიშვნელობა. „ფილოსოფოსობაა რას საღმრთოა და სასურველი“ — შუა საუკუნეებისათვის ეს ერთობ გაბედული და პროგრესული დევიზი ავტორის მიერ შემაგარებულთა პლატონის სიტყვებით: „ეგვეთარი კეთილი არცა მოვიდა კაცთა მომართ, არცა მოვიდეს ოდესცა“.

ფილოსოფიის საღმრთოდ გამოცხადება ალექსანდრიელი ფილოსოფოსის მიერ ფილოსოფიისათვის განუსაზღვრელი უფლებების მინიჭებას გულისხმობს. ფილოსოფია თეოლოგიაზე მაღლა დგას, ვინაიდან იგი შეფასებულია ისეთ სიკეთედ, რომლის მსგავსი ღირებულება ადამიანთა საზოგადოებისათვის სხვას არაფერს გააჩნია.

XII ს.-ის ქართველმა მოაზროვნემ შესაძლებლად ცნო ამ სიბრძნის აღიარება. ამ-სთვის იმდროინდელ სააზროვნო სინამდვილეში სათანადო ნიადაგი და პირობები შემზადებული იყო.

სულ ცოტა ხანია გასული იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ თარგმნიდან. ეფრემ მცირე ფილოსოფიის დიდ მნიშვნელობას აღიარებდა „დიალექტიკის“ შესავალში [17, 67]. ეფრემის განცხადება, რომ არც ფილოსოფია ვარგა თეოლოგიის გარეშე და არც თეოლოგია ფილოსოფიის გარეშე, თავისთავად პროგრესული იყო XI ს.-ის აზროვნებისათვის. ქართველი მოაზროვნე გაცილებით უფრო საღად და პროგრესულად აფასებდა ორმაგი ჭეშმარიტების პრობლემას, ვიდრე იმ დროის დასავლეთურ აზროვნების ზოგი წარმომადგენელი. მაგალითად, პეტრე დამიანი (1007—1072 წწ.), რომელიც თანამედროვეა ეფრემ მცირისა, იმაზე შეჩერდა, რომ ფილოსოფია რელიგიის მხველად გამოაცხადა. ასეთი იყო იოანე დამასკელის კრედოც. იოანე დამასკელი, როგორც ადრეული სქოლასტიკის წარმომადგენელი, აცხადებდა, რომ „ეღლენთა“ სიბრძნისაგან განყარა ყოველი, რომელიც საღმრთო სიბრძნეს ეურჩებოდა და ამოიღო ჭეშმარიტების მარცვალი [17, 72—79]. ეს იმას ნიშნავდა, რომ მას ფილოსოფია თეოლოგიის მხველად ჰქონდა აღიარებული.

თუ ამას ეფრემ მცირის ნააზრევს შევადარებთ, აშკარა გახდება, თუ რამდენად პროგრესულად მსჯელობდა ქართველი მოღვაწე იმასთან შედარებით, ვის შრომასაც თარგმნიდა. როცა თავისი თარგმანის შესავალში ეფრემი საფილოსოფოსოს და საეკლესიოს შედარებას ამთავრებს დასკვნით: „ააცა ესენი სრულ არიან უმათოდ, არცა ივინი უმათოდ“ [17, 67], იგი ფილოსოფიას და თეოლოგიას ერთ სიბრტყეზე აყენებს. ხოლო თუ ამ თვალსაზრისით ამონიოსის შრომებს განვიხილავთ, აშკარად ჩანს, რომ ორმაგი ჭეშმარიტების არსებობის საკითხი უფრო მაღალ დონეზეა აყვანილი. ამ ნაწარმოებებში გარკვევით იგრძნობა ფილოსოფიის, როგორც უმაღლესი სიყვითის, აღიარება. ფილოსოფიის პრიმატის აღიარება და მტკიცება იმისა, თუ რისთვის არის საჭირო ფილოსოფია, გარკვეული პასუხია სკეპტიკოსებისადმი, რომელნიც საგნებისა და მოვლენების შეცნობის შესაძლებლობას ეჭვის ქვეშ აყენებდნენ.

ეს ფაქტი განასხვავებს ამონიოსის შრომებს „დიალექტიკისაგან“.

ვინ იყო ამონიოს ერმისი* და რა ადგილი უკავია მას ფილოსოფიის ისტორიაში? მაშამისი, ერმი, ცნობილია, როგორც პლატონის „ფედროსის“ კომენტატორი; ამ უკანასკნელის კომენტატორული მოღვაწეობა რაიმე დამოუკიდებლობით არ გამოირჩევა, იგი იამბლიქოს-სირიანოსის წრეში ტრიალებს.

ამონიოსი იყო პროკლეს მოწაფე. ათენში ისმენდა მის ლექციებს თავის ძმასთან, ჰელიოდორესთან, ერთად. შემდეგ კი, V ს. ბოლოს სათავეში ჩაუდგა ალექსანდრიის სკოლას. ამონიოსის დაბადების თარიღად მიღებულია 445 წ., ხოლო გარდაცვლილად ითვლება 517—526 წწ. [182; 222, X—XII].

ამონიოს ერმისი ცნობილია, როგორც პლატონის, არისტოტელესა და პორფირის შრომათა კომენტატორი, განათლებული პიროვნება და შესანიშნავი პედაგოგი.

ცნობილია, რომ ალექსანდრიული სკოლა გამოირჩეოდა თავისი კომენტატორული საქმიანობით. მართალია, მის წარმომადგენლებს საკუთარი ფილოსოფიური სისტემა არ მოუციათ და ამდენად, ორიგინალიზმით არ ბრწყინდებულან, მაგრამ უმძლავრეს დონეზე იყო გაშლილი ანტიკურ მოაზროვნეთა კომენტირება, მათი შრომები გამოირჩევა კრიტიკული სულით [195, 15]. ისინი პლატონისა და არისტოტელეს სიმფონიას ცდილობდნენ. განსაკუთრებული პატივით კი შინც არისტოტელე სარგებლობდა [135]. იმდენად მრავალრიცხოვანია არისტოტელეს კომენტატორთა წყება და იმდენად ბევრია მათი შრომები, რომ მათი პუბლიკაციების სპეციალური სერია არსებობს — *Commentaria Aristotelem graeca*.

ამონიოსი ღრმად იყო განსწავლული პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიაში, ასეთივე შესანიშნავი ცოდნა ჰქონდა ზუსტ მეცნიერებებში: ასტრონომიასა და მათემატიკაში. მაგრამ მისი, როგორც ფილოსოფოს-კომენტატორის, რეპუტაცია შინც არისტოტელეს შტუდიებს ემყარება. თუმცა არც პლატონი იყო მისთვის უცხო. ლ. ვესტერინკის ცნობით, 475—485 წწ. დამსციული ესწრებოდა ამონიოსის მიერ წაკითხულ პლატონური ფილოსოფიის კურსს. 40 წლის შემდეგ ოლიმპიოდორეს მოუსმენია მისი განმარტებები პლატონის „გორგიასის“ შესახებ. ასევე, ასკლეპიოსი იხსენებს ამონიოსის ლექცია-დისკუსიებს „თეეტეტის“ გარშემო [222].

ამონიოს ერმისის მრავალი მოწაფე ჰყავდა. მისი მსმენელები და ამდენად მისი მოწაფეები იყვნენ სიმპლიციუსი, ოლიმპიოდორე, ასკლეპიოსი, იოანე ფილოპონი [198; 194.46—63]. ლიტერატურულად მასზეა დამოკიდებული ალექსანდრიელთა უმეტროსი თაობაც: ელიასი, დავით უძლეველი, სტეფანე ალექსანდრიელი [191, 7; 169].

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულ აზრის თანახმად, ამონიოსის მოძღვრება შემონახულია მისი ლექციების წყალობით. ამონიოსი თვითონ არ იწერდა თავის აზრებსა და შეხედულებებს, არამედ ზეპირ გადასცემდა მსმენელებს. მისმა მოწაფეებმა ლექციების სახით შემოგვინახეს თავიანთი მასწავლებლის მოძღვრება.

* ფილოსოფოსის სახელი და გვარი ბერძნულად არის Ἄμμωνιος ἑρμίας — ამონიოს ჰერმიასი Ammonius Ermeae. გვარს ნათესაობითი ფორმა მიუთითებს, რომ იგი იყო ერმის ვაჟი. ჩვენ ვხვართ იმ ტრადიციულ ფორმას, რომელიც ქართულ ხელნაწერებში დასტურდება: ამონიოს ერმისი.

ამ ფაქტშიც გამკლავდნა ამონიოსის, როგორც მოაზროვნის, სიახლოვე ანტიკურ, წარმართულ სამყაროსთან. ცნობილია, რომ კლასიკურ ელინურში უგულვებელყოფილი იყო წერის პროცესი. წიგნის წერა დაბალ ხელოსნობად ითვლებოდა, ხოლო ხმის, სიტყვის სიყვარულით ნაკარნახევი იყო ორატორული ხელოვნების განდიდება. ს. ავერინცევის შენიშვნით, კლასიკური ბერძნული ლიტერატურა ხშირად დაწერილი კი არაა, არამედ ჩაწერილია [92, 6—23].

ელინისტურ ხანაში პლოტინი, ნეოპლატონიზმის ფუძემდებელი, ასევე გულგრილი იყო საკუთარი შრომების ჩაწერისადმი. როგორც ჩანს, ეს ტრადიცია უცხო არ იყო ალექსანდრიული ნეოპლატონიზმის წარმომადგენლებისათვისაც. დავით უძღვევლს, მაგალითად, თავის „ფალოსოფიის განსაზღვრებებში“ მოაქვს პითაგორას თვალსაზრისი წიგნის წინაშე ცოცხალი სიტყვის უპირატესობის შესახებ [106, 57].

ამის უტყუარი მიმანიშნებელია ის ფაქტიც, რომ ალექსანდრიელ მოღვაწეთა შრომების სათაურში ხშირად იკითხება ἄραθ φάωγ — „ხმისაგან“, რაც ნიშნავს იმას, რომ რომელიმე ავტორის ესა თუ ის ნაწარმოები გადმოცემულია არა ავტორის, არამედ სხვის მიერ [206].

ამ ტრადიციით ჩანს გაპირობებული ისიც, რომ ამონიოს ერმისმა თავისი მოძღვრება მოწაფეების მიერ ჩაწერილი ლექციების პუბლიკაციებს მიანდო. ἄραθ φάωγ Ἄμαψαίωთ გვაუწყებს, რომ ამონიოსის შეხედულებები და აზრები სხვის მიერ არის გადმოცემული.

ამ გარემოებით არის გაპირობებული ის ფაქტიც, რომ ამონიოსის შრომათაგან ყველა როდია შემორჩენილი. ამონიოსის სახელით ცნობილია შემდეგი თხზულებები: 1. კომენტარები პორფირის „შესავლისა“, 2. კომენტარები არისტოტელეს „კატეგორიებისა“, 3. კომენტარები. არისტოტელეს „პერი ერმენეასი“ და 4. კომენტარები არისტოტელეს „პირველი ანალიტიკისა“¹. მისი ერთი თხზულება, კერძოდ „მეტაფიზიკის“ კომენტარი, ასკლეპიოსის სახელს ატარებს, ხოლო ცხრა — ფილოპონისა [222, X—XIII]. ფიქრობენ, რომ მას ჰქონდა პლატონის ზოგი თხზულების კომენტარებიც, მაგრამ ეს შრომები დარკვეულად ითვლება [იგივე].

ამონიოს ერმისის შრომებს მრავალი კომენტატორ-ინტერპოლატორი გამოუჩნდა მომდევნო საუკუნეებში. უპირველეს ყოვლისა, მის მოწაფეებს ჩატარებით მის შრომათა რედაქტირება.

საკითხთა და პრობლემათა დასმასა და გადაჭრაში ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენლებს აშკარად ეტყობათ ამონიოსის დიდი გავლენა. კ. კრემერის დაკვირვებით, „მთელ რიგ საკითხებში კომენტატორები მისდევენ თავიანთ მასწავლებელსა და მისიტერს, ამონიოსს“ [194].

დიდი იყო ინტერესი ამონიოსის შრომებისადმი დასავლეთ ლათინურ სამყაროში. მის ნაწარმოებთა რამდენიმე ლათინური თარგმანი არსებობს. პირველად მისი კომენტარები „პერი ერმენეასი“ ითარგმნა 1268 წ. გ. მოერბეკეს მიერ [169; 198].

¹ პირველი სამი ნაწარმოები გამოცემულია ა. ბუსეს მიერ. In Isag. CAG IV, 3, 1891, In Cat., CAG IV 4, 1895; In de Interpr. IV, 5, 1897. უკანასკნელი ნაწარმოები გამოცემულია მ. ვალტის მიერ In Anal. Pr. L I, IV, 6, 1899.

ეს ლათინური თარგმანი გაიცნო და არისტოტელეს საკუთარ კომენტარებში საფუძვლად გამოიყენა თომა აქვინელმა. ამონიოსის ლათინური თარგმანის გამომცემელმა გ. ვერბეკემ, ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორმა, სპეციალურ მონოგრაფიაში დაწერილებით მიმოიხილა თომა აქვინელის ფილოსოფიური ნააზრების მიმართება ამონიოსის კომენტარებთან [169; 219]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ საგრძნობია ამონიოსის კომენტარების გავლენა ბოეციუსის კომენტარებზე „პერი ერმენეიასზე“, მიუხედავად იმისა, რომ ბოეციუსის მიერ ამონიოსი პირდაპირ დასახელებული არაა [169; 188, 103—104].

რა იდეოლოგიის მატარებელი ჩანს ამონიოს ერმისი თავისი კომენტარების მიხედვით? როგორი იყო მისი დამოკიდებულება თავისი ეპოქის, ადრეულ შუასაუკუნეობრივ, აზროვნებასთან? უპირველეს ყოვლისა, იგი ნეოპლატონისტურად მოაზროვნე ფილოსოფოსია.

ცნობილია, რომ ალექსანდრიის სკოლა ათენური ნეოპლატონიზმისაგან განსხვავებით, გარკვეულად განიცდიდა ქრისტიანობის გავლენას. შემჩნეულია ზოგერთ ალექსანდრიელ მოღვაწეზე (პიეროკლე) ქრისტიანობის გავლენა [205, 1—27. 195]. ამონიოსის მოწაფეები (ფილოპონი, დამასციუსი, ასკლეპიოსი) განიხილავენ რა თავიანთი მოძღვრის მსოფლმხედველობას, იძლევიან უმნიშვნელო შენიშვნებს ეკლესიათან მისი დამოკიდებულების შესახებ, მაგრამ ეს ძალზე სუსტი არგუმენტებია. მათ მიერ კვალიფიცირებული ამონიოსის აზრები: მსოფლიო სულზე, სამყაროს მარადიულობაზე, სულთა წინასწარ არსებობაზე — ექვს არ ბადებს ამონიოსის მკიდრო კონტაქტზე სწორედ პლატონის მოძღვრებასთან და არა ქრისტიანობასთან [222]. ამონიოსის კომენტარების ანალიზი კი სრულ საფუძველს იძლევა იგი პლატონისა და არისტოტელეს მიმდევარად ვცნოთ. მისი ონტოლოგიურ-გნოსეოლოგიური შეხედულებანი ნეოპლატონიზმით არის ნააზრდოები. სამყარო მარადიულია და მისი შეცნობა გონების ძალით სრულიად შესაძლებელია. ამ თვალსაზრისმა მიიყვანა იგი ფილოსოფიის, როგორც უზოგადესი ფენომენის, აღიარებამდე. გონების საშუალებით, ლოგიკური გზით სამყაროს წვდომა ბუნებრივად აღვიძებდა დიდ ინტერესს არისტოტელეს ლოგიკური შრომებისადმი [185].

არისტოტელეს „კატეგორიები“, რომელიც „ორგანონის“ ნაწილს წარმოადგენს, ათი უზოგადესი ცნების დამუშავებით საშუალებას იძლეოდა მაკრო და მიკროსამყაროს მიმართების დადგენისა, ყოფიერების უზოგადესი და კონკრეტული ფორმების გამოყოფისა. „კატეგორიები“ მოგვიანებით გააზრებულ. იქნა ჰერმარტიების წვდომის ყველაზე ხელსაყრელ საშუალებად: სხვადასხვა იდეოლოგიის მატარებელნი, როგორც წარმართი ფილოსოფოსნი, ასევე ქრისტიანული აზროვნების წარმომადგენელნი, თავიანთი საკუთარი თვალთახედვით, თავიანთი ინტერესების შესაბამისად იყენებდნენ არისტოტელეს ამ შრომას.

ნიშანდობლივია ამონიოსის დანტერესება არისტოტელეს „კატეგორიებით“. საერთოდ, არისტოტელეს ეს ნაწარმოები ყველაზე მეტად მოექცა შემდგომი დროის კომენტატორ-ინტერპოლატორთა ინტერესების სფეროში. ცნობილია ამ ნაწარმოებით გატაცება ბიზანტიელ და დასავლეთის სკოლიასტთა, ასევე არაბულ-ქრისტიანულ მოაზროვნეთა მხრივ [168]. ქართულ სინამდვილეშიც დიდი პატივით სარგებლობდა „კატეგორიები“. არისტოტელეს ეს თხზულება, იოანე დამასკელის მიერ გამოყენებული „დიალექტიკაში“, ეფრემ

მცირემ და არსენ იყალთოელმა გააცენეს ქართველ საზოგადოებას. არსებობს წერილობითი ცნობა, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ იოანე პეტრიწის უთარგმნია და დაუმუშავებია არისტოტელეს ეს შრომა [88, 375].

„კატეგორიები“, ამჯერად ამონიოს ერმისის მიერ კომენტირებული, ისევ მოექცა ქართული მწერლობის ინტერესთა სფეროში. XII ს.-ის ქართველმა მოღვაწემ თარგმნა ამონიოსის კომენტარები არისტოტელეს ამ შრომისა.

მეორე თხზულება ამონიოს ერმისისა, რომელიც უთარგმნია იმავე ქართველ მოღვაწეს, არის პორფირის „შესავლის“ კომენტარები.

ამონიოსმა, ერთმა პირველთაგანმა, გაუკეთა კომენტარები პორფირის თხზულებას „შესავალი არისტოტელეს „კატეგორიათადმი“.

პორფირი ფინიკიელი (232—304 წწ.) ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსია, პლოტინის მოწაფე. მას ჰქონია სხვადასხვა ფილოსოფიურ-ასტროლოგიური და ისტორიული თხზულებანი, რომელთაგან ზოგი ფრაგმენტების სახით არის მოღწეული. შემონახულია პლოტინის, პითაგორას ცხოვრებანი, ტრაქტატი არისტოტელეზე. ყველაზე მეტი პოპულარობა ხვდა მის „შესავალს არისტოტელეს „კატეგორიებისა“, რომელიც მას დაუწერია სიცილიაში ყოფნის დროს რომის კონსულის, ქრისავოროსის, თხოვნით. ამონიოსის წინამდებარე შრომაში მოთხრობლია, თუ როგორ შექმნა პორფირიმ ეს შრომა. ქრისავოროსს მისთვის მიუპარათავს თხოვნით, განემარტა არისტოტელეს „კატეგორიები“, რომელიც ძნელად გასაგები ყოფილა მისთვის. პორფირისაც, მიუხედავად იმისა, რომ დაავადებული ყოფილა, არ დაუყოვნებია და დაუწერია კომენტარი „კატეგორიებისა“, როგორც ამონიოსის შრომათა გამომცემელი ა. ბუსე ვარაუდობს, 268—270 წწ. [155, IV] და გაუგზავნია ქრისავოროსისადმი.

პორფირი ფინიკიელის ეს შრომა ღიდი პოპულარობით სარგებლობდა მთელ შუა საუკუნეებში. მართალია, რუსი მეცნიერის, ა. ზუბოვის შენიშვნით, ეს არც თუ ისე დამსახურებული პოპულარობა იყო [110, 69], მაგრამ ფაქტია, რომ შუა საუკუნეთა აზროვნება პორფირის დიასხელებულ თხზულებაში ხედავდა იმ დროისათვის ყველაზე აქტუალური პრობლემის, ზოგადისა და კერძოს, უნივერსალიების, სისტემატიზაციას. იგი გახდა მყარი საფუძველი, რომელზედაც შემდგომ დაეშენა შუასაუკუნეობრივი ნომინალიზმი და რეალიზმი. პორფირის „შესავალი“ მაშინვე მოექცა ალექსანდრიელ კომენტატორთა ინტერესების სფეროში. პირველი, ჩვენამდე მოღწეული კომენტარი პორფირის შრომისა, შესრულებულია ამონიოს ერმისის მიერ [196, 430].

ჩვენი ინტერესები იფარგლება ამონიოს ერმისის ამ ორი ნაწარმოებით იმ ბუნებრივი მიზეზის გამო, რომ არსებობს ამ თხზულებათა ქართული თარგმანები, შესრულებული XII ს.-ში ერთი და იმავე პირის მიერ.

ქ ა რ თ უ ლ ი ხ ე ლ ნ ა წ ი რ ე ბ ი

ამონიოს ერმისის ნაწარმოებთა ქართული თარგმანები გვხვდება შემდეგ ხელნაწერებში: S ფონდის №№ 145, 266, 399, 1132, 2562; A ფონდის 250, 406, 1151; Q ფონდის № 256; ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის №№ 118, 416.

ტექსტის დასადგენად გამოყენებულია 4 ხელნაწერი: S 145, S 2562, A 250, A 406.

I. A ლიტერით აღნიშნულია S 2562 ხელნაწერი [51]. იგი გამოყენებულია ძირითად ნუსხად. ხელნაწერი შეიცავს 354 ფურცელს. იგი თავ-ბოლო ნაკლულია, შიგნითაც აკლია რამდენიმე ფურცელი. მასალა არის ჩერის ქალაქი — ბომბიციანი, რომელიც, როგორც ცნობილია, XI ს-დან შემოდის საქართველოში. ხელნაწერს არ ახლავს კვირინიანი, რაც მის სიძველეზე მიუთითებს.

ხელნაწერი დაწერილია ნუსხურად, იგი დათარიღებულია XIII—XIV საუკუნეებით. ხელნაწერს აშიებზე აქვს მხედრული მინაწერები, რომლებიც ხელნაწერის დასათარიღებლად გამოგვადგება.

მხედრული მინაწერები სამი პერიოდისაა: 1. ყველაზე ძველი, XIII—XIV სს, 2. XIV—XV სს., 3. XVIII ს.

1. XIII—XIV სს-ის მინაწერებია:

74r: უაღრე[...]ტუნს

75v: [...] აოსიკ

[...] ლისამ მე

[...] რნისიკე

[...] ეითი

[...] ბითი და ერთი: თუით: წადილი: ბერცა

[...] შორებისამ: მე ამ წიგნისა კიდეგანსაცა: მთ

[...] საითაცაღა არაი ვიცი თუნიერი მისავუ

[...]

77 v: [...] ექნა

[...] წიგნისა [.]

[...] ბოსაღნო

[...] ცაღო

[...] გე

[...] რე ვს

[...] შე

[...] გე

[...] მოს: მაგრა: ვერვის ვეცილებოდი: თ...

[...] ბის კადესათუის:—და კუთრხელა ღთ

[...] ესე: კ(ა)ციცა შემოწმების [...] ამ

79 v: [...] ოფაი

96 r: ა) პლატონ [...] კსნისა [...]

ბ) ტურფაია: რაისაცა: ვითარებაი ვიცი: რაე [...] ბასა:

რასა ვაქნეე

119 r: ფურცლის შიდა კიდეზე, განივად წერია:

„განსაზღვრებათა განჩენისათუის. და [...]“

136 v: ფურცლის შიდა კიდეზე, განივად:

„ხ. არცა ნათესავისა, არცა სახისა მარტივად თქუმაი“.

(^v ნიშნით აღნიშნული ასოები ნუსხურითაა დაწერილი).

137 r: ფურცლის შიდა კიდეზე, განივად:

„რნათე [...] რაჟსა მიმართ ვიომე:“

XIII—XIV ს-ის მხედრულთ შესრულებული მინაწერების არსებობა, ცხადია, ხელნაწერსაც ათარიღებს. ხელნაწერის ქვედა ქრონოლოგიურ მიჯნად XIII ს. უნდა მივიჩნიოთ.

2. XIV—XV სს. მინაწერი:

284 v—285 r: „ქ. არისა: ტუტელი: უფალო ღმერთუ|სახიერუ და კაცთ-

მოყარო ტკბილუ: და მრავალმოწყბილუ: || მრწამსა:.. უფალო

პირი:.. შენი: ღმერთუ:.. შემ(ი)წყ(ა)ლუ მე“.

3. XVIII ს. მინაწერები:

291 r: „მრავალმეტყველებ[ა]“

294 r: „სიფრთხილუ“

298 r: „გარდასრუ [...] | გინა ჟა [...] | სად და მარ [...] | ლი“

სამივე მინაწერი წარმოადგენს შენიშვნას ტექსტის შესახებ.

S 2562 კრებულშია. მისი შედგენილობა ასეთია:

1. [იოანე დამასკელი, დიალექტიკა] 8v—69v. ეს არის „დიალექტიკის“ არსენ იყალთოელისეული თარგმანი. ტექსტი ბოლონაკლულია (ქვედა აშიაზე XVII ს-ის მხედრულთ მინაწერია: „აქ ფურცელი აკლია“.

2. ათთა ნათესავთა ნათესავუნათესი განჩინებაჲ 70r—v. ეს ფრაგმენტი არის „დიალექტიკის“ ერთ-ერთი თავი, რომელიც ზოგ ხელნაწერში ტრადიციულად დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით დასტურდება.

3. უფროსად ბრძნისა ამმონიოს ერმისისაჲ „მოსაქსენებელი“ ხუთთა კმათადმი“ პორფირი ფილოსოფოსისათა“ 70v—229v.

ამონიოსის შრომა ბოლონაკლულია.. (ბერძნულ: დედანთან შედარებით აკლია ტექსტი რამდენიმე სტრიქონის მოცულობისა).

4. ამონიუ ერმისისა „მოსაქსენებელი“ ათთა კტილორიათადმი“ არისტოტელისთა“ 230r—354v.

ეს ნაწარმოებიც ბოლონაკლულია. ტექსტი წყდება სიტყვებზე: „რამეთუ ვერებთანნი ვიდრემე აგრძნობენ ბუნების გარეშისა მკუ... (354v). ამ ნაწარმოებს ნაცილებით მეტი აკლია, ვიდრე პირველს.

ხელნაწერის დაუწერელ ფურცლებზე (1r—3v) არის სხვადასხვა პირის მინაწერები სხვადასხვა ხასიათისა. ეს პირნი ზაქარია გაბაშვილის, მე-18 ს.

ცნობილი მოღვაწის, შთამომავალნი არიან. მრ-ზე არის სომხური მინაწერი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ხელნაწერი ავეტიქ ენფიანჯიანცის ბიბლიოთეკიდანაა, უზის თარიღი 1855 წ.

S 2562 ხელნაწერი გადაწერილია 'რომელიდაც აღრინდელი ნუსხიდან. ხელნაწერში დასტურდება რამდენიმე ლაპსუსი, რომელიც გადაწერის მომენტით შეიძლება აიხსნას. აი, რამდენიმე ნიმუში:

ა) 203r: „წყალი ცივი, ძალითა ცხელად მყოფი, იქმნების მოქმედებით ცხელ ცხელისა მიერ, მოქმედებით ცხელად მყოფისა“. აზრის მიხედვით, რომელსაც ბერძნული ორიგინალიც ავლენს, „ცხელისა“-ს ნაცვლად უნდა იყოს „ცეცხლისა“: „წყალი ცივი... ცეცხლისა მიერ მოქმედებით“... ბერძნულშია *ჰაჰრძე*. კონტექსტის აზრი ასეთია: ცივი წყალი, რომელიც პოტენციით ცხელია, ცეცხლის მოქმედებით ცხელი გახდება. აშკარაა, რომ გადაწერის დაქარაგმებული „ცეცხლი“ სიტყვა „ცხელად“ გაუხსნია. S 145 ხელნაწერში „ცეცხლი“ იკითხება, თუმცა აქ სიტყვათა შეკავშირება ისეთია, რომ ფრაზის აზრი დამახინჯებულია.

ბ) 80 r: „ქუეყანისშომელობისა ხხვანა უმცოდვად ჰვიან“. „სხვანი“ ლაპსუსი ჩანს. უნდა იყოს „სიტყუანი“: „ქუეყანისშომელობისა სიტყუანი უმცოდვად ჰვიან“, რაც ნიშნავს: გეომეტრიის ცნებები უტყუელად რჩება. ბერძნულშია *λῆξι*. როგორც ჩანს, „სიტყუანი“ დაქარაგმებული იყო [სტყუნი] და გადაწერმა „სხვანი“ ამოიკითხა, ნუსხური ტ და ყ-ს, ასევე ხ და ვ-ს აღრევის გამო.

გ) 80 r, ტექსტშია: „არამედ“. აზრის მიხედვით კონტექსტში უნდა იყოს „პირველად“. როგორც ჩანს, დაქარაგმებული „პლ“ გადაწერმა შეცდომით წაიკითხა, როგორც „აღ“ (არამედ.) ნუსხური „ა“ და „პ“-ს აღრევა მოულოდნელი არაა, მითუმეტეს, რომ ამ ხელნაწერში სიტყვის თავში მყოფი „ა“ დაწერილობით (მკვეთრად გამოხატული წერტილი, რომელიც საკმაოდ გრძელი ხაზით უერთდება ტანს) ძალიან ჰგავს „პ“ ასოს.

დ) 212 v: „არცერთი რომელობაჲ ჰბაძავს თვისსა ქუემდებარესა ანუ განხრწნის“. ბერძნულშია: *οὐδὲμία δὲ ποιοῦν μάρτυρα ἔφ' ἰδὴν ὑποὐμάρτυρα ἢ φησὶ παρ' CA₁ 112,6*. * აზრი მოითხოვს, რომ „ჰბაძავს“-ის ნაცვლად იყოს „ჰბრძავს“. გადაწერმა ალბათ ნუსხური რ და ა ერთმანეთში აურია:

ე) 292 r: გრაფიკული აღრევის შედეგია ტექსტში დადასტურებული „მოსაობითა“ ნაცვლად მოსალოდნელი „მოსაობითა“ სიტყვისა.

აწონიოსის შრომებს ახლავს ორი სქემა: 147v, 228r; ოთხკუთხედის აღმნიშვნელი გეომეტრიული ფიგურები: 163v, 165r.

სათაურები დაწერილია სინგურით. ასევე სინგურით, ასომთავრული ასოთი იწყება ის განსამარტავი ფრაზები, რომელთა კომენტარს იძლევა ამონიოს ერმისი. სინგურითვე იწყება კომენტარები. ოლონდ განსამარტავი ფრაზა კომენტარისაგან იმით არის გამოყოფილი, რომ მის გასწვრივ აშიაზე არის ტექნიკური ნიშნები ~ ~ ~. შემდგომ და შემდგომ ტექსტში განსამარტავი ფრაზა ზოგან სინგურის გარეშე გვხვდება, მაგრამ ~ ნიშანი ყოველთვის ახლავს აშიაზე.

* ბერძნული ტექსტის დამოწმებისას ყველგან მიუთითებთ ა. ბუსეს გამოცემის გერძსა და სტრაიონს.

ხელნაწერის ქვედა მარჯვენა აშიაზე რვეულებრივი პავინაციაა, ტექსტის ხელით შესრულებული. (იქვე გვიანდელი პერიოდის სომხური ასოებით შეორდება იგივე პავინაცია).

ზოგიერთი ფურცლის ქვედა აშიაზე XX ს. ხელით, წითელი ფაქტით შესრულებული მინაწერებია:

91r: „აქ ფურცელი აკლია“. სინამდვილეში აქ არაფერი არ აკლია.

229v: „აქაც აკლია ორი ფურცელი“. აქ თავდება ამონიოსის პირველი თხზულება. როგორც აღნიშნეთ, ქართულ თარგმანს რამდენიმე სტრიქონი აკლია. 230v-ზე XVIII ს. მხედრულით ქვედა აშიაზე მინაწერია:

„აქ ფურცელი აკლია ერთი“. ტექსტი ამ ადგილას, მართლაც, ნაკლულია.

A ნუსხაში ტექსტი ნაწერია გაბმულად, ერთ სვეტად. მხოლოდ ერთ ადგილას, 114r-ზე, გვხვდება ორ სვეტად ნაწერი ტექსტი. როგორც გაირკვა, პირველ სვეტად არის ამონიოსის შრომა წარმოდგენილი, ხოლო მეორე სვეტად, რომელიც თითქმის აშიაზეა ნაწერი იმავე ხელითა და მელნით, დასტურდება სხვა შრომის, კერძოდ, პოროფირის „შესავლის“ ტექსტი. ამ კოდიკოლოგიურ ფაქტზე, რომელიც საყურადღებო ისტორიულ-ლიტერატურულ ცნობას წარმოადგენს, დაწერილებით სხვაგან ვილაპარაკებთ.

A ნუსხა ძალზე საინტერესოა პალეოგრაფიულად. ხელნაწერში დასტურდება პროსოდის ნიშნები, რომლებსაც, ისევე როგორც აქ დადასტურებულ სასვენ ნიშნებს, საგანგებოდ ვეხებით. ჩვენ შევეცადეთ დაწვრილებით წარმოგვედგინა XIII ს. ამ უნიკალურ ხელნაწერში დადასტურებული სურათი პროსოდისა და სასვენი ნიშნების ხმარებისა.

პროსოდის ნიშნები, როგორც ცნობილია, ეკფონეტიკური ნიშნებია, რომლებიც ტონალობას მიუთითებენ, მაგრამ მათში შემდგომ და შემდგომ გაერთიანდა გრამატიკული ნიშნები ხმოვანთა-სიგრძისა და სიმოკლისა, ფშვინვიერობისა, პუნქტუაციისა.

პროსოდის ნიშნების არსებობა ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში აღრეული ხანიდანვე არის ფიქსირებული [52, 189]. ასეთი ხელნაწერები არც ისე ბევრია, ამიტომ საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება ყოველ ხელნაწერს, სადაც ეს ნიშნები იქნება დადასტურებული. მათი ფიქსაცია საინტერესოა ქართულ ეკფონეტიკურ ნიშანთა სისტემის ზოგადი დახასიათებისათვის.

როგორც ცნობილია, ყველაზე აღრინდელი წერილობითი ცნობა პროსოდის ნიშნებზე დაცულია XII ს. ხელნაწერში, არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში“ [52, 189]. შემდგომი ხსენება ეკფონეტიკური ნიშნების გვხვდება იოანე პეტრიწის „განმარტებათა“ ბოლოსიტყვაობაში, რომელიც საგანგებოდ არის აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში [52, 189—190; 63, 4—5; 9, 54—58; 46, 287], ოღონდ როგორც ირკვევა, მკვლევართა ყურადღების მიღმა დარჩა ორი სასვენი ნიშანი, რომელთაც იქვე, სხვა ნიშნების გვერდით, ასახელებს იოანე პეტრიწი. ესენია „წინტილი“ და „ქუეშე-წინტილი“. [19, 221].

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ პროსოდის ნიშნებზე პეტრიწი მსჯელობს თავისი შრომის წინასიტყვაობაშიც. ეს ფაქტიც არ აღნიშნულა სამეცნიერო ლიტერატურაში.

პეტრიწის აზრით, ზწორი კითხვისათვის აუცილებელია ცოდნა „გაკუეთისა და შედგმისა და უკუწკეცვისა და უკუანადთ პირთა აღებისა და წერტილთა და სხუთა ყოველთა მძღუართა“ შესახებ. პეტრიწი ამ ნიშნებს საინ-

ტონაცო ნიშნებად მიიჩნევის. პეტრიწი ასახელებს სამ მათგანს: „მახვლსა, ოქსიასა და ვარიასა, რომელ არს მძიმე, და პერისპომენსა, რომელ არს გარემომართხმელი“ [19, 6]. ყოველი მათგანი საჭიროა ხმის ინტონაციის დასაცავად.

იოანე პეტრიწის მიერ აღნიშნული სისტემა პროსოდის ნიშნებისა მთლიანად გამეორებულია სულხან-საბა ორბელიანის მიერ, ოღონდ საბა მათი განმარტების საკუთარ რედაქციას იძლევა [44].

საბას უშუალო გამგრძელებელია ანტონ კათალიკოსი [6, 72].

ანტონის მომდევნო გრამატიკებში პროსოდისა და სასვენი ნიშნების გაგებაში ანტონის საგრძნობი გავლენა შეიმჩნევა.

ჭერჭერობით საბოლოოდ გარკვეული არ არის პროსოდის ნიშანთა ხმარების სპეციფიკა ქართულში, ასევე გასარკვევია სასვენ ნიშანთა გამოყენების ბუნება. ეს მთელ რიგ სირთულეებს აწყდება, რადგანაც ქართულ ხელნაწერებში ერთგვარობა არ არის ამ ნიშანთა ხმარებაში. ასეთ ვითარებაში S 2562 ხელნაწერში დადასტურებული ზურათი საყურადღებოა ეკფონეტიკური ნიშნების შესწავლის თვალსაზრისით.

შევნიშნავთ, რომ S 2562 ხელნაწერში პროსოდისა და სასვენი ნიშნების გამოყენებას რაიმე კანონზომიერი ხასიათი არ აქვს.

ხელნაწერში გამოყენებული სასვენი ნიშნებია: ერთწერტილი, ორწერტილი, სამწერტილი, მძიმე და წერტილ-მძიმე.

ხელნაწერში გამოყენებულ სასვენ ნიშანთა მიმართება დღევანდელი ქართულის პუნქტუაციის ნიშნებთან შეიძლება ასეთი ცხრილის სახით წარმოვადგინოთ:

					-

პირველ ჰორიზონტალურ სვეტში მითითებულია დღევანდელი პუნქტუაციური ნიშნები, ხოლო ვერტიკალურ სვეტებში ნაჩვენებია მათი შესატყვისი ნიშნები S 2562 ხელნაწერის მიხედვით. ბოლო ვერტიკალურ სვეტში წერტილი, მძიმე და წერტილ-მძიმე ნახმარია ისეთ შემთხვევებში, სადაც დღეს არაავითარი ნიშანი არ იწერება.

როგორც ვხედავთ, ხელნაწერში სასვენი ნიშნების გამოყენების ერთი სტაბილური სურათი არაა. ერთი და იგივე სასვენი ნიშანი სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს ან ერთსა და იმავე ფუნქციას რამდენიმე ნიშანი ატარებს. მათ სხვადასხვა, ხშირად ურთიერთგამომრიცხავ პოზიციაში ვხვდებით.

პროსოდის ნიშანთაგან ხელნაწერში 3 ნიშანია გამოყენებული: ოქსია ბნც, მკვეთრი მახვილი ('); ვარია βραα, მძიმე მახვილი (') და შემაერთებული ნიშანი ბაბი:ααბბ. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართულ ხელნაწერებში მახვილისა და მძიმის, მოგვიანო ხანაში წერტილ-მძიმის საშუალებით გამოიყოფა კითხვითი სიტყვები ან ნაწილაკები. მახვილის საშუალებით ზოგჯერ ბრძანებითი კილოს გამოყოფაც ხერხდება [52, 204].

S 2562 ხელნაწერში მახვილი და მძიმე აქ. მითითებულ შემთხვევებშიც დასტურდება, მაგრამ მათი ხმარების არე გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე კითხვითი ან ბრძანებითი სიტყვები და ნაწილაკები.

S 2562 ხელნაწერში სასვენი და პროსოდის ნიშნების ძალზე ხშირი და ამავე დროს უსისტემო ხმარება გვაქვს. არ დასტურდება რაიმე კანონზომიერება მათი ფუნქციონალური; ასევე პოზიციური თავისებურებების გამიჯნვისათვის.

S 2562 ხელნაწერის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ჭ ასოს ხმარება. ჭ ბერძნულიდან შემოსულად ითვლება [56, 17]. სულხან-საბა ორბელიანის შენიშვნით, „ეს ჭ ძველ წიგნებში იჯდა და მწერლებს უგულუბელს ექმნათ და ახლა მე ჩაუვმატეო“ [44]. მიუხედავად ასეთი განცხადებისა, ჭ ასო ძველ ქართულ ხელნაწერებში არ ჩანს. მოგვიანებით ანტონ კათალიკოსმა შემოიღო ამ ასოს ის მოხაზულობა, რაც მას რუსულში ჰქონდა: Ф. ა. შანიძის დაკვირვებით, ჭ-ს აღრევა ძველ ხელნაწერებშიც დასტურდება [56, 19]. იგულისხმება, რომ ჭ უცხოენიდან შემოსული სიტყვების გარდა საკუთრივ ქართულ სიტყვებშიც გვხვდება დასახელებულია ჩვენი S 2562 ხელნაწერი.

მართლაც, ჭ ასო ამ ხელნაწერში გვხვდება როგორც უცხო სიტყვებში: ჭილოსოჭოსი, სოჭისტინი, პორჭიროს; ისე ქართულ სიტყვებში: ჭერი, მყოჭი, უჭროას, მოსწრაჭე, დაჭარული, განყოჭილება, ჭერჯი და ა. შ.

მაგრამ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჭ ასოს პარალელურად, იმავე შემთხვევებში დასტურდება ფ ასოც. ჭ და ფ პარალელურად იხმარება, მაგრამ ერთი საინტერესო ფაქტი შეინიშნება:

ხელნაწერის ზოგიერთ გვერდზე ჭ და ფ თანაბრად გვხვდება. ზოგან ერთ-ერთი მათგანი, მაგალითად ჭ დომინირებს, მეორე ასო ფ თითქოს შემთხვევით გაეპარაო გადამწერს. შემდეგ ფურცლებზე სურათი იცვლება: უფრო ხშირად ფ ასოს დაწერილობა გვაქვს, ჭ კი კანტი-კუნტად გვხვდება. სხვა ფურცლებზე ისევ საპირისპირო სურათი დარჩნდება.

ასე მაგ. 188 v-197 v-ზე ფ ასო დასტურდება, ჭ სულ ორჯერ გვაქვს. 198 r-ზე 4 ჭ გვაქვს და ერთხელ ფ („განყოფილებაა“). 198 v-დან 209 v-მდე ფ ასოა, 209 v-211 v-ზე—ჭ. 211 v-ზე ორივე გვაქვს: ფ და ჭ-ც. შემდეგ უფრო ხშირად ჭ ასო დასტურდება, ფ ასო კანტიკუნტად გვხვდება.

როგორც ჩანს, გადამწერს ფ და ჭ ასოები გარჩეული არა აქვს. იგი ბერძნულიდან შემოსულ ასოს მიმართავს, მაგრამ ვერც საკუთრივ ქართულ ფ ასოს იგიწყებს. გადამწერის პროცესში ფსიქოლოგიური ასპექტიც იჩენს თავს: იგი მექანიკურად ერთ ასოს წერს, შემდეგ ეს მექანიკური პროცესი წყდება და იგი მეორე ასოს ჩართავს. ერთხანს ამ მოხაზულობის ასოს იცავს, შემდეგ ისევ აიჩევა მათი ხმარება. აშკარა, რომ ჭ ასო ახლად გამოყენებული ჩანს, რადგან მისი ხმარების ერთი სისტემა დაცული არაა.

ყოველ შემთხვევაში S 2562 ხელნაწერი ერთი ყველაზე ადრინდელი ხელნაწერია, რომელშიც დასტურდება ჭ ასო.

S 2562 ხელნაწერის ფურცლების, განსაკუთრებით ბოლო ფურცლების, ზედა სტრიქონები განუახლებიათ გვიან პერიოდში. როგორც სხვა ნუსხებთან შედარებით ირკვევა, ტექსტის გაცხოველება XVIII ს-ში მოუხდენიათ.

დაბოლოს, S 2562 ხელნაწერს, რომელიც XIII ს-ით თარიღდება, ახასიათებს ასოთა თავისებური პალეოგრაფიული მოხაზულობა, რითაც იგი გამოირჩევა სხვა ადრეული თუ გვიანდელი პერიოდის ქართული ხელნაწერებისაგან. ამ მხრივ იგი თითქმის უნიკალურია.

II. B ლიტერით აღნიშნულია A 406 ხელნაწერი, XVIII ს. [124]. ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს. მისი შედგენილობა ასეთია:

1. იოანე დამასკელი, „დიალექტიკა“, ეფრემ მცირის თარგმანი, 1r—49v. ამ თხზულებას ახლავს ანდერძი, საიდანაც ჩანს, რომ მისი გადაწერა იოანე (როგორც თ. ჟორდანიას აზუსტებს, ეს არის იოანე გარსევანიშვილი). გადაწერილია იგი 1751 წ. 49v-ზე ახლავს ანდერძი:

„ზე აღიდნეს უფალმან მეფე ერეკლე, რომლისა ბრძანებითა აღესწერე წიგნი ესე ქალაქა ტფილისს ჯვარის საყდრის დეკანოზმან ცოდვილმან იოანემ, ქრისტეს აქათ ჩინა 1751 წ.“.

2. უფროსად ბრძნისა ამონიოს ერმისისა „მოსავსენებელი „ხუთთა კმათადმი“ პოზიტივი ფილოსოფოსისათა“ 54r—196v.

2. ამონიუ ერმისისა „მოსავსენებელი „ათთა კატილორიათადმი“ არისტოტელისათა“ 196v—309v.

ამონიოსის თხზულებებს 53r-ზე აქვს ანდერძი, საიდანაც ირკვევა, რომ ისინი გადაუწერია ალექსი (მესხიშვილს) 1751 წ:

„ზე აღიდნეს და მრავალყამიერ ყოს ღმერთმან მეფე კახეთისა ირაკლი და მიანიჭენ ბედნიერი სუფევად, ნუცა მოაკლდების მეფობასა მათსა, რომელმან შათის ბრძანებით აღწერეთ უფროსად ბრძნისა ამონიოს ერმისისა მოსავსენებელი „ხუთთა კმათადმი“ პოზიტივი ფილოსოფოსისათა ჩუენ მდაბალთა და უნდოთა ტფილურთა მოქალაქე-ქმნილმან კელონის მხატვრის გრიგორ მღვდლის ძემან ალექსიმ. აწე აღმოკითხველთა წინაშე ვმოქენობ, ქსენებასა ლოცვათასა მომძღუანებდეთ. აღიწერა ენკენისთვის გ, ქრისტეს განვორციელებითგან ჩლმია, ქქს. ოლთ“.

როგორც ჩანს, ხელნაწერი ორი სხვადასხვა პირის მიერ არის გადაწერილი ერთსა და იმავე წელს. მაგრამ, ხელის მიხედვით, მათ შორის საოცარი მსგავსებაა. ასოთა პალეოგრაფიული მოხაზულობა ზუსტად ერთია. განსხვავება არის მხოლოდ იმაში, რომ იოანეს მიერ გადაწერილ პირველ ტექსტში ასოები უფრო მიჯრით არის დაწერილი, სიტყვათა და ასოთა შორის ინტერვალი უფრო მცირეა, ვიდრე ალექსის მიერ გადაწერილ ტექსტში. გადაწერნი ერთ კალიგრაფიულ სკოლას განეკუთვნებიან.

B ნუსხა გადაწერილია A ნუსხიდან. იგი ზუსტი ასლია დედნისა. აი, ის ნიშნები, რაც ავლენს B-ს A-ზე დამოკიდებულებას:

1. B იმეორებს A ნუსხის აზზაცობრივ დაყოფას.

2. B-ს აქვს ის მინაწერები (გარდა მხედრულისა), რაც არის A-ში.

3. B ზუსტად იმეორებს A ნუსხის პროსოდის ნიშნებს.

4. B ნუსხას დაუწერელი ფურცლები აქვს იქ, სადაც A-ს აკლია ფურცლები (197v-198 r).

5. B ნუსხა იმეორებს A-ში არსებულ ლაქსუსებს: „ბელ-იპოფვოდელ“ 203 v. იგივეა A-ში, შდრ. A 237 v.

6. B ნუსხაში ზოგიერთ სიტყვაში გამოტოვებულია ასოთა ადგილი. ეს ის ადგილებია, რომლებიც A ნუსხაში ან გადასულია და არ იკითხება, ან ბუნდოვანია. (267 v, შდრ. A 308 v; 273 v, შდრ. A 934 r; 274 r, შდრ. A 316 v).

7. B ნუსხაში ზოგან დასტურდება ის წაკითხვები, რაც A-ში გვიანი ხელით არის განახლებული, ზოგან კი არა. მათი შედარებით შეიძლება აღვადგინოთ ზუსტი სურათი იმისა, A ნუსხის რომელი ადგილი იყო განახლებული B-ს გადაწერისას და რომელი განუახლებიათ B-ს გადაწერის შემდეგ. (287 r, შდრ. A 330 v; 288 r, შდრ. A 332 r; 308 r, შდრ. A 353 v).

8. B ნუსხის გადამწერი გრაფიკული აღრევის ნიადაგზე სხვა რამეს წერს, ვიდრე A-შია. A: შემწყარი (353 v), B-ს გადამწერი -ყ-ს უღ კითხულობს, ამიტომ B-შია: „შემწყარი“ (308 r). A-შია: „ეპიფანია ზა“ (308 v), B-შია: „ეპიფანია და...“ (267 v). ზა ქარამიანი თანდებული წაკითხულია, როგორც და კავშირი.

A 406 ნუსხისათვის დამახასიათებელია XVIII ს. ოროთგრაფია. ვ ტ-ს ნაცვლად, ა-ს ხმაზეა აღრეულია. გამოყენებულია ჟ ასო.

III. C ლ ი ტ ე რ ი თ ა ღ ნ ი შ ნ უ ლ ა A 250 ხ ე ღ ნ ა წ ი რ ი. აღწერილობის მიხედვით, ხელნაწერი დაწერილია XVII—XVIII სს, [49]. ხელნაწერი დაწერილია ნუსხურად. იგი წარმოადგენს კრებულს, შედგება იმავე თხზულებებისაგან, რომლებიც დასტურდება A და B ნუსხებში:

1. იოანე დამასკელი, „დიალექტიკა“, არსენ იყალთოელის თარგმანი, 6r—51r.

2. ათთა ნათესაეთა ნათესაეუანათუს განჩინება 51r-v.

3. უფროსად ბრძნისა ამმონიოს ერმისისაჲ „მოსაკსენებელი „ხუთთა კმათადმი“ პორფირი ფილოსოფოსისათა“ 51v—142r.

4. ამმონიო ერმისისა „მოსაკსენებელი „ათთა კატელორიათადმი“ არისტოტელისთა“ 142r—225r.

ბოლო თხზულება ნაკლულია A და B ნუსხების შსგავსად. ხელნაწერს ახლავს სხვადასხვა ხელით შესრულებული მინაწერები, განმარტებულია სხვადასხვა ტერმინი თუ სიტყვა, რომელთაგან ზოგიერთს კრებულის ხასიათისა და მიზანდასახულობის გასარკვევად გარკვეული მნიშვნელობა აქვს.

2r-ზე XVIII ს. მხედრულით წერია აღქმა, რომელშიც შესანიშნავად არის შეფასებული ასეთი ფილოსოფიური ხასიათის წიგნის მნიშვნელობა. ავტორის სიტყვებიდან ჩანს, რომ ეს წიგნი მისი დროისათვის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენდა და ამდენად აუცილებელი იყო მისი გადაწერა:

„მოქანაჲ, წიგნი ასეთი ჩვენს ქვეყანაში არ იყო,

ამის უცოდინელად ყოველი წიგნი მკედარ იყო.

ბრძასაჲთ ვიფიცებოდით, გონება ჩამოშქვარიყო,

და რითჲს დაადგეს, ეს მიკვირს, ერთ საცილინათ მჰარ იყო.

ამისი ცოდნა უენოს ენასა აადგმეინებს,

გონებას მოქნავს, სიბრძნესა დასთესს, ფესუს გაადგმეინებს,

ფილოსოფოსობს, მეტყუელობს, ზეცას ტახტს დაადგმეინებს,

და ფრთასა შეასხამს, აღაფრენს, სულს ნათლად ჩაადგმეინებს.“

3r-ზე მხედრულით იოანე მახარებლის გენეალოგიაა. 4r-ზე სხვადასხვა ხასიათის მინაწერებია. 5r-ზე ნუსხურით არის „ლრამმატიკოსის“ განმარტება:

„ბერძულ ღრამმა წერილად გამოითარგმანების, ხოლო ტიკოსი დამადნობელად... სიჭუა ღრამბატკოსი, უწყოდო, ვითარმედ დამადნობელსა იტყუ წერლისასა, ესე იგი არს, რომელი დაქსნის სიმყურტესა სიტყუთ სიღრმით შეყინებულთასა“.

5r-ზე XVIII ს. ნუსხურით შინაწერია, რომელშიც მოცემულია ფილოსოფიისა და სხვა მეცნიერებათა ისეთი კლასიფიკაცია, რომელიც აშკარად განსხვავდება თვით ამონიოს ერმისის ტექსტში დადასტურებული კლასიფიკაციისაგან. ამ შინაწერის ავტორი, როგორც ჩანს, არ სარგებლობს ამონიოსისეული კლასიფიკაციით. იგი რაღაც სხვა კლასიფიკაციას იმეორებს. კლასიფიკაცია ასეთია:

ა) ფილოსოფოსობა, ბ) ღრამბატკოსობა, გ) რიტორობა, დ) მკურნალობა, ე) მუსიკობა, ვ) ქუეყანისმზომელობა, ზ) ვარსკულავთმრიცხველობა, ც) რიცხუთმოქმედება, ანგარიში, თ) ზუნებთმეტყუელება, კატილორია, ი) ნივთთმეტყუელება, ია) ველოვნებათა საქმე, იბ) არს რიგი და საქმე. ამ ჩამოთვლის შემდეგ არის შენიშვნა, რომელიც შეიძლება დართული იყოს გადამწერის ან რედაქტორ-დამმუშავებლის მიერ: „ეს იციან საბერძნეთს მკოდინარეთ, კიბე იბ“.

C ნუსხაში შინაწერები დასტურდება ბოლო ფურცლებზე. 225v—229r-ზე არის XVIII ს. მხედრულით შესრულებული შინაწერები, რომლებშიც სხვადასხვა სიტყვების განმარტებაა მოცემული. ესენი რომელიღაც მკითხველის ნაეარჯიშებს უფრო ჰგავს. 226r-ზე არის გეომეტრიულ ნიშანთა ის განმარტება, რაც დადასტურებულია „დიალექტიკაში“. 228v-ზე არის ლექსად შესრულებული შინაწერი, მხედრულით ნაწერი, რომელშიც ვალექსილია ძირითად ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ცნებათა განმარტებები.

A 250 ხელნაწერი თავისი შინაწერების გამო ძალზე საყურადღებოა. ელ. მეტრეველის აზრით, ის ვახტანგ VI-ის ოჯახის საკუთრება ყოფილა. 1715 წ., ვახტანგის ირანში ყოფნის დროს, ეს ხელნაწერი რაჭაში ყოფილა. ამაზე მეტყველებს ანდერძი:

„ქქს უბ (1714), თვისა ოკონბერსა ია, დღესა სამშაბათსა, დედოფალი რუსულად და ბატონისშვილი ბაქარ ქართლიდამ რაჭას წამობრძანდნენ. მე ცოდვილი გიორგი იქ ვახლი“ 230r. როგორც ელ. მეტრეველმა გაარკვია, ეს ხელნაწერი დამუშავებულია სულხან-საბა ორბელიანისა და ვახტანგ VI სამეცნიერო წრეში. შესაძლოა შინაწერები ეკუთვნოდეს, თვით საბას ან ვახტანგ VI-ს. A 250 ხელნაწერი გამოუყენებია სულხან-საბა ორბელიანს თავისი ლექსიკონის შედგენისას [32].

A 250 ანუ C ნუსხა, ისევე როგორც B, გადაწერილი ჩანს A ნუსხიდან. ეს ჩანს შემდეგიდან:

1. C ნუსხა ზუსტად იმეორებს A ნუსხის პაგინაციას.
2. C ნუსხაში დასტურდება A ნუსხის ნუსხური შინაწერები.
3. C ნუსხაში გამოტოვებულია ნაწილი იმ სიტყვებისა, რომლებიც A-ში არ იკითხება. (მაგ. C 207v, შდრ. A 330v), ხოლო ნაწილი A-ს ნაკლები სიტყვებისა C-ში იკითხება იმის გამო, რომ C ნუსხა გადაწერილი უნდა იყოს A ნუსხის გასწორება-განახლების შემდეგ (გაეხსენოთ, რომ A ნუსხის ზოგი ადგილი გვიან განუახლებიათ).
4. ტექსტი C-ში წყდება იმ ადგილზე, სადაც წყდება A-ში.

5. C ნუსხას ფურცლები აკლია. ამაზე მიუთითებს ტექსტის ხელით გაკეთებული მინაწერები აშეიბზე: „დედანს ეწერა: აქა ფურცელი „აკლიაო“ 51r; „აქ ერთი ფურცელი აკლია დედანს“ 147r. აკლია სწორედ ის ფურცლები, რაც აკლია A ნუსხას.

C ნუსხას გადამწერს ზოგან მექანიკური შეცდომები აქვს დაშვებული, რაც გადამწერის პროცესშია დაშვებული. შეცდომები მეტია ხელნაწერის ბოლო ფურცლებზე.

IV. D ლიტერით აღნიშნულია S 145 ხელნაწერი [50], 1799 წ. აღწერილობაში შეცდომით არის მითითებული, რომ ხელნაწერი შეიცავს მხოლოდ ერთ თხზულებას, იოანე დამასკელის „დიალექტიკას“. სინამდვილეში ეს ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს, რომლის შედგენილობა ასეთია:

1. იოანე დამასკელი, „დიალექტიკა“, არსენ იუალითოელის თარგმანი, 3r—51r.

2. ათა ნათესავთა ნათესავთანათუს განჩინება 51r—51v.

3. ამონიოს ერმისისა „მოსაკსენებელი „ხუთთა ემათადმი“ პორფირი ფილოსოფისათა“ 51v—146r.

4. ამონიურ ერმისისა „მოსაკსენებელი „ათა კატილორიათადმი“ არისტოტელისათა“ 146r—227v.

ხელნაწერი არის მესხიშვილთა ბიბლიოთეკიდან. ამას გვაუწყებს 3r-ზე მინაწერი: „წიგნი ესე ეკუთვნის იერონიმე ალექსიევს“.

აღწერილობის მიხედვით, ხელნაწერის გადამწერია დავით რექტორი [50]. მაგრამ დავით რექტორი არ ჩანს მთელი ხელნაწერის გადამწერი. დავითის ხელით გადაწერილია 5r—9r ფურცლები, დანარჩენი ხელნაწერი გადაწერილი უნდა იყოს რომელიღაც მესხიშვილის მიერ. დავით რექტორი არის ხელნაწერის რედაქტორ-შემსწორებელი, რასაც გვაუწყებს 227v-ზე არსებული ანდერძი-მინაწერი: „რაოდენ შეიძლებაოდა, გავმართე. რექტორი დავით, ოკდომბერს კთ, წელსა ჩლეთ, ქკ ს უპზ“.

ამ ანდერძიდან ვიგებთ, რომ XVIII ს. ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, დავით რექტორს, გარკვეული რედაქცია ჩუბტარებია ტექსტისა. მართლაც, ხელნაწერის ტექსტს ემჩნევა შესწორებანი, რომელნიც უწარმოებია მას.

ხელნაწერის ამიებზე არის დავით რექტორის შენიშვნები, რომლებშიც ტექსტის გასწორების ფაქტია აღნიშნული, ზოგიერთში კი ესა თუ ის მწელად გასაგებობან ბერძნული წარმომავლობის სიტყვაცა განმარტებული. ასეთი შენიშვნები არის: 55 v, 62 r, 108 v, 110 r, 120 r, 126 r, 134 v, 159 v, 182 r, 194 v, 195 v, 196 r, 197 r, 208 v, 212 r. ყველა ამ მინაწერს აქვს ხელრთვა: რექტორი დავით.

მართალია, D ნუსხა XVIII ს. ხელნაწერია, მაგრამ იმით არის საყურადღებო, რომ მასში დაცულია ამონიოსის მეორე ნაწარმოების „არისტოტელეს „კატეგორიების“ კომენტარების“ ბოლო ნაწილი, რომელიც სხვა ნუსხებში (ABC) ნაკლებია-ტექსტის ეს ბოლო ნაწილი დასტურდება 222 v—227 v-ზე. თუმცა ტექსტი აქაც ზოგ ადგილას ნაკლებია, რაზეც მეტყველებს დაუწერლად დატოვებული თავისუფალი სტრიქონები, იხ. 225 r—v, 226r—v, 227r—v.

D ნუსხა იმითაც არის საყურადღებო, რომ აქ დასტურდება საკმაოდ მოზრდილი ტექსტი, რომელიც შეგნითაც აკლია ABC ნუსხებს. კერძოდ ის ტექსტი, რომელიც A ნუსხას აკლია 306 v-ს შემდეგ.

პორფირის „შესავლის“ ტექსტი, რაც ABC ნუსხებში გამოყოფილია ცალკე, D-ში შიგ ტექსტშია ჩართული (116 რ).

საერთოდ, D ნუსხა საკმაოდ გაუმართავად არის დაწერილი. სიტყვები დამახინჯებულია, არეულია სახელთა და ზმნათა ბრუნვისა და უღლების ფორმები, სწორია მექანიკური გამოტოვების შემთხვევები, როცა ერთსა და იმავე სიტყვებს შორის გამოტოვებულია ფრაზა. ასეთი აზრობრივი თუ ენობრივი ხასიათის შეცდომები, რომლებიც გადამწერის დაბალ წიგნიერებაზე მეტყველებს, ჩვენ მიერ ტექსტის დადგენისას არ იქნა გათვალისწინებული. გათვალისწინებულია მხოლოდ ისეთი წაკითხვები, რომლებიც ნუსხების გამართვაში, ზოგი ნაკლებად ადგილის შევსებაში ან ძნელად წასაკითხი სიტყვის აღგენაში დაგვეხმარებოდა.

D ნუსხის ბოლო ფურცლებზე ტექსტი ზოგან გაცხოველებულია დავით რექტორის მიერ. ხელის მიხედვით ადვილად ხერხდება დავითის რედაქტირებული ტექსტის, ე. ი. შექმნილი ადგილების, გამორჩევა. დავითის რედაქტირებული ტექსტი დასტურდება შემდეგ გვერდებზე: 210 რ—213 რ, 214 ვ—217 ვ, 220 ვ. დავით რექტორის მიერ შევსებულია ის სტრიქონები, რომლებიც A ნუსხაში გადასულია ან ძნელად იკითხება.

D ნუსხაც მომდინარეობს A-დან. ამას შემდეგი ტექსტობრივი მონაცემები დასტურებენ:

1. D-ში ტექსტის ზუსტად ისეთი აბზაცობრივი დაყოფა გვაქვს, როგორც A-ში. 2. სინგურით დაწყებული სტრიქონები D-შიც სინგურით იწყება. ხოლო თუ განსამარტავი ფრაზა A-ში სინგურით არ იწყება, მაგრამ აშიაზე მითითებულია ტექნიკური ნიშნებით, D-შიც ზუსტად იგივე მეორდება.

3. A ნუსხაში იშვიათად ხმარებულ სიტყვებს აშიაზე ახლავს ტექნიკური ნიშნები 0. ეგევე ნიშნები არის D-შიც ზუსტად იმავე სიტყვებთან.

4. D ნუსხა იმეორებს ყველა იმ მინაწერს (გარდა გვიანი დროის მხედრული-სა), ასევე სქემებს და ცხრილებს, რომლებიც დასტურდება A-ში.

5. D ნუსხაშიც მხოლოდ ნაწილობრივ დასტურდება (159 რ) ერთი მინაწერი, რომლის ბოლო ფრაზა A-ში გადასულია და XVIII ს. ხელით გაუცხოველებიათ (251 ვ). D-ს გადამწერს ვერ ამოუკითხავს ეს ფრაზა და ამიტომაც გამოუტოვებია.

6. D ნუსხაში ზოგი ადგილი დაუწერლად არის დატოვებული, სტრიქონი თავისუფალია. ეს სწორედ ის ადგილებია, რომლებიც A ნუსხაში მელნის ვადასვლის გამო ან სრულიად არ იკითხება, ან ბუნდოვნად იკითხება. ასეთი ადგილები A ნუსხის ბოლო ფურცლებზე დასტურდება, სადაც ტექსტი სწორად არის გაცხოველებული სხვა, მუქი ფერის მელნით. როგორც ჩანს, D ნუსხის გადამწერი სარგებლობდა A ნუსხით მანამდე, სანამ იმ უკანასკნელს გვიან პერიოდში განაახლებდნენ. ტექსტის დასასრულის არსებობაც D ნუსხაში გვაფიქრებინებს, რომ A ნუსხას უნდა ჰქონოდა ეს დასასრული, მაგრამ უფრო მოგვიანებით, ბოლო ფურცლების დაკარგვის გამო, ტექსტის ბოლოც დაიკარგა.

ნუსხათა ურთერთმიმართების თვალსაზრისით გამოვლინდა, რომ უძველესი არქეტიპიდან, S—2562, A ნუსხიდან მომდინარეობს ყველა დანარჩენი ნუსხა. A ნუსხა თავისთავად გადაწერილია რომელიღაც ადრინდელი ნუსხიდან.

A-დან XVIII-ს. გადაუწერიათ BCD ნუსხები. ოღონდ მათ შორის ის ქრონოლოგიური განსხვავებაა, რომ BC ნუსხები გადაწერილი ჩანს A ნუსხის განახლების შემდეგ, ხოლო D ნუსხა გადაწერილია მანამ, სანამ A ნუსხას განაახლებდნენ, და სანამ

A-ს ბოლო ფურცლები დაიკარგებოდა. B და C ნუსხების გადამწერთ უკვე ნაკლები დედანი ეკავათ ხელთ. მასასადაამე, D ნუსხა ქრონოლოგიურად წინ უსწრებს B და C ნუსხებს.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვანვაცხადოთ, რომ A ნუსხა განუახლებიათ XVIII ს-ში, ასევე დავაზუსტოთ C ნუსხის თარიღი. C ნუსხა XVIII ს-ის ხელნაწერია და არა XVII—XVIII სს-ისა, როგორც აღნიშნულია აღწერილობაში.

ამონიოსის თხზულებები გარდა იმ ხელნაწერებისა, რომელიც გამოყენებულია ტექსტის დასადგენად, გვხვდება სხვა ხელნაწერებშიც. ესენია: S 266, 399, 1132; Q 256; ქუთაისის ხელნაწერები № 118, 461.

S 266 ხელნაწერი, მხედრული, 1792 წ., გადამწერი ზაქარია. ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს. მასში ორი ნაწარმოებია:

1. უფროსად ბრძნისა ამონიოს ერმისისაჲ „მოსაქსენებელი „ხუთთა კმათადმი“ პორფირი ფილოსოფოსისათა“ 1—153.

2. დავით სიბრძნისმოყუარისა, „აღვსნა პორფირის „შეყვანილებისადმი“ რვათა თავთა შერთვთა“ 155—274.

ხელნაწერის ბოლოში არის გადამწერის ანდერძი: „დიდება ღმერთსა, ყრამებულისა დედასა, ქალწულისა უფალასა, იყავნ სადიდებელად, წელთა 1792, ზაქარია“ (გვ. 274).

ამონიოსის ნაწარმოების ბოლოს ნუსხურით მინაწერია:

„დასასრული ამონიოსის განმარტებისა, დიდება ღმერთსა მამასა, ძესა ღმერთსა და სულსა ღმერთსა“ (გვ. 153).

ამონიოსის ტექსტში დასტურდება ის სქოლიოები, რაც არის ABCD ნუსხებში.

პორფირის შრომის შესავალი, რომელიც ჩართულია ტექსტში, დაწერილია განსხვავებული, წვრილი ასოებით (გვ. 41). გვ. 7-ის ქვედა აწიანზე გადამწერის, ზაქარიას, მინაწერია: „მართლმადიდებელთა შორის უჯერო არს დარწმუნება“. მინაწერი ეხება ამონიოსის ტექსტის იმ ადგილს, სადაც სული-სა და სხეულის განშორებაზეა საუბარი სიკვდილის შემთხვევაში.

S 899, კ რ ე ბ უ ლ ი, XVII ს. ნუსხური. ხელნაწერი შეიცავს ამონიოსის ნაწარმოებებს.

1. უფროსად ბრძნისა ამონიოს ერმისისაჲ „მოსაქსენებელი „ხუთთა კმათადმი“ პორფირი ფილოსოფოსისათა“ 2r—38r.

2. ამონიუ ერმისისა „მოსაქსენებელი „ათთა კატილორიათადმი“ არის-ტოტელისთა“, გვ. 38v—68r.

პირველ ფურცელზე (1r—v), ასევე ბოლო ფურცელზე (68v) არის სხვადასხვა ხასიათის მინაწერები: ფრაზები ამონიოსის ნაწარმოებებიდან, ლექსთა ფრაგმენტები და სხვ. მათ შორის საყურადღებოა ერთი მინაწერი 68v-ზე: „პორფირი პლატონ ლიკიაპოლელის მოწაფე ოროგინეს თანმეშკოლე იყო. ლიკიაპოლი იზმირის ქალაქი არის, რომელსა ჩვენ ზმირინს უწოდთ“.

S 1132, კ რ ე ბ უ ლ ი, XIX ს. მხედრული. შედგენილობა ასეთია:

1. იოანე დამასკელის „დიალექტიკა“, არსენ იყალთოელის თარგმანი (1—83). დართული აქვს ქვეყნისსამშომლო ნიშნები, გვ. 82.

2. ათთა ნათესავთა ნათესავთათაჲს განჩინება, გვ. 82—83.

3. უფროსად ბრძნისა ამონიოს ერმისისა „მოსახსენებელი „ხუთთა კმათადმი“ პორფირი ფილოსოფოსისათა“, გვ. 83—245.

4. ამმონიუ ერმისისა „მოსახსენებელი „ათთა კატილორიათადმი“ არის-ტოტელისთა“, გვ. 245—383.

ეს ხელნაწერი გადაწერილია დიმიტრი ალექსიშვილის მიერ, რაც ჩანს ხელნაწერის ბოლოს ანდერძიდან: „ანჩისხატის დეკანოზის დიმიტრის ალექსიევისა: დიმიტრი“ (გვ. 385).

დიმიტრი ალექსიშვილს ეს ხელნაწერი გადაუწერია D ნუსხიდან (S 145), რომელიც მესხიშვილთა სკოლაშია გადაწერილი და რომლის რედაქტირება დავით რექტორს მოუხდენია. ეს ჩანს შემდეგიდან:

ა) S 1132-ში არის D ნუსხის დავით რექტორისეული მინაწერები (გვ. 104, 181, 211, 250, 253, 254, 332, 351).

ბ) არის ისეთი გეომეტრიული ფიგურები, როგორც D-ში (გვ. 178).

გ) ტექსტის ბოლო ცხრილიც ისეთივეა, როგორც D-ში (გვ. 243).

დ) S 1132-ში დასტურდება ტექსტის ის დასასრული (გვ. 375—385), რაც არის D-ში. S 1132-ის დედანს რომ D ნუსხა წარმოადგენს, ირკვევა იმითაც, რომ D-ს ბოლო ფურცლებზე დაუწერელი სტრიქონები S 1132-შიც დაუწერელია. ასევე დაუწერელია ის სტრიქონები, რომლებიც დავით რექტორის ხელით არის ჩამატებული D-ში. გამოდის, S 1132 ხელნაწერი გადაწერილია D ხელნაწერიდან მანამ, სანამ ბოლო ფურცლებზე ნაკლულ ადგილებს შეავსებდა დავით რექტორი.

ე) პორფირის შრომის შესავალი ჩართულია ტექსტში, როგორც D ნუსხაში (გვ. 125).

A 1151, კ რ ე ბ უ ლ ი, XVIII ს. ნუსხური, ხელნაწერი შეიცავს შემდეგ ნაწარმოებებს:

1. იოანე დამასკელი, „დიალექტიკა“, არსენ იყალთოელის თარგმანი, 1r—61v.

2. ათთა ნათესაეთა ნათესავონათოუსი განჩინებაი 61v—62r.

3. უფროსად ბრძნისა ამმონიოს ერმისისა „მოსაცხენებელი „ხუთთა კმათადმი“ პორფირი ფილოსოფოსისათა“ 63r—196r.

პორფირის შრომის შესავალი პეტიტითაა ნაწერი ცალკე სვეტად 101v—102r.

3. ამმონიუ ერმისისა „მოსაცხენებელი „ათთა კატილორიათადმი“ არის-ტოტელისთა“ 196r—293r.

ამ ხელნაწერის ორივე ტექსტი მისდევს A ნუსხას. ორივე ნაკლულია A-ს მსგავსად.

Q 256, კ რ ე ბ უ ლ ი, 1805, მხედრული. შედგენილობა ასეთია:

1. ათთა ნათესაეთა ნათესავონათოუსი განჩინება 2r—v.

2. უფროსად ბრძნისა ამმონიოს ერმისისა „მოსახსენებელი „ხუთთა ხმათადმი“ პორფირი ფილოსოფოსისათა“ 2v—71v.

3. ამმონიუს ერმისისა „მოსახსენებელი „ათთა კატილორიათადმი“ არის-ტოტელისთა“ 71v—127v.

ეს ხელნაწერიც გადაწერილი ჩანს S145 ხელნაწერიდან. აქაც არის ტექსტის ბოლო ნაწილი (123v—127v). დასტურდება ყველა ის ტექსტობრივი მონაცემი, რომლებიც არის S 1132-ში და რომელითა საფუძველზე შესაძლებელია ამ ხელნაწერთა D ნუსხასთან დაკავშირება.

ამ ხელნაწერში ჩაკინებულია სხვა რომელიღაც ხელნაწერის ორი ფურცელი (გვ. I, II), რომლებზეც არის ძალზე საყურადღებო ცნობები პორფირი

ფილოსოფოსის ვინაობის, სადაურობის, მისი ნაწარმოების „შეყვანილების“ რაობის შესახებ:

„პორფირის შეყვანილობა. უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველს წიგნს აქვს თავისი სკოპოსი, რომელ არს პირი საქმისა. აწ უკუე სკოპოსი პორფირისა არის რვა. ესე იგი: ჰაზრი, სახმარი, საკუთარი, მიზეზი ზედწარწერილისა, თავთა-შორისი განწვალება, წესი, თუ რომლისა კერძოსა მიმართ აღიყვანების აღწერა იგი და სქესნი მოძღვრებათანი.

აწ უკუე ჰაზრი პორფირისა არის ხუთნი კმანი საკმარი არისტოტელის „კატელორიათა“ შინა და ყოველთა საფილოსოფოსოთ შორის საკუთარი პორფირისა, ამისთვის განგვითვისებს პორფირისაო, რომ ძველთ ფილოსოფოსთა შორის წესი იყო, რომ სახელგანთქმული ფილოსოფოსი რომ წიგნს აღსწერდა, სახელოვანთა ფილოსოფოსთა მიაჩემებდა: პლატონს გინა არისტოტელესა ანუ სხვათა და ამისთვის განათვისებს პორფირისაო, რომ ვიცოდეთ, მხოლოდ პორფირის მიერ თქმულ არს და არა სხვათა მიერ.

მიზეზი ზედწარწერილისა არის ხრიზაორიას მიმართი აღწერა, ვინადგან მას მიუწერა. თავთა შორისი განწვალება არს, რომ თავთაონად მოძღვრებს. წესი ხუთთა კმანთა წესით დასხმა: პირველად ნათესავისა, მეორედ განყოფილებობა და ეს სახედვე სხვათა შემდგომთათვის და ესე არს წესი, თუ რომლისა კერძოსა მიმართ აღიყვანების; ხედვითისა მიმართ და არა საქმითისა. ხედვითიც სამად განიყოფების: ზუნებათმეტყველებითად...

სქესნი მოძღვრებათანი რომ ოთხნიც სდევენ.

პორფირის შეყვანილობა რომ თქვა, აქ 6 რამ უნდა ვიძიოთ: 1. ადგილით სადაური იყო, 2. მეორედ, გვართ ვინ იყო, 3. ვისი მოწაფე იყო, 4. ვისი თანამოსწავლე იყო, 5. ვის ეამს იყო, 6. პირველ რა იყო, შემდგომად რა იქმნა.

ადგილით იყო ფინიკიელი, გვარი ასორი, მოწაფე [პლოტინ]* ლიკია-პოლონსა, ათინელი პლატონის შემდგომისა და ქრისტეანობის დროისა, და ესე იყო მოძღვარი პორფირისა, თანამოსწავლე იყო დიდის ოროგინესი. პირველ წარმართმან ქრისტეანე ჰყო თავი თვისი და გაწარმართდავე შემდგომად და მრავალნი საწინააღმდეგონი წიგნი აღწერნა ქრისტეანთა მიმართ.

რომ თქვა, პორფირიო, პორფირი არს ზედწოდებითი სახელი, ხოლო ქვედებითი მალქოზ. და ეს უნდა ვცნათ, რომ რასათვის ეწოდა პორფირი: ამის გამო, ვითარმედ ეამსა ქირიმ მეფისათა გამოჩნდა სამოსელი ესე პორფირი, რომელ ითარგმანების ქართულად იისფერი, რომელი ესე არს მეფეთა შემოსად. და ესრეთ გამოჩნდა, ვითარმედ სამწყსო ძოვდა მახლობელად ზღვისა და მოვიდა ძალი პირსა ზღვისასა და იხილა, ლოფოთქინი ძვრებოდა და შეიპყრა და შექამა და აღიესო პირი მისი სისხლითა მისითა. ვითარცა იხილა ძალი იგი მწყემსმან მან, მიიღო მატყლი და მოჰკოცა პირი ძალისა მას და შექმნა გვირგვინი მატყლისა მის და დაიდგა თავსა თვისსა. და ოდეს ვალნ მზესა, რომელთა იხილიან, ჰგონებედ, ვითარმედ მზე არს თავსა ზედა მისსა და ცეცხლებრ ბრწყინავს წვერი მზისა თავსა მისისაგან. და მიიწია საქმე ესე ქირიმისსა და მიავლინა და მოიყვანა მწყემსი იგი და ვითარცა იხილა გვირგვინი იგი, დაუკვირდა ფრიად და მოიყვანნა ყოველნი მღებეარნი და დააკვირნა შეენიერებასა ზედა მისსა. და მერმე გამოვიდნენ, რამთა მოიძიონ

* ხელნაწერი: პლატონ.

ლოფოთქინი და ვითარცა პოვეს, განიხარეს ფრიად და შემზადეს მიერ დღიდ-
გან სამეფო ფერი და მეფენი იმოსებოდეს და სხვანი ვერ ოდეს მიემთხვეო-
დეს იმისგან შეღებულს, თუ არ ჯელმწიფის ბრძანებით.

მაგრამ რადგან პორფირი შკოლის უფროსი იყო, თავისუფლებით ცხოვ-
რობდა და სულ იმით იმოსებოდა, რომ ყოველს ტანისამოსს იმით შეღებოს
ჩაიკეცებდა. და ამა მიზეზისათვის ეწოდა პორფირი, რომ ფილოსოფოსთა მიერ
სახელი სამად განიწვალეების: არსებითად, საქმიოდა და კმითად, და ამას საქ-
მისა მიერ თვისისა ეღვა სახელი ესე, მაშასადამე ზედწოდებითი არს და არა—
ქველებითი.

პორფირისა შეყვანილობა რომ თქვა, რთული კმა არის. სხვა არს შესე-
ლა და სხვა არს შეყვანილობა. შესვლა მარტივი კმა არის, რომ ვინმესად შევი-
დეს. მაგრა შეყვანილობა რთულია, რომ შემყვანებელს აჩენს და შეყვანე-
ბულს და ჩვენ უნდა ვიმეცნოთ, რომ ვინ არის შემყვანებელი და ვინ შეყვა-
ნებელი, ვინ არს წინამსრბოლი და ვინ მღევარი.

პორფირი არის შემყვანებელი და ხრიზაორი არის შეყვანებელი, პორ-
ფირი არის წინამსრბოლი და ხრიზაორე — მღევარი.

ახლა ესეც უნდა ვცნათ, შეყვანილობა რაოდენ გვარად განიწვალეების.
განიწვალეების ნაჩობალად: ნეფსითად და უნებლიეთად. ნეფსითი არს, რომ ჩე-
მისა და შენისა ნებით ჩემს კელლინში შემოხვიდე და უნებლიეთი არს, რომ
აეზაკთა და ჰავთა კაცთა საპყრობილედ შევიყვანთ. აწ ესეც უნდა ვცნათ, რომ
პორფირისაგან ხრიზაორიეს შეყვანა ნეფსითია თუ უნებლიეთი, თუ რით ცხად
არს. ამით ცხად არს, რომ ყოველს ჰავს კაცს უნდა ყოველს კაცის სიაკვაცე და
ყოველს წესიერ კაცს უნდა ყოველს კაცის სიწესე, აგრეთვე ბრძენთა და სხვათ
ყოველთა. მაგრა ძალით არ იქნება. მაშ, თუ ძალით არ იქნება, მაშასადამე
ხრიზაორიეს შეყვანა ნეფსითი არს და არა იძულებითი.

ახლა ესეც უნდა შევიტყუოთ, რომ პორფირი სახელმოდგამი კმაა. ერთი
აღმწერელს ჰქვიან პორფირი და ზედწოდებითია. და მეორედ ამ ხუთს კმას
ჰქვიან პორფირი, რომ თავისი სახელი ამას უწოდა, როდეს ეს ხუთი კმა
შემზადა. ამ აღმწერელს მოჰყავს ვინმე თუ ამ აღწერილს? ცხად არს, ვი-
თარმედ ამ აღმწერელს მიყავს და არა აღწერილს; თუ ვინ მიჰყავს? — ხრიზაო-
რიე; თუ სად მიჰყავს? — არისტოტელის კატილორიაში; თუ რით მიჰყავს? —
ამ ხუთის კმით. მაშასადამე, მას შეუყვანია და არა ამას წიგნსა“.

მართალია, ეს ტექსტი ზოგ ლეგენდარულ გადმოცემასაც შეიცავს, მაგრამ
არსებითად იგი ზუსტ ბიო-ბიბლიოგრაფიულ ცნობებს იძლევა პორფირი ფი-
ლოსოფოსისა და მისი თხზულების შესახებ.

დაწერილია იგი XVIII ს-ის ბოლოსა და XIX ს-ის დასაწყისის მხედ-
რულით, შესაძლოა რომელიმე მესხიშვილის მიერ. ტექსტის ენაც გვიანდ-
ლობაზე მეტყველებს. ეს ტექსტი ორიგინალური შრომა უნდა იყოს. ავტო-
რი, როგორც ჩანს, იცნობდა სულხან-საბას განმარტებას „პორფირი“ სიტყვი-
სა [45]. ამ ცნობებს თანხვედრა აქვს S 399 ხელნაწერის მინაწერთანაც.

ქ უ თ ა ი ს ი ს ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი ს . № 118, XVI—XVII სს. ნუსხური, 250 ფ.;
აღწერილობის მიხედვით ხელნაწერი წარმოადგენს კრებულს. შედგენილობა
ასეთია:

1. იოანე დამასკელი, „დიალექტიკა“.

2. ამონიოს ერემისის „მოსაქსენებელი „ხუთთა კმათადმი“ პორფირი ფი-
ლოსოფოსისათა“.

3. ამონიოს ერმისის „მოსაჯენებელი „ათთა კატილორიათადმი“ არისტოტელისთა“.

ტექსტი ამ ხელნაწერში წყდება იქ, სადაც ძირითად A ნუსხაში.
ქ თ ა ი ს ი ს ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი № 401, XVI—XVII, 245 ფ.

ხელნაწერი შეიცავს ამონიოსის ორივე ნაწარმოებს. ხელნაწერი თავბოლო ნაკლულია.

თ ა ვ ი ი

ქ ა რ თ უ ლ ი თ ა რ ბ მ ა ნ ი ს მ ი მ ა რ თ ე ბ ა
ბ ე რ ძ ნ უ ლ ო რ ი ბ ი ნ ა ლ თ ა ნ

ამონიოს ერმისის თხზულებათა ბერძნული ტექსტები რამდენჯერმე არის გამოცემული. უკანასკნელი გამოცემა ეკუთვნის ადოლფ ბუსეს. ორივე ძეგლი დაბეჭდილია სერიაში *Commentaria in Aristotelem graeca*.

პირველი ნაწარმოები, „მოსაჯენებელი „ხუთთა კმათადმი“ პორფირი ფილოსოფოსისათა“, გამოქვეყნებულია 1891 წ. გამოცემას ეწოდება: *Ammonii in Porphyrii Isagogen, sive V voces, ed. A. Busse, Berlin, 1891 [Commentaria in Aristotelem graeca, v. IV, p. III]*. მეორე ნაწარმოებიც გამოცემულია იმავე სერიაში, 1895 წ.: *Ammonius in Aristotelis Categorias Commentarium, ed. A. Busse, Berolini, 1895 [CAG, v. IV, p. IV]*.

ა. ბუსეს გამოცემას წინ უძღოდა რამდენიმე პუბლიკაცია: *Ammonius Hermiou, De fato, ed. C. I. Orellius, Turici, 1824. Scholia in Aristotelem, 4, ed. Brandis, Berolini, 1836**.

თავისი გამოცემის შესავალში [153, VIII—XLVI] ა. ბუსე განიხილავს ამონიოსის თხზულებათა შემცველ ხელნაწერებს. ორმოციოდე ხელნაწერიდან ტექსტის დასადგენად მას შეურჩევია ხუთი. ამ ხელნაწერთა ლიტერებია:

D—Laurentianus 10, 26, XIII ს-სა.

E—Marcianus 225, XIV ს-სა.

F—Parisianus 1942.

M—Monacensis 222.

V—Vindobonensis 139.

სამი ბოლო ხელნაწერის თარიღი გამომცემლის მიერ აღნიშნული არ არის, მაგრამ საფიქრებელია, რომ ისინი საკმაოდ ადრინდელი ნუსხებია. გამომცემლის სიტყვებით, ყველა ეს ხელნაწერი წარმოშობით ერთ ოჯახს ქმნის [153, VIII].

გამომცემელი გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს. EF ნუსხებს. M და V ნუსხები მოკლეა.

შესავალში [153, I—VIII] გამომცემელი აღნიშნავს, რომ ამონიოსის შრომები საკმაოდ შეუცვლიათ შემდგომი დროის გადამწერებს. სხვადასხვა.

* უფრო ადრეული გამოცემების შესახებ იხ. ა. ბუსეს ნაშრომი, გვ. X—XI.

ინტერპოლატორ-სქოლიასტების მიერ ეს წიგნი საკმაოდ დაზიანდა, რადგან შერყვნილია არცოდნისა თუ წინასწარგანზრახვის შედეგად. ამან განაპირობა, ა. ბუსეს აზრით, ის, რომ ამონიოსის შრომათა პირველი გამოცემა, რომელსაც იგი P-თი აღნიშნავს, საესეა საექვო დამატება-გადმოცემებით, რომელთაგან ზოგი სქოლიოებზეა გატანილი, ზოგი კი შიგ ტექსტშია ჩართული. ეს დამატებანი უმეტესწილად გადმოტანილია დავით ფილოსოფოსის კომენტარებიდან.

ა. ბუსე თავის გამოცემაში ითვალისწინებს ამ საექვო დამატებებს. მისი სიტყვით, მან მოახდინა ამონიოსის ორიგინალური შრომის, მისი კომენტარების, ფიქსაცია.

იმ ვრცელ წინასიტყვაობაში, რომელიც უსწრებს კომენტარებს, გამომკემელი სხვადასხვა დამოუკიდებელ წინასიტყვას გამოჰყოფს:

პირველია: Ἐμῶμιν -οἰσιν τὴ ἐστὶ φιλοσοφία καὶ ποῖα αὐτῆς τὰ μέρη... τοσαῦτα μὲν κοινὰς ἴσιν, φιλοσοφίας εἰρήσθη. ἰδὲ δὲ περὶ τὸν προαξιμῆσθον β:βλίου λέγομεν ταῦτα CA₁ 16,17—

„ვისწავით უკუე, თუ რაა არს ფილოსოფოსობა და რომელნი კერძონი მისნი... ესოდენნი უკუე ითქუნეს საზოგადოდ ფილოსოფოსობისათს, ხოლო თსაგან წინამდებარისა წიგნისათს ვიტყოდით ამთ“ 16,36—17,1.

მეორეა: Εἰς πῶτα μὲν οὐ καὶ τὴνα διαρῆται τῆς φιλοσοφίας ἕχατος μέρος καὶ τὴ ἐχει ἀποτέλεσμα, εἰρηται CA₁ 21,5—

„რაოდენად ვიდრემე უკუე და რაებად განიწვალების ფილოსოფოსობისა თითოეული კერძო და რაა აქუს შესრულება, თქუმულ არს“ 20, 26.

პირველ წინასიტყვაში საუბარია ზოგადად ფილოსოფიის რაობასა და განსაზღვრებებზე, ხოლო მეორე ეხება საკუთრივ პორფირის ნაწარმოების გარშემო საძიებელ საკითხებს.

მეორე წინასიტყვა, ა. ბუსეს თვალსაზრისით, შეიძლება არ იყოს ამონიოსის თხზულების ორგანული ნაწილი. იგი ელიასის, ან დავითის კომენტარებიდან უნდა იყოს აღებული.

მართლაც, ერთგვარი ტექსტობრივი შეუთავსებლობაა პირველი წინასიტყვიდან მეორეზე გადასვლისას: პირველი წინასიტყვა ჯამდება ფილოსოფიის შესახებ ზოგადი მსჯელობით და ავტორი კონკრეტულ წიგნზე გადასვლას გვთავაზობს. ამის შემდეგ ხელახლა იწყება ზოგადად ფილოსოფიაზე საუბარი:

„თქუმულ არს, ვითარმედ ფილოსოფოსობა არს მეცნიერება ყოველთა მყოფთა“ 17,3. წინასიტყვის ბოლოს ისევ დასკვნითი ხასიათის ფრაზაა: „რაოდენად ვიდრემე უკუე და რაებად განიწვალების ფილოსოფოსობისა თითოეული კერძო“ 20, 26.

ამჟარა, რომ აზრის ლოგიკური თანმიმდევრობა არაა დაკული. ამდენად, აქ რაღაც ინტერპოლაციასთან გვაქვს საქმე.

ერთგან წინასიტყვაობაში ლაპარაკია იმაზე, თუ რამდენ ნაწილად იყოფა ფილოსოფია: „განიწვალების, ვითარცა ზემოგამოჩინებულ არს, ვიეთებრმე უკუე ორად, ხოლო სხუათებრ სამად“ 11, 16.

მაგრამ წინა გვერდებზე ამის მსგავსი რამ არ ყოფილა გამოჩინებული: ორად ან სამად დაყოფაზე არაფერია თქმული. ეს აღვილი (11, 16—12, 5) ინტერპოლატორთა ჩართულად არის აღიარებული (CA₁ 101, სქოლიო).

ამას ადასტურებს მომდევნო ტექსტიც, სადაც წერია: „ხოლო განიწვა-

ლების უკუე ფილოსოფოსობაა, ვითარცა ეგერა თქუმულ არს, მხედველობითისა მიმართ და საქმიანთა. ხოლო ღირს ძიებისა არს, რაასათეს ორად და რაასათეს ამათდა მიმართ განიწვალების და არცა უმრავლესთამი, არცა უმცირესთა“ 12, 5.

აქ ფილოსოფიის ორად დაყოფაზეა საუბარი, ხოლო წინა ტექსტში, რომელიც ჩართულად არის გამოცხადებული, ფილოსოფია სამად იყოფოდა: მხედველობითად, მოქმედებითად და სიტყუერებითად. ამ ორ ადგილას აშკარა წინააღმდეგობაა. სიტყუერებითს ანუ ლოგიკას ამონიოს ერმისი ფილოსოფიის ნაწილად არ მიიჩნევს, როგორც ეს ჩანს შემდგომ, კომენტარებიდან. ამდენად აშკარაა, რომ ეს ადგილი სხვა სქოლიასტის მიერ არის ჩართული ტექსტში.

ა. ბუსეს გამოცემის კრიტიკულ აპარატში ყველგან მითითებულთა ის წაკითხვები, რომლებიც მსგავსებას ავლენენ სხვა ალექსანდრიელ კომენტატორთა ტექსტებთან. გამოცემაში აღნიშნულია ის ადგილები ტექსტისა, რომლებიც, გამომცემლის ვარაუდით, ინტერპოლატორ-სქოლიასტთა ჩანამატებს წარმოადგენენ.

რა მიმართებაშია ქართული თარგმანი ბერძნულ ორიგინალთან, როგორია ქართული თარგმანის ხასიათი?

პირველი, რაც ქართველ მკითხველს თვალში ხვდება, არის ის სქოლიოები, რომლებიც ამონიოსის კომენტარებს ახლავს აშაზე: „რაა განსაზღვრებაა“, „თუ სადაათ განსაზღვრებაა“ და ა. შ. გამომცემლის შენიშვნით, ეს მინაწერები ჰქონია Monacensis 222 ხელნაწერს (მიუნხენის ხელნაწერი). მინაწერები ეკუთვნის პატრიარქ ფოტის. პატრიარქ ფოტის მინაწერების არსებობა ნიშნავს, რომ ეს ხელნაწერი საკმაოდ ადრინდელია. ქართულ თარგმანში ასახულია ადრინდელ ხელნაწერთა წაკითხვები.

თარგმანის ბერძნულ ორიგინალთან შედარებათ გაირკვა, რომ ქართული თარგმანი ზუსტად არ მისდევს გამოცემის არცერთ ნუსხას. ქართულ თარგმანში ზოგან მეტია ტექსტი ბერძნულთან შედარებით, ზოგან — ნაკლები, ზოგან კი აზრობრივად სხვანაირი წაკითხვები გვაქვს. ირკვევა, რომ ქართულ თარგმანს ბერძნული ორიგინალის შევსებისა და შესწორებისათვის მიუცილებელი საკონტროლო მნიშვნელობა აქვს.

ქართული თარგმანის დამახასიათებელი თავისებურებები, რითაც ის განსხვავდება ბერძნული ორიგინალისაგან, სხვადასხვა ხასიათისაა.

გამოიყოფა თანსხვავებულ წაკითხვათა ასეთი ტიპები:

1) ქართულ თარგმანში ბერძნული დედნიისაგან აზრობრივად; შინაარსობრივად განსხვავებული წაკითხვებია.

განსხვავება არ არის გაპირობებული ტექსტის არც მეტობითა და არც ნაკლებობით.

უპირველესად განსხვავებულია სათაურები. ქართულში პირველ ნაწარმოებს ეწოდება: „მოსაქსნებელი „ხუთთა კმათადმი“ პორფირი ფილოსოფოსისათა“. ქართული სათაური არ ემთხვევა არცერთ ბერძნულ ნუსხას. ყველაზე მეტად იგი ახლოსაა ბერძნულის EP ნუსხებთან, რომლებშიც ასეთი სათაურია: „Πρόλογος ἐς τὸν πέντε φασὶν ἄπο φασίη Ἀμμανίου τοῦ μισοῦν τὸν Ἐρασίμου CA₁ 1,1. სხვაობა იმაშია, რომ ბერძნულშია: ἄπο φασίη Ἀμμανίου, ხოლო ქართულშია: „უფროსად ბრძნისა“. Ἀπο φασίη, როგორც აღვნიშნეთ, ბერძნული ლიტერატურული ტრადიციის გამოძახილია. ეს სიტყვები მიუთითებს, რომ ნაწარმოები არა

უშუალოდ ავტორის, არამედ მისი მოწაფეების ან შემდგომი დროის მოღვაწეების მიერ არის გადმოცემული [206, 191].

ქართულ თარგმანში, ამისგან განსხვავებით, იკითხება „უფროსად ბრძინსა“. საიდან გაჩნდა ეს წაკითხვა, ვერას ვიტყვით. ამასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ ჩანს ის ფაქტი, რომ მსგავსი სათაური სხვა თარგმნილ ძეგლშიც დადასტურდა. ეს არის სომხურიდან XVIII ს. თარგმნილი არისტოტელეს „პერი ერმენეიას“ კომენტარები დავით უძლეველისა, რომლის სახელწოდებაა „დასაბამი და წინადადება წიგნთა, რომელი ითქმის ელინთამებრ პერიარმენეიას, ხოლო ქართველთამებრ განმარტებისათვის, წარმოღებული უფროსად ბრძინსა არისტოტელისა მიერ, თარგმანებული და განმარტებული დავითის მიერ არმანთა ფილასოფოსისა“ (S 2563,4r). ამ ძეგლში არისტოტელე მოხსენებულია, როგორც „უფროსად ბრძინი“. როგორც ჩანს, ეს ფორმულა ქართული სამწერლობო ტრადიციის ნაყოფია. იგი გამორჩეული ხობის გამოხატველი უნდა იყოს.

მეორე თხზულების სათაურია: Πρωτεύμενα τῶν δέχα κατηχηρῶν ἀπὸ Φασηῶν ἁμῶν φιλῶντων.

ბერძნულის F ნუსხას არ ჰქონია ἀπὸ Φασηῶν [154, 1]. ქართულში სათაურია: „ამონიუ ერმისისა მოსაქსენებელი „ათთა კატილორიათადმი“ არისტოტელისთა“. ქართულ თარგმანში მეტია „არისტოტელისთა“.

რამდენიმე ნიმუში ქართული თარგმანის სხვაობებისა. ბერძნულ ტექსტში ერთგან კალიმაქეს ლექსია:

Ἐἴπας, ἦλθε, χαιρε Κλεόμπετος ἁμῶν
 ἦλατ' ἀφ' ὑψηλῶν τειχεῶν εἰς Αἶθρη
 ἀξίον οὐδὲν ἰδῶν θιναίου κακόν, ἀλλὰ Πλάτωνος
 ἔν τῷ περὶ ψυχῆς γράμμ' ἀναλεξόμενος CA₁ 1,4.

ქართულ თარგმანში გვაქვს:

არქუ: მზეო, ძნობლი! — კლეომეროტ ამერაკელმან,
 შთაქრილმან მალთო ზღუდით ჟოჯოხეთადმი,
 არაარს ძვრსა სიყვდილის ღირსსა მენებმან,
 ვანს ერთს პლატონის წიგნს მკურტემან „სულის ძლითსა“ 6,19.

ქართულში ორი განსხვავება იქცევს ყურადღებას: „ძნობლი“ და „მენებმან“ სიტყვები.

„ძნობლი“ შესატყვისება χαιρε-ს. ამ სიტყვას ბერძნულში ორი მნიშვნელობა აქვს: 1) გახარება, აღტაცება, 2) სალამი მისალმებისას ან გამოთხოვებისას. მოხმობილ კონტექსტში ეს უკანასკნელი მნიშვნელობაა გააზრებული. სასიკვდილოდ გამზადებული ქაბუცი ეთხოვება მზეს: მშვიდობით, მზეო!

„ძნობლი“ სიტყვის მნიშვნელობები გარკვეული აქვს ილ. აბულაძეს [3, 31]. საფიქრებელია, რომ „ძნობლი“ სიტყვას ჩვენს ტექსტში აქვს სხვა მნიშვნელობა; კერძოდ იგი ნიშნავს გამოთხოვებას, გამოსალმებას: იხარე, იცოცხლე, მზეო!

მეორე განსხვავებას წარმოადგენს „მენებმან“, რომლის შესატყვისად ბერძნულშია ἰδῶν. ἰδῶν არის ვიძა-ს მიმელობური ფორმა და ნიშნავს მცოდნეს, გამგებს. ქართულის „მენები“ სხვა რამეს ნიშნავს. როგორც ირკვევა, ეს განსხვავება ქართველ მთარგმნელს არ ეკუთვნის. „მენების“ შესატყვისი ბერძნული სიტყვა πᾶσιν

ჰქონია დიონისე თრაკიელის სქოლიოს. ყოფილა იგი დავით უძლეველისა და ელიასის კომენტარებშიც [171, 14, 6; 174, 31—32]. ეს საყურადღებო ფაქტია. როგორც ჩანს, ამონიოსის ტექსტის თარგმნისას ქართველი მთარგმნელი რაღაც დამატებითი წყაროთი სარგებლობდა, ამჯერად დანამდვილებით ძნელია იმის თქმა, თუ რომელი წყაროთი, მაგრამ უეჭველია, რომ მას ბერძნული გამოცემის ნუსხებისაგან განსხვავებული ტექსტი გამოუყენებია.

სხვა ტექსტობრივი განსხვავებანი ასეთია:

ἡ ἐξέρου μοῖρα — ანუ ფერჯისაჲთა 16, 28.

ταῦν ἄνω — ყოველთაგანი 20, 19.

ἡ αὐτ' ἀντ' ἄνω — თვითად მყოფი 21, 17

λοιγὸν — ნათესავი 29, 1.

Πορφύριος — ფილოსოფოსი 43, 13.

ἄρα μᾶλλον — კმათაჲ 84, 14

τὸ πῦρ — კმელისაჲ 122, 2

ἡ πρὸς αὐτὸν — უპირველესი 59, 3.

ἡ φωνή — ბუნებაჲ 105, 16.

ἡ ζωὴ — ძალი 102, 21.

πάντα — განაღა 167, 21.

σχεδόν — კნინღა 21, 33.

განსხვავება დასტურდება იმაშიც, რომ ზოგჯერ პორფირის განსამარტავი ტექსტი, რომელიც ცალკეა წარმოდგენილი ბერძნულ ორიგინალში, ქართულში სათაურად გამოყოფილი არაა და შიგ ტექსტშია ჩართული. იხ. 65, 25, შდრ. CA₁ 85,5; 67,12, შდრ. CA₁ 87,17 და ა. შ. გვაქვს პირუტყუ შემთხვევებიც: პორფირის განსამარტავი ფრაზა, როგორც სათაური, სინგურით გამოყოფილია ქართულში, ბერძნულში კი ტექსტშია ჩართული. იხ. 76,17, შდრ. CA₁ 100,1.

2) ქართულ თარგმანში ზოგჯერ მეტია სიტყვა, ან წინადადება. მაგ.: ἄριστον — ტანის ასო“ 32,6. ამ ადგილას თარგმანში მეტია სიტყვა „ტანი“, ვინაიდან იმავე წინადადებაში „ასო“ სხვა მნიშვნელობითაც არის ნახმარი, კერძოდ, στοιχείον-ის შესატყვისად.

σὺ δὲ πῦρ — „საყურისა და ტინმბანათანი“ 14, 18. ქართულში მეტია „ტინმბანათანი.“

ὁ ἀριστὸς ἔφ' ἄστυν στοιχείων — „რიცხვ თავით თვისით განჭურეტილი, არითმეტიკი“ 15, 15. განმარტების სახით ჩართულია სიტყვა „არითმეტიკი“.

წინასიტყვაობაში არის ჰიეროკლეს ლექსი, რომელიც თარგმანში ასე იკითხება:

„ნუა ძილი მოგამედგრებს თუალთა ზედა შეწყნარებად

პირველ მდღევრთა საქმეთა სამთა თითოეულად განხილვითა:

ვითარმედ რასა გარდაეპქედ, რაჲ ეიწადე, რაჲ ჩემდა საჭიროა, არ სრულ ვყავ.

და დამწყებელი პირველისგან განსმტრობდ მათ თითოეულად.

პოლწთა ვიდრემე მისდერე უფრომსლა, ხოლო ტკბილთა ზედა იშუებდ,

არ შეუტკივრე რათმე მოწევნადთა მოლოდებისაჲ“ 16,12.

თარგმანი სიტყვასიტყვით მისდევს ბერძნულს, მაგრამ განსხვავება ჩნდება ლექსის ბოლოს. ქართულში ბერძნულ დედანთან შედარებით მეტია ბოლო ტაეპი: „არ შეუტკივრე რათმე მოწევნადთა მოლოდებისაჲ“. ეს ტაეპი, რო-

გორც ა. ბუსეს გამოცემაზე დართული აპარატიდან ჩანს, არცერთ ბერძნულ ნუსხას არ ჰქონია. ამდენად, ქართული თარგმანის წაკითხვა საყურადღებოა. ან იმ ბერძნულ ნუსხაში იყო ეს ტაეპი, რომელსაც ქართველი მთარგმნელი თარგმნიდა, ან იგი რაღაც დამატებითი წყაროთი სარგებლობდა.

ქართულ თარგმანში მეტია ფრაზა, რომელშიც მხედველობითი ფილოსოფიის დაყოფაზეა საუბარი. მართალია, ამ დაყოფაზე შემდეგ საგანგებოდ არის ნათქვამი [153,11,12], მაგრამ ზემოთ აღნიშნულ ადგილას იგი არცერთ ბერძნულ ხელნაწერში არ იკითხება. ეს ფრაზაა: „განწვალუბენ“... მხედველობითა — ღმრთისმეტყულებითად, სწავლულებითად და ბუნებათმეტყულებითად“ 11,18. შდრ. CA₁ 10,13.

ერთგან ჩამოთვლილია მსჯელობის სახეები. ბერძნულ ორიგინალში [153, 43,5] დასახელებულია ხუთი სახეობა: ἀποφασιζόν (მტკიცებითი), εὐαξιζόν (ნატვრითი), ἄληθειζόν (წოდებითი), ἀποστασιζόν (ბრძანებითი), πυσμασιζόν (კითხვითი). თარგმანში შემდეგ სახეობანია: „განჩენისად, ლოცვითი, მბრძანებლობითი, სტეკობითი და სხუანიცა არიან“ 36, 20.

განჩენისად შესატყვისია ἀποφασιζόν-ისა

ლოცვითი — εὐαξιζόν

მბრძანებლობითი — ἀποστασιζόν

ქართულ თარგმანს, V ბერძნული ნუსხის მსგავსად, ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებით აკლია ἄληθειζόν და πυσμασιζόν. სამაგიეროდ ქართულში მეტია „სტეკობითი“. ეს სიტყვა ნაწარმოებია: სომხური *ստեգ* ძირიდან, რომლის მნიშვნელობაა „პაექრობა“, „ღვა“ . შესაძლებელია, რომ „სტეკობითი“ ნახმარია πυσμασιζόν სიტყვის შესატყვისად. სტეკობითი, ანუ პაექრობითი მსჯელობის ისეთი სახეობაა, რომელიც კითხვა-მიგებას შეიცავს. ყოველი პაექრობა დიალოგს წარმოადგენს, სადაც კეშმარიტება უნდა დადგინდეს კითხვა-მიგების გზით. სტეკობითი რომ მსჯელობის ისეთი სახეობაა, რომელშიც კეშმარიტების დადგენა კითხვითა და პასუხით მიიღწევა, ამას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ ქართულში C ნუსხის გადამწერ-რედაქტორი ამ სიტყვას ამაზე უკეთებს შენიშვნას: „აღსარებასა უნდა ერქვას სტეკობა“. ამ სიტყვების ავტორისთვის სტეკობა ნიშნავს აღსარებას ანუ კეშმარიტების აღიარებას.

ქართულ თარგმანში სომხური სიტყვის არსებობამ, ბუნებრივია, დავით უძლევლის შრომითა სომხური თარგმანებისკენ მიგვახედა (დავით უძლევლის ნაწარმოებები ქართულად სომხურიდან არის თარგმნილი). „ანალიტიკის“ კომენტარებში დავით უძლეველი მსჯელობის შემდეგ სახეებს ასახელებს: *აպყავიუცასკან* (მტკიცებითი) *თრამარანასკან* (დიალექტიკური), *ნარითასანასკან* (რიტორული), *ქამათასკან* (სოფისტიკური), *გერქიოასკან* (პოეტური) [146, 40].

როგორც ვხედავთ, ამათ შორის „სტეკობითი“ არაა დასახელებული. იმ მნიშვნელობით, რაც „სტეკობითს“ აქვს, დავით უძლეველი იყენებს *თრამარანასკან* ტერმინს.

განვიხილოთ სხვა შემთხვევები ქართული თარგმანისა და ბერძნული ორიგინალის განსხვავებებისა.

ამონიოსის პირველი ნაწარმოების მეორე ნაწილის სათაური ქართულში განსხვავებულია ბერძნულისაგან. ქართულშია: „ზიარებისათვის და განყოფილებსა ხუთთა კმათასა“ 87,28. არცერთ ბერძნულ ხელნაწერში „განყოფილებას“ შესატყვისი არ გააჩნია.

პერაკლიტეს გამოხატულება: „მასვე მდინარესა შინა არა არს ორგზის შესლვაჲ წყალსა“ 97,8. „მასვე წყალსას“ შესატყვისად ბერძნულშია:... *κατα τον αυτον τριπυο* CA₂ 3,1.

მახვილის სახეობათა შორის ქართულში დასახელებულია „ფასლანონ“ 108,36. ბერძნულში ეს სიტყვა არაა, შდრ. CA₂ 76,6.

მეორე „მოასჯენებელში“, განსხვავებით პირველისაგან, შეინიშნება შემდეგი ფაქტი: განსამარტავი ტექსტი ქართულში ყველა შემთხვევაში უფრო ვრცელია, ვიდრე ბერძნულ ორიგინალში. ეს ადგილები რომ ამოგვიჩფოთ, ხელთ გვექნება არისტოტელეს „კატეგორიების“ საკმაოდ ვრცელი ქართული თარგმანი.

ამასთან დაკავშირებით ორი შესაძლებლობა უნდა დავუშვათ:

ა) ქართველი მთარგმნელი სარგებლობს ისეთი ბერძნული ნუსხით, რომელშიც განსამარტავი ადგილები ასევე ვრცლად იყო წარმოდგენილი.

ბ) ქართველი მთარგმნელი თვითონ თარგმნის არისტოტელეს „კატეგორიებს“ და ადგილები უფრო ვრცლად მოაქვს, ვიდრე ბერძნულ ორიგინალშია.

ერთგან ბერძნულში წერია: *τηχηθ διαστατον εασι και παντη μεριστον* CA₁ 18, 21. ლაპარაკია მატერიალურ სხეულებზე, რომლებიც სამად არიან განფენილი (ე. ი. სამი განზომილება აქვთ) და დაკონკრეტებული. ასეთი განმარტების ნაცვლად ქართულში იკითხება: „კერძო განფენილ არს და ყოვლითურთ განუშორებელ“ 18, 28. სამად განფენილობის ნაცვლად გვაქვს „კერძო განფენილი“ და *μεριστον* (განკერძობულის)-ის ნაცვლად არის „განუშორებელ“. ქართულის „განუშორებელ“, ჩვეულებრივ, უდრის *εχωριστον*-ს. ბერძნულ ნუსხებში სხვადასხვა ტერმინებია: *μεριστον* DVP; *εμεριστον* E; *χωριστον* M:

ერთგან განსამარტავი ფრაზა სრულიად სხვაა ქართულ თარგმანში, ვიდრე ბერძნულში. იხ. 124, 31; შდრ. CA₂ 35,3; 174; 29, შდრ. CA₂ 87, 10.

ქართული თარგმანისთვის დამახასიათებელი ტექსტობრივი მეტობა ზოგჯერ მთარგმნელის სტილით ჩანს გაპირობებული. ქართველი მთარგმნელი აზრის გასაძლიერებლად სინონიმებს მიმართავს:

αυτολαμφανιστοι CA₂ 3,7 — ენადგმებიან და ეთანმდგომებიან 97, 16.

οιχεεθερου CA₂ 43,13 — უსაკუთრესი, უთკსესი 132, 21.

χαρταυ CA₂ 75,2 — სახე, სახელუება 163, 24.

ქართული თარგმანის მეტობას აშკარად განმარტების ხასიათი აქვს: „ეპიფანიასა ზედა, რომელ არს ზედსაჩინოა“ 149,31. „რომელ არს ზედსაჩინოა“ არ არის ბერძნულში CA₂ 60,29.

უფრო მნიშვნელოვანია ისეთი შემთხვევები, როცა ქართულში მეტია დიდი მოცულობის ტექსტი. იხ. 145,2—6; შდრ. CA₂ 55,13 სქოლიო. 151, 10—20; შდრ. CA₂ 61,7.

3) ქართულ თარგმანს აკლია ბერძნულ დედანთან შედარებით.

ზოგჯერ ნაკლებობა მექანიკური ხასიათისაა: გამოტოვებულია სიტყვა ან მთელი ფრაზა ორ ერთსა და იმავე სიტყვას შორის. მაგ: *βλῖσῖ και βλῖσῖ λῖχῖται* CA₁ 78, 7—„და სხუად ითქუმიან“ 61,2. ამის შემდეგ ქართულ თარგმანს აკლია ტექსტი სამი სტრიქონის რაოდენობით, რომლის ბოლო სიტყვები არის ისევე *βλῖσῖ και βλῖσῖ*. ცხადია, თარგმანში მექანიკურად გამოტოვებულია ტექსტი ორ *βλῖσῖ και βλῖσῖ*-ს შორის.

ასევე გამოტოვებულია ტექსტი ორ ἔκω-ს შორის CA₁ 56, 6 სკოლიო. ასევე 78, 18; შდრ. CA₁ 102, 13.

მექანიკურ ნაკლებობათა გარდა ქართულ თარგმანში არის ისეთი ნაკლებობანი, რომელნიც შეიძლება მთარგმნელს მივაწეროთ. აზრის სისწორე ხშირად დაკუთლია, მაგრამ ზოგჯერ იმის გამო, რომ თარგმანს აკლია, ამა თუ იმ ადგილის გავება ძნელდება. მაგ.: βαιρειται... ἔδ μεν σινεχῆς εἰς τὴν ἑν ἰουδαίῳ καὶ ἑν ἀνιουθῶν CA₁ 14, 4—„განიყოფების... შერწყმული უკუე მოძრავად“... 14, 35. ქართულს აკლია ἀνιουθῶν. აზრის სისწორისთვის კი იგი აუცილებელია. πᾶσα ἀνιουθῶν ἔδ καὶ ἰουδαίῳ ἑν ἑνὸς ἑδ πῶν CA₁ 19, 25—„ყოველინი აღიყვანეს ზოგადისა ნათესაისა ქუეშე...“ 19, 18. ქართულში აკლია ἑδ πῶν-ის შესატყვისი სიტყვა; ἑδ πῶν-ის მიჯნა ἑδ πῶν-ის შესატყვისი სიტყვა.

ქართულ თარგმანში შემოკლებანი ხშირად ისეთი ხასიათისაა, რომ აზრის თანმიმდევრობა და სისწორე დაკუთლია. ასე მაგალითად: „განწვალებისათეს სიტყვისმყოფელსა უკმს პირველად თქუამა, თუ რომელი არს ამით თითოელთაგანი. არს ვიდრემე უკუე პირველისაებრ კელ-ყოფისა. განკუეთაა საქმისა...“ 11, 3. მეორე წინადადებაში აკლია ქვემდებარე „განწვალება“, შდრ. βαιρειται CA₁ 9, 29. მაგრამ აზრი არ არღვევა, ვინაიდან წინა წინადადებაში არის ნათქვამი, რომ განწვალებაზე ვიწყებთ სიტყვისა.

მთარგმნელის მიერ შეგნებულად შემოკლებულია ადგილები: 23, 10; შდრ. CA₁ 24, 11—15. 26, 10; შდრ. CA₁ 28, 13—15. შემოკლებისას მთარგმნელი მომდენურ ტექსტის წინასთან ლოგიკური თანმიმდევრობის შესანარჩუნებლად ამტობს ფრაზას: „ხოლო უკუეთუ ესე არა არს“. შეგნებული შემოკლების ნიმუშია ისეთი მაგალითი, როცა ორი ბერძნული წინადადების აზრს მთარგმნელი ერთი წინადადებით გადმოსცემს, მსჯელობა მოკლედ არის გადმოცემული. ἑδ ἑν ἰουδαίῳ ἑν ἑνὸς ἑδ πῶν ἑδ πῶν CA₁ 29, 21 — „ხოლო შემთხვევითსა არსებისა შორის აქუს ყოფა“ 27, 9. იხ. აგრეთვე 62, 10; შდრ. CA₁ 80, 5—7.

შემოკლების ნიმუშებია ისეთი შემთხვევებიც, როცა ბერძნულ დედანში რაიმე დებულების საილუსტრაციოდ რამდენიმე მაგალითია დასახელებული, ხოლო ქართულ თარგმანში რომელიმე გამოტოვებულია. მაგ.: περὶ τῆς ἀποστόλων καὶ τῶν ἀποστόλων καὶ τῶν ἀποστόλων CA₁ 48, 25—„ძალისათეს სწავლად მნებამან თქუას: „ძალი სიტყვითა პყოფს“ 40, 23. ქართულს აკლია βαιρειται ἑδ πῶν ἑδ πῶν.

ზოგან თარგმანში ნაკლებობა იმით არის გამოწვეული, რომ ქართველი მთარგმნელი ითვალისწინებს წინა ტექსტის აზრს. მაგ.: ერთგან (107, 20—39) არისტოტელეს შრომათა შორის დახასიათებული არაა „მეორე ანალიტიკა“, ვინაიდან უფრო ადრე ტექსტში დახასიათებული იყო „კატეგორიები“, „პერი ერმენიას“, ხოლო „მეორე ანალიტიკაზე“ არაფერი იყო ნათქვამი. შდრ. CA₂ 15, 12.

შემოკლებანი ზოგან ქართველი მთარგმნელის მსოფლმხედველობით ჩანს გაპირობებული. ერთ ადგილას ბერძნულ დედანში მსჯელობა იმაზე, რომ სული თვთომძრავია და უკვდავია: ἡ ψυχή αἰσθητικὴ, ἑδ αἰσθητικὴν ἀνιουθῶν, ἑδ ἀνιουθῶν ἀνιουθῶν, ἑδ ἀνιουθῶν ἀνιουθῶν, ἑδ ψυχή ἀνιουθῶν CA₁ 35, 21.

თარგმანში ეს ვრცელი მსჯელობა საერთოდ არ არის. იქ წერია: „სული

თვთმობრავ [არს]“ 31,15. რატომ აკლია თარგმანს ის ადგილი, რომელიც ყველა ბერძნულ ხელნაწერს ჰქონია? გავიხსენოთ, რომ სულთა გადასახლებებისა და უკვდავების პლატონისეული გაგება, რომელსაც ორიგენიც იზიარებდა, ძალზე მნიშვნელოვანი საღისეუსიო საკითხი იყო ქრისტიანული ეკლესიის მოღვაწეთათვის. როგორც ჩანს, ამონიოსის ტექსტების ქართველი მთარგმნელიც არ იზიარებს სულთა მუდმივი გადასახლებისა და უკვდავების იდეას და ამიტომაც გამოტოვა ეს ადგილი.

4) ბერძნულ ორიგინალთან შედარებამ გამოავლინა ის, რომ ქართული თარგმანი ზუსტად არ მისდევს ერთ რომელიმე ბერძნულ ნუსხას. იგი ხან ბერძნულის D ნუსხას იმეორებს, ხან E-ს, ხან კი MV ნუსხებს.

შესადარებლად მოვიტანთ ცხრილებს, სადაც ნაჩვენებია ქართული თარგმანისა და ბერძნული ნუსხების შესატყვისობანი. ბერძნულ ნუსხათაგან პირველად მითითებულია ის ნუსხა, რომელსაც იმეორებს ქართული თარგმანი.

ხოლო პლატონ ესრეთ განასაზღვრებს 5,3
მძრველი 6,8
და განმასაზღვრებელისა 8,11

ქუემდებარისაგან 8,11

ჰქონან ორნი განფენანი 9,4
უსაფუძველო 9,33
სადა 10,1

შემოიღებენ 10,2
მეტყუელი 10,26
მეცნიერებაა 10,36
სიტყვერებითი 11, 19
ვიხილოთ 11, 19
დავისწავლით სახესა მის მომრგულებულისასა 12, 40

ყოველითურთ განუშორებელ 18, 39

—
—

განყოფილ 27, 16

—
—

არისტოტელი 47, 24

ὁ θεὸς Πλάτων οὕτως ἔρριζεται DEp.
τινὲς δὲ ἔρριζονται οὕτως MV.
κινῶν EM: κινῶν (ყველგან)
καὶ οὐ προσδιορίζονται EMVp:
οὐ προσδιορίζονται ძირითადი

ἐκ τῶν ὑποκειμένων (ყველგან): τῶν ὑποκειμένων V.

ἔχει δὴ διαστάσεις DEMVP:—V
ἐπιπολῆ E: ἐπι τὸ πῶς FMVD
πῶς τὲ EM: πότε ძირითადი და DF
პნ; καὶ πῶς πότε p
κοιμῶσι DE: νομῶσι MV.
λέγων (ყველგან): — V
γινῶν D: φῶν EM
λογικόν EMp: θεολογικόν D
εἰσόμεθα EMp: ἐπισκεψόμεθα D
ἀνεμαξάμεθα αὐτοῦ τῶν κινήσων τὸ εἶδος E: ἀναμαξάμεθα αὐτῶν τῶν κινήσων τὸ εἶδος ἐν τῇ διασείσει ძირითადი და Dp

παντελῶς ἀμέριστον E: πάντη μεριστόν DVp: παντελῶς χωριστόν M
— EMV: ἢ λευκοτῆς p:
— EV: καὶ Ταύρα ძირითადი.

ἀντιδιηρημένα p: ἀντιδιδόμενα (ყველა)
— EMVp Ἐπιφάνειος ძირითადი:
τῶν λόγων DMV: ὑποκειμένου E,
ძირითადი
Ἀριστοτέλης EFV: Πορφύριος Dp,
ძირითადი

—
 იცნობებიან 53, 26
 ჯორცნი 63, 13
 ზღვსაჲ 65, 3
 სახეთსა 66, 22
 ცხოვლისა 82, 3
 სამთავანი 88, 24
 სახეთა 92, 19
 სახელთაებრ უკუე ჳშირ არს
 100,26
 მყოფთანი 116, 34
 საღმრთოჲსა 126, 22
 —
 სიტყუაჲ არსებისაჲ სხუა 109, 34
 სულნი 104, 26
 შემომაკლებელნი 103, 15
 საღმრთომან პლატონ 97, 13
 მეგობასა შორის 145, 33
 რომელუბ და საკუთრად რაოდენ
 არიან, ვითარ ორწყრთაჲ და სამ-
 წყრთაჲ 151, 28
 და სხუანი მჩენნი 101, 10
 ღრამმეული 107, 4

—DFV: τοῦ γενοῦ ძირითადი
 ἴσινονα DFp; καχοῖσνται F.
 σάρε FVE: — ყველაგან
 θαλασσιον FV: — ყველაგან
 εἰδῶν EFM: ἄτομα ძირითადი
 τοῦ ζῶου FMV: ჳსლჲ ძირითადი
 τριῶν F: πέντε ყველაგან
 εἰδῶν p: — ყველაგან
 ὀνόματα F: νοήματα ძირითადი, Mb
 ὄντων F: χρώματων M.
 θείας F: θείας οὐσίας ძირითადი
 — F: περὶ αὐτῆς ἡῖς λογοποιάζ ძი-
 რითადი
 λόγος ἡῖς οὐσίας ἕτερος M: λόγος
 ἡῖς οὐσίας ძირითადი
 αἱ ψύχαι M: — ყველა ნუსხაში
 συνελθόντες M: ἐλέγμεν ყველაგან
 ὁ θεὸς Πλάτων M: Πλάτων ძირი-
 თადი —
 ἐν ὑπομένει M: ἐν ὑποκειμένω F.
 ὡς τὰ εἰρημμένα ἃ καὶ κ. π. ἐστὶ τὸ
 ἄληθες καὶ τὸ ἄληθες M: —x. π.
 ყველა ნუსხაში
 καὶ ἀλλὰ d: — ყველა ნუსხაში.
 γραμματικῶν b: γραμματικῶν M.

ქართული ტექსტის დიდი მონაკვეთი ზოგჯერ შორდება ძირითად ბერძნულს და მიჰყვება ხან F ნუსხას, მაგ. 128, 11—129, 9; შდრ. CA₂ 38, 22; 136, 36—137, 25; შდრ. CA₂ 48, 12 სქოლიო; 143, 28—36, შდრ. CA₂ 54, 16 სქოლიო; ხან b-ს, მაგ. 101,3—14; შდრ. CA₂ 7,16; ხან M-ს, მაგ.: 160, 24—29, შდრ. CA₂ 71, 17; 111, 19—21, შდრ. CA₂ 13, 20; 110, 19—22, შდრ. CA₂ 18, 15 და სხვ. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ჩნდება სხვაობანი, რითაც ქართული თარგმანი სხვაობს ამ ნუსხე-ბისაგან. ასე მაგ.:

ერთგან ქართული ტექსტი მისდევს M ნუსხას, რომელსაც ეს ადგილი მეტი ჰქონია ძირითად ბერძნულ ტექსტთან შედარებით (161,28, შდრ. CA₂ 72, 23 სქოლიო), მაგრამ ქართული M-საგანაც სხვაობს იმით, რომ აქ კიდევ არის მეტი წინადადება: „რამეთუ ცხოველად მყოფსა თავი აქუს, რამეთუ არიან ცხოველნი არმქონებელნი თავისანი, ვითარ-იგი კირჩხიბი“.

ქართული თარგმანის მოზრდილი ფრაზა 102,25—30 მიჰყვება Mb ნუსხებს, შდრ. CA₂ 9,13 სქოლიო, მაგრამ ქართული თარგმანი ზუსტად არც ამ უკანასკნელს მისდევს.

ზოგან ისეთი ვითარებაც არის, რომ რთული წინადადების პირველ ნაწილში ქართული თარგმანი ერთი რომელიმე ბერძნული ნუსხის წაკითხვას იმეორებს, მეორე ნაწილში კი — მეორე ნუსხისას, მაგ.: 100,23; შდრ. CA₂ 6,26.

ქართული თარგმანის ბერძნულ ნუსხებთან შედარებით ირკვევა, რომ იგი (ქართული თარგმანი) ზუსტად არცერთი ბერძნული ნუსხის წაკითხვებს არ იმეორებს. აშკარა გახდა, რომ ქართული თარგმანის წყაროს ისეთი ბერძნული ნუსხა წარმოადგენს, რომელიც ა. ბუსეს გამოცემაში არ არის გათვალისწინებული. ამდენად, ქართულ თარგმანს, რომელიც თითქმის თანამედროვე ბერძნული ნუსხებისა, დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ბერძნული ორიგინალის გამართვისა და დაზუსტებისათვის. ამის ნიმუშად სამიოდე მაგალითს დავასახელებთ:

ერთგან ბერძნულში იკითხება: ἐν ἑμὲ τῶν πατρῶν τὸ συσχεῖν ἔχεται ἐκ τοῦ δισυμφάτου καὶ τὸ δισυ(δ)ρῶσον (sic!) ἐκ τοῦ συσχεῖνς CA₂ 55, 13 სქოლიო. ამ კონტექსტში უადგილოდ ჩანს (და გამომცემელიც ამის შესახებ მიუთითებს) δισυ(δ)ρῶσον სიტყვა. ქართული თარგმანი შესაძლებლობას იძლევა ეს ადგილი გაიმართოს. ქართულ ტექსტში გვაქვს: „რაოდენისა შორის შერწყმულ იქმნების განსაზღვრებულისაგან და განსაზღვრებული—შერწყმულისაგან“ 144, 19.

ქართული თარგმანის „განსაზღვრებული“ გვაფიქრებინებს, რომ ბერძნულში δισυ(δ)ρῶσον-ის ნაცელოდ უნდა ყოფილიყო δισυμφάτου სიტყვა.

მეორეგან იკითხება: ἄμα τῶν ἐπιστητῶν εἶναι φησι καὶ τῆς πατρῴας αὐτῶν ἐπισημῶν CA₂ 76, 22. ქართულ თარგმანშია: „მეის ზედმისაწეწელისა თანა იყოს კეთილცა ზედმიწეწელობაჲ მისძლითი“ 165,7. „კეთილიცა“ არის φησι καὶ-ის ადგილას. ბერძნულში მთლად გასაგები არ ყოფილა φησι καὶ-ს არსებობა ამ კონტექსტში, ვინაიდან სქოლიოში ამ სიტყვასთან დაკავშირებით მითითებაა: φησι ἔτι quo pertinet nescio, ხოლო M ნუსხას საერთოდ გამოუტოვებია φησι სიტყვა.

ერთგან ქართულად იკითხება: „ხოლო სახითა ვანყოფილად შესმენილთაგანნი რომელნიმე რაძარსობის შორის, ხოლო რომელნიმე რომელი რაძარსობის შორის შეისმინებოან“ 49,5. ხაზგასმული ფრაზა მხოლოდ ქართულ თარგმანშია. აზრის სისწორე კი მოითხოვს, რომ იგი აუცილებლად იყოს, რადგან შემდეგ, ტექსტში „რომელი რაძარსობა“ საგანგებოდ არის განხილული.

ეს მაგალითები ნათელყოფენ ქართული თარგმანის მნიშვნელობასა და ღირებულებას ბერძნული ორიგინალის ტექსტის დაზუსტებისათვის.

• •

ქართული თარგმანი შესრულებულია იმ მთარგმნელობითი მეთოდებით, რაც დამახასიათებელი იყო პეტრიწონული სკოლისათვის. ქართული ტექსტი უმრავლეს შემთხვევაში მისდევს ბერძნულ ორიგინალს. ბერძნულ ორიგინალზე დამოკიდებულება მთელი რიგი ტექსტობრივი მონაცემებით მჟღავნდება:

1. ქართულ თარგმანში ხშირად გვხვდება უთარგმნელად გადმოსული ბერძნული სიტყვები.

2. ქართულ ტექსტს ახასიათებს უმეველ-ზმნო, ოდენ მიმღობიანი კონსტრუქციები წინადადებისა. არცთუ იშვიათად წინადადებაში ჩაყარდნილია ზმნა. ასე, მაგ.: „რამეთუ არა... არისტოტელმან: „რომლისა შორის იყო“, არამედ „რომლისა შორის არს“ 119,1. ამ წინადადებაში გამოტოვებულია ზმნა, რომელიც უნდა ყოფილიყო εἶπεν (CA₂ 28, 13) ზმნის შესატყვისად.

„ხრიზმოსიცა: ვიცით მე რიცხვ ქვშისაჲ და საწყეოა ზღკსაჲ“ 66,41. ბუნებრივი იქნებოდა: ხრიზმოსიცა იტყვს.

3. თარგმანში დასტურდება და კავშირი და ც ნაწილაკი ერთდროულად ბერძნული $\chi\alpha\iota$ -ს შესატყვისად, ან ერთ-ერთი მათგანია იქ, სადაც, აზრის მიხედვით, მეორე უნდა იყოს. იხ. 154, 31, შდრ. CA₂ 65, 16; 142, 27, შდრ. CA₂ 53, 24; 109, 24, შდრ. CA₂ 17, 10.

4. აშკარა გრეციზმებდ უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ქართულ თარგმანში იშვი-ათად სიტყვის ფუძედ აღებულია ბერძნული ნათესაობითი ბრუნვის ფორმა. მაგ.: „მათიმატიკონნი“ 100,4, შდრ. $\mu\alpha\theta\eta\mu\alpha\tau\iota\kappa\omega\nu$ CA₂ 6,9.

„პელლონისიაკონთაჲ“ 170,7, შდრ. Πελοποννησιακων CA₂ 74, 16.

„ეას თანმოსახელე სხკსა ეანტოჲსსა“ 114,3— Αἰας... Αἰτων CA₂ 22,16.

„მეტოჲსადა ექტი“ 157, 29, შდრ. $\tau\epsilon\tau\alpha\rho\epsilon\tau\eta$ CA₂ 68, 16. „ექტი“ ბერძნ. გენეტივის ფორმაა. სხვაგან ტექსტში ფუძედ გვხვდება სახელობითი ბრუნვის ფორმა: ექსი.

ორიგინალთან დიდი სიხალოვე საერთოდ დამახასიათებელია ქართული თარგმანისთვის. მთარგმნელის ერთი კომენტარი, რომელიც ტექსტში დასტურდება, საკმარისად ავლენს ბერძნულის კარგ ცოდნას.

ერთგან საუბარია იმაზე, რომ: „ვკლექსაჲ“ და „მტრფიალებლობით მდებარე ვარ“ თანმოსახელენი არიან, რამეთუ ზიარი აქუს სახელი, ვითარმედ ერო“ 110,34. ეს აზრი ქართველი მკითხველისთვის ბუნდოვანია, რადგან „ვკლექსაჲ“ და „მტრფიალებლობით მდებარე ვარ“ სიტყვებს ქართულში არაფერი აქვთ საერთო. ამ ბუნდოვანების გარკვევის მიზნით აშინაზე მოცემულია განმარტება, რომელიც, ვფიქრობთ, მთარგმნელს უნდა ეკუთვნოდეს: „შეისწავე, ვითარმედ ჳმითა ელაღელთაჲთა ჳგვანან სიტყუანი ესე: „ვიტყჲ“ და „ვტრფიალებ“, რამეთუ ორისათჲსე ითქუმის ესე, ვითარმედ „ერო“, ხოლო ქართულებრ ყოვლად უმსგავსო არიან“.

მთარგმნელის შენიშვნით, „ვიტყჲ“ და „ვტრფიალებ“ მხოლოდ ბერძნულში არიან თანმოსახელე ანუ ომონიმები, რადგან მათ ერთი საერთო ძირი აქვთ „ $\epsilon\tau\rho$ “: $\epsilon\tau\rho\alpha$ -ვლაპარაკობ და $\epsilon\tau\rho\alpha$ -შეყვარება, ტრფიალება. ხოლო ქართულში ამ სიტყვებს არაფერი აქვთ საერთო.

უდაოა, ამ სიტყვების მთქმელი კარგად განსწავლული პირია ბერძნულ ენაში.

მაგრამ ქართულ ტექსტში არცთუ იშვიათია ისეთი შემთხვევები, როცა აზრი ბუნდოვანია. ეს სხვადასხვა მიზეზით არის გამოწვეული. მთარგმნელი ყოველთვის როდი დგას მოწოდების სიმაღლეზე, რის გამოც თარგმანში გარკვეული ხარვეზები შეიმჩნევა. აი, ისინი:

1. ბერძნული საკუთარი სახელები ზოგან თარგმნილია და მიღებულია საზოგადო სახელები, რის გამოც აზრის გაგება ჭირს. მაგ.: $\sigma\iota\varsigma \Gamma\omicron\rho\gamma\text{:}\alpha\varsigma \acute{\alpha}\nu\theta\eta\tau\omega\varsigma$ ყოფნისეზი CA₂ 22,8—„ვითარი-იგი სიმაღლე მალეობისაგან“ 113,33. საკუთარი სახელი $\Gamma\omicron\rho\gamma\text{:}\alpha\varsigma$ გადმოცემულია საზოგადო სახელით „სიმაღლე“. როგორც ჩანს, ბერძნული სიტყვა გრაფიკული მსგავსების გამო $\tau\epsilon\tau\alpha\rho\epsilon\tau\eta$ სიტყვად არის გაგებული. ამ უკანასკნელის მნიშვნელობაა: ჩლიქებით ცემა, რაც ალბათ სიმაღლესაც გულისხმობს.

IIბბჲ $\text{I}\delta\eta\varsigma \chi\alpha\iota \chi\omicron\rho\alpha\phi\eta$ CA₂ 22, 10—„ვითარ ფერქი იხილო და თხემი“ 113, 35. საკუთარი სახელი $\text{I}\delta\eta\varsigma$ $\epsilon\iota\zeta\alpha$ „ხილვა“ ძირთან არის ასოცირებული. ამიტომ გაჩნდა თარგმანში „იხილო“ ზმნა.

τὰ δὲ κατὰ τὴν γῆν ὡς ἔσται τις τὸν παῖδα Ἐνσαχῆ εἶπευ CA₂ 21, 27— „ხოლო-
დამთხუვეისაებრ, ოდეს კეთილდამთხუვეად ვინმე თქვს ყრმაჲ“ 13, 24. საკუთარი
სახელი Ἐνσαχῆ თარგმნილია და აქედან გაჩნდა თარგმანში „კეთილდამთხუვეად“.

δοξαί... Πλάτων... ἐν ταῖς Ἐπειεῖσι CA₂ 61,7 სქ.— „ჰენანეს პლატონი და
პლონტინოს შორის ცხრათაჲსა“ 150, 32. „ცხრათაჲსა“ არის თარგმანი Ἐπειεῖ-
σι-სია. ამ უკანასკნელის ქვეშ კი იგულისხმება პლოტინოს შრომა „ენეადები“.

ერთგან ფილოსოფიურ მიმდინარეობათა შორის დასახელებულია პერი-
პატოელნი, აკადემიელნი და გემოვნებთონი. პერიპატოელნი არისტოტელეს
მიმდევრებს აღნიშნავს, აკადემიელნი — ქსენოკრატეს მიმდევრებს, მაგრამ
რას ნიშნავს „გემოვნებთონი?“

ეს სიტყვა აღნიშნავს ჰედონისტებს, Ἡδονιστοί. ქართულში სიტყვის მნიშვნე-
ლობა არის თარგმნილი.

2. ბერძნული სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობათაგან აღებულია კონ-
ტექსტისათვის შეუფერებელი მნიშვნელობა:

გამოსაძურცულობითი არის ἤψαφαια-ἡ-ს შესატყვისად. ამ სიტყვას ბერძ-
ნულში აქვს როგორც გაშიშვლების, განძარცვის მნიშვნელობა, ისე ვარჯიშის, გიმ-
ნასტიკისა. მთარგმნელს სიტყვა ისეთი მნიშვნელობით უთარგმნია, რაც კონტექსტი-
სთვის შეუფერებელია. ამ ადგილას ვარჯიშით სხეულის გააქვებაზეა ლაპარაკი.

ἀπιθιθεῖν ἰσῖαν CA₂ 44,22— „გარდაცემული თესი“ 133, 24. ἀπιθιθεῖν-ის მნიშ-
ვნელობა: 1) გაღმორცემა, 2) დაბრუნება, 3) განმარტება. ქართველ მთარგმნელს
პირველი მნიშვნელობა უთარგმნია, კონტექსტით კი საჭირო იყო „განმარტებული“.

ἐπαμιθῖσα CA₂ 8,5 ნიშნავს: 1) აყვავებულს, 2) გამოვლენილს, 3) გამოჩენილს.
მთარგმნელს კონტექსტისთვის შეუფერებელი მნიშვნელობა შეურჩევია: „ზედა-
აღყვავებული“, უნდა ყოფილიყო „გამოვლენილი“. „სახე ვიდრემე უკუე არს პირ-
ადპირადობაჲ გულისხმისყოფათაჲ და ზედაღყვავებული სიტყუათაჲ ქეშმარი-
ტებაჲ“ 101, 30.

ესა თუ ის ბერძნული სიტყვა თარგმნილია არა მისი შესატყვისის ქარ-
თული სიტყვით, არამედ ბერძნულის კალკაა გაკეთებული. ასეთი კომპოზი-
ციური კალკის გამო აზრის გაგება ჭირს.

ἄλογοι ἄνθρωποι ნიშნავს „მთავარს“, „ძირითადს“. მთარგმნელმა კი კომპო-
ზიციური კალკა გააკეთა: სხუა-სქენსი 60,14, რის გამოც ამ ადგილის გაგება ჭირს.

φασιν αὐτὸν ἰσθῆναι ἄματις ἄριστος κατὰ χροῖον κατὰ εἶδος CA₁ 72, 14— „ვიტ-
ყუთ მას ჳმარების სახედ მაგალითისა“ 57, 14. κατὰ χροῖον-ის მნიშვნელო-
ბა: სიტყვის გამოყენება არა ძირითადი მნიშვნელობით. თარგმანში ხელოვნურად
ნაწარმოები სიტყვაა, ბერძნულის კალკა.

„სხელთმოყუარენი სულნი... ვარეუბიან ტრფიალებასა“ 7,12. „ვარეუბ-
იან“ არის περιπαισσειν სიტყვის შესატყვისად. περιπαισσειν-ს ორი მნიშვნელო-
ბა აქვს: 1) ვარერბოლა ანუ ვარეუმო სირბილი. 2) პატივისცემა, სწრაფვა. კონტე-
ქსტის აზრის მიხედვით, თარგმანში ეს უკანასკნელი მნიშვნელობა უნდა ყოფილი-
ყო: სხელთმოყუარენი სულნი ესწრაფვიან ტრფიალებას.

3. ქართულ თარგმანში ზოგან ესა თუ ის სიტყვა მართებული ბრუნვის
ფორმით არ არის ნახმარი, რის გამოც გაგება ბუნდოვანია, აზრის სიზუსტე
დარღვეულია. მაგ.:

„პირველად უკუე სახედ ვითარებისა შორის-ჳმნა იხილევების ექსისადლი-
თი“ 173,7. ამ კონტექსტში „შორის-ჳმნა“ სახ. ბრუნვის ფორმის ნაცვლად

უნდა იყოს მოქმედებითი ბრუნვის ფორმა, რადგან აზრი ასეთია: თავდაპირველად ვითარების სახედ შორის-ქმნით (ანუ მოქმედებით) უნდა განვიხილოთ ექისისაძლითი (ანუ მიმართების მქონე), რასაც მხარს უჭერს იმავე აზრის გამომხატველი ფრაზა, რომელიც ტექსტში ცოტა ქვემოთ გვხვდება: „პიკტი... შორის-ქმნით იყოს“ 173, 10 და ბერძნული ორიგინალიც: $\pi\rho\delta\alpha\upsilon\sigma\ \epsilon\iota\delta\omicron\varsigma\ \tau\eta\zeta\ \pi\omicron\iota\delta\tau\eta\omicron\varsigma\ \xi\ \nu\epsilon\rho\chi\epsilon\iota\alpha\ \theta\epsilon\alpha\rho\epsilon\iota\tau\alpha\ \eta\ \tau\epsilon\ \xi\acute{\iota}\varsigma\ CA_2\ 84, 24.$

„იციობებიან ესენი ბუნებასა“ 156, 9. უნდა იყოს: „იციობებიან ესენი ბუნებითა“, შდრ. $\epsilon\gamma\omega\alpha\tau\alpha\iota\ \alpha\epsilon\nu\tau\alpha\ \tau\eta\ \varphi\acute{\alpha}\nu\alpha\iota\ CA_2\ 66, 24.$

„ბუნებით უპირველეს არს თანმომკვლეობისა, ხოლო არ თანმოკლული“ 163, 11. უნდა იყოს: ბუნებით უპირველეს არს თანმომკლველი, როგორც არის ბერძნულში: $\sigma\upsilon\alpha\upsilon\alpha\rho\iota\sigma\mu\epsilon\upsilon\sigma\iota\varsigma\ CA_2\ 74, 19.$

ერთგან მოტანილია პლატონის აზრი იმ ფილოსოფოსებზე, რომლებიც ცუდ მზარეულებს ემსგავსებიან, რადგან გვარსახეობრივ დაყოფას ახდენენ არა ძირითადი ნიშნის მიხედვით:

„მიემსგავსნეს, ვითარცა საღმრთოა პლატონ იტყვის, ჰავად მკრელოთა მზარეულთა და არ ნაწვეროანად სანოვავეთასა, ესე იგი არს, უვიცინი და უღონისძიებონი მამაკაცი“ 30, 37. ხაზგასმული სიტყვები უნდა იყოს მიცემითი ბრუნვის ფორმით, რადგან აქ ასეთი აზრია: ფილოსოფოსნი მიემსგავსნეს ჰავად მკრეულ მზარეულებს, ე. ი. უვიცი და უღონისძიებო მამაკაცებს. შდრ. $\xi\sigma\iota\chi\alpha\iota\ \gamma\acute{\alpha}\rho\ \sigma\acute{\iota}\tau\alpha\iota, \acute{\omega}\varsigma\ \delta\ \theta\epsilon\iota\acute{\omega}\delta\ \varphi\upsilon\alpha\iota\ \Pi\lambda\acute{\alpha}\tau\omega\upsilon\sigma, \tau\omicron\iota\varsigma\ \alpha\alpha\omega\delta\ \tau\epsilon\mu\alpha\sigma\iota\varsigma\ \mu\alpha\chi\epsilon\iota\sigma\iota\varsigma\ \alpha\iota\ \mu\eta\ \alpha\alpha\tau\ \acute{\alpha}\rho\theta\iota\alpha\ \tau\acute{\alpha}\ \sigma\acute{\iota}\varphi\alpha, \tau\omicron\sigma\tau\ \acute{\epsilon}\alpha\tau\iota\varsigma\ \dot{\iota}\delta\iota\omega\tau\alpha\iota\varsigma\ \alpha\iota\ \acute{\alpha}\mu\epsilon\theta\acute{\iota}\mu\omicron\iota\varsigma\ \acute{\alpha}\nu\theta\acute{\rho}\alpha\tau\iota\upsilon\varsigma\ CA_1\ 35, 7.$

4. ზოგი ადგილის სწორი გაგება დარღვეულია თარგმანში, რადგან ესა თუ ის ბერძნული სიტყვა გრაფიკული აღრევის გამო სხვა მნიშვნელობის სიტყვით არის თარგმნილი. ქართულში მთარგმნელმა, როგორც ჩანს, ცუდად წაიკითხა ესა თუ ის ბერძნული სიტყვა. ასე მაგალითად:

„ვიტყვთ, ვითარმედ დათქუმაა შესმენა“ 127,4— $\varphi\eta\mu\omicron\iota\ \eta\ \chi\alpha\tau\acute{\alpha}\ \varphi\acute{\alpha}\sigma\iota\ \nu\ \alpha\alpha\tau\eta\gamma\omicron\iota\sigma\alpha\ CA_2\ 37, 20$ სქოლიო. როგორც ჩანს, $\eta\ \chi\alpha\tau\acute{\alpha}\ \varphi\acute{\alpha}\sigma\iota\ \nu$ წაკითხულ იქნა, როგორც $\eta\ \alpha\alpha\tau\acute{\alpha}\varphi\alpha\sigma\iota\varsigma$ და აქედან გაჩნდა თარგმანში სრულიად შეუფერებელი „დათქუმაა“

„ვერ შემძლებელმან სიტყუასა, უდიდესისადმი პოვა ჳირი თავისა თვისისაჲ“ 34, 19. ბერძნულ ორიგინალში წერია: $\mu\eta\ \theta\upsilon\alpha\mu\alpha\sigma\iota\varsigma\ \epsilon\pi\ \lambda\acute{\epsilon}\gamma\varphi\ \epsilon\acute{\iota}\varsigma\ \mu\epsilon\acute{\iota}\omega\tau\alpha\ \epsilon\pi\epsilon\alpha\iota\ \nu\ \acute{\epsilon}\alpha\upsilon\tau\acute{\omega}\nu\ \acute{\alpha}\nu\epsilon\upsilon\chi\epsilon\iota\ \nu\ CA_1\ 40, 9,$ რომლის აზრი ასეთია: ვერ შემძლებელმან სიტყვით უდიდესი აღმოჩენისადმი (პოვნისადმი) თავისი თავის აღყვანებად... საქმე იმაშია, რომ $\acute{\alpha}\nu\epsilon\upsilon\chi\epsilon\iota\ \nu,$ რაც $\acute{\alpha}\nu\alpha\varphi\acute{\epsilon}\rho\alpha\varsigma$ -ს აორისტის ფორმაა, ქართულში მთარგმნელმა წაიკითხა, როგორც $\acute{\alpha}\nu\alpha\chi\alpha\iota\sigma\iota\omega\varsigma$ და ამის გამო გაჩნდა თარგმანში ჳირი, ხაჭირივება სიტყვა და მთელმა კონტექსტმა სხვა აზრი შეიძინა.

5. თარგმანში იშვითად აზრის სისწორე დარღვეულია იმის გამო, რომ საკავშირებელი სიტყვა არ არის მართებულად შერჩეული, ან იმის გამო, რომ მიმღებობის გვარების ვადმოცემისას არ არის დატული სიზუსტე, ან უბრალოდ იმის გამო, რომ აზრი მცდარად არის გაგებული. მაგ:

„ადგილი არს, ვითარცა „ბუნებითისა“ შორის ითქუმის, დასასრული გარმქონებელისაჲ, ვითარ-იგი გარე აქუს გარექონებული“ 148, 1. „ვითარ-იგი“ კავშირი არის ბერძნ. $\alpha\delta\theta\epsilon\text{-}$ ს შესატყვისად, მოსალოდნელი კი იყო რომელსაც ან რითაც კავშირები, რადგან ამ წინადადების აზრი ასეთია: ადგილი არის, როგორც „ფიზიკაში“ ნათქვამი, შემოფარგვლა მქონებელისა, რომელსაც აქვს რამე ქონებული.

ერთგან ლოგიკური ცნებების განმარტების მიზნით, როგორც საწინააღმდეგო მნიშვნელობის ცნებები, ერთმანეთთან დაპირისპირებულია, ორნივე და ორივე მიმართულია. თარგმანში კი ორივე გადმოცემულია მოწოდება სიტყვით, იხ. 157, 30. ასევე ორნივე და ორივე მიმართულია: „ზედმიწევნა|ზედმიწევნულობა“. (იხ. 157-30 სხვაგან მართებულად მომავალი დროის მიმდევრობის ფორმით არის თარგმნილი: ზედმისაწევნელი).

„ქურქელი ვიდრემე ადგილი არს მიმოსაღები, ხოლო ქურქელი ადგილი მიმოუღები“ 119,33. ეს ადგილი ტექსტში გასწორდა ისე, როგორც აზრის მოითხოვდა: ქურქელი ვიდრემე ადგილი არს მიმოსაღები, ხოლო ადგილი — ქურქელი მიმოუღები, შდრ. AC₂ 29,9.

„უსაკუთრესად უფროასლა კაცისა ცხოველობაჲ“ 131, 13. ბერძნულშია: *εισεδέσθαι εν μάλιστα εὐφρανταίς ἢ ἐν ἑαυτοῖς* CA₂ 42, 1. კითხვაზე, რა უფრო არის სოკრატე: კაცი თუ ცხოველი? პასუხად ეს ფრაზაა: უფრო საკუთრად ის არის კაცი, ვიდრე ცხოველი. თარგმანში პირუტყუ აზრია.

„წინამდებარისაჲ წიგნისა ესრეთ არს „პირველი ადგილი“ ზედწარწერილისაჲ“ 107, 25 — *Προκειμένου βιβλίου οὕτως ἐπιγράφεται Πρὸ τῶν ἄλλων* CA₂ 14, 20. ამ ადგილის აზრია: წინამდებარე წიგნის ზედწარწერილი (ანუ სათაური) თარგმნილია „პირველი ადგილი“. გარდა იმისა, რომ აქ არისტოტელეს სომხის სათაური არის მნიშვნისა, სხვა მხრივაც ქირს აზრის გაგება, რადგან „ზედწარწერილისაჲ“ ნაწილსაობითარი სახელობითის ნაცულად უნდა ყოფილიყო სახელობითი ბრ. ფორმა „ზედწარწერილი“.

6. ქართული თარგმანისთვის დამახასიათებელია არასტაბილურობა ტერმინთა ხმარებისას. ერთი და იგივე ბერძნული ტერმინი ხშირად სხვადასხვა შესატყვისით არის გადმოცემული და, პირიქით, ერთი და იგივე ქართული სიტყვა იხმარება სხვადასხვა ბერძნული ტერმინის შესატყვისად.

ზოგჯერ ესა თუ ის ტერმინი თარგმანში გვეხველება სხვადასხვა ფორმით. ამგვარი შემთხვევები ძალზე ხშირია, მათი აღნუსხვა შორის წაგვიყვანდა. ამიტომ მხოლოდ რამდენიმე ნიმუშს წარმოვადგენთ:

ა) ერთ ბერძნულ ტერმინს რამდენიმე შესატყვისი აქვს ქართულ ტექსტში:

τὸ σῦμψικον — სასწაული, ნიში

ἡ μετὰ τὴν — გაძლიერება, ცვალებადება

ἡ ἐξίς — ექსი, ანაგები

ἡ διαίρεσις — განწვალება, განყოფილი

ἡ ἀναρτήσις — განსაზღვრებული, განწვალებული

ὁ ἀποπρῶτος — ართრონი, ნაწევროანი

ἄλλο — სხვა, სხუებრ

ἡ γένεσις — გენიცი, ნათესაობითი

ბ) სხვადასხვა ბერძნული ტერმინისთვის ქართულ ტექსტში ერთი შესატყვისია:

ἄλλο, ἕτερος — სხუაჲ

ἕτεροι, ἢ ἕνας — დებაჲ

λέγειν, τὸ πρῶτον — სიტყუა

ἡ διαφύρασις, ἢ διαίρεσις — განყოფილება

ἐξῆς, ἢ ὑψίς — მეცნიერება

გ) ერთი და იმავე ბერძნული ტერმინისთვის ქართულ თარგმანში ერთი ძირისგან ნაწარმოები სხვადასხვა ფორმა დასტურდება:

σπῆλαια — ფერკიანი, ფერკოსანი, ფერკელი
 ἡ σπικραφτή — წარწერაჲ, ზედწარწერაჲ
 γυνωστῆρας — ცნობილი, საცნობელი
 γυνωστῆρας — მეცნავი, მცნობელი
 ἰδιῶν — თვსაგან, თვსაგანობით
 κῆρις — კერძოჲ, კერძობითი
 ἐπισημῆσις — ზედმიწევნული, ზედმისაწევნელი
 τὸ πῶσις — რაოდენი, რაოდენობაჲ
 λησιχθῆρας — უსიტყუიერესი, უსიტყუესი

არაერთგვარობა ტერმინთა ხმარებისას ვლინდება იმ ფაქტშიც, რომ ერთი და იმავე ცნებისთვის პირველ „მოსაქსენებელში“ სხვა ტერმინებია აღებული, მეორე „მოსაქსენებელში“ კი — სხვა. მართალია, ამას სისტემატური ხასიათი არა აქვს, მაგრამ არც თუ იშვიათია. მაგ.:

I-შია: საყოფაქცეო, სასახლისჯულობითი და მოქალაქობითი.
 II-შია: ითიკოსი, განგებულებითი და მოქალაქეობითი.
 I-შია: სწავლეულებითი || დასასწავლელობითი. II-შია: მათიმატიკოსი
 I-შია: სავაკრო II-შია: უბანი
 I-შია: ვითარებაჲ II-შია: რომელი
 I-შია: კულელი II-შია: კულელი || არტიაჲ
 I-შია: ცანკელი II-შია: ფარდი || პერიტაჲ

ცხადია, ერთი და იმავე ცნების გადმოსაცემად სხვადასხვა ტერმინის გამოყენება მიუთითებს იმაზე, რომ მთარგმნელისათვის ჭერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი ფილოსოფიური ტერმინოლოგია. თარგმანი გვიჩვენებს ტერმინთა შერჩევისა და დახვეწის პროცესს.

და ე ა ს კ ვ ნ ი თ:

ამონიოს ერმისის „მოსაქსენებელთა“ ქართულ თარგმანებში გვაქვს სხვადასხვა ხასიათის ხარვეზები, ბუნდოვანი ადგილები, შეცდომებიც კი. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ხარვეზები გამოწვეულია იმდენად არა ბერძნული ენის სათანადოდ არცოდნით, რამდენადაც სათარგმნი ტექსტის სირთულით, მსჯელობის იმ განყენებულ-ფილოსოფიური ხასიათით, რომელიც დამახასიათებელია ამონიოს ერმისის მოძღვრებისათვის. ქართველი მთარგმნელი ამ რთული ფილოსოფიური აზრების თარგმნისას ძიების პროცესშია ტერმინთა შერჩევის თვალსაზრისით. ბერძნული ტერმინის ადეკვატური ქართული ტერმინის შერჩევა, თუ ასეთი ქართულ ენაში არ ეგულება, ახალი ტერმინის წარმოება, ზოგი ტერმინის თარგმნა, ზოგისა უთარგმნელად გადმოტანა, თავისებური, რთული სინტაქსური კონსტრუქციების გამოყენება — უაღრესად ფართოა და მრავალმხრივი ის მორფოლოგიურ-სინტაქსური ნოვაციები, რომელთაც მიმართავს ქართველი მთარგმნელი. ამონიოსის „მოსაქსენებელთა“ ქართული თარგმანები პასუხობს იმ რთულ ფილოსოფიურსა და ლიტერატურ-

რულ მოთხოვნილებებს, რომლებიც ასეთი ხასიათის ტექსტების მთარგმნელის წინაშე იდგა.

ქართული თარგმანების სახით ჩვენს ხელთაა ამონიოს ერმისის თხზულებათა უძველესი არქეტიპი, რომელიც ბერძნული ტექსტის გამოცემაში არ ჩანს. ქართული თარგმანები ყველაზე ძველი ბერძნული ხელნაწერების თანადროულია და მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ბერძნული დედნის დაზუსტებისა და გამართვის საქმეში.

თ ა ვ ი I I I

ქ ა რ თ ვ ე ლ ი მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართველი მთარგმნელის ვინაობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი ამ თხზულებათა მთარგმნელად XII ს. მოღვაწეს, იოანე ტარიქისძეს, აღიარებს (კ. კეკელიძე), მეორე ნაწილი მათ თარგმნას იოანე პეტრიწს მიაწერს (ს. გორგაძე, ი. ლოლაშვილი), ხოლო ზოგიერთთა შეხედულებით, მთარგმნელის ვინაობა დაუდგენელია (ნ. კეკელაძე).

წარმოვადგენთ ჩვენს მოსაზრებებს ამ საკითხის შესახებ.

თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამა თუ იმ ძეგლის ავტორის ვინაობის დასადგენად სულ ცოტა შემდეგი ფაქტორები მაინც უნდა იყოს გათვალისწინებული:

1) ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები ავტორისა თუ მთარგმნელის ვინაობის შესახებ.

2) მომდევნო ხანის მწერლობაში შემონახული ცნობები ამ საკითხზე.

3) თვით ძეგლის ენობრივი და სტილისტური ანალიზი, რომელიც გარკვევს მის მიკუთვნებას ამა თუ იმ ავტორისადმი.

პირველ საკითხთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ამონიოსის თხზულებათა ქართველი მთარგმნელის ვინაობის გარკვევაში ქართული ხელნაწერები ვერაფრით დაგვეხმარება, რადგან მათში არავითარი ცნობა მთარგმნელის შესახებ დაცული არაა. როგორც ვიცით, ამონიოსის ორივე შრომა ქართულ ხელნაწერებში ბოლონაკლებია. ამის გამო ხელნაწერებს არ შემოუნახავთ მთარგმნელის ანდერძ-ნამაგი.

გვიანი ხანის წერილობითი ცნობები, რომლებიც არსებობს ამონიოსის თხზულებათა ქართველი მთარგმნელის შესახებ, მიმოხილული აქვს ი. ლოლაშვილს [20,31—34], რომელმაც ყველაზე ვრცლად და საფუძვლიანად შეისწავლა ისინი და მოგვცა საყურადღებო დასკვნები აღნიშნული საკითხის გარშემო. ვეცდებით მკვლევრის მიერ მოძიებული ცნობები ჩვენი მასალით შევაჯსოთ.

მკვლევარი მიმოხილავს ცნობებს იოანე ტარიქისძესა და იოანე პეტრიწზე, როგორც ამონიოსის „მოსაქსენებლების“ შესაძლო მთარგმნელებზე.

მკვლევრის შენიშვნით, სახელი იოანე ტარიქისძე პირველად გვხვდება სულხან-საბა ორბელიანის მინაწერში, რომელიც ახლავს „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ნუსხას, კერძოდ, H 2080 ხელნაწერს. ამ ნუსხის 229r-ზე, სა-

ბას ხელით, როგორც ალ. ბარამიძემ გაარკვია [7,336],¹ წერია: „ამისა ეამთა შევიდნენ მთარგმანებელნი წიგთანი: ეფრემ მცირე და თეოფილე და არსენ იყალთოელი და იოვანე ტაიჭისძე: ქრისტეს აქათ ქკს ჩროდ“.

მკვლევართა მიერ შეინიშნულია, რომ მინაწერში დადასტურებული თარიღი: ქორონიკონი ჩროდ სინამდვილეს არ შეეფერება. როგორც ჩანს, აქ გადამწერის შეცდომასთან გვაქვს საქმე და ჩროდ — 1174 წ. სამართლიანად ვასწორდა 1114 წლად [22,243]. ალ. ბარამიძის დაკვირვებით, მინაწერში აღნიშნული ფაქტი, მართლაც, ჩართულია „ქართლის ცხოვრებაში“ 1115—1116 წლებში მომხდარ ამბებს შორის.

ზოგი მკვლევრის ეჭვი გამოიწვია მინაწერში არსებულმა სიტყვამ „შევიდენ“. თ. ჟორდანიას სვამს კითხვას: „მიიცვალნენ თუ მოვიდნენ?“ [38]. კ. კეკელიძემ ამ ადგილას აღადგინა „შე[მო]ვიდნენ“. მიღებულ იქნა აზრი, რომ აქ ჩამოთვლილი მოღვაწენი საქართველოში დაბრუნდნენ საზღვარგარეთის კულტურულ-სამწერლობო ცენტრებიდან.

შემდგომში, როგორც ი. ლოლაშვილი აღნიშნავს, ეს მინაწერი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში ჩაურთავთ [20,31].

სულხან-საბას მინაწერის ცნობა გაიმეორეს შემდეგი დროის მოღვაწეებმა. ანტონ კათალიკოსმა ძველ ქართველ „მეთარგმანეთა“ სიაში შეიყვანა იოანე ტარიჭისძე. ეს სია დასტურდება ანტონის გრამატიკის წინასიტყვაობაში [6,13]. იგი მინაწერის სახით ახლავს მხითარ სებასტიელის „რიტორიკის“ ქართულ თარგმანს (შესრულებულია ანტონის მიერ, ხელნაწერი S 347, XVIII ს.). იგივე გარკვეული რედაქციული სახესხვაობით გვხვდება ამბროსი ნეკრესელის კრებულში [H 1283, 31r]. დასტურდება აგი ცალკე ხელნაწერის სახითაც. ესაა S 3058, XIX ს. რომელშიც 1r-ზე არის ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა სია.

ანტონის მიერ შედგენილი სია ქართველ „მეთარგმანეთა“ ასე გამოიყურება:

„ხოლო ესენი არიან სამლონი იგი მამანი მეთარგმანენი ქართულსთანი, რომელთანი სახელნი მოიხსენებთან აქა: იოანე გრძელისძე, წმიდა იოანე, მამა ეფთიმისი, წმიდა ეფთიმი, წმ. არსენი ნინოწმიდელი ეპისკოპოსი, ღირსი იოანე ხალულელი (sic), რომელსა ზედწოდებულ ჰყოფდენ ოქროპირად, ნეტარი გრიგორი, რომელი ზედწოდებულ იყო აბრაამ ახლად, ზაქარია მილრატის (sic!) ძე, არსენი, მაგრა ესე არა იყალთოელი, არცა კათალიკოსი, არამედ სხუაჲ; გიორგი შეყენებული, ილარაონ დიდი თულაელი, მოძღუარი გიორგი მთაწმიდელისა; წმიდა გიორგი მთაწმიდელი, იოანე პატრიკად ნაშყოფ, სტეფანე, გიორგი ოთისელი (sic), ვასილი ვაგრატის ძე ხალულელი (sic!) და ესე საგონებელ მიჩნს ძედ მეფისად; იოანე საღმთო ფილასოფოსი, რომელსა ჩუეულ ვართ ზედწოდებასა პეტრიწად, ნეტარი ეფრემ მცირე, თეოფილე ღირსი, არსენი იყალთოელი, იოანე ტაიჭის ძე და სხუანი მრავალნი“ [87,4].

როგორც ვხედავთ, იოანე ტარიჭის ძე იმავე დაწერილობით და იმავე მწერლებთან ვხვდებით, როგორც ეს აქვს სულხან-საბას.

ანტონ ბაგრატიონი იოანე ტარიჭისძეს ორმუხლიან ლექსს უძღვნის თავის „წყობილსიტყვაობაში“ [5,273].

იოანე ტარიჭისძეს, როგორც ფილოსოფოსსა და მთარგმნელს, ახსენებს იოანე ბატონიშვილი [15, 177].

ანტონისა და იოანე ბატონიშვილის ცნობები იოანე ტარიჭის ძის შესახებ ზოგადად სახობტო ხასიათისა და რაიმე კონკრეტული ბიოგრაფიული, ან შემოქმედებითი ხასიათის მომენტს არ შეიცავენ.

პირველი ცნობა იოანე ტარიჭისძის შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ ეკუთვნის პლ. იოსელიანს. პლ. იოსელიანი პირველია, რომელმაც გარკვეული თხზულებების თარგმნა მიაწერა იოანე ტარიჭისძეს. ჭერჭერობით სხვა აღრიწდელი ცნობა ჩვენთვის უცნობია. პლ. იოსელიანის სიტყვებით:

„იოანე ტარიჭისძე ანუ ტარიჭისძე ცხოვრობდა დავით აღმაშენებლისა დროსა (1089—1130). ათონიდან მოვიდა საქართველოს და აქენდა აქა სასწავლებელი ყრმათათვის. ამან თარგმნა ბერძნულიდან: 1. „დილაქტიკა“, 2. პორფირის „შეყვანილება“, 3. „კატილორია“ დამასკელისა, 4. „თორმეტთა ქვათათჳს“ ეპიფანე კვიპრელისა, 5. „საგალობლნი წმიდათანი“ [62,264].

მკვლევართაგან ზოგმა გაიზიარა პლ. იოსელიანის მოსაზრება [64,27; 68, XXX; 14,57], ზოგმა კი კრიტიკულად შეაფასა იგი. კ. კეკელიძემ საეკვოდ მიიჩნია პლ. იოსელიანის ცნობა: „არ ვიცი არც ის, საიდან მომდინარეობს პ. იოსელიანის ცნობა... ვითომც იოანე ტარიჭისძე საქართველოში ათონიდან მოვიდა“ [22,308]. რაც შეეხება იმ ლიტერატურულ შემოქმედებას, რაც პლ. იოსელიანმა შეცდომით იოანე ტარიჭისძეს მიაწერა, კ. კეკელიძემ სამართლიანად უჩვენა მათი ნამდვილი რაობა და ავტორები.

კ. კეკელიძის აზრით, იოანე ტარიჭისძეს ეკუთვნის „ამონიოს ერმიოსის (V—VI სს. ნეოპლატონიკი) „მოსაჯენებელი ხუთთა კმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ და იმავე ამონიოსის „მოსაჯენებელი ათთა კატილორიათადმი არისტოტელისთა“ [22,308].

პლ. იოსელიანის ცნობაში დაეჭვება გამოიწვია იმ უზუსტობებმა, რაც მან დაუშვა იოანე ტარიჭისძის შემოქმედებითი მოღვაწეობის განსაზღვრაში. ხოლო რაც შეეხება მის მიერ მოწოდებულ ბიოგრაფიულ ცნობას, რომ იგი ცხოვრობდა დავით აღმაშენებლის დროს, ეს საეკვოდ არ ჩანს, როგორც ეს პგონიათ კ. კეკელიძესა და ი. ლოლაშვილს.

ამ ცნობის ჭეშმარიტებას; გარდა სულხან-საბა ორბელიანის მინაწერისა, მხარს უჭერს კიდევ ერთი წერილობითი წყარო. ეს არის ერთი 17 ს-ის ხელნაწერი, S 1257, ლოცვათა კრებული, რომელშიც ტექსტის ხელითვე ბოლოში დართულია სხვა შინაარსის ტექსტი ასეთი სათაურით: „სათვალავნი დასაბამითგანთა წელთანი“. 5r—6r-ზე წერია:

„მეფე იყო აშოტ, რომელი მოკლეს მეგრელთა; ბაგრატ გურგენის შვილი, რომელმან მეფობაა აფხაზთა და ქართველთა ერთ ყო, ქორონიკონსა სლდ; ამისთა ჟამთა იყო ეფთჳმე მთაწმიდელი, მთარგმანელი ტაოთ. ბაგრატ სევასტიასი ქორონიკონსა ჯებ; ამისთა ჟამთა იყო იგი (sic!) მთაწმიდით. დიდ დავით ქორონიკონსა ტმე; ამისთა ჟამთა იყენეს ეფრემ მცარა, თეოფილე, არსენი იყალთოელი, იოანე ჳტის ძე. დავით ტფილის გამომი ქორონიკონს ტმბ.“ ეს ტექსტი, როგორც ჩანს, რალაც ისტორიული შრომის კომპილაციას წარმოადგენს. ვფიქრობთ, რომ მისი წყარო „ქართლის ცხოვრებაა“. რომელიც მე-17 ს. მოღვაწეს „ქართლის ცხოვრებიდან“ გამოუყარებია ქართველ მეფეთა ზეობის თარიღები, მათგანვე მოუხსენებია იმ ეპოქის ქართველი მოღვაწენი. სამი შემდეგი მეფე და მოღვაწეა დასახელებული: 1) ბაგრატ კუროპალატი (ქნე სლდ) — ექვთიმე მთაწმიდელი, 2) ბაგრატ სევასტოსი (ქნე ჯებ) — იგი (sic!) მთაწმიდელი. (აქ გრაფიკული აღრევაა. უნდა იყოს გიორ-

გი მთაწმიდელი), 3) დავით აღმაშენებელი (ქნე ტმე) — ეფრემ მცირე, თეოფილე, არსენ იყალთოელი, იოანე ტარიკისძე (დამახინჯებით ქუტისძე). ეს წყარო სრულიად სანდოა, რადგან ყველა აქ მოტანილი ქორონიკონი ზუსტად ასახავს ისტორიულ სინამდვილეს.

როგორც ვხედავთ, ეფრემ მცირის, თეოფილეს, არსენ იყალთოელისა და იოანე ტარიკისძის დასახელება ძალიან ჰგავს სულხან-საბა ორბელიანის ზემოხსენებულ მინაწერს. საფიქრებელია, რომ ან სულხან-საბამ გამოიყენა ეს ტექსტი, ან პირიქით, ანონიმი ავტორი იცნობდა სულხან-საბას მინაწერს „ქართლის ცხოვრებაზე“. ორსავე შემთხვევაში ერთი უდაოდ ნათელია: იოანე ტარიკისძის მოღვაწეობა ქრონოლოგიურად განსაზღვრულია. მას უმოღვაწენია დავით აღმაშენებლის დროს.

საფიქრებელია, რომ პლ. იოსელიანის მიერ მოტანილი ბიოგრაფიული ცნობები ამ ლიტერატურულ წყაროებს ეყრდნობა. მკვლევრის განცხადება, რომ „იოანე ტარიკისძე ათონიდან მოვიდა საქართველოში“, ალბათ სულხან-საბას მინაწერს იყენებს წყაროდ, რადგან იქ წერია: „ამისა ესამთა შევიდენ“. „შევიდენ“ თუ „შე[მო]ვიდენ“ საიდანაც მოსვლას გულისხმობს. საიდან მოვიდოდნენ იმ დროს ქართველი მოღვაწენი? ალბათ საზღვარგარეთის ერთ-ერთი სამწერლობო ცენტრიდან, შესაძლოა, ათონიდან.

მაშასადამე, გარდა იმისა, რომ იოანე ტარიკისძე დავით აღმაშენებლის დროის მოღვაწეა, სხვა რამ მის შესახებ არა ვიცით რა.

რაც შეეხება მის ლიტერატურულ პროდუქციას, კ. კეკელიძე პლატონ იოსელიანის მიერ დასახელებულ თხზულებათაგან ორი ნაწარმოების თარგმნას მიაწერს მას, კერძოდ, ამონიოს ერმისის „მოსაცხენებლების“ თარგმნას.

ი. ლოლაშვილმა უარყო ეს მოსაზრება. მკვლევარმა ახალი შეხედულებები წამოაყენა „მოსაცხენებელთა“ მთარგმნელზე. ამ პიროვნებად მან მიიჩნია იოანე პეტრიწი.

უფრო ადრე, ს. გორგაძემ გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ამ მოსაცხენებლების მთარგმნელი შეიძლება იოანე პეტრიწი იყოსო [11,146].

ს. გორგაძის მიერ სავარაუდოდ გამოთქმული აზრი დანამდვილებით მისაღებად ცნო ი. ლოლაშვილმა: „დღეს დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამონიოს ერმისის ორივე „მოსაცხენებლის“ მთარგმნელია პეტრიწი“ [20,34].

მკვლევარი იოანე პეტრიწს აღიარებს მთარგმნელად ორი არგუმენტის საფუძველზე:

1) არსებობს ანტონ ბაგრატიონის ცნობა, რომ იოანე პეტრიწმა „ბერძნულისაგან ქართულად გარდამოიღო... კატილორია არისტოტელისა და პერიერმენიადა და წიგნი ამმონიოს ერმისისა, რომელ არს განმარტებაჲ პორფირი ფილოსოფოსისა „ხუთთათუს კმათა“ და არისტოტელის „შესმენათა“ [88,375].

2) არსებობს გარკვეული ლიტერატურული პარალელი ამონიოსის თხზულებასა და იოანე პეტრიწის „სათნობათა კიბეს“ შორის.

პირველი არგუმენტი, მართლაც, საყურადღებოა. ანტონის ცნობის გათვალისწინება აუცილებელია, რადგან ანტონ კათალიკოსს საერთოდ არ სჩვევია ლიტონი განცხადებები. მაგრამ მიუხედავად ამისა, ამ არგუმენტს საკითხის საბოლოოდ და უეჭველად გადაჭრის უფლება მაინც არა აქვს შემდეგი მიზეზის გამო:

ჯერ ერთი, ანტონის ცნობით, იოანე პეტრიწს, გარდა ამონიოსის წიგნებისა, მიეწერება არისტოტელეს „კატეგორიებისა“ და „პერი ერმენიას“ თარგმნაც. ეს თარგმანები ქართული მწერლობისთვის ჯერ-ჯერობით უცნობია. მართალია, არმოგნება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათ არარსებობას, მაგრამ იძლევა ეპკის გამოთქმის საფუძველს: სხვათა შიერ თარგმნილი ძეგლები ხომ არ მიაწერა ანტონმა იოანე პეტრიწს?

შემდეგ, როგორც ვიცით, ამონიოსის თხზულებათა შემცველი ყველა ხელნაწერი ბოლონაკლულია, ხელნაწერთა შესწავლამ ცხად-ყო, რომ ყველა ნუსხა ბოლონაკლული იყო ანტონის დროსაც, ე. ი. XVIII ს-ში. ამ მიზეზის გამო, ე. ი. ანდერძ-მინაწერების უქონლობის გამო, ანტონისთვისაც უცნობი იქნებოდა თხზულებათა მთარგმნელის ვინაობა. მაგრამ რადგანაც ენობრივ-სტილისტურად ეს თარგმანები პეტრიწონული სკოლის პროდუქტია და ისინი დიდ მსგავსებას ავლენენ თვით იოანე პეტრიწის თხზულებებთან, ბუნებრივია, რომ ანტონ კათალიკოსმა ასეთი ძნელი და ურთულესი თხზულებების თარგმნა თავის სათაყვანო „სალმართო ფილოსოფოსს“, იოანე პეტრიწს, მიაწერა.

ჩვენი ეს მოსაზრება უეჭველი დამამტკიცებელი საბუთების უქონლობის გამო ვარაუდად რჩება, ისევე, როგორც ვარაუდად შეიძლება ჩაითვალოს ი. ლოლაშვილის სიტყვები, რომ ანტონის ცნობა „ძველ, სანდო წყაროდან მომდინარეობს“.

თუ ი. ლოლაშვილის პირველი არგუმენტის მიმართ მხოლოდ დაეკვება გამოთქვით, პატივცემული მკვლევრის მეორე არგუმენტის მიმართ დაბეჭდვით შეიძლება თქმა, რომ იგი ვერ გამოდგება იოანე პეტრიწის მთარგმნელად აღიარებისათვის და აი რატომ:

ლიტერატურული პარალელი, რომლის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა, რომ ამონიოსის „მოსაქსენებელთა“ მთარგმნელი ყოფილა იოანე პეტრიწი, ეხება იმას, რომ როგორც „მოსაქსენებელში“, ისე „სათნობათა კიბეში“, ლაპარაკია ორგვარ სიკვდილზე.

სიკვდილი არის ბუნებითი, რომელიც ყოველი ადამიანის ხვედრია და არის მეორენაირი სიკვდილი: საქმეთაგან სიკვდილი ანუ სულის განშორება სხეულისაგან. ფილოსოფოსობა არის წურთა სიკუდილისა. ვინაიდან ეს ფრაგმენტი ასეთი სერიოზული დასკვნის არგუმენტად არის მოხმობილი, მოვიყვანთ მას მთლიანად:

„სიკვდილიცა-მრჩობლი: რომელიმე ბუნებითი, რომლისაებრ ყოველნი კაცნი წოკუდებით, ესე იგი არს, რომლისაებრ განეშორების სხეული სულსა, ხოლო რომელიმე წინაღობითი, რომლისაებრ ფილოსოფოსნი იწურთიან განშორებასა სულისასა სხეულისაგან და ამისებრ ითქუმიან მწურთელად სიკუდილისა, ესე იგი არს განყოფამ სულისა სხეულისაგან... არს უკუე ფილოსოფოსობამ წურთამ სიკუდილისა, ესე იგი არს, წურთამ სულისა სხეულისაგან განშორებისა“ 7,6.

სათნობათა კიბეში“ წერია:

„სიკვდილი ორად განიყოფის, იხედე:
ერთად—ბუნებით ყოველთა კაცთად ესე,
ხოლო მეორედ — საქმეთაგან სიკვდილად,
კორციელებრთა სულისა განშორებით.
ფილოსოფოსობა არს წურთა ამისა მარად“ [20, 184].

როგორც ვხედავთ, ამ ფრაგმენტებს მხოლოდ შინაარსობრივი მსგავსება გააჩნიათ. ლექსიკით, ტერმინებით კი ისინი აშკარად სხვაობენ ერთმანეთისგან.

„მოსაქსენებელშია“:

„სიკუდილიცა მარჩობლი“ —

„წინააღრჩევითი სიკუდილი“ —

„განშორებასა სულისასა სხეულისაგან“ —

„სათნობათა კიბეში“:

„სიკუდილი ორად განიყოფის“.

„საქმეთაგან სიკუდილი“.

„კორციელებრთა სულისა განშორებით“.

უეჭველია, რომ ისინი სხვადასხვა პირის ნათარგმნია, მაგრამ მთავარი მანინც ისაა, რომ აღნიშნული ლიტერატურული პარალელის არსებობა სხვადასხვა ნაწარმოებში უფლებას არ გვაძლევს მათი მთარგმნელების გაიგივებისა იმ მიზეზის გამო, რომ „ფილოსოფოსობაა არს წურთაჲ სიკუდილისაჲ“ არის პლატონის ცნობილი გამოხატულება, რომლის თითქმის ერთნაირი ინტერპრეტაცია მოცემული აქვს შუასაუკუნეთა მრავალ მწერალს. ფილოსოფიის ეს დეფინიცია, როგორც ცნობილია, კომენტირებულ იქნა ნეოპლატონიზმის ალექსანდრიულ სკოლაში პირველად ამონიოს ერემისის მიერ, შემდეგ მომდევნო თაობების წარმომადგენელთა — დავით უძლეველისა და ელიასის — შრომებში. მათგან მიიღო იგი ქრისტიანული სქოლასტიკის უდიდესმა მოღვაწემ იოანე დამასკელმა და შეიტანა თავის „დიალექტიკაში“ [17,172]. ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ასეთი პოპულარული გამოხატულება სცოდნოდა იოანე პეტრიწსაც (თუნდაც „დიალექტიკით“), დამოუკიდებლად ამონიოსის „მოსაქსენებელისა“, ანდა სხვის მიერ თარგმნილი „მოსაქსენებელი“ გამოყვენიბინა „სათნობათა კიბის“ თარგმნისას.

ზემო მოყვანილი არგუმენტები, ვფიქრობთ, არ იძლევა საბოლოო დასტურს, „მოსაქსენებელთა“ მთარგმნელად იოანე პეტრიწი ვცნოთ.

ი. ლოლაშვილის შეხედულება იოანე პეტრიწია „მოსაქსენებელთა“ მთარგმნელით, გაიზიარა დ. მელიქიშვილმა, თუმცა მკვლევარმა გარკვეულ სიფრთხილით შენიშნა, რომ „სანამ ამ აზრს დამაჯიფებით გამოთქვამდეთ... საჭიროა ჯერ შევისწავლოთ XI—XII სს. სხვა ავტორების თხზულებანი ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით“ [30,181].

შემდგომში, როგორც ჩანს, ასეთ ენობრივ-სტილისტურ ძიებათა საფუძველზე, მკვლევარი დაეკუბებულა იოანე პეტრიწის ავტორობაში (ჩვენთან ზეპირ საუბარში მან უარყო იოანე პეტრიწის მიერ ამ ძეგლის თარგმნა).

„მოსაქსენებელთა“ მთარგმნელის შესახებ გარკვეული აზრი გამოთქვან. კეკელიძემ. მისი შეხედულებით, „ძეგლის ენა მიგვიითითებს, რომ პეტრიწის რაიმენაირი მონაწილეობა თარგმანის დამზადების პროცესში უნდა უარყოთ. აქ არის სულ სხვაგვარი მიმართულება და სტილი“. მკვლევარს თავისი მოსაზრება გამოთქმული აქვს სამეცნიერო ანგარიშში, რომელშიც წინასწარი მოსაზრების სახით ვადმოცემული აქვს თავისი შეხედულებანი ძეგლის შესახებ*.

ამრიგად, ჯერჯერობით არ არსებობს რაიმე პირდაპირი საბუთი, რაიმე ლიტერატურული წყაროს მოწმობა არც იოანე ტარიქისძის, არც იოანე პეტრიწის სასარგებლოდ. ასეთ ვითარებაში, ჩვენი ძიება ძირითადად თარგმან-

* ნ. კეკელიძის ანგარიში დამატების სახით ქვეყნდება წინამდებარე გამოცემაში.

ბის ენობრე თავისებურებებსა და ლექსიკურ მხარეზე დაკვირვებით წარმოართა.

ამა თუ იმ ენობრივი მოვლენისა და ლექსიკურ-ტერმინოლოგიური ერთეულების შედარებამ ნათლად გამოავლინა, რომ ამ მხრივ „მოსაქსენებლები“ აშკარად სხვაობს იოანე პეტრიწის შრომებისაგან. საკითხის გადაჭრისათვის ყურადსაღები და საინტერესო სწორედ ეს სხვაობანია. რაც შეეხება მსგავსებას, რომელიც ორ სხვადასხვა ნაწარმოებში შეიმჩნევა, მას არა აქვს გადამწყვეტი ლირებულება მათი ავტორების გასაიგივებლად შემდეგი მიზეზის გამო: ეს ავტორები ერთი ლიტერატურული სკოლის წარმომადგენლები არიან და საერთო მთარგმნელობითი პრინციპებით სარგებლობენ, ან შესაძლოა ერთმა ავტორმა განიცადა თავისი წინამორბედის ლიტერატურული გავლენა.

ხოლო როცა ორ სხვადასხვა ნაწარმოებში განსხვავებული ენობრივი ფაქტები დასტურდება, როცა ერთი და იმავე ცნებისთვის განსხვავებული ლექსიკური ერთეული, ან ტერმინი გამოიყენება, ასეთი განსხვავებანი მეტყველებენ იმაზე, რომ სხვადასხვა მთარგმნელთან გვაქვს საქმე.

„მოსაქსენებელთა“ და იოანე პეტრიწის შრომათა ურთიერთშედარების საფუძველზე გაირკვა, რომ „მოსაქსენებლების“ მთარგმნელი და იოანე პეტრიწი ხშირად ერთსა და იმავე ენობრივ ფაქტს სხვადასხვა ფორმით იძლევიან, ერთსა და იმავე ცნებას სხვადასხვა ტერმინებით გადმოსცემენ.

ჩვენ ნიერ ამ თვალსაზრისით მოხმობილ დაკვირვებებს სისრულის პრეტენზია არა აქვთ. წარმოვადგენთ რამდენიმე ცალკეულ დაკვირვებას, რომლებიც, მიუხედავად თავისი სიმცირისა, ვფიქრობთ, საკმაო საფუძველს იძლევიან იმისათვის, რომ „მოსაქსენებლების“ მთარგმნელად არ ვცნოთ იოანე პეტრიწი.

I. ენობრივი ხასიათის სხვაობანი:

1. „მოსაქსენებლებში“ შეიმჩნევა ებ-იანი მრავლობითის საკმაოდ ხშირი ხმარება. ეს ვითარება „მოსაქსენებლებს“ აშკარად განასხვავებს იოანე პეტრიწის შრომებისგან, სადაც ებ-იანი მრავლობითის ხმარების სულ 24 შემთხვევაა დადასტურებული, ამთგან 20 შემთხვევა მოდის „განმარტებათა“ ბოლოსიტყვაობაზე, რომელიც XVIII ს. ხელით არის აღდგენილი ხელნაწერებში [31, 12—13], ე. ი. ამ შემთხვევაში ებ-იანი მრავლობითი პეტრიწის მიერ არ არის ნახმარი.

გამოდის, პეტრიწის ენას არ ახასიათებს ებ-იანი მრავლობითის ფორმები, „მოსაქსენებლებში“ კი ისინი ხშირია.

2) იოანე პეტრიწის შრომებში დადასტურებულია არს მეშველი ზმნის გამარტივებისა და წინამავალ სიტყვასთან შერწყმის საკმაოდ ხშირი შემთხვევები როგორც შედგენილ შემასმენელში, ისე თურმეობითის ფორმებში [31, 18]. „მოსაქსენებლებში“ კი ამის მხოლოდ ორიოდ შემთხვევაა დადასტურდა: „შეგუამებულან“ 153, 12; „წინადაწესებულან“ 155, 23.

3) „მოსაქსენებლებში“ არც თუ იშვიათად დასტურდება მან-ით გაფორმებული მოთხრობითი ბრუნვის ფორმა საკუთარი სახელებისა: არისტოტელმან, პითაღორამან, პორფირმან და ა. შ.

იოანე პეტრიწის „ბუნებისათვის კაცისას“ ტექსტში დადასტურებულია რამდენიმე მაგალითი, ხოლო „კავშირთა“ და „განმარტებათა“ ტექსტში მოთხრობითი ბრუნვა გაუფორმებლადაა წარმოდგენილი [31, 12—13].

4) ამონიოსის „მოსაცხენებლებში“ ძალზე ხშირად დასტურდება სა-ო პრეფიქს-სუფიქსით დანიშნულების ფუნქციის გამოხატვის შემთხვევები: საჩ-უენო, სამისო, სამათო, სავისო, სამრავლო, სასახეთო და ა. შ. იოანე პეტრიწის ენას დანიშნულებითის ამგვარი წარმოება არ ახასიათებს.

5) „მოსაცხენებლებში“ დასტურდება ყე ნაწილაკი. იოანე პეტრიწი კი არ მიმართავს ყე ნაწილაკს.

„სათნობათა კიბის“ გამოცემაში დადასტურებულია ყე-ს ხმარების ორი შემთხვევა [20, 225—236]. ლექსიკონშიც გატანილია ყე ნაწილაკი, მაგრამ როგორც ირკვევა, ორსავე შემთხვევაში გამოცემაში უზუსტობა გაპარულა: ხელნაწერებში, ყველა ნუსხაში, ყე-ს ნაცვლად ყე ნაწილაკი იკითხება (იხ. A 342, 30v; S1597, გვ. 305; A711, 102r).

6) იოანე პეტრიწი ხშირად იყენებს ნუფემ, მაგრა, მაშა კავშირებს. ამონიოსის „მოსაცხენებლებში“ ვერცერთი მაგალითი ვერ დავადასტურეთ მათი ხმარებისა.

7) იოანე პეტრიწის შრომებში ხშირად გვხვდება ნასახელარ ზმნათა ოვ-იანი წარმოება [31,29]. „მოსაცხენებლებში“ კი ზმნათა ასეთი ფორმები არ გვაქვს.

8) იოანე პეტრიწის შრომაში გვხვდება -მდე თანდებულები ნანათესაობითარი ვითარებითი [31,182]. „მოსაცხენებლებში“ კი ერთადერთი შემთხვევა დადასტურდა: „ოთხეულისამდე“ 116,2.

სინტაქსურადაც მოსაცხენებლების ენა განსხვავდება იოანე პეტრიწის ენისაგან. საილუსტრაციო მასალის მოტანა ძალზე შორს წაგვიყვანდა, ამიტომ მხოლოდ ზოგადად აღვნიშნავთ, რომ „მოსაცხენებლებში“ არა გვაქვს ისეთი რთული სინტაქსური კონსტრუქციები, გადატირთული ჩართული წინადადებებით, კავშირებით, საკავშირებელი სიტყვებით, გათიშული წინადადების წევრებით, რომლებიც დადასტურებულია იოანე პეტრიწის ენაში [31,156]. ამიტომ „მოსაცხენებელთა“ სტილი შედარებით მარტივია, მიუხედავად იმისა, რომ მათში ძალზე რთული ფილოსოფიური აზრებია გადმოცემული.

II. გარდა ენობრივი თავისებურებებისა, რომლებთაც „მოსაცხენებლებში“ სხვაობენ იოანე პეტრიწის თხზულებებისაგან, სხვაობა მათ შორის თავს იჩენს ლექსიკაშიც, ტერმინების გადმოცემაში. ამა თუ იმ ცნების გამოსახატავად „მოსაცხენებლებში“ სხვა ტერმინია, იოანე პეტრიწი კი სხვა ტერმინს მიმართავს, ან ერთი და იმავე ძირიდან სხვადასხვანაირად ნაწარმოები ტერმინები გვხვდება.

საილუსტრაციოდ რამდენსამე ტერმინს მოვიტანთ (ჯერ ბერძნული ტერმინია, მეორე ადგილას მისი შესატყვისი „მოსაცხენებლებში“, ხოლო მესამე ადგილას სათანადო ტერმინი იოანე პეტრიწისა):

- τὸ πέρας — დასასრული|განწილებული — საზღვარი|დასაბამი| განსაზღვრებაჲ || მწუერვალი
- ἄπειρος — მიუწლომელი|აღლურიცხუ-ველი || უზომოჲ || ურიცხუ || — უსაზღვრო უზომობაჲ || უპამრავობაჲ
- ἄριστος — კუღელი|არტიოჲ — არტიოჲ
- περιττός — ცანკელი|ფარლი|პერიტოჲ — პერიტოჲ
- περισσπύσιος — ცანკუღელი|პერისარტიოჲ — პერისარტიოჲ
- χαρακτήρις — განკიდებელი|განშორებული — განყენებული|განშორებული

ჲ ἡπαρχη	— გარდამატება	— ზესთმეკნობაა ზესთპყ-რობაა დაზესთაებული.
ანამეი;	— თანდებული თანდასხმული თანადმდებარე	— თანშედგმული თანშეკ-რული შედგომილი უმრავალკეცესი თანდასხმული
ჲ κεντηρία	— თქმზრახობაა შესმენაა კატეგორია	— შესმენა
ბ ἰδρυσις ἢ ρημα	— სიტყუა რიმა	— სიტყუა საზღვარი იდგილი შესაბამი საზომი
ბ ἡμνασιον	— გამოძურცუა	— განშიშულება
ჲ ἑρμηνευσις	— მართალძგიდე	— სწორგუერლი
ჲ ἐνεργεια	— მოქმედებაა ქმნასა შინაა	— მოქმედებაა
ჲ μυσαιχη	— მუსიკი მუსიკობაა	— სამუსი სამუსიკელოა სა-მუსოა
ბ ἡμια;	— ნამიზევეი	— მიზეზოანი
ααα.ηυბ	— კიბისგუარი	— კიბებრივი
ბ ἡμια;	— ოსტრილი ოსტრეა	— ოსტრაკუა
ჲ ποιητης	— სიტყვსმოქმედი	— პკტი მოქმედი
ჲ ἡμια;	— თანშეულღვაა	— თანდაწესებული
ბ ἡμια;	— მომრგულეებული	— ნამრგულევი
χαρακτηρις	— დახატვა	— დასახვა
ბ ἡμια;	— სჯლოგიზმოსი შეგუ-ლისსიტყუვაა	— სჯლოგიზმოა შესიტყუეთი შესიტყუა შეტყუება თანშესიტყუაა
ჲ ἡμια;	— გარდარეული	— უზესთაესობაა
ჲ ἡμια;	— დაფოთება მოფოთება	— მოშუქ
ჲ ἡμια;	— განრთხმაა	— მსხირპანე
ჲ ἡμια;	— შესახედავი	— პეტრიწთან „შესახედავი“ ტერმინი საერთოდ არ გვხვდება.
ჲ ἡμια;	— სქესი	— ნაქუსი სქეტი

გრამატიკული ცნებების გადმოცემაშიც არსებობს სხვაობა „მოსაქსენებ-ლებსა“ და იოანე პეტრიწის თხზულებებში. ეს ფაქტი ჩვენ მიერ განხილუ-ლია სხვა ადგილას, გრამატიკულ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით. აქ მხოლოდ ერთ ნიმუშს დავასახელებთ იმისა, თუ ერთი ცნების დიონისე თრაკიელი ეული განმარტება როგორ განსხვავებულად არის თარგმნილი „მოსაქსენებლებში“ და იოანე პეტრიწის „კავშირთა“ განმარტებებში. ეს არის „გრამატიკოსობის“ განმარტება.

„მოსაქსენებელი“: „ღრამმატიკოსობაა არს გამოცდილება სიტყვსმოქ-მელთა და აღმწერელთაშიერი, ვითარ სამრავლოდ სათქმელ არს“ 3,18. პეტ-რიწი: „ღრამმატიკოსობაა არს გამოცდიელი მოქმედთა ანუ აღმწერელთაა, ვითარცა მრავალთა რათმე ზედა გამომქმელობისა“ [19,223].

აღნიშნული სხვაობანი ტერმინთა გამოყენებაში, რასაკვირველია, საკმაო საფუძველს არ წარმოადგენს „მოსაქსენებელთა“ მთარგმნელისა და იოანე პეტრიწის გასამოწნავად. როგორც ცნობილია, მსგავსი სხვაობანი ტერმინთა გამოყენებაში ერთი ავტორის სხვადასხვა შრომაშიც დასტურდება, უფრო მე-

ტიცი: ერთგვარობა ზოგჯერ დაცული არ არის ერთი შრომის შიგნით: ერთი და იმავე ცნებისთვის რამდენიმე ტერმინია ნახშიარი.

ამის საუკეთესო ილუსტრაციას ჩვენი ტექსტები წარმოადგენს. I და II „მოსაქსენებლების“ ქართულ ტექსტებზე დაკვირვებამ გამოავლინა, რომ ენობრივი თვალსაზრისით ისინი ზოგჯერ განსხვავდება ერთმანეთისაგან: ა) ტექსტები განსხვავდებიან ზოგი ტერმინის გადმოცემის მხრივ. ამა თუ იმ ბერძნულ ტერმინის შესატყვისად I „მოსაქსენებელში“ სხვა სიტყვაა, II-ში — სხვა. რამდენიმე ნიმუში აღნიშნულია ჩვენს მიერ (გვ. 074). ბ) II „მოსაქსენებლის“ ტექსტში უფრო ხშირია შეცდომები, ვიდრე I-ში. ქართული თარგმანის ბერძნულ ორიგინალთან მიმართების დახასიათებისას ჩვენ მიერ აღნიშნულია ის შეცდომები, რომლებიც გვაქვს ქართულ თარგმანში (გვ. 066—073). ერთი-ორი შემთხვევის გარდა, ყველა მათგანი დასტურდება II „მოსაქსენებელში“.

ამ განსხვავებებმა შეიძლება ისიც გვაფიქრებინოს, ხომ არ არის „მოსაქსენებლები“ სხვადასხვა პირის მიერ თარგმნილი? (რასაკვირველია, ამჟერად მხოლოდ საკითხის დასმით დაკვამყოფილებით, რადგან სხვა ენობრივ-სტილისტური და ტექსტობრივი მონაცემები ამ ეკვის გამოთქმის საფუძველს არ იძლევა).

დავუბრუნდეთ ისევ „მოსაქსენებელთა“ მთარგმნელისა და იოანე პეტრიწის გაიგივების საკითხს. როგორც გაიკვია, „მოსაქსენებელთა“ ტერმინების შედარებას იოანე პეტრიწის ანალოგიური შინაარსის ტერმინებთან ენობრივი ხასიათის მონაცემების შევსებისა და შემკარების მნიშვნელობა აქვთ.

მიუხედავად ამისა, ერთ სიტყვაზე მანც საგანგებოდ შევჩერდებით, რადგან ამ სიტყვის მნიშვნელობაზე საგანგებოდ მსჯელობდა თვით იოანე პეტრიწი.

„მოსაქსენებელში“ ერთ ადგილას წერია: „ჭერ-არს... მრავალწილ-ყოფად პირველითგანვე წინამდებარესა ზედა“ 88, 12.

„პირველითგანვე“ არის ბერძნული ἐξ ἀρχῆς-ს შესატყვისად. საერთოდ ბერძნული ἐξ ἀρχῆς და მისგან ნაწარმოები სიტყვები „მოსაქსენებლებში“ თარგმნილია დასაბამი ან დასაწყისი სიტყვებით. აღნიშნულ ადგილას კი არის პირველითგანვე.

ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ, თუ როგორი კამათის საგანია ეს სიტყვა იოანე პეტრიწის „განმარტებებში“. „ბოლოსიტყვაობაში“ პეტრიწი ელაგება სახარების აღრინდელ მთარგმნელებს, რომლებმაც იოანეს სახარების დასაწყისი ფრაზა—ὅθεν ἀρχῆς ἦν ὁ λόγος—თარგმნეს შემდეგნაირად: „პირველითგან იყო სიტყუა“. იოანე პეტრიწის შეხედულებით, „პირველითგან“ სიტყვის გამოყენება იბრძვება სიტყვასთან ურთიერთობაში მცდარია, რადგან იყარგება ἰσχυρῶς სიტყვის იმატერიულიურობის გაგება. „პირველითგან იყო სიტყუა“ ნიშნავს, რომ სიტყვა კი იყო პირველად, მაგრამ შემდგომ მის პარალელურად კიდევ იყო რაღაც. „პირველი“ აუცილებლად გულისხმობს შემდგომს. ლოგოსის ბუნება კი ისეთია, რომ იგი გამორიცხავს შემდგომს, რადგან იგი აბსოლუტურია, იმატერიულია. ლოგოსის არსებობა გამორიცხავს პირველსა და შემდგომს. ამიტომ, პეტრიწის აზრით, ἐξ ἀρχῆς ἦν ὁ λόγος არ შეიძლება ვთარგმნოთ „პირველითგან იყო სიტყუა“ სიტყვებით, არამედ ასე: „დასაბამსა შორის იყო სიტყუა“ [19, 219].

ἦν ἀρχῆς-ს ამ შესატყვისით გადმოცემა ფილოსოფოსის მიერ განზოგადებული იქნა ყველა სხვა შემთხვევაზე. მართლაც, თუ გადავხედავთ იოანე პეტრიწის თხზულებებს, ἀρχῆς ძირისგან ნაწარმოები ყველა სიტყვა თარგმნილია დასაბამი და

მისგან ნაწარმოები სიტყვებით. არსად არ გვხვდება პირველ ძირისგან ნაწარმოები სიტყვები.

„მოსაჯსენებელში“ კი $\xi\zeta$ ἀρχῆς თარგმნილია პირველითგანვე სიტყვით. ამ შენატყვისს კი, ვიმეორებთ, პეტრიწი არ იხმარდა. ეს ფაქტიც, ვფიქრობთ, ლაპარაკობს იმაზე, რომ მთარგმნელი არ უნდა იყოს იოანე პეტრიწი.

III. ქართული თარგმანის ბერძნულ ორიგინალთან შედარების შედეგად გამოვლინდა ის თავისებურებანი, რითაც ქართული თარგმანი ხასიათდება. აღმოჩნდა ისეთი ტექსტობრივი წაკითხვები, რომლებიც ქართული თარგმანის ხარვეზება წარმოადგენს: სახელის ფუძედ აღებულია ბერძნული სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა; ბერძნული საკუთარი სახელი გადმოთარგმნილია საზოგადო სახელით; ამა თუ იმ კონტექსტში საპირო ბრუნვის ფორმის ნაცვლად გვაქვს სხვა ბრუნვის ფორმა; ბერძნული სიტყვა თარგმნილია არა იმ მნიშვნელობით, რომელსაც კონტექსტი მოითხოვდა, არამედ სხვა მნიშვნელობით; ზოგან აზრი გაუგებარია იმის გამო, რომ რთულ წინადადებებში სხვაკვეშირი, ან საკავშირებელი სიტყვაა, ვიდრე ამას კონტექსტი მოითხოვდა.

მსგავსი უზუსტობანი უცილობლად მიუთითებენ თარგმანის ხარვეზებზე, ნთარგმნელის შეცდომებზე. შეიძლება ასეთი შეცდომები დაეშვა იოანე პეტრიწს, ბერძნულ ენაში ბრწყინვალედ გააფუღლ მთარგმნელს?

თუ პეტრიწის მიერ თარგმნილი ნაწარმოებები აშკარად დაზღვეულია ასეთი ხარვეზებისგან (ეს საკითხი ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავილი არაა), მაშინ პასუხიც ცხადი იქნება. დღესდღეობით ვფიქრობთ, რომ იოანე პეტრიწის დიდი ვრუდიცია და ავტორიტეტი თავისთავად იძლევა ამ ეპეის უარყოფის გარანტიას: შეუძლებელია, იოანე პეტრიწს დაეშვა ასეთი შეცდომები.

IV. „მოსაჯსენებლებში“ დადასტურდა ორი სომხური სიტყვა: მარდი (*მარդ*) „კაცი“ და სტეჟობითი (*ստէճայան*) „პაექრობითი“. რამდენადაც ცნობილია, იოანე პეტრიწის თხზულებებში სომხური სიტყვები არ დასტურდება.

V. „მოსაჯსენებლების“ მთარგმნელად იოანე პეტრიწის აღიარებას, ვფიქრობთ, ხელს შეუშლის შემდეგი გარემოება:

პორფირი ფილოსოფოსი, რომლის „შესავლის“ კომენტარებსაც წარმოადგენს ამონიოსის „მოსაჯსენებელი“, ქართულ მწერლობაში საკმაოდ ცნობილი ავტორია. როგორც გამოირკვა, მისი მთავარი თხზულება, „არისტოტელეს კატეგორიების შესავალი“, ადრევე, XII—XIII სს-ში თარგმნილი ყოფილა ქართულად.

როგორ შეფასებას აძლევენ ქართულ მწერლობაში პორფირის? მას იცნობენ როგორც ელინსა და მწვალებელს, რომელიც „დარღუევად სახარებისა შეცადინი“ იყო. ასე ლაპარაკობს მასზე იოანეს სახარების განმარტების ანონიმი მთარგმნელი (იხ. A 52, 2r).

სულხან-საბა ორბელიანს თავისი ლექსიკონის უკანასკნელ რედაქციაში მოაქვს ცნობები პორფიროზე: „პორფირი ფილასოფოსი იყო... ქრისტეანეთადიდად ჰტერი. ათხუთმეტი წიგნი დაწერა ქრისტიანობის წინააღმდეგი“ [32,30].

სავარაუდებელია, რომ იოანე პეტრიწიც იცნობდა პორფირი ფილოსოფოსს. „ბუნებისათჳს კაცისას“ პეტრიწისეულ თარგმანში ვკითხულობთ: „მოწამე ამათდა არს პორფირიოს, რომელმან თუთ ძუნად ქრისტესსა აღძრა თჳსი ენაჲ, რამეთუ უძლიერეს მტერთაგან ჩუენთჳს თანმოწმებანი და არცა ერთისა ცილობისა მიმთუალველ“ [34,56].

ეს ფრაგმენტი მოტანილია ძე ლოგოსის განხორციელების ფაქტთან დაკავშირებით, იმის დასამტკიცებლად, რომ ღვთაებრივისა და კაცობრივის შეერთება ხდება გარეშე მათი ბუნების შერევისა. ამ აზრის დასამოწმებლად მოხმობილია პორფირის დებულება იმის შესახებ, რომ სულისა და სხეულის შეერთებისას თითოეული მათგანი უცვლელად ინარჩუნებს თავის ბუნებას.

როგორც ვხედავთ, ნემსიოს ემესელი და მის კვალდაკვალ იოანე პეტრიწი ქრისტოლოგორი მოძღვრების მთავარი პრინციპის — ძე ლოგოსის განხორციელების — დაცვას ისახავენ მიზნად. აი, ამისთვის იმოწმებენ პორფირის მოძღვრებას. მაგრამ როგორია ამ უკანასკნელის შეფასება მათი მხრივ? პორფირი აღიარებულა როგორც მტერი, რომელმაც ქრისტეს წინააღმდეგ, ქრისტეს საძრახად აღძრა ენა. მაშ, რატომ მიმართავენ პორფირის? იმიტომ, რომ „უძლიერეს მტერთაგან ჩუენთს თანმოწმებანი“, ე. ი. უფრო ეფექტურია, უფრო შედეგიანია მტრის გამონათქვამით დაიმოწმო შენი მოძღვრების სისწორე. არ შეიძლება არ გაგვახსენდეს ეფრემ მცირის სიტყვები ქეშმარიტ ქრისტიანებსა და გარეშე ფილოსოფოსებზე: „ამათ მიერ წინააღმდეგობდინ შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განაპღუმერდენ მათ, რამეთუ თვნიერ ამათ სიტყუათასა, სხუებრ შეუძლებელ არს სიტყუს-გებამა წინააღმდეგობთაჲ“ [17,67].

ასეთ კონტექსტში პორფირი ფინიკიელის, როგორც მტრის, მოხსენიება, რომელმაც „ძუნად ქრისტესსა“ აღძრა ენა, ვფიქრობთ, ერთგვარი წინააღმდეგობაა იმისთვის, რომ იოანე პეტრიწი ვალიართ პორფირის თხზულებისა, თუ მისი ამონიოსისეული კომენტარების მთარგმნელად.

გავიხსენოთ, რომ იოანე პეტრიწი ნეოპლატონიზმის აპოლოგეტი, ნეოპლატონიზმისა, რომელიც მის მიერ ქრისტიანული მოძღვრების ფილოსოფიად არის მიღებული. ნეოპლატონიზმი და ქრისტიანობა განუყოფელია იოანე პეტრიწის მოძღვრებაში. ყველასთვის ცნობილია, თუ როგორ შეიყვანა მან პროკლეს ნეოპლატონიზმის ტრიადოლოგიურ სისტემაში ქრისტიანული მორტივები: ქრისტე, წმ. სამება, წინასწარმეტყველ-მოციქულები და სხვა.

აქვე უნდა შევნიშნათ, რომ უკანასკნელი განცხადება — პეტრიწი ალბათ არ თარგმნიდა პორფირის შრომის კომენტარს, რადგან ქრისტეს მტრად თვლიდა მას — ვარაუდია. მხოლოდ ამ არგუმენტზე დაყრდნობით, რასაკვირველია, ვერ უარყოფთ პეტრიწის მიერ ამ შრომის თარგმნას, რადგან ჯერ ერთი, თვით იოანე პეტრიწს მიაჩნია, რომ „უძლიერეს მტერთაგან ჩუენთს თანმოწმებანი“ და მეორეც, მან ხომ თარგმნა სხვა ნეოპლატონიკოსის, პროკლეს, თხზულება?

მიუხედავად ამისა, პეტრიწის კატეგორიული ტონი პორფირის შესახებ — „ძუნად ქრისტესა აღძრა თვისი ენაჲ“ — მაინც იძლევა დაუკვეთის საფუძველს. საბოლოოდ კითხვაზე: ვინ არის „მოსაჯენებელთა“ მთარგმნელი — იოანე ტარიქისძე თუ იოანე პეტრიწი — ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ:

„მოსაჯენებელთა“ მთარგმნელად იოანე ტარიქისძის აღიარების სასარგებლოდ არავითარი პირდაპირი წერილობითი ცნობა არ არსებობს. სრულიად უცნობია, რა თარგმნა მან. ამდენად საკითხი მის შესახებ ღიად რჩება.

იოანე პეტრიწის მიჩნევას „მოსაჯენებელთა“ მთარგმნელად ეღობება რიგი ტექსტოლოგიური და ენობრივი ხასიათის მონაცემები. იოანე პეტრიწი არ ჩანს „მოსაჯენებელთა“ მთარგმნელი.

ამდენად, „მოსაქსენებელთა“ მთარგმნელის ვინაობის საკითხი დღესდღეობით ისევ ღიად რჩება. მთარგმნელი გაიგივებული იქნება იოანე ტარიჭისძეთან თუ სხვა რომელიმე ქართველ მოღვაწესთან, ამას გაარკვევს სხვა დამატებითი წერილობითი ცნობები, რომელნიც, ვიმედოვნებთ, მომავალი კვლევა-ძიების შედეგად გამოვლინდება.

თ ა ვ ი I V

ზოგბი ენოზბრივი თავისეხუ რეზა

„მოსაქსენებელთა“ ქართული თარგმანის ენობრივი და სტილისტური თავისებურებანი გაპირობებულია იმ ნორმებით, რომელთაც ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში ე. წ. ელინოფილურ სკოლას მიაწერენ. კარგად ცნობილია, რომ ელინოფილური, უფრო კონკრეტულად „პეტრიწონული სკოლის“, ლიტერატურულ საქმიანობაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა ფილოსოფიურ თხზულებათა თხზვასა და თარგმნას [21]. ფილოსოფიური და საერთოდ მეცნიერული ხასიათის ნაწარმოებთა მთარგმნელების (ეფრემ მცირე, არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი და სხვები) წინაშე ურთულესი ამოცანა იდგა: შეექმნათ ფილოსოფიურ-მეცნიერული აზროვნებისთვის დამახასიათებელ ზოგად ცნებათა გამომხატველი ტერმინოლოგია, შეექმნათ ქართული ფილოსოფიური ენა. ქართულ ენაში ამ მხრივ მხოლოდ ცალკეული ნაბიჯები იყო გადადგმული. ამიტომ სპეციალური ტერმინოლოგიის შემუშავება მთარგმნელთა მაღალ ერულიციასა და ბერძნულ-ქართული ენების ღრმა ცოდნას მოითხოვდა. ქართული ლექსიკის მაქსიმალურად გამოყენება, სიტყვათწარმოებით საშუალებათა გაზრდა ქართული ენობრივი ნორმებიდან გადახვევის გარეშე, ქართულ სიტყვათა ძირებისა და აფიქსთა ვარიანტების გზით გადმოცემა ბერძნული ტერმინებისა, — ასეთი იყო ძირითადად ფილოსოფიურ-მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავების გზები. გამორიცხული არ იყო ბერძნული ენის გავლენაც. რთული აბსტრაქტული აზრის გადმოცემისას ამ სკოლის მიმდევართა ენაში არაიშვიათია ბერძნულ ფრაზათა და ცალკეულ სიტყვათა კალკები, ბერძნული სიტყვები, რთული სინტაქსური კონსტრუქციები, უშემასმენლო წინადადებები, მიმლეობური და ინფინიტური კონსტრუქციები და სხვა.

ფილოსოფიურ-მეცნიერული ტერმინოლოგიის გარეშე შეუძლებელია ფილოსოფიურ თხზულებათა თარგმნა. ამიტომ ფილოსოფიურ წიგნთა თარგმნა ჩვენი დიდი განმანათლებლების — არსენ იყალთოელის, ეფრემ მცირის, იოანე პეტრიწის — წინაშე დიდ ეროვნულ პრობლემას აყენებდა: შეექმნათ ქართული ფილოსოფიური ენა. მათდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ამ ამოცანას ბრწყინვალედ გაართვეს თავი [22;65].

რასაკვირველია, მათ მოღვაწეობას მყარი ნიადაგი შეუშადათ ათონელმა მოღვაწეებმა, მაგრამ სპეციალური ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შემუშავება არსენ იყალთოელისა და ეფრემ მცირის მიერ „ღიალექტიკის“ თარ-

გმნასთან არის დაკავშირებული. ასევე არეოზაგიტული კორპუსის თარგმნით ეფრემ მცირემ მნიშვნელოვნად გაამდიდრა ქართული ფილოსოფიური ენა, ხოლო საბოლოოდ ამას სისტემატური სახე მისცა იოანე პეტრიწმა. სხვა საკითხია, რამდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ამ პერიოდში შექმნილი ტერმინოლოგია ქართული სალიტერატურო ენის განვითარების თვალსაზრისით. რასაკვირველია; ამ პერიოდში შექმნილი ფორმებიდან ბევრი ხმარებიდან გავიდა, რაგორც ხელოვნური ან არქაული. მაგრამ ბევრი ტერმინი დღესაც ხმარებაშია.

ამონიოს ერმისის „მოსაკსენებელთა“ თარგმანები ერთ-ერთი ნიმუშია პეტრიწონული ლიტერატურულ-მთარგმნელობითი საქმიანობისა. ტექსტის ენა ხასიათდება ყველა იმ ძირითადი ნიშნით, რაც ტიპიურია პეტრიწონული სკოლისათვის.

ყველა იმ მოვლენიდან, რაც ენობრივ თავისებურებას ქმნის, ჩვენ შევჩერდებით სიტყვათწარმოებაზე. სიტყვათწარმოებაში ყველაზე ნათლად ვლინდება ფილოსოფიური აბსტრაქტული ცნებების გადმოცემის მიზნით სხვადასხვა ენობრივი კომპონენტების ვარიანტების სურათი.

მთარგმნელი აქტიურად იყენებს ქართულ ენობრივ საშუალებებს ახალი ტერმინების შესაქმნელად. უზომოდ გაზრდილია სიტყვათწარმოების მასშტაბები.

სიტყვათწარმოების ასეთი ფორმები გვხვდება:

1. სადერივაციო აფიქსებად გამოყენებულია ბრუნვის ნიშნები:

ა) მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი -**ით**. მაგ.: არსებითი, ბუნებითი, აღლევითი, განკერძოებითი, დანიშნვითი, ზომითი, ზოგადობითი, კერძობითი, სჯულისდებითი, ადგილობითი და ა. შ.

-**ით** ფორმანტიანი სიტყვები ზედსართავი სახელია და გამოყენებულია მსახლვრელად. -**ით** ფორმანტი ძალზე ხშირად აწარმოებს ზედსართავ სახელებს -**ობა** და -**ება** აფიქსიანი აბსტრაქტული სახელებიდან: განმსახლვრელობითი, გამოსაძრეულელობითი, განმწვალებელობითი, გამომაჩინებელობითი, დამნიშვნელობითი. თანამოსახლეობითი, მოურნეობითი, სიტყვერებითი, მეორძინებითი, სწავლულებითი და ა. შ.

ბ) ვითარებითი ბრუნვის ნიშანი -**ად**. მაგ.: აღორძინებადი, განშორებადი, გრძნობადი, თითოეულადი, შეყვანებადი და ა. შ.

მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმანტებით სახელთა წარმოება ძალზე პროდუქტიულია ფილოსოფიურ-მეცნიერული შინაარსის ნაწარმოებთა თარგმანებში.

2. სადერივაციო აფიქსებად გამოყენებულია სხვადასხვა თანდებული: გან, მიერ, შორის, ქუეშე, ზედა, გამო, შინა, მიმართ.

ა) თანდებულები არსებით სახელთან: არსებისზედა, ადგილისშორისი, მიზეზისგანი, პერიპატომესამო, სახეთაქუეშე, ნივთისშორისი, მწერალთამიერი.

ბ) თანდებულები ზედსართავ სახელთან, მიმღობასთან, ნაცვალსახელთან: მრავალთშორისი, გრძნობადთშორისი, საზოგადოსშორისი, დამბადებელისშორისი, ურთიერთსამიმართი, შესახედავისგანი, მისთამიმართი...

გ) თანდებულები ბრუნვაუცვლელ სიტყვებთან: აქთააცაშინა, გარეშემომსამიმართი, ზემოთგანი.

3. „მოსაკსენებელთა“ ტექსტებში ძალზე ხშირია აბსტრაქტული სახელე-

ბის წარმოება -ობა და -ება აფიქსებით. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან განყენებული აზროვნების გამომხატველი ცნებების გადმოსაცემად ყველაზე ხშირია მათი ხმარება.

-ობა და -ება აფიქსები ერთვიან სხვადასხვა ფუძეს:

ა) არსებით სახელებს: გათავებად, გუამობად, განკიდებებად, მუსიკობად, მატინაობად, ნერბისცხვრობად, განსაზღვრებად...

ბ) ზედსართავ სახელებს: ზომიერებად, ზიარობად||ზიარებად, არსებითობად, გუამოვნებად, ივურღობად, შავობად, თეთრობად...

გ) შიშვლებს: გამომაჩინებლობად, განრეშზომობად, დანიშნულობად, საკმარებად, კმობლობად...

დ) რიცხვით სახელებს: მეორეობად, ცხრობად.

ე) ზმნის პირიან ფორმას: ითქუმიანობად.

ვ) ბრუნვაუცვლელ სიტყვებს: ეგრეთვეობად, ოდესობად, შთამოქუებად, სხუაგნობად, ნუუქუეობად, ხოლომერმეცაობად, ამისრადსმეობად, განობად...

4. მრავალფეროვნებით გამოირჩევა მიმღებობათა წარმოება. ჩვეულებრივ ისინი ნაწარმოებია ქართული ენის ნორმების მიხედვით, ოღონდ ზოგჯერ გარკვეულ თავისებურებას ქმნის ის, რომ ესა თუ ის პრეფიქსი, ან სუფიქსი ისეთ ფუძესთან გამოიყენება, სადაც მოსალოდნელი არ არის. გვხვდება ოდენპრეფიქსიანი, პრეფიქს-სუფიქსიანი და ოდენსუფიქსიანი წარმოება.

ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ი მ ღ ე ო ბ ი ს მ ა წ ა რ მ ო ე ბ ლ ე ბ ი ა :

მ.: მყოფი, მცხოვნი, მიმდგომი, მსუამრი, მმელნობი, მმეტობი, მგუამოვნები...

მ-ალ: მზრახველი

მ-ე: მცოდნეობა

მ-ელ: მმართველი, მღუწელი, განმმართველი, მძრველი

მ-არ: მთავარი

მ-არე: მღებარე

მ-ულ: განყოფილებული, მთავრებული

მა-ელ: განმაწილებელი, გამომაჩინებელი

მო: მოკულადვი, მოზარდი

მო-ე: მოურნე, მოყუარე, მოზიარე

მე-ე: მესხივეობად, მესათნობებე

მე: მეცნიერი

ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი მ ი მ ღ ე ო ბ ი ს მ ა წ ა რ მ ო ე ბ ლ ე ბ ი ა :

-ელ: პერიპატოელი

-ულ: განყოფილებული, განთესილებული, განწვალბებული, გარდარეული, დანიშნული

-ურ: პლატონური

ხა-ელ||ხა-ულ: განსაზღვრებელი, გასაგონებელი, საძიებელი, მისაღებელი

ხა-: საგები, სახედავი, საკმარი, საზარი, საწყისი

ხა-ო: საწყეო, საყოფაქცეო, საგულისზრახვო

ნა-: ნაუბარი

ნა-ევ: ნამიზეზევი

ნე-: ნეშტი, ნერგი, ნესტუ

უ ა რ ყ ფ ი თ ი ფ ო რ მ ე ბ ი

უ-ელ: განუწვალეზელი, გაუდრეკელი, განუშორებელი, უსიტყუელი, უცთომელი

უ-ო: უღონისძიებო, უზიარო, უმცოდო, ორმაგი უარყოფაც გეხვედბა: უგამოუჩინებელი.

5. ძალზე ხშირია კომპოზიტების წარმოება. მეტყველების ყველა ნაწილი გამოყენებულია კომპოზიტების ნაწილებად.

ა) არსებითსახელიანი:

ეაცირემი, ვარსკულავთმრიცხველობამ, ზღაპრისმეტყველებამ, კიბისგუარი, სახისდასაბამი, ნერბისცხური.

ბ) ზედსართავ და არსებითსახელებიანი:

კერძოვირი, მრთელცნობობამ, მრავალმონაგებობამ, მრავალსტიხონი, მართალძგიდე, სახლისჭულობითი, სწორწვეები, კეთილშეზავებულეობამ, კეთილსახეობამ.

გ) ნაცვალსახელიანი:

გასხუაქმებული, იგოვესახელი, თუსმზრახობამ||თუსზრახვამ.

დ) რიცხვითსახელიანი:

სამყურე, სამყუთხი, ოთხძგიდი, პირველქუემდებარე, ექუსკუთხი, ერთკერძომ, ერთსახელი.

ე) სახელზმნური:

გულისხუმისყოფამ, გულისზრახვამ, გულისწყრომამ, სიტყუსმომქმედი, სხეულთმოყუარე, სახელნართაული, მოზავებულ-ყოფამ, მსგავს-ყოფამ.

ვ) ფორმაუცვლელსიტყვებიანი:

კნინოდენი, კუალადქცევითი.

6. ერთი რიგი კომპოზიტებისა ბერძნული კომპოზიტების კალკას წარმოადგენს:

აჩრდილისსახე (σχιοςεἰδής), აჩრდილისწერამ (αχρυρσφια), სხეულთმოყუარე (φιλιοσψαχεος), ღრამმართალი (ψαμწყრψαμιοσ), მუტელწინობამ (πρირψαχεα), სახისდასაბამი (χρχεუსახოს).

ცულდიდება (ახოსიძე:ა), კერძოვირი (ჩმსოსოვ),

კეთილშეზავებულეობამ (ეახრახ:ა), სწორწვეები (იოახჰე:ა),

მრავალთშინამ (ἐν τοῖς πηλ.οῖς), სახისმომქმედი (εἰδησος),

მრავალმონაგებობამ (πλησωνε:ა), მართალძგიდე (ბეჩიყსახოს).

7. ბერძნულის ამა თუ იმ წინდებულის სიტყვებს ქართულში ისეთი შესატყვისები აქვთ, რომელნიც ასევე წინდებულთ ან თანდებულთ არიან გაფორმებული.

ბერძნული ადგილობითი ზმნისწინების ქართულად გადმოცემის საკითხზე სპეციალური წერილი არსებობს კ. დანელიასი [12].

ჩვენი ტექსტის მიხედვით მივეუთითებთ ბერძნულ წინდებულთა ქართულ შესატყვისებს:

ἀ ν ἄ — აღ

ἀναστροφία — აღსიტყუვამ

ἀναστροφία — აღლევამ

ἀναστροφία — აღსასრული

ἀναστροφία — აღსლვამ

ἀναστροφία — აღსიტყუვამ

ἀναστροφία — აღმოცებობამ

- δ ἰ α — გან-||-შიერი||-ძლით
 δίανοια — გავრეხება
 διαπραχάς — განწველებითი
 διάστασις — განფენა
 διάφορα — განყოფილება
 διάκλιτος — ერთმანეთისამიერი
 δι' ἧν αἰεὶ αὖ — მიზეზისა ძლით
- ἐ π ι — -ზელ||ზედა-||-მიმართ||-გან||გა-||-ად
 ἐπιφάνεια — ზელსაჩინოა
 ἐπίστασις — ზელმიწვეწულეობა
 ἐπισκεπτάμαι — ზელმიხილვა
 ἐπισσιώδης — არსებისზედა
 ἐπὶ τὸ εἶδος — სახისამიმართი
 ἐπὶ τῆς μορφῆς — შესახედავისაგანი
 ἐπὶ σακρόμενος — გამცდელი
 ἐπιγραφή — ზელწარწერა
- π ε ρ ἰ — გარე-||-თვს||-ძლით
 περιψεία — გარემოლებობა
 περιφέρεια — გარეშეობა
 περὶ ἔχων — გარეშემცველი
 περιεῖται — მათ ძლით
- π ρ ὀ — წინა-||-პირველ-||გა-||-შინა
 πρόθεσις — წინააღრჩეობა
 προσιμῖον — წინაშესავალი
 πρόβητις — წინაცხად
 προεπισίσμενον — პირველზედმოგონებული
 πρόχειρος — ჯელთაშინა
- π ρ ζ — -მიმართ||-შინა||გან-||-ით
 πρὸς τὰ μετ' αὐτῶν — მისთამიმართი
 πρὸς τὰς...κατηχηρίας — კატელორიათა შინა
 ἀπροσδιόριστος — განუზღერება
 πρὸς γυναικῶν — ნათესაობითი
- σ ὑ ν — თანა-||-შე-
 σύμφεσις — თანდალება||თანდადება||თანდადებული
 συναναρπεῖν, — თანმოსპობვა
 συλλογισμός — შეგულისსიტყუება
- π α ρ ᾶ — -შიერი||-ებრ||წარ-||-ით||თანა-
 παρὰ τοῖς γράφεσι — მწერალთამიერი
 παρὰ ᾧ πιστεύεται — არისტოტელისებრ
 παρὰ μῆκος — ნაწილებითა
 παρὰβίη — თანშეტყუება
- ὑ π ὀ — ქუე-||-ქუეშე||-შიერი||-გან||წინა-||წარ-
 ὑπακείμενος — ქუემდებარე
 ὑποβέλων — ქუეგანმკერძობებელი
 ὑπὸ τὸ γένος — ნათესავისა ქუეშე

- ἄπο τὰ εἰδη — სახეთაქუეშე
 ἄπο τῆς ᾠδῆς — ათინაას მიერ
 ἄπο τοῦ Περιπατητικῶν — პერიპატოელთაგან
 ἄποκειμενον — წინამდებარე
 ἀ π ὶ — აღმო-||გან-||გამო-||და-
 ἀπὸδεიξ — აღმოსაჩენელი||გამოჩენა
 ἀφωρισμένος — გამოსაზღვრება
 ἀπὸθεσις — გარდაცემა
 ἀπὸδεიξ — დასრულება
 μ ε τ ἄ — გარდა-||გარდმო-
 μεταβίβη — გარდაცვალება
 μεταφορᾶ — გარდმოლება
 κ α τ ἄ — -გან||-მიერი||-ებრ||-იერი||-მიმართ||-ად||-ით||მიც. ბრ.
 κατ' αὐτὸν — თვსაგან
 κατ' Ἀριστοτέλην — არისტოტელისმიერ
 κατὰ μέτρα — მართლისაებრ
 κατὰ σήμερον — სიშეაასა მიმართ
 ὅ κατὰ μέτρον — თითოეულადი
 κατ' ἰσχυρίαν — გარდაეულად
 τὸ κατὰ μέτρον — ეერძობითი
 κατ' ἀρχὰς — დაწყებასავე
 ἐν ταῖς κατὰ πλάτωνα — სიერცეთაშორისი

ტექსტში ზშირად დასტურდება რთული წარმოების კომპოზიტები: „მიცემითი-საებრი“ (κατὰ δὲ νομοτέλει); „გარემოასგულამქმნილთასობა“ (κατὰ τὴν ὑφάρμακον); „განწყალბებათაანისაებრ“, „საქუემდებარისაარსებისობა“; „პერიპატოელთაგანთაგანნი“ (ὁ ἀπὸ τοῦ Περιπατητικῶν); „არქუემდებარისშორისობა“ (τὸ οὐκ ἐκ ἀποκειμένου).

გვხვდება რთული წარმოების ნასახელარი ზმნები:

„იუგამოუცდლებს“ (ἰσοπεποιμένους), „ეგიხაროდენებოდელ“ (χαίρειν), „ემატოდმბრძოლა“ (μονομαχία) და ა. შ.

მსგავსი რთული წარმოებანი ხელოვნურია და არც მოიკიდა ფეხი, მაგრამ ტექსტში დადასტურებულ ტერმინთაგან ბევრი შერჩა ქართულ ენას, ისეთი, როგორცაა: არსება, არსი, გვარი, სახე, ქვემდებარე, გრძნობა, საზრისი, ხელოვნება, მეცნიერება, საცნაური, შემეცნება, ყოფა, არყოფა, ბუნებათმეტყველება, განსაზღვრება, განმარტება, დასასრული, ნივთი, ვითარება, აღორძინება, გონიერი, გრძნობადი და სხვა.

8. ტექსტში დასტურდება უთარგმნელად გადმოსული ბერძნული სიტყვები:

კატეგორია — κατηγορία
 ღრამმატიკი — γραμματικός
 სიშეა — σήμερον
 ავლი — ἄλλος
 ეპიფანია — ἐπιφάνεια
 ენტროპია — ἔντροπον
 არითმეტიკი — ἀριθμητική

ევთია — εὐθεία
 ვენიკი — γέννησις
 მორფი — μορφή
 ართრონი — ἄρθρον
 სკლოპიკი — σκλήρυνσις
 პროტასი||პროტასეო — πρότασις
 სტიხონი — στίχος

ღრამში — γρᾶμψ
 მუსიკობა — μουσική
 ტონი — τόνος
 ხრიზმოსი — χρήσιμος
 ეტკმოლოგია — ἐτυμολογία
 არტირია — ἀρτηρία
 ზმილი — ἄμιλιν
 ექსოტერიკია — ἐξωτερική
 დრამატიკოსი — δραματικός
 აპოლიკტიკონი — ἀποδεδειχτός
 პერიერგია — περιεργία
 ექინი — ἐχίνος
 ოსტრილია — ὄστρεον
 არღოს — ἀργός
 ბაროს — βῆρος
 ისალომენოს — ἐισαγήμενος

სკელა — Σκῆλη
 სპონგინი — σπόγγος
 აირი — ἀήρ
 კკენო — κύνος
 ორლანო — ὄργανον
 სქესი — σχῆμα
 დისკლა — δισσάλλαβον
 არტია — ἄρτιος
 პერიტტა — περιττός
 ანალკტიკა — ἄναλυτικά
 აკროამატიკი — ἀκροαματικός
 აპოლიქსი — ἀποδείξις
 პერი ერმინია — Περὶ ἐρμηγείας
 ითიკოსი — ἰθιχόν
 დიალოგია — διαλογικός
 აქსიომატიკა — ἀξιωματικός
 პერისპომენი — περισπόμενον
 პაროქსენომენი — παρῆξόμενον
 კატეფთია — κατ᾽επιεία
 კატობრეა — καὶ τὰ ἀχρῶ

9. ქართულ ტექსტში ძალზე ხშირია ებ-იანი მრავლობითის წარმოება.

ცნობილია, რომ ებ-იანი მრავლობითი საშუალ ქართულში საკმაოდ გავრცელებულია [41], მაგრამ ჩვენს ტექსტში იგი ბევრად ხშირად დასტურდება, ვიდრე სხვა, ამ შინაარსის თხზულებებში. ებ-იანი მრავლობითით ნაწარმოებია:

არსებითი სახელები: სხეულები, უსხეულები, ბიძაები, ძმისწულები, სახელები, ნათესაები, ნაწილაკები, სიტყუები, წიგნები, ასობი, გუედრები, საქმეები, კაცები.

ზედსართავი სახელები:

ზოგადები, უთუსობი, დანიშნულები, საკუთრები, უკუანამსკნელები, კერძობითები, უთუსობი.

ნაცვალსახელები: ესოდენები, რაოდენები, მათგანები, ყოვლები, რაები.

მიზეზობა: მიუწოდებლები, განკიდებულები, აღწერილები, განსაზღვრებულები, მცველები, შემწყნარებლები, განუკუთვლები, გარემომცველები, უცთომელები, ცთომილები.

რიცხვითი სახელები: პირველები და მეორეები.

სხვადასხვა სახის კომპოზიტები: რამსამემიძარები, თანადშემტკიცებულები, თანადგულისხუმისაყოფელები.

ებ-იანი ფორმების წარმოება მაინც არაა გაბატონებული. ტექსტში ქარბობს ნართანიანი წარმოება მრავლობითისა; მეორეც, ერთისა და იმავე შინაარსის წინადადებაში ორივე მრავლობითის ფორმა დასტურდება: „შეგუამებულთაგანი რომელნიმე სხეულნი არიან და რომელნიმე — უსხეულნი“ 34,21: შდრ. „მგუამოვნებნი სხეულბ არიან ანუ უსხეულბ“ 27, სქ. „განყოფილბათაგანი ვიდრემე რომელნიმე არიან განშორბადნი, ხოლო რომელნი-

მე — განუშორებელნი“; შდრ. „განყოფილებათასა რომელთასამე ყოფასა განუშორებადებ, ხოლო რომელთასამე — განუშორებელ“ 73, 7.

„ეინამ არ წინააღმდეგობებ [არიან] სიტყუერი და უსიტყუ“; შდრ. „და-ლათუ წინააღმდეგობა არიან, არარაათ უადგილო არს... მოქმედებით ყოფამ მათი“ 79,16.

„ბუნებით პირველნი საჩუენოდ უკუნაანაკნელებ არიან, ხოლო ბუნებით მეორენი — საჩუენოდ პირველებ“; შდრ. „ბუნებით უპირველესნი მეცნიერებისა ჩუენისათს უუკუნაანაკნელს იქმნებიან და ბუნებით უუკუნაანაკნელს-ნი მეცნიერებისა ჩუენისათს უპირველესად“ 43,10.

ეზ-იანი მრავლობითის შეთანხმების სისუსტეზე მეტყველებს ისიც, რომ გვხვდება ორმაგი მრავლობითის ფორმები:

„სახელებთადა უკუე შორის-მოქმედებამ შეუღლეილ არს... ხოლო სიტყუათადა — ძალი“ 25,9. „გუარებთა სულსა შინა დამარხულთა ეგერა შევე-მეცნიერებით“ 11,31. „აოლიქსებნი“ 99,41. „შემთხუეფითებნი“ 122,29.

ეზ-იანი მრავლობითის ხმარებაში ერთი თავისებურება შეიმჩნევა: ეს ფორმები უფრო მეტად ტექსტის შუა ნაწილშია. წინასიტყუაობაში სულ 5-ოდ შემთხვევა თუა, დანარჩენები კომენტარების შუა ნაწილშია. შემდეგ ისევ ნართანიანი ფორმები გვხვდება, პარალელურად კი ეზ-იანიც.

ეზ-იანი მრავლობითის ფორმების სიუხვე ჩვენს ტექსტს განასხვავებს ამავე პერიოდის ანალოგიური შინაარსის სხვა თარგმანებისაგან.

10. ტექსტს ახასიათებს ყე ნაწილაკის ხმარება. -ყე ნაწილაკი დადასტურებულია დიალექტებში და ძველი ქართულის ზოგიერთ ძეგლში [10, 157; 48, 1—26; 58, 32]. ტექსტში სულ 10 შემთხვევა დადასტურდა -ყე-ს ხმარებისა. ამათგან ექვს შემთხვევაში ერთსა და იმავე ქონა ზმნას ახლავს: აქუსყე. მას აკისრია მიც. ბრუნვაში მდგარი რეალური სუბიექტისა და გრამატიკული ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა.

ერთგან -ყე ნაწილაკი ახლავს რა ნაცეალსახელს. აქ -ყე-ს მრავალგზისობის გამოხატვის ფუნქცია აკისრია:

„აუ უკუე რაოდენად და რადყე მხედველობითი განიწვალების და რამ აქუს დასასრულად, თქუმულთაგან ცხად არს“ 15,25.

-ყე არის შემთხუევა ზმნასთან: „შემთხუოსყე“ 153,15.

ორ შემთხვევაში -ყე ახლავს ჰნებავს ზმნას:

„შემამტკიცებლობითთა ვიეთთამე განყოფილებათა უხუცეს-ყოფამ მათი ჰნებავსყე“ 47,17, „სახელმოღვათა და განყოფილებამცა რამე ჰნებავსყე“ 115,20.

11. მიმართ და მომართ ნაწილაკები ჩვეულებრივ იხმარება ნათესაობითი და ვითარებითი ბრუნვების ფორმებთან: ჩუენდა მომართ, ჰეშმართებისა მიმართ და სხვ., მაგრამ ხშირად მიმართ და მომართ გამარტივებულია და ფუძეს ერთვის -ში და -მო ნაწილაკების სახით: ძაღლისადმი, სახელმი, განზღერებისადმი, უდიდესისადმი, ჩუენდამო, ამისდამი, სახისადმი.

ზოგჯერ ნანათესაობითარი ვითარებითი ბრუნვის -დ ფორმანტიც იკარგება და გამარტივებული ფორმები გვაქვს: ერთისამი, უმრავლესთამი, სიტყუერი-სამი, თქუმულთამო.

12. ორ შემთხვევაში კნინობითის -ა აფიქსიანი სიტყვა დასტურდება. მაგ.: „პითაღორამან მხილველმან ჳაბუჟაჰს [tɪ:və vɛʃɔ]...მეაღლისა მსუამარსა კილო-

სა მეავლეობისასა „შედგომილისამან“ 14,22. ჰაბუკა კინიობითის ფორმაა ჰაბუკ სიტყვისა. ამ მხრივ საინტერესოა C ხელნაწერის კომენტარი. აშიაზე წერია: „ქალი ყმაწვილი“, ე. ი. ამ მინაწერის ავტორისათვის „ჰაბუკა“ მდებარის აღნიშნავს. მაგრამ ძირითადი ხელნაწერის გადამწერი, ან თვით მთარგმნელი „ჰაბუკას“ მდებარად არ აღიქვამდა, რადგან ერთი-ორი ფრაზის შემდეგ იგივე სიტყვა უკვე „ჰაბუკ“ ფორმითაა ნახმარი: „პითალორამან... უბრძანა მას (ე. ი. ჰაბუკას) მცვალბელსა ავლისასა უმკვრცხესობით მეავლეობა და ამისითა ქმნითა დაცხრობად გულისმთქუმელობაჲ ჰაბუკისაჲ მის“ 14,24.

სხვაგან იკითხება: „უწყეთუ სთქუა სამი წინააღმდეგომ ათისა, მაშინ დიდსა და მცირახა მიიღებ და ამის გამო არა არიან წინააღმდეგომებ“ 138,33.

13. ტექსტში დასტურდება ეთნიკური სახელები, რომელნიც ბერძნული გენეტიკის ფორმას იყენებენ ფუძელ: ირაკლიდი Ἡρακλίδης, ეაკიდი Αἰακίδης, პელოპიდი Πειλοπίδης, ტანტალიდი Τανταλίδης.

14. I კავშირებითის მე-3 სუბ. პირის მრავლობითი რიცხვის ფორმები -ოდ საერცობიანი ზნებისა წარმოდგენილია -ოდინ ფორმით: იხილვებოდინ, მოისპობვოდინ, შემტყიცნებოდინ, აღვიდოდინ, ეთუხებოდინ, შემემთხუეოდინ, ითქუმოდინ, მოაკლდებოდინ, განიყოფოდინ, სახელ-იდებოდინ, სრულ-იქმნებოდინ. ერთგან შეგვხვდა -ოდიანი ფორმა: ეზიარებოდინ 108,28.

15. ყურადღებას იქცევს საკუთარი სახელების გადმოცემა. ბერძნული საკუთარი სახელები გადმოტანილია იმ ნორმების დაცვით, რაც დამახასიათებელია ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის [54].

ა) -ოც აფიქსიანი ბერძნული სახელები ჩვეულებრივ გადმოსულია ნომინატივის ფორმით:

არქილოხოს Ἀρχιλοχος, პლუტინოს Πλουτίνος, კლემფროტოს Κλεμφροτος. ეს სახელი გვხვდება „კლემფროტ“ ფორმითაც. როგორც ცნობილია, ასეთ ფორმებს ბერძნულიდან ლიტერატურული გზით შემოსულად თვლიან [54, 90].

გვხვდება -ოც აფიქსიანი საკუთარ სახელთა გენეტიკის ფუძით გადმოტანა. ამას ცოტა ქვემოთ შევხებით.

ბ) -იცი აფიქსიანი ბერძნული სახელები ქართულად ხან ასევე ნომინატივის ფორმით არის გადმოსული, ხან ვოკატივის -ი ფორმა აქვთ ფუძელ:

აპოლონიოს Ἀπολλώνιος, პორფიროს Πορφύριος, პარალელურად გვაქვს პორფირი, ხურისაორიოს Χυρσιωριος, პარალელურად არის ხურისაორი.

ერთგან კი ეს სახელი ასეთი ფორმითაც დასტურდება: ხურისაორიე. როგორც ჩანს, ბერძნული ვოკატივის -ი აფიქსი ფუძეს შეერწყა და ფუძელ აღებულ იქნა „ხურისაორი“. ხოლო შემდეგ, ამ ფუძეს წოდებითში ხელახლა დაერთო -ოც დაბოლოებიან სახელთა ვოკატივის ე-ე აფიქსი. მეორე ადგილას იგივე სახელი „ხურისაორე“ ფორმით გვხვდება წოდებითში. ცხადია, აქ ფუძელ „ხურისაორ“ არის მიღებული. „ხურისაორ“ ფუძე ივარაუდება იმ შემთხვევისათვისაც, როცა იგი ნათესაობით ბრუნვაში გვხვდება: „მასწავლელი იყო ხურისაორისი“ 21,25.

გ) -იცი დაბოლოებიანი საკუთარი სახელები ტექსტში მუდამ -ი დაბოლოებით დასტურდება, რაც, როგორც ცნობილია, ბერძნული ვოკატივის ი-ს ანალოგიით არის გაჩენილი:

ანტისთენი Ἀντισθένης, არისტოტელი Ἀριστοτέλης, ალკივიადი Ἀλκιβιάδης, ისოკრატი Ἰσοκράτης, ორესტი Ὀρέστης, ირაკლი Ἡρακλῆς, ქსენოკრატი Ξενοκράτης.

ერთგან გვაქვს „იპპოკრატის“ ფორმა, — Ἰπποκράτης, ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნით, ასეთი ფორმის წარმოშობა საგულისხმებელია ბერძენ-ქართველთა პირადი ურთიერთობის საფუძველზე, რადგან გამოთქმაში —γς უდრიდა ოს-ს [54, 103].

ღ) —აჲ დაბოლოებიანი სახელები, როგორც ცნობილია, ვოკატივის ფორმით გადმოდის ქართულში. ასეთია ჩვენს ტექსტში სახელი პითაგორა (Πυθαγόρας). ერთგან ნომინატივის ფორმით გვხვდება: ეას Αἶα. მესამე შემთხვევაში კი ვენეტივის ფორმით არქიტო Ἀρχυτῶν, Ἀρχυτᾶν.

ე) —აჲ დაბოლოებიანი სულ ოთხი სახელი გვხვდება. თითოეული მათგანი სხვადასხვანაირად არის ქართულ თარგმანში გაფორმებული.

ა) ზეეს Ζεῦς, ბ) აქილლევი Ἀχιλλεύς. ამ მაგალითში —აჲ დაბოლოების ცთან-ხმოვნითი ნაწილი ჩამოკვეცილია და ერთვის —ე სახ. ბრ. ხმოვანი. გ) მესამე სახელია Ἀρεῦς, რომელიც ორგვარად არის გადმოცემული: არტეო და არტეეს ფორმები გვხვდება. მოვიტანთ კონტექსტს, სადაც ეს სახელი გვხვდება:

„ალამენონ [არს] მამა უკუე ორეტისსა, ხოლო ძე არტეოჲსსა, ხოლო არტეეს მამა ვიდრემე ალამენოჲსსა, ხოლო ძე პელოპოჲსსა“ 62, 25—^o ὁ δ' Ἀγαμέμνων πατήρ μὲν τοῦ Ὀρέσθου υἱὸς δὲ τοῦ Ἀρεῦος ὁ δὲ Ἀρεῦς πατήρ μὲν τοῦ Ἀγαμέμνονος υἱὸς δὲ τοῦ Πέλοπος CA₁ 81, 1.

როგორც ამ კონტექსტში ჩამოთვლილი სახელებიდან ჩანს, ქართულ თარგმანში სახელობითი ბრუნვის ფორმები ფუძედ ბერძნული ნომინატივის ფორმას იყენებენ, ხოლო ნათესაობით ბრუნვაში მათ ბერძნული ვენეტივი აქვთ ფუძედ: „ძე არტეოჲსსა“ (უიხ ზე ოჲს Ἀρεῦας). „ძე პელოპოჲსსა“ (უიხ ზე ოჲს Πέλοπος).

ისეთი მაგალითები, როცა ქართულში საკ. სახელის ფუძედ ბერძნული ვენეტივია აღებული, სხვაგანაც დასტურდება. მაგ.: „უმიროჲსი [გუეგულვოს დანიშნეაჲ“ 22,7 (გენეტ. Ὀμῆρῶς). „შეეწევის... არა ხოლო არისტოტელის „კატილორიათა“ ზედა, არამედ არქიტოჲსთაცა“ 24, 30— Ἀρχυτᾶν, გენეტ. Ἀρχυτᾶν. „სოკრათი არს ძე ხოფრონისკოჲსი“ 47,3 — Σοφορῶναος, გენეტ. Σοφορῶναος; „ხოფრონისკოჲსა მამა-ყოფსა“ 167, 21. „ვიტყოლითქინდაროს თივოელად“ 41, 30— Πυθαγόρας, გენეტ. Πυθαγόρας (შესაძლებელია, აქ გრაფიკული შეცდომის გამო ერთი ხ გამორჩენილი იყოს).

„თქუმის ოდისსეოჲს შორის ბრძკლი“ 51, 11— Ὀδυσσεύς, გენეტ. Ὀδυσσεύς. „თემისტიტოჲსსა“ 170,3— Θεαιχῶν, გენეტ. Θεαιχῶν..

საკუთარი სახელების ბრუნება ძირითადად ძველი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით ხდება ბრუნვის ნიშანთა გაფორმების მხრივ. მაგრამ ზოგჯერ ახალი ენობრივი ნორმებიც დასტურდება.

აღამიანთა საკუთარი სახელების წრფელობითის ფორმას ზოგჯერ ენაცვლება სახელობითი:

სოკრათი||სოკრატ; პლატონი||პლატონ.

საკუთარი სახელი მოთხრობით ბრუნვაში ხშირად ფუძის სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ ზოგჯერ —მან ფორმანტიც დაერთვის.

„შემოიხუნა არისტოტელი“ 47,24, მაგრამ „არისტოტელმან აღწერა“ 20,6.

„თქუა არისტოტელი“ 135,1, „არისტოტელმან წარმოთქუა“ 38,3.

„პორფირი თქუა“ 24,1, „წარმოთქუა პორფირმან“ 29,29.

„კმანი იქუმინა არისტოტელმან“ 50, 2. „პითალორამან... უბრძანა“ 14,22.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა, რომ —ღვ დაბოლოებიან ბერძნულ სახელებში, რომლებიც მწიგნობრული გზით შემოსულად ითვლება, ერთი შემთხვევაც არ დადასტურდა მოთხრობითი ბრუნვის —მან ფორმანტი გაფორმებისა.

ბერძნულიდან შემოსულ საკუთარსა თუ გეოგრაფიულ სახელებში დასტურდება ის ბგერათშესატყვისობანი, რაც X—X:II სს. ნათარგმნ ქართულ ტექსტებში აღნიშნულია ნ. მახარაძის მიერ [29].

15. თარგმანში საკმაოდ ხშირად დასტურდება სა-ო აფიქსებით ნაწარმოები სახელები, რომლებიც დანიშნულებას, კუთვნილებას გამოხატავენ, განხეავებით ამავე აფიქსებით ნაწარმოები მომავალი დროის მიმღებობისაგან.

დანიშნულების გამოსახატავად სა-ო აფიქსები დაერთვის:

ა) არსებით სახელებს: სასოკრატოსოდ, სასივრცისებოდ.

ბ) ნაცვალსახელებს:

„ბუნებით პირველი საჩუენოდ უკუანამსკნელებ არიან, ხოლო ბუნებით მეორე — საჩუენოდ პირველებ“ 42,37.

იგივე აზრი მომდევნო წინადადებაში ასეა გამოხატული: „ვინაჲცა ბუნებით უპირველესნი მეცნიერებისა ჩუენისათჳს უუკუანამსკნელეს იქმნებიან და ბუნებით უუკუანამსკნელესნი მეცნიერებისა ჩუენისათჳს უპირველესად“ 43,9.

„შეისმინების სიარული, რომელი სამისოდ ითქმის“ 67,32. „ვითარცხად-ჰყოფს ამას მოქმედიცა ოდესსეოამსთჳს სამისოთა შემთხუევიტოთა ათინამს მიერ გარდაცვალებასა მეტყუელი“ 72,30. სამისოდ 117,22. სამათოდ 131,27. სავისოდ 130,26. საარარამსოდ 136,17. ხარომელთოდ 136,25.

გ) რიცხვით სახელებს:

„ხოლო განეკუნებიან საერთისონიცა“ 48,12. „ხოლო საერთოდ შესასმენელი განკერძობითათჳსცა შეისმინებიან“ 48,18, „ხოლო-დამნიშნელობითთაგანნი რომელნიმე საერთისოდ ითქუმიან ყოფად, ...ხოლო რომელნიმე — სამრავლოდ“ 48,27. „ითქუმიან... ნათესავნი საორთავეოდ“ 136,23. „არს ნათესავობითისაცა მიმართ არა საერთოდ, არამედ სამრავლოდ განჩენიამ“ 70,6.

დ) მიმღებებს: სამისშესმენისოდ 121,14. საგანუკუეთელთოდ 136,19, 16. ქართულ თარგმანში საკმაოდ ხშირია სხვათა სიტყვის —ო-ს ხმარება. —ო ხან წინადადების შუაში ერთვის სახელს ან ზმნას, ხან ბოლოში მოქცეული: „კეთილად სადმე დართულ არს საზღვრისადა, რაოდენ ძალ-უცო კაცსა“ 5,36.

„ვითარ ვიტყოდით, კეთილ არსო სიმართლემ“ 23,8.

„დალათჳ ვინმე ყოველთა მყოფად უწოდოს, თანმოსახელედ უწოდოსო, იტყვს, და არა ერთსახელად“ 64,37.

„რამეთუ ესეცა მასვე ცხად-ჰყოფს, ვითარცა ნათესავისადო“ 89,21.

17. თარგმანის ენის თავისებურებას წარმოადგენს წინდებულის და კავშირის ადგილის შეცვლა. ნაცვლად იმისა, რომ წინდებული თავში მოუდიოდეს სიტყვას, იგი მოსდევს მას. ზოგჯერ კავშირიც გადაადგილებულია წინადადების ბოლოს. მაგ.:

„აწსა შინა მივსტეთ ჟამსა ბრალობაჲ თითოეულისა საზღვრისა წარმომეტყუელთა, ვალ გარდა ხუთთა ანუ მცირედ წამართ წარმოთქუმაჲ“ (4, 26). ვალ გარდა აბჳ ჯრჳს კალკა ჩანს. გარდა წინდებული აბჳ-ს. ფარდია, „ხოლო ვალ არის ჯრჳს შესატყვისად. აბჳ ჯრჳს მნიშვნელობა: „საჭიროობის ვარეშე“, „საკმა-

რისია“. ვალ გარდა‘ც იმავეს უნდა ნიშნავდეს. ვფიქრობთ, რომ აქ გამოყენებულია ვალ სიტყვა, რომლის მნიშვნელობაა: ვალი, თანანადები, საჭირო. გარდა წინდებულს გამომრიცხავი მნიშვნელობა აქვს. ამრიგად, ვალ გარდა ნიშნავს: ვალის გარეშე, საჭიროების გარეშე, რაც იგივეა, რაც „საკმარისია“.

როგორც ჩანს, მთარგმნელმა გარდა წინდებული შეგნებულად გადაადგილა იმ მოსაზრებით, რომ კონტექსტისათვის შეუფერებელი მნიშვნელობის „გარდავალ“ ზმნა არ მიეღო¹. შემდეგ:

„ორნი კანონნი არიან ბუნებით უპირველესთანი: თანამოსსპობელობა ვოდრემე, არ თანმოსსპობილობაა ზოლო, და თანშემოტანებაა ვოდრემე, არ თანშემოტანებულობაა გატნა“ 83,35. „აწ სადამე ყოველთა მყოფთა არსებაა შეიცავს გარე“ 19,5.

¹ ეგვეე სიტყვა დადასტურდა ილარიონ პალესტინელის მეტაფრასტულ ცხოვრებაში (ხელნაწერები: A 1053, XII ს. და S 1276, XIII ს.), რომელსაც გამოსაცემად ანზადებს ხელნაწერთა ინსტიტუტის უფრ. მეცნ. თანაშრომელი ნ. გოჯუაძე.

ამონიოს ერმისის „მოსაჯსენებელთა“
მსოფლმხედველობრივი საკითხები

თ ა ვ ი I

ფილოსოფიის რაობა და განსაზღვრებანი

ამონიოსის პირველი თხზულების, „მოსაჯსენებელი „ხუთთა კმათადმი“ პორფირი ფილოსოფოსისათას“, ვრცელ წინასიტყვაობაში, რომელსაც საკითხთა ანალიზით სრულიად დამოუკიდებელი ხასიათი აქვს, განხილულია ფილოსოფიის რაობა და მოცემულია მისი განსაზღვრებანი. იძლევა რა ფილოსოფიის არსის, მისი ქეშმარიტების მტკიცებას, ამონიოს ერმისი უარყოფს აგნოსტიკოსთა და სკეპტიკოსთა შეხედულებას, რომ ცოდნის, შემეცნების გზით შეუძლებელია სამყაროს წვდომა, რომ ფილოსოფია არ არის გზა ამისკენ.

ანტიკური ტრადიციის მიხედვით, რომელსაც ამონიოს ერმისიც იზიარებდა, ყოველი ცოდნის ამოსავალი პრინციპები ფილოსოფიაში იყრის თავს. ფილოსოფია არის ის უზოგადესი ფენომენი, რომელიც დასაბამს აძლევს მეცნიერების ყველა დარგს. სამყაროს შეცნობის პროცესში ფილოსოფიის პრიმატის აღიარება მოითხოვდა მკაცრად განსაზღვრულიყო მისი ბუნება და ის ნიშნები, რითაც ფილოსოფია ხასიათდებოდა.

რა არის ფილოსოფია, რას შეისწავლის იგი, რა მიზანი აქვს მას? — საკითხთა ამ წყებაში ამონიოს ერმისის მიერ წამოყენებულია ფილოსოფიის თავისთავადობის, სუვერენობის პრობლემა, რაც ძალიან შორს დგას ფილოსოფიის, როგორც „თეოლოგიის მხეელის“, სქოლასტიკური გააზრებისაგან. ფილოსოფიის ამონიოსისეული დეფინიცია კლასიკური (ელინური) ფილოსოფიის ნააზრების ტრანსფორმაციას წარმოადგენს. იქ ჯერ კიდევ არ ჩანს იოანე დამასკელის, თომა აქვინელის, ქართულ სინამდვილეში ეფგრემ მცირის მიერ ფილოსოფიის ქრისტიანიზაციის ტენდენციები [162].

ფილოსოფიის განსაზღვრებანი ამონიოსის შრომაში სინკრეტული ხასიათისაა. მის მიერ თავმოყრილია პითაგორას, პლატონის, არისტოტელეს შეხედულებანი ფილოსოფიაზე. განსაზღვრებათა კლასიფიკაციის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყოფილია ორი ნიშანი: „რამ უც ქუედ ფილოსოფოსობასა და რამ არს დასასრული მისი?“ ანუ დღევანდელი ქართულით: რა არის ფილოსოფიის საგანი და რა მიზანი აქვს მას? თუ ცალკეული მეცნიერებანი კონკრეტულ საგნებსა და მოვლენებს შეისწავლიან, ფილოსოფიის ამოცანა ზოგადისა და საყოველთაოს შესწავლაა: „ფილოსოფოსობამა ყოველთავე მყოფთათს შთამოვალს, ხოლო დასასრულად აქუს არა ქმნამ მათი, არამედ ცოდნამ ამათი“ 4,22.

ფილოსოფიის სხვადასხვა განსაზღვრებათაგან, ავტორის სიტყვებით, შერჩეულია ექვსი განსაზღვრება. ამონიოსი სათითაოდ განიხილავს მათ, მიუთითებს წყაროს, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის განსაზღვრება. მისთვის ცნობილია, რომ „არიან უკუე სხუანიცა განსაზღვრებანი ფილოსოფოსობისანი“, მაგრამ ამჟერად „კმა ესენი“ 10,38.

ფილოსოფიის ექვსი განსაზღვრება ასეთია:

1. „ფილოსოფოსობაა არს მეცნიერება მყოფთა, უკუეთუ მყოფნი არიან“ 4,31. ამ განსაზღვრებით ხაზგასმულია, რომ ფილოსოფია, განსხვავებით სხვა მეცნიერებათაგან, სწავლობს ზოგად არსებულს, საყოველთაოდ მყოფს. ცალკეული და კონკრეტული სხვადასხვა მეცნიერებათა ობიექტია.

2. „ფილოსოფოსობაა არს მეცნიერება საღმრთოთა და კაცობრივთა საქმეთა“ 5,3. ეს განსაზღვრებაც დაახლოებით იმავე შინაარსისაა: ფილოსოფია სწავლობს როგორც ღვთაებრივს, ისე ადამიანურ ზოგადს, იმატერიალურსა და მატერიალურს.

ამონიოსის ქართულ თარგმანში, ასევე რამდენსამე ბერძნულ ხელნაწერში, ამ ფორმულირების ავტორად გამოცხადებულია პლატონი, ხოლო რამდენსამე ხელნაწერში — პითაგორა. შესაძლებელია, ეს განსაზღვრება გარკვეული სახეცვლილება იყოს პლატონის გამონათქვამისა მუზეზის შესახებ, რომლებიც ზიარებული არიან ღვთაებრივსა და კაცობრივ მოძღვრებებს [125,197].

3. „ფილოსოფოსობაა არს მსგავსება ღმრთისა, რაოდენ ძალ-უც კაცსა“ 5,12. ეს ფორმულირება პლატონის ცნობილი კვალიფიკაციაა, რომელსაც იგი აძლევს ფილოსოფოსს. ფილოსოფოსი ყოვლისმცოდნეობას მიეღწევი. ისევე, როგორც ყოვლისმცოდნეა ღმერთი. ფილოსოფოსი ზრუნავს უსრულსა და უმეცარ სულზე ისე, ვით ღმერთი ზრუნავს ყოველივეზე და განაგებს ყოველივეს. სხვადასხვანაირია ღმერთისა და ადამიანის ყოფიერება და სრულება. ადამიანის ფუნქციური მიმართებანი ორგვარია: თეორიული და პრაქტიკული. ამიტომაც მიეღწევის ფილოსოფოსი უზრუნავის მსგავსად სრულყოფას თეორიულსა თუ პრაქტიკულ სფეროში [35,289], ოღონდ იმდენად, რამდენადაც „ძალ-უც კაცსა“.

4. „ფილოსოფოსობაა არს წურთა სიკუდილისა“ 6,10. ეს პლატონის ცნობილი გამონათქვამია დიალოგიდან „ფედონი“. „წურთა სიკუდილისა“ ვერცადა არის კომენტარებული ამონიოსის მიერ. ფილოსოფოსი მსჯელობს იმაზე, თუ როგორ უნდა გავიგოთ „წურთა სიკუდილისა“. იგი არ ნიშნავს სიკვდილის, თვითმკვლელობის აპოლოგიას. პლატონის აზრი ციტირებულია სულისა და ხორცის შეერთებისა და სიკვდილით მათი კავშირის დახსნის გაგების მიზნით. ორგვარია სულისა და ხორცის კავშირი: ბუნებრივი და წინააღრჩევითი (განგებით გაპირობებული). ორგვარია მათი დახსნაც: ბუნებრივი სიკვდილი და წინააღრჩევითი ანუ ნებელობითი სიკვდილი. წინააღრჩევით სიკვდილს, თვითმკვლელობას, გამოირიცხავს ფილოსოფოსი. მას მოჰყავს კალიმაქეს ლექსი. ამ ლექსში კალიმაქე წერს ვინმე ჰაბუკ კლეომეროტის ამერაკიელზე, რომელმაც პლატონის „ფედონის“ „წურთა სიკუდილისა“ პირდაპირი აზრით გაიგო და თავი უფსკრულში გადაიჩიხა:

„არქუ: მზეო, ძნობდი, კლემეროტ ამერაკელმან,
შთაქრილმან მალლით ზღუდით ჭოჯონხეთადმი,

არარას ძვრსა სიკუდილის ღირსსა მენებმან,
გარნ ერთს პლატონის წიგნს მკურებმან „სულიძლითსა“ 6,20.

„წურთაჲ სიკუდილისაჲ“ ნიშნავს ფილოსოფოსის ზრუნვას, განწმენდი-
თა და სიკეთე-ქველმოქმედებით სული დახსნას ზორცის, მატერიის საპყრო-
ბილეს. ბუნებრივი სიკვდილისაგან განსხვავებით, „წურთაჲ სიკუდილისაჲ“
არის წინასწარარჩეული გზა კათარზისისა, ქვეშარიტი ფილოსოფოსობისა.

5. „ფილოსოფოსობაჲ არს კელოვნებაჲ კელოვნებათაჲ და ზედმიწევნუ-
ლობაჲ ზედმიწევნულობათაჲ“ 8,16.

ეს ფორმულირება არისტოტელეს ეკუთვნის. ფილოსოფია ყოველგვარ
მეცნიერებაზე მაღლა დგას. ამ განსაზღვრების არგუმენტირება მრავალ საინ-
ტერესო დაკვირვებას მოიცავს მეცნიერებისა და ხელოვნების განსხვავებაზე,
კვადრივიუმსა და ტრივიუმზე, გეომეტრიის, ასტრონომიის, მუსიკის, გრამატი-
კისა და სხვათა საგანზე. ამონიოსის ქართულ ტექსტში ამ ადგილას დასტურ-
დება მთელი რიგი მათემატიკური წესები, ასტრონომიულ-არქიტექტურული,
სამედიცინო-გრაამატიკული თუ სხვა მეცნიერული ტერმინოლოგია. რა მიმარ-
თება აქვს ფილოსოფიის მეცნიერებებთან? „ყოველთა ზედმიწევნულობათა
(ე. ი. მეცნიერებათა — მ. რ.) და კელოვნებათა ფილოსოფოსობაჲ მისცემს
დასაბამთა“ 8,36. ფილოსოფია შეისწავლის იმ ზოგად მოვლენებს, რომელთა
კონკრეტული გასაგნება ცალკეულ დისციპლინებში ხდება. ფილოსოფია ქმნის
ანალიზისა და მტკიცების იმ მეთოდოლოგიურ საფუძველს, რომელზედაც
დაეშენებიან ცალკეული მეცნიერებანი.

6. „ფილოსოფოსობაჲ არს სიყუარული სიბრძნისაჲ“ 10,23. ეს განსაზღვრე-
ბა პითაგორას ეკუთვნის. ამონიოსის შენიშვნით, იგი გაპირობებულია მიზნით, რა
მიზანს ემსახურება ფილოსოფია. ამ განსაზღვრებაში სიტყვის ეტიმოლოგიური
მხარეა ნაგულისხმევი: φιλοσωφία—სიბრძნის სიყუარული. ამდენად, ფილოსო-
ფოსი გულისხმობს ბრძენს.

ასეთია ფილოსოფიის ექვსი განსაზღვრება ამონიოსის შრომაში. თითოე-
ული განსაზღვრების ნათესაყოფად ფილოსოფოსს უხევი მასალა მოაქვს. იგი
ცლილობს იმის დამტკიცებას, რომ მხოლოდ ფილოსოფიის გზით შეიძლება
ყოველივე არსებულის შეცნობა.

ფილოსოფიის დასახელებული ექვსი განსაზღვრება დასტურდება ალექსან-
დრიული სკოლის სხვა მოღვაწეთა შრომებშიც. დავით უძღვეელი, იოანე
ფილოპონი, ელიასი — ფილოსოფიის ისეთსავე დეფინიციებს იძლევიან, რო-
გორც ამონიოს ერმისი [171, 156—223; 174, 430; 187; 211].

ფილოსოფიის დეფინიცია ექვსი დებულების სახით საერთოა ალექსანდ-
რიული სკოლის წარმომადგენლებისათვის. ამ სკოლაში მოხდა მათი მოდე-
ლირება მაინცდამაინც ექვსი და არა მეტი ან ნაკლები ნიშნის მიხედვით. ალექს-
ანდრიულ სკოლაში გამომუშავებული ტრადიციის ფილოსოფიის დეფინიცი-
ისა შეთვისებულ იქნა მომდევნო საუკუნეთა მოღვაწეთა მიერ. ასე მაგალითად,
ეს განსაზღვრებანი ქრისტიანულ-ფილოსოფიურ აზროვნებაში დაამკვიდრა
იოანე დამასკელმა, შეიტანა რა ისინი თავის ცნობილ „დიალექტიკაში“.

თ ა ვ ი II

მეცნიერებათა კლასიფიკაცია

ამონიოს ერმისი ყურადღებას ამახვილებს ფილოსოფიის მიმართებაზე მეცნიერებასთან. მის მიერ მოცემულია მეცნიერებათა კლასიფიკაცია. მეცნიერება ფილოსოფიისაგან დიფერენცირებული არ არის. მათი გამოიყვნა ჯერ კიდევ მომავლის საქმეა. მეცნიერების ყოველი დარგი ფილოსოფიად ცხადდება. ყოველგვარი ცოდნის ამოსავალი პრინციპები ფილოსოფიაში იყრის თავს, ვინაიდან ყოველგვარ ცოდნას ფილოსოფია აძლევს ზოგად მეთოდოლოგიურ საფუძველს. ცალკეული დარგის მეცნიერება ჯერ კიდევ არ არის გაფორმებული დამოუკიდებელ დისციპლინად. ფილოსოფიისა და მეცნიერებათა მიმართების ასეთი სურათი მომდინარეობს ანტიკური ფილოსოფიიდან. პლატონს, არისტოტელეს, სტოელებს, სხვებსაც მეცნიერება ესმოდათ ერთიანი, დაუნაწევრებელი ფენომენის სახით [113, 44—50].

არადიფერენცირებული მეცნიერების აღიარება ტიპური იყო შუასაუკუნეობრივი აზროვნებისთვისაც. ფილოსოფიისა და მეცნიერებათა სხვადასხვა კლასიფიკაცია ხასიათდებოდა სპეციფიკურობითა და ინდივიდუალობით, რაც ეპოქის სააზროვნო პროგრამით იყო გაპირობებული [199].

ალექსანდრიული ნეოპლატონიზმის წარმომადგენლები: ამონიოს ერმისი, დავით უძლეველი, ელიასი მეცნიერებათა თითქმის ერთნაირ კლასიფიკაციას იძლევიან.

ფილოსოფიის დაყოფას ვხვდებით ქრისტიანობის პატრისტიკული პერიოდის მოაზროვნეთა მოძღვრებაში. ცნობილია, რომ გრიგოლ ნაზიანზელი ფილოსოფიას სამ ნაწილად ყოფდა [19, XLIV].

ალექსანდრიელ ფილოსოფოსთა სისტემას მოგვიანებით იმეორებს იოანე დამასკელი [17, 172]. მეცნიერებისა და ხელოვნების დარგების კონსტანტაციას ვხვდებით დანტესთან.

მხედველობითი, საქმიითი და განმსიტყველობითი ფილოსოფიის შესახებ მსჯელობს იოანე პეტრიწი თავის „განმარტებათა“ ბოლოსიტყვაობაში. მხედველობითი ფილოსოფიის დარგთაგან იგი გამოყოფს ასტრონომიას, გეომეტრიას და არითმეტიკას [19, 224].

ფილოსოფიისა და მეცნიერების მიმართების საკითხი, რომელიც დაკავშირებული იყო თეორიული აზროვნებისა და პრაქტიკის, ცდის შეპირისპირებასთან, ძალზე მნიშვნელოვანი და სერიოზული საკითხი იყო მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, სანამ ცალკეული მეცნიერება, თავისი სააზროვნო არსენალი და კვლევის ობიექტით გაპირობებული, ცალკე, დამოუკიდებელ დისციპლინად არ ჩამოყალიბდა. ამ საკითხზე ვრცელი ლიტერატურა არსებობს და საკითხის ისტორიაზე სიტყვის გაგრძელება ძალზე შორს წაგვიყვანდა [129; 113]. ჩვენი მიზანი უფრო კონკრეტულია: წარმოვადგინოთ მეცნიერებათა ის კლასიფიკაცია, რომელიც ამონიოს ერმისის მოძღვრებაში დასტურდება.

ფილოსოფია, ამონიოს ერმისის მიხედვით, ორ ნაწილად იყოფა: ერთია მხედველობითი, ანუ თეორიული ფილოსოფია და მეორე საქმიითი, ანუ პრაქტიკული ფილოსოფია.

თეორიული და პრაქტიკული იყო ძველი ბერძნების მეცნიერებანი. თეორია, მჭვრეტელობა, აზროვნებითი სფერო უპირისპირდებოდა პრაქტიკას, ცდას, ემპირიას. ასე გამოჩნა ხელოვნება და ცდა არისტოტელემ. მეცნიერება და ხელოვნება უპირისპირდება ხელოსნობასა და ემპირიას [95,29]. ეს უკანასკნელი გაცილებით ნაკლები ღირსებისაა, ვიდრე თეორია, მჭვრეტელობა.

ძველი ბერძნისთვის შესამეცნებელი სახილველის ანალოგია იყო. *Μεσσηα* ჰერეტას, გონებით ხელვას წარმოადგენდა, *ἔξῃ* და *εἰς* სახილველს, შესახედავს ქმნიდა [96, 12].

ფილოსოფია და თეორიული მეცნიერებანი უპირისპირდებოდა ფიზიკურ შრომას და დაფასებული იყო თავისთავად და არა პრაქტიკული მიზნებისთვის. არისტოტელესა და პლატონის მიხედვით, ფილოსოფია არის მოცალეობა, რომელსაც გაკვირვების საფუძველზე აღმოცენებული ძიება წარმოშობს [95,69].

ამონიოს ერძისის „მოსაჯსენებლებში“ გვხვდება მსჯელობა იმაზე, არის თუ არა ლოგია ფილოსოფიის ნაწილი, თუ იგი მხოლოდ იარაღია ფილოსოფიისა.

რაგორც ცნობილია, შუა საუკუნეებში და უფრო ადრეც, ლოგიკისა და ფილოსოფიის მიმართება სხვადასხვანაირად იყო გაგებული. ზოგი ლოგიკას ფილოსოფიის ნაწილად თვლიდა, ზოგი კი მას ფილოსოფიის დამხმარე დარგად, იარაღად მიიჩნევდა [131].

მხედველობითი და საქმითი ფილოსოფიის გვერდით ლოგიკის აღიარება, როგორც ფილოსოფიის ნაწილისა, უცხო იყო თვით ლოგიკის მამამთავრისთვის. არისტოტელეს კლასიფიკაცია, როგორც ცნობილია, ასეთი იყო: თეორიული, პრაქტიკული და შემოქმედებითი [96,83]. ლოგია თეორიულ ფილოსოფიაში იგულისხმებოდა, მაგრამ იგი არ ახსენებს ლოგიკას. ამით იყო გაპირობებული, რომ პერიპატელები ლოგიკას მიიჩნევდნენ არა ფილოსოფიის ნაწილად, არამედ იარაღად [126].

ქრისტიანული რელიგიის ფილოსოფიაში, კერძოდ გრიგოლ ღვთისმეტყველთან, ლოგია აღიარებულია ფილოსოფიის ნაწილად: „ფილოსოფოსობაა ნამდუღვე მალალი იგი და აღმართმავალი, რაოდენი საქმითი და განწყობითი, და რაოდენი სიტყუათგამოჩინებითი და წინადადებითი და განწყობითი, რომელსა სიტყუსგებითად სახელსდებენ“ (A 16, 288v).

„საქმითი“ და „ხედვითი“ ფილოსოფოსობის გვერდით დასახელებულია „სიტყუსგებითი“ ფილოსოფია, რომელშიც ლოგია იგულისხმება. გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა შემეცველ სხვა ხელნაწერში, A 109-ს სქოლიოში (გვ. 55) ნათქვამია: „სამსახედ განაჩინებენ ფილოსოფოსობასა: ხედვითად და საქმითად და სიტყურებითად, ხოლო ვიეთნიმე ორღანოებითადცა“. აქაც ლოგია ფილოსოფიის ნაწილად არის გამოცხადებული. „სიტყურებითი“ „ხედვითის“ და „საქმითის“ გვერდით არის, მაგრამ ავტორი შენიშნავს, რომ ვიეთნიმე „ორღანოებითად“ მიიჩნევენ მას. სქოლიოს ავტორი, რომელიც ან თვითონ გრიგოლ ღვთისმეტყველია, ან მისი ქართველი მთარგმნელი ეფრემ მცირე, კარგად არის გააკვეული იმაში, რომ ზოგი ფილოსოფოსი ლოგიკას ფილოსოფიის ნაწილად თვლიდა, ზოგი კი მის იარაღად.

საინტერესოა, რომ „სიტყურებითი“ ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ „დიალექტიკაში“ თეორიულ ფილოსოფიაში შედის: „ხედვითი იგი განიყოფების სიტყურებითად და სწავლულებითად და ბუნებათმეტყუელებითად“

[17,172], მაგრამ ტექსტის შემდგომი გააზრება არ იძლევა ლოგიკის ცალკე გამოყოფის საშუალებას. იმის შემდეგ, რაც ეფრემ მცირე ლოგიკის ახსენებს, მომდევნო პასაჟში გაანალიზებულია ლეთისმეტყველება, ფიზიოლოგია და მათემატიკა. როგორც ჩანს, ამ ადგილას ტექსტობრივ ცდომილებასთან გვაქვს საქმე. „სიტყვერებითის“ ნაცვლად უნდა ყოფილიყო „ლეთისმეტყველებითი“, რომელიც ჩვეულებრივად თეორიული ფილოსოფიის პირველ ნაწილად იყო მიღებული.

ამონიოსის თხზულებაში რამდენჯერმე გვხვდება მსჯელობა ლოგიკის თაობაზე, ფილოსოფიის დაყოფაზე. ერთგან ლაპარაკია ფილოსოფიის სამ ნაწილზე: 1) მხედველობითზე, ანუ თეორიულზე, 2) საქმითზე|მოქმედებითზე, ანუ პრაქტიკულზე, 3) სიტყვისგებითზე, ანუ ლოგიკაზე.

ტექსტში წერია: „რამეთუ განიწვალების, ვითარცა ზემოგამოჩინებულ არს, ვიეთებრმე უკუე ორად, ხოლო სხუათაებრ სამად“ 11,16. „ზემოგამოჩინებულ არს“ ნიშნავს: როგორც ზემოთ ვაჩვენეთო. მოსალოდნელია, რომ ტექსტში მანამდე უნდა ყოფილიყო მსჯელობა ამ საკითხზე, მაგრამ მანამდე ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი. ამიტომ ეს ადგილი ბუნებრივად არ გამოიყურება კონტექსტში. ცხადია, აქ გვიანდელ ჩანართთან გვაქვს საქმე.

მაშასადამე, ეს ერთადერთი ადგილი, სადაც ლოგიკა ფილოსოფიის ნაწილად არის აღიარებული, ამონიოსის შეხედულებას არ გამოხატავს.

ამონიოსი ფილოსოფიის ორგვარ დაყოფას აღიარებს: „განიწვალების უკუე ფილოსოფოსობაა... მხედველობითისა მიმართ და საქმიისა“ 12,5.

ამონიოსის შეხედულებით, ლოგიკა არ არის ფილოსოფიის ნაწილი, იგი იარაღია მხოლოდ ფილოსოფიისა. იგი საგანგებოდ მსჯელობს ამ საკითხზე, როცა პორფირის წიგნის რაობას აცნობს მკითხველს.

ამონიოსი აღნიშნავს, რომ პორფირის წიგნი სამი ნაწილისაგან შედგება: რომელთაც წინ უძღვის წინასიტყვა. შინაარსით ეს წიგნი ლოგიკური შრომა არისო: „სიტყუთისა ორღანოხსა მიმართ ფილოსოფოსობისაჲ აღიყვანების წინამდებარე ესე წიგნი“ 22,26.

მაშასადამე, ავტორის აზრით, ლოგიკა ფილოსოფიის „ორღანოჲ“ არის. იგივე აზრი ცოტა ქვემოთ უფრო კატეგორიულად არის გამოცხადებული: „სიტყუთი არა კერძოდ ფილოსოფოსობისაჲ, არამედ ორღანოჲ არს, ვითარცა სხუათა შინა ვაჩუენოთ“ 22,32. ლოგიკა ფილოსოფიის იარაღია მხოლოდ, ამის მტკიცებას სხვა თხზულებაში გვაძრებდა ავტორი.

ავტორის ეს დაპირება — „სხუათა შინა ვაჩუენოთ“ — იმით არის საყურადღებო, რომ მსგავსი გამონათქვამები ლოგიკის შესახებ აქვთ დავით უძღველსა და ელიასს. დავით უძღველი ლოგიკის შესახებ მსჯელობას გვაძრებდა არისტოტელეს „კატეგორიების“ განხილვისას, ელიასი — „ანალიტიკის“ განმარტებებში, ხოლო ამონიოსი არ ასახელებს იმ შრომას, მხოლოდ შენიშნავს: სხვაგან ვაჩვენებო. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ადგილის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია გახდა საფუძველი „ანალიტიკის“ კომენტარების ავტორის ვინაობის დასადგენად [93,276—280].

ვფიქრობთ, რომ ამონიოს ერმისმა თავისი დაპირება „კატეგორიების“ კომენტარებში შეასრულა. ამ ნაწარმოებში ორგან არის საუბარი ფილოსოფიის შემადგენელ ნაწილებზე. 103,25-ზე ლაპარაკია ხედვითსა და საქმით ფილოსოფიაზე, ხოლო უფრო ადრე, საუბარია რა მეცნიერებათა დარგებზე, როგორც აკროამატიკის სფეროზე, ნათქვამია: „აკროამატიკათაგანნი რომელნიმე

უკვე არიან ხედვითნი და რომელნიმე საქმითნი, ხოლო რომელნიმე ორღანებანი“ 98,38.

„ორღანებრის“ ქვეშ იგულისხმება ლოგია. სხვაგან განმარტებულია „ორღანებრის“ ამოცანები: „ორღანებრთავანი რომელნიმე დასაბამითაჲს ღონისძიებათა, ხოლო რომელნიმე სხუათამიმართათჲს ღონისძიებისა მიმართ შემასრულებელთა: აპოდოქტიკა ვიტყუ“ 99,8.

ორღანებრი მეცნიერება მიუთითებს გზებსა და მეთოდებზე, ასეთი კი არის მტეიციება ანუ აპოდოქტიკა.

ამრიგად, ამონიოსის მიხედვით, ლოგია იარაღია ფილოსოფიისა და არა მისი ნაწილი.

ამონიოს ერმისი გამოყოფს რა ხედვით და საქმით ფილოსოფიას, ორად გაყოფის მოტივსაც ასახელებს. საქმე იმაშია, რომ ღმრთის მოქმედება ორგვარია: მეცნიერებითი, რომელიც ყოველ არსებულს წვდება და მეურნეობითი, რომელიც სამყაროს ეკონომიას გულისხმობს. ღვთის მსგავსად, ადამიანის ქმედებაც ორგვარია: მეცნიერებითი, რომელიც ცნობიერებას: გრძნობას, წარმოსახვას, აზროვნებას წარმოადგენს და წადიერებითი, რომელიც განზრახვას, გულისწყრომას, სურვილს, ე. ი. ნებელობას გულისხმობს. მათი ანალოგიით, ფილოსოფია, რომელიც მეცნიერებით ქმედებებს შესაბამებს, მხედველობითია, ხოლო სამყაროს ეკონომიისა და ადამიანის ნებელობის შესაბამისი საქმითი ფილოსოფია.

ხედვითი ფილოსოფიის მიზანია ქვეშაირტებისა და არაკვეშაირტების გარკვევა და წვდომა. ხოლო საქმითი ფილოსოფია ემსახურება სიკეთისა და ბოროტების გამოიყენას. იხ. 98,40.

ამის შემდეგ ამონიოს ერმისი მსჯელობს თეორიული და საქმითი ფილოსოფიის დარგების შესახებ.

თეორიულ ფილოსოფიას განეკუთვნება: ღვთისმეტყველება, სწავლულება|| სწავლულებითი და ბუნებათმეტყველება, ანუ დღევანდელი სიტყვებით: თეოლოგია, მათემატიკა და ფიზიოლოგია.

თეორიული ფილოსოფიის ასეთი დაყოფა იმეორებს არისტოტელეს კლასიფიკაციას. არისტოტელე თეორიულ ფილოსოფიას მიაკუთვნებდა მათემატიკას, ფიზიოლოგიას, და პირველ ფილოსოფიას ანუ მეტაფიზიკას [95,182].

როგორც ვხედავთ, ამონიოსი სხვა თანმიმდევრობით იძლევა მეცნიერებათა რიგს. ამას იგი შემდეგ ახსნას უძებნის: თითოეული დისციპლინა იმის მიხედვით არის გამოარჩეული, თუ რა ობიექტი აქვს მას შესასწავლად (მღრ. არისტოტელე: ამა თუ იმ მეცნიერების მაღალ ან დაბალ საფეხურზე დგომა დაზოკიდებულია იმ საგნის ღირებულებაზე, რომელსაც იგი იკვლევს [95,286].

ღვთისმეტყველება სწავლობს ისეთ საგნებსა და მოვლენებს, რომელნიც არიან „განშორებულ ნივთისა და გუამისაგან და მათძლითი წულიღმოგონება“, ანუ იგი იკვლევს არამატერიალურ ფენომენებს. ფიზიოლოგია კი, პირიქით, სწავლობს ისეთ საგნებსა და მოვლენებს, რომელნიც არიან „განუშორებულ ნივთისა და გუამისა და მათძლითი წულიღმოგონება“, ანუ იგი იკვლევს მატერიალურ ფენომენებს. ამათ შუა არის მათემატიკა, რომელიც სწავლობს „რომლითაჲმე განშორებულს, ხოლო რომლითაჲმე განუშორებელს“ (12,35), ანუ იგი სწავლობს-მატერიალურსაც და არამატერიალურსაც; მატერიალურს რეალობაში, რომელნიც წულიღმოგონებით, ანუ ჩვენს შემეცნებაში, არამატერიალურნი არიან.

მათემატიკას საშუალო ადგილი უჭირავს ღვთისმეტყველებასა და ფიზიოლოგიას შორის, რადგან ავტორის სიტყვებით, „კიბე რამდენ და კიდ არიან დასასწავლენი“ 13,38. ფიზიოლოგიიდან ანუ დაბალი საფეხურიდან ღვთისმეტყველებაზე, უმაღლეს საფეხურზე, გადასვლა მხოლოდ საშუალოს გზით არის შესაძლებელი. ამონიოსი იმოწმებს პლატონს: „მიეცემოდედ ჰაბუჟთა სასწავლენი შესაჩუვევლად უსხეულომასა ბუნებისა“ 13,30. პლატონი აღიარებდა, რომ მათემატიკას საშუალო ადგილი უჭირავს მგრძნობელობით აღსაქმელსა და ეილოსებს შორის, ამ დაყოფის საფუძველი იდეალისტურია და ზნეობრივ ასპექტს ითვალისწინებს.

ამონიოს ერმისი იზიარებს არისტოტელეს თვალსაზრისს თეორიული ფილოსოფიის ნაწილების შესახებ, ღვთისმეტყველებასა და ფიზიოლოგიას ამონიოსი არ ეხება. მისი განცხადებით, ისინი გაყოფა ცალკე დარგებად, მაგრამ „მათნი უკუე ქუეგანწვალებანი, ვითარცა თანაშუეტყუებელად შეყვანებადთა სასმენლებისად მყოფნი, დავიდუმნეთ“ 14,2, ე. ი. ღვთისმეტყველებისა და ფიზიოლოგიის დაყოფაზე საუბარი არ წარმოადგენს წინამდებარე წიგნის მიზნებს, ამიტომ მათზე არას ვიტყვითო. ავტორი იძლევა „დასასწავლელობითას“ ანუ მათემატიკის დაყოფას. მათემატიკის დარგებია: ქუეყანისმზომელობა, ვარსკულავთმრიცხველობა, მუსიკობითი და მრიცხველობითი. ეს არის ცნობილი კვადრირიუმი: გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა და არითმეტია, რომლებიც ტრივიუმთან ერთად შეადგენდა შვიდ თავისუფალ ხელოვნებას, შუასაუკუნეობრივ სასწავლო დისციპლინებს.

რა განაპირობებს იმას, რომ მათემატიკა ოთხ ნაწილად იყოფა?

ამონიოს ერმისი ამას შემდეგ ახსნას უძებნის: როგორც ვიცით, მათემატიკა სწავლობს რიცხვებს, რაოდენობრიობას. რაოდენობრიობა ორგვარია: 1. „შერწყმითი“, ანუ დღევანდელი გაგებით, მთლიანი, დაუნაწევრებელი; 2. „განსაზღვრებითი“, ანუ დანაწევრებული.

თითოეულ მათგანს ორი სახეობა აქვს. დაუნაწევრებელს რაოდენობრიობა არის: მოძრავი და უძრავი. ხოლო დანაწევრებული რაოდენობრიობა არის: თავისთავადი და რელატიური, იხ. 15,9. რაოდენობრიობის ამ ოთხ სახეობას სწავლობს მათემატიკის სხვადასხვა დისციპლინა.

1. გეომეტრია — დაუნაწევრებელ უძრავ რაოდენობრიობას, ასეთია დედამიწა.

2. ასტრონომია — დაუნაწევრებელ მუდმივ მოძრავ რაოდენობრიობას, ასეთია ცა.

3. მუსიკა — დანაწევრებულ რელატიურ რაოდენობრიობას, ასეთია ტონი, რომლის ჰარმონიულობას რიცხვების საშუალებით შევიცნობთ.

4. არითმეტია — დანაწევრებულ თავისთავად რაოდენობრიობას, ასეთია რიცხვები: წყვილი, კენტი, კენტწყვილი.

თეორიული ფილოსოფიის შენდევ ამონიოსი მსჯელობს საქმითი ანუ პრაქტიკული ფილოსოფიის შესახებ.

პრაქტიკული ფილოსოფიის დარგებია: საყოფაქცეო (ეთიკა), სასახლის-სკულოა||სახლისკულობითი (ეკონომიკა) და სამოქალაქო||მოქალაქეობითი (პოლიტიკა). პრაქტიკული ფილოსოფიის ასეთი დაყოფაც არისტოტელედან მოდის.

პრაქტიკული ფილოსოფიის მიზანი, განსხვავებით თეორიულისაგან, არის სიკეთის ქმნა და მისი გამიყვანა ბოროტებისაგან. ამდენად ამ ფილოსოფიას

გარკვეული მორალური პრინციპები უდევს საფუძვლად. ავტორის შეხედულებით, „მოქმედი რაღამე კეთილისაა ანუ თავისა მიმართ თვისისა იქმს შემამკობელი ყოფაქცევათა მისთა და ცხორებისა და ითქუმის საყოფაქცეოდ, ანუ სახლისა მიმართ თვისისა და ითქუმის სასახლისაჭულოდ, ანუ სრულსა შეამკობს ქალაქსა და ითქუმის სამოქალაქოდ“ 15, 29.

როგორც საყოფაქცეო, ისე სასახლისაჭულო და სამოქალაქო ხელოვნება „შემკობას“, სიკეთისა და ჰარმონიის დამკვიდრებას ემსახურება. „შემკობა“ აღნიშნულ კონტექსტში ნიშნავს მოწყობას, მოწესრიგებას, რეგულირებას. სამსავე დისციპლინას (ეთიკას, ეკონომიკას, პოლიტიკას) აერთიანებს ერთი პრინციპი: წარმართვა საკუთარი თუ სხვისი ეთიკისა, მორალური სახისა. ავტორი მშვენიერ ბრძნულ შეგონებას იძლევა ადამიანის ზნეობრივი სრულყოფის აუცილებლობის შესახებ: „მრავალნი ვიეთნიმე ცუდღიდღებთ ყვანებულნი ქალაქსა უკუე შეამკობენ, ხოლო თათა თვისთა უკუდღიდღელს-ჰყოფენ“ 15,36, რაც თანამედროვე ადამიანსაც დააფიქრებს იმაზე, რომ პატივმოყვარეობით შეპყრობილი ზოგიერთი პიროვნება ქვეყანას მართავს, საკუთარ მორალურ სახეს კი არას დაგიდევთ.

ყოფაქცევა აძლევს დასაბამს პიროვნულ საქმიანობასაც და საზოგადოებრივსაც. როგორ არის გაგებული ყოფაქცევა ამონიოსის მიერ? ეს ძალიან საინტერესოა, რადგან, როგორც ჩანს, ამ საკითხშიც ამონიოსი არისტოტელეს საშუალოს, როგორც ზომიერების საზომს, ეყრდნობა.

ადამიანის მეობისა და პიროვნების საზომი მისი სრულებაა, მისი სრულყოფილებაა. რაში გამოიხატება სრულება? „სრულებაა სადმე მოკრძალებისაგან არს გარდამატებისა და მოკლებისა, რომელნი უსრულობა არიან“ 16,32. სრულება არის ყოველგვარი გადამეტებისაგან და ნაკლებობისაგან თავის დაღწევა. სრულყოფილი ადამიანის სამკაული მისი ყოფაქცევაა. „ყოფაქცევაა ვიდრემე არს სამკაული კაცისაა, ხოლო სამკაული სრულებაა თითოეულისა“ 16,23. გადამეტება და მოკლება უმკობელობაა, უმკობელნი კი უსრულნი არიან, ამის საპირისპიროდ ზომიერება არის სრულება [118].

სრულებაზე დაფუძნებულ ყოფაქცევას, ეკონომიკასა და პოლიტიკას, ამონიოს ერმისი ახასიათებს „სჯულისდებითად“ და „მსაჯულობითად“. „სჯულისდებითი“ „σοφιστείας“-ის შესატყვისია და ნიშნავს საკანონმდებლოს, კანონის დამდებელს. „მსაჯულობითი“ διαπραχῶν-ს, მსაჯულს, სამართლის დამდებს აღნიშნავს. თუ რა იგულისხმება ამ ცნებების ქვეშ, შემდეგი სიტყვებიდან ვარსკვლავდებთ: სამოქალაქო ფილოსოფიის, ანუ პოლიტიკოსის, „სჯულთა დასახმას... ანუ მსაჯულობის და რომელთამე ქველყოფისა ღირს-ჰყოფს, ხოლო რომელთამე, გარდამატქეველთა რაჲთმე მდებარეთა სჯულთასა, სტანჯავს“ 15, 41. აქ ასეთი აზრია: პოლიტიკოსი ქმნის კანონებს, რომლითაც ცხოვრობენ მისი მოქალაქენი და ამავე დროს, იცავს სამართალს. ზოგს პატივს („ქველყოფას“) მიაგებს, ზოგს კი, კანონის დამარღვევთ, სჯის („სტანჯავს“).

პოლიტიკის მსგავსად, ეკონომიკაცა და ყოფაქცევაც „სჯულის დასახმას“ და „მსაჯულობას“ ითვალისწინებენ.

ეთიკური სჯული ეთიკურ ნორმებს გულისხმობს. მათზე საგანგებოდ შეეჩერდებით, ვინაიდან ამ ეთიკურ იდეალებთან დაკავშირებით ჰიეროკლეს პო-

ეტური ფრაგმენტებია მოტანილი, რომელთა ზოგი ადგილის გააზრება საინტერესოდ გვეჩვენება.

პირველი ფრაგმენტი ასეთია:

„პყრობაჲ საყმარ არს ამათი რაამთამე, მუცლისაჲ უკუე პირველად და ძილისაჲ და მოყურობისაჲ“ 16,18.

ავტორს სურს შეგვაგონოს, რომ საჭიროა მუცლის, ძილისა და მოყურობის დაოკება, დამორჩილება. რა აზრია აქ? ის, რასაც დაოკება, დამორჩილება სჭირდება, აუცილებლად უარყოფითი ფენომენია. მუცლის ალაგმვა სმა-ჰამაში ზომიერების დაცვას გულისხმობს, ძილის ალაგმვა სიზარმაცის, მცონარეობის ალაგმვას ნიშნავს. მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ „მოყურობის“ ალაგმვა? „მოყურობის“ შესაბამისად ბერძნულ ორიგინალშია ἡ φιλοσοφία CA₁ 15, 20. ამ უკანასკნელის მნიშვნელობებია: 1) მეგობრობა, 2) სიყვარული. როგორც ჩანს, აღნიშნულ კონტექსტში ამ სიტყვას აქვს ზედმეტი მგრძობელობის, ეროტიკის მნიშვნელობა. მხოლოდ ასეთი გააზრების შემთხვევაში არის ბუნებრივი ამ სიტყვის ღორმუცელობისა და მცონარეობის გვერდით ხსენება.

ამ ზნეობრივი პრინციპის მიხედვით, ყოველმა სრულყოფილმა ადამიანმა უნდა დაძლიოს მანე ჩვევები: ღორმუცელობა, სიზარმაცე და ეროტიკა.

თუ „მოყურობა“ ამ კონტექსტში უარყოფითი შინაარსით არის ნახმარი, სხვაგან „მოყუარე“ მისი ჩვეულებრივი გაგებით გვხვდება.

მეორე ეთიკური ხასიათის შეგონება, რომელსაც ტექსტში ვხვდებით, სოკრატეს მიეკუთვნება. იგი ასეთი შინაარსისაა:

„ღმერთთა ვიდრემე ჰშიშვობდ, ხოლო მშობელთა პატივ-სცემდ და მოყუარეთა ჰმორცხვობდ“ 16, 10. აქ ასეთი აზრია: გეშინოდეს ღმრთისა, პატივი ეცე მშობლებს, გერიდებოდეს მოყუარებისა. „ჰმორცხვობდ“ შეესატყვისება ბერძნულ εἰσχύνῃ-ს. Αἰσχύνῃ-ს ორგვარი მნიშვნელობა აქვს: 1) სირცხვილი, 2) რიდი, კრძალვა. აღნიშნულ კონტექსტში „მორცხვობას“ აქვს რიდის, კრძალვის მნიშვნელობა. ამონიოსი თავის ეთიკურ-მორალურ შეგონებებს ავტირგვინებს ბერძენი პოეტის, პიერაკლეს, პოეტური სტროფით: აი, ისიც:

„ნუცა ძილი მოგამედგრებს თუალთა ზედა შეწყნარებად,
პირველ მდღევრთა საქმეთა სამთა თითოეულად განხილვითა,
ვითარმედ: რასა გარდავჰქედ,

რაჲ ვიწადე,

რაჲ ჩემდა საჭიროჲ,

არ სრულ-ყვავე.

და დამწყებელი პირველისგან განიმსტრობდ მათ თითოეულად.

ბილწთა ვიდრემე მისდერჱ უფრომსლა,

ხოლო ტკბილთა ზედა იშუებდ,

არ მეუტკივრე რათმე მოწვენალთა მოლოდებისაჲ“ 16,12.

ამ ლექსის ბოლო სიტყვები — ბილწებას გაექვეც და სათნოებაში, სიკეთეში ჰპოვე შეება — ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის კრედოა. ამაში იგულისხმება მორალური განწმენდით, სულიერი კათარზისით პიროვნების ამაღლება უმაღლეს არსამდე.


ამჯერად, ჩვენს ყურადღებას იქცევს ის ადგილი, რომელშიც საუბარია სამი ყოველდღიური საქმის შესახებ: „რასა გარდავჰქედ, რაჲ ვიწადე, რაჲ ჩემდა საჭიროჲ, არ სრულ-ყვავე“. ეს ნიშნავს შემდეგს: რა შეცდომა დაეუფვი?

რაც მოვინდომე და რაც აუცილებელი იყო ჩემგან, არ შევასრულე. ეს სიტყვები პიროვნების მაღალ მორალურ თვისებებს, მოვალეობასა და პასუხისმგებლობას უსვამს ხაზს. არ შეიძლება არ მოგვაგონდეს დიდი ილიას სიტყვები:

„კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე,
ყოველს დღესა შენს თავს ჰკითხო:
აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?“

ეთიკაზე საუბრით მთავრდება პრაქტიკული ფილოსოფიის განხილვა.

ამონიოს ერმიის კლასიფიკაცია მეცნიერებებისა ასეთი სქემის სახით შეიძლება წარმოვადგინოთ:



ამონიოსი იცნობს და თხზულების დასაწყისში ასახელებს შუასაუკუნეებში კარგად ცნობილ ტრიეუმს: ფილოსოფიას, რიტორიკასა და გრამატიკას 3,16—25, თუმცა შემდგომ, მეცნიერებათა კლასიფიკაციისას, ტრიეუმში დასახელებული არაა მის მიერ.

ამონიოსისეული მეცნიერებათა კლასიფიკაცია გაიმეორეს მომდევნო თაობის ალექსანდრიელმა მოღვაწეებმა. მსგავსი კლასიფიკაცია დასტურდება დავით უძღველისა და ელიასის შრომებშიც [171,89].

ცხადია, ქართული ფილოსოფიური აზროვნება გაეცნო ამონიოსისეულ კლასიფიკაციას, მაგრამ ირკვევა, რომ ქართული მწერლობა სხვაგვარ კლა-

სიფიკაციასაც იცნობდა. ქართულ ხელნაწერთა მინაწერების გზით ცხადი გახდა მისი არსებობა. ასე მაგალითად, ამონიოსის თხზულებათა შემცველ ერთ-ერთ ხელნაწერს, A 250-ს, 5v-ზე აქვს XVIII ს. ნუსხური მინაწერი, რომელშიც მეცნიერებათა ასეთი კლასიფიკაციაა წარმოდგენილი: ა) ფილოსოფოსობა, ბ) ღრამატიკოსობა, ვ) რიტორობა, დ) მკურნალობა, ე) მუსიკობა, ვ) ქუეყანისშომელობა, ზ) ვარსკულავთმრიცხველობა, მ) რიცხუთომქმედება, თ) ბუნებათმეტყულება, კატელორია, ი) ნივთმეტყულება, ია) კელოვნებათა საქმე, იბ) არს რიგი და საქმე.

ამ მინაწერს ახლავს შენიშვნა. შენიშვნა ასეთია: „ეს იციან საბერძნეთს მკოდინარეთ, კიბე იბ.“ საყურადღებოა ამ კლასიფიკაციის წყაროდ „კიბე იბ“-ს დასახელება. შესაძლოა „კიბე იბ“ რაიმე ლიტერატურულ წყაროზე მიუთითებდეს. შესაძლოა „კიბე იბ“ წყაროს კი არ მიუთითებს, არამედ იგი ნახმარია საფეხურის, შუალედის მნიშვნელობით. მეცნიერებათა ჩამოთვლილი დარგები, რომელთა რაოდენობა სწორედ იბ ანუ თორმეტი, მიჩნეულია სამყაროს შეცნობის საფეხურად.

ფილოსოფოსობა, ღრამატიკოსობა და რიტორობა წარმოდგენდა ტრიუვიუმს. ზოგჯერ მკურნალობა (მედიცინა) მათთან ერთად იყო განხილული თეორიულ მეცნიერებად.

მომდევნო ოთხი დისციპლინა: მუსიკობა (მუსიკა), ქუეყანისშომელობა (გეომეტრია), ვარსკულავთმრიცხველობა (ასტრონომია), რიცხუთომქმედება (მათემატიკა) ცნობილ კვადრივიუმს ქმნიან.

რაც შეეხება დანარჩენებს, მათი სახით შემდეგ მეცნიერებებთან გვაქვს საქმე:

ბუნებათმეტყულება (კატელორია) არის მეცნიერება, რომელიც სწავლობს არამატერიალურს, არანივთიერს. ბუნება დაპირისპირებულია ნივთთან, ბუნებათმეტყველება დაპირისპირებულია ნივთმეტყველებასთან, ე. ი. ეს არის ის, რომელსაც ამონიოსი და სხვები ღვთისმეტყველებას უწოდებენ.

ნივთმეტყველება საწინააღმდეგოდ ბუნებათმეტყველებსა, სწავლობს მატერიალურს, ნივთიერს. ეს არის ის, რაც ფიზიოლოგიის სახელით არის ცნობილი.

ამრიგად, ბუნებისმეტყველებამ და ნივთმეტყველებამ კვადრივიუმთან ერთად შეავსეს თეორიული ფილოსოფია. ამ კლასიფიკაციაშიც თეორიული ფილოსოფიის იმდენი ნაწილია წარმოდგენილი, რამდენიც ამონიოსისეულ კლასიფიკაციაში, განსხვავება მხოლოდ სახელწოდებებშია.

დარჩენილი ორი მეცნიერება: „კელოვნებათა საქმე“ და „არს რიგი და საქმე“ უთუოდ საქმით, ანუ პრაქტიკული ფილოსოფიის ნაწილებია. „კელოვნებათა საქმე“ უნდა ნიშნავდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც ხელოსნობას უკავშირდება. რაც შეეხება ბოლო დისციპლინას, აქ აშკარად გადაწერის ლაპსუსთან გვაქვს საქმე, მაგრამ როგორც სხვა ხელნაწერიდან გავიგებთ, აქაც გარკვეული დისციპლინა იგულისხმება.

ეს კლასიფიკაცია რომ საქართველოში ადრეულ პერიოდშიც უნდა ყოფილიყო ცნობილი, ამას ადასტურებს ერთი ქართული ხელნაწერი, კერძოდ, A 292. ხელნაწერი XVIII საუკუნისაა. იგი შეიცავს ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ გრიგოლ ღვთისმეტყველის შრომებს. ერთ-ერთ სიტყვას ახლავს მინაწერი, რომელიც ეფრემ მცირეს ეკუთვნის.

ამ მინაწერში მეცნიერებათა ისეთივე კლასიფიკაცია დასტურდება, როგორც A 250 ხელნაწერში. A 292-ში, 218v-ზე იკითხება: „ათორმეტ არიან კელოვნებანი ბერძენთა სწავლულებისანი და თითოეული აღმწერელი მით სახითა აღმწერელობს, რაჲცა კელოვნება ესწავოს ათორმეტთა მათგან: ღრამმატიკოსობა, გინა ფილოსოფოსობა, რიტორება, ანუ მკურნალობა, მუსიკელობა, ანუ ქუეყანისმზომელობა, ვარსკვლავთმრიცხველობა, ანუ რიცხვთმომქმედება, ბუნებათმეტყველება, ანუ ნივთთმეტყუელება, კელოვნებათა საქმე, ანუ წესი ბრძოლისა“.

ეს მინაწერი დაზღვეულია ენობრივი შეცდომებისაგან. ამდენად, ბოლოს დასახელებული „წესი ბრძოლისა“, რაც სამხედრო ხელოვნებას ნიშნავს, საშუალებას გვაძლევს, რომ A 250-ის მინაწერშიც შეცდომით დაწერილი „ას რიგი და საქმის“ ქვეშ სამხედრო ხელოვნება, სამხედრო საქმის ცოდნა ვიგარაუდოთ.

ეფრემ მცირისთვის, ასევე შემდგომი პერიოდის ქართველ მოღვაწეთათვის შუასაუკუნეობრივი შვიდი თავისუფალი ხელოვნების გარდა კარგად ცნობილი ყოფილა ღვთისმეტყველება, ფიზიოლოგია, ხელოსნობა და სამხედრო მეცნიერება.

ამრიგად, ძველი ქართული მწერლობა იცნობდა იმ მეცნიერულ დისციპლინებს, რომლებიც ანტიკური ხანიდან მოყვებოდა კულტურულ ხალხთა აზროვნებას. სხვადასხვა ისტორიული ეპოქისა და კულტურის შესაბამისად ხან მეცნიერებათა ერთი სისტემა იყო წინ წამოწეული და პატივდებული, ხან კი — მეორე.

თ ა ვ ი III

„ზ ი დ მ ი წ ი ვ ნ უ ლ ო ბ ა“ და „ჭ ი ლ ო ვ ნ ე ბ ა“

ფილოსოფიისა და მეცნიერების ამონიოსისეულ მოძღვრებაში ყურადღებას იქცევს „ზედმიწევნულობა“ და „კელოვნება“ ტერმინები.

ქართულ წერილობით ძეგლებში ეს ტერმინები საკმაოდ ხშირად იხმარება.

„კელოვნება“ ტერმინს საგანგებო გამოკვლევა უძღვნა რ. სირაძემ. მკვლევარმა ქართული მწერლობის განვითარების სხვადასხვა პერიოდის ძეგლთა მონაცემების გათვალისწინებით უჩვენა „კელოვნება“ (Τέχνη) ტერმინის სხვადასხვა გამოყენება [42, 15—35]: 1) ხელოვანია ღმერთი, 2) სიტყვის „ხელოვნება“, 3) მხატვარი „ხელოვანი“ 4) ხელოვნების დარგთა „ხელოვანი“ (ოსტატნი), 5) ხელოსნობა, ოსტატობა (საქმის ცოდნა).

1) დასახელებულ შემთხვევებში რამდენიმე ნიუანსის გამოყოფის შემდეგ ახალი ესმება „კელოვნების“ ძირითად მნიშვნელობას. ეს არის „ოსტატობა“, „საქმის წესთა ცოდნა“. „კელოვნების“ სხვა მნიშვნელობაც აქვს ფიქსირებული „კვლევარს: 6) ხელოვნებაა მეცნიერება.

ჩვენთვის საინტერესოა „კელოვნების“ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა. ჩელოვნება გაიგივებულია მეცნიერებასთან. ხელოვნება ფილოსოფოსთა უპირველესი ნიშანია. ფილოსოფოსთა „კელოვნება“ იგივეა, რაც ფილოსოფოსთა სიბრძნე, მეცნიერება. „კალმასობის“ ავტორის მიერ მოცემული მნიშვნელობა

„ქელოვნებისა“, რომ „ქელოვნება ორგვარია: საქმიითი და ხედვითი“, საეყ-
ბით ემთხვევა ფილოსოფიის იმ განმარტებას, რომელიც არისტოტელეს
მიერ არის ჩამოყალიბებული. ცნობილია, რომ არისტოტელე ფილოსოფიას
ყოფდა თეორიულ, პრაქტიკულ და პოეტურ ფილოსოფიად [113,45].

ფილოსოფიის ასეთი დაყოფა გაზიარებული და მიღებულია როგორც მომ-
დევნო პერიოდის ფილოსოფოსთა, ისე საქრისტიანო მოძღვრების უდიდეს წარ-
მომადგენელთა მიერ. გრ. ნაზიანზელი [81,55] და იოანე დამასკელი [17,172]
ხედვითი და საქმიითი, ასევე სიტყურებითი ფილოსოფიის შესახებ მსჯელობენ.
ნეოპლატონიკოსი ამონიოსის შრომაში კი ეს საკითხი საგანგებო თეორიული
მსჯელობის საგანია: „განსწვალებენ ფილოსოფოსობასა მხედველობითად და
მოქმედებითად და სიტყურებითად“ 11,18.

ხელოვნების ფილოსოფიასთან გაიგივება შესაძლებელია იმდენად, რამ-
დენადაც ორივე სიბრძნედ, მეცნიერებად გაიხატება. ხელოვნების რაციონა-
ლისტური გაგება ცოდნის, სიბრძნის, უმაღლესი კეშმარტების წვდომას გუ-
ლისხმობს. სიბრძნის, კეშმარტების რაობის შეცნობის ანალოგიური მნიშვნე-
ლობით ქართულ ენაში გამოიყენებოდა ტერმინი „ზედმიწვეწულობა“.

ქართულ წერილობით ძეგლებზე თავლის მიღევებით ირკვევა, რომ ეს
ტერმინი პეტრიწონული სკოლის მიმდევართა მიერ არის შექმნილი. მანამდე
ამ მნიშვნელობით იხმარებოდა იმავე ძირის მქონე სიტყვა „ზედამიწვენა“. „ზე-
დამიწვენა“ დადასტურებულია X—XI სს. როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინა-
ლურ აგიოგრაფიულ ძეგლებში. „ზედამიწვენა“ ყველაზე ხშირად ზმნიზედის
როლში იხმარებოდა და დაახლოებით იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც დღე-
საც აქვს მას. „ზედამიწვენით“ ნიშნავდა „ზუსტად“, „დაწვრილებით“, „სრუ-
ლად“.

„გამოიძია საიდუმლო ქუეყანისა ზე დამიწვენით [82, 1127, 20]

„ზე დამიწვენით უწყი ჩემი უღებებაჲ“ [83, 198v].

„ყოველივე ზე დამიწვენით ისწავა“ [74, 774a].

„ზე დამიწვენით მეცნიერ გყო შენ იესუ [61, 133, 22].

„ისწავა ზე დამიწვენით“ [61, 15, 3].

„ზედამიწვენა“ დადასტურებულია ზმნიზედური ფუნქციის გარეშეც. „ზე-
დამიწვენას“ ამ შემთხვევაში აქვს ცოდნის, გაგების მნიშვნელობა. „მაშინღ
იწყო ზე დამიწვენად და სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა“ [61,
64, 11].

„აღწერა ლუკა მახარებელმან და მის მიერ კეშმარტად ზე დამიწვე-
წიენით [82, 1203a, 28].

„ცნობაჲ და ზე დამიწვენაჲ, ვითარმედ მხოლოდასა ღმრთისა ზედ
ხატთა ქნად გვაყრა ჩუენ და დაგუაყენა სჯოლისმდებელმან“ [75, 445, 7].

„ზედამიწვენის“ ორი მნიშვნელობა არის აღნიშნული ილ. აბულაძის
ძველი ქართული ენის ლექსიკონში: 1) შეგნება, შეტყობინება, 2) სიბრძნე [1].

საყურადღებოა, რომ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში არ გვხვდე-
ბა „ზედამიწვენა“ ფორმა.

აღრინდელ ძეგლებში დამოწმებული „ზედამიწვენას“ პარალელურად
X—XII სს-ში თავს იჩენს „ზედმიწვენული“ მიმღეობიდან -ობა სუფიქსით
ნაწარმოები აბსტრაქტული სახელი „ზედმიწვენულობა“. -ობა სუფიქსის პა-
რალელურად მაწარმოებლად უბა სუფიქსიც დასტურდება: „ზედმიწვენუ-
ლება“.

„ზედმიწვეულობა“ || „ზედმიწვეულება“ შესატყვისია ბერძნ. $\epsilon\pi\iota\sigma\tau\eta\mu\eta\gamma\text{-}h\text{-}$ ' $\epsilon\pi\iota\sigma\tau\eta\mu\eta\gamma\text{-}h$ რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: 1) მოხერხება, გამოცდილება, 2) ცოდნა, 3) ფილოსოფიური მნიშვნელობით: მეცნიერული ცოდნა, მეცნიერება, 4) მეცნიერული დისციპლინა [108]. შესაძლებელია „ზედ-მიწვეულობა“ $\epsilon\pi\iota\sigma\tau\eta\mu\eta\gamma\text{-}h$ კალკს წარმოადგენდეს. ' $\epsilon\pi\iota\text{-}$ ს შესატყვისად ზედ-წინდებულია, ხოლო $\text{-}\sigma\tau\eta\mu\eta\gamma\text{-}h$ იწვევს ზნაღ-არის გააზრებულს.

XI—XII სს. ელინოფილური ენობრივი ნორმების გაძლიერებისას მიმ-
ლეობიდან ნაწარმოები ფორმა „ზედმიწვეულობა“ გამოიყენებოდა ცოდნის,
სიბრძნის მნიშვნელობით.

„ზედმიწვეულობა“ || „ზედმიწვეულება“ დასტურდება იოანე პეტრიწის
შრომებში, ერთხელ გვხვდება ეფრემ მცირის მიერ თარგმნილ ეფრემ ასურის
„ასკეტკონში“, დამოწმებულია გელათურ ბიბლიაში და საგანგებო მსჯელო-
ბის საგანია ამონის ერმისის „მოსაკესნებელში“.

„მეცნიერმან გამოიძიოს ზ ე დ ა მ ი წ ე ვ ე ნ ი ლ ო ბ ა საქმისა“ [84,
216v]. ეფრემ მცირე, ამ ნაწარმოების მთარგმნელი, „ზედამიწვეულობას“ აშ-
კარად ცოდნის, კეშმარტივების გაგებით ხმარობს.

სულხან-საბა ორბელიანი ამ სიტყვის მხოლოდ მიმღეობურ ფორმას გან-
მარტავს: „ზედამიწვეული — ცოდნით სრული“ [45]. მეცნიერის მიერ მითი-
თებული ამ ტერმინის წყარო: ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისა“,
თარგმნილი იოანე პეტრიწის მიერ.

მეორე შემთხვევა ამ სიტყვის ხმარებისა საბას დამოწმებული აქვს ბიბ-
ლიიდან: ესაია 33,6. მართლაც, ესაიას წიგნში წერია: „შუქლისა მიერ განეცნენ
საუნჯეთა შორის მაცხოვარებამა თქუენი, მუნ სიბრძნე და ზ ე დ მ ი წ ე ვ ე -
ნ უ ლ ო ბ ა და კეთილმსახურება უფლისა მიმართ“.

ამ ტერმინის ისტორიის თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ბიბლიის ყვე-
ლა ხელნაწერში ამ ადგილას „ზედმიწვეულობა“ არ იკითხება. გელათის ბიბ-
ლიაში ესაიას ეს ტექსტი ნაკლულია [85,209v]. მცხეთურ ბიბლიაშიც ეს ად-
გილი ნაკლული ყოფილა, რადგან საბას ნაბეჭდი ტექსტით შეუვსია იგი [86,
444v]. რ. ბლეიკის მიერ გამოცემულ წინასწარმეტყველთა ტექსტში კი, რომე-
ლიც იერუსალიმურ და ოშკურ ბიბლიებს ეყრდნობა, ამ ადგილას „ზედმი-
წვეულობის“ ნაცვლად იკითხება „მეცნიერება“ [213,440].

ბიბლიის არსებულ ნუსხათაგან „ზედმიწვეულობა“ ბაქარის ბიბლიაში
დასტურდება, ამდენად საეჭვო არ არის ამ სიტყვის გელათური და ამდენად
პეტრიწონული სკოლიდან წარმომავლობა.

ანალოგიური სურათი ამ ტერმინის ხმარებისა ისუ ნავეს ტექსტიდან და-
მოწმებულია ილ. აბულაძის ლექსიკონში. „ზედმიწვეულობა“ არის გელათურ
ბიბლიაში, ხოლო მის ნაცვლად მცხეთურ ბიბლიაში არის „უწყის“ სიტ-
ყვა [1].

გელათურ ბიბლიაში ამ ტერმინის არსებობა აშკარად მიუთითებს, რომ
ეს ტერმინი იოანე პეტრიწის მიერ თუ არა, პეტრიწონული სკოლის მოღვა-
წეთა მიერ არის შექმნილი.

„ზედმიწვეულება“ ხშირად იხმარება იოანე პეტრიწის შრომებში. ყველ-
გან მას აქვს მეცნიერების, ცოდნის მნიშვნელობა.

„მიმოგონებითისა არიან განთუსვით და საკუთრად ... სათნოებანი და
ზ ე დ მ ი წ ე ვ ე ნ ი ლ ე ბ ა ნ ი [34,89,2]. „ზედმიწვეულება“ „მიმოგონებითს“,
ე. ო. გონით სფეროს განეკუთვნება და სიბრძნის აღნიშნავს.

„საკუთრებთინი... გემონი არიან, რომელნი... სწავლულებითა ზედმიწვევნილებათა და სათნობათა რააზომვე ზედმიწვეულ და თანშეთხზულ არიან“ [34,101,24].

პროკლეს „კავშირთა“, ასევე პეტრიწის ორიგინალურ „განმარტებათა“ ტექსტში ხშირად გვხვდება „ზედმიწვევნილება“. ადამიანის ცნების ცნობილი ლოგიკური განმარტება, რომელიც კლასიკური ფილოსოფიიდან მოდის, ასეა ფორმულირებული პეტრიწის მიერ: „ვიტყვ ნაწილად კაცისად ცხოველსა სიტყურსა, მოკულდავსა, გონებისა და ზედმიწვევნილებისა შემწყნარებელსა“ [19,19,31]. აქ ასეთი აზრია: ადამიანი არის მოაზროვნე, მოკვდავი, გონებისა და სიბრძნის მქონე. ადამიანის ცნების ასეთი განმარტება ხშირად დასტურდება ფილოსოფიურ ძეგლებში. იგი რამდენჯერმე გვხვდება იოანე დამასკელის „დიალექტიკაში“, ოლონდ არც ეფრემ მცირის, არც არსენ იყალთოელის თარგმანებში არც ამ ციტატაში, არც სხვაგან არ დასტურდება „ზედმიწვევნილება“. ეფრემის თარგმანში იკითხება: „კაცი არს ცხოველი სიტყური და მოკულადვი, მიმღებელი გონიერებისა და კელოვნებისა“ [17,16,1]. არსენის ტექსტშია: „კაცი არს ცხოველი სიტყური, მოკულადვი, გონებისა და კელოვნებისა შემწყნარებლობითი“ (იქვე). პეტრიწთან არის „ზედმიწვევნილება“, ეფრემ მცირესთან და არსენ იყალთოელთან — „კელოვნება“. ერთსა და იმავე განსაზღვრებაში ამ სიტყვათა არხეობა მათ სინონიმურობაზე მიუთითებს. პეტრიწიც ზოგან სინონიმებად ხმარობს მათ [18, 11, 17; 34, 143, 10—11; 19, 11, 18]. თუმცა როგორც შემდგომ ვნახავთ, იოანე პეტრიწი ამ ორ სიტყვას შორის გარკვეულ სხვაობას მაინც იძლეოდა. ახლა კი მივუბრუნდეთ ამონიოსის ტექსტს, სადაც მათი მნიშვნელობის დადგენის თეორიული დასაბუთებაა მოცემული.

ამონიოსის შეხედულებით, „მეცნიერებათაგანნი რომელნიმე კელოვნებათა შეეტყუებთან, ხოლო რომელნიმე — ზედმიწვევნილობათა“ 8, 18. მეცნიერება ამ კონტექსტში ნახშირია ცოდნის, სიბრძნის გაგებით. აზრი ასეთია: ზოგიერთი სახის ცოდნა ხელოვნებას განეკუთვნება, ზოგი კი — ზედმიწვევნილობას. ავტორის მიერ ხაზგასმულია ხელოვნებისა და ზედმიწვევნილობის საერთო საფუძველი. ორივე ცოდნაა, მაგრამ გარკვეული ნიშნებით ისინი სხვაობენ ერთმანეთისაგან. რაში მდგომარეობს ის სპეციფიკურობა, რომლის საფუძველზე ამონიოსი განასხვავებს ამ ცნებათა შინაარსს, რა თავისებურება ახასიათებთ მათ? მივმართოთ ტექსტს:

„ესე კელოვნებანი და ზედმიწვევნილობანი სიტყუათაებრ ვიდრემე არაათ განიყოფებთან ურთიერთას, რამეთუ თითოეულისა სიტყუანი თავთა მათთაებრ უმცოდონი არიან, ხოლო ნივთისაებრ იცვალეზიან, რამეთუ ზედმიწვევნილობანი სიტყუანი სადრე ეგვრეთეობის მქონებელთათჳს შთამოვლენ, ესე იგი არს ვარსკულაეთბრძიველობაჲ, ქუეყანისშზომელობაჲ, მრიცხველობითი; ხოლო კელოვნებანი ვითარცა მრავალგუარად შეცვალეზათათჳს“ 8, 20.

ამ კონტექსტის აზრის ვასაგებად ორი ცნების მნიშვნელობის გათვალისწინება მოგვიხდება. ესენია: „სიტყუა“ და „უმცოდონი“. სიტყუას“ (λεγειν) მითითებულ კონტექსტში აქვს „ფუნქციის“, „ცნების“ მნიშვნელობა. იგი დაპირისპირებულია „ნივთთან“, რომელსაც აქ „შინაარსის“, „ობიექტის“ გაგება აქვს. ერთმანეთს უპირისპირდება სიტყვა და ნივთი: ხელოვნების სიტყუა და ნივთი, ზედმიწვევნილების სიტყუა და ნივთი. დღევანდელი ქართულით რომ ვთქვათ, აქ ლაპარაკია ხელოვნების ცნებასა და ობიექტზე, ასევე, მეცნიერების ცნებასა და ობიექტზე.

„უმცოდნე“ ნაწარმოები სიტყვაა. უ-ო უქონლობის აფიქსებია, მ—მიმღეობის აფიქსია. —ცოდ-ძირი „ცოდვას“ უკავშირდება. „უმცოდო“ ნიშნავს „მეუმცლარს“, მაგრამ არა ცოდვის ჩადენის, ან არ ჩადენის გაგებით. „უმცოდოს“ ბერძნული ეკვივალენტია $\mu\epsilon\tau\alpha\iota\sigma\tau\omicron\varsigma$, რაც ნიშნავს „უცვლელს“.

ამ გაგებას მხარს უჭერს ისიც, რომ იგი დაპირისპირებულია „ცვალებად“ სიტყვასთან. ზემოაღნიშნულ კონტექსტში „ველოვნება“ და „ზედმიწვეწულობა“ სიტყვით უმცოდნი არიან, ხოლო ნივითი იცვალებიან, ე, ი. „ველოვნება“ და „ზედმიწვეწულობა“ ცნებები ფუნქციით არ განირჩევიან ერთმანეთისაგან, უცოდველნი არიან, ხოლო საგნის, ობიექტის მიხედვით განსხვავდებიან. „ზედმიწვეწულება“ სწავლობს და ეძიებს იგივეობის, მარადიულობის ნიშნით აღბეჭდილ ობიექტებს, ხოლო „ველოვნება“ — ცვალებადობით აღბეჭდილ ობიექტებს.

ცნობილია, რომ მეცნიერებისა და ხელოვნების ასეთი კვალიფიკაცია არის-ტოტელეს მეცნიერების თეორიისათვის არის დამახასიათებელი [95, 65—69].

ზედმიწვეწულობაა გეომეტრია, ასტრონომია, არითმეტიკა. გეომეტრიის საკვლევი ობიექტი, ის მთავარი აღიარებული კანონზომიერება, რაიმე მოვლენის ჰუმანიტარული, არ იცვლება სხვადასხვა პირობების მიხედვით. ავტორის მიერ საილუსტრაციოდ მოხმობილია ასეთი გეომეტრიული წესი: „ყოვლისა მომრგულებულისა კენტრომასაგან გარეშემომასამიმართნი განვლანი სწორანი არიან ურთიერთას“ (8, 27), ანუ ყოველი წრის ცენტრიდან წრეხაზისაკენ გავლებული რადიუსები ერთმანეთის ტოლია. ეს აქსიომაა, „უმცოდოა“, უცვლელია.

ხელოვნების ნიმუშად დასახელებულია მკურნალობა ანუ მედიცინა. ასეთი სამკურნალო მეთოდი: „წინააღმდგომნი საკურნებელ წინააღმდგომთა“ (8, 27) მცოდნობს ანუ ცვლილებას განიცდის სხვადასხვა პირობების მიხედვით. იგი „არა მარადის იგივეობის მქონებელთათჳს“ იფულისხმება. ეს მეთოდი ყოველი სნეულების მკურნალობისათვის არ გამოდგება, რადგან მან შეიძლება საპირისპირო შედეგი გამოიღოს. მაგ.: ცივი წყლით სიციხიანი ორგანიზმის მკურნალობა არ ხდება, იგი, პირიქით, ტემპერატურის აწევას იწვევს. „ცივიმან წყალმან გარდასხმულან ეგერა მოკლებულსა მკურნალებასა აღუწოდა“ 8, 34.

საწინააღმდეგოთი საწინააღმდეგოს მკურნალობის მეთოდს იოანე პეტრიწი ეხება: „ჰაზრობენ ვიეთნიმე, განჯურებულისა სხეულისა სრულიად განგრილებამ წინამდებარე არს მკურნალთა მიერ, არამედ კეთილშეზავებულად მიყენებამ, რამეთუ სრულიად განგრილებისაგან წინააღმდგომისა მიერ გარემოიცივის სენისა წინამდებარეობამ მისი“ [34, 15].

აქაც იგივე აზრია: სიციხიანი ორგანიზმის გაგრძელება ზომიერების დაცვით თუ არ მოხდა, საწინააღმდეგო შედეგს მივიღებთ.

ამრიგად, „ზედმიწვეწულობის“ ობიექტები უცვლელობისა და მარადიულობის ნიშნებით ხასიათდებიან, ხოლო „ველოვნებისა“ — წარმავალი, ცვალებადი ნიშნებით.

ზედმიწვეწულობასა და ველოვნებას, როგორც ცოდნას, თავთავიანთი ობიექტი და მიზანი აქვთ, ისინი „ნივთისაებრ იცვალებიან“. ავტორის აზრით, „ყოველსა უკუე ზედმიწვეწულობასა და ველოვნებასა ქუედმდებარე რამე აქუს და დასარული“ 3, 26. მაგ.: მედიცინის ობიექტია ადამიანის ორგანიზმი, ხოლო მიზანი — ჯანმრთელობის დაცვა. ასტრონომიის ობიექტია ციური სხეულები, მიზანი — მათი მოძრაობის ცოდნა. რიტორიკის ობიექტია მეტყველება, მიზანი — კეთილშეზავება.

მრუხედავად მათ შორის არსებული შინაარსობლივი სხვაობისა, ზედმიწევნულობასა და ხელოვნებას საერთო ფუნქცია — ცოდნის გამოხატვა — აქვთ, ამის საფუძველს და წინაპირობას ორთავეს უქმნის ფილოსოფია. ფილოსოფია არის, ამონიოსის შეხედულებით, ის საერთო ბაზისი, რომელზედაც დაშენებულია ზედმიწევნულობაც და ხელოვნებაც. ფილოსოფია აწვდის მათ იმ ზოგად, საყოველთაო პრინციპს, რომლითაც ცოდნის ეს ორივე მხარე სწავლობს თავის ობიექტებს.

მაინც რაში მდგომარეობს ფილოსოფიის მეცნიერებასთან მიმართების ხასიათი? ნაწარმოებში ეს კარგად არის ნაჩვენები გეომეტრიის მიმართ.

გეომეტრია ზედმიწევნულობაა. იგი სიდიდეთა უსაზღვრო რაოდენობას იძლევა. სამი განზომილების — სიგრძის, სივრცისა და სიღრმის — მიხედვით შესაძლებელია სიდიდეთა „უზომობად“, „უპამრავობად“ დაყოფა, ანუ განუსაზღვრელი დაყოფა. ასეთი განუსაზღვრელი დაყოფა ერთგვარ ქაოსს შექმნიდა. და აი, ფილოსოფია იძლევა ზოგად პრინციპს, რომლითაც შესაძლებელია განუსაზღვრელ სიდიდეთა სისტემატური კანონზომიერებით მოწესრიგება. ეს პრინციპი მდგომარეობს შემდეგში: „ყოველსა განმწილებსა განწილებულისა დააკლებს ერთი განფენაჲ“ 9, 2.-წიად ძირიდან ნაწარმოები სიტყვებით „განმწილები“ და „განწილებული“ გადმოცემულია ბერძნ. $\alpha\epsilon\iota\phi\alpha\zeta$. მათი მნიშვნელობაა „შემოსაზღვრა“, „განსაზღვრება“ (სხვათა შორის, ამავე მნიშვნელობით ქართულ თარგმანში იხმარება „მიწოდომა“ ძირიდან ნაწარმოები სიტყვებით: „მისაწვდომელი“, „მიუწვდომელი“). ზემოთ მოტანილი ციტატის აზრი ასეთია: ყოველ სიდიდეს, რომელიც სხვა სიდიდეს განსაზღვრავს, აკლია ერთი განზომილება. საილუსტრაციოდ მოხმობილია ასეთი მაგალითი: ეპიფანია, ანუ ზედაპირი, განსაზღვრავს სამი განზომილების (სიგრძის, სივრცის და სიღრმის) მქონე სხეულს. თვით ეპიფანიას, როგორც განსაზღვრელს, მხოლოდ ორი განზომილება აქვს: სიგრძე და სივრცე. შემდეგ, ეპიფანია თავისთავად განისაზღვრება ღრამის ანუ ხაზის მიერ. ამ უკანასკნელს მხოლოდ ერთი განზომილება აქვს: სიგრძე. შემდეგ, ღრამში განისაზღვრება სიმაღლეს, ანუ წერტილის მიერ, რომელსაც არცერთი განზომილება არ აქვს.

სიდიდეთა განსაზღვრის ასეთ კანონზომიერებას ფილოსოფია ადგენს. იგი ქმნის სიდიდეთა წესრიგისა და სისტემატურობის საფუძველს.

„ზედმიწევნულობის“ ფუნქციაში სხვა მომენტიც იგულისხმება. მის შესახებ ამონიოსის მსგავსად საგანგებოდ მსჯელობს იოანე პეტრიწიცი, გვხვდება იგი იოანე დამასკელის „დიალექტიკაშიც“.

„ზედმიწევნულობა“ ამონიოსის მიერ გაგებულია, როგორც საყოველთაო საგნებისა და მოვლენების ცოდნა. კონკრეტულ საგანთა და მოვლენათა მეცნიერული ცოდნა შეუძლებელია მათი განუსაზღვრელობის გამო. კონკრეტული საგნის შესახებ არსებული ცოდნა მეცნიერება არაა, იგი ცდაზე დამყარებული კონკრეტულ-მგრძობელობითი ცოდნაა. მეცნიერების მიზანი ზოგადის დიდგენაა. „ზედმიწევნულობაა სამარადისოთა და მისაწვდომელთა ($\alpha\epsilon\alpha\epsilon\rho\iota\sigma\mu\epsilon\upsilon\sigma\iota\varsigma$) არს მეცნიერება“ 17, 7. ამ ფუნქციის გამო შესაძლებელია ზედმიწევნულობის ფილოსოფიასთან გაიგივება. ამონიოსი იმოწმებს პლატონს: „ზედმიწევნულობაა ითქუემის ზედდადგე-

ნისათვის ჩუენისა და საზღვრად რადმე საქმეთად მიყვანებისა“ 17,11, რაც ნიშნავს: მეცნიერება არის ჩუენს მიერ საგანთა და მოვლენათა განსაზღვრების ცოდნა¹.

ხოლო თუ განსაზღვრებად საგანთა და მოვლენათა ძირითად, არსებით ნიშანთა ერთობლიობას ჩათვლით, გამოდის, მეცნიერება ყოფილა ყოველი საგნის არსის წვდომა. „ხოლო ამას მოვიგებთ საყოველთაოთა მიმართ აღსა-არებისა მიერ“ — შენიშნავს ამონიოსი, რაც იმას ნიშნავს, რომ მეცნიერება საყოველთაოს ანუ ზოგადის ცოდნაა.

მსგავსად ამონიოსისა, იოანე დამასკელის აზრითაც, მეცნიერებას განე-კუთვნება ისეთი ცოდნა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ ჭეშ-მარიტებად არის აღიარებული, იგი „ძნად შესაცვალებელ“ არს. „მეცნიე-რებისათვის“ „ღღილექტიკის“ ორ თარგმანში სხვადასხვანაირი ტერმინებია. ეფრემ მცირე მეცნიერების გაგებით ხმარობს „კელოვნება“ ტერმინს, არსენ იყალთოელი კი — „მიწთომილობა“ სიტყვას. ორივე მთარგმნელი ამ ცნებე-ბის ჭეშ მულისხმობს „ზედმიწვევით“ ცოდნას. ეფრემ მცირე წერს: „ეგ-რეთვე [არს] ჭ ე ლ ე ნ ე ბ ა ა, რაჟამს ზედამიწვევით ვინმე უწყოდის, მიე-რითგან ძნად შესაცვალებელ არს მეცნიერება მისი“ [17,38,5] არსენის თარ-გმანში იკითხება: „ეგრეთვე [არს] მ ი წ თ ო მ ი ლ ო ბ ა ა ე ც ა, რაჟამს ზედ-მიწვევით ვინმე მისწუთეს, ძნად შესაცვალებელ არს მის შორის მეცნიერება იგი“ [იქვე].

მეცნიერების ასეთი განმარტება ნაწილობრივ ემთხვევა ამონიოსის მიერ მოცემულ „ზედმიწვევულობის“ განმარტებას, რომლის მიხედვით „ზედმი-წვევულობანი ეგრეთვეობის მქონებელთათვის შთამოუღენ“. ნაწილობრივ, ვამ-ბობთ, რადგან ამონიოსი „ზედმიწვევულობის“ ფუნქციაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, მეორე მომენტსაც გამოყოფს: საგნის განსაზღვრებისა და ზოგადობის ცოდნას.

„ზედმიწვევულობის“ ასეთი გაგება გვაქვს იოანე პეტრიწთანაც, ოღონდ იგი პროკლეს ნეოპლატონურად გაგებული მიზეზის პოზიციიდან გამომდინა-რე ახსნას იძლევა. პროკლეს მიხედვით: „უკუეთუ ცნობა მიზეზთა, საქმე და აღსასრული არს ზედმიწვევულობისა და კელოვნებისა და მაშინლა ვიტყვთ ზედმიწვევად კელოვნებასა, რაჟამს მიზეზნი ვცნეთ მყოფთანი“². პროკლეს თვალსაზრისით, ზედმიწვევულების რაობა და მისანი მდგომარეობს მიზეზთა დადგენაში. არსთა და მოვლენათა მიზეზის წვდომა იძლევა იმ ცოდნას, რაც ზედ-მიწვევულობას წარმოადგენს და რაც განასხვავებს მას ხელოვნებისაგან: მყოფ-თა მიზეზად გაგებულია ის საყოველთაო, მარადიული დასაბამი, რომელიც

¹ პლატონის ციტატა სხვა ადგილასაც არის დამოწმებული ამონიოსის მიერ, ოღონდ სხვა რედაქციით: „ეტყვის პლატონ კრატულს, ვითარმედ: ზედმიწვევულობაა ითქუმის ზედმიწე-ვისა რაისუ და საზღვრისა მიმართ ძიებათასა მიყვანებისა ჩუენისათვის“ 48,14. პლატონის ფრაზის რედაქციული სხვაობა ამონიოსის შრომის ბერძნულ ორიგინალშივე დასტურდება (შდრ. CA₁ 153, 17,7 და 59, 9). ქართული მთარგმნელიც არ ერიდება ტერმინოლოგიურ პრაგმატურობას. 'Επί σφάταιν-ის შესატყვისად პირველ კონტექსტში „ზედღართა“ გვხვდებ-და, მეორეჯან კი — „ზედმიწვევა“.

² სხვათა შორის, „ზედმიწვევულობი“ ეს განმარტება, წააბრუნე მოცთობდად დამოწმებუ-ლი იქვს სულხან-საბა ორბელიანის: „ზედმიწვევულ—რომელსა ცნობა მიზეზთა საქმე და აღსას-რული ჭქონდეს კელოვნებათა“ 45). აზრის სიუხალისათვის საქირა გამოცემაში დაემატოს სასკენი ნიშანი: ზედმიწვევული—რომელსა ცნობა მიზეზთა, საქმე და აღსასრული ჭქონდეს კელოვნებათა.

განაპირობებს მათ არსებობას. მიზეზის წვდომა საგნისა და მოვლენის არსებობის ცოდნა, მათი საყოველთაო კანონზომიერების ცოდნაა. „ზედმიწვეულობის“ ფუნქცია პროკლეს მიხედვითაც ისეა გააზრებული, როგორც ამონიოსის მიერ, ოღონდ პროკლეს ტრიადულ ნეოპლატონიზმში ამონიოსისეული არსთა და მოვლენათა განსაზღვრება შეცვლილია არსთა და მოვლენათა მიზეზთა დადგენით¹.

ოთანე პეტრიწი, როცა ამ ადგილს კომენტარს უყეთებს, საცებით იზიარებს პროკლეს შეხედულებას, ოღონდ ტერმინთა გამოყენების მხრივ ერთსაინტერესო ფაქტთან გვაქვს საქმე. პროკლეს ტექსტში იგი „ზედმიწვეულება“ და „კელოვნება“ ტერმინებს ხმარობს, საკუთარ, ორიგინალურ ტექსტში კი მათ ნაცვლად „ცნობა“ სიტყვას მიმართავს. იგი იმომწმებს ადგილს არისტოტელეს „ანალიტიკებიდან“: „მაშინდა ვიტყვით ცნობად, ოდეს მიზეზნი ვიუწყებთო, პირველნი დასაბამნი საქმეთანი“ და განმარტავს ამ აზრს: „თუნიერ მიზეზთამსა ცნობასა არცა ცნობად იტყვს, არცა აღირსებს საზომთა ცნობისათა, არამედ უფრომსლა ცნობად ცთომილად“ [19,42], ე. ი. თუ მიზეზი გარკვეული არაა, არც ცნობა ანუ ცოდნა გვექნება.

ქართველი ფილოსოფოსი თეორიული ან მეცნიერული ცოდნისა და ემპირიული ცოდნის ილუსტრირებას იძლევა. ამის ანალოგიური მსჯელობა ამონიოსის შრომაშიც დასტურდება. მიუხედავად იმისა, რომ

„ზედმიწვეულობის“ და „კელოვნების“ ზემოთაღნიშნული მნიშვნელობები — 1) მარადიული კანონზომიერების ცოდნა, 2) განსაზღვრების, არსის ცოდნა — ამონიოსის მიერ მიეწერება „სიტყვებებით“ ზედმიწვეულობასა და ხელოვნებას. „სიტყვებებით“ თეორიულს ნიშნავს.

თეორიული მეცნიერების რაობისა და მნიშვნელობის დადგენის შემდეგ ამონიოსი განიხილავს „ნავსად წოდებულ კელოვნებას“.

ფილოსოფია აძლევს დასაბამს არა მხოლოდ თეორიულ მეცნიერებას, არამედ „ნავსად წოდებულსაც“: „არა სიტყვებებითნი ხოლო კელოვნებანი და ზედმიწვეულობანი მოქენ არიან ფილოსოფოსობისა, არამედ ნავსად წოდებულნიცა კელოვნებანი“ 10, 8.

„ნავსად წოდებულ კელოვნებას“ ავტორი უწოდებს ხელოვნობას, ოსტატობას. ქართული თარგმანის „ნავსი“ შეესატყვისება ბერძნ. βίαισος-ს. Βίαισος-ის მნიშვნელობებია: 1) ხელონური, 2) დაბალი, მდაბიო [108]. ქართული მთარგმნელის მიერ სიტყვის მერაე მნიშვნელობაა აღებული: ნავსი ანუ დაბალი, მდაბიო².

„ნავსად წოდებული კელოვნების“ ნიშნად ამონიოსის მიერ მოტანილია სახლის მშენებლობა. მაშენებელი სწორი კედლის ამოსაყვანად „ილისტიკს“ (თარაზო) ხმარობს, მაგრამ რა არის ილისტიკი, „არა უწყის“. ფილოსოფოსისათვის კი ცნობილია ამ ხელსაწყოს გამოყენების კანონზომიერება: „ყოველ-

¹ შტრ. სიბრძნის, მეცნიერების ის განსაზღვრა, რაც არისტოტელეს ეუთვენს [95, 6R-70].

² ხელონური საქმიანობის ნავსად, ნადირ სემინოვი: შედაგება არისტოტელის ეუთვენის „მეტაფიზიკაში“ მეცნიერება და ხელოვნება დაპირისპირებულია ხელოვნობასა და ემპირიულ ცდას. კონკრეტულ-მარკანობობითი აღქმა უფრო დაბალი საფეხურია ცდაზე დაფუძნებულ ცოდნასთან შედარებით. ეს უკანასკნელი კი თავისთავად უფრო დაბალი საფეხურია, ვიდრე მჭკრეტელობითი ცოდნა ანუ ხელოვნება [95, 65-67].

ნი სიმძიმენი თვალძრუთ მიიმართებენ კენტრომსა შიმართ, ვინაჲცა მართალ-
თა ყურეთა მიმართ ყოვლით კერძო სიმძიმე დაზიდვენ, ხოლო მართალნი ყუ-
რენი გაუდრეკელნი არიან“ 10, 12, რაც ნიშნავს: ყოველი სიმძიმე თავისი
სიმძიმის ძალით ეშვება ცენტრისაკენ (იგულისხმება დედამიწის ცენტრი), ამი-
ტომ მართი კუთხის მიმართ სიმძიმე შვეულად ეშვება, მართი კუთხე სწორია.

ასევე ხურო ძელის გასასწორებლად „საწონს“ საჭიროებს, ხოლო „თუ
რამ არს ბუნებაჲ განმართებისაჲ, არ მეცნიერ არს“ 10, 16.

ემპირიული ცოდნისა და თეორიული ცოდნის ასეთი გამიჯვნა პეტრიწის
ნააზრევშიც დასტურდება [19, 42, 6—19].

„ნავსად წოდებული კელოვნებისა“ და „სიტყვრებიითი კელოვნების“ გა-
მიჯნით ამონიოს ერმისმა ერთმანეთს დაუპირისპირა მეცნიერული, თეორი-
ული გაგება ხელოვნებისა და მისი ხელოსნური საქმიანობის შინაარსით გააზ-
რება. ამ თვალსაზრისით თეორიული ხელოვნება შეიძლება ზედმიწევნულობის
სინონიმად იქნეს გაგებული. ამიტომაც, ზოგან ეს ორი ცნება ერთმანეთის ბად-
ლად არის გამოყენებული ამონიოსის მიერ. მაგ.: მედიცინა ზოგან ხელოვნებად
ცხადდება, ზოგან კი იგი ზედმიწევნულობას განეკუთვნება, შდრ. 7, 34 და
8, 28.

ქართველი მთარგმნელის მიერაც ეს ორი ტერმინი ზოგჯერ სინონიმად არის
გაგებული. ადამიანის ცნობილი განსაზღვრებაა: წჷმ ო სიყუბო მჷრუთ ხმ̄ დაი ჭიო-
რჷჷჷ მჷჯიჷჷ CA.1 54, 14. ერთ ადგილას ტექსტში ამ განსაზღვრების ბოლო
ფრაზაა მოტანილი. თარგმანში გვაქვს: „გონებისა და კელოვნებისა და ზედმიწევ-
ნულობისა შემწყნარებულობითი“ 22, 27. იგივე წინადადება მეორდება 22, 39-ზე.
ორსავე შემთხვევაში ჭიოჷრჷჷჷ ადგილას თარგმანში დასტურდება ორი სიტყვა:
„კელოვნება და ზედმიწევნულობა“. ცხადია, რომ მთარგმნელს ისინი სინონიმებად
ესმის.

ზშირად სინონიმებად არის ისინი გაგებული აღორძინების ხანის მწერ-
ლებთანაც. მათ ნაშრომებში „ზედმიწევნულობა“ დადასტურებულია „ზედმი-
წევის“ პარალელურად და გვხვდება „ხელოვნება“ ცნებასთან ერთად.

ამრიგად, ამონიოს ერმისის ფილოსოფიურ შრომაში საგანგებოდ არის გან-
ხილული მეცნიერების თეორია, „ზედმიწევნულობისა“ და „კელოვნების“
ცნებათა ანალიზისა და ფილოსოფიასთან მათი მიმართების წარმოჩენის თვალ-
საზრისით:

1. „ზედმიწევნულობის“ მნიშვნელობაა: 1) მარადიულ, უცვლელ კანონზომიე-
რებათა ცოდნა, 2) საგანთა და მოვლენათა განსაზღვრების, არსის
ცოდნა.
2. „კელოვნება“ ნიშნავს ცვალებად, კონკრეტულ საგანთა და მოვლენათა
ცოდნას.
3. ერთმანეთისაგან გამიჯნულია თეორიული ხელოვნება და ნავსად წოდებული
ხელოვნება, ანუ ოსტატობა.
4. „ზედმიწევნულობისა“ და „კელოვნების“, როგორც ზოგადად ცოდნის, სა-
ფუძველი ფილოსოფიაა.
5. „ზედმიწევნულობა“ ტერმინის შექმნა პეტრიწონულ სკოლას განეკუთვ-
ნება.

თავი IV

მეცნიერული ტერმინოლოგია

ამონიოსის „მოსაცნებლები“ მდიდარ მასალას შეიცავს სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო დისციპლინათა განვითარების ისტორიის თვალსაზრისით, ვინაიდან აქ ასახულია გარკვეული მეცნიერული ცოდნა მათემატიკის, მუსიკის, ფიზიოლოგიის, ლიტერატურისმცოდნეობის, გრამატიკის თუ სხვა სფეროდან. მართალია, ეს მასალა დამოუკიდებლად არ გვხვდება, ისინი მოტანილია საილუსტრაციოდ სხვადასხვა ლოგიკური ცნებების ანალიზის დროს, მაგრამ მეცნიერული ხასიათის ეს მსჯელობანი იმდენად ვრცელია, რომ მათ გარკვეული როლი და მნიშვნელობა ენიჭებათ ამ მეცნიერებათა ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

შათემატიკა

საგანი, რასაც დღეს მათემატიკას ვუწოდებთ, თარგმანში აღნიშნულია ტერმინებით: „სწავლულებითი“||„დასასწაველი“||„დასასწავლელობითი“. მეცნიერებათა კლასიფიკაციაში მათემატიკა საშუალო გოლს წარმოადგენს თეოლოგიასა და ფიზიოლოგიას შორის, რადგან იგი სწავლობს როგორც მატერიალურ ფენომენებს, ისე არამატერიალურსაც. იგი საშუალო საფეხურია უფრო დაბალი რანგის დისციპლინიდან (ე. ი. ფიზიოლოგიიდან) უმაღლეს საფეხურზე (ე. ი. თეოლოგიაზე) გადასასვლელად. „კიბე რაიმე და ჯიდ არიან დასასწავლენი“.

ამონიოს ერმისი საგანგებოდ ჩერდება მათემატიკაზე, მაშინ, როცა თეორიული ფილოსოფიის სხვა დარგებზე — თეოლოგიასა და ფიზიოლოგიაზე — ხაზგასმით დღეს.

„სწავლულებითის“ სპეციალურად ვრცელი განხილვა ალბათ განაპირობებდა, რომ ამონიოსი თვითონ შესანიშნავი მათემატიკოსი იყო.

მათემატიკის დარგებია: ქუეყანისმზომელობა (გეომეტრია), ვარსკულავთმრიცხველობა (ასტრონომია), მუსიკობითი||მუსიკობა (მუსიკა) და მრიცხველობითი||არითმეტიკი (არითმეტიკა). მეცნიერებათა კლასიფიკაციისას საუბარი გვექონდა იმ პრინციპებზე, რომელთა გათვალისწინებით გამოყოფილია ამონიოსის მიერ აღნიშნული მათემატიკური კვადრაციუმი. მათემატიკის ამ ოთხ შემადგენელ ნაწილს თავისი სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები გააჩნია, რაც განსაზღვრავს მის ფუნქციას, რითაც იგი განსხვავდება სხვა ნაწილებისაგან.

ყველასათვის საერთო ისაა, რომ ამ ოთხი დისციპლინიდან თითოეული სწავლობს რაოდენობრიობას, რიცხვებს. ამ რიცხვთაგან ზოგი მარტივი რიცხვია: ერთი (ε), ასევე ერთეული (μοναδ), ზოგი კი რთული, შედგენილი რიცხვია: ქმნილი (რიცხვ ან თანმდებარე რიცხვ. მათემატიკურ დისციპლინათაგან ზოგი „განსაზღვრებით“ რაოდენობას სწავლობს, ზოგი კი — „შერწყმითს“, იბ. 14, 34. ამათ ეკუთვნის ისეთი მათემატიკური ფენომენები, როგორცაა: რიცხუ, სიდიდე, წაკუთი, ტონი, ხრონი.

მათემატიკურ სიდიდეთა განსაზღვრისას ყურადღებას იქცევს ტერმინები: განმწილები და განწილებული. „ყოველსა განმწილებსა განწილებულისასა და-

აკლდების ერთი განფენაჲ # 9, 2. ეს ტერმინები ნაწარმოებია წილ ძირიდან, რომელიც ბერძნული *πέραι* სიტყვის შესატყვისია. ამ უკანასკნელის მნიშვნელობა: საზღვარი, ბოლო, მხარე, ე. ი. განწილება ნიშნავს განსაზღვრას, შემოფარგვლას. მათემატიკური სიდიდეები რაღაც განზომილებით: სიგრძით, სივრცით ან სიღრმით არიან შემოფარგლული, განზომილნი.

განწილების სინონიმებად, გარკვეული ნიუანსური სხვაობებით, იხმარება ტერმინები: განსაზღვრებაჲ, აღრიცხუვაჲ, მიწდომება, აღმამრებაჲ, გარეშეცემა.

„განზომილებს“ მნიშვნელობით, რაც ბერძნულ სიტყვას *ἐπιμέτρεια*-ს აქვს, თარგმანში რამდენიმე ტერმინი დასტურდება. ესენია: ეპიფანიამ (უთარგმნელად გადმოსული ბერძნული სიტყვა), ზედსაჩინომ (ბერძნული ტერმინის კალკას წარმოადგენს: ზედ-წი, საჩინო-ფარეა), განფენაჲ და გარეშემოქმადმართი. ამ ტერმინებს მეორე მნიშვნელობაც აქვთ: „ზედაპირული“.

ტექსტში დასტურდება გეომეტრიულ ცნებათა გამომხატველი ტერმინებზე, როგორცაა:

სიშვამ, რაც ნიშნავს წერტილს,

ღრამში — სწორი ხაზი,

ნაკუთთი — ფიგურა,

კენტროჲ — ცენტრი.

სიდიდე და მისი განზომილებანი: სიგრძე, სივრცე, სიღრმე.

Τριῖα	{	ჟური ჟურე = კუთხე
		კუთხე = კუთხე
		ჭვიდე = კუთხე წვერო
		გურედი.

სხვადასხვა გვერდითა და კუთხით შედგენილ გეომეტრიულ ფიგურათა შესახებ ავტორი სავანგებოდ მსჯელობს: როგორ აიგება თითოეული ფიგურა, რა სიდიდეებისაგან შედგება იგი და ა. შ.

გეომეტრიულ ფიგურათაგან გარჩეულია სამკუთხი||სამჟური||სამჭვიდე. ყველა ამ ტერმინით აღნიშნულია დღევანდელი „სამკუთხედი“. სამკუთხი ფიგურებში ყველაზე მარტივია. მასთან შედარებით რთულია ოთხჟური||ოთხჭვიდე||ოთხჭვიდი ჟური (დღევანდელი „ოთხკუთხედი“), ხუთკუთხი და ექუსკუთხი. ეს რთული ფიგურები შეიძლება განიწვალოს, ანუ დაიშალოს სამკუთხედებად. ამდენად, სამკუთხედი არის ასო, ანუ ელემენტი, ყველა რთული ფიგურისათვის.

გეომეტრიული ფიგურები ფორმის მხრივ არიან მართალჭვიდე||ჭვიდემართალი, რაც ნიშნავს „სწორკუთხედს“ (ბერძნულად *ῆπιόγυαιος*) და ღრამმართალი, რაც ნიშნავს „სწორხაზოვანს“. ამ ტერმინებით აქცენტირებულია ფორმა „მართალი“, რაც სწორას ნიშნავს. მართალჭვიდე ნიშნავს სწორკუთხედს: „ყოველი ოთხჭვიდე ორად სამძვიდედ მართალჭვიდედ განიწვალეს“ 56, 30. ღრამმართალი = სწორხაზოვანს: *Κ' ἰσομειοσάα* „შინა ასწავებს მეტყუელი პლატონ ყოველთა ღრამმართალთა ნაკუთთა“ 57, 18.

სამკუთხედი სხვადასხვა სახისაა: სწორკუთხედი, სწორწვევები და კიბისგუარო. აი, ეს ადგილი ტექსტიდან:

„ქუეყანისშომელნიცა მომპონენლი მრავალსა თითოფერებასა სამჟურთასა, ვითარ რომლისამე სამთავე გუერდთა სისწორესა მქონებელისა, ხოლო რომლისამე ორთა მხოლოდ, ხოლო რომლისამე სამთა უსწოროთა, თვსთა სა-

ბელთა იკუმევენ. და რომელსა სამნივე გუერდნი სწორნი აქუნდენ, უწოდეს ხწორგუერდად, ხოლო რომელსა ორნი მხოლოდ — ხწორწყვებად, ხოლო რომელსა სამნი უსწორონი — კიბიხგუარად“ 42,12.

სწორგუერდი = ტოლვერდა სამკუთხედს.

სწორწყვები = ტოლვერდა სამკუთხედს.

კიბიხგუარი = სხვადასხვავეერდა სამკუთხედს.

სხვა გეომეტრიული ფიგურა, რომელიც განხილულია ტექსტში, არის წრე. წრეს აღნიშნავს ტერმინები მრგული||მომრგულდებული. ნახევარმრგული აღნიშნავს „ნახევარწრეს“.

განვლაი = რადიუსს,

განრემზომი||განრემზომობაი = დიამეტრს.

ამ ძირითად მათემატიკურ სიდიდეებთან დაკავშირებით საყურადღებოა ის დებულებებიც, რომლებიც ვაკვეულ მათემატიკურ წესებს წარმოადგენენ. ეს წესები ავტორის მიერ გამოცხადებულია აქსიომებად, ანუ როგორც თარგმანშია ნათქვამი, „ღირსებად“. ღირსება ქართული შესატყვისია ბერძნული δέξαιμα -სი. მას შემდეგი მნიშვნელობები აქვს: 1. ღირებულება. 2. პატივი, ღირსება, 3. განზრახვა, 4. დარიგება, 5. მტკიცება, 6. აქსიომა. ქართველმა მთარგმნელმა ღირსება იხმარა აქსიომის მნიშვნელობით, ანუ ისეთი ქვეშარიტების გაგებით, რომელიც თავისთავში შეიცავს მტკიცებას, რომელიც ცხადია მტკიცების გარეშე. აი, როგორ არის განმარტებული ღირსება სიტყვა.

„წინამოიხუმიან ორნი რამეც ცხადნი ღირსებანი, რომელნი ესრეთ იწოდებიან პერიპატოელთაგან, ვითარცა: „შინაგან თუსსა მქონებელნი რწმუნების ღირსებისანი“ 77,23.

შინაგან თუსსა რწმუნების მქონის, ანუ აქსიომის, ნიმუშად ტექსტში მოხმობილია ასეთი მსჯელობანი:

1. „არაად იქმნების არვითა არსალა მყოფისაგან“ (77,25) ანუ, დღევანდელი გაგებით: არარაობისაგან წარმოიშობა არარაობა.

2. „წინააღმდგომნი მასვე ქუემდებარესა შინა მასვე და ერთსა ჟამსა ერთბამად არ ეგებიან ყოფად, რამეთუ ურთიერთას დამარლუეველობითნი არიან წინააღმდგომნი“ (77,31), ანუ დაპირისპირებულნი ერთსა და იმავე საგანში ერთსა და იმავე ჟამს არ არსებობენ, რადგან ისინი ერთმანეთს მოსპობენ.

3. „ყოვლისა მომრგულდებულისა კენტრომსაგან გარეშემომსამომართნი განვლანი სწორნი არიან ურთიერთას“ (8,27), რაც ნიშნავს: ყოველი წრის ცენტრიდან წრეწირზე გავლებული რადიუსები ერთმანეთის ტოლია.

4. „ყოველნი სიძიმენი თუთაღრეთ მიიმართებენ კენტრომსა მიმართ, ვინაჲცა მართალთა ყურეთა მიმართ ყოველით კერძო სიძიმე დაზიდვენ, ხოლო მართალნი ყურენი გაუღრეკელნი არიან“ (10,12), რაც ნიშნავს: ყოველი ძალა ინერციით მიიზიდება ცენტრისკენ. ამიტომ ყოველი ძალა მართი კუთხის მიმართ ეშვება, მართი კუთხე კი სწორია.

5. „უკუეთუ მრგულისათუსცა ვინ შემოილოს განრემზომი, განწყოლს მრგულსა ორად ნახევარმრგულებად და ცხად არს, ვითარმედ თითოეული ნახევარმრგულთაგანი ნაკუეთი არს გარემოვლებულისაგან ნახევარმრგულისა ღრამისა და განრემზომისა ევთიამს თანმდებარე“ 57,35. აქ ასეთი აზრია: თუ წრეზე დიამეტრს გავავლებთ, იგი გაიყოფა ორ ნახევარწრედ და ცხადია, რომ თითოეული ნახევარწრე არის წრეწირისა და დიამეტრისაგან შედგენილი ფიგურა.

საგანგებო ყურადღებას იქცევს მათემატიკური რიცხვების აღმნიშვნელი ტერმინები: ცანკლო, ჰულელი და ცანკჰულელი. ცანკლო ნიშნავს კენტს, ჰულელი — ლუწს, ცანკჰულელი — ცალწყვილს.

კენტისა და ლუწის აღმნიშვნელი ეს ტერმინები რამდენჯერმე გვხვდება ტექსტში. აი, ეს ადგილები:

1. „შობათაცა რიცხუთასა ჰულელისა და ცანკლისა და ცანკჰულელისა და სხუთა მრავალთა ეგვეთართათა ზედა ჰსჰურეტს“ 14,11.

2. „რათღენობა თავით თუსით არს რიცხუ, ოღეს თვთ თავით თუსით განვიხილვით მას, ვითარ-იგი ჰულღვით ჰულღვილი ანუ ცანკჰულელი რიცხუ“ 15,10.

3. „რიცხუ არს ჰულელი და ფარდი“ 141,4.

4. „ვენება ... არს ... რიცხუსა — ჰულელი და ფარდი“ 150,29.

ორ უკანასკნელ შემთხვევაში „ცანკლის“ ნაცვლად გვაქვს „ფარდი“ ტერმინი. იხ. აგრეთვე 141, 7. ცანკლი შეესატყვისება *παραδίνω*-ს, ჰულელი — *ἄριστος*-ს, ცანკჰულელი — *ἁπλοσύνω*-ს. წყვილცალის მნიშვნელობით მართებული ფორმა ცანკჰულელი, რაც ატარებს მნიშვნელობას: ცალი წყვილი. ცანკჰულ კომპოზიტი შემადგენელი სიტყვები შეკვეცილი ფუძეებით არის წარმოდგენილი:

ცანკჰ < ცანკლი + ჰულ < ჰულელი. „ცანკჰული“ კომპოზიტი შედგენილია „ცანკჰ“ და „ჰულელი“ ფუძეებისაგან.

ცანკლო და ჰულელი ფუძეები ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ჭერჭერობით მხოლოდ ჩვენს ტექსტშია დადასტურებული.

სულხან-საბას აღნიშნული აქვს ეს სიტყვები [45]. იგი მათ განმარტებასაც იძლევა: „ცანკვილი — კენტი ჯარი, ჰულელი — ულელი, წყვილი; ცანკჰულელი — ლუწი და კენტი“.

სულხან-საბა მხოლოდ ცანკულ სიტყვასთან ასახელებს წყაროს: კათილ. იქვე: სხვა კათილ. ივ. ჯავახიშვილს მიაჩნია, რომ ამ სიტყვათა განმარტებანი საბასავე ზეპირი ცნობა უნდა იყოს. მაშასადამე, XVII ს. დამლევს ეს სიტყვები ჭერ კიდევ ცოცხალი ტერმინი ყოფილაო, ასკენის მეცნიერი [66,388].

უნდა გავიხსენოთ, რომ სულხან-საბა ორბელიანი ზოგჯერ წყაროს მიუთითებლად განმარტავდა ამა თუ იმ ტერმინს, ზოგჯერ მთელ განმარტებასაც იღებდა რაღაც წყაროდან ისე, რომ იმ წყაროს არ აღნიშნავდა. [32,29—30]. „სხვა კათილორია“ — ზე მითითება ცხად-ჰყოფს, რომ ზემოაღნიშნული ტერმინებზე მან ამონიოსის „მოსასვენებლებიდან“ ამოიღო და განმარტა ისე, როგორც ამას ამონიოსის შრომა კარნახობდა.

ცანკლო და ჰულელი ტერმინები დასტურდება იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ [16, 197—198].

სულხან-საბას ლექსიკონით უსარგებლია დავით ჩუბინაშვილს. მაგრამ მის ლექსიკონში საანალიზო სიტყვათაგან ზოგი დამახინჯებულად არის გატანილი:

ცანკული არისო კენტი, ცალი, нечет, непара.

ცანკჰულელი — ლუწი, ორი ტოლი, чет, пара.

ცანკვილი — კენტი ხარი. ჰულელი, ჰულული — უღლეული, წყვილი, пара [59].

ნიკო ჩუბინაშვილიც ასევე შეედომით ასახელებს ამ სიტყვებს: „ჭუღელი, ჭკუღელი — ლუწი, ან უღლეული, ხოლო ცანჭკუღელი, ანუ ცალჭკუღელი — კენტი; ცანჭკული, ცალჭკული — კენტი“ [60].

როგორც ვხედავთ, საანალოზო სიტყვებში სხვადასხვა ძირია გამოყოფილი: ჭულ, ჭკულ, ცანჭკულ, ცანკვილ.

ლუწისა და კენტის აღმნიშვნელ სიტყვებს საგანგებოდ მიმოიხილავს ივ. ჭავჭავიძე. იგი მათ საბას ლექსიკონით იცნობს. მკვლევარი ძიებებს აღნიშნულ სიტყვათა ძირებს.

ცანკუჭუღელი წყვილსა და კენტს, უღელ-ცალს ნიშნავს. კომპოზიციის პირველი ნაწილი ცანკუჭ რიცხვითი მნიშვნელობის გამოხატველიაო, შენიშნავს მკვლევარი, მეორე ნაწილია უღელი. მაგრამ შემდეგ იგი სრულიად სამართლიანად გამოთქვამს ეჭვს: რა უნდა იყოს ცალკე ჭ? და იძლევა სწორ ფორმებს: ცალკე გამოყოფს ჭუღელ და ცანკუ ფუძეებს. მკვლევრის ვარაუდით, თუ ჭუღელი დამოუკიდებელია, მაშინ რიცხვითი ოდენობის გამოხატველია ცანკუ. ცანკუჭი ან ცანკუი უღრის კენტს; მაგრამ იგი კენტს არაფრით მიაგავს. ცან ჰგავს ცალს. ცალი, ივ. ჭავჭავიძელის სიტყვებით, უთვისტომო არ არის და, ცხადია, ერთის უძველესი სახელთაგანია. ერთი ცალთან შედარებით მერმინდელია [66,385—388]. არაფერია თქმული იმაზე, თუ რა უნდა იყოს კუ. საანალოზო სიტყვათა სწორი ფორმები, საბედნიეროდ, შემოუნახავს ამონოსის ტექსტებს.

კენტის აღმნიშვნელი სწორი ფორმაა ცანკული (და არა ცანკუჭი, ცანკული და სხვა დამახინჯებული ფორმები).

ლუწის აღმნიშვნელია ჭუღელი, ხოლო წყვილცალისა — ცანკუღელი. ამოსავალია ორი ფუძე: ცანკული და ჭუღელი. რას უკავშირდება ეს ფუძეები, რა წარმომავლობისა არიან ისინი?

ამ საკითხზე ჩვენი მოსაზრება ასეთია:

ცანკული უკავშირში უნდა იყოს ცალკეულ ფუძესთან. კე და უღ მანქარაობებზე ბია. რაც შეეხება ჭუღელ ფუძეს, იგი ქართველური წარმოშობისა არ ჩანს, ელ მანქარაობებელია, ძირია ჭულ. ჭულ ძირი, ჩვენი აზრით, უნდა უკავშირდებოდეს ინდოევროპულ ენებში დადასტურებულ ლუწის აღმნიშვნელ ფუძეს: ფალ. *juht*, სპარს. *ju*, ბერძნ. *ζυγόν*. სომხ. *ջուխտ*, სომხური ენის გორისა და ყარაბახის დიალექტში *ჯოխთ* [143]. შეიძლება ეს ძირი ფალური გზით იყოს შემოსული, ან ბერძნულ *ζυγόν*-ს უკავშირდებოდეს.

ასეა თუ ისე, ჭუღელ ფუძე უნდა დაიყოს ჭულ ძირად და -ელ მანქარაობებლად და არა ჭ გაურკვეველი ფუნქციის ბგერად და უღელ ფუძედ.

ჭუღელის მხოლოდ ასეთი გააზრება გვაძლევს საშუალებას, თავიდან ავიცილოთ ზემოთმოხსენებული მცდარი გაგება კენტისა და ლუწის აღმნიშვნელი სიტყვებისა.

მ უ ს ი კ ა

მათემატიკურ დისციპლინებში გეომეტრიის, ასტრონომიისა და არითმეტიკის გვერდით ივარაუდებოდა მუსიკა. მუსიკაც, მსგავსად არითმეტიკისა, სწავლობს რაოდენობას, რიცხვებს, ოლონდ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ არითმეტიკა სწავლობს რიცხვებს თავისთავად, დამოუკიდებლად არსებულთ, ხოლო

მუსიკის ობიექტია ურთიერთმიმართებაში, ერთობლიობაში მყოფი რიცხვები, რაც გამოვლინდება ტონთა ურთიერთმიმართებაში. რიცხვთა ერთობლიობა არის პარმონიის საფუძველი. მუსიკა რიცხვთა საშუალებით შეიცნობს ამ პარმონიას: „ართომიტყი არს მეცნიერებად რაოდენისა თავით თუსით განსაზღვრებულსადა, ხოლო რაოდენისა განსაზღვრებულსადა სხვა მიმართ, არს სქესი ურთიერთსამიმართთა ტონთად, რომელთათუს მორთულებად შთამოვალს, რომელსა რიცხუსა მიერ ვიცნობთ, რომლისათუს შთამოვალს მუსიკობად. და არს მუსიკობად მეცნიერებად რაოდენისა განსაზღვრებულსადა“ 15,15.

მუსიკისა და არითმეტიკის ასეთი ფუნქციონალური შეფასების წყარო, როგორც ვიცით, პითაგორეიზმია. მუსიკის, როგორც რიცხვთა პარმონიის მნიშვნელობა, ფართოდ განიხილებოდა ანტიკურ ფილოსოფიაში. აქედან იღებს მუსიკის როლისა და მნიშვნელობის შეფასებას ამონიოს ერმისი. სხვათა შორის, დავით უძღველისა და სხვა აღექსანდრიელ ფილოსოფოსთა მოძღვრებაშიც დასტურდება მუსიკის მსგავსი ინტერპრეტაცია [171,87].

მუსიკის სპეციფიკა, არითმეტიკისაგან განსხვავებით, მდგომარეობს იმაში, რომ იგი პარმონიას შეისწავლის, იქნება იგი ინსტრუმენტული თუ ვოკალური.

მუსიკის დისციპლინის აღსანიშნავად ტექსტში გვხვდება ტერმინები: მუსიკობა, მუსიკობითი და მუსიკი. მუსიკი ბერძნული ἡ μουσική-ს პირდაპირი გადმოტანაა. მუსიკიწ სწავლობს „ლართა თანმეკმობას“, ანუ სიმთა შეწყობას. „თანმეკმეობა“ სიტყვით გადმოცემულია ბერძნული ὁμοφωνία.

მუსიკი ეძიებს კილოს, მელოდიას, რომელიც გარკვეული ესთეტიური ღირებულების მიხედვით არის შეფასებული. მიემართოთ ტექსტს:

„მსმენელნი საყურისა და ტინმბანათანი უმწყარაღეს ვიქმნებით (და ამისთუს ბრძოლათა შინა საყური შიბობების). ხოლო გუესმოდის რაა სათეატრონოთა კილოთად, უმსუამრესობად წარვჰმართებთ სულთა. მოიღებვის უკუე მათიანცა ესევეთარი, ვითარმედ პითაგორამან, მხილველმან ჰაბუკაას ვისმე მეავლისა მსუამრსა კილოსა მეავლეობისასა შედგომილისამან, უბრძანა მას მცვალებელსა ავლისასა უმკრცხესობით მეავლეობად და ამისითა ქმნითა დაცხრობად გულისმთქუმელობად ჰაბუკისადა მის. ვინადაცა არა ჯერ-არს ურწუმუნობად თქუმულთად საღმრთოთასა მუსიკობისათუს“ 14,18.

ეს ვრცელი ამონაწერი იმისთვის მოვიტანეთ, რომ აქ მუსიკის ხელოვნებასთან დაკავშირებული საყურადღებო საკითხებია დასმული. დასახელებულია მუსიკალური საკრავები: ავლი (ἀυλή), საყური (ἄλκι: ἤχη) და ტინმბანა. ტინმბანა მთარგმნელის მიერ არის დამატებული. საყური და ტინმბანა დაპირისპირებულია ავლითან. ამ დაპირისპირების საფუძველს კილოს ქლერადობა განაპირობებს.

ავტორი სამგვარ კილოს, ანუ მელოდიას, გამოყოფს. ერთია მაღალი ქლერადობის კილო, რომელსაც საყური გამოსცემს. ამიტომ საყური და ტინმბანა ბრძოლაში გამოიყენება, რათა „უმწყარაღეს ვიქმნეთ“, ე. ი. საყურისა და ტინმბანას მიერ გამოცემული ბგერები ვაჟკაცურ, სამარ განწყობას ქმნის.

საყურის კილოს უპირისპირდება სათეატრონო კილო, რომელიც უმსუამრესობად განაწყობს მსმენელს.

მესამე კილოა მსუამრ კილო, რომელსაც გამოსცემს მეავლე ავლზე დაკვირისას, ანუ მსუამრ კილოს გამოსცემს სალაპურის დამკვრელი. რას უნდა

ნიშნავდეს მსუამარი კილო და სათეატრონო კილო, რომელიც უმსუამარესობად განაწყოებს მსმენელს?

მსუამარის შესატყვისად ბერძნულშია *ἐκαστος*, რომლის მნიშვნელობებია: 1) მსუბუქი, მკვირცხლი, 2) თავაშვებული, ლალი, 3) ნაზი, მოდუნებული.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში არის მსუამარე (მსუამარი Cq) ფორმა. საბა ასე განმარტავს მას: „ნესტუმ მბერავი“. მასვე მითითებული აქვს იმავე ძირიდან ნაწარმოები ფორმები: „უმსუამარეობა“ და „უმსუამარეობად“. „უმსუამარეობა“ განმარტებულია: უნესტუმბერობა, „უმსუამარეობად“ — უნესტუმბერავად. მამასადაამე, საბას „ნესტი“ ჩვენი ტექსტის „ავლის“ ფარდია. ასევე სინონიმებად ესმის ავლი და ნესტვი C ხელნაწერის გადაწერს. ვპრ-ზე შეავლის გასწვრივ აშიაზე შენიშვნა: „მეავლე — მენესტუე“.

სულხან-საბა მსუამარის ეტიმოლოგიურ განმარტებას არ იძლევა, მაგრამ მიუთითებს, რომ მსუამარ კილოს გადმოსცემს ავლი ანუ ნესტუ. საბა მსუამარეს განმარტავს ამონიოსის ნაწარმოების მიხედვით, თუმცა წყარო მის მიერ დასახელებული არაა: „მსუამარე — ნესტუმ მბერავი“. ასეთი განმარტების საფუძველს საბას ამონიოსის „მოსაქსენებელი“ ძლევედა, სადაც სწერია, რომ მეავლე მსუამარსა კილოსა იყო შედგომილი.

მსუამარ კილოს გაგებას თვით ტექსტი იძლევა. როგორც ჩანს, მსუამარ კილოში იგულისხმება ნაზი, ლირიული მელოდია, რადგან ამ კილოს გამოსცემს ავლი, სალამური. ჭერ ერთი, აღებულ კონტექსტში მსუამარი კილო დაპირისპირებულია საყვირისა და ტინმბანას კილოს, და შემდეგ, ტექსტში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ პითაგორამ სალამურზე დამკვერფე ჰაბუქს, რომელიც მსუამარ კილოს გამოსცემდა, უბრძანა კილოს შეცვლა და „უმკურცხესობით მეველეობა“. მკვირცხლად დაკვრაზე გადასვლა მოასწავებს იმას, რომ მანამდე ნაზ, მშვიდ ბგერებს გადმოსცემდნენ. სანამ ჰაბუქი მკვირცხლ, მაჟორულ მელოდიაზე გადავიდოდა, მანამდე იგი ნაზ, ლირიულ მელოდიას აქლერებდა. სალამური ხომ ასეთ ნარნარა, ნაზ ბგერებს გადმოსცემს.

საინტერესოა მსუამარ სიტყვის ეტიმოლოგია.

მსუამარი, საბას მსუამარე, მიმლეობური ფორმაა, სუამ ძირიდან წარმოებული. სუამ ძირი ალბათ სუმა სიტყვას უკავშირდება.

მსუამარ რომ სმას, სუფრულ, საზეიმო, ლალ მელოდიებს გულისხმობს, ამას მხარს უჭერს მისი შესატყვისი ბერძნული სიტყვის *ἐκαστος* -ის ერთერთი მნიშვნელობა: თავაშვებული, ლალი.

როგორც ჩანს, მსუამარ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობაც ეს იყო: მსუამარი კილო ანუ ლალი, საზეიმო კილო.

მსუამარის ასეთი მნიშვნელობა სხვაგანაც დავადასტურეთ. ეს არის შედარებით გვიანდელი პერიოდის წყარო, 1763 წლის დოკუმენტი, კერძოდ, სოლომონ I-ის წერილი სიმონ კათალიკოსს, იქ წერია: „გრაგნილი შენისა სიბრძნისმოყუარებისა, ოქრომელანსა შინა აღმოწებულისა, მოიწია ჩუენდა, რომელიცა მსვამარ-მსვამარ ყვაოდენ სახარულევანთა ხმათა და ედემის ნორჩებთ მცენარეობდეს პერმონისა ტუართა მიერ შეკრებილსა ნილოსსა“ (Arm.d 82 — 84). ამ ოდიოზური, პათეტიკური სტილით ნაწერ მიმართვაში მსვამარ-მსვამარ გვხვდება „სახარულევანთა ხმასთან“ კონტექსტში. ცხადია მისი მნიშვნელობა: „მსვამარ-მსვამარ ყვაოდენ... ხმათა“, ანუ ლალ, საზეიმო ხმებს გამოსცემდნენ.

მაშასადამე, მსუამრი ნაწარმოებია სუმა ძირიდან, მისი პირველადი მნიშვნელობაა ლალი, საზეიმო; ხოლო ნაზი, ლირიული კილოს გაგება მეორადაა შექმნილი.

ამ მნიშვნელობასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება გავიხსენოთ სულხან-საბას ლექსიკონში მითითებული ერთი სიტყვა. ეს არის ხემეი. საბა აღნიშნავს, რომ ხემეი უცხო სიტყვაა და ნიშნავს „შვიდს“. ხემეი სპარსული ნაყისხობაა. სპარსულში ამ სიტყვას აქვს მყუდროების, სიმშვიდის მნიშვნელობა [139].

შესაძლებელია, გამორიცხული არ იყოს ხუამ ძირის სპარსულ ხემეი-სთან დაკავშირება, თუმცა ამას დამტკიცება სჭირდება.

მსუამრის მეორე ფორმა, რომელიც ტექსტში დასტურდება, არის უმსუამრესობა: „გუესმოდის რამ სათეატრონოთა კილოთამ, უმსუამრესობად წარეპნართებთ სულთა“. მსუამრის აღმატებითი ხარისხის ფორმა ნაწარმოებია აბსტრაქტულ სახელად. უმსუამრესობად ნიშნავს უფრო ლალად, უფრო საზეიმოდ. როგორც ირკვევა, ასეთ ბგერებს გულისხმობს სათეატრონო კილო ანუ თეატრის მუსიკა, სასცენო მუსიკა. თავისი ელერადობით მას საშუალო ადგილი უჭირავს სალამურზე დაკრულ მსუამრ კილოსა და იმ საომარ კილოს შორის. რომელსაც საყვირი გამოსცემს.

მუსიკალურ ტერმინთაგან ყურადღებას იმსახურებს განართხმა და დაფოთება. ამ ფუძეთაგან ნაწარმოებია განართხმული, განართხმულობა, დაფოთებული და ფოთობა ტერმინები. ბარბითის ლარი ან განართხმულია, ან დაფოთებული. აი, ეს ადგილი:

„ესე სახელნი მოიხუმიან გარდმოღებისაგან ბარბითის ლართამსა, რამეთუ მუნ განართხმული ვიდრემე ფრიადსა აღუტევებს ძგერასა, ხოლო დაფოთებული — უჯინესა“ 75,1. აქ ასეთი აზრია: განართხმული ანუ დაქიმული სიმები მალად ბგერებს გამოსცემენ, ხოლო დაფოთლებული ანუ მოშეებული — უჯინესს, დაბალს.

სხვა ადგილას წერია: „ლართა შორის განართხმულობითა და ფოთობითა შეწყობისა დაქსნაა შეემთხუევის“ (85,19), ე. ი. ლართა დაქიმვით ან მოშეებით შეწყობა დაირღვევა. რას ნიშნავს სიტყვა შეწყობა? შეწყობა არის ბერძნული ἀρμολογία-ს ადგილას, მისი მნიშვნელობაა: პარმონია. პარმონიის გაგებით ჩვენს ტექსტებში სხვა სიტყვაც იმხარება. ეს არის მორთულება.

დავებრუნდეთ ისევ განართხმულ და დაფოთებულ სიტყვებს. განართხმა, საიდანაც არის ნაწარმოები განართხმული, დღესაც ცოცხალია და ნიშნავს გაქიმვას, გაშლას.

საინტერესოა ფოთობა სიტყვის ეტიმოლოგია. ფოთობა გაქიმვის საპირისპირო მნიშვნელობისაა, ე. ი. ფოთობა ნიშნავს მოშეებას, მოფოლხეებას. სულხან-საბა ორბელიანს დადასტურებული აქვს ეს სიტყვა: „ფოთე (+კათილორ. ZAA | მოშეებული ZAB. ფოთე — დაღერა, გინა დაქსნა. ფოთე დაღერად ითქმის ანუ დაქსნად, ფოთე მოშეებადაც ითქმის. დაფოთებული დუნე Za, დაღუნებული B, მოშეებული გინა დუნე Cb“ [45]. (შდრ. პეტრიწის „მეშუც“ [67]).

აშკარაა, რომ სულხან-საბას ფოთ ძირის ის მნიშვნელობა აქვს მითითებული, რაც აქვს ამ სიტყვას ჩვენს ტექსტში. მკვლევარს წყაროც კი აქვს დასახელებული: კათილორია. კათილორიის ქვეშ ამონიოსის პირველი „მოსახსენე-

ბელი“ უნდა ვივარაუდოთ, რადგან ქართულ მწერლობაში ცნობილ სხვა კატეგორიებში, როგორცაა: იოანე დამასკელის „დიალექტიკა“, ანტონის „კატეგორია სიმეტრე“, დავით ბაგრატიონის „კატელოგია შემოკლებული“, ეს სიტყვა არ დასტურდება.

საინტერესოა, ფოთ ქართული სიტყვაა თუ ნახესხები? ჩვენთვის ცნობილ წერილობით ძეგლებში, აგრეთვე ქართულ დიალექტებში, ეს სიტყვა ვერ დადასტურეთ.

საგულისხმოა, რომ სპარსულში არის ფოთ (ფოთ) ძირი, რომელსაც აქვს „რბილის“ მნიშვნელობა. ხომ არ შეიძლება ქართული ფოთოობის' ამ სპარსულ ძირთან დაკავშირება? ეს საკითხი კვლევას მოითხოვს.

მუსიკის ხელოვნებასთან დაკავშირებული ცალკეული, სპორადული ხასიათის მსჯელობათა ფონზე იკვეთება მუსიკის, როგორც ზოგადი დისციპლინის, ესთეტიკური ღირებულება. ამონიოს ერმისის კონცეფციით, მუსიკა შთაგონებას, კეთილგანწყობილებას ანიჭებს ადამიანს. მისი ზემოქმედების ძალა იმდენად დიდია, რომ არეგულირებს ადამიანის სულიერ განწყობილებას. ავტორის შეხედულებით, მუსიკა „მოიპოვებს კილოთაცა რათმე დამაძინებელთა ვიდრემე სულისა ვნებათასა და აღმადგინებელთა მისთა სათნობისა მიმართ“ 14, 15, ე. ი. მუსიკა ახმოვანებს, გამოსცემს ისეთ კილოს, ისეთ მელოდებს, რომელნიც სულიერ ვნებათ აცხრობენ და სიკეთისა და სათნობისაკენ მიმართავენ ადამიანს. მუსიკის ფენომენი სიკეთეს, სათნობას უკავშირდება. მუსიკის ასეთი გააზრება პლატონის ფილოსოფიურ-ესთეტიკური იდეებიდან იღებს სათავეს. ამიტომაც იმოწმებს ალექსანდრიელი ფილოსოფოსი პლატონს, რომ მუსიკა „საღმრთოა არს“. ამიტომაც „პლატონცა უბრძანებს ჭაბუკთა მუსიკობისა მიერ და გამოსაძრუელობითისა სლვად, რაათა მუსიკობისა მიერ ვიდრემე სულსა შეამკობდენ, ხოლო გამოსაძრუელობითისა — სხეულსა“ 14,27. მუსიკა ადამიანის სულიერ მხარეზე, ფსიქიკაზე ზემოქმედებს, ხოლო სხეულის წვრთნას, გაკაებებს „გამოსაძრუელობითი“, ანუ გიმნასტიკა, უწყობს ხელს. ეს არის ანტიკური კულტურაში შემუშავებული იდეალი ადამიანისა: ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია.

ამრიგად, ამონიოს ერმისის ნეოპლატონისტური კონცეფციის მიხედვით, მუსიკასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მშვენიერების, სილამაზისა და სიკეთის ესთეტიკური კატეგორიები.

ფიზიოლოგია

მათემატიკურ მეცნიერებათა ობიექტს, ამონიოს ერმისის შეხედულებით, წარმოადგენს „რომლითამე უკუე განშორებულნი, ხოლო რომლითამე განუშორებულნი“. რას გულისხმობს იგი ტერმინებში განშორებული და განუშორებელი და როგორ უნდა გავიგოთ მათემატიკის ამონიოსისეული განსაზღვრება? განშორებული და განუშორებელი უკავშირდება ნივთს, მატერიას. განუშორებული ნივთისაგან არის არამატერიალური, ზერაციონალური, ხოლო განუშორებელი ნივთისაგან — მატერიალური. ამ ტერმინთა მნიშვნელობის გააზრება მათემატიკის ასეთ გაგებას იძლევა: მათემატიკა სწავლობს როგორც იმამატერიალურ ფენომენებს, ისე მატერიალურ ოდენობებსაც.

მათემატიკისაგან განსხვავებით, ბუნებისმეტყველების, ანუ ფიზიოლოგიის, ობიექტი არის მხოლოდ „ყოველად ყოველითურთ განუშორებელი“ 13,9, ე. ი. ფიზიოლოგიის ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ მატერიალური სამყარო და მისი მოვლენები.

ბუნებისმეტყველება სწავლობს ბუნებას, ნივთს და ყოველივე ნივთის-შორისს, ანუ მატერიალურ საგნებსა და მოვლენებს.

ამ უკანასკნელთ აქვთ ძალი, ანუ პოტენცია და მოქმედება, ანუ ენერჯია. მათ შორის მკვეთრი ზღვარია გავლებული: „სხუამ არს ძალითა რამემ ყოფამ და სხუამ — მოქმედებითა“ 78,10.

ძალის სახეებად დასახელებულია: ნერგობითი ძალი, მოზარდობითი ძალი და მეორძინობითი ძალი, როგორც ყოველი არსებულის შექმნისა და წარმოშობის ძალი. ცხადია, რომ ამონიოსი ამ შემთხვევაში არისტოტელეს ემყარება, თუმცა პოტენციის სახეთა გარკვეულ მოდიფიკაციას იძლევა, შდრ.: არისტოტელეს სამნაირი პოტენცია — ვეგეტატიური, შემგარძნები და რაციონალური ძალი.

ამონიოსის ტექსტებში საკმაო მასალა არის თავმოყრილი სხვა ფიზიოლოგიურ ცნებებთან დაკავშირებით.

ცოცხალი ორგანიზმის შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენენ არტირიამ, ძუალი, კორცი, ძარღუ, ნაწევარი 63,13.

ძარღუ და ნაწევარი სინონიმებია, შეესაბამება ბერძნ. *α.ρ.τ.α.ρ.*-ს და ნიშნავს ძარღვს. ძარღუს ზოგჯერ აქვს ნერვის გავება. ორგანიზმის მატრივი ელემენტია ბალღამი. იგი არის ასობ, უმარტივესი ელემენტის, პროდუქტი: „ოთხთა | ახოთაგან:... ქმნასა იტყკან ოთხთა ბალღამთასა“ 9, 22. ბალღამი ყოველგვარი სიცოცხლის წარმოშობია. იგი ოთხი სახეობისა არის, შედის ოთხი ელემენტის შემადგენლობაში. ბალღამი საბუნებისმეტყველო შინაარსის ტექსტებში ხშირად ხმარებული სიტყვაა.

ფიზიოლოგიის სფეროში შემოდის ისეთი ტერმინები, როგორიცაა ჩხობა (თვალმეჩხვრობა), ნერბისცხვრი (ცეხიანი ცხვირი), კელისკნა (მაჯის გახსნა), კჰკო (გელი), ჩინვეელი (ქიანველა), კერძოვირი (ჯორი), ოსტრეა||ოსტრიდი (ლოკოიკინა), ხმონგი||ხმონგინი (ღრუბელი). ბოლო ორი სიტყვა ბერძნულია, ისინი უთარგმნელად გადმოტანილი მთარგმნელს. ოსტრეა — *ὄστρεον* და სპონგი — *σπόγγη*.

ლიტერატურის თეორია

ამონიოსის „მოსაცნებლებში“ დასტურდება ლიტერატურული ჟანრების, სხვადასხვა მხატვრულ-პოეტური ხერხების სპეციფიკური თეორიული-ლიტერატურული მნიშვნელობის მატარებელი ტერმინები.

დავიწყეთ იქიდან, რომ თვით ნაწარმოების, თხზულების აღსანიშნავად ნახშირია ტერმინი აღწერილი, ხოლო აღწერილის ავტორს ეწოდება მწერალი, აღმწერილი. როგორც ჩანს, ამ ცნებებში სპეციალურად პროზაული ჟანრის შემოქმედია ნაგულისხმევი, ხოლო ის პიროვნება, რომელსაც დღეს პოეტს ვეძახით, გადმოცემულია სხვა სიტყვებით, კერძოდ მოქმედი და სიტყუხმოქმედი. ეს სიტყვები ზოგჯერ საერთოდ მწერალს, მთხველსაც აღნიშნავენ.

აქვე გვხვდება ცნობილი ლიტერატურულ-ესთეტიკური მნიშვნელობის მქონე ტერმინი სახისმოქმედი. სახისმოქმედება გარკვეულ სიმბოლურ-სახეობრივი მოდელის შექმნას გულისხმობს. დაახლოებით იმავე შინაარსით გვხვდება დამმორფველი, ბერძნული ძირიდან ნაწარმოები სიტყვა.

ლიტერატურული თეორიის სფეროს განეკუთვნება ისეთი ტერმინები, როგორიცაა: მორთულება, შეწყობა, თანმეკეობა, (სიმფონია, ჰარმონია), აღნიშნუვითაღნიშნუვითი (ანალოგია), განმარტება (განმარტება), დანიშნულობაღნიშნუვითი (ეტიმოლოგია) (ეტიმოლოგია), ზომიერება (სიმეტრია), მოსახესენებელი (კომენტარი), სიტყვისგება (აპოლოგია), უბნობა (სტილი), აჩრდილისწერააჩრდილისმწერლობა (ასლის შექმნა, აღწერა), სტიხონი (ლექსი).

აჩრდილისმწერლობას უკავშირდება სხვა ტერმინი. ეს არის წარწერა. წარწერა და განსაზღვრება დაახლოებით ერთი მნიშვნელობის ცნებებია. ორივე აღნიშნავს რაიმე მოვლენის, საგნის თვისებათა დახასიათებას, მაგრამ მათ შორის არსებითი განსხვავებაც არსებობს. განსაზღვრება არსებით ნიშნებს გადმოსცემს, ხოლო წარწერა — არაარსებით ნიშნებს. ამიტომ წარწერა აღწერას უფრო ნიშნავს. ტექსტში აღნიშნული ცნებები ასეა განმარტებული:

„ამით სადღე განეყოფის განსაზღვრება წარწერას, რამეთუ განსაზღვრებაა არსებისაგან აჩუქების საქმეთა, ხოლო წარწერაა — შემთხვევითთაგან... ვითარ-იგი მწერალთამიერი აჩრდილისწერაა ცხად-ჰყოფს სადღე მსგავსებასა ხატისასა, გარნა არ დაჯოშებულსა, ეგრეთვე წარწერაა ცხად-აჩრდილსა რასმე საქმისასა წარწომიდგენს ჩუენ, ხოლო განსაზღვრება თუთ მას საქმესა ცხადად წინადადებს, ვინამცა აღიჯყს უკუე განსაზღვრება ვიდრევე სრულსა დაწერასა, ხოლო წარწერაა აჩრდილისწერასა, რომლისათვისცა ქუეწარწერად ითქუემის“ 44,37.

მოტანილ კონტექსტში ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნებისათვის საყურადღებო ისეთი ცნებები გვხვდება, როგორიცაა აჩრდილისწერა (აჩრდილწერა), განსაზღვრება, წარწერაქუეწარწერა. ამთ გვერდით ყურადღებას იქცევს სიტყვა დაჯოშებული. დაჯოშებულის შესატყვისად ბერძნული დედანია ζεγωπισαίως ამ უკანასკნელს შემდეგი მნიშვნელობები აქვს: 1) სწორად ფორმულირებული, 2) მკვეთრი, ცხადი, 3) დასრულებული, სრული. ქართული თარგმანის დაჯოშებულს, კონტექსტის მიხედვით, ეს მნიშვნელობა აქვს. აქ ასეთი აზრია: მწერალთა მიერ აჩრდილის წერა ანუ პირის, ასლის გადმოღება გამოაგლენს დედნის, ხატის მსგავსებას, მაგრამ არა დაჯოშებულს, ე. ი. არასრულს, არასრულყოფილს.

ისევე დგება საკითხი, რას უკავშირდება ჯომ ძირი, რა წარმომავლობისა იგი? სულხან-საბა ორბელიანს წყაროზე მითითებულად დადასტურებული აქვს: „ჯომი გასრულებულივით ZAab, განსრულებული CD“ [45].

საყურადღებოა დიალექტების ჩვენება. ალ. ლომონოს მიერ ქართულში დადასტურებულია ჯომ-ძირიდან ნაწარმოები დაჯოშული სიტყვა, რომელიც „გაზრდილს“; „დაჯოშებულს“ აღნიშნავს, გურულშიც არის შეჯოშვა, რომლის პირველადი მნიშვნელობაა „წვერ-ულვაშის პირველად ამოსვლა“; გაღატანიით მნიშვნელობით იგი „დაჯოშებაა“ [53].

დიალექტებში დადასტურებული მნიშვნელობა ამ სიტყვისა ახლოსაა ჩვენი ტექსტის დაჯოშებულთან. დაჯოშება ხომ დასრულებას, გასრულებას ნიშნავს.

მაშასადამე ჯომ ფუძე ცოცხალ კილოებში დაცული ყოფილა. წერილობით წყაროებში იგი ჯერჯერობით ამონიოსის „მოსაცნებლებში“ დადასტურებულა.

გ რ ა მ ა ტ ი კ ა

შეცნობითა ამონიოს ერმისისეულ კლასიფიკაციაში გრამატიკა ტრიენონს ერთ-ერთი წევრია რიტორიკისა და დიალექტიკის გვერდით. ტექსტებში მოცემულია საყურადღებო დაკვირვებანი გრამატიკის რაობის, ასევე ზოგი გრამატიკული მოვლენის შესახებ. ჩვენთვის ისინი იმდენად არის საყურადღებო, რამდენადაც მათი სახით (ეფგრემ მცირის, იოანე პეტრიწის შრომებთან ერთად) საქმე გვაქვს გრამატიკული აზროვნების საწყისებთან ქართულ სინამდვილეში, ადრინდელი ხანის ქართულ გრამატიკულ ტერმინოლოგიასთან.

ქართული გრამატიკული ლიტერატურის ჩამოყალიბებას, როგორც ცნობილია, მე-18 ს. შიდაუთვლებენ, როცა შეიქმნა ანტონ I-ის „ქართული გრამატიკა“. აღ. ფოცხიშვილის სიტყვებით, ქართული გრამატიკული აზრის ბალაევი და სათავე ანტონ ბაგრატიონის გრამატიკაა [47,3].

ანტონის გრამატიკამ დასაბამი მისცა ქართული გრამატიკული აზროვნების შემდგომ განვითარებას. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ანტონის გრამატიკის მეცნიერული, თუ ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა, დაძებნილია მისი წყაროები და შეფასებულია მისი როგორც დადებითი, ისე უარყოფითი როლი ქართული გრამატიკული მეცნიერების ისტორიის განვითარების საქმეში [6,33].

ანტონის გრამატიკამდე რამდენიმე წლით ადრე ქართული გრამატიკის შექმნის პირველი ცდა ეკუთვნის ზურაბ შანშოვანს. შანშოვანის გრამატიკას მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული აზრის თანახმად, „ქართული გრამატიკული ლიტერატურის ძეგლთაგან XVIII ს-ის დამდეგზე ადრინდელი ჯერხნობით არ მოიპოვება“ [2,14]. ეგვევ აზრი გამოთქმული აქვს პირველი ქართული გრამატიკის ავტორს ანტონ I-ს: „ღრამატიკა არა სადა ვისმინეთ, არცა ნაშთთა წიგნთა შინა მყოფა, შემდგომად ოკრებისა, და არცა პირველ, რათა იყომცა ჩუენსა ზედა ენასა“ [87,4v].

ანტონის ასეთი განცხადება, როგორც აღ. ცავარელი შენიშნავს, სამართლიან გაკვირვებას იწვევს, რადგან ანტონი სხვა შრომებში, კერძოდ „წყობილ-სიტყვაობაში“ რამდენიმე ძველი დროის ქართველ მოღვაწეს გრამატიკოსად მოიხსენიებს: იოანე პეტრიწი, არსენი იყალთოელი, ეფგრემ მციერი „საღმრთო გრამატიკოსისა“ და სხვა ეპითეტებით არიან შემყული მის მიერ. [134, XI]. ეს ყურადღაღები ფაქტია. ანტონ კათალიკოსისათვის უცნობი არ იქნებოდა ის წველილი, რაც კლასიკური ხანის მოღვაწეებს შეეძლოთ დაემჩნიათ გრამატიკული აზროვნების ისტორიისათვის. სრულიად გამორიცხულია, რომ მრავალმხრივსა და მრავალდარგოვან ძველ ქართულ მწერლობაში ადრეული პერიოდიდანვე თავი არ ეჩინა გრამატიკული ხელოვნებით ანუ მეცნიერებით დაინტერესებას. მართლაც, მიღებული აზრის თანახმად, „დასაბუთებულად შეიძლება ჩაითვალოს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მე-10—12 საუკუნეების საქართველოში არა თუ იცნობდნენ, არამედ ჰქონდათ კიდევ საკუთარი გრამატიკული ლიტერატურა“ [47,46—52]. ამის უტყუარი საბუთია თუნდაც იოანე პეტრიწის „კანონარტებებში“ გაბნეული ცალკეული გრამატიკული შეხედულებანი, მ-სი ენობრივი ხასიათის დაკვირვებანი.

ასეთივე მშვენიერი საბუთია პროფ. შ. შანიძის მიერ გამოსაქვეყნებლად გამზადებული გრამატიკული ტრაქტატი „ართრონთათჳს“, რომელიც საყურადღებო გრამატიკულ ნაშრომს წარმოადგენს.

ამდენად, ჯერ კიდევ საძებნია და მისაკლვევი ჩვენს ლიტერატურულ ძეგლებში დადასტურებული ცალკეული გრამატიკული ხასიათის ცნობები, როგორც აუცილებელი წინაპირობა ქართული ენათმეცნიერული აზრის შესწავლის ისტორიისა.

სწორედ ამ მხრივ იმსახურებს ყურადღებას ამონიოსის თხზულებათა ქართული თარგმანები.

ძეგლში ვარკვეულია გრამატიკის, როგორც ხელოვნების, ფუნქცია. რას სწავლობს გრამატიკა? ეს ზოგადი საკითხია, რომელსაც უკავშირდება სხვა კონკრეტული საკითხები: ფლექსიის განსაზღვრა, ბრუნება და ბრუნვები, ეკფონეტიკური ნიშნები. ტექსტში დადასტურებული გრამატიკული ტერმინების შინაარსისა და ბუნების წარმოჩენის მიზნით ისინი შევუღარეთ იოანე პეტრიწისა და ანტონ I-ის მიერ გამოყენებულ ტერმინებს.

თავიდანვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამონიოს ერმისი გრამატიკულ ცნებებს, როგორც დამოუკიდებელ ფენომენს, არ განიხილავს. ისინი მკიდროკავშირშია ლოგიკურ ცნებებთან, მათი შინაარსი ლოგიკით არის გაპირობებული. ამდენად, სახეზე გვაქვს ლოგიკისა და გრამატიკის, აზროვნებისა და მეტყველების ურთიერთმიმართების ისეთი სახე, რომელიც არისტოტელეს ლოგიკისა და მისი კომენტარებისათვის იყო ნიშანდობლივი.

ამონიოსის შეხედულებით, „ღრამატიკოსობაა არს გამოცდილებად სიტყუსმოქმედთა და აღმწერელთამიერი, ვითარ სამრავლოდ სათქუმელ არს“ [3,18, რაც ნიშნავს იმას, რომ გრამატიკა არის პოეტთა და მწერალთა (რომელთა შორის იგულისხმება გადამწერიც) უნარი მრავლის მიმართ თქმისა (ანუ გარკვეული წესებისა და ნორმების მრავალზე გადატანისა). ეს განმარტება ამონიოსისა ორიგინალური არ არის, ეს აზრი დიონისე თრაკიელს ეკუთვნის. ამონიოსი დიონისეს გრამატიკით სარგებლობს.

სხვათა შორის, დიონისე თრაკიელის ამავე განმარტებას მიმართავს იოანე პეტრიწიც, ოღონდ, რასაკვირველია, იგი განსხვავებულ თარგმანს იძლევა: „ღრამატიკოსობაა არს გამოცდიელი მოქმედთა და აღმწერელთა, ვითარცა მრავალთა რათამე ზედა გამომთქუმელობისა“ [19,223]. აშკარაა იოანე პეტრიწისა და ამონიოსის თარგმანს შორის განსხვავება.

ანტონ I, რომელიც თავისი გრამატიკის წყაროდ მხითარ სებასტიელის გრამატიკას იყენებს, გრამატიკის ორგვარ განსაზღვრებას იძლევა. ერთია: „ღრამატიკა არს კელოვნება წრფელთქმაობისა და უცთომელქსუსა“ [87,101r], ხოლო მეორე მსგავსია ამონიოს ერმისის ზემომოყვანილი განსაზღვრებისა, „ემყარება დიონისე თრაკიელის განმარტებას:

„ღრამატიკაა არს გამოცდილებად სიტყუსმოქმედთა და აღმწერელთა ზედამიწვენილთა მიერი“ [87,83r].

ამონიოსის განმარტებით, გრამატიკის ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ იგი სწავლობს წინადადებას და მის შემადგენელ ნაწილებს: „სიტყუსაა ხახელთა მიმართ და თქუმათა, და ამათი მარცხულთა მიმართ, და მათი ასოთა მიმართ. და ამას უკუე [სწავებენ] ღრამატიკოსნი 31,23. შდრ. Οἷον τὸν λόγον εἰς ὀνόματα καὶ ῥήματα καὶ ταῦτα εἰς τὰς συλλαβὰς καὶ τὰς αἰ; εἰς τὰ στοιχεῖα καὶ τὰτα μὲν οἱ γράμματαιοι CA₂ 6,2.

ამ ფრაზაში შემდეგი გრამატიკული ცნებები გვხვდება: სიტყუა იხმარება დღევანდელი „წინადადების“ შინაარსით; სახელი უდრის დღევანდელ „სა-

ხელს“; თქუმა ცნებით გადმოცემულია დღევანდელი „ზმნა“. გვხვდება მარცხული და ასო. რომელიც დღევანდელ „ბგერას“ გამოხატავს. რა აზრია აქ?

ბიტყუა ანუ წინადადება იშლება სახელებად და ზმნებად, ეს უკანასკნელნი — მარცხლებად, ხოლო მარცვალი—ასოებად. ამრიგად, მარტივიდან რთულისაკენ რიგი ასეთია: ასო — მარცვალი — სახელი|თქუმა. ასე გაერთიანდა გრამატიკის ქვეშ ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი.

ეგვეე აზრი ამონიოსის მიორე შრომაში, „კატეგორიების“ კომენტარებში“ ნეორდება: „უთარ ინებოს თუ ვინმე სწავლება, ვითარ ჯერ-არს შეწყობაჲ სიტყუათაჲ, პირველად წარმოიტყუს სახელთათუს და რიმათა, და უწინარეს მათსა მარცხულთათუს და მერმე მათსაცა უწინარეს ასოთათუს“ 99,30.

განსხვავებას მხოლოდ ერთი სიტყვა ქმნის ტერმინთა გამოყენების მხრივ. „ზმნის“ გაგებით ერთგან არის თქუმა, ხოლო მეორეგან ბერძნ. სიტყვა: რიმა. ორივე შესატყვისია ბერძნ. βήμα-სი.

ამრიგად, 1. სიტყვა (βήμα) არის წინადადება.

2. სახელი (ονομα) — სახელი

3. თქუმა|რ.მა (βήμα) — ზმნა

4. მარცვალი (μαρτυρία) — მარცვალი

5. ასო (γράμμα) — ბგერა.

გრამატიკის ზოგადი ფუნქციის აღნიშვნის შემდეგ, ამონიოს ერანისის მიერ არაერთგზის არის ახსნალი წინადადების ნაწილები: სახელი და ზმნა. ავტორი მკვეფრად მიჯნავს იმ პრინციპულ ნიშნებს, რომლითაც ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან.

აი, ეს ალგილი ტექსტიდან:

„იგივე ქმნეს ღრამატიკოსთა კმათა ზედა, რამეთუ მნებებელთა უზომოებისა კმათასა წარმოთქუმასა და ვერ შემძლებელთა, შეკრიბნეს რომელნიმე უკუე კმანი ზიარობისა რაასმე მიმართ სახელისაჲსა, ხოლო რომელნიმე ეგვევითარისა ზიარობისა რაასმე მიმართ სიტყუასაჲსა და ესრეთ ყენეს რვა მათმიერნი ნაწილნი სიტყუასანი, რომელთა მიმართ აღვლენ ყოველნი თითოეულად ნიშნოვნობითნი კმანი“ 20, 20. ავტორის აზრით, ყველა ხმა, ე. ი. დანაწევრებული ბგერებით გამოთქმული სიტყუები (φύση), გრამატიკოსთა მიერ დაყოფილია 2 ჯგუფად: ერთნი განეუთენებიან სახელებს („ზიარებისა რაასმე მიმართ სახელისაჲსა“), ესენი არიან ხოჲჲ, ხოლო მეორენი — ზმნებს („ზიარობისა რაასმე მიმართ სიტყუასაჲსა“). ესენია βήμα და ასე იქნება სიტყვის, ანუ მეტყველების, 8 ნაწილი.

აღნიშნულ კონტექსტში ისევ ნაცნობი ცნებები გვხვდება. ესენია „სახელი“ v იჲჲ და მისი საპირისპირო შინაარსის მქონე „ზმნა“ (βήμα), რომელიც ამჯერად ხვა ქართული შესატყვისით არის გადმოცემული. ეს არის „სიტყვა“. ამ კონტექსტში ორჯერ მეორდება სიტყვა. მეორეჯერ ნახმარ სიტყვაჲს სხვა მნიშვნელობა აქვს. ეს არის „მეტყველება“. იგი შესატყვისია ბერძნ. λήξις-ისა. როცა სიტყვის რვა ნაწილზეა საუბარი, ივლესხმება მეტყველების რვა ნაწილი. „მეტყველების“ მნიშვნელობით ჩვენს ტექსტში სხვა ტერმინიც იხმარება. ეს არის ლექსი. იგი შესატყვისება ბერძნ. λήξις-ს. „ღრამატიკოსნი“ ლექსთა ყოველთა რვათა რათმე ზოგადობათა ქუეშე აღიყვანებენ“ 105, 10.

ნეტყველების რვა ნაწილის გამოყოფა დამახასიათებელია ტრადიციული გრამატიკებისათვის, რომელთა წყაროს დიონისე თრაკიელის გრამატიკა წარმოადგენს.

ამრიგად, ქართული თარგმანის ხიტყვა პოლისემიურია. იგი იხმარება სხვადასხვა მნიშვნელობით:

1. წინადადება (აბჟა);
- სიტყვა- 2. მეტყველება (აბჟა);
3. ზმნა (აბჟა; ზჟჟა).

იჩვენება, რომ ბერძნული დედნის სინონიმები: აბჟა და ზჟჟა ქართველმა მთარგმნელმა ერთი შესატყვისით გადმოსცა. ეს არის სიტყვა. როგორც ჩანს, ქართველი მთარგმნელი სინონიმურ მნიშვნელობათა უნიფიცირებას ადენს ერთ-ტერმინის გამოყენების გზით.

ეს რომ ასეა, ჩანს შემდეგი ორი ადგილის შედარებიდან:

„თითოეული საქმეთაგანი ერთცა არს და მრავალ. და ამისთვის დაინიშნვის თითოეული სახელისა მიერცა და ხიტყუხა მიერ. სახელისა მიერ ვიდრემე, ოღეს ერთისა რაჲმე შორის იხილვებოდის, ხოლო ხიტყუხა მიერ, ოღეს ვითარცა მრავალკერძოდ, ერთარ-იგი კაცსა დავჰნიშნავთ სახელითაცა „კაცისათა“ და სიტყუთაცა. მეტყუელთა: „ცხოველი სიტყუერი, მოკუდავი“ 44,23.

სრულიად აშკარაა სახელისა და სიტყვის მნიშვნელობა. სახელი აღნიშნავს ერთ რამეს, იგი არის ნიშნა. სიტყვას კი აქვს ზმნის, ლოგიკური პრედიკატის მნიშვნელობა. იგი არის აბჟა. ნიშნად მოტანილია: სახელია „კაცი“, სიტყვა „— ცხოველი სიტყუერი, მოკუდავი“.

მეორეგან დაახლოებით ამგვარივე მსჯელობა დასტურდება. სახელი განმარტებულია, როგორც სუბიექტი ან ობიექტი, ხოლო სიტყვა არის ის ძალი, ანუ ის აზრი, ის პრედიკატი, რაც სუბიექტ-ობიექტზე ითქმის: „სახელთადა უკუე შორის მოქმედებაჲ შეუღღელი არს და კმაჲ, ხოლო სატყუთათაჲ—ძალი“ [25, 9. ბერძნული ორიგინალი: αὐτὸ μὲν ὁὐκ ἔστιν ἐπισημαστικὸν τῶν ὄντων ὡς τὸ ὄνομα· αὐτὸ δὲ ἔστιν ἐπισημαστικὸν (CA 1, 27, 8).

შედარებამ ნათელყო, რომ ეს ფრაზა ქართველმა მთარგმნელმა სწორად ვერ გაიგო. სახელებთან მოქმედება და ხმა კი არ არის შეუღღელი, არამედ უნდა იყოს ასე: სახელებთან მოქმედებით შეუღღელი არის ხმა, ხოლო სიტყვებთან — ძალი, ანუ სახელები გამოხატავენ ხმას, სახელწოდებას, ხოლო სიტყვები — აზრს, პრედიკატს.

ორსავე შემთხვევაში ქართულ სიტყვას აქვს აზრის, ლოგიკური პრედიკატის მნიშვნელობა, ოღონდ პირველგან „იგი შეესატყვისება აბჟა“-ს, მეორეგან ზჟჟა-ს.

როგორც ვხედავთ, ქართველი მთარგმნელი ამა თუ იმ გრამატიკული ცნების გადმოსაცემად ტერმინთა ძიებისა და შერჩევის პროცესის წინაშე იღვავს. ჯერ კიდევ არ ჩანს ერთი გარკვეული სტაბილური სურათი.

დასახელებული ტერმინები იოანე პეტრიწის მიერაც არის გამოყენებული: „ნაწილნი თქუმისანი, თუ რაჲ სახელი და რაჲ სიტყუაჲ“ [19,220]. განსხვავება მხოლოდ თქუმაჲს მნიშვნელობაშია: თუ თქუმა ამონიოსის ტექსტში გამოიყენებოდა „ზმნის“, „პრედიკატის“ მნიშვნელობით, პეტრიწი მას ხმარობს „მეტყველების“ გაგებით.

სხვა სურათს ვხედავთ ანტონის გრამატიკაში. გრამატიკის ობიექტი ანტონის მიხედვით არის: 1. წიგნი, 2. მარცვალი, 3. ლექსი, 4. სიტყვა [87, 62 r]. ამონიოსის თარგმანში არის: 1. ასო, 2. მარცვალი, 3. სახელი || თქუმა || რიმა, 4. სიტყუა. განსხვავებულია ანტონის „წიგნი“ (რომელიც სომხური დედნით არის

შეპირობებული, სადაც წერია *ჟიქი* და „ლექსი“, რომლის ნაცვლად ამონიოსის თარგმანში ვვაქვს „სახელი“||„თქუმა“.

გრამტიკული ტერმინოლოგიის თვალსაზრისით საინტერესოა ბრუნებასა და ბრუნებთან დაკავშირებული ცნებები. მთარგმნელი თანმიმდევრული არც აქ ჩანს. იგი ერთი და იმავე ცნების გადმოსაცემად ხან ბერძნულ სიტყვას იყენებს, ხან ქართულ შესატყვისის უძებნის მას.

„ფლექსია“ გადმოცემულია ორი ტერმინით. ესენია ქართული ძირიდან ნაწარმოები დაკუთვთვა და ბერძნულიდან ნასესხები პტოხი *πτοχαι*. პტოხის არსი, ავტორის გაგებით, არის სიტყვის სუფიქსაციის ცვლა ანუ მისი სიტყვებით: „სთქუა რაა განყოფილათ პტოხითა, ცხად-ყო გარდანაკუთვთლებად დასასრულისა მარცხლისაჲ“.

ამ ნიშნით პტოხი ბრუნებასაც ნიშნავს. მითითებულია ორგვარი პტოხი: მართლისაებრ პტოხი და იგურდიობისა პტოხი.

„ხოლო რაჲსამიმართსა რომელსამე მართლისაებრ პტოხისა ვიტყვთ, ხოლო რომელსამე—იგურდიობისა რაჲსაებრმე, ვითარ მამაჲ ძისა მამაჲ. მართლისაებრ პტოხი არის *ααττῆσ* *αατται*-ის აღგილას და ნიშნავს „პირდაპირ ბრუნვას“, ხოლო იგურდიობისა პტოხი (*ααττῆσ* *αατται*) უდრის ირიბ ბრუნვას.

დაახლოებით ამავე შინაარსის კონტექსტში ქართულ თარგმანში სხვა ადგილას სხვა ტერმინი იხმარება. კერძოდ, პტოხის ნაცვლად არის დაკუთვთვა. „ოღეს საქმეთაჲ უკუე გუენებოს დანიშნვაჲ, კატევეთიაჲსა დაკუთვთვისაებრ დაჲპნიშნავთ: კაცი, ცხენი, ჯარი. ხოლო ოღეს კერძოჲ რაჲმე საქმეთაჲ, ანუ საქმეთაძლითი იყოს რაჲმე, გენიკისა მიერ დაჲპნიშნავთ, ვითარ უკუე ვთქუათ: სოკრატისი“ 26,30.

როგორც ხედავთ, კატევეთიაჲსა დაკუთვთვის ნიმუშად მოხმობილია ასეთი მაგალითები: კაცი, ცხენი, ჯარი, ანუ სახელობითი ბრუნვის ფორმები. კატევეთია სიტყვაში ბერძნული *ααττ* წინდებულიანი *εσῃε* სიტყვა არის გადმოტანილი. *εσῃε* კი ნიშნავს „სწორს“. ქართველი მთარგმნელი ამ ფორმას სხვა ადგილას ევთია სიტყვითაც გამოხატავს.

ევთია და კატევეთია ერთმანეთის სინონიმებია და გამოიყენება სახელობითი ბრუნვის აღსანიშნავად. ევთია||კატევეთია რომ სახელობით ბრუნვას გულიანობობს, ჩანს მაგალითებიდან: „კაცი“, „ჯარი“, რომელთაც უპირისპირდება გენიკი, ანუ ნათესაობითი ბრუნვა: „სოკრატისი“.

სახელობით ბრუნვას მესამე შესატყვისიც აქვს ქართულ თარგმანში. ეს არის ისევე ბერძნული სიტყვა ორთი.

ქართულ თარგმანში დასახელებულია სხვა ბრუნვებიც: ნათესაობითი, მიცემითი და მიწეწობითი.

ნათესაობითი ბრუნვა გადმოცემულია ხან ბერძნული სიტყვით: გენიკი. „ოღეს კერძოჲ რაჲმე საქმეთაჲ ანუ საქმეთაძლითი იყოს რაჲმე, გენიკისა მიერ დაჲპნიშნავთ“ 26,31, ხან კი საკუთრივ ქართული შესატყვისით, როგორცაა: ნათესაობითი. „ანაგები რომელ არს, ნათესაობითისა მიმართ გარდაეცემის, რამეთუ ეტისაჲ ითქუმის ექსი“ 157,28. მიცემითი ბრუნვისთვისაც ორმაგი ტერმინია: ლოტიკი და მიცემითი: „ლრამმატიკოსნი ორთისაგან გენიკისა მიმართ და ლოტიკისა“ 115,2.

„გარდაეცემისო.. ანუ ვითარ რაჲმე სხუებრ“, ესე იგი არს ანუ მიცემითისა მიმართ, ანუ მიწეწობითისა“ 157, 18.

მიზეზობითი ტერმინი შესატყვისია ბერძნ. ἡ ἀιτιαιακή ანუ აკუზატივი ბრუნვისა:

ამრიგად:

სახელობითი — ევთია, კატევთია, ორთი.

მიცემითი — მიცემითი, ღოტიკი.

ნათესაობითი — ნათესაობითი, გენიკი.

აკუზატივი — მიზეზობითი.

ბრუნვითა აღნიშვნა ისევ პტოსის გაგებას უკავშირდება, ხოლო მთლიანად ეს გრამატიკული ხასიათის მსჯელობა მოტანილია თანმოსახელეს, ანუ ომონიმების კომენტარებასთან დაკავშირებით.

ომონიმების ავტორისეული ანალიზი საინტერესოა იმ მხრივ, რომ იგი საყურადღებო ცნობებს შეიცავს პროსოდის ნიშანთა შესახებ.

როგორც ვიცით, ამ პერიოდის წერილობითი ძეგლები ძალზე მწირ ცნობებს გვაწვდიან პროსოდის შესახებ, როგორც მუსიკალური ინტონაციის აღმნიშვნელი ეფონეტიკური ნიშნები, ისინი დადასტურებულია H 1349 და Q 908 ხელნაწერებში [9,54—65]. პროსოდის ნიშნებს იცნობს იოანე პეტრიწი [19,221]. „ტონი“, როგორც პროსოდის სინონიმური ტერმინი და „წერტილი“, როგორც პუნქტუაციის ფარდი სიტყვა, ნახსენებია S 1463 (XII ს.) ხელნაწერის ანდერძში. პროსოდის ნიშნებს ამ პერიოდის რამდენსამე ხელნაწერში მიუთითებს ლ. ქაჭაია [52,189—190].

მაგრამ არსად (გარდა იოანე პეტრიწისა) აღრიხდელ ლიტერატურულ წყაროებში არ არის განმარტებული მათი შინაარსი და მნიშვნელობა, ე. ი. არ არის გახსნილი მათი ენობრივ-გრამატიკული ფუნქცია. ამის გამო საგანგებო მნიშვნელობას იძენს ამონიოსის შრომებში დადასტურებული თეორიული მსჯელობა პროსოდის ნიშანთა ფუნქციების შესახებ.

პროსოდის ნიშნები გვხვდება ომონიმების განხილვისას.

ავტორის შეხედულებით, თანმოსახელეა სიტყვები, რომელთაც ერთი და იგივე ტონოა, პტოსი და პნევმატოსი|პნევმა აქვთ. რას ნიშნავს ტონოა, პტოსი და პნევმატოსი?

ქართულ თარგმანში ვკითხულობთ:

„თანმოსახელეთა უქმან სამნი ესე: ტონოა, პტოსი, პნევმატოსი. რამეთუ უკუეთუ ვპოვნეთ საღმე სახელნი ერთითა რომლითამე ამათგანითა განყოფილად, არა არიან თანმოსახელეებ, ვითარ-იგი ამას ზედა, ვითარმედ არღორს და არღოს. აჰა, აჰა ტონოსმან განყვნა, რამეთუ პაროქსენომენი დაპნიშნავს პელლოპონისონს შინასა ქალაქსა, ხოლო ოქსენომენი დაპნიშნავს უგვანესსა კაცსა, რამეთუ ვიტყუთ მრავალგზის ვისთუსმე არღრსი არსო.

ეგრეთვე პტოსისაცა ზედა ვიტყუთ უკუე: ო ელატის და ი ელატი. და რ-ნისა ზიერ ვიდრემე ართრონისა დაენიშნეთ „მარბეველი“, ხოლო რ-ნისა მიერ დაენიშნეთ „ხე ელატი“. ვინაჲცა ამისთუს არ იყვნენ თანმოსახელე შევალეებისათუს პტოსისა.

ამათვე ვიტყუთ, ვითარმედ ო უონ. დასუნომენი საღმე დაპნიშნავს „ეგეეთ-თარსა“, ხოლო ფსილომენი — „მარტოსა“, რომლისათუს არცა ესე არს თანმოსახელე.

ხოლო ამას კმასა ზედა, ვითარმედ „ეას“, ტონოსიცა იგივე არს და პტოსი ეგეთივე, არამედ პნევმატოა ზიარი ორთავე ზედა და შეემთხუევის მათვე თანმოსახელე-ყოფაჲ“ 109,40—110,13.

კონტექსტის მიხედვით ტონოა არის გრამატიკული მახვილი (ὁ ἄκσις), რომელიც სიტყვის მნიშვნელობას ცვლის. ქართულში ბერძნულიდან ნასესხები სიტყვა ვაქვს. დასახელებულია მახვილის ორი სახეობა: ოქსენომენი და პაროქსენომენი. ერთიცა და მეორეც არის ბერძნულის მკვეთრი მახვილი (accentus acutus). ოღონდ ისინი განსხვავებულია იმისდა მიხედვით, თუ ბოლოდან რომელ მარცვალზე მოდიან. ოქსენომენი (ὀξενομένης) სიტყვას დაესმის ბოლოდან პირველ მარცვალზე, ხოლო პაროქსენომენი (παροξομένης) ბოლოდან მეორე მარცვალზე. მოხმობილი მაგალითები თვალნათლივ აჩვენებს იმას, რომ, იმის მიხედვით, რომელ მარცვალს მოუდის მახვილი, იცვლება სიტყვის მნიშვნელობა: „არღოს“ (ἀργός), რომელსაც ოქსინომენი მოუდის, ნიშნავს ზანტს, დაგვიანებულს. ხოლო პაროქსინომენიანი „პაროს“ (παρός) არის ქალაქის სახელწოდება პელოპონესში. განსხვავებული მახვილის გამო ეს სიტყვები ომონიმებად არ ჩაითვლება.

მეორე პირობა, რომელიც ხელს უშლის ომონიმების არსებობას, არის ის, რომ შეეცვლილა პტოსი. პტოსი, რომელიც ბერძნ. πῶσις სიტყვაა, როგორც აღვნიშნეთ, ნიშნავს ფლექსიას. ნიმუშად მოტანილია „ო ელატის“ და „ი ელატი“ სიტყვები. „ო ელატის“ არის ბერძნ. ὁ ἐλάτης-ის შესატყვისი (ხდება იტაციზმი). ავტორის განმარტებით, სიტყვის ὁ (ε) ათრონიანი ფორმა ნიშნავს „მარბეველს“. მართლაც, ὁ ἐλάτης-ს აქვს მდევარის, გამრეკავის, მტყორცნელის მნიშვნელობა. ხოლო მეორე სიტყვაში „ი ელატი“ (ἡ ἑλάτη) ი (η) ათრონიან ფორმას სხვა მნიშვნელობა აქვს. იგი აღნიშნავს ხე ელატს, ანუ ნაძვს. ὁ ელატის და ἡ ელატი ომონიმებად არ ჩაითვლება, რადგან შეეცვლილა პტოსი: „არ იყენენ თანმოსახელე შეცვალენეს პტოსისა“.

ერთგვარ გაუგებრობას ბადებს ამ მაგალითებში ათრონზე ყურადღების გადატანა. გამოდის, რომ ὁ (η) და ი (η) ათრონების, ე. ი. განსხვავებული გრამატიკული სქესის გამო, დასახელებული სიტყვები არ არის ომონიმები. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ პტოსის ავტორისეულ განმარტებას, რომელსაც იგი სხვა ადგილას იძლევა, რომ პტოსი უკანასკნელი მარცვლის შეცვლას გულისხმობს— „გარდასაქუთულებით დასასრულისა მარცვლისა“, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ „ო ელატის“ და „ი ელატი“ ომონიმები არ არის იმიტომ, რომ სხვადასხვაა მათი ბრუნვის ფორმა.

მესამე პირობა ომონიმების გამოყოფისა არის პნევმატოსი. პნევმატოსი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სიტყვის შემართვას, знак придыхания. პნევმატოსის ნიმუშად დასახელებულია დასკნომენი და ფსილომენი. დასკნომენი არის ბერძნ. δασκόμενος და ნიშნავს ძლიერ შემართვას (spiritus asper), ხოლო ფსილომენი უდრის ბერძნ. ψιλάμενος და ნიშნავს სუსტ შემართვას (spiritus lenis). მათ ნიმუშად დასახელებულია სიტყვა „ო კონ“. დასკნომენი შემართვით ამ სიტყვას აქვს „გეგეითარის“ მნიშვნელობა და მართლაც, εἶς-ის მნიშვნელობაა „ასეთი“, „მსგავსი“, ხოლო ფსილომენი შემართვით εἶς სიტყვა ნიშნავს „მარტოს“.

ამგვარაა, რომ სხვადასხვა პნევმატოსი, ანუ სხვადასხვა შემართვა, განაპირობებს იმას, რომ ეს სიტყვები ომონიმები არ არიან.

იმის შემდეგ, რაც ავტორმა დაამტკიცა, რომ პტოსით, ტონოთა და პნევმატოსით განსხვავებული სიტყვები ომონიმები არ არიან, მას მოჰყავს ნამდვილი ომონიმის ნიმუში: ვას—Αἶα, რომელშიც ტონოა (მახვილი), პტოსი (დაბოლოება) და პნევმატოსი (შემართვა) ერთი და იგივეა. (ეს არის სალამინის მეფის ძე და ვას არის ლოკრთა მეფის ძე).

როგორც ვხედავთ, მახვილის, ფლექსიისა და შემართვის ფუნქციონალური არსი საკმაოდ ზუსტად არის მითითებული ამონიოს ერმისის მიერ. ქართულ მთარგმნელს ეს გრამატიკული ტერმინები უთარგმნელად გადმოაქვს თავის თარგმანში. ასევე უცვლელად არის განმარტებული მათი შინაარსი ბერძნული ენის მონაცემების საფუძველზე.

დასახელებული გრამატიკული ტერმინები გარკვეულ პარალელს პოულობენ პროსოდის იმ ნიშნებთან, რომლებიც აღნიშნულია იოანე პეტრიწის მიერ. იოანე პეტრიწი ტერმინთა ქართული შესატყვისების პარალელურად მათ ბერძნულ სახელწოდებებსაც ასახელებს. მის მიერ დასახელებულია პროსოდის 10 ნიშანი, რომელთაგან ჩვენ გამოვყოფთ სამს, რომელთაც პარალელი ეძებნებათ ამონიოსის ტექსტში: ესენია:

პეტრიწთან: ოქსია	ამონიოსთან: ოქსუნომენი
დასია	დასუნომენი
ფსილი	ფსილომენი

ოქსია მკვეთრი მახვილია („მახვილი, რომელ არს ოქსიაჲ“), დასია და ფსილი კი ფშვინვის ნიშნებია. პეტრიწის განმარტება: „დასია, რომელ არს წყნარად წარსაღელი სიტყვა“; „ფსილი, რომელ არს წული“ [19, 221], მოიცავს *spiritus asper*-ისა და *spiritus lenis*-ის მნიშვნელობას. დასია წყნარად წარვლა, ფშვინვიერ შემართებას გადმოსცემს, ხოლო ფსილი — წული, ანუ მარტივ შემართვას.

პროსოდის ამ ნიშანთა პეტრიწისეული განმარტება გამოყენებული აქვს სულხან-საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში. მხოლოდ სულხან-საბას ფსილის განმარტება არაზუსტად მოუცია. საბა წერს: „ფსილი სადა სიტყვას უჯდეს, წულილად ანუ უკუსაქცეველად“ [45, 7]. საქმე იმაშია, რომ „უკუსაქცეველი“ პეტრიწის ტექსტში, რომლითაც სარგებლობს საბა, ეკუთვნის მომდევნო ნიშანს, ტროფოსს და საბას იგი შეცდომით მიუწერია წინა ნიშნისთვის, ფსილისათვის. პეტრიწის განმარტებანი ასე უნდა აწვიკითხოთ: „ფსილი, რომელ არს წული; ანუ უკუსაქცეველი, რომელ არს ტროფოს... ე. ი. ფსილი არის წული, ხოლო უკუსაქცეველია ტროფოს.

ფსილი რომ უნდა განიპარტოს როგორც წული, ამას მხარს უჭერს ანტონისეული განმარტებაც. ანტონი პროსოდის ყველა ნიშანს თარგმნის ქართულად.

მომრგულებითის (ჩვენი გაგებით მახვილი) ერთ-ერთი სახეობაა მახვლი. ეს იგივეა, რაც ჩვენი ოქსუნომენი (*accentus acutus*). სულსკუეთითის (ჩვენი გაგებით ფშვინვა) სახეებია: ბრჯფუ, რომელიც დასუნომენის ფარდია და ლატონი, რომელიც ფსილომენს უდრის. ამრიგად, ფსილომენი || პეტრიწის ფსილი ანტონის განმარტებითაც არის ლიტონი [87, 192 r].

როგორც განხილული მასალიდან ჩანს, ქართულ წერილობით ძეგლებში აღჩეული პერიოდიდან დაცულია გრამატიკული ხასიათის ცნობები მახვილის, ფშვინვის, ასევე მარცვლის ბუნებისა და რაობის შესახებ. ყველგან შესამჩნევია ბერძნული წყაროების გავლენა.

ცნობილია, რომ ბერძნულ საღვთისმსახურო ძეგლებში დადასტურებულია ეს და სხვა ეკფონეტიკური ნიშნები*.

* საყურადღებოა, რომ ამონიოსის ტექსტების შემვეულ ადრინდელ ხელნაწერში, S 2562-ში, დასტურდება ზოგი ეკფონეტიკური ნიშანი, რომელთა არსებობა ისევე ბერძნულ გავლენაზე მივანიშნებს.

გრამატიკული შინაარსის კიდევ ორმა ტერმინმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება. ესენია: „დასუნტაქსება“ და „შესაკრავი“||„საკრველი“.

დახუნტაქსება ტერმინით აღნიშნულია წინადადების წევრთა განლაგება, ამდენად ტერმინი „სინტაქსი“ ჭერჯერობით ყველაზე ადრე ამ ძეგლშია დადასტურებული.

რას ნიშნავს შესაკრავი||საკრველი? ამ ტერმინებით აღნიშნულია დღევანდელი კავშირი. შესაკრავი ცალკე არ გვხვდება, იგი იხმარება მეორე სიტყვასთან ერთად: „შესაკრავი ღონანი“.

„ხოლო შესაკრავი ღონანი დამნიშნავს ჩუენ, ვითარმედ არა „კატილორიათა“ მიერსა ხოლო მასწავლებლობასა შინა შემეწევის წიგნი ესე, არამედ ყოველსა ფილოსოფოსობასა“ (24, 21). ბერძნულში „შესაკრავი ღონანის“ ადგილას წერია: ὁ δὲ καὶ τῶν ἄλλων ἐπεμαίνει: ἡμῶν (26, 9), ე. ი. „შესაკრავი ღონანი“ არის გაქართულებული ფორმა καὶ ἄλλων-სი.

ავტორი განმარტავს: სათაურში არსებული და კავშირი მიგვიითთებს, რომ პორფირის წიგნი განმარტავს არა მხოლოდ არისტოტელეს კატეგორიებს, არამედ მთელ ფილოსოფიას. „ღონანი“ არის ὁ καὶ-ის თარგმანი. S 2562 ხელნაწერის აშიაზე მე-18 ს. ნუსხურით წერია ამ სიტყვის ქარაგმიანი ფორმა: დ-ნანი. „ღონანი“, როგორც ცნობილია, არის „და“ მაგვუფებული კავშირის აღმნიშვნელი ტერმინი, შედგენილი ასოთა სახელოდებების მიხედვით: ღონ(ღ)+ანი(ა). ეს სიტყვა ქართულ წერილობით ძეგლებში ცნობილი შემთხვევების გარდა შეგვხვდა ერთ მოგვიანო პერიოდის ძეგლში. ეს არის დავით უძლუველის „პორფირის „შესავლის“ განმარტების“ ქართული თარგმანი, შესრულებული მე-18 ს.-ში.

S 266 ხელნაწერში (XVIII ს.) ვხვდებით ამ ტერმინს: „ღონანსა კავშირად ჰსდებს“. „ღონანი“ რომ ნამდვილად „და“ კავშირის გულისხმობს, ჩანს იქიდან, რომ ამ ტექსტის სომხურ ლექსში მის შესატყვისად არის *դէն* [148, 266], ე. ი. *და* კავშირი.

„კავშირის“ მნიშვნელობით ქართველი მთარგმნელი ხაკრველ სიტყვასაც ხმარობს. „თანშეთხზეთისაცა საკრველსა“ შესატყვისია καὶ συνηματ ἡμῶν: ἡμῶν-სი, და ნიშნავს: მერთიანებულ და კავშირს. ოღონდ ქართველ მთარგმნელს καὶ უთარგმნია-ცა ნაწილაკით. კონტექსტში კი ხაზგასმით და მაგვუფებულ კავშირზე, მის ფუნქციოზება საუბარია.

ამრიგად, ὁ καὶ τῶν ἄλλων ერთგან თარგმნილია როგორც შესაკრავი ღონანი, მეორეგან კი—საკრველი და -ცა ნაწილაკი. ორსავე შემთხვევაში შესაკრავის და საკრველის ქვეშ იგულისხმება დღევანდელი კავშირი.

ზემოთ განხილული ცალკეული გრამატიკული ცნებების ანალიზი საყურადღებოა, როგორც საყოთრად გრამატიკული აზრის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით, ასევე იმ მხრივაც, რომ მას გარკვეული სიღრმად შეაქვს ზოგი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის საკითხის გარკვევის საქმეში. მაგ.: 1) არის თუ არა ამონიოსის შრომების მთარგმნელი იოანე პეტრიწი? გრამატიკულ ტერმინთა გადმოცემის მხრივ პეტრიწისა და ამონიოსის შრომები სხვაობენ ერთმანეთისგან. ამდენად, პასუხიც უარყოფითი იქნება. 2) პროსოდის ნიშნების ანალიზი, მათი არსებობა ამონიოსის შრომის ხელნაწერში (S 2562), ვფიქრობთ, ნაწილობრივ პასუხობს აკად. აკ. შანიძის მიერ ანტონის გრამატიკასთან დაკავშირებით დასმულ საკითხს: „სასენი ნიშნების ხმარება ძველი-

სა და საშუალო ქართულის ძეგლებში გამოარკვეული არ არის, რომ გამორიცხულ იქნეს ამ შემთხვევაში სომხურის გავლენა“. [56,25]. ჩვენი ძეგლის მონაცემები ბერძნულ გავლენაზე მიუთითებენ.

თ ა ვ ი

ზოგი ფილოსოფიური ტერმინის გაგებისათვის

ლიტერატურულ-თეორიული წინამძღვრები

ფილოსოფიურ ცნებათა ანალიზს, ფილოსოფიურ დებულებათა კომენტირებას წინ უძღვის საგანგებო მსჯელობა ნაწარმოების, თხზულების აგების შვიდ პრინციპზე. ამონიოსის შეხედულებით, რომელიც საერთო იყო ალექსანდრიელ ფილოსოფოს-კომენტატორთათვის, ყოველი წიგნი უნდა განვიხილოთ იმის მიხედვით, თუ როგორია: 1. განი, 2. საკმარი, 3. საკუთარი, 4. წესი, 5. მიზეზი ზედწარწერილისა, 6. თავთა შორისი განწვალება, 7. თუ რომლისა კერძოსა ქუეშე აღიყვანების აღწერილი იგი.

როგორია აქ ჩამოთვლილ ტერმინთა მნიშვნელობა? თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ პირველი ორი ტერმინის გარდა, ბოლო ხუთი ლიტერატურის თეორიის სპეციფიკური ტერმინებია და რაიმე ფილოსოფიური გააზრება მათ არ გააჩნიათ. მოკლედ მათ შესახებ.

1. საკუთარი (ἑαυτοῦ). ამ ტერმინს აქვს „ორიგინალობის“, „საკუთრობის“ შინაარსი. წიგნის რაობის რკვევისას დგება საკითხი მისი ორიგინალობისა, ე. ი.— ეკუთვნის თუ არა ესა და ეს წიგნი ამა და ამ ავტორს. ორიგინალობის დამდგენ კრიტერიუმად დასახელებულია ორი რამ: ა) ნაწარმოების სტილი და ბ) იმავე ავტორის სხვა წიგნებთან თეორიულ შეხედულებათა დამთხვევა. „საკუთრობასა ცხადპყოფს უკუე და უბნობაჲცა სიცხადისა მკონებელი და სხუათა წიგნთა მისთა შინათა ზედვათა წიგნსა ამას შინა მოკსენებაჲ“ 21, 21. ამრიგად, სტილისა და შეხედულებათა მსგავსება-იდენტურობის მიხედვით შეიძლება დადგინდეს ნაწარმოების ორიგინალობა.

2. წესი (ἀξιό-). ამ სიტყვას აქვს „შედგენილობის“, „აგებულების“ მნიშვნელობა. იგულისხმება წიგნის შედგენილობა, წიგნში განხილულ საკითხთა თანმიმდევრობა, დალაგება.

3. მიზეზი ზედწარწერილისა (αἰτιότητα). ზედწარწერილი იხმარება სათაურის გაგებით. ყოველ წიგნში უნდა გათვალისწინებულ იქნას ის მიზეზები, რომელთაც გამოიწვიეს ამა თუ იმ სათაურის შერჩევა და არა სხვისა.

4. თავთა შორისი განწვალება. ამ სიტყვებში იგულისხმება ის, რომ წიგნი დაყოფილი უნდა იყოს თავებად, და საჭიროა მათი აღნუსხვა.

5. თუ რომლისა კერძოსა ქუეშე აღიყვანების აღწერილი იგი. წიგნის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად აღიარებულია იმის დადგენა, თუ შეცნიერების რამელ დარგს განეკუთვნება იგი. ამ გზით გარკვეულია წიგნის სპეციფიკა.

დასახელებულ ლიტერატურულ ცნებებთან მითითებულია კიდევ ორი ნიშანი წიგნისა: განი და საქმარება. ეს ორი ტერმინი, გარდა იმისა, რომ ლიტერატურულ-თეორიული მნიშვნელობა აქვთ, ფილოსოფიური შინაარსითაც არიან დატვირთული.

6. განი. ერთერთი პრინციპი, რაც უნდა გაეითვალისწინოთ წიგნის შექმნისას, არის „განი წიგნისა“. რა მნიშვნელობით არის ნახმარი აქ სიტყვა განი?

სანამ ამას შევეხებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ განი ქართულ მწერლობაში ცნობილი სიტყვაა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „განი — სივრცე“ (და მიუთითებს მისგან ნაწარმოებ სიტყვას: განიერი). მეორე განი კი თანდებულია სიტყვათწარმოებითი ფუნქციით: „ართრონია, მყოფთავანი, კაცთავანი და მისთანანი“ [45]. ილ. აბულაძის ძე. ქართული ენის ლექსიკონში დადასტურებულია განი ბიბლიის წიგნების მიხედვით. ყველა შემთხვევაში განის მნიშვნელობა არის: ისრის მიზანი [1].

განის შესახებ სპეციალური განოცელება არსებობს ვ. ბერიძისა. მკვლევარი გან ძირს განიხილავს ხაგან სიტყვასთან მიმართებით. მითითებულია წყაროები, სადაც ეს სიტყვა დასტურდება. ყველგან მას აქვს სამიზნის მნიშვნელობა. თავდაპირველი მნიშვნელობა განიხა ყოფილა ადგილის აღნიშვნა. ხოლო მისი მეორადი მნიშვნელობა, როგორც მიზნისა, უკავშირდება ისრის სამიზნე ადგილს. განიდან ნაწარმოები მიმღობური ფორმა ხაგანი თავდაპირველად ისარს აღნიშნავდა, მეტე შეიძინა მან მიზნის მნიშვნელობა, ხოლო XIX ს. დან მან საგნის, ობიექტის მნიშვნელობაც შეიძინა [8,137—144].

განი ამონიოსის ტექსტში იხმარება „მიზნის“ გაგებით. კონტექსტი ისეთია, რომ არავითარ სასრე ადგილზე, ისრის მიზანზე იქ ლაპარაკი არაა. ლაპარაკია იმაზე, რომ საკითრა განვიხილოთ „განი წიგნისა, ანუ წიგნის დაწერის მიზანი. განი რამდენჯერმე მეორდება ტექსტში და ყველგან მას აქვს მიზნის მნიშვნელობა.

მიზნის მნიშვნელობით ნახმარია სხვა სიტყვაც. ესაა საზრი *σχιζοι*. საზრი სულხან-საბა განმარტებით, არის „გონებით მოსინჯვა“ [45]. აზრ ძირისგან ხა პრეფიქსით ნაწარმოები ფუძე გამოხატავს იმას, რაც აზრისთვის არის, რაც აზრის მიზანია.

მიზნის მნიშვნელობით იხმარება დახასრული (*τῆλο*). ფილოსოფიის განსაზღვრება ხდება ორი ნიშნის მიხედვით: რა არის ამ დისციპლინის საგანი და რა დასასრული აქვს მას? „განსაზღვრებაში მოიღებვიან ანუ ქუელმდებარისაგან, ანუ დასასრულისა“ 4,7. ნიშუშად დასახელებულია მკურნალობა, ასტრონომია. მკურნალობის ობიექტია ადამიანის ორგანიზმი, ხოლო დასასრული ანუ მიზანი — ადამიანის ჯანმრთელობა. ასტრონომიის ობიექტია ცის სხეულები, ხოლო მიზანი — მათი მოძრაობის ცოდნა.

ამრიგად, „მიზნის“ მნიშვნელობა გადმოცემულია სამი სხვადასხვა სიტყვით. ეცნია: განი, საზრი და დახასრული. ცნობილია, რომ სიტყვა „მიზანი“ ძველი და საშუალო ქართულის ძეგლებში არ დასტურდება. იგი გვიან, XVII ს. მწერლობაში ჩნდება. ჩვენს ხელთ არსებული მასალებში მიხედვით, იგი პირველად „ბარამგურიანში“ გვხვდება. ეს სიტყვა არაბული ნასესხობაა და მისი თავდაპირველი მნიშვნელობა „სასწორს“ უკავშირდებოდა, მაგრამ შემდგომი, ალბათ სასწორთან დაკავშირებით, სამართლიანობის დადგენის აზრმა „მიზნის“ ელფერი მიიღო. „მიზან“ სიტყვის დამკვიდრების დროიდან განმა და. დახას-

რულმა დაკარგეს მიზნის მნიშვნელობა. განი დღეს სივრცის ერთ-ერთ განზომილებას გამოხატავს, ხოლო დასასრული „ბოლოს“, „ღამთავრებას“ აღნიშნავს.

7. საკმარი||საკმარება||საკმრობა||კმარება.

ოთხი ამ ფორმით გადმოცემულია ისეთი ფილოსოფიური ცნება, როგორცაა „სასურველი აუცილებლობა“ (ბერძ. *χρησιμωσι*). მას შემდეგ რაც გავივებთ წიგნის მიზანს, საჭიროა ვიციოდეთ, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას: „არავე კელ-ჰუფს გულსმოდგინედ მეცნიერი განისაბ, პირველ ვიდრე არა მის მიერი საკმარება ისწავოს; ვინაჲ სამართლად იტყვან საკმრობასაცა“ 20,27. განსამართლებელი წიგნი, ანუ პორფირის „შესავალი“, საკმარიც არის და საჭიროც. საჭირო ნიშნავს „აუცილებლობა“.

აუცილებლობის კატეგორიის ორი ნიშანია გაანალიზებული. აუცილებლობა არის ორგვარი: ერთი აუცილებლობა არის საკმარი, მეორე კი — წინაუკუთმ განწვალებული საგებისა.

აი, ეს ადგილი:

„ფილოსოფოსნი საჭიროსა ორგვარად იტყვან: რამეთუ საჭიროდ უწოდენ ანუ საკმარსა, ანუ წინაუკუთმ განწვალდებულსა საგებისასა. და საკმარად ვიდრემე იტყვან შესაწევნელსა რაჲსმე მიმართ, ვითარ-იგი შესხმასა, ჩაუქმასა, რამეთუ შეეწვივის უღარესისა მიმართ და ესრეთ გებად უმრავალუამიერესად. ითქუმის უკუე საჭიროდ, ვითარცა ვთქუთ, წინაუკუთმ განწვალდებულსა საგებისაჲ, რომლისა თვნიერ ყოფიად შეუძლებელ არს, ვითარ საჭირო არს ცხოველთა მქონებელთა სამშენებლისათა აღმოფშვნიად უეჭუელად, რაჲთა ცოცხალ იყვნენ“ 23,19.

ამ კონტექსტიდან ირკვევა, რომ საჭირო არის ორგვარი. ერთია საკმარი, ანუ სასურველი აუცილებლობა, რომელიც შეიძლება იყოს, შეიძლება არა. მაგალითად, ჩაცმა, ფეხთშემოსა საჭიროა, მაგრამ სიცოცხლის შენარჩუნებისთვის აუცილებლობას არ წარმოადგენს. ამდენად საკმარი არის სარგებლიანობა, სასურველი აუცილებლობა. წინაუკუთმ განწვალდებული საგებისაჲ კი ისეთი აუცილებლობაა, რომელიც აბსოლუტურია. მაგალითად: სუნთქვა აუცილებელია სიცოცხლის შენარჩუნებისათვის.

საჭიროს, საკმარისა და საგების მნიშვნელობები ემყარება არისტოტელეს შეხედულებებს აუცილებლობის კატეგორიაზე.

გავიხსენოთ, რომ არისტოტელე აუცილებლობის სამ სახეობას გამოყოფდა [95,151]:

1) აუცილებლობა, რომელიც უფრო შესაძლებლობაა, რომელიც სასურველია, სიკეთეა. ამონიოსის ტექსტში ამას „საკმარება“ ტერმინი გამოხატავს, ოღონდ „საკმარებაში“ ხაზგასმულია სარგებლიანობა, მაშინ, როცა არისტოტელე ხაზს უსვამს სიკეთეს (*ἀρετή*). სიკეთე და სარგებლიანობა თავიანთი მნიშვნელობით ურთიერთშემავსებელი ცნებებია*.

2) აუცილებლობა, რომელიც გაპირობებულია იძულებით, ძალდატანებით (ამონიოსი აუცილებლობის ამ სახეობაზე არას ამბობს).

*გავიხსენოთ, რომ ეფრემ მცირე სწორედ წიგნთან კონტექსტში ხმარობდა საკმარებას. „მიზეზი და თხრობა წესა და საკმარებასა წინამდებარისა ამისა წიგნისასა“ [57].

3) აუცილებლობა იმისა, რომ რაიმე მაინცდამაინც ამ სახით არსებობდეს და არა სხვა სახით (ამონიოსის შრომაში ეს არის „განწყობილი“, ანუ რეალიზებული შესაძლებლობა).

არსება, ბუნება, მყოფი, საჭმე

არსება (ή οὐσία) აღნიშნავს დამოუკიდებელი არსებობის მქონეს, იმ პირველადს, რაც ყოველივეს საფუძველია. „რაოდენნიცა უკუე არიან თუთ თავით თუსით გუამყოფად შემძლებელნი და არ მოქენენი გუამყოფისა მიმართ სხვსა ვისნიმე, არსებად ითქუმიან“ 19,1. არსების ეს არისტოტელესეული განმარტება ასევე მეორედება „ღღაღქტიკის“ ეფრემ მცირისა და არსენ იყალთოელის თარგმანებში. არსება, როგორც ყოფიერება, შემდეგნაირად არის გააზრებული:

1) კონკრეტული გაგებით, არსება არის ყოველი დამოუკიდებელი არსებობა.

2) ზოგადი გაგებით, არსება არის საერთოდ ყოფიერება. ამ უკანასკნელი გაგებით არსებას ენაცვლება მყოფი: „არსებასა ვიტყუ არა წინააღმდეგომსა შემთხუევითასა, არამედ მყოფობასა რასმე თითოეულისასა, რომლისათჳს მყოფადცა ითქუმიან“ 87, 31.

ყოველი არსებული, იქნება იგი საგანი თუ მოვლენა, უნდა განვიხილოთ არსების, იგვეობისა და სხუაობის თელსაზრისით. ყოველი მყოფი არსება, ყოველი მყოფის დასაბამი ერთია და ამდენად ყოველივე იგვეობის ნიშნით ხასიათდება. ამავე დროს მყოფი მრავალია, ამდენად სხუაობით განირჩევიან ერთმანეთისაგან. ერთისა და სიმრავლის ასეთი ნეოპლატონური გაგებით არსების კატეგორიას შეერწყა იგვეობისა და განსხვავების პრინციპი. ყოველ ფენომენში გამოყოფა არსება, იგვეობა და სხუაობა. სამყაროს იერარქიულ წყობაში, ამონიოსის მიხედვით, არსებას თავისი ადგილი უჭირავს. მათ შორის არ არის „უფროსუმცროსობა“, ანუ ხარისხით უპირველესობა და შემდგომობა: „არსებათა ზედა არა არს უფროსი და უმცროსი“ 74,14. მაგრამ ამ განსაზღვრასაც შეიძლება გამოხაკლისი ჰქონდეს და არსებაც დახასიათდეს „უფროსუმცროსობის“ საზომით. ამონიოსის შეხედულებით, იერარქიაში არსებათა სიღრმისეული ყოფნა იგულისხმება და არა სივრცობრივი. სივრცეში განფენილ არსებათა შორის არ არსებობს უფროსი და უმცროსი: კაცი არ არის მეორე კაცზე უფრო „სიტყუერი“, არც ცხენი მეორე ცხენზე და ა. შ. მაგრამ სიღრმისეული გაგებით, სიტყუიერება ანუ გონიერება უფრო მეტია გონიერ არსებათა შორის, ვიდრე სულიერ არსებებში, უფრო მეტია ანგელოზთა შორის, ვიდრე ზეციერ სხეულებში, შემდეგ, უფრო მეტია ზეციერთა შორის, ვიდრე ადამიანთა შორის.

მსგავსად ამისა, არსება „უფროსია“ ცოცხალ არსებებში საერთოდ, ვიდრე ადამიანში მხოლოდ; ადამიანში უფრო მეტია, ვიდრე სოკრატეში მხოლოდ (74,34). ამ ადგილას ყოველი არსებულის ისეთი თანმიმდევრობა იგულისხმება, რომელიც საერთოა ნეოპლატონიკოს ფილოსოფოსთა ნააზრევში: არსება—სიტყუერი (მოაზროვნე) — ადამიანი — სოკრატი.

3) არსების ადეკვატური ცნება (ისევე როგორც იოანე დამასკელთან, მიქაელ ფსელოსთან და სხვ.) ზოგჯერ არის ბუნება. ბუნება არის საგანთა და მოვლენათა ძირითად, შინაგან თვისებათა ერთობლიობა. ამდენად, ბუნება არსებას, არსებულს ნიშნავს. ბუნება, როგორც ყოფიერება, უპირისპირდება.

ცნობიერებას, ანუ, როგორც თარგმანშია, საჩუენოს: „ბუნებით პირველნი საჩუენოდ უქუნანაქნელებ არიან, ხოლო ბუნებით მეორენი — საჩუენოდ პირველებ. ვითარ-იგი ბუნებით უპირველეს არს ნეთი და სახე, მერმელა ოთხნი ასონი, მერმე კორცი და ძელანი და სხუანი მსგავს-ეკრძოთაგანნი, ამის შემდგომად კაცი“ 42,37. ამონიოს ერმისი იზიარებს მატერიის პირველადობას. ბუნებით პირველია ზოგადი მატერია, რაც ჩვენს ცნობიერებაში უკანასკნელად აისახება. ხოლო კონკრეტული ადამიანი ბუნებით უკანასკნელია, მაგრამ ჩვენს შემეცნებაში აისახება სწორედ ეს ადამიანი და არა ის უმარტივესი ელემენტები, რომლებისგანაც იგი შედგება. ბუნების ასეთი დაპირისპირება შემეცნებასთან დასტურდება იოანე დამასკელის „დიალექტიკაში“ [17,160], ასევე იოანე პეტრიწის შრომაში [19,8].

4) არსებამ აქვს რაობის, არსის გავება: „არსებამ საქმისამ“ ნიშნავს საქმის არსს, რაობას. არსების ამ მნიშვნელობას უახლოვდება საქმის მნიშვნელობა. საქმე ამონიოსის ტექსტში ხშირად ხმარებული ტერმინია. ამ სიტყვის მნიშვნელობები: ა) არსებული, რეალობა. შეესატყვისება ბერძნულ $\pi\rho\acute{o}\tau\alpha\sigma$ -ს; ბ) ფუნქცია, დანიშნულება, შეესატყვისება $\epsilon\rho\acute{o}\tau\alpha\sigma$ სიტყვას; გ) საქმიანობა, მოღვაწეობა. ბერძნ. $\epsilon\nu\rho\acute{o}\tau\alpha\sigma$: a.

საქმე ქმნა ფუძეს ვარაუდობს, რომელსაც ორი მნიშვნელობა გააჩნია: ა) შექმნა, აგება და ბ) არსებობა, წარმოშობა, მაგრამ საქმე ნიშნავს არა ქმნილს, გაკეთებულს, არამედ არსებულს, რეალობას. ეს კარგად ჩანს შემდეგი სიტყვებიდან: „არა ლიტონი ქმამ იყო ნამდული, არამედ საქმე განთვსებულისა გუამისა მქონი“ 26,27. საქმე უპირისპირდება ლიტონ ხმას ანუ ცნებას. მაშ-მე, საქმეს აქვს რეალობის შინაარსი. და კიდევ: „თითოეული საქმეთაგანი ერთკა არს და მრავალ“ 44,23. ეს ცნობილი ნეოპლატონური აზრია ერთისა და სიმრავლის უზენაეს ერთზე დამოკიდებულებისა.

არსება მყოფის სახეობაა. მყოფი ზოგადია და მიუთითებს საერთოდ არსებულზე: „მყოფნი იგინი არიან, რაოდენნი მრავალთად შეისმინებთან და მრავალთა. შორის აქუს გუამი“: ... 25, 27. მყოფი ტერმინი პოლისემიურია. მას აქვს შემდეგი მნიშვნელობანი: 1) ყოფიერება, არსებობა, 2) ყოფნა, 3) სუბსტრატი. იგი შეესატყვისება ისეთ ბერძნულ სიტყვებს, როგორცაა: $\tau\acute{o}\ \delta\epsilon\nu$, $\tau\acute{o}\ \epsilon\iota\nu\alpha\iota$, $\sigma\acute{\alpha}\rho\kappa\omega\tau\alpha\sigma$, $\tau\eta\ \sigma\upsilon\beta\sigma\tau\alpha\tau\iota\varsigma$.

მყოფი არის ის უზოგადესი ცნება, რომელსაც შეისწავლის ფილოსოფია. არა კონკრეტული გამოვლინება, არამედ ყოველი არსებულის ზოგადი პრინციპი — ასეთია მყოფი ამონიოსის შრომის მიხედვით. (მდრ. მყოფი და ამ პეტრიწთან).

მყოფის სინონიმად ზოგჯერ გვხვდება ნანდლი. ყოველი, რაც საჭირო, ან საგები, ან განყოფიებულია, იგი ნანდლიცა არს. ე. ი. აუცილებლობა, შესაძლებლობა და რეალიზებული შესაძლებლობა — ყველა ნანდლი, ანუ რეალობა, ქეშმარიტებაა. მაგრამ ის, რაც ნანდლია, არ არის ერთსა და იმავე დროს აუცილებლობა, შესაძლებლობა და რეალიზებული შესაძლებლობა, არამედ ერთ-ერთი მათგანი 25,14.

ბ ა ნ ს ა ზ ლ ვ რ ე ბ ა , წ ა რ წ მ რ ა , ძ შ მ წ ა რ წ მ რ ა რ

ამონიოსის შრომაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ფილოსოფიისა და მეცნიერებათა განსაზღვრებებს. ამასთან დაკავშირებით სპეციალურად განხი-

ლულია ცნებები: განსაზღვრება და საზღვარი. განსაზღვრება სხვადასხვა კუთხით არის გაანალიზებული:

1) რა არის განსაზღვრება? 2) საიდან წარმოდგება ტერმინი განსაზღვრება? 3) რისი მიხედვით ხდება განსაზღვრება? 4) რით განსხვავდება განსაზღვრება წარწერისა (აღწერისა) და ქუეწარწერისაგან? 5) როგორია სრული განსაზღვრება?

1) „განსაზღვრებაა უკუე არს სიტყუაჲ შემოკლებული, მჩუენებელი ბუნებასა საქმისასა“ 3, 5. განსაზღვრება არის სიტყვა. სიტყვის ქვეშ შეიძლება ვივარაუდოთ როგორც ერთი სიტყვა, ისე მთელი წინადადება, ოღონდ იგი უნდა იყოს შემოკლებული. შემოკლებული ისე უნდა გავიგოთ, რომ სიტყვა უნდა იყოს მინიმუმამდე დაყვანილი, მან მხოლოდ ძირითადი, არსებითი უნდა ასახოს. თუ სიტყვა საგნის ბუნებას, მხოლოდ ძირითად ნიშანთა ერთობლიობას გადმოსცემს, იგი განსაზღვრებაა. იმდენად მნიშვნელოვანია, განსაზღვრებამ საქმის არსი გამოხატოს, რომ ზოგჯერ განსაზღვრება ვაგებულება, როგორც არსი ამ საქმისა: „რომელი ცხადჱყოფდეს ბუნებასა საქმისასა, ესე იგი არს, განსაზღვრებასა“ 74, 1. ამიტომაც არის, რომ განსაზღვრება არის სიტყვაც (ἀρϕος) და საქმის ბუნებაც (φρσας τσ ραϕυμζου).

2) განსაზღვრება წარმომდგარია საზღვარ ფუძიდან. „განსაზღვრებამ ითქმის გარდმოღებისაგან ყანობირთშორისთა საზღვართამასა, რამეთუ ვითარ სახედ იგინი გარეშეიცვენ ყანობირსა და განჱყოფენ უცხოთაგან, ეგრეთვე განსაზღვრებანი გარეშეიცვენ საქმესა და განჱყოფენ სხუათა ყოველთაგან“ 3, 12, ე. ი. ტერმინი განსაზღვრება წარმომდგარია მიწის საზღვრებისაგან, განსაზღვრება < საზღვარი-ი. განსაზღვრება და საზღვარი სინონიმებია. „საზღვარი რამარსობასა დაპნიშნავს“ 82, 37, ე. ი. საზღვარიც, მსგავსად განსაზღვრებისა, ძირითად არსს გადმოსცემს.

3) განსაზღვრება ხდება ორი ნიშნით: ქვემდებარის, ანუ ობიექტის მიხედვით, და დასასრულის, ანუ მიზნის მიხედვით: „განსაზღვრებანი მოიღებვიან ანუ ქუედმდებარისაგან, ანუ დასასრულისა, ანუ თანად ორთაგანვე“ 4, 7.

4) განსაზღვრება უპირისპირდება წარწერას და ქუეწარწერას. „რამ არს წარწერაჲ და რამ საზღვარი და რამთა განეყოფვის განსაზღვრებამ წარწერასა?“ 44, 17.

განსაზღვრება იმით განსხვავდება წარწერისაგან, რომ განსაზღვრება ხდება არსებითი ნიშნების მიხედვით, წარწერა კი — არაარსებითი ნიშნებით: „განსაზღვრებამ არსებისაგან აჩუენებს საქმეთა, ხოლო წარწერამ — შემთხუევეითთაგან“ 41, 38. ასე მაგალითად: ადამიანის განსაზღვრება ასეთია: „ცხოველი სიტყუერი, მოკუდავი“, ხოლო თუ დავუმატებთ ისეთ ნიშნებს, როგორიცაა „აღმართებითმავალობითი“ (ვერტიკალურად მოსიარულე), „ბრჭალბრტყელი“ (ბრტყელფრჩხილიანი) — ეს იქნება წარწერა, რადგან ჩამოთვლილი ნიშნები მეორეულია, ადამიანის არსების წარმომჩენი არ არის. ამ თავისებურების გამო განსაზღვრება კვალიფიცირებულია, როგორც სრული დწერა, ხოლო წარ-

წერა, როგორც აჩრდილისწერა. ე. ი. წარწერა გადმოსცემს ასლს, მიმსგავსებას, წარწერა არის აღწერა.

განსაზღვრებას უპირისპირდება ქუეწარწერაც (παιφρασις). ეს უკანასკნელი გამოხატავს არა ზოგად ნიშანს, არამედ ცალკეულ სახეობრივ ნიშნებს. შეუძლებელია, მაგალითად, „ძაღლის“ განსაზღვრება მიესადაგოს ყველა სახის ძაღლს (ხმელეთისას, ზღვისას და ცისას). მათ მიმართ შეიძლება მხოლოდ ქუეწარწერაზე ვილაპარაკოთ. ქუეწარწერა ორი პრინციპით შეიძლება ჩამოყალიბდეს: ეტიმოლოგიის მიხედვით და შემთხვევითი ნიშნების მიხედვით. არაარსებითი, ანუ შემთხვევითი ნიშნების გადმოცემით იგი წარწერას ჰგავს. ხოლო ეტიმოლოგიის მიხედვით ქუეწარწერა ასეთია: „კაცი არს შემძლებელი ხელვად ზე, რომელით მიერ ზე იხედავს ანუ ზენაჲთ მქონებელი სახედველთაჲ“ 46,31. საქმე იმაშია, რომ ასეთი ქუეწარწერა მიესადაგება მხოლოდ ბერძნულ $\delta\epsilon\mu\pi\alpha\sigma\iota\varsigma$ სიტყვას, რომელიც კომპოზიტია, შედგება $\delta\epsilon$ (ზე) — $\mu\pi\alpha\sigma\iota\varsigma$ (მხედველი) სიტყვებისაგან და მართლაც, ნიშნავს „ზედმხედველს“.

მაგრამ ქართულ თარგმანში მოტანილი ეტიმოლოგია: „იხედავს ზე“ არ გამოდგება ქართული „ადამიანის“ მიმართ, რადგან ქართული სიტყვა „ადამიანი“ არ შეიცავს „იხედავს ზე“ ეტიმოლოგიას.

5) განსაზღვრება სრული, ანუ ზუსტი უნდა იყოს. მას არც უნდა ემატებოდეს რამე, არც აკლდეს. რჩეული ე. ი. ზუსტი განსაზღვრება ზომიერებას შეიცავს. ზომიერებას უპირისპირდება ნაკლულმონაგებობაჲ (ნაკლულება) და შრავლმონაგებობაჲ (მეტობა), ისევე როგორც კეთილგონიერების გვერდით არსებობას ქვებურებაჲ (სიბრიყვე, გრძნობათაღუძრველობა) და ლორწება (სიბილწე). ზომიერება ქმნის რჩეულ საზღვარს, ხოლო ნაკლულება და მეტობა დაშლიან მას. ასე მაგალითად, რჩეული განსაზღვრებაა: ადამიანი არის „ცხოველი სიტყუერი, მოკულადვი“ 54,2. ერთი პრედიკატის მოკლებით იმატებს ანუ ფართოვდება სუბიექტის ცნება. თუ ვიტყვით: „ცხოველი მოკულადვი“ — გაფართოვდება განსაზღვრების სუბიექტი, რადგან ეს ეხება არა მხოლოდ ადამიანს, არამედ ცხენს, ძაღლს და ა. შ. და, პირიქით, რაიმე პრედიკატის მიმატებით განსაზღვრების სუბიექტის ცნება ვიწროვდება. „ცხოველი მოკულადვი, სიტყუერი, გრამატიკოსი“ ეხება უკვე არა ყოველ ადამიანს, არამედ მხოლოდ გრამატიკოსებს. ამიტომ, ავტორის შეხედულებით, იგია „რჩეული საზღვარი, რომელი გარეშეჰსაზღვრებდეს ვიდრემე თჳსსა საქმესა და არარას გარეგნით მისსა დაუტეობდეს, ხოლო გუერდით მდებარეთა არას მოჰხუეკდეს“ 53,36.

ზოგადი და კერძო

ამონიოსის ფილოსოფიურ შეხედულებათა ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს წარმოადგენს საყოველთაოსა და კერძობითის, ანუ ზოგადისა და კერძოს ურთიერთმიმართების საკითხი. გვარისა და სახის, ძირითადი ნიშნისა და სხვა ლოგიკურ ცნებათა ანალიზი დაფუძნებულია ზოგადისა და კერძოს შინაარსის გაგებაზე. ცნობილია, რომ პორფირის შრომა ზოგადისა და კერძოს ურთიერთმიმართებაზე ერთგვარი საფუძველი გახდა შუასაუკუნეობრივი ნომინალიზმისა და რეალიზმის დაპირისპირებისათვის [165]. რომელს ეკუთვნის სუბსტანციონალური არსებობა: ზოგადსა თუ კერძოს? რომელია პირველადი: ზოგადი

თუ კერძო? — აი, ამონიოსის ინტერესთა სფერო. ამასთან დაკავშირებით ტექსტში ძალზე საყურადღებო მსჯელობანი გვხვდება.

საყოველთაო ტერმინით გადმოცემულია ზოგადის შინაარსი. საყოველთაო (καθόλου) და ზოგადი||საზოგადო (κοινός) ერთმანეთის სინონიმებად გვევლინება. ეგვევ ცნება ზოგან ზიარი ტერმინით არის გადმოცემული.

კერძოობითი||კერძო ტერმინები გადმოსცემს კერძოს მნიშვნელობას. ყველაზე ხშირად დასტურდება საყოველთაო და კერძოობითი ტერმინები.

საყოველთაო არის ის ზოგადი, რომელიც თავის თავში კრებს ინდივიდუალურ სახეებს. იგი არის „გარეშემცველი ყოველთაა და დამმარხველი მორფთა თითოეულისასა“ 28,19. კერძოობითი კი ცვალებადია და წარმავალი, იგი გახრწნასა და გაქრობას ექვემდებარება. ცხადია, რომ კერძოობითია ინდივიდუალური, ცალკეული საგნები. საყოველთაო იგივეობის ნიშნებით ხასიათდება, იგი არ ექვემდებარება ცვალებადობასა და მოსპობას.

საყოველთაოს, ანუ გვარსა და სახეს საგნობრივ-ნივთიერი რეალობა აქვთ, თუ ისინი მხოლოდ ჩვენი შემეცნების პროდუქტია? ამონიოსს მოჰყავს ანტისთენის შეხედულება, რომელიც „იტყოდა ლიტონისა ზედმოგონებისა შორის ყოფასა ნათესავთა და სახეთასა, ვითარმედ ცხენსა ვხედავ, ხოლო ცხენობასა ვერ ვხედავ“ 34,16. ანტისთენი ზოგადის რეალობას უარყოფდა და მხოლოდ ჩვენი წარმოდგენების საყოფად მიიჩნევდა მათ. როგორია ანტისთენის შეხედულების შეფასება ამონიოს ერმისის მიერ? ანტისთენი ზოგადის არარსებობას „იტყოდა მხოლოდათა გრძნობითა მეტყველი“, ვერ შემძლებელი სწვდომოდა უღიღეს აღმოჩენას. ამონიოსი კრიტიკულად არის განწყობილი. იგი ანტისთენის საწინააღმდეგო შეხედულებას ავითარებს: ზოგადს თავისი რეალობა აქვს. მაგრამ ფილოსოფოსი თანმიმდევრული არ ჩანს ამ საკითხში.

ზოგადის და გრძნობადის მიმართების სხვაგვარი გააზრებაც გვხვდება. ავტორი ანალოზს უკეთებს ძველი ბერძენი ფილოსოფოსების შეხედულებებს იმის შესახებ, არსებობს ზოგადი მგრძნობელობით საგნებამდე, თუ მხოლოდ მათ შემდეგ.

ონტოლოგიურ ასპექტში ყოველი არსებული ან სხეულებრივია, ან უსხეულო. უსხეულოთაგან ზოგს საკუთარი სუბსტანცია აქვს, ზოგს კი — არა. პირველის ნიშნუშია ღმერთი, ანგელოზი, მეორისა — სითეთრე, ფიგურა. ეს უკანასკნელი ან საყოველთაოა და იგი გრძნობად-მატერიალურშია (სითეთრე თეთრში) ან ზედსაჩინოებისაებრ არის, ე. ი. განზომილების სახით (სფერის სახე ფიგურა).

ამონიოსი მიუთითებს არისტოტელეს თვალსაზრისს: ზოგადი მგრძნობელობით-მატერიალურ ნივთებში არსებობს („განუკიდებელ-ყოფად იტყუს მათ ნივთისაგან“). იგი ასხენებს პლატონის მეტაფიზიკურ იდეებსაც. პლატონის მიხედვით, ზოგადი არსებობს „განკიდებულ ნივთისაგან“. უფრო ღრმა განხილვას მათი შეხედულებებისას ამონიოსი თავს არიდებს: „არა აწინდელისა ჟამისა არს განხილვა“ 36,15, — წერს იგი. თუმცა, მიუხედავად ამ განცხადებისა, იგი საკმაოდ ვრცლად მსჯელობს ზოგადსა და კერძოზე. იგი ცდილობს არისტოტელეს მატერიალისტური პოზიციის შერიგებას პლატონის იდეალიზმთან და მესამე, საკუთარ შესაძლებლობას იძლევა.

ზოგადისა და კერძოს მიმართება შედარებულია ბექდის მიერ ცვილის ასლის აღებასთან. „აწ უკუე საბეჭდავი იგი ბექდისშინაა ითქუმის პირველ მრ-

ვალთასა მყოფად, ხოლო ცვლსშინანი — მრავალთაშინად. ხოლო გონებასა შინა მკსოენელისაჲ იგი მრავალთაზედად და უკუანაქმნილად“ 35,14.

აქ ასეთი აზრია:

ბეჭედში, როგორც პირველსახეში, არის ყოველი სიმრავლის, ანუ კერძოთა სახე, ე. ი. ზოგადს აქვს პირველადი არსებობა, რომელიც დასაბამს აძლევს სიმრავლეს, ანუ კერძობითებს. ეს პირველსახე, რომელიც არსებობს ზოგადობა, არის შემოქმედი, დამბადებელი. ამიტომ ამონიოსი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ „დამბადებელისა შორის არიან სახენი“ 35,30, რომ ზოგადი არსებობს „პირველად მრავალთასა“ და „განშორებულად ნივთისაგან“. ეს პლატონის იდეალიზმია.

ზოგადის არსებობის სხვა შესაძლებლობაც არსებობს. ზოგადი არსებობს მრავალში. ისევე როგორც საბეჭდავი არსებობს ცვილიდან აღებულ ასლებში, ასევე ზოგადი არსებობს ცალკეულში. ამიტომ შესაძლებელია ზოგადის „მრავალთა შორის ყოფად და განუშორებელად ნივთისაგან“ 35,35. ეს არისტოტელეს შეხედულებაა.

ზოგადს მეორეული არსებობა აქვს. ეს არსებობა გავგონების ანუ შემეცნების სფეროს ეხება. ისევე, როგორც ცვილიდან აღებულ ასლებს გავიანზარებთ წარმოდგენებში და უკავშირებთ რომელიმე კონკრეტულ საგანს, ზოგადი ჩვენს წარმოდგენაში არსებობს, ოღონდ მატერიალურ-საგნობრივ საფუძველზე. ამდენად არსებობს „საყოველთაო მრავალთა ზედად ანუ მრავალთა შემდგომად და უკუანაქმნილად“ 35,39.

აქ ლაპარაკია ზოგადის არსებობაზე ჩვენს შემეცნებაში, რომელიც კერძოს, ანუ მრავლის საფუძველზე ხდება. „მრავალთა ზედა“ სუბსტრატად გულისხმობს საგნებს, ე. ი. საყოველთაო არსებობს კერძობითთა საფუძველზე. სიმრავლეს რეალური არსებობა აქვს, საყოველთაო არსებობს მის საფუძველზე ჩვენს ცნებებში „მრავალთა შემდგომად“. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ აქ ამონიოსი ზოგადის მეორადობას აღიარებს.

ამონიოსი ერმისი რეალიზმის პოზიციაზე დგას ზოგადისა და კერძოს მიმართების ანალიზისას. ტექსტის სხვა ადგილას გამოჩნებულია პლატონის იდეათა პირველარსებობის აზრი. ზოგადს „პლატონური სადმე მრავალთასა პირველთა შორის იტყოდეს“ 80,19, იქვე მოტანილია არისტოტელეს შეხედულება „მრავალთაშორისთათჳს“. „აწ უკუე განსაგდებელ არსა ყოვლითურთ პერიპატოელთა სიტყუაჲ? — კითხულობს იგი და პასუხობს: არასადა! მაგრამ როგორ არის გადმოცემული პერიპატოელთა შეხედულება ზოგადზე? „ცხად არს, ვითარმედ ბუნებაჲ უსაყოველთაოესთაგან უკერძობითესთა მიმართ მოგზაურობს და კერძობითნი ძალითა უსაყოველთაოესთა შორის წინაშემტკიცენს“ 80,22. ან კიდევ: „ნათესავთა შორის ძალითა იხილევებიან მრავალთა შორის განყოფილებანი“ 80,33.

აქედან ის აზრი გამომდინარეობს, რომ ზოგადი კერძოზე ადრე არსებობს და ყოველ საგანს პოტენციით აქვს არსებობა ზოგადში. კერძოს ზოგადში არსებობას არისტოტელურ პოზიციად თვლის ავტორი და შენიშნავს: „ვინადაც ვითარცა პორფირიოსს წინაედვა მწერლობაჲ წიგნისაჲ ამის არა პლატონურთა მოფარდულობათა, არამედ არისტოტელურთა მიმართ თანშეტყუებულისაჲ, ამისთჳს პერიპატოელთაჲ იკუშია აღჳსნაჲ“ 80,35.

ამონიოსი აქ ზოგადს ანიჭებს პრიორიტეტს. ზოგადი უსწრებს კერძობითს. ზოგადის ეს პრიმატი გაძლიერებულია იმითაც, რომ ზოგადი იგივე-

ობით ხასიათდება და მას მარადიული არსებობა აქვს მინიჭებული. ამით არის გაპირობებული, რომ ჩვენი გონება მხოლოდ ზოგადს ეძიებს, ფილოსოფიის საგანი ზოგადია.

ზოგადისა და კერძოს დიალექტიკას გვარსა და სახესთან მიმართებაში განიხილავს ამონიოს ერმისი. მათი ურთიერთობა ან ღრობით არის გაპირობებული, ან ბუნებით. მაგ.: მამისა და ძის მიმართებაში ღრობის ფაქტორი მოქმედებს, მამა წინ უსწრებს ძეს. მოძღვრისა და მოწაფის მიმართებაში მიზეზის ფაქტორი მოქმედებს. რაც შეეხება გვარისა და სახის (ანუ საყოველთაოსა და კერძობობის) მიმართებას, აქ ყოფიერების ფაქტორით არის განსაზღვრული პირველადობა. დასკვნა ასეთია: „ნათესავი არსებისაებრ ბუნებითა პირველ შემეტციდა, არა ეამითა“ 39,32. ე. ი. ზოგადი ბუნებით პირველია კერძოზე. ამის ნიმუშად მოტანილია შემდეგი: ბუნებაში შექმნის პროცესში პირველად თესლი გაცოცხლდება, სულიერი ხდება. შემდეგ ეტაპზე მას მკერძობელობა და ნებელობა უერთარდება, ასე შივილებთ არაგონიერ ცხოველს. შემდგომ მას მეტყველებისა. და აზროვნების უნარი უჩნდება და ასე შივილებთ ადამიანს, იხ. 39,39. ამ ადგილას ამონიოსის მიერ აშკარად გატარებულია მატერიალისტური ხაზი: ზოგადის არსებობა კონკრეტულ-საგნობრივი სინამდვილის შემდეგ.

როგორც ვნახეთ, ზოგადისა და კერძოს ინტერპრეტაცია ამონიოსის მიერ ზომიერი რეალიზმის პოზიციებიდან ხდება.

ზოგადისა და კერძოს მიმართებაში გათვალისწინებული უნდა იქნეს საქმის ონტოლოგიური და გნოსეოლოგიური ასპექტი. ამონიოსის აზრით, „საყოველთაოდ ბუნებით პირველნი საჩუენოდ უკუანასკნელებ არიან, ხოლო ბუნებით მეორენი — საჩუენოდ პირველებ“ 42,37. ეს ნიშნავს: ის, რაც ყოფიერებით პირველადია, ჩვენი შემეცნებისთვის უკანასკნელია და, პირიქით, ყოფიერებით უკანასკნელი შემეცნებისათვის პირველია. ყოფიერებისა და შემეცნების მიმართ საყოველთაოდ და კერძობობით ასე გამოიყურება: „ბუნებით უპირველეს არს ნივთი და სახე, მერმელა ოთხნი ასონი, მერმე ჯორცნი და ძუალნი და სხუანი მსგავსკერძობთაგანნი, ამის შემდგომად კაცი“ 43,2, ანუ: ყოფიერებით პირველადია მატერია და ფორმა, ეს უკანასკნელნი ქმნიან ოთხ ელემენტს, შემდეგ ამათ საფუძველზე წარმოიშობა ორგანიზმი და ბოლოს ჩნდება ადამიანი. შემეცნებაში კი ეს პირუკუა წარმოდგენილი. ჩვენ ჯერ შევიმეცნებთ ადამიანს, მერე ორგანიზმს, მერე ოთხ ელემენტს და სულ ბოლოს ნივთსა და ფორმას.

გვარის, ზოგადის მატერიალურ სუბსტრატთან დაკავშირებით ამონიოსი არისტოტელეს მატერიალისტურ პოზიციასზე დგას. იგი იმოწმებს არისტოტელეს, რომელიც ყოველი ხელოვნების გვარს მატერიალურ სუბსტრატს უკავშირებს: „ხუროვნობითისა შორის ხეთად და მკურნალობითისა შორის კაცობრივთა სხეულთად“.

იქვე ამონიოსი ამ მოსაზრებას უპირისპირებს პორფირის ფორმალ-ლოგიკურ კონცეფციას, პორფირი გვარის, ანუ საყოველთაოს გაგებას უკავშირებს არა ბუნებით ყოფიერებას, არამედ „სიტყუერ მოფარდულობას“, ე. ი. ლოგიკას.

ამონიოსის აზრით, პორფირის ზოგადი პრედიკაბილიები ყოფიერ შინაარსს მოწყვეტილია, ისინი მხოლოდ ლოგიკურ ცნებებს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ პორფირიმ პლატონისეული გაგება გვარისა, ანუ ზოგადისა „არა აღრიცხუნა“, რადგან არისტოტელეს აზრს იზიარებდათ (43,20), იგი მიინცხ ზოგადის ფორმალურ გაგებაზე შეჩერდა.

საყოველთაოს სინონიმებია ზოგადი||საზოგადო||ზოგადობითი||ზიარი||ზიარობა. ყველა ეს ტერმინი თარგმანში იხმარება ბერძნული *κοινον*-ის ადგილას. აღნიშნული ტერმინები ხშირად ცვლიან ერთიმეორეს. მაგ.: „აღიყვანეს... საყოველთაოაჲსა ქვისაგან და საყოველთაოაჲსა ძელისა და ეგვეითართა საზოგადოაჲსა ნათესავისა მიმართ“ 18,26. ანდა: „კერძობითთა კაცთაგან... საზოგადოაჲსა რაჲსამე მიმართ კაცისაჲსა“ 17,20.

ნივთი და სახე

ტერმინი ნივთი აღნიშნავს მატერიას. ნივთი არის ყოველივეს საფუძველი. სახე ნივთის საპირისპირო ცნებაა და აღნიშნავს ფორმას. ამონიოსი განაჩიჩევს სახის ფილოსოფიურ გაგებას მისი ლოგიკური გაგებისაგან. სახე ფილოსოფიური მნიშვნელობით არის ფორმა, სახე ლოგიკური მნიშვნელობით არის გვიან დაქვემდებარებული ცნება. ავტორის შენიშვნით, „არიან სხუანი დანიშნვანი სახისანი“, ე. ი. სახეს სხვა მნიშვნელობაც აქვს, მაგრამ ავტორი მათ არ ეხება.

სახის უპირველესი ფუნქცია არის ფორმის გამოხატვა. სახე, როგორც მატერიის არსებობის ფორმა, მატერიასთან კავშირში განიხილება, ნივთი და სახე ურთიერთშეფარდებითი ცნებებია. ნივთი ობიექტებს ყოველივეს ყოფიერებას, ხოლო სახე (*είδος, τόπος*) — ფორმას. პირველი რაობას გადმოსცემს, მეორე — რომელობას, რომელობას: „ნივთი ყოფსა მიჰმადლებს თითოეულსა, ხოლო სახე — რომელობასა და ეგვეითართაჲსა“ 82,13.

ამონიოსი მკვეთრად განასხვავებს ერთმანეთისგან ბუნებაში რეალურად არსებულ ნივთსა და სახეს, ერთი მხრივ, და ხელოვნებაში რეალურის ანალოგიით არსებულ ნივთსა და სახეს. პირველ მათგანს ეწოდება საკუთრად ნივთი და სახე, მეორეს კი აღსიტყუვითი ნივთი და სახე.

ყოველი ფიზიკური საგანი არის საკუთრად ნივთი და სახე, ე. ი. მატერია! და ფორმა თავისთავად, ხოლო ხელოვნებაში გადატანილი საგანი არის აღსიტყუვითი ნივთი და სახე, ე. ი. ანალოგიით შექმნილი მატერია და ფორმა.

ბუნებაში არსებულს უპირისპირდება შექმნილი, ხელოვნების შედგენი-საკუთარისა და აღსიტყუვითის საილუსტრაციოდ დასახელებულია რვალი (სპილენძი) და ანდრიანტი (ძეგლი). რვალისგან დამზადებულ ქანდაკებაში რვალი არის აღსიტყუვითი ნივთი, ხოლო ქანდაკება არის აღსიტყუვითი სახე. „რვალი ითქუმის ნივთად, გარნა არ საკუთრად, არამედ აღსიტყუვით... ნაკუთითცა სახედ აღსიტყუვით იწოდების, ვითარ დასტუფრავს რვალსა“ 81,26.

ამრიგად, ქანდაკებაში სპილენძი ფიგურის მიმართ არის მატერია, ხოლო ფიგურა სპილენძის მიმართ ფორმაა. ამონიოსის მიხედვით, ერთი და იმავე მატერიის მქონე საგნებს შეუძლიათ ურთიერთ ფორმის შეცვლა. მაგ.: სპილენძის ქანდაკება შეიძლება გადავაქციოთ ქვად, მაგრამ ამ ქანდაკებისგან ნავს ვერ მივიღებთ, ვინაიდან მათ არა აქვთ საერთო ნივთი.

უფორმო მატერიას საკუთარი ნივთი ეწოდება ანუ ნივთი საკუთრად. ნივთისა და სახის მიმართებაში სახე არსებობს ნივთში, სახე შეამკობს ნივთს, ე. ი. ფორმას აძლევს მას. სახე მშვენიერის, შემამკობელის ნიშნით არის დახასიათებული. სახის ფილოსოფიური მნიშვნელობა ესთეტიკურ გაგებას ითავსებს.

ნივთისა და სახის ფილოსოფიური ანალიზი გვარისა და სახის ლოგიკურ ცნებებთან არის დაკავშირებული: „ნივთსა უკუე აღჰსიტყუავს ნათესაეი, ხოლო სახესა — განყოფილებანი“ 82,12. ვინაიდან გვარის ზოგადი შინაარსი მატერიალს უკავშირდება, ამდენად ლოგიკური გვარი ამ ზოგადობას, არსებულს, „რააარსობას“ აღნიშნავს, ხოლო სახე — არსებულის რაგვარობას, „რომელირააარსობას“. მაშასადამე, გვარი სუბიექტია, სახე — მისი პრედიკატი.

ნივთი და სახე ზოგადისა და კერძოს თვალსაზრისით ყველაზე უზოგადეს რეალობად არის მიჩნეული. „ბუნებით უპირველეს არს ნივთი და სახე“ 43,2. ნივთი და სახე პირველსაფუძველია ოთხი ელემენტისა, რომელთაგანაც შედგება ყოველი არსებულნი.

პ ა მ რ ო ბ ი თ ი მ ე ხ რ ი კ ე ო ბ ა

პაექრობითი მეხრიკეობა იხმარება „ღიალექტიკური მეთოდის“ მნიშვნელობით. ამონიოსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მას ჭეშმარიტების დადგენისა და შეცნობისათვის. ავტორი ოთხ მეთოდს განიხილავს. ამ ოთხი მეთოდის საშუალებით ფილოსოფოსთ ძალუძთ საგანთა და მოვლენათა შეცნობა. ტერმინი პაექრობითი იმ მნიშვნელობას გახაზავს, როცა ღიალექტიკა მიჩნეული იყო კითხვისა და მიგების, პაექრობის გზით ჭეშმარიტების დადგენის საშუალებად.

პაექრობითი მეხრიკეობანი შემდეგი სახისა არსებობს:

1) განწვალებითი (δεισιος). ეს მეთოდი ითვალისწინებს გვარ-სახეობრივ დაყოფას, მაგრამ დაყოფა უნდა იყოს სწორი, თანმიმდევრული და თანდათანობითი. მაგ.: ცხოველი დაიყოფა გონიერად და არაგონიერად, შემდეგ, მოკვდავად და უკვდავად და ა. შ. დაყოფა სწორი არ იქნება, თუ ვიტყვი: ცხოველი დაიყოფა კაცად, ცხენად. ასეთი დაყოფის მიმდევარნი ემსგავსებიან, პლატონის სიტყვებით რომ ვთქვათ, ხორცის არა დანაწილებით დამკრეულთ, არამედ ცუდადმკრეულ მზარეულებთ.

2) განსაზღვრებითი|განსაზღვრელობითი (ბრძემბ). ამ მეთოდის მიხედვით ყოველი საგნისა და მოვლენის არსებობა მტკიცდება განსაზღვრების მიერ. განსაზღვრებაზე ზემოთ გეჭონდა საუბარი.

3) გამომაჩინებლობითი|გამოჩენითი (იხმბე:ξ:). ეს მეთოდი ითვალისწინებს რაიმეს მტკიცებას ძირითადი ნიშნების მიხედვით და არა მეორადი, შემთხვევითი ნიშნების მიხედვით.

4) აღლევითი (αυλησιος). ეს მეთოდი ითვალისწინებს ანალიზს. ანალიზის ფუნქცია მდგომარეობს რთულის მარტივზე დაყვანაში, ყოველი არსებულის დაყოფაში იმად, რისგანაც იგი არის წარმომდგარი. მაგ.: აღამიანი იყოფა ხელად და ფეხად, თავისთავად ესენი ძვალად, ხორცად, ძარღვებად. ეს უკანასკნელნი ოთხ ელემენტად, ხოლო ესენი მატერიალ და ფორმად 31,25. ანალიზის მეთოდს მეცნიერების ყოველი სპეციალისტი მიმართავს.

ამონიოსის აზრით, უპირველესია განწვალებითი მეთოდი, მას მოსდევს განსაზღვრებითი. იმისთვის რომ განსაზღვრო, ჯერ უნდა დაყო. გამოჩენითი მეთოდი კი ემყარება როგორც განწვალებითს, ისე განსაზღვრებითს.

რაც შეეხება ანალიზს, ანალიზისთვის არცერთი წინა მეთოდი არ წარმოადგენს აუცილებლობას. ანალიზი უპირისპირდება დაყოფას. განწვალებითი ანუ

დაყოფა ნიშნავს მარტივიდან რთულისაკენ სვლას, ანუ ზოგადიდან კერძოსაკენ, ხოლო აღლევითი ანუ ანალიზი ნიშნავს რთულიდან მარტივისკენ, კერძოდან ზოგადისკენ სვლას.

„განწვალებითი ვიღრემე განვალს მარტივთაგან თანდასხმულთა მიმართ, ხოლო აღლევითი — თანდასხმულთაგან უმარტივესთა მიმართ“ 32,8.

თანდასხმული ტერმინით აღნიშნულია რთული, შედგენილი (составной).

აღლევითისაღლევას უპირისპირდება თანდადება. აღლევა გადმოსცემს დღევანდელ ანალიზს, ხოლო თანდადება — სინთეზს.

აღლევა, ამონიოსის მიხედვით, არის კერძობითიდან საყოველთაოს, რთულიდან მარტივის მიღება, ხოლო თანდადება — ზოგადიდან კერძობითის მიღება.

აღლევა (ანალიზი) და თანდადება (სინთეზი) ერთმანეთისგან სხვაობენ არა სუბიექტით, საგნით, არამედ მხოლოდ მიმართებით, ფუნქციით. „განეყოფვის აღლევაა თანდებასა ქუემდებარსა: აებრ საღმე არაჲათ, რამეთუ ვითარ-იგი აღსავალი უეპუელად არს შთასავალიცა, ეგრეთ აღლევაა უეპუელად არს თანდადებაცა. ხოლო სქესისაებრ განეყოფვის, რამეთუ ოდეს ზემოთ შთამოვიდოდის პირველთა დასაბამთაგან უქუანაჲსკნელთა მიმართ, თანდადება არს, ხოლო ოდეს უქუანაჲსკნელთაგან პირველთა დასაბამთა მიმართ აღვიდოდის, აღლევაჲა“ 32,21, ე. ი. ყოველი ანალიზის პროცესი თავისი შემადგენელი ელემენტებით იგივე სინთეზის პროცესია, ოღონდ შექცეული სახისა.

იმ ფაქტს, რომ პორფირი ანალიზს საერთოდ არ განიხილავს, ამონიოსი იმ გარემოებით ხსნის, რომ ანალიზი და სინთეზი სუბსტრატით, საგნით არ არიან განსხვავებული, არამედ მხოლოდ მიმართებით:

„ხოლო აღლევისაჲ ამისთჳ დააკლო თქუმაჲ ნუჲჲუე, რამეთუ იგივე არს თანდადებაჲ ქუემდებარითა, მხოლოდათა სქესითა ოდენ განყოფილისაჲ“ 33,6. ასე რომ, სინთეზის მეთოდისთვის უპირატესობის მინიჭების ფაქტს, რაც, სხვათა შორის, ყველა ალექსანდრიელი ფილოსოფოსისთვის დამახასიათებელი იყო, ამონიოს ერმისი გარკვეულ ახსნას უძებნის.

თ ა ვ ი VI

პორფირის „ხუთნი ჳმანი“ კართულ მწერლობაში

პორფირის (III ს.) „ხუთი კმა“, რომლის კომენტარსაც წარმოადგენს ამონიოს ერმისის პირველი „მოსაქსენებელი“, ძალზე პოპულარული იყო მთელ შუა საუკუნეებში. ამ შრომაში განმარტებულია არისტოტელეს ხუთი ძირითადი ლოგიკური ტერმინი: გვარი, სახე, ნიშანი, არსებითი ნიშანი, არაარსებითი ნიშანი. ამიტომაც ეწოდება ნაწარმოებს „ხუთნი კმანი“ ანუ ხუთი ტერმინი.

შრომას ადრევე გამოუჩნდნენ კომენტატორები. ადრევე ითარგმნა იგი სირიულად, ლათინურად, სომხურად, არაბულად.

გაერცელებული შეხედულების თანახმად, პორფირის „ხუთნი კმანი“ ქართულად თარგმნა ზურაბ შანშოვანმა მე-18 ს-ში. თარგმნა იგი სომხურიდან.

ეს შეხედულება ემყარება ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებს. პორფირის შრომა მრავალ ხელნაწერში დასტურდება. მათგან ძირითადია S 358 (1735 წ.) და Q 860 (1736—1738); S 358-ის 1r-ზე არის ზურაბ შანშოვანის ანდერძი, რომლის მიხედვით პორფირის შრომა მას უთარგმნია 1735 წ. „მივიწიე აღსრულებად შეუუანდლობისა პორფირისსა სომხურის ენითგან ქართულად თარგმნად ქნესა ჩლ ლ“.

Q 860 ხელნაწერს, რომელიც ზ. შანშოვანის მიერ ნათარგმნ თხზულებათა კრებულს წარმოადგენს, ახლავს ვახუშტი ბაგრატიონის ორი ანდერძ-მინაწერი (1r, 75v—76v). პირველი ანდერძის ცნობით, ზურაბ შანშოვანს 1736 წ. უთარგმნია პორფირის „ხუთნი კმანი“ (1r).

საკითხი თითქოს ნათელია და გარკვეული. არსებობს თარგმანი, მთარგმნელის ანდერძი, შესაბამისად არსებობს მათზე აგებული შეხედულება, მაგრამ როგორც ქვემოთ დაინახავთ, გავრცელებული შეხედულება „ხუთთა კმათას“ ზურაბ შანშოვანის მიერ სომხურიდან თარგმნის შესახებ რიგ პრინციპულ კორექტივებს საჭიროებს.

პორფირის თხზულების ფილოსოფიურ-ტექსტოლოგიურმა შესწავლამ საექვო გახადა შანშოვანის თარგმანის მხოლოდ სომხური დედნიდან მომდინარეობა. მართლაც, აღმოჩნდა, რომ შანშოვანის თარგმანი გარკვეულ კავშირშია ამონიოს ერმისის „მოსაქსენებელთან „ხუთთა კმათადმი“ პორფირი ფილოსოფოსისათა“.

ამონიოსის კომენტარების ქართული თარგმანის არსებობამ საფუძველი მისცა ს. გორგაძეს, გამოეთქვა ჰიპოთეზა, რომ პორფირის თხზულებაც, რომლის კომენტარებსაც წარმოადგენს ამონიოსის შრომა, ნათარგმნი იქნებოდა ქართულად მე-12 ს-ში. მკვლევრის განცხადებით, პორფირის შრომის ძველ თარგმანს ჩვენამდე დამოუკიდებელი სახით არ მოუღწევია, მოაღწია მხოლოდ მისმა ტექსტმა კიმენის სახით ამონიოსის კომენტარებში [11,9]. ძიებამ გამოაშკარავა, რომ ამონიოსის კომენტარებში დადასტურებული კიმენური ტექსტი პორფირის შრომისა გამოყენებულია ზურაბ შანშოვანის მიერ მე-18 ს-ში. სურათი ასეთია:

ამონიოსის თხზულება შედგება ვრცელი წინასიტყვაობისა და ძირითადი ტექსტისაგან. თითოეული თავის შიგნით ჭერ პორფირის განსამარტავი თეზისია. შემდეგ მას მოსდევს ამონიოსის კომენტარი.

ხელნაწერში ტექსტი დაწერილია გაბმით, მხოლოდ წინასიტყვაობის შემდეგ, კომენტარების დაწყებისას, დასტურდება ორ სვეტად ნაწერი ტექსტი. 114r-ზე მარცხენა სვეტში ჭერ პორფირის განსამარტავი თეზისია: „ნამდულ საჭირომსა, ხურისაორიე, შესამეცნებელად, თუ რაა ნათესავი“, რომელსაც ბუნებრივია, ამონიოსის განმარტება უნდა მოსდევდეს, მაგრამ აქ, მარჯვენა სვეტში, ხელნაწერის ხელით, იმავე მელნით იწყება სხვა ტექსტი: „ნამდულ საჭირომს ძლითთათჳს განმარტებამ ესე გულისხუმის-ყოფით იმეცნე, ოა მეძიებლო ცნობისაო“ და მოყვანილია პორფირის „ხუთთა კმათას“ შესავალი მთლიანად, 27,24 სქოლორ.

როგორც ჩანს, ქართველ მთარგმნელსა თუ გადამწერს ამონიოსის კომენტარების დაწყებისას საჭიროდ ჩაუთვლია მკითხველისთვის ეჩვენებინა, თუ რა ნაწარმოების კომენტარებასთან გვეკონდა საქმე და ამ მიზნით ხელნაწერის მარჯვენა სვეტში დამატებით მთლიანად მოუტანია პორფირის თხზულების, „ხუთთა კმათას“, წინასიტყვაობა, შესავალი.

წინასიტყვაობის ეს ტექსტი, როგორც ლექსიკით, ისე წინადადებათა წყობით განსხვავდება ანალოგიური შინაარსის იმ ტექსტისაგან, რომელიც კიმენის სახით, ე. ი. პორფირის განსამარტავი ფრაზების სახით არსებობს ამონიოსის ნაწარმოებში და რომელთა ამოკრეფა მოგვეცემდა პორფირის თხზულების შესავალს. ეს გარემოება საფუძველს გვაძლევს, ვაღიაროთ, რომ 114r-ზე ცალკე სვეტად მოტანილი წინასიტყვაობის ტექსტი სხვა პირის მიერ არის თარგმნილი, ხოლო კომენტარებში კიმენის სახით არსებული ტექსტი — სხვა პირის მიერ. ეს წინასიტყვაობა ფრაგმენტია პორფირის შრომის აღრეული ქართული თარგმანისა, რომელიც, როგორც ჩანს, ცნობილი იყო ამონიოსის კომენტარების მთარგმნელის დროისათვის, მაგრამ ამ ძველ ქართულ თარგმანს ჩვენამდე არ მოუღწევია. მოაღწია მხოლოდ ფრაგმენტმა — წინასიტყვაობამ — ამონიოსის კომენტარების წყალობით.

აი, სწორედ ეს წინასიტყვაობა, რომელიც მეორე სვეტად გვხვდება მე-13 ს. ხელნაწერში, სიტყვისიტყვით არის გამეორებული შანშოვანის ქართულ თარგმანში. ასევე გამეორებულია პორფირის თხზულების ის ადგილები, რომლებიც კიმენის სახით დასტურდება ამონიოსის ქართულ თარგმანში. სხვაობა ძველ ხელნაწერსა და შანშოვანის ტექსტს შორის უმნიშვნელოა.

შესადარებლად მოგვაქვს რამდენიმე ადგილი.

ამონიოსის შრომის ძველი თარგმანი

ზურაბ შანშოვანის ტექსტი, S 358

„ჰგავს ხოლო, არცა ნათესავისა, არცა სახისა მარტივად თქუმა... რამეთუ ნათესავად ითქუმის მქონებელთა ვიეთვანიმე ერთისა რაჲსმე მიმართ ვითამე“... 40, 31—41,10.

„ხოლო ჰგავს, უკუეთუ არცა ნათესავი და არცა სახე მარტივად ითქუმიან, რამეთუ ნათესავად ითქუმის და ვიეთთა ქონებითა რაჲთმე ერთისა რაჲსამე მიმართ...“

„ვითარ-იგი დანიშნული ირაკლიდთა ითქუმის ნათესავი... ერთისაგან სქესისა, ვიტყუ უკუე ირაკლისსა... გამოკუეთისაებრ სხუათა ნათესავთაგან... 41,21—42,5.

„ვითარ-იგი დანიშნული ირაკლიდთა ითქუმის ნათესავად ერთისაგან სქესისა, ვიტყუი უკუე ერაკლისაგან... გამოკუეთისაებრ სხუათა ნათესავთა წოდებულთა“.

„ხოლო ამისი ჰგავს კელთა შინა ყოფთა დანიშნულისა“ 42,20.

„ხოლო ჰგავს კელთა შინა ყოფთა დანიშნულისა“.

შანშოვანის თარგმანის მთელი რიგი ადგილების სრული იდენტურობა ძველ ქართულ თარგმანთან უეჭველს ხდის მის მიერ ძველი თარგმანის გამოყენებას: შანშოვანი პირდაპირ იღებს მზამზარეულ წინადადებებსა და ფრაზებს.

ს. გორგაძეს გამოთქმული აქვს შემდეგი მოსაზრება: ზურაბ შანშოვანის ენა ისეთია, რომ ჩანს, მას ამონიოსის თარგმანებით უსარგებლიაო. როგორც ირკვევა, ეს სარგებლობა უფრო შორს მიდის იმაზე, ვიდრე ეს შეიძლება ენაში გავლენის შედეგად გამოიხატოს.

ძნელა დაბეჭივებით მტკიცება იმისა, ზურაბ შანშოვანმა პორფირის ქართული ტექსტი ამოიღო ამონიოსის კომენტარებიდან, თუ დამოუკიდებლად არ-

სებული ქართული თარგმანიდან? ერთსაც და მეორესაც გააჩნია თავისი დედებითი და უარყოფითი არგუმენტები.

ჩვენი აზრით, უფრო მისაღები ჩანს ის თვალსაზრისი, რომ ზურაბ შანშოვანმა ამონიოსის კომენტარებით ისარგებლა და არა მთელი თარგმანის დამოუკიდებელი ტექსტით და აი, რატომ:

ჯერ ერთი, მას რომ მთელი ტექსტი ჰქონოდა ხელთ ძველი ქართული თარგმანისა, სომხური ღედნის თარგმნის საკითხი არც დადგებოდა. მისი და ვახუშტი ბატონიშვილის დაბეჭდვითი რეზიუმეებით კი პორფირის შრომა მას თარგმნის აქვს სომხურიდან. მეორეც, ტექსტს ეტყობა სომხური ღედნის გავლენა, მართალია, უმნიშვნელო, მაგრამ მიიწვ გავლენა. მაგ.: საკუთარი სახელი „ორესტე“ დასტურდება „იერეტოზ“ ფორმით, რაც სომხური *იერესთი*-ით არის გამოწვეული. ასევე, ამონიოსის კომენტარშია „ღია“, რაც ბერძნულ Δία-ს უდრის; ზურაბ შანშოვანის ტექსტში კი არის „არამაზდი“, რაც ანალოგიას სომხურ *Արամազդ*-თან პოულობს.

ამგვარი ტექსტობრივი მონაცემების გათვალისწინებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ზურაბ შანშოვანი ერთგვარ კომპილაციას ახდენს პორფირის ტექსტისას. იგი თხზულების გარკვეულ ნაწილს იღებს ამონიოსის კომენტარებიდან, ხოლო იმ ადგილებს, რომლებიც ამონიოსის კომენტარებში არაა, სომხური ღედნიდან თარგმნის.

ზურაბ შანშოვანის ტექსტის შემცველ ხელნაწერებს ერთგვარი შესწორებარედაქტირების კვალი ეტყობათ. ორი ძირითადი ხელნაწერიდან ერთი, S 358 (გადამწერი ზებედე) გაცილებით მეტ სიახლოვეს იჩენს ამონიოსის ქართულ თარგმანთან, ხოლო Q 860 (ზურაბ შანშოვანის მიერ თარგმნილ ნაწარმოებთა კრებული) სომხური ღედნისკენ იხრება.

S 358

შესავალი ზუსტად ისაა, რაც ბერძნულ-ქართულში (ამონიოსისა)

ერაკლითა — *Ερακλιθ*

სქესი — *σχημα*

გამოკუთვანა — *ἀποσφ*

Q 860

შესავალი სომხური ტექსტის შესატყვისია

ერაკლიანთა — *ერակლიანთა*

პურობა — *კალოპან*

გარდაცემა — *გაგათრობილან*

როგორც ჩანს, ასეთ რედაქციულ განსხვავებას და შესწორებებს გულისხმობს Q 860 ხელნაწერის შემკვეთ-გადამწერის, ვახუშტი ბატონიშვილის, ერთ-ერთი ანდერძის ცნობა: „პირველად მეფის ვახტანგის ნებითა და ბრძანებითა ამის მოსახსენებელსა შინა მოხსენებულს ზურაბს ეთარგმნა სომხურისაგან პორფირი ანტარხანს. შემდგომად მოსკოვს ქენებითა განვასწორებინე იგივე პორფირი“ [91,75].

ანდერძების ცნობით, ვახუშტი ბატონიშვილი ძალზე აქტიურად ეხმარებოდა ზურაბ შანშოვანს სომხურიდან თარგმნის საქმეში. იგი დამკვეთიც არის, ქართული ტექსტის განმმარტებელი, გამმართველი და მწერალიც. ზურაბ შანშოვანს, როგორც არისტოტელეს „კატეგორიებზე“ დართული ანდერძიდან ვიგებთ, სუსტად სცოდნია ქართული ენა. „არ ვიყავ ფრიად მოადგილე ქართველთა ენისა“ — აცხადებს იგი. თარგმნისას იგი მარტო არ ყოფილა. მას შემწეობა და დახმარებას უწევდა ვახუშტი ბაგრატიონი „წერითა და განმარტებითა“.

„შანშოვანი შენიშნავს, რომ ეს წიგნი აღვასრულეო „არა მარტივად თავით ჩემითა, არამედ ნება მოდგმითა ორთავე“.

ვახუშტი ბაგრატიონიც აღნიშნავს თავის მონაწილეობას ტექსტების თარგმნაში. „ვათარგმნინე, ხოლო ვით იგი მეტყოდა, მე ვსწერდი. ვეწეოდი მცირედრე ქართულისა ენითა“ — თავმდაბლად შენიშნავს სწავლული ბატონიშვილი თავის წვლილზე, ხოლო ანდერძის ბოლოს შენდობას გამოითხოვს თავისი და მთარგმნელის მისამართით: „შენდობით მოვეხისენეთ მშრომელთა ამის ორთა, რამეთუ დავშუერ, ვითარცა ტრფიალ ვარ ესრეთთა და სხვათაცა“ [91,76r].

ანდერძიდან შეღავნდება ვახუშტი ბაგრატიონის დიდი გატაცება ფილოსოფიურ-ლოგიკური თხზულებებით. ბატონიშვილი დაუღალავი ენთუზიაზმით ეკიდებოდა ფილოსოფიურ წიგნთა გავრცელებას ქართველთა შორის. ამ მიზნით მას თვითონ შეუჩრჩევია ზურაბ შანშოვანისთვის სათარგმნი მასალა. იმდენად ღრმა ყოფილა ვახუშტი ბატონიშვილის გატაცება, რომ იგი ცდილობდა ყოველი თხზულება, რაგინდ ნაკლები არ ყოფილიყო, დარჩენილიყო ქართულ მწერლობაში. ასე, ზურაბ შანშოვანს გრამატიკის ქართული თარგმანი დასრულებულად არ ჩაუთვლია სინტაქსის უქონლობის გამო, მაგრამ ვახუშტი ბატონიშვილის მაინც შეუტანია იგი კრებულში იმ მოსაზრებით, რომ „უქუეთუ უსრულ არს, გარნა გზა რამე იხილვების მისგან“ [91,75v].

ცხადია, ასეთი განწყობილებების მქონე მეცნიერ ბატონიშვილს უეჭველად ეცოდინებოდა პორფირის თხზულება დამოუკიდებელი თარგმანის სახით ან ამონოსის კომენტარებით. ეჭვს გარეშეა, რომ ამ წყაროთი სარგებლობისას ზურაბ შანშოვანს იგი გაუშართავდა ხელს.

ასეთია ზურაბ შანშოვანის მიერ „ხუთთა კმათას“ თარგმნის ფაქტობრივი მდგომარეობა.

როგორი გამოხმაურება ჰპოვა ზურაბ შანშოვანის თარგმანმა მომდევნო ხანის მწერლობაში? ცნობილია, რომ მე-18 ს. შუა წლებში შექმნილი პოლიტიკური და აქედან გამომდინარე ლიტერატურული ვითარების გამო ქართლ-კახეთის საერო თუ კულტურული ცხოვრების მესვეურებმა ახლად შექმნილ სემინარიებმა თუ სკოლებში გააცხოველეს ფილოსოფიური თხზულებების შესწავლა. ლიტერატურა ითარგმნებოდა რუსულიდან, ლათინურიდან, ფრანგულიდან და საკმაოდ ინტენსიურად სომხურიდან [39]. ანტონ კათალიკოსი, იოანე ბატონიშვილი და სხვა მწიგნობრები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ ლოგიკას. აქედან გასაგებია მათი ინტერესი არისტოტელესა და მის კომენტატორთა შრომებისადმი. დიდი პატივით სარგებლობდა პორფირის „ხუთნი ჯმანი“. ამ პერიოდის მწერლები ხშირად მიმართავენ პორფირის თხზულებას, ამუშავენ, განმარტავენ იმ მიზნით, რომ „ყრმათათუს გასაგები“ გახდონ.

„ხუთნი ჯმანი“ საგანგებოდ დამუშავებულია ანტონ I-ის მიერ. ანტონის ორჯერ მოუშართავს ამ ნაწარმოებისათვის და თავის ორ სხვადასხვა შრომაში „განუქარგვინა“. პირველად, 1752 წ. დაწერილ თხზულებაში, რომელიც „სპეკალის“ სახელწოდებითაა ცნობილი [88], ხოლო მეორედ, 1757 წ. დაწერილ „კატეგორია სიმეტნეში“ [76]. „სპეკალში“ პორფირის შრომა სრულად არის წარმოდგენილი, ხოლო „კატეგორია სიმეტნეში“ მხოლოდ მე-2 ნაწილია შრომისა¹. ამ ნაწილში „კატეგორია სიმეტნე“ მიყვება „სპეკალს“, იმეორებს მთელ

¹ პორფირის თხზულება „ხუთნი ჯმანი“ ორი ნაწილისაგან შედგება: ა) „ხუთი მარტივი ჯმა“, ბ) „ზიარება ხუთთა კმათაჲ“.

ფრაზებს, მაგრამ ეტყობა, რომ „სიმეტნის“ ტექსტი რომელიღაც სომხური დედნის მიხედვით არის „განკარგული“.

„ხუთთა კმათას“ კომენტარებას ეხვედებით დავით ბაგრატიონის შრომაში „კატელორია შემოკლებული“ [79]. დავით ბაგრატიონის დამუშავებული აქვს პორფირის ნაწარმოების მხოლოდ პირველი ნაწილი.

იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ პორფირის თხზულება მთლიანად დასტურდება.

სხვა ქართველი მოღვაწენიც ხშირად მიმართავენ პორფირის თხზულებს ციტირებას.

ისმის კითხვა, რა წყაროთი იცნობს ამ დროის მწერლობა პორფირის შრომას?

მე-18 ს. შუა წლებისთვის პორფირი შეეძლოთ სცოდნოდათ შემდეგი გზებით:

- ა) ამონიოსის კომენტარების პეტრიწონული თარგმანით;
- ბ) ზურაბ შანშოვანის თარგმანით;
- გ) პორფირის შრომის დამოუკიდებლად არსებული ძველი ქართული თარგმანით.

დ) 1752 წ. ამათ მიემატა სომხურიდან ნათარგმნი სიმეონ ჭულაეცის „დილაექტიკა“, რომლის ერთ ნაწილს წარმოადგენს პორფირის შრომის კომენტარი.

როგორც უკვე გარკვეულია, სიმეონ ჭულაეცის „დილაექტიკა“ წარმოადგენს წყაროს დავით ბაგრატიონისა და იოანე ბატონიშვილისთვის. კერძოდ, მათ ჭულაეცის ამ წიგნიდან აიღეს პორფირის თხზულების მხოლოდ პირველი ნაწილი: „თეს ხუთთა მარტივთა კმათა“ [13,55], მხოლოდ პირველი, რადგან მე-2 ნაწილი, სადაც 5 ტერმინის მსგავსება-განსაზღვრებაზეა საუბარი, ჭულაეცის წიგნში საერთოდ არაა.

რაც შეეხება ანტონ კათალიკოსის „ხუთთა კმათას“, მის წყაროდ სიმეონ ჭულაეცის „დილაექტიკას“ ვერ დავუშვებთ და აი, რატომ:

ანტონის თხზულება „სპეკალი“, რომელშიც მოცემულია პორფირის შრომის კომენტარები, დაწერილია 1752 წ. წიგნი შედგება 3 ნაწილისაგან:

1. მარტივმიღება, 2. თხზულება, 3. სილოგიზმი.

ხელნაწერს ახლავს ავტორის ანდერძი, რომლის ცნობით, მე-2 და მე-3 ნაწილები არ ყოფილა თარგმნილი ქართულ ენაზე და ანტონს უთარგმნიებია. გამოდის, რომ პირველი ნაწილი თარგმნილი ყოფილა იმ დროისთვის, ე. ი. ჭულაეცის „დილაექტიკის“ თარგმნამდე. ამ პირველ ნაწილში შედის პორფირის „ხუთნი კმანი“ მთლიანად. მაშასადამე, პორფირის შრომა თარგმნილია 1752 წლამდე.

ტექსტებზე დაკვირვებამ გამოავლინა ანტონის წყარო ამ ნაწილში. ესაა „კავშირთა“ იოანე პეტრიწის კომენტარები და დამასკელის „დილაექტიკის“ ძველი ქართული თარგმანი ეფრემ მცირისა [88,36—57, 58—146].

რაც შეეხება „ხუთთა კმათას“, „სპეკალის“ ტექსტი სხვაობს ყველა ადრინდელ ტექსტისაგან. ანტონი არავითარ წყაროს არ ასახელებს: არც ზურაბ შანშოვანს, არც ამონიოსს. უფრო გვიანდელ ნაწარმოებში კი, როგორცაა „კატეგორია სიმეტნე“, იგი ხშირად ახსენებს ამონიოსს და მიმართავს მის ციტირებას.

საყურადღებოა, რომ ამ პერიოდის არცერთი მწერალი არ ახსენებს ზურაბ შანშოვანს. არც ჩანს კვალი იმისა, რომ მის შრომას იცნობენ. თავისთა-

ვად იბადება კითხვა: მე-18 ს. მწერალთა დუმილი ზურაბ შანშოვანის გარშემო ხომ არ აიხსნება იმით, რომ პორფირის „ხუთთა კმათას“ ტექსტი მათ კლასიკურ ხანაში თარგმნილად მიაჩნდათ, ხოლო ზურაბ შანშოვანი უფრო კომენტატორ-კომპილატორად ესახებოდათ, ვიდრე მთარგმნელად?

წერილობით წყაროებში არის რამდენიმე ცნობა, რომლებიც ამის სასარგებლოდ მეტყველებენ:

ა) ერთ-ერთი მათგანია სულხან-საბა ორბელიანის განცხადება „ქართული ლექსიკონის“ წინასიტყვაობაში. სულხან-საბა ჩამოთვლის წყაროებს, რომლებიც მან ისარგებლა და მათ შორის ასახელებს: „პორფირის კათილორიას“ [45,32]. ტექსტში იგი ხშირად იმოწმებს ამ თხზულებას, მას ხან ამონიოსს უწოდებს, ხან „სხვა კათილორიას“, მაშასადამე, საბა პორფირის შრომაში გულისხმობს ამონიოსის კომენტარებში მოცემულ კიმენურ ტექსტს.

ბ) საყურადღებოა თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობა. მის მიერ შედგენილ ნათარგმნ ძეგლთა „კატალოგი“ 126-ე ნომრად იგულისხმება პორფირის ნაწარმოები, რომელიც მისივე სიტყვებით, „ჩვენთა ძეგლთა ქართველთა მთარგმნელთაგან ელინურისა ენისაგან არის თარგმნილი“. როგორც ჩანს, თეიმურაზისათვისაც უცნობია ზურაბ შანშოვანის სახელი.

დაბოლოს, ანტონ I-ის ფილოსოფიური თხზულებების შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ იგი პორფირის შრომას იცნობს ან რომელიმე სხვა თარგმანის გზით. ან ამონიოსის კომენტარებით და არა ზურაბ შანშოვანის თარგმანით.

წერილობით წყაროებში ზურაბ შანშოვანზე რაიმე გამოხმაურების ძიებისას უზურადღებია მიიქცია ვინმე ზაქარია სომეხთა მოძღვარმა.

ზაქარია მოძღვარი რამდენჯერმე იხსენიება იმ დროის ქართულ მწერლობაში.

ანტონ I „სპეკალში“ აცხადებს: „არარაა ჩემისაებრ მისიბრძნიეს..., არამედ რაადვეცა ვისმინე ლათინთაგან ფილოსოფოსთა და ზაქარიას ვისმე სომეხთა მოძღვრისა“ [88,317].

ისევ ანტონი: „დიაჩოქმან რომელმანმე ტფილისელმან, სახელით ზედწოდებულმან ზაქარია, აღზარდა გაიოზ რექტორი შვილად“ [22,360].

იოანე ბატონიშვილი: „ზაქარია ვართაპეტმა მადინაშვილმა განუმარტა კავშირი, ხუთი კმა და საზღვართა წიგნი“ [15,204].

ანტონ ცაგარელ-ჰყონდიდელიც ახსენებს სხოლაპეტ ფილიპეს მოწაფეს ზაქარიას [77, ანდერძი].

სომეხთა მოძღვარმა ზაქარიამ დაგვიანტერესა იმდენად, რამდენადაც ანტონ I მის სახელს უკავშირებს იმ გრამატიკის თარგმნას, რომელსაც, ხელნაწერთა ანდერძების ცნობით, ზურაბ შანშოვანს მიაწერს ვახუშტი ბატონიშვილი. ანტონი წერს, რომ ეახტანგ მეფეს ენებაო ამ წიგნის პოვნა, შემდეგ საბას, ბოლოს მეფის ძეს ვახუშტის, „გარანა ვერ მპოვებელთა და ფრიად მეუღონოეთა ოდესმე მოქალაქეთაგან ტფილისელი, რომელსა აწვართაპეტ ზაქარიად წოდებულ ჰყოფენ და ევედრებოდეს მას და ევედრებოთა მათით შეეხო ღრამატიკისა გარდამოცემად, ხოლო ოდესმე ეამთა მეფისა არჩილისათა გარდამოცათ რამე და წოდებულ ეყოთ ღრამატიკა, რომელი არა არს ღრამატიკა, მაგრა რადცა-იგი ითნეს მეძიებელთა, არა მიმთხუეულ იქმნეს“. [89,6].

ზუსტად ანალოგიურ ამბავს მოგვითხრობს ვახუშტის ანდერძი. განსხვავება მხოლოდ სახელებშია. ანტონი გრამატიკოს შექმნას მიაწერს ზაქარია ვარდაპეტს, ხოლო ვახუშტი ბატონიშვილი — ზურაბ შანშოვანს. ეს დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს. ის პიროვნება, რომელმაც ვახტანგ VI-ის ბრძანებით გრამატიკოს შექმნას მოკიდა ხელი და ზურაბ შანშოვანად იყო ცნობილი, ანტონის დროს ხომ არ იყო ცნობილი, როგორც ზაქარია ვარდაპეტი? ეს გამორიცხული არაა, თუ ზურაბ შანშოვანს საერო სახელად გავიკებთ, ხოლო ზაქარია ვარდაპეტს მისი სასულიერო წოდებაში გადასვლის მაუწყებლად. ანტონის სიტყვები: აწ ვარდაპეტ ზაქარიად წოდებულ ჰყოფენ— ამის დადასტურება ჩანს.

თავის დროზე ალ. ცავარელმა გამოთქვა აზრი ზურაბ შანშოვანის ზაქარია ვარდაპეტთან გაიგივების შესახებ. მკვლევარმა მათი გაიგივება უსაფუძვლოდ მიიჩნია, რადგან ჩათვალა, რომ შანშოვანი და ზაქარია ვარდაპეტი სხვადასხვა დროის მოღვაწენი არიან: ზაქარიას გრამატიკა უთარგმნიაო არჩილის მეფობის ხანაში (1647—1712), შანშოვანის გრამატიკა კი თარგმნილია 1737 წ., როცა არჩილი ცოცხალი არ იყო [32, XIII—XVI].

მკვლევრის ნოსაზრება სადავოდ მდგვანია. საქმე ისაა, რომ მის მიერ ნთლად ზუსტად არ არის გაგებულნი ანტონის ზემომოყვანილი ცნობა.

ანტონი არ ლაპარაკობს იმაზე, რომ ზაქარიამ არჩილის მეფობის ხანაში თარგმნა გრამატიკა. ანტონი, როგორც თავის თანადროულ ფაქტს, აღნიშნავს იმას, რომ ზაქარია „შეეხო ღრამატიკისა გარდამოცემად“ მისი თანამედროვე აღმანიანების თხოვნით. ხოლო არჩილის მეფობის ეპოს ვილაცებებს გადმოუციათ სხვა რაღაც გრამატიკა, რომელ „არა არს ღრამატიკა“. ამ ფაქტზე თურმეობით ლაპარაკობს ანტონი.

რასაკვირველია, მხოლოდ ანტონის ცნობაზე დამყარებით გარკვეული დასკვნების გამოტანა ნადრევეია და ეს საკითხი შემდგომ შესწავლას მოითხოვს. ყოველ შემთხვევაში, ზურაბ შანშოვანის გარშემო დუმილი ან ისე უნდა აეხსნათ, როგორც ზემოთ აღენიშნეთ (პორფირის „ხუთნი კმანი“ ძველი დროის თარგმანად ითვლებოდა), ან ისე, რომ ზურაბ შანშოვანი მე-18 ს. შუა წლებისთვის სხვა სახელით არის ცნობილი.

„ხუთთა კმათას“ თარგმანის ისტორიის შესწავლამ ნათელი გახადა იმის აუცილებლობაც, რომ ზოგი ნათარგმნი ძეგლის შესახებ გამოთქმული დასკვნები ხელახლა უნდა იქნას გადასინჯული და დაზუსტებული, წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოებრივი აზრი შეიძლება ისეთი შეცდომების წინაშე აღმოჩნდეს, როგორც ზოგიერთი დასკვნითი დებულებების სახით მოცემულია პ. მურადიანის წიგნში «Армянс-Грузинские литературные отношения в XVIII в.» Ереван, 1966 დასკვნები თითქოს ლიტერატურულ წყაროთა მონაცემებს ემყარება, მაგრამ მკვლევარი მათ ყოველგვარი კრიტიკული ანალიზის, შეღარება-შემოწმების გარეშე იყენებს. როგორც ჩანს, წიგნის ავტორი ხელნაწერებამდე არ მისულა და სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემულ ცნობებს იმეორებს მათი განზოგადებისა და ანალიზის გარეშე. აღნიშნულ წიგნში არის ნათელი რიგი გაუგებრობებისა. პ. მურადიანი სომხურიდან თარგმნილ ერთსა და იმავე ნაწარმოებს რამდენიმე სხვადასხვა ნაწარმოებად აცხადებს. ანდა თვლის, რომ ერთი და იგივე ძეგლი რამდენჯერმე არის ნათარგმნი, რაც სინამდვილეს არ შეეფერება.

არას ვიტყვივით სხვა თხზულებებზე, მათ შესახებ იხ. გ. დედაბრიშვილის წერილი [107]. გამოვეყოფთ მხოლოდ პორფირის თხზულებას. პ. მურადიანის აზრით, „ხუთნი ჯმანი“ ორჯერ არის თარგმნილი სომხურიდან ქართულად, პირველად, ზურაბ შანშოვანის მიერ, მეორედ — ფილიპე ყაითმაზაშვილისა და ანტონ I-ის მიერ.

მკვლევარი მე-2 თარგმანის არსებობის შესახებ ცნობას იღებს კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, სადაც სათაურის დასახელების გარეშე ციტირებულია ანტონ I-ის ერთ-ერთი თხზულების („რიტორიკის“) წინასიტყვაობა.

„უწინარეს იმპერიალ როსიისა წარსვლისა ჩემისა გარდამოღება ვყავ ფილიპესთანა ხუციას სომეხთაგანისა „ღიალექტიკისა“ და „ათნი კატილორიანი“ არისტოტელეზნი სხუთა და სხუთა მაგალითებითა განვკარგენ და კუალად „ხუთნი ჯმანი“.. პორფირის ფინიკიელისანი რომელნიმე მცირეთა შინა ნაკვსთა შევაწყვიდენ და რომელნიმე განვაჯრცენ“ [78,51]*.

ამ ციტატიდან მცდარი აზრია გამოტანილი, თითქოს ანტონს ფილიპესთან ერთად ეთარგმნოს სამი სხვადასხვა თხზულება: ცალკე „ღიალექტიკა“ (იგულისხმება სიმეონ ჭულაეცის), ცალკე არისტოტელეს „ათნი კატილორიანი“ და ცალკე პორფირის „ხუთნი ჯმანი“. სინამდვილეში კი აქ ერთ ნაწარმოებთან გვაქვს საქმე. ეს არის სიმეონ ჭულაეცის „ღიალექტიკა“, რომლის პირველ ნაწილს წარმოადგენს სწორედ დასახელებული შრომები: არისტოტელეს „კატეგორიები“ და პორფირის „ხუთნი ჯმანი“. ანტონ I-მა და ფილიპემ თარგმნეს „ღიალექტიკის“ მე-2 და მე-3 ნაწილები („შეთხზუაობა“ და „სილოგიზმო“), ხოლო პირველი ნაწილი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, უკვე თარგმნილად ეგულებოდათ მათ.

პ. მურადიანს არ გაუთვალისწინებია და ზემოაღნიშნულ ციტატასთან არ შეუწყამებია ანტონ I-ის სხვა თხზულებათა ცნობები, რომლებიც დაბეჯითებით იმეორებენ, რომ არისტოტელეს „კატეგორიები“ და პორფირის შრომა აღრვევ იყო თარგმნილი. მაგ.: „ღვთისმეტყველების“ წინასიტყვაობაში ის აღნიშნავს, რომ „აქუნდა ვიდრემე ქართველთა თარგმანებულნი... კატილორია არისტოტელეზნი“ და ისეთი დასკვნაც კი გამოაქვს, რომ „არ საკრველ არს და საღიდებელ ჭულაეცისა იგი განდიღებული ვიეთგანმე სიბრძნისმოყუარებაჲ“ [80].

მეორე წყარო, რომელშიც იგივე აზრია გამოთქმული, არის ზემოაღნიშნული „სპეკალი“, რომლის ანდერჰ-მინაწერი იუწყება, რომ „ორნი ესე ნაწილნი (2 და 3) არა იყუნეს დროთა ჩვენთა ქართველთა ზედა კმათა და სხვათა ენათაგან გარდამოღებაჲ ვაქმნიე ვისმე“ [88,190], რომ პირველი ნაწილი („კატეგორიები“ და „ხუთნი ჯმანი“) უკვე თარგმნილად არის მიჩნეული.

მესამე ცნობა, რომელიც სომხურიდან მხოლოდ ორე ნაწილის გადმოღებას აღასტურებს, არის ანტონის გრაამატიკის წინასიტყვაობა: „ჯერეთ ორთა ნაწილთა არისტოტელის „შესმენათასა“ ვყავთ სომეხთა ენისაგან გადმოთარგმნაჲ, ესე იგი შეთხზუაობითისამცა, შესიტყუობისა, რომელ არს სილოგიზმო“ [89,5].

ეს ორი ნაწილი ისევე და ისევე სიმეონ ჭულაეცის „ღიალექტიკის“ ბოლო ორი ნაწილის თარგმნას გულისხმობს და არა არისტოტელეს „კატეგორიებს“, რო-

* სხვათა შორის, ამ ციტატის წყარო შეცდომით არის პ. მურადიანის წიგნში დასახელებული: S 250 ხელნაწერი, რომელსაც იგი მიუთითებს, სულ სხვა თხზულებას შეიცავს.

გორც ამას აცხადებს პ. მურადიანი. მკვლევრისთვის უცნობი არ უნდა იყოს, რომ არისტოტელეს „კატეგორიები“ არავითარი ორი ნაწილისაგან არ შედგება.

მსგავსი უზუსტობანი არა ერთი და ორი. ცხადია, აუცილებელია ამ უზუსტობათა დაწმენდა და რეალური სურათის გამოვლენა ნათარგმნი ძეგლების ტექსტოლოგიური შესწავლის გზით.

საბოლოოდ დავასკენით: გავრცელებული აზრი, რომ პორფირი ფინიკიელის „ხუთნი კმანი“ სომხურიდან არის თარგმნილი ზურაბ შანშოვანის მიერ, უნდა დაზუსტდეს იმ თვალსაზრისით, რომ ეს ნაწარმოები მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება ჩაითვალოს სომხურიდან თარგმნილად. ზურაბ შანშოვანის სახელით ცნობილი ტექსტი კომპილაციური შრომაა, რომლის წყაროდ გამოყენებულია ძველი ქართული თარგმანი დასახელებული შრომისა. ამ უკანასკნელის ნაკული ადგილები შეესებოდა სომხური დედნით.

თ ა ვ ი VII

ამონიოს ერმისისა და დავით უძლეველის მოძღვრებათა მიმართებისათვის

ამონიოს ერმისის აღნიშნულ თხზულებათა შესწავლის შედეგად ნათლად გამოვლინდა ის მიმართება, რომელიც მასთან აახლოვებს მეორე ალექსანდრიელი მოღვაწის, ცნობილი სომეხი ფილოსოფოსის, დავით უძლეველის, მოძღვრებას.

(არა ერთი ავტორის მიერ და არა ერთგზის არის გამოთქმული აზრი, მხედველობაში გვაქვს დავით უძლეველის შესახებ არსებული ლიტერატურა), რომ დავით უძლეველის მოძღვრება დიდ სიახლოვეს იჩენს ამონიოს ერმისის მოძღვრებასთან; მეტიც, ეს სიახლოვე ზოგჯერ ტექსტობრივ პარალელებშიც ვლინდება. მკვლევრები მიუთითებენ, რომ დავით უძლეველისა და სხვა ალექსანდრიელ ფილოსოფოსთა შეხედულებებში ბევრი რამ არის საერთო და შეიძლება მტკიცება იმისა, რომ დავითის ლიტერატურულ და იდეურ წყაროს წარმოადგენენ უფროსი თაობის ალექსანდრიელ მოღვაწეთა თხზულებები [93, 283; 137, 70; 138, 61; 149, 60].)

მკვლევართა ეს განცხადებანი ძალზე საყურადღებოა და ანგარიშგასაწევი, მაგრამ მიუხედავად იმ პასუხისმგებლობისა, რითაც ასეთი განცხადებანი ხასიათდებიან, თვალსაზრისი დავით უძლეველისა და სხვა ალექსანდრიელთა მოძღვრების ურთიერთშედარების შესახებ მაინც ზოგადი ხასიათისაა, ვინაიდან მათ არ უღვეთ საფუძვლად ზუსტი კონკრეტულ-ფაქტობრივი მასალის ანალიზი. ერთი-ორი გამოჩაყლისი გარდა, კონკრეტულ მასალაზე არ ყოფილა მითითებული ის მსგავსება-იდენტურობა, რაც დავით უძლეველსა და სხვა ალექსანდრიელებს შორის დასტურდება. ამას გარდა, არ არის გარკვეული საკითხი იმის შესახებ, რომ რომელიმე ალექსანდრიელი ავტორის აზროვნებაში ამოტივტივებული პრობლემა წარმოადგენს ამ ავტორის სპეციფიკას, თუ იგი საერთოა და ტიპოლოგიური ამ სკოლის წარმომადგენლებისათვის.

ამდენად, დავით უძლეველის მოძღვრების ზოგი პრობლემის კვალიფიკაცია, რაც სამეცნიერო ლიტერატურაშია გამოთქმული, ცალმხრივი ხასიათი

აქვს. რეალური ვითარება კი მოითხოვს როგორც კონკრეტული, ისე იმ საერთო ტენდენციების წარმოჩენას, რითაც ამ სკოლის წარმომადგენლები ერთმანეთს ტიპოლოგიურად უახლოვდებიან. ამ საკითხის გადაჭრას კი წინ უნდა უძღოდეს ისტორიულ-ფილოლოგიური და ტექსტოლოგიური ძიება. უპირველესად სხვადასხვა მონაცემებთან ერთად გასათვალისწინებელია შემდეგი:

1) ალექსანდრიულ ფილოსოფოსთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ქრონოლოგიური მონაცემები;

2) ხელნაწერთა მონაცემები;

3) ტექსტოლოგიური ანალიზი.

სანამ უშუალოდ ამ საკითხებს შევეხებოდეთ, უნდა აღინიშნოს ალექსანდრიული სკოლის სამწერლობო ტრადიციაში ასახული ერთი საყურადღებო ფაქტი: ცნობილია, რომ ალექსანდრიულ ფილოსოფოსთა საქმიანობას, კერძოდ, მათ მიერ ანტიკურ მოაზროვნეთა შრომების კომენტირებას ურთიერთგავლენისა და სესხების ხასიათი ჰქონდა. ელინისტურ საუკუნეებში განმტკიცებული ტრადიციის მიხედვით ალექსანდრიულ სკოლაშიც იყო ფეხმოკიდებული მოძღვრების ზეპირგადაცემის ჩვევა. მოწაფეები უსმენდნენ მასწავლებელთა ლექციებს, ამუშავებდნენ და შემდგომ თაობებს გადასცემდნენ. ეს გარემოება თავს იჩენს ამონიოს ერმისისა და დავით უძლევლის მემკვიდრეობის შესწავლის დროსაც. როგორც ერთს, ისე მეორეს ფილოსოფიური მოძღვრება არ ყოფილა წერილობით ფიქსირებული თვით ავტორთა მიერ. მათ შრომებს სათაურში აქვთ Ἀπὸ φαυῖ; Ἄπὸ φαυῖ; Ἀπὸ φαυῖ ὁν μαχρῶν ὁν Ἐρμῆου [153,1], ან Ἄπὸ φαυῖ; Δαῖ; [171, 1]. Ἄπὸ φαυῖ; მიუთითებს, რომ ესა თუ ის შრომა გადმოცემულია სხვისი ნაამბობით, სხვისი სიტყვებით [206, 191—222].

მართლაც, გადმოცემის მიხედვით, ამონიოს ერმისი არ წერდა თავის ლექციებს: მისი მოძღვრება ჩაწერილ იქნა მისივე მოწაფეების მიერ. Ἄπὸ φαυῖ; Δαῖ; ასეთსავე გვიან ჩაწერაზე მიუთითებს.

ამონიოსისა და დავით უძლევლის შრომების გამოცემლის, ა. ბუსეს, შენიშვნით, არც ამონიოსის, არც დავით უძლევლის შრომები ავტორების ხელით არ არის დაწერილი. ეს შრომები „მათი მოწაფეების კალამს იყო მიწოდებული“ [171, V].

სხვათა შორის, უნდა გავჩხენოთ, რომ კლასიკური ბერძნული ლიტერატურა ხშირად დაწერილი კი არაა, არამედ ჩაწერილია სხვების მიერ. მხოლოდ ელინისტური პერიოდიდან იწყება წერის, წიგნის კულტი, მაგრამ ზეპირსაუბრის, ხმის, ბგერების სიყვარული დიდხანს გაჰყვა ამა თუ იმ მოღვაწეს. პლოტინი, მაგალითად, გულგრილი იყო საკუთარი შრომების ჩაწერისადმი [92, 6—29]. თვითონ დავით უძლეველიც თავის „შესავალში“ პითაგორაზე შენიშნავს, რომ მან არ ინდომა დაწერა რაიმე ნაწარმოები, რადგან უნდოდა თავისი მოძღვრების დატოვება სულიერ არსებობათაღვის და არა უსულოთათვის. უსულოს იგი უწოდებდა წიგნებს, ხოლო სულიერს — მოწაფეებს [171, 27].

როგორც ჩანს, ალექსანდრიულ სკოლაშიც ეს ტრადიცია იყო ფეხმოკიდებული. ფილოსოფოს-კომენტატორები მასწავლებელთა და მსმენელთა როლში ერთმანეთის იღებენ ეცნობოდნენ, ეზიარებოდნენ, თავისებურად ამუშავებდნენ და სხვებს გადასცემდნენ. ასეთ ვითარებაში, ცხადია, თავს იჩენდა საერ-

თო, საზიარო პრობლემატიკა, რომელიც სკოლის სასწავლო-სამეცადინო პროგრამითაც იყო გაპირობებული.

ე. გარჯივობა უცილობლად გასათვალისწინებელია ამა თუ იმ ავტორის ორიგინალიზაციის მტკიცებისას. ამდენად სრულიად სარწმუნო ჩანს ცნობილი მეცნიერის, პ. მანანდიანის, სიტყვები, რომ აზრობრივი მსგავსება სრულებითაც არ იწვევს საშუალებას ამა თუ იმ ფრაგმენტის უშუალო წყაროს დადგენისა, იგი მხოლოდ მიუთითებს მათ მიკუთვნებას ამონიოს-ოლიმპიოდორეს ჯგუფთან [149,60]. საყურადღებოა ამონიოს-ოლიმპიოდორეს ჯგუფის აღნიშვნა, რაც ქრონოლოგიით ჩანს გაპირობებული.

საინტერესო ლიტერატურაში მიღებული აზრის თანახმად, ამონიოს ერმისი ითვლება ალექსანდრიელთა ყველაზე უხუცეს წარმომადგენლად, ალექსანდრიელი სკოლის მეთაურად (V—VI სს.). ამ სკოლაში ამონიოსის ლექციების მსმენელები და ამდენად მისი მოწაფეები იყვნენ ასკლეპიოსი, იოანე ფილოზონი, სიმპლიციუსი, ოლიმპიოდორე [193; 35, 285—296]. ცნობილია, რომ მათი მომდევნო თაობა იყო: ელიასი, დავით უძლეველი, სტეფანე ალექსანდრიელი, რომელნიც ამონიოსის ლიტერატურულ გავლენას განიცდიდნენ [195:182].

ბუნებრივია, რომ ამონიოს ერმისის, როგორც სკოლის დამაარსებლის, მოძღვრებაზე იქნებოდნენ დამოკიდებული მისი მომდევნო თაობები, მათ შორის. რა თქმა უნდა, დავით უძლეველიც.

დავით უძლეველის დამოკიდებულება ამონიოსის მოძღვრებაზე სამეცნიერო ლიტერატურაში დამაჯერებლად არის ნაჩვენები სხვა ნაწარმოების, კერძოდ, არისტოტელეს „ანალიტიკის“ მაგალითზე. „ანალიტიკის“ კომენტარების სომხური ტექსტებისა და მისი რუსული თარგმანის გამოცემაში ნათქვამია:

„ანალიტიკის“ განმარტებებში გამოყენებულია დავითის უხუცესი თაობის შრომები, მისი მასწავლებლების მოძღვრის ამონიოსისა, შემდეგ უფროსი თაობისა, მისი უშუალო მასწავლებლების — ოლიმპიოდორესა და ევტოქის — შრომები, ხოლო შემდეგ საშუალო თაობისა. ეს ტექსტობრივი შეხვედრები დამაჯერებლად მეტყველებენ, რომ დავითი ქრონოლოგიურად მისდევს ზემოხსენებულ ფილოსოფოსებს, რომ... მას საშუალება ჰქონდა ესარგებლა თავისი წინამორბედების ნაშრომებით“ [146,28].

ასევე სრულიად ბუნებრივად გამოიყურება იმავე ნაშრომში გამოთქმული სხვა თვალსაზრისიც, რომ არათუ დაუჯერებელია, არამედ საერთოდ უარსაყოფა აზრი, თითქოს უფროსი თაობის კომენტატორს ოლიმპიოდორეს ესარგებლოს თავისი მოწაფეების, დავითისა და ალექსანდრეს, შრომებით, პირიქით, სრულიად კანონზომიერი ჩანს ის, რომ დავითს უნდა ესარგებლა თავისი მასწავლებლების შემკვიდრებით [146,27].

ლოგიკური დასკვნაა. საკითხისადმი ასეთივე მიდგომა მოსალოდნელი იყო დავით უძლეველის სხვა შრომების, და კერძოდ; ცალკეული პრობლემების ანალიზის დროსაც. მაგრამ როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ასეთი შედარებისა და ალექსანდრიელ ავტორთა შრომებში საერთო მომენტის დადგენის მეთოდი უგულებელყოფილ იქნა.

ზოგი მკვლევრის ცალმხრივად განზოგადებული დასკვნის ნიმუშად შეიძლება რამდენიმე მაგალითი დავასახელოთ:

ვ. კ. ჭალოიანი თავის მონოგრაფიაში „ფილოსოფიური აზრის განვითარება სომხეთში“ ამტკიცებს დავით უძლეველის გავლენას დასავლეთის ფილო-

სოფიურ აზროვნებაზე. ასახელებს რა ნიკიფორე ბლემიდის ფილოსოფიურ შეხედულებებს, ვ. ბეზობრაზოვის წიგნის „ბიზანტიელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იოანე ფსელოსის“ მიხედვით, მკვლევარი მათ დავით უძლეველის გავლენას მიაწერს. ეს შეხედულებები ეხება:

განსაზღვრებებსა და ლოგიკურ კატეგორიათა დაყოფას, განსხვავებას მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის, ფილოსოფიის ექვს განსაზღვრებას, ფილოსოფიის დაყოფას თეორიულ და პრაქტიკულ ფილოსოფიად, იმას, რომ „მკვრეტელობითი შეიცნობს არსს, პრაქტიკული კი ემსახურება ჩვევათა დახვეწას, მკვრეტელობითის მიზანია — ჭეშმარიტება, პრაქტიკულია — სიკეთე“. მკვლევრის დასკვნით, იგრძნობა, რომ ყველაფერ ამას იგი (ნიკიფორე ბლემიდი — მ. რ.) დაესესხა დავით უძლეველს“ [138,117].

მაგრამ საკმარისია გადავხედოთ ამონიოს ერმისის თხზულებებს, და ვნახათ, რომ ყველა აქ წამოჭრილი საკითხი საგანგებოდ არის განხილული ამონიოს ერმისის მიერ [153, 4—7].

შემდეგი მკვლევარი, რომელიც აღნიშნავს დავით უძლეველის გავლენას მომდევნო ხანის მწერლებზე, არის ა. ვ. საგადევი. მისი სიტყვებით, „დავით უძლევლის ფილოსოფიის განსაზღვრებანი სიტყვისიტყვით და იმავე რიგით განეორბეულია იოანე დამასკელის მიერ“¹.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ეს განსაზღვრებანი უფრო აღრე განხილული და შემუშავებული იყო ამონიოს ერმისის მიერ [153,1—9].

სულ ახლახან გამოიცა დავით უძლეველის ნაწარმოებთა სომხური თარგმანები ს. არეშატაიანის წინასიტყვაობით, რომელშიც მკვლევრის მიერ გამოთქმულია საგარეოდ აზრი დავით უძლეველის არეოპაგიტული წიგნების ავტორთან გაიგივების შესაძლებლობის შესახებ. ეს საკითხი იმდენად სერიოზულად გვეჩვენება, რომ მასზე ორიოდ სიტყვით შეეჩერდებით.

როგორც ცნობილია, არეოპაგიტული კორაჟის ავტორობის საკითხი, დიდი ხანია, გასცდა ერთი რომელიმე ნაციონალური მეცნიერების ჩარჩოებს. იგი თავისი მნიშვნელობითა და მასშტაბებით სავსე ინტერესებისა და ფართო მეცნიერული კვლევის ობიექტს წარმოადგენს. და აი, წამოჭრილია საკითხი, რომ არეოპაგიტული წიგნების ავტორი უნდა იყოს დავით უძლეველი. მკვლევარი ამ იდენტიფიკაციას იძლევა შემდეგი ტექსტობრივი მონაცემების საფუძველზე: მის მიერ აღნიშნულია ორი შინაარსობრივი თანხვედრა, რომელიც არსებობს დავით უძლეველისა და დიონისე არეოპაგელის შრომებში.

პირველი მათგანი დავით უძლეველის მიხედვით შემდეგია: ფილოსოფიური ცოდნა ეხმარება ადამიანს ღვთის მიერ შექმნილი ბუნების შეცნობის გზით მიუახლოვდეს შემოქმედს, მგრძნობელობითისა და მატერიალურის გზით შეინეცნოს იმატერიალური. თეორიული ფილოსოფიის ნაწილები: ფიზიოლოგია, მათემატიკა და ღვთისმეტყველება ემსახურება ამ მიზანს. საშუალო წევრის, მათემატიკის, გზით ფილოსოფიათი ხილს დებს მგრძნობელობითისა და ზემგრძნობელობითის შორის და აღწევს ღვთისმეტყველებას.

იგივე აზრი დიონისე არეოპაგელის მიერაც არის გამოთქმული: მგრძნობელობითის გზით ჩვენ ავმალდებით სულიერთამდე და სიმბოლურ სახეთა მეშვეობით ვწვდებით მარტივსა და უმალეს ზეცათა მღვდელმთავრობას.

¹ ვიმოწმებთ ვ. კ. კალიანის წიგნის „ფილოსოფიური აზრის განვითარება სომხეთში“ მიხედვით [138, 265].

მეორე შინაარსობლივი თანხვედრა შემდეგი სახისაა: ფილოსოფიის მიზანი დაემსგავსოს ღმერთს, „რაოდენ ძალ-უც კაცსა“. ჰემმარიტი ფილოსოფოსი ის კი არ არის, ვინც ბევრი იცის და მრავალ რამეზე შეუძლია განსაჯოს, არამედ ის, ვინც თავისი ცხოვრებით ეცდება ემსგავსოს უზუნაეს არსს, ღმერთს.

დიონისე არეოპაგელიც იმეორებს: მღვდელმთავრობა არის ცოდნა და მოქმედება, რომელიც შეძლებისამებრ ემსგავსება ღვთის სახიერებას და ესწრაფვის საღმრთო მსგავსებას [147,20; 101,24—27].

ამ ორი შინაარსობლივი პარალელის გარდა, ს. არეუშატიანის მიერ თავის აზრის დასამტკიცებლად მოხმობილია შემდეგი ფაქტი: მკვლევრის სიტყვებით, ძველ სომხურ ხელნაწერებში დიონისე არეოპაგელის ორ შრომას ბერძნული ტრანსკრიპციით სომხურად მიწერილი აქვს სახელი $\Delta ABH\Theta$ (დავით), $\Delta AB\Theta H$ (დავითისა), ხან $\Delta ABH\Theta \Gamma PHCAB$ (დავითმა დაწერა). ეს ფაქტი საკვირველი სრულიადაც არ ჩანს.

იგი, ვფიქრობთ, იმ შესასუქუნობრივი სომხური ტრადიციის გამოძახილია, რომელიც ს. არეუშატიანისავე სიტყვებით, VI—VII სს. თარგმნილ თუ ორიგინალურ თითქმის მთელ ლიტერატურას დავით უძღვევებს მიაწერდა [93,273]. მით უმეტეს, რომ დიონისე არეოპაგელის შრომათა შემცველი სომხური ხელნაწერები გვიანი პერიოდისაა, XIII ს-ზე აღრინდელი ნუსხა არ ჩანს.

რაც შეეხება ზემომოყვანილ ორ შინაარსობლივ პარალელს, ასეთი თანხვედრები, ჩვენი აზრით, არ გამოდგება არგუმენტად დავით უძღვევლისა და დიონისე არეოპაგელის იდენტიფიკაციისათვის იმ მიზეზის გამო, რომ ეს შეხედულებანი, თითქმის ტექსტობრივად გამეორებული, სხვა ავტორის მიერაც არის წამოყენებული, ანალოგიური აზრები გამოთქმულია და განვითარებული ამონიოს ერმისის შრომებში [153,5,10,12—13,15].

გვხვდება ისინი სხვა ალექსანდრიელი ნეოპლატონიკოსის, ელიასის, თხზულებებშიც [174].

ყოველივე ამის გამო საჭიროა ზედმიწევნითი სიფრთხილე და ხანგრძლივი ძიებით მოპოვებული სიზუსტის დაცვა, რომ რამდენიმე მსგავსი პასაჟის წყალობით ეპოქალური მნიშვნელობის ძეგლის (არეოპაგეტული ნაწერები კი უღაოდ ასეთი ძეგლებია) ავტორად ახალი კანდიდატი არ წამოვყავნოთ.

აზრი დავით უძღვევლის მოძღვრების გავლენის შესახებ სხვა პრობლემასთან, კერძოდ მეცნიერების დარგთა კლასიფიკაციასთან დაკავშირებით, გამეორებულია ბ. მ. კედროვის მიერ [113,52], მაგრამ უსათუოდ გასათვალისწინებელია, რომ ის კლასიფიკაცია, რაც დავით უძღვევლს მიეწერება, დასტურდება აზონიოს ერმისის შრომებშიც [153,11—16].

როგორც ვხედავთ, შეხვედრები ამონიოს ერმისისა და დავით უძღვევლის მოძღვრებაში, ერთი-ორი საკითხით არ ამოიწურება.

აღნიშნული ვითარება ბუნებრივად იწვევს აუცილებლობას მათი შრომების დეტალურად შედარებისა.

ჩვენ მიერ ჩატარებული ძიება მხოლოდ ნიადაგის მოსინჯვაა იმ ძალზე შრომატევადი საშუაოსი, რასაც ამონიოს ერმისისა და დავით უძღვევლის მოძღვრებათა ურთიერთშედარების კვლევა ითვალისწინებს.

ამონიოს ერმისის „მოსაქსენებელში“ „ხუთთა კმათადმი“ წმინდა ლოგიკური პრობლემატიკის გარდა შესასუქუნობრივი ფილოსოფიისათვის ნიშან-

დობლივი შრავალი საკითხია განხილული. იგი ორი ნაწილისაგან შედგება: 1) ძირითადი ნაწილი, რომელიც დაწერილია პარაფრაზის სახით. აქ მოტანილია ესა თუ ის ფრაზა პორფირის „შესავლიდან“, რომელსაც მოსდევს ამონიოსის კომენტარი, 2) ვრცელი წინასიტყვაობა, რომელიც საკითხთა ისეთ წყებას მოიცავს, რომელიც საყურადღებოა საკუთრივ ამ წიგნის, როგორც ლოგიკური ნაწარმოების, რაობისა და დანიშნულების გარკვევის თვალსაზრისით, ასევე ზოგად-ფილოსოფიური პრობლემების დასმით.

წინასიტყვა მას შეიძლება პირობითად ეწოდოს, ვინაიდან იგი საქმად ვრცელია და მასში რამდენიმე დამოუკიდებელი საკითხია წამოჭრილი. ბერძნული ტექსტის გამოძეგმელი ა. ბუსე ორ წინასიტყვაობას გამოყოფს, ჩვენ კი შესაძლებლად მიგვაჩნია წინასიტყვაობაში სამი ნაწილი გამოვყოთ.

ამონიოსის შრომის წინასიტყვის დასაწყისი ანუ პირველი ნაწილი [153. 1—21] განსახილველი პრობლემებით და სტრუქტურულადაც სავსებით ემთხვევა დავით უძლეველის შრომას „ფილოსოფიის შესავალს“¹. ამონიოსის წინასიტყვის პირველი ნაწილი წარმოადგენს იმას, რასაც დავითთან „ფილოსოფიის შესავალი“ ეწოდება. რასაკვირველია, ჩვენ საქმე გვაქვს არა ტექსტების სრულ იდენტურობასთან, არამედ ორი სხვადასხვა ავტორის ტექსტების შინაარსობრივ-სტრუქტურულ თანხვედრასთან.

სურათი რომ უფრო ნათელი გახდეს, მოგვეყავს საკითხები იმ თანმიმდევრობით, როგორც ისინი განხილულია ორივე ფილოსოფოსის შრომებში.

1. რა არის ფილოსოფია?

ორივე ფილოსოფოსი პირველ საკვლევ საკითხად მიიჩნევს ფილოსოფიის რაობის დადგენას.

დავით უძლეველის შრომაში ამ საკითხს წინ უძღვის შესავალი, სადაც საუბარია იმაზე, რომ ეს ნაწარმოები მიმართულია სექტაციკოსების წინააღმდეგ, რომელთაც ექვის ქვეშ დააყენეს ფილოსოფიის არსებობა [171,1—14]. ამას ლოგიკურად მოსდევს ფილოსოფიის რაობის გარკვევა.

2. ფილოსოფიის რაობის დადგენა ნიშნავს ფილოსოფიის განსაზღვრებას, რაც თვით განსაზღვრების რაობის გარკვევას მოითხოვს. განსაზღვრების ცნება სხვადასხვა საკითხს მოიცავს. ორივე ფილოსოფოსი განსაზღვრების ცნების წარმოშობას უკავშირებს მიწის გაზომვის პრაქტიკულ საქმიანობას [171,15; 153,1].

3. როგორც ამონიოსი, ისე დავით უძლეველი ორგვარ განსაზღვრებას გამოყოფენ: სრულსა და არასრულს. სავსებით მსგავსია ორივეს მსჯელობა იმის შესახებ, რომ განსაზღვრება ხდება ან ობიექტის მიხედვით (მკურნალობა არის ხელოვნება, ადამიანის ორგანიზმისთვის საჭირო), ან მიზნის მიხედვით (მკურნალობა არის ჭანჭრთელობის მომტანი), ან განსაზღვრება ორივე კომპონენტით არის გამართლებული, როგორც ობიექტით, ისე მიზნით (მკურნალობა არსებობს ადამიანის ორგანიზმისათვის, რომ ჭანჭრთელობა მოუტანოს მას) [171,16—19; 153,2].

4. განსაზღვრების ცნების ზოგადი დახასიათების შემდეგ ამონიოსის წინასიტყვაობაში დასახელებულია ფილოსოფიის 6 განსაზღვრება, ზუსტად ის გან-

¹ სახელწოდება „ფილოსოფიის შესავალი“ ჰქვია ნაწარმოებს ბერძნულ ორიგინალში. სომხურ თარგმანს სხვა სახელწოდება აქვს: Մսումանք իմաստասիրութեան „ფილოსოფიის განსაზღვრებანი“.

საზღვრებანი და იმდენი, რაც არის დავითის „ფილოსოფიის შესავალში“. თან-მიმდევრობაც მხოლოდ ერთგან არის დარღვეული. ფილოსოფიის განსაზღვრებათა მეთოდოლოგიურ საფუძვლად ორივე ფილოსოფოსის მიერ გამოყოფილია ორი ნიშანი: რა არის ფილოსოფიის საგანი და რა მიზანი აქვს მას?

ფილოსოფიის ამ განსაზღვრებებში, როგორც ცნობილია, თავმოყრილია პითაგორას, პლატონისა და არისტოტელეს შეხედულებანი ფილოსოფიაზე.

ა. იანი:

ა) „ფილოსოფოსობა არს მეცნიერება მყოფთაჲ, უკუეთუ მყოფნი არიან“ [153,2; 171,27]. ეს განსაზღვრება პითაგორას ეკუთვნის.

ბ) „ფილოსოფოსობა არს მეცნიერება ღმრთოთა და კაცობრივთა საქმეთაჲ“ [153,3; 171,28]. ფილოსოფია შეისწავლის ღვთაებრივსა და ადამიანურ საგნებს, იმატერიალურსა და მატერიალურს. დავით უძლეველი ამ ფორმულირების ავტორად პითაგორას აცხადებს [171,45]. ამონიოსის შრომის შემცველ ბერძნულ ხელნაწერთაგან ზოგი პითაგორას ასახელებს, ზოგი კი — პლატონს.

გ) „ფილოსოფოსობა არს მსგავსება ღმრთისაჲ, რაოდენ ძალ-უც კაცსა“ [153,3; 171,34]. ეს განსაზღვრება პლატონის ცნობილი კვალიფიკაციაა, რომელსაც იგი აძლევს ფილოსოფოსს.

დ) „ფილოსოფოსობა არს წურთაჲ სიკუდილისაჲ“ [153,4; 171,29]. ეს განსაზღვრებაც პლატონს ეკუთვნის.

„წურთაჲ სიკუდილისაჲ“ რომ პირდაპირ არ უნდა გავიგოთ, ამის ნიშნად მოტანილია კალიმაქის ლექსი ჰაბუკ კლომპროტოს ამერაკიელზე. ეს ლექსი დატურდება დავითის წიგნებშიც ([171,31], პ. მანანდიანის ცნობით, ელიასის „კატეგორიების“ კომენტარების ბოლოს დაცულ ფრაგმენტშიც [149,55]).

ე) „ფილოსოფოსობა არს კელოვნებაჲ კელოვნებათაჲ და ზედმიწევნულობაჲ ზედმიწევნულობათაჲ“ [153,6; 171,39]. ეს გამონათქვამი არისტოტელესია. აღსანიშნავია, რომ ფილოსოფიის სხვა განსაზღვრებებზე მსჯელობა დავითის ნაწარმოებში უფრო ვრცელია, აქ კი ამონიოსია უფრო სიტყვაუხვი. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავახსენდეს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრი ამონიოსის დიდ მათემატიკურ-ასტრონომიულ განათლებაზე [182].

ვ) „ფილოსოფოსობა არს სიყუარული სიბრძნისაჲ“ [153,9; 171,46]. ეს განსაზღვრება, რომელიც სიტყვის ეტიმოლოგიას ეყრდნობა, პითაგორას ეკუთვნის.

ფილოსოფიის დასახელებული ექვსი განსაზღვრების სრულ ანალოგიას წარმოადგენს დავით უძლეველის განსაზღვრებები, ოღონდ, უნდა აღინიშნოს, რომ დავით უძლეველის „ფილოსოფიის შესავალი“ ბერად მეთია მოცულობით, ვიდრე ანალოგიური შინაარსის ტექსტი ამონიოს ერმისის წინასიტყვაში.

5. ფილოსოფიის დეფინიციის შემდეგ როგორც ამონიოსის შრომაში, ისე დავითის ნაწარმოებში, დასმულია საკითხი გაყოფისა და მეორადი გაყოფის შესახებ, როგორც ფილოსოფიის სხვადასხვა დარგად დაყოფის თეორიულ საფუძველზე [153,10; 171,55]. ფილოსოფიის ორად გაყოფა ანალოგიურია იმისა, რომ ღვთის მოქმედება ორგვარია: „მეცნიერებითი“ და „მოურნეობითი“ და ქულის მოქმედებაც ორგვარია: „მეცნიერებითი“ და „მგრძნობელობითი“ და-

ვით უძლეველი ამ ორ მიზეზს გარდა ასახელებს მესამესაც: ადამიანში ორგვარი საწყისია [171, 56].

6. ზონდენო პრობლემა ორივე ავტორისთვის არის ფილოსოფიის გაყოფა თეორიულ და პრაქტიკულ ფილოსოფიად [153,11; 171,57].

თეორიული ფილოსოფიის დარგებია ამონიოსის მიხედვით: ღვთისმეტყველება, მათემატიკა, და ფიზიოლოგია. დავითის ნაშრომში რიგი შებრუნებულია. იქ არის: ფიზიოლოგია, მათემატიკა, ღვთისმეტყველება [171,57]. ღვთისმეტყველება სწავლობს იმატერიალურს, ფიზიოლოგია — მატერიალურს, მათემატიკა — მატერიალურსაც და იმატერიალურსაც. ორივე ფილოსოფოსი მათემატიკას თელის საშუალო საფეხურად, რადგან მის გარეშე (აქ ორივე პლატონს ემხრობა) შეუძლებელი იქნება აბსოლუტური სიბნელიდან კაშკაშა სინათლეზე გასვლა.

როგორც ამონიოს ერმისი, ისე დავით უძლეველი, შენიშნავენ, რომ ისინი თავს იკავებენ ღვთისმეტყველებისა და ფიზიოლოგიის დაყოფისაგან (მათი საგანგებო სირთულის გამო) და იძლევიან მხოლოდ მათემატიკის დაყოფას ცალკე დისციპლინებად: არითმეტიკად, მუსიკად, გეომეტრიად და ასტრონომიად [153,13; 171,60].

პრაქტიკული, ანუ საქმიითი ფილოსოფია იყოფა: ეთიკად, პოლიტიკად და ეკონომიკად (ამ დაყოფის წყარო არისტოტელეა).

თეორიული და პრაქტიკული ფილოსოფიის დისციპლინების შესახებ მსჯელობა უფრო ვრცელია ამონიოსის შრომაში, ვიდრე დავით უძლეველთან.

ამონიოსის ნაწარმოების წინასიტყვის პირველი ნაწილი მთავრდება პლატონის შეგონებით: „ფილოსოფიის მსგავსი სიკეთე არცა მოვიდა კაცთა ზომართ, არცა მოვიდეს ოდესცა“ [153,16]. ავტორი ერთგვარ შემაჯამებელ განცხადებას აკეთებს: ესენი უკუე ითქვა საზოგადოდ ფილოსოფოსობისათვის, ხოლო კონკრეტულად წინამდებარე წიგნის, ე. ი. პორფირის „შესავლის“ კომენტირებზე ახლა გადავდივარო [153,16].

აი, ზუსტად ამ აღვიღს, ე. ი. ამონიოსის ნაწარმოების წინასიტყვის პირველი ნაწილის დამთავრებას ემთხვევა დავით უძლეველის „ფილოსოფიის შესავლის“ დასასრული. დავით უძლეველიც თავისი შრომის ბოლოს პლატონის ზემომოყვანილ ციტატას ასახელებს [171,79], რომელიც, სხვათა შორის, ელიასის ტექსტშიც დასტურდება [174,19—21].

ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ დავით უძლეველის „ფილოსოფიის შესავალი“ როგორც თავისი პრობლემატიკით, ისე საარგუმენტაციო მასალითაც ბევრ რამეში იმეორებს ამონიოს ერმისის წინასიტყვას.

ამონიოსის წინასიტყვა ისევე გრძელდება. მოცემულია მსჯელობა კონკრეტულსა და ზოგადზე, კერძოდან ზოგადზე გადასვლის გზებზე, საუბარია არისტოტელეს 10 კატეგორიაზე, რომლებიც ხელს უწყობს ზოგადად ფილოსოფიის შესწავლას, ხოლო ამ უკანასკნელის აღსაქმელად გზა და ხილია პორფირის „შესავალი“ [153,16—21].

ეს გახლავთ ამონიოსის შრომის წინასიტყვის მეორე ნაწილი, რომელსაც თავისი შესატყვისი ტექსტი არა აქვს დავითის შრომებში.

ამონიოსის ტექსტის წინასიტყვის მესამე ნაწილი [153,21—23] იწყება განმაზოგადებელი, შემაჯამებელი ფრაზით: რად და რამდენ ნაწილად იყოფა ფილოსოფია, უკვე აღვნიშნეთო. ხოლო ახლა გემართებს გავიხსენოთ, რომ

ფილოსოფოსი ყოველ წიგნს წაუძღვარებენ წინათქმას, რომელშიც შემდეგი საკითხებია განხილული:

1) რა არის წიგნის მიზანი? 2) როგორია მისი საქმარება? 3) ორიგინალურია თუ არა იგი? 4) როგორია საკითხთა თანმიმდევრობა? 5) რისი მიხედვით არის სათაური შერჩეული? 6) როგორია თავებად დაყოფა? 7) მეცნიერების რომელ დარგს განეკუთვნება აღნიშნული წიგნი.

ახლა გადავხედოთ დავით უძლეველის „პორფირის „შესავლის“ ანალიზს“ და დავინახავთ, რომ ზუსტად ამ საკითხთა განხილვით, თითქმის იმავე სიტყვით იწყება დავით უძლეველის ეს თხზულება [88, 95]. ოღონდ განსხვავება აქ ისაა, რომ დავით უძლეველი მერვე პრინციპსაც უმატებს: როგორია სწავლების მეთოდი? (ეს პრინციპი ამონიოსის შრომაში ცოტა მოგვიანებით იჩენს თავს).

ამონიოსის წინასიტყვის ამ ნაწილში მოცემულია პორფირის „ხუთი ხმისა“ და არისტოტელეს „კატეგორიების“ ისეთი შეფასება, რომელიც დასტურდება დავითის შრომაშიც. ამ ნაწილშიც ხშირია ტექსტობრივი თანხვედრები, რომელთაგან დავასახელებთ ერთს:

დავით უძლეველი „პორფირის „შესავლის“ ანალიზში“ აღნიშნავს, რომ პორფირის ნაწარმოები ფილოსოფიის ლოგიკურ ნაწილს განეკუთვნება, ხოლო საკითხს: ლოგიკა ფილოსოფიის ნაწილია თუ იარაღი, „კატეგორიების“ ანალიზისას განვიხილავო [171, 95]. ცნობილია, რომ სხვა ალექსანდრიელი ფილოსოფოსი ელიასიც გვპირდება ლოგიკის შეფასებას, ოღონდ არა „კატეგორიების“ ანალიზში, არამედ „ანალიტიკების“ კომენტარებში. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ფრაგმენტზე დაყრდნობით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს „კატეგორიათა“ კომენტარების ავტორის შესახებ [174, VIII; 149, 66—67; 93, 276—280]. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ამონიოს ერმისის წინასიტყვა, რომელშიც საუბარია ლოგიკაზე. ავტორი ზუსტად იმავე ხასიათის დაპირებას იძლევა: საკითხს ლოგიკა ფილოსოფიის ნაწილია თუ იარაღი, იგი განიხილავს სხვა (ნაწარმოებში) [153, 23]. საფიქრებელია, რომ ეს საკითხი კიდევაც იყო დაძულებული მის რომელიღაც ნაწარმოებში. შეიძლება აქ იგულისხმებოდეს ამონიოსის მსჯელობა ლოგიკის მეცნიერების შესახებ, რომელიც მოცემულია მის „მოსავსებელში“ არისტოტელეს „კატეგორიებისა“ [154, 1—15].

აქ მთავრდება ამონიოსის შრომის წინასიტყვა [153, 1—23]. ამის შემდეგ იწყება უშუალოდ პორფირის „შესავლის“ კომენტარები [153, 24—127].

კომენტარებშიც დასტურდება ტექსტობრივი შეხვედრები ამონიოსის და დავით უძლეველის შრომებისა. იდენტურია როგორც თეორიული დებულებანი, ისე საოლუსტრაციო მასალაც. მაგალითად:

1) ორივე ფილოსოფოსი ერთნაირად მსჯელობს სემანტიკის მქონე და სემანტიკას მოკლებული სახელების ანალიზისას. 2) ორივე ფილოსოფოსი იძლევა ანტისთენის შეხედულების კრიტიკას კერძოსა თუ ზოგადის თავდაპირველობის საკითხთან დაკავშირებით [153, 40; 171, 109]. სხვათა შორის, ორივე ერთნაირად არათანმიმდევრულია იმის რკვევისას, უნივერსალიებს საგნობრივნივთიერა რეალობა აქვთ, თუ ისინი მხოლოდ ჩვენი შემეცნების პროდუქტია. ამონიოს ერმისი, ისევე როგორც დავით უძლეველი, არისტოტელეს მატერიალური პოზიციის შერჩევას ცდილობს პლატონის იდეალოზმთან და უშვებს სამივე შესაძლებლობას: ზოგადის არსებობას კერძომდე, კერძოშიც და კერძოს შემდეგ [153, 42; 171, 113]. 3) ორივე ფილოსოფოსი მსჯელობს „პერიპატოე-

ლი“ სიტყვის ეტიმოლოგიის შესახებ. როგორც ცნობილია, ეს სიტყვა განმარტებულია სხვა ავტორების მიერაც [149,28—29]. ამონიოს ერმისის „პერიპატოელი“ სიტყვა, დავითისგან განსხვავებით, ისევე აქვს გააზრებული, როგორც „კატეგორიების“ ანონიმ კომენტატორსა და ელიასს. არისტოტელეს მიმდევრები იწოდებოდნენ პერიპატოელად პლატონის მიბაძვით, რადგან იგი სიარულის დროს იძლეოდა განმარტებებს, რადგან ფიქრობდა, რომ საჭიროა არა მხოლოდ სულის წრთვა, არამედ სხეულისაც [153,46].

ამრიგად, ვარდა წინასიტყვისა, კომენტარებშიც დასტურდება აზრობრივი შეხვედრები, ტექსტობრივი პარალელები. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ელიასის, ალექსანდრიელი ფილოსოფოსის „ანალოზი პორფირის „შესავლისა“ ზუსტად იმავე შინაარსისა და სტრუქტურისაა, როგორც ამონიოსის და დავით უძლველის ზემოთდასახელებული თხზულებანი.

აღნიშნულ ფაქტობრივ მონაცემებს ბუნებრივად მიეყვარათ დასკვნამდე: მთელი რიგი ფილოსოფიურ-ლოგიკური საკითხები, ისეთი, როგორიცაა: ფილოსოფიის განსაზღვრებანი, ფილოსოფიის დაყოფა თეორიულ და პრაქტიკულ ფილოსოფიად, მეცნიერების დარგების კლასიფიკაცია, ხელოვნებისა და მეცნიერების ფუნქციონალური გამოიკვანა, არისტოტელეს კატეგორიებზე დაფუძნებული ხუთი ლოგიკური ტერმინის ანალოზი და მრავალი სხვა წარმომადგენენ საერთო მომენტს ნეოპლატონიზმის ალექსანდრიულ სკოლის წარმომადგენლებისათვის. ამ სკოლაში მოხდა მთელი რიგი ცნებების ტიპოლოგიურად ერთნაირი მოდელირება. დავით უძლველმა, ისევე როგორც სხვა ალექსანდრიელმა მოღვაწეებმა, ისარგებლეს ამონიოს ერმისის მეტყველებით. ცალკეულ საკითხთა ერთ მწყობრ სისტემად ჩამოყალიბების წყაროდ ამონიოს ერმისის მოძღვრება უნდა ვიკულისხმობთ.

შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც გადაამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას ამ საკითხში, ხელნაწერთა ტრადიციაა. მაგრამ წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ამონიოს ერმისის, ასევე დავით უძლველის შრომათა შემცველ ბერძნულ ხელნაწერთა შესწავლა, მათი გამოშვების ა. ბუსეს სიტყვებით, ძალზე ჭრელ სურათს იძლევა და გაურკვეველობის საკმაოდ დიდი ბურუსი ფარავს [153,VI—VII: 171,V]. საქმე ისაა, რომ როგორც ამონიოსის, ასევე დავითის შრომათა შემცველი ხელნაწერები გვიანდელია (ყველაზე ადრინდელი X ს. განეკუთვნება) და ამდენად გვიანდელი პერიოდის გადაშენებულ-ინტერპოლატორების მიერ საკმაოდ შერყენილი. არ მოგვეპოვება არა თუ ავტოგრაფები, არამედ ავტოგრაფს მიახლოებული ნუსხებიც კი როგორც ამონიოსის, ასევე დავითის შრომებისა. ხელნაწერთა გადაშენების, სქოლიასტ-ინტერპოლატორები თავიანთ კვალს ავლებდნენ ფილოსოფოსთა შრომებს. ყოველივე ამის საფუძველზე ალექსანდრიელ ნეოპლატონიკოსთა ნაწარმოებებმა ძალზე შეცვლილი სახით მოაღწიეს ჩვენამდე.

ეს გარემოება ძალზე ათუთლებს ნაწარმოების არქეტაპის დადგენას. ამონიოსის შრომაში, ასევე დავითის ნაწარმოებებში, არცთუ იშვიათად დასტურდება ფრაზის, რაიმე დებულების გამეორება, რაც, რასაკვირველია, ისევე ინტერპოლატორთა საქმიანობის შედეგია.

ამ ორი ფილოსოფოსის ნაწარმოებთა გამოშვებულს, ა. ბუსეს, რამდენიმე ხელნაწერის შეგვრების შედეგად ასე თუ ისე აღდგენილი აქვს მათი პირვანდელი სახე. მის მიერ მითითებულია ინტერპოლაციის შემთხვევები და ისიც, თუ საიდან უნდა იყოს აღებული ესა თუ ის ჩანაშატი. ა. ბუსეს სიტყვებით:

მართალია, ტექსტები ძალზე შერყენილია გვიან პერიოდში, მაგრამ არავითარ ეპეი არ არსებობს, არ ვცნობთ ამონიოსის ავტორობა. ბერძნულ ხელნაწერთა კრიტიკულად დადგენილი ტექსტი ამის სრულ საფუძველს იძლევა. ეგვიპე შეიძლება ითქვას დავით უძლეველის შრომებზეც.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ამონიოსის თხზულების სათაური: Πρωτεύμενα ἔχει φιλοσοφίας, რამდენიმე ხელნაწერში წერია: Ἄμμανίου... πρωτεύμενα ἔχει φιλοσοφίας καὶ τῶν πέντε φασίων διδαχῶν [153, VIII—XLI] —ამონიოსის შესავალი მთელი ფილოსოფიისა და „ხუთი ხმის“ სწავლებისა.

რა იგულისხმება „მთელი ფილოსოფიის შესავალიში?“ როგორც ჩანს, ის ვრცელი წინასიტყვა, რომელიც წინ უძღვის ამონიოსის კომენტარებს და რომლის შეღვევნილობაზე ზემოთ გვეჩვენა საუბარი. ეს წინასიტყვა ავტორის მიერ გააზრებული იყო, როგორც შესავალი ზოგადად ფილოსოფიისა ანუ ლოგიკურ ცნებათა კომენტარებისა. შესავალს უშუალოდ მოსდევს თვით კომენტარები. ამონიოსის ნაწარმოები წარმოადგენს ერთ მთლიანობაში შეკრულ შესავალსა და კომენტარებს. ისინი ერთი ნაწარმოების სახით არის წარმოდგენილი ბერძნულ ხელნაწერებში.

დავით უძლეველთან კი (სხვათა შორის ელიასთანაც), ცალ-ცალკე, დამოუკიდებელი ნაწარმოებების სახითაა წარმოდგენილი ეს ორი ნაწილი.

პირველი ნაწარმოების სათაურია: Ἐὰ πρωτεύμενα ἔχει φιλοσοφίας ἄπὸ φωνῆς Δεξιῶν τῶν Μειφίλαρχου καὶ Μειφρύου φιλοσοφῶν [171, 1]. იგი მთავრდება შემავამბელი სახის დასკვნით, რომელშიც ხაზგასმულია, რომ იგი შესავალია ἄπὸ μὲν ἐν αὐτοῖς ἐν οἷς εἶναι μὲν καὶ ἡ παρῶσα πρῆξις καὶ τὰ πρωτεύμενα ἔχει φιλοσοφίας [171, 79].

რაც შეეხება მეორე ნაწარმოებს, „შესავლის“ კომენტარებს, მის ორი ქვესათაური აქვს: 1) პირველი ქვესათაურით აღნიშნულია წინასიტყვა: Πρωτεύμενα εἶναι μὲν ἔχει Πρωφῶναι: Ἐξ ἀρχῆς ἄπὸ φωνῆς Δεξιῶν τῶν Μειφίλαρχου καὶ Μειφρύου: φιλοσοφῶν [171, 80]. ეს წინასიტყვა მთავრდება ისეთივე დასკვნით: ἄπὸ μὲν ἔχει ἡ παρῶσα πρῆξις καὶ τὰ πρωτεύμενα ἔχει Πρωφῶναι Ἐξ ἀρχῆς [171, 94]—ეს აქვს წინამდებარე თავსა და პორფირის „შესავლის“ წინასიტყვას.

2) მეორე ქვესათაურით საკუთრივ კომენტარებია დასათაურებული: Σχόλια εἶναι μὲν εἶς τῶν Ἐξ ἀρχῆς Πρωφῶναι: ἄπὸ φωνῆς Δεξιῶν τῶν Μειφίλαρχου καὶ Μειφρύου: φιλοσοφῶν [171, 95]. Σχόλια-ს პირველსავე ფრაზაში იკითხება, რომ წინა რე ტექსტი შესავალი იყო.

ყოველივე აქედან ნათელია, რომ Πρωτεύμενα—წინასიტყვა—აუცილებლად გულისხმობს იმას, რომ იგი რაღაც შრომის შესავალია.

ამის საფუძველზე, ვფიქრობთ, გასაგები უნდა იყოს, რატომ ეწოდება დავით უძლეველის ნაწარმოებს „ფილოსოფიის შესავალი“. რატომ შესავალი? იმიტომ, რომ იგი გაიზარებოდა, როგორც პორფირის ნაწარმოების შესავალი, როგორც ეს დასტურდება ამონიოს ერმისის თხზულებაში.

ამრიგად, „მოსავსენებელი „ხუთთა კმათადში“ პორფირი ფილოსოფოსისათას“ და დავით უძლეველის ანალოგიური შრომის, ასევე მისი „ფილოსოფიის შესავლის“ შექცევების შედეგად გამოვლენილი სტრუქტურულ-შინაარსობრივი იდენტურობა, ხშირი ტექსტუალური თანხვედრები მიუთითებენ, რომ მთელ რიგ პრობლემათა ერთიანი კვალიფიკაციისა და სისტემატიზაციის წყარო

ამონიოს ერმისის მოძღვრებაა. დავით უძლეველი იმავე პრობლემებს ამუშავებს, რაც იყო ამონიოსის განსჯის საგანი.

ორივე ფილოსოფოსის თხზულებათა შესწავლამ ნათლად წარმოაჩინა სრულიად კანონზომიერი ფაქტი, რომ ორივე ავტორი ავლენს იმ საერთო ტენდენციებს, იმ საერთო მსოფლმხედველობრივ თვალსაზრისს, რაც დამახასიათებელი იყო ალექსანდრიის ნეოპლატონური სკოლის წარმომადგენლებისათვის.

საერთოდ, შინაარსობლივი მსგავსება, აზრობრივი თანხედრები ამონიოს ერმისისა და დავით უძლეველის მოძღვრებათა შორის მოულოდნელი არ უნდა იყოს. ორივე ავტორი დაახლოებით ერთი და იმავე ეპოქის მოღვაწენი არიან, გეოგრაფიული ადგილის მიხედვითაც ერთი და იმავე სააზროვნო-კულტურული სკოლის წარმომადგენლები, ორივე ერთსა და იმავე სააზროვნო პოზიციებზე დგას, ორივესთვის ქრისტიანული მოძღვრების ათვისების ფორმად ნეოპლატონიზმია აღიარებული. ამდენად, სრულიად ბუნებრივია, რომ მათ ნააზრევში აღმოჩნდეს ბევრი საერთო, აღმოჩნდეს მსგავსი აზრები, მსგავსი შეხედულებანი, ისევე, როგორც ბუნებრივია, რომ ასეთი ნათესაობა აღინიშნოს ნეოპლატონიზმის სხვა წარმომადგენელთა (კერძოდ, ელიასის) ნააზრევთან.

ამონიოს ერმისისა და დავით უძლეველს თხზულებათა შედარებით ირკვევა, რომ საქმე გვაქვს ერთი და იმავე წყაროთი ნასაზრდოებ, ერთსა და იმავე სააზროვნო არეალში ტრანსფორმირებულ იდეა-შეხედულებებთან.

თ ა ვ ი VIII

„მოსაცენებელთა“ გამოცხადი XVII—XVIII სს. მწერლებთან

როგორ აისახა ამონიოს ერმისის „მოსაცენებლები“ მომდევნო ხანის ქართულ სააზროვნო სიტუაციაში? როგორი იყო შემდგომი დროის მწერალ-მოაზროვნეთა გამოხმაურება ამ ნაწარმოებებზე? ამ თვალსაზრისით უდაოდ საინტერესო იქნებოდა ამ თხზულებებში განვითარებულ იდეურ-მსოფლმხედველობრივ თუ ესთეტიკურ შეხედულებათა ანარეკლის ძიება მხატვრულ ლიტერატურაში. საფიქრებელია, რომ ასეთ ძიებას დადებითი შედეგი ექნებოდა. (ეს საქითხი მომავალი სპეციალური ძიების საგანია).

ამჟამად უფრო კონკრეტული უბნით შემოვიზღუფეთ. აღორძინების ხანის ფილოსოფიურ-ლოგიკურ ლიტერატურაში საკმაოდ მნიშვნელოვნად გამოიკვეთა ამონიოს ერმისის თხზულებათა კვალი.

დავიწყოთ იქიდან, რომ პორფირი ფინიკიელის შრომა „შესავალი არისტოტელეს „კატეგორიებისა“, რომლის კომენტარსაც წარმოადგენს ამონიოს ერმისის პირველი „მოსაცენებელი“, თარგმნილი იყო ქართულ სინამდვილეში XII—XIII სს-ში. მას კარგად იცნობენ, მის ავტორს ხშირად იხსენებენ, მიუხედავად იმ განწყობილებისა, რაც პორფირის სახელისა და შრომის გარშემო არსებობდა.

პორფირის მტრად და ქრისტეს მგმობლად მიიჩნევდა ნემესიოს ემესელი [34,56]. ქრისტიანეთა მტრად სახავდა მას სულხან-საბა ორბელიანიც [32,30]. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ქართულ მწერლობაში კიდევ ერთი მოღვაწე იხსენდება მას აუგად. კერძოდ, თეოფილაქტ ბულგარელის „იოანეს სახარების განმარტების“ მთარგმნელი, რომელიც XII ს. მოღვაწე ჩანს, ასე აფასებს პორფირის მოძღვრებას: „ვინაჲცა დაეკუეთების ელლინისა პორფირის მოსიბრძმებელი, რამეთუ იგი დარღუევეად სახარებისა მეცადინი, ესევითართა უქუმეცს განწვალებათა, რამეთუ უკუეთუ სიტყუა არსო, იტყუს, ძე ღმერთისაჲ, ესე იგი არს, წარმოჩენით არს ანუ შინაგანმდებარე, არამედ არცა თუ ესე და არცა თუ იგი, არ სადმე არცა სიტყუაჲ არს, ეგერა სადმე უკუე წინააღჰქსენით“ [76,2r] აქ ლაპარაკია იმაზე, შეიძლება თუ არა ძე ღმერთს, რომელიც სიტყვაა (ლოგოსია), ეწოდოს წარმოჩენითი სიტყვა ან შინაგანმდებარე სიტყვა. ავტორის მტკიცებით, წარმოდგენილია ძე-ლოგოსზე ვთქვათ, რომ იგი წარმოჩენითი სიტყვაა ან შინაგანმდებარე სიტყვაა. ორივე ეს სიტყვა „ჩუენწორისია“, ე. ი. მატერიალური ბუნებისაა, ხოლო ძე-ლოგოსი ყველაფრის მიღმა დგას, იგი ზებუნებრივია. ძე-ლოგოსის იმატერიალურობის მტკიცებისას მითითებულია ელნი პორფირი, რომელიც ზემოთქმულის საწინააღმდეგო შეხედულების გამო „იქუმეცს განწვალებათა“, ე. ი. იგი მწვალებლად არის გამოცხადებული და სახარების დამრღვევად. ასეთია იოანეს სახარების განმმარტების, როგორც ქრისტიანი მოღვაწის, აზრი პორფირი ფინიკიელის მოძღვრებაზე.

მაგრამ მიუხედავად ასეთი შეფასებისა, პორფირის ავტორიტეტი მაინც ისეთი დიდი ყოფილა შუასაუკუნეობრივ ქართულ სინამდვილეში, რომ ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია მისი შრომის თარგმნისათვის, არც მისი ამონიოსისეული კომენტარების თარგმნისათვის. ეს ხომ თავისთავად მეტყველებს იმ დიდ სააზროვნო ძვრებზე, რაც ჰუმანიზმის ეპოქას ახასიათებდა და რაც ასე სისხლორცეული იყო ქართული აზროვნებისთვისაც.

ამონიოს ერმისის კომენტარებით დაინტერესება მკვეთრად იგრძნობა ალორძინების ხანის მწერლებთან.

ეს არცაა გასაკვირი. განმანათლებლობის ეპოქაში, როცა სამყაროს არსებობისა და შეცნობის გზები ბუნებისმეტყველებისა და სხვა ზუსტ მეცნიერებათა მიღწევებს უკავშირდება, როცა სამყაროს საიდუმლოთა და არსება-მოვლენათა წყდომის კრიტერიუმად გონება, აზრი ისახება, გარკვეულად ახალ ღირებულებას იძენს ის ლოგიკური კატეგორიები, რომლებიც ყოველი არსებულის შეცნობის საშუალებად იყო გაგებული. ასეთი იყო არისტოტელეს კატეგორიები, კომენტირებული პორფირისა და ამონიოსის მიერ; რწმენისაგან განსხვავებით, გონებაზე, კატეგორიებზე დაფუძნებული შეცნობადობა არსებულისა.

ამით იყო გამართლებული ალორძინების ეპოქაში გაცხოველებული მიზრუნება არისტოტელეს ლოგიკური თხზულებებისაკენ. ამიტომაც იყო, რომ არისტოტელეს ავტორიტეტს ეყრდნობიან და არც პორფირი-ამონიოსს იეიწყებენ.

დავიწყოთ იქიდან, რომ იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი პორფირისა და ამონიოსის ხუთი ლოგიკურ ტერმინის ინტერპრეტაციას. „კალმასობაში“ შესულია სპეციალური თავი „თეს ხუთთა მარტივთა ხმათა პორფირისათა“.

მკვლევართა მიერ დადგენილია, რომ „კალმასობის“ ამ ადგილის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს ანტონ კათალიკოსის შრომა „კატილორია სიმეტნე“ [24,47]. დაძეხნილია „კალმასობის“ ამ ადგილის სხვა წყაროც. ეს არის დავით ბაგრატიონის ნაშრომი „კატილორია შემოკლებული“ [13,55]. საქმე ისაა, რომ პორფირის თხზულება ორი ნაწილისაგან შედგება: 1) თვს ხუთთა მარტივთა კმათა, 2) ზიარებისა და განთუხებისათჳს ხუთთა კმათა.

როგორც გ. დედაბრიშვილმა გაარკვია, „კალმასობის“ წყარო პირველ ნაწილში არის დავით ბაგრატიონის „კატილორია შემოკლებული“, რომელიც თავისთავად სიმეონ ჭულუღლის „ღიალექტიკას“ ეყრდნობა, ხოლო მეორე ნაწილში არის ანტონის „კატილორია სიმეტნე“.

„კალმასობის“ წყაროთა ძიებისას გამოვლენილია ყველა მომენტი, რაც აისახა იოანე ბატონიშვილის შრომაში პორფირის ხუთი ცნების გარშემო. როგორც ჩანს, იოანე ბატონიშვილი არ იყენებს პორფირის „შესავლის“ ამონიოსისეულ კომენტარებს, ანუ უფრო ზუსტად, ამონიოსის კომენტარების ძველ ქართულ თარგმანს. შეიძლება თუ არა, მას არ სცოდნოდა ამ თარგმანთა არსებობა? ვფიქრობთ, რომ იოანე ბატონიშვილი იცნობდა ამონიოსის შრომას, თუმცა უშუალო წყაროდ არ გამოუყენებია იგი, არ გამოუყენებია იმ მიზეზის გამო, რომ ამონიოსის შრომას იგი იყენებდა შუალობით, ანტონ კათალიკოსის „კატილორია სიმეტნის“ მიხედვით.

ამით იმის თქმა გვიწევს, რომ ამონიოსის „მოსაჯენებლები“ წარმოადგენენ ერთ-ერთ წყაროს ანტონ კათალიკოსისათვის.

ანტონ კათალიკოსი, თავისი დროის უდიდესი ქართველი მოღვაწე, კარგად იცნობს ამონიოსის „მოსაჯენებლებს“. მთელი მისი ვრცელი ფილოსოფიურ-ლოგიკური შრომების სახით ჩვენ ხელთა გვაქვს ენციკლოპედიური ხასიათის მოღვაწეობის შედეგი.

კარგად ცნობილია, რომ ანტონ I წინარე პერიოდის ქართველ, ასევე უცხო ეროვნების მოღვაწეთა მემკვიდრეობის ღრმა შესწავლით, მათი შედარებით, კრიტიკულ შეფასებითა და საპრობლემო საკითხთა გამოწველილვით ქმნიდა თავის თხზულებებს.

შემოქმედებითი მიდგომა სხვა ავტორთა ნაშრომებისადმი ორიგინალობასა და თავისთავადობას არ უქარავდა მის თხზულებებს. ის ფაქტი, რომ ანტონი სხვადასხვა ავტორთა ნაწარმოებებს იყენებს ფილოსოფიურ-ლოგიკური შრომების შედგენისას, მის განმანათლებლურ-ენციკლოპედიურ მიზნებზე მეტყველებს [4,423—428]. როგორც ჩანს, იგი თავის შრომებს სახელმძღვანელოს პრინციპებით ადგენდა, რაც მის მიერ იმდროინდელ საქართველოში ფართოდ დანერგილი სკოლებისა და სემინარიების სასწავლო-სამეცადინო პროგრამითაც იყო ნაყარნახევი [39]. ანტონ I საგანგებოდ ვახაზავს ასეთი წიგნების შექმნის აუცილებლობას „სარგებელად ყრმათა“, ზოგისას იმის გამო, რომ „არა იყუნეს დროთა ჩვენთა ქართულთა ზედა კმათა“, ზოგისას კი იმის გამო, რომ წინანდელნი „ზნელსიტყვაობენ ფრიალ“. ამიტომაც შექმნა მან ფართო საგანმანათლებლო ქსელი, რომელშიც ქართველი თუ სხვა ეროვნების მოღვაწენი, მთარგმნელ-კომენტატორნი ჩააბა და რომელშიც შეუწელებელი ენერგიით უშურველად მოღვაწეობდა თავადაც.

აი, როგორ მოტივს უძებნის იგი თავის მთარგმნელობით-შემოქმედებით საქმიანობას:

010. მ. რაჟავა

„დღეს თუ იგი არისტოტელის კატილორიანი და საღმრთოა და მას-
კელისანი არიან წინამდებარე, მაგრამ მიზეზთა მიერ რომელთაზე ჩემი უკუე
გარდამოცემული მათთაგან მოძღურებათა წინა დაგიდევ. ბნელსიტყვაობენ
ფრიად არისტოტელის კატილორიანი და პორფირითი გამოთქმანი და ცხო-
ველ ბრწყინვალე ჰუმობენ საღმრთოა და მასკელისანი, რომელნიცა კმა სწავ-
ლის შინათად, მაგრამ სიყუარულისათვის თქვენისა შრომა შემირაცხიეს მე
ვანსუენებად“.

ეს სიტყვები წამდვარებული აქვს მის ერთ გამოუქვეყნებელ თხზულ-
ბას. „კატილორია სიმეტნეს“ [76,6].

ამჟამად ხდება, რომ ანტონის მიერ „კატილორიის“ ხელახალი თხზვა გამო-
წვეულია იმ მიზეზით, რომ ანტონის თვალსაზრისით, ქართულ ენაზე მანამდის
არსებული „კატეგორიები“ არისტოტელის და პორფირისა „ბნელსიტყვაობენ“
(ე. ი. მას ამ ნაწარმოებთა ძველი ქართული თარგმანები ძნელად გასაგებად
ჩაუთვლია). ხოლო იოანე დამასკელის თხზულება (რომელსაც ქართველი საზო-
გადოება არსენისა და ეფრემის თარგმანებით იცნობდა), სასწავლო მიზნით
მისაღებად მიუჩნევია, მაგრამ ანტონს მაინც გადაუწყვეტია შეეკმნა კატეგო-
რიათა ახალი ტიპის სახელმძღვანელო ამისთვის დიდ მოღვაწეს არც დრო
ეშურებოდა და არც ენერგია. როგორი პათოსით არიან ნაკარნახევი მისი სიტ-
ყვები: „სიყუარულისათვის თქვენისა შრომა შემირაცხიეს მე ვანსუენებად“!

ანტონ ბაგრატიონი არასდროს არ რჩებოდა ვალში სხვა ავტორთა წინაშე.
ყველა მის თხზულებაში აღნიშნულია, თუ რომელ ავტორთაგან გამოკრება მან
ესა თუ ის შრომა, რა სახის სამუშაოა ჩატარებული მის მიერ. ამ თვალსაზრი-
სით ძალზე საინტერესოა ანტონ I-ის ფილოსოფიური შრომების შესწავლა.
ხშირად მათ ახლავს ანდერძნამაგები, წინასიტყვები, რომლებშიც ანტონი დე-
ტალურად მიუთითებს, თუ რომელი ავტორები ჰყავს წყაროდ გამოყენებული
და რა სახის სამუშაო ჩატარა მან. ზოგან განავრცო, ზოგან შეამოკლა, ზოგან
გალექსა, ზოგან კი „სხვაგვარებულად“ და „ლექსშეცვალბით“ წარმოად-
გინა საკითხები.

ანტონი არც თავმდაბლურ მობოდიშებას ივიწყებს. „არარაა ჩემისა მ-
სობრძნიეს...“ [88,316] — აცხადებს იგი, თუმცა, როგორც ირკვევა, ბევრი
რამ მისი ორიგინალური ნააზრევია.

ასეთ ვითარებაში, როცა ანტონისთვის ჩვეულებრივი ყოფილა სხვათა ნა-
შრომთა შემოქმედებითად გამოყენება, ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ ეს დიდი
განმანათლებელი ამონიოსის „მოსაკსენებლებსაც“ არ დატოვებდა უუურად-
ლებოდ.

ანტონის სხვადასხვა ფილოსოფიურ თხზულებებში დასტურდება ამონი-
ოსის შრომათა ციტირება, მისი შეხედულებების არგუმენტად გამოყენება. რო-
გორც ჩანს, სხვა მრავალ წყაროთა გვერდით, ანტონი ამონიოსის „მოსაკსენ-
ებლებსაც“ მიმართავს სხვადასხვა ფილოსოფიურ დებულებათა კონსტრუი-
რებისათვის.

ანტონის შრომა „კატილორია სიმეტნე“ ზემოთ მოხსენებული იყო, რო-
გორც ერთ-ერთი წყარო იოანე ბატონიშვილის „კალმასობისა“. მკვლევარი
გ. დედაბრიშვილი დაინტერესებულა ანტონის „კატილორია სიმეტნის“ წყა-
როს ვარკვევითაც. მისი აზრით, „წყარო ნათარგმნ ნაშრომებს შორის უნდა ვე-
ძიოთ. საფიქრებელია, რომ ეს არის... დავით სიბრძნისმოყვარის ანუ უძლევე-
ლის ახსნა პორფირის შეყვანილობისა“ [13,56].

მკვლევრის მოსაზრება ნაწილობრივ შეეფერება სინამდვილეს, რადგან დავით უძღვევლის „ახსნა პორფირის „შეყვანილობისა“ არ არის ერთადერთი წყარო ანტონის შრომისა. იგი მხოლოდ ერთ-ერთია იმათ შორის, რომელთათვისაც მიუძღრათავს ანტონს.

„კატილორია სიმეტნე“ საგულისხმოა გამოყენებულ წყაროთა თვალსაზრისით. წინასიტყვაობაში ანტონის მიერ ნათლად გარკვეულია წიგნის რაობა:

„იპყრობს თვს შორის წიგნი წინამდებარე შეყვანილობას ჩემმიერსა ქუე-თქმულად, ხოლო სამგუართა ფილოსოფოსისათა: კატილორიათ, ახლად ქმნილთა ჩემ მიერ და პორფირითთა, ნამეორებთა ჩემგან, კულად სიმეტნეს ჰსჯილით-ურთ ჩემით ჰრთულთა“ [76,01—04].

„კატილორია სიმეტნე“ ასეთი შედგენილობისაა: 1) ანტონის მიერ შეთხზული კატეგორიები, 2) ანტონის მიერ პერიფრაზირებული პორფირის კატეგორიები (რომელშიც პორფირის შრომა „შესავალი არისტოტელის „კატეგორიებისა“ იგულისხმება) და 3) ანტონის მიერ დამატებული სიმეტნე ჰსჯილით-ურთ.

თითოეული ამ ნაწილის იდეურ-შინაარსობლივი ანალიზი არ წარმოადგენს ჩვენს მიზანს. ოღონდ შევნიშნავთ, რომ სამივე ნაწილში, ამა თუ იმ დებულებების წამოყენებისას იგი ყველგან ასახელებს იმ ავტორს, ვისი შრომითაც ისარგებლა. ეს ავტორები ან სახელდებით იხსენებია: ამონიოს, დავითი ვინმე სომეხთა ფილოსოფოსი, დამასკელი, ვოლფოის, ბაუმესტერ, ანტონი კოვიტი; ან ვინაობის გარეშე: ფილოსოფოსი, სხოლასტიკოსი, ახალნი ფილოსოფოსნი.

ამონიოს ერმისი საკმაოდ ხშირად გამოყენებული ავტორია. ანტონი მას იხსენიებს, როგორც „ამონიოს ფილოსოფოსს“, ან მხოლოდ ამონიოსს, ან „ამონიოს ვინმე ფილოსოფოსს“. ანტონის აღიარებით, მან ამონიოს ერმისის თხზულებებიდან გარკვეული ნაწილი აიღო, სხვა ნაწილი კი — დავით უძღვევლის თხზულებიდან: „არისტოტელითი პაექრობითი თნება არს ხუთთა მიმართ გუართა, რომელთა ახსენებს ამონიოს ფილოსოფოსი, ხუთთა კმათა პორფირიოსისთა განმარტებათა შინა და არიან ესენი: 1) განი, რომელ არს ჰაზრი, 2) საკმარი, 3) წესი, 4) საკუთარი, 5) ზედწარწერა... მე უკუე ხუთთა ამათ არისტოტელითთა პაექრობითთა თნებათა მიმართ აღვიყვანენ კატილორიანი არისტოტელითნი, კ. 16, 17, 18, 19, 21. ხოლო სამნი იგი ძიებანი დავითის ვისმე სომეხთა ფილოსოფოსისაგან, განმარტებასა შინა პორფირიოსის ხუთთა კმათასა მოკსენებულნი., მეცა მოვიკსენენ თანდართვით ხუთთა მათ თანა არისტოტელითთა პაექრობითთა თნებათა“ [76,13]. ანტონის სიტყვებით, მან თავისი კატეგორიები გააწყო სწორედ იმ მეთოდოლოგიური პრინციპების გათვალისწინებით, რომლებსაც ასახელებდა ამონიოს ერმისი პორფირის „შესავლის“ კომენტარებში. ესენია: წიგნის მიზანი, გამოყენება, შედგენილობა, ორიგინალობა და დასათაურება. დანარჩენი სამი: თავთა თანმიმდევრობა, მეთოდოლოგიური მხარე და ის, თუ მეცნიერების რა დარგს განეკუთვნება წიგნი — დავით უძღვევლის წიგნის მიხედვით გაუმართავს მას.

ამონიოსის შრომით ჩანს ნაკარანახევი ის ადგილებიც ტექსტისა, როცა ანტონი პორფირის თვალსაზრისს გადმოსცემს. მაგ.: „თქუა პორფირიოს: „განყოფილება არსო, რომლითა ჰმატს სახე ნათესავსა“. აშკარაა, რომ ამ ადგილის წყარო ამონიოსის შრომაა.

ამონიოსის „მოსაქსენებლებით“ დაინტერესებას ანტონ ბაგრატიონი თავის სხვა შრომაშიც ამაყვანებს. ეს არის „სპეკალის“ სახელით ცნობილი თხზულება. დაწერილი 1752 წ., ხელნაწერი A 1743.

„სპეკალი“ ძალზე საყურადღებო თხზულებაა თავისი შედგენილობით. ვინაიდან ამ თხზულებაში გარკვეულად იკვეთება სხვადასხვა წყაროს გამოყენების ფაქტი, ჩვენ ძალზე სქემატურად წარმოვადგენთ მის სტრუქტურას. ამ მიზნით ნათლად წარმოჩნდება ამ თხზულების წყაროების, მათ შორის ამონიოსის „მოსაქსენებელთა“ ადგილი მის სტრუქტურულ მოდელში.

I. გვ. 1—11, შესავალი, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, რომ ეს წიგნი არის მიძღვნილი ერეკლე მეფისადმი, რომ იგი არმადანია, როგორც ხუთი კმა პორფირისა ხრისავორისის (ამჟამად იგრძნობა ამონიოსის პირველი „მოსაქსენებლის“ გავლენა).

გვ. 24—36, ხუთი ხმის ზიარება და განსხვავება.

გვ. 36—57, პეტრიწის განმარტებანი პროკლეს „კავშირნი ღვთისმეტყველებითნისა“.

გვ. 57—146, დამასკელის კატეგორიები.

ჩამოთვლილი თხზულებები ქმნიან „სპეკალის“ პირველ ნაწილს, რომლის ზოგადი სათაურია „მარტივი მილება“. აქ რამდენჯერმე მითითებულია ამონიოს ერმისი. იგი მითითებულია ხუთი ხმის განხილვასთან დაკავშირებით. არსების, გვარის, სახის, ძირითადი ნიშნის, არაძირითადი ნიშნის ანტონისეული კვალიფიკაცია აერთიანებს აზრებს ამონიოს ერმისის „მოსაქსენებლებიდან“ და დავით უძლველის წიგნიდან „ახსნა პორფირის „შეყვანილებისა“.

II. გვ. 146—190, შეთხზვა, რომელ არს კერძო მეორე კატილორიათა.

III. 190—223, სულლოგიზმოა. ესე ნაწილი მესამე კატილორიათა.

მეორე და მესამე ნაწილებს ერთვის ანდერძი:

„ორნი ესე ნაწილი კატილორიათანი 2 და 3 არა იყუნეს დროთა ჩვენთა ქართულთა ზედა კმათა. და სხვათა ენათაგან გარდამოღება ევაქმნიე ვისმე და დავლექსენ მასვე კანონსა ზედა ლექსშეცვალობით და სხვაგვარებულად“. ცნობილია, რომ ანტონმა „სპეკალის“ ეს ნაწილები გადმოაღებინა სიმეონ ჭულფელის „დიალექტიკიდან“.

„სპეკალის“ ამ ორი ნაწილის შედარების შედეგად სიმეონ ჭულფელის აღნიშნულ შრომასთან ასეთი სურათი გამოვლინდა: II ნაწილი „შეთხზვა“ თავთა მიმდევრობით მიყვება ჭულფელის შრომას, მაგრამ მათ შორის სხვაობასაც აქვს ადგილი. ანტონის თხზულება მეტია ჭულფელის შრომაზე. ცხადია, ანტონი ამ უკანასკნელის გარდა სხვა წყაროებსაც იყენებს. III ნაწილში კი, „სულლოგიზმოში“, სრული დამთხვევაა ანტონისა და სიმეონ ჭულფელის შრომებს შორის.

გვ. 224—234, ფილოსოფიის რაობა და განსაზღვრებანი. ამ ნაწილში ანტონ ბაგრატიონი მხოლოდ ამონიოს ერმისის „მოსაქსენებლებს“ იყენებს. ამაზე თვითონ შენიშნავს: „მესაკმარაო ამონიოს ერმისისა განსაზღვრებანი“ [88,225].

გვ. 234—240, ფილოსოფიის დაყოფა. ხედვითი და საქმიითი ფილოსოფიის დარგები არ ემთხვევა იმ კლასიფიკაციას, რომელიც დასტურდება ამონიოსის თხზულებაში. ამ ადგილას ანტონი იმოწმებს შემდეგ ავტორებს: იოანე დამასკელს, გრიგოლ ნოსელს, თომა აქვინელსა და სკოტ ერიუგენას.

გვ. 240—317, რა არის დიალექტიკა? ეს ნაწილი ისევ სიმეონ ჭულფელის შრომას ემთხვევა.

გვ. 317—372, სულისათვის. აქ მოხსენებულია იოანე დამასკელი და მაქსიმე აღმსარებელი.

„სპეკალს“ ახლავს ანდრეი ავტორისა: „მიიღე ესე სამნაწილობითი ფილოსოფია: 1) მარტივიმდებამ, 2) თხზულებამ, 3) სილოგიზმომ... არარაჲ ჩემისაებრ... მისობრძინეს., არამედ რავეცა ვისმინე ლათინთაგან ფილოსოფოსთა და ზაქარიას ვისმე სომეხთა მოძღვრისა, რომლისაგან აღმექსნა მე დაფარულებამ არისტოტელისაგამოთა სიბრძნეთა და სხვათა მიერ ვიეთმე მეცნიერთა იგი შეკრებით განვაწყვე“ (გვ. 316).

საყოფადღებოა ანტონის მითითება საკუთარი შრომის წყაროებზე. ესენია: ლათინი ფილოსოფოსები, ზაქარია ვინმე სომეხთა მოძღვარი და სხვანი ვიეთნი მეცნიერი. ცნობილია ზაქარია მოძღვრის როლი. გამოკვლევის სხვა ადგილას აღნიშნული გვაქვს, რომ იგი ეხმარებოდა ანტონს სიმეონ ჭულფელის „დიალექტიკის“, შესაძლოა დავით უძლეველის „აქსნა პორფირის“ შეყვანილობისას. ქართულად გადმოღებაში.

ვინ არიან ის ლათინი ფილოსოფოსნი და ვიეთნი მეცნიერი? ლათინთა შორის აღბათ იგულისხმება ისინი, ვისაც თვითონ ასახელებს ტექსტის სხვადასხვა ადგილას. ესენია: თობა აქვინელი, სკოტერიოვენი, ანტონი კოვიდი. სხვა მეცნიერთა შორის კი გულისხმობს ამონიოს ერმისს, იოანე დამასკელს, პეტროფსა და სხვათა.

თვალნათლივ გამოიკვეთა ის ფართო დიაპაზონი, რომლითაც ანტონს შეუდგენია თავისი თხზულება. ქართველ ფილოსოფოს-მთარგმნელთა გარდა, მას უსარგებლია სომხური წყაროებით, ასევე დასავლეთ ევროპის გამოჩენილ ფილოსოფოსთა შრომებით. საფიქრებელია, რომ ამ უქანასკნელთ იგი ლათინური დედნებიდან იცნობდა (გამორიცხული არაა ლათინ მისიონერთა ჩარევა ამ საქმეში) და არა მათი რუსული თარგმანებით, რადგან „სპეკალი“ დაწერილია 1752 წ. ანტონის რუსეთში გამგზავრების წინ, ე. ი. მანამ, სანამ ანტონი რუსულ კულტურულ-სამეცნიერო გარემოს ეზიარებოდა.

ხაზი უნდა გავსვას იმ გარემოებას, რომ მიუხედავად იმისა, რომ ანტონი ხშირად მიმართავს ახალ ფილოსოფოსებს (ეგულისხმობთ დასავლეთ ევროპელ მოაზროვნეებს), იგი მაინც უპირატესობას ძველ ფილოსოფოსებს, მათ ძველ თარგმანებსა და კომენტარებს ანიჭებს. აი, რას გვამცნობს ანტონი თავის „ღვთისმეტყველებაში“: „მითქმენ, ვითარმედ ცნობანი არისტოტელიტთა და პლატონიკელთანი უმჯობეს არიან ცნობასა ახალთა ფილოსოფოსთასა. ამისთვის უმჯობეს არს ჩუენდა შედგომამ მათი, ვიდრეღა ახალთა ფილოსოფოსთა“ [80,13].

ანტონის მიერ ძველ ფილოსოფოსთა ნააზრევის უპირატესობის ასეთმა აღიარებამ თუ განაპირობა ის ფაქტი, რომ იგი ხშირად მიმართავს ამონიოსის შრომებს, მოპყავს მისი შეხედულებანი ამა თუ იმ საკითხზე თავისი შეხედულების დასამტკიცებლად. არ ერიდება ძველ ავტორთა ციტირებას, მიუხედავად იმისა, რომ ანტონის ქრისტიანულ-ორთოდოქსალური რწმენა ზოგადად არ იწყნარებდა პორფირისა და ამონიოსის ნააზრევს და რწმენის ნიადაგზე კრიტიკულადაც კი იყო მათდამი განწყობილი. „გარემიქტევიან განკარგვათა ჩუეულებითთა ფილოსოფიისათა და უმეტეს პატივ-მსცემენ მცირათა მათ ხრიზოპორიუს მიმართ მოსაქსენებელად პლატონურისა ცნობისა მიწერილთა“

პორფირიოსგან ელლინისა და განმარტებასა მისსა ამონიოსისაგან, რომელსა შინა მრავალსა ადგილსა ჰქადაგებს მრავალმრთეებასა და უპატივო ჰყოფენ სინერგულესა ნამდულ ქეშმარტიისა ფილოსოფიისა“ [80,13]—შენიშნავს ანტონი.

აი, როგორ შეფასებას აძლევს ანტონი ამ ორ ნეოპლატონიკოს მოღვაწეს. და მიუხედავად რწმენისა, ანტონ ბაგრატიონს პროგრესული, მეცნიერულ-მოქალაქეობრივი მრწამსი ჰქარანახობდა, რომ პორფირიოსა და ამონიოსის ფილოსოფიური მოძღვრება ამა თუ იმ სახით მიეწოდებინა ქართველი საზოგადოებისათვის.

მეორე დიდი ქართველი მწერალი, რომელმაც სათანადო ყურადღება მი-აქცია და თავისი შრომის წყაროდ გამოიყენა ამონიოსის „მოსავსენებლები“, არის სულხან-საბა ორბელიანი.

! სულხან-საბა ორბელიანს თავისი ლექსიკონის დამუშავების დროს ფილოსოფიურ ცნებათა გამომხატველი ტერმინები და მათი განმარტებანი სხვა ფილოსოფიური წიგნების პარალელურად ამოუკრებია ამონიოსის თხზულებებიდანაც [35,208—211; 26]. სულხან-საბას ლექსიკონის სხვადასხვა რედაქციებში სხვადასხვანაირად აისახა ამონიოსის ტექსტებზე შეშაობის შედეგები. სულხან-საბას ლექსიკონის რედაქციებს სპეციალური წერილი უძღვნა ელ. მეტრეველმა. როგორც მკვლევარმა გაარკვია, სულხან-საბას ამონიოს ერმისის თხზულებათა შემცველი ერთ-ერთი ნუსხით, კერძოდ, A 250-ით უსარკებლია.

ელ. მეტრეველის სიტყვებით, „ამონიოსის ორივე თხზულება: „მოსავსენებლები“ „ნუთთა კმათადმი“ პორფირი ფილოსოფოსისათა“ და „მოსავსენებელი „ათთა კათილორიათადმი“ არისტოტელისთა“ ლექსიკონის უძველეს D რედაქციაში, როგორც ლექსიკოლოგიური მასალის წყარო, შესული არ არის. ორივე წყარო განოყენებულია და დამოწმებული პირველად ლექსიკონის C რედაქციაში. ამონიოსის თხზულებები ამ ლექსიკონში დამოწმებულია, როგორც „ამონიოსის კათილორია“ და „სხვა კათილორია“ [32,33]. ამასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ, რომ სულხან-საბა ამონიოსის თხზულებებს ზოგჯერ იმოწმებს როგორც „კათილორიას“, ე. ი. ისევე, როგორც იოანე დამასკელის „დიალექტიკას“, ზოგჯერ კი წყაროს საერთოდ არ ასახელებს.

სულხან-საბას სულ 40-მდე ტერმინი აქვს აღებული ამონიოსის თხზულებებიდან.

I „მოსავსენებლიდან“ სულხან-საბას ლექსიკონში შესულია შემდეგი სიტყვები:

ილისტიკი	რიტორება	ცანკუჰულელი
იპპოკენტავროს	საჰირო	წიალი
მარტივი	სტეჰობა	ჰულელი
მეზრიკეობა	ფოთე	ხუთნი კმანი
ოსტრიდი	ცანკვილი	

II „მოსავსენებლიდან“ ლექსიკონში შესული სიტყვებია:

ბუშქუი	დრომიკოსი	ექსი
ღიათე	ეანტოჲ	ზმილი
ღისულა	ელატი	თუა
ღოტიკა	ერო	კატევეთიად

კვეოა	ნარდომ ყოფა	პელაპონისური
ლილმა	ოდისეოჲს	სპონგინი
ლუკია	ორთი	პორიზმა
მიონაჲ	პაექრობა	პურიანი

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამათ გარდა, კიდევ ოთხი ტერმინი არის აქედან აღებული. ესენია: სასახლისჭულო, საყოფაქცეოა, ყოფაქცევა, ცხოვლენრგი. ამ ტერმინებთან წყარო მითითებული არაა და არც ამონიოსის განმარტება არის ზუსტად გადმოღებული. თუმცა საბასეული განმარტება ძალიან ჰგავს ამონიოსის ტექსტში არსებულ განმარტებას.

როგორ არის განმარტებული ან დამოწმებული საბას მიერ ის 40 ტერმინი, რომელიც აშკარად ამონიოსის ტექსტიდან არის აღებული?

უმრავლეს შემთხვევაში სულხან-საბას ამონიოსის ტექსტიდან აღებული ტერმინი იმავე ტექსტში მოცემული განმარტებით გადმოაქვს. იქვე მიუთითებს წყაროს. როცა ტერმინი „მეორე მოსაკვენებლიდან“ არის აღებული, წყარო აუცილებლად დამოწმებულია როგორც „სხვა კათილორია“. ორ სიტყვასთან (ელატიჲ პურიანი) დასახელებული აქვს „კათილორია“, ხოლო „ლოტიკას“ უწერია — „ამონიოსის კათილორია“.

რაც შეეხება პირველი „მოსაკვენებლიდან“ აღებულ ტერმინებს, ზოგ მათგანს ახლავს ამონიოსისეული განმარტება. იხ. ილისტიკი, იპოკენტავროს, მარტივი, რიტორება. ეს ტერმინები ზუსტად, უცვლელად გადმოღებულია ტექსტიდან, ზოგ ლექსიკურ ერთეულს კი, რომლის მზამზარეული განმარტება ტექსტში არ იყო, საბა თვითონ განმარტავს. ასეთია: ფოთე, ცანკვილი, კუღლე, წიაღი და სხვა. პირველი „მოსაკვენებლიდან“ აღებულ ტერმინთა დამოწმება უფრო არეულად არის წარმოდგენილი, ვიდრე მეორე „მოსაკვენებლიდან“. ზოგი ტერმინის წყაროდ დამოწმებულია „ამონიოსის კათილორია“, ზოგის — „კათილორია“, ზოგი „სხვა კათილორიით“ არის აღნიშნული, ზოგთან წყარო სულ არ არის მითითებული.

სულხან-საბას თავისი ლექსიკონის ანდერძნამაგში დასახელებული აქვს წყაროები, რომლებითაც უსარგებლია მას ფილოსოფიურ ცნებათა განმარტებისას: „რომელიმე ღრმათა ფილოსოფოსთა წიგნებთაგან და ლუთისმეტყულებათა, კავშირთა პროკლეს პლატონურთა დიოდოროსთა, არისტოტელისა და პორფირის კათილორიათაგან გამოვიღე, ნემესიოს და იოანე დამასკელის პლატონური სიტყვის საქცევები აღვწერე...“ [45,32].

ამ ანდერძნამაგში მოხსენებულია არისტოტელესა და პორფირის კათილორიანი, მაგრამ როგორც ელ. მეტრეველია აღნიშნა, ეს თხზულებები არ არის უშუალოდ არისტოტელეს და პორფირის შრომები, არამედ ამონიოსის კომენტარები არისტოტელესა და პორფირის ნაწარმოებებისა. მკვლევარმა აღნიშნა თავისი ძიების შემამაგრებელი გარემოებაც, რომ „ქართულ ენაზე არისტოტელეს „კატეგორიების“, თარგმანი ამ დროისათვის სრულიად არ არის ცნობილი; ხოლო პორფირის „კატეგორია“ პირველად ითარგმნა 1734 წ. ზურაბ შანშოვანის მიერ“ [34,33]. ამჟამად ეს განცხადება უნდა დაზუსტდეს, რადგან როგორც გამოიჩვენა, პორფირის თხზულება X.II ს-ში უკვე თარგმნილი იყო ქართულად. ხოლო რაც შეეხება არისტოტელეს „კატეგორიებს“, შეიძლება არსებობდა მათი პეტრიწისეული თარგმანი, როგორც ამას აღორძინების ხანის მწერლები აცხადებენ. მაგრამ მიუხედავად ამისა, ძალაში რჩება

ეს თვალსაზრისი, რომ საბას ანდერძში მოხსენებული „კატეგორიების“ ქვეშ უნდა ვეცარაუღოთ ამონიოსის კომენტარები არისტოტელეს და პორფირის შრომებისა. სულხან-საბა ორბელიანმა, მიუხედავად პორფირისადმი თავისი ნეგატიური დამოკიდებულებისა, სავანეებოდ დაამუშავა პორფირისა და არისტოტელეს შრომების ამონიოსისეული კომენტარები. მან მთელ რიგ ფილოსოფიურ ცნებათა ამონიოსისეული განმარტებანი შეიტანა თავის „სიტყვის კონაში“.

ამონიოს ერმისის „მოსაკვენებელთა“ ნეოპლატონურ მსოფლმხედველობას. იქ განხილულ ესთეტიკურ და მეცნიერულ შეხედულებებს, როგორც აღვნიშნეთ, უთუოდ გამოძახილი ექნებოდა ქართულ მხატვრულ მწერლობაშიც. ძიება ამ მხრივ არ გვიწარმოებია.

მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ნიმუშს, თუ როგორ შეიძლებოდა ასახულიყო ამონიოს ერმისის მსოფლმხედველობრივი და მეცნიერულ-ესთეტიკური შეხედულებანი ქართულ მხატვრულ ლიტერატურაშიც. „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ცნობილ სტროფში დასტურდება „უქამო ჟამი“. ამ ცნების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, მაგრამ, ამჟამად მათ განხილვა არ წარმოადგენს ჩვენს ინტერესს. ნეოპლატონური აბოფატიკურ-კატაფატიკური აზროვნების არსენალიდან აღებული ეს სახე დადასტურდა ამონიოს ერმისის „პირველ მოსაკვენებელში“. იმ ადგილას, სადაც მსჯელობაა ლოგიკის თაობაზე, კერძოდ იმაზე, ლოგიკა ფილოსოფიის იარაღია თუ ნაწილი, ამონიოს ერმისი შენიშნავს, რომ ამ საკითხს იგი სხვაგან განიხილავს. აი, სწორედ ამ ადგილას, ერთ-ერთ ბერძნულ ნუსხაში (D) წერია: $\epsilon\nu\alpha\mu\epsilon\tau\alpha\ \tau\epsilon\iota\sigma\ \tau\alpha\ \nu\ \tau\eta\ \varphi\iota\lambda\sigma\sigma\varphi\iota\alpha\ \kappa\alpha\iota\ \tau\eta\ \epsilon\iota\lambda\alpha\varphi\alpha\varphi\eta\ \rho\alpha\pi\iota\epsilon\varphi\alpha\delta\epsilon\upsilon\sigma\alpha\upsilon$. “O $\chi\rho\acute{o}\nu\sigma\ \eta\ \tau\alpha\ \kappa\epsilon\ \chi\rho\acute{o}\nu\sigma\ \epsilon\iota\ \chi\rho\acute{o}\nu\sigma$, $\tau\epsilon\ \tau\ \delta\acute{\upsilon}\nu\alpha\iota\ \alpha\upsilon\tau\omega\iota\ \tau\alpha\ \chi\alpha\rho\ \epsilon\ \nu\ \tau\iota\upsilon\ \epsilon\tau\epsilon\rho\alpha\zeta\ \varphi\alpha\sigma\sigma\alpha\zeta\ \acute{\epsilon}\lambda\epsilon\upsilon\ \alpha\ \delta\ \sigma\upsilon\rho\acute{\epsilon}\ \epsilon\ \nu\ \mu\epsilon\delta\iota\ \mu\upsilon\sigma\alpha$, $\acute{\alpha}\lambda\iota\ \tau\alpha\ \kappa\epsilon\ \chi\rho\acute{o}\nu\sigma$. $\acute{\alpha}\lambda\iota\ \epsilon\iota\ \tau\omega\iota\sigma\ \epsilon\sigma\tau\alpha\ \delta\ \chi\rho\acute{o}\nu\sigma\ \delta\ \acute{\alpha}\chi\rho\iota\sigma\ \delta$, $\sigma\iota\pi\epsilon\ \acute{\alpha}\tau\omicron\pi\omicron\upsilon$. $\kappa\epsilon\ \chi\rho\acute{o}\nu\sigma\ \acute{\epsilon}\lambda\epsilon\upsilon\ \delta\ \chi\rho\acute{o}\nu\sigma$. $\acute{\alpha}\delta\ \mu\epsilon\rho\epsilon\zeta\ \kappa\epsilon\ \acute{\alpha}\lambda$, $\tau\omega\iota\sigma\ \delta\ \tau\omega\iota\ \mu\epsilon\lambda\delta\iota\varphi\omega\iota\ \epsilon\sigma\tau\iota\upsilon\ \text{CA}_1$ 22, 24— შემდგომ ამისა მიზანი ფილოსოფიისა და წინასიტყვა შესაყვანებლისა. ჟამი ჟამსა შინა ან არა ჟამსა შინა. ჟამსა შინა! თუ ჟამსა შინა, რა არის მისი ბუნება? მასში [მყოფი] სხვა ბუნებისაა, როგორც ცეცხლი წყლიან ქურჭელში. ხოლო თუ არა ჟამსა შინა? და თუ ესრეთ არის, მაშინ უქამო ჟამია, რაც უადგილოა. ჟამი ჟამსა შინა არის, როგორც კერძო საყოველთაოსა შინა. ხოლო ეს ლეთისმეტყველებისა არს.

ამ სიტყვების ავტორიტის „უქამო ჟამის“ გააზრება თეოლოგიის სფეროს განეკუთვნება: „ლეთისმეტყველებისა არს“. ამ სახის გაგება აბოფატიკური აზროვნებით არის ნაკარნახევი. „უქამო ჟამი“ უადგილო არსო, შენიშნავს ავტორი, რაც ნიშნავს იმას, რომ მას განზომილება არ გააჩნია. ავტორის ღრმა რწმენით, ჟამი არის ჟამსა შინა, როგორც კერძობითი საყოველთაოში, ხოლო „უქამო ჟამი“ განზომილების გარეშეა, „უქამო ჟამს“ ასეთივე გაგებით ხმარობს იოანე იტალოსი [23,104]. ასეა თუ ისე, ჩვენთვის ამჟამად მხოლოდ ის საკითხია საინტერესო, რომ რუსთველის ეპოქის ქართული სინამდვილე იცნობდა გვიანი ანტიკური სამყაროდან მიღებულ ამ მზამზარეულ სიმბოლოს. უქამო ჟამი ($\delta\ \chi\rho\acute{o}\nu\sigma\ \delta\ \acute{\alpha}\chi\rho\iota\sigma$) ამონიოსის „მოსაკვენებელთა“ ბერძნულ ხელნაწერში გვაქვს.

ამრიგად, ამონიოს ერმისის „მოსაკვენებლების“ სახით ქართულმა მწერლობამ გაიციწო ნეოპლატონიზმის აღექანდროული სკოლისთვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობა, ცნო ლოგიკური კატეგორიებით აზროვნების აუცილებლობა.

ს ა ბ ო ლ ო დ და ე ა ს კ ე ნ ი თ:

XII ს-ში ბერძნულიდან ქართულად ითარგმნა ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის, ალექსანდრიული სკოლის წარმომადგენლის, ამონიოს ერმისის ორი თხზულება: „მოსაცხენებელი „ხუთთა კმათადმი“ პორფირი ფილოსოფოსისათა“ და „მოსაცხენებელი „ათთა კატილორითადმი“ არისტოტელისათა“.

ამონიოს ერმისი მოღვაწეობდა 445—526 წწ. იგი ცნობილია როგორც პლატონის, არისტოტელესა და პორფირის შრომათა კომენტატორი, ფრიად განათლებული პიროვნება და პედაგოგი. ამონიოსის მოძღვრება შემორჩენილია მისი მოწაფეების მიერ ჩაწერილი ლექციებით. ალექსანდრიული სკოლის მეცნიერული და პედაგოგიური საქმიანობის სისტემა ითვალისწინებდა ანტიკურ მოაზროვნეთა მემკვიდრეობის დამუშავებას, კომენტირებას. ისინი გარკვეულად ცდილობდნენ პლატონისა და არისტოტელეს ნააზრევის სიმფონიას სამყაროს არსებობისა და შეცნობის საქმეში. საგრძნობია ამონიოს ერმისის გავლენა მომდევნო თაობათა წარმომადგენლებზე, როგორებიც იყვნენ: ოლიმპიოდორე, ფლოპონი, ასკლეპიოსი, დავით უძლეველი, ელიასი, სტეფანე ალექსანდრიელი და სხვ.

ამონიოს ერმისის ნაწარმოებთა თარგმნა საყურადღებო ფაქტია. როგორც ჩანს, XII ს. ქართველი საზოგადოება დაინტერესებული იყო წმინდა ფილოსოფიით, თეოლოგიასთან შეუზღვებელი მოძღვრებით. ამონიოსის „მოსაცხენებლებში“ კი სწორედ ის საკითხია განხილული, რომ გონებით, ლოგიკური კანონებით შესაძლებელია სამყაროსა და მისი მოვლენების შეცნობა. გზა ამისთვის არც ფილოსოფია. ამონიოსის ნაწარმოებთა ქართულ თარგმანებს თავისი განსაკუთრებული ადგილი უკავიათ იოანე დამასკელის „დაილაქტიკის“ ეფერემ მცირისა და არსენ იყალთოელის თარგმანების, არეოპაგიტული კორპუსის ეფერემ მცირის თარგმანისა და პროკლეს „ღვთისმეტყველებით კავშირთან“ იოანე პეტრიწისეული თარგმანის გვერდით.

ამონიოსის „მოსაცხენებლების“ მთარგმნელის ვინაობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მკვლევართა ერთი ნაწილი ამ თხზულებათა მთარგმნელად იოანე ტარიჭისძეს აცხადებს (კ. კეკელიძე), მეორე ნაწილს კი მიაჩნია, რომ მთარგმნელია იოანე პეტრიწი (ს. გორგაძე, ივ. ლოლაშვილი).

ქართული წერილობითი წყაროებიდან ცნობილია მხოლოდ ის ცნობა, რომ იოანე ტარიჭისძე იყო მთარგმნელი და ეფერემ მცირის, თეოფილესა და არსენ იყალთოელის თანამედროვე. ეს ცნობა დაცულია სულხან-საბა ორბელიანის მინაწერში „ქართლის ცხოვრებაზე“ და ერთ მე-17 ს. ხელნაწერში. მასვე იმეორებენ ანტონ კათალიკოსი და იოანე ბატონიშვილი. ამ ცნობის მიხედვით ირკვევა მხოლოდ იოანე ტარიჭისძის მოღვაწეობის ხანა. სხვა არაფერი!

პირველი ცნობა, თუ რა ნაწარმოებები თარგმნა იოანე ტარიჭისძემ, ეკუთვნის პლ. იოსელიანს. მაგრამ მეცნიერებმა სამართლიანად უარყვეს პლ. იოსელიანის შეხედულება იოანე ტარიჭისძის შემოქმედებით პროდუქციაზე.

კ. კეკელიძემ იოანე ტარიჭისძე აღიარა ამონიოსის „მოსაცხენებელთა“ მთარგმნელად.

ივ. ლოლაშვილმა უარყო ეს თვალსაზრისი და „მოსაცხენებელთა“ მთარგმნელად იოანე პეტრიწი მიიჩნია. ეს მოსაზრება გამოთქმულია ორი არგუმენ-

ტის საფუძველზე: ერთია ანტონ ბაგრატიონის ცნობა, რომ იოანე პეტრიწმა თარგმნა ამონიოსის წიგნები, და მეორეა ლიტერატურული პარალელის არსებობა ამონიოსის წიგნებსა და პეტრიწის „სათნობათა კიბეს“ შორის. მაგრამ თავის მხრივ, ანტონ ბაგრატიონის ცნობა საეჭვოა, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ დიდ განმანათლებელს თავისი განცხადების დამადასტურებელი დოკუმენტური მოწმობა არ დაუტოვებია.

ამდენად, ანტონის ინფორმაციის გამზიარებელს ხელში რჩება მხოლოდ იმედი ან ვარაუდი, რომ ანტონისათვის უცილობლად ცნობილი უნდა ყოფილიყო მისი შეხედულების დამადასტურებელი რაიმე საბუთი.

მაგრამ ამ საბუთს არ ვიცნობთ ჩვენ... ამას გარდა, ამონიოსის თხზულებათა შემცველი ყველა ხელნაწერი ბოლონაკლული იყო მის დროსაც. ანდერძ-მინაწერების უქონლობის გამო ანტონისთვისაც უცნობი უნდა ყოფილიყო მათი მთარგმნელის ვინაობა. ეტყობა, რაკი ეს თარგმანები ენობრივ-სტილისტურად ძალიან ჰგავს იოანე პეტრიწის ნაწერებს, ანტონ კათალიკოსმა მათ თარგმნა იოანე პეტრიწს მიაწერა.

რაც შეეხება ლიტერატურულ პარალელის არსებობას, იგი პეტრიწის სასარგებლოდ ვერ გადაჭრის საკითხს. პლატონის ცნობილ ინტერპრეტაციას ფილოსოფიისას: „ფილოსოფოსობა არს ზრუნვაჲ სიკუდილისაჲ“, მთელ შუასაუკუნეებში იმეორებდნენ სხვადასხვა სკოლის ფილოსოფოს-კომენტატორები. ამიტომ ბუნებრივია, რომ იგი სცოდნოდა იოანე პეტრიწს „მოსაჯენებლებისაგან“ დამოუკიდებლადაც.

ჩვენი აზრით, „მოსაჯენებელთა“ მთარგმნელი არაა იოანე პეტრიწი. „მოსაჯენებელთა“ და იოანე პეტრიწის შრომების ენის გარეგნული მსგავსება ძალზე მაცდუნებელია, მაგრამ არის მთელი რიგი განსხვავებული ენობრივი და ლექსიკოლოგიური ფაქტები, რომლებიც მიგვანიშნებენ, რომ „მოსაჯენებლების“ მთარგმნელი პეტრიწი არაა.

ამდენად, ამონიოსის თხზულებების მთარგმნელის ვინაობის საკითხი დღესდღეობით ღიად რჩება.

* * *

ამონიოსის „მოსაჯენებლები“ დაცულია 11 ხელნაწერში. ტექსტის დასადგენად გამოყენებულია 4 ნუსხა: A — S 2562, B — A 406, C — A 250, D — S 145. ამათგან, უძველესი S 2562 (XIII ს.) არის არქეტიპი ყველა სხვა ნუსხისა. იგი გადაწერილია უფრო ადრინდელი ნუსხიდან, შესწორებული-რედაქტირებულია XVIII ს-ში. BC ნუსხები გადაწერილია A ნუსხის რედაქტირების შემდეგ, ხოლო D ნუსხა გადაწერილია მანამ, სანამ A ნუსხას განაახლებდნენ.

ორივე ნაწარმოების ტექსტი ბოლონაკლულია ხელნაწერებში.

* * *

ქართული თარგმანების რაობის წარმოსაჩენად ისინი შედარებულია ბერძნულ ორიგინალთან, რომლის უკანასკნელი გამოცემა ეკუთვნის ადოლფ ბუსეს. თარგმანების ტექსტები ზუსტად არ მისდევენ ბერძნულ გამოცემას. ტექსტოლოგიური ძიებით აშკარა გახდა, რომ ქართული თარგმანების წყაროს ისეთი ბერძნული ნუსხა წარმოადგენს, რომელიც ა. ბუსეს გამოცემაში

გათვალისწინებული არ არის. ამდენად, ქართულ თარგმანს დიდი მნიშვნელობა აქვს თვითონ ბერძნული ორიგინალის გამართვისა და დაზუსტებისათვის.

ქართული თარგმანი შესრულებულია იმ ენობრივ-სტილისტური ნორმებით, რაც დამახასიათებელი იყო პეტრიწონული სკოლისათვის.

„მოსაქსენებლებში“ წარმოდგენილია ფილოსოფიურ-მეცნიერული აზროვნებისთვის დამახასიათებელ ზოგად ცნებათა გამოხატველი ტერმინოლოგია, წარმოდგენილია ფილოსოფიური ენა. ქართული ლექსიკა მაქსიმალურად არის გამოყენებული, უაღრესად გაზრდილია სიტყვათწარმოებით საშუალებათა არე, ქართული ძირებისა და აფიქსების ვარიანტების გზით გადმოცემულია ბერძნული ტერმინები. ამასთანავე საგრძნობია ბერძნული ორიგინალის გავლენა: ხშირია ბერძნულის კალკები, უთარგმნელად გადმოსული სიტყვები, ბერძნულის ანალოგიური რთული სინტაქსური კონსტრუქციები: უშემასმენლო წინადადებები, მიმღობური და ინფინიტური კონსტრუქციები და სხვ.

ქართულ ტექსტებში არტულ იშვიათია სხვადასხვა ფაქტორით გაპირობებული ხარვეზები, ტექსტობრივი ხასიათის შეცდომები. ყველა შემთხვევაში, როცა საგრძნობი იყო შეცდომების შექანიკური ხასიათი, ისინი გასწორებულ იქნა.

•

„მოსაქსენებლები“ თავიანთი შინაარსით, იქ დასმული პრობლემებითა და დებულებებით, ძალზე საყურადღებო ფილოსოფიურ ძეგლებს წარმოადგენენ. არისტოტელესა და პორფირის კატეგორიების კომენტარების გარდა, ამ თხზულებებში განხილულია მრავალი სხვა, შუასაუკუნეობრივი ფილოსოფიისათვის ნიშანდობლივი პრობლემა. უპირველეს ყოვლისა, მოცემულია ფილოსოფიის ექვსი განსაზღვრება, რომლებიც წარმოადგენენ პლატონის, არისტოტელესა და პოთაგორას გამონათქვამებს ფილოსოფიაზე.

შუა საუკუნეთა განათლების სისტემის ისტორიის შესწავლის მიზნით ძალზე საყურადღებოა ფილოსოფიისა და მეცნიერებათა ურთიერთმიმართების საკითხი, მეცნიერებათა კლასიფიკაცია, მთელი ის მეცნიერული ცოდნა, რაც მოცემულია ამონიოსის თხზულებებში. მეცნიერების ცნების ქვეშ ორგვარი სიბრძნე, ცოდნა იგულისხმება: 1. მარადიულ, უცვლელ კანონზომიერებათა ცოდნა, რომელსაც „ზედმიწვეულობა“ ტერმინი გამოხატავს და 2. ცვალებად, კონკრეტულ საგანთა და მოვლენათა ცოდნა, რომელიც „კვლოვნება“ ტერმინით არის გადმოცემული.

არის მესამეგვარი ცოდნა. ეს არის ოსტატობასთან, ხელოსნობასთან დაკავშირებული ცოდნა. ყოველგვარი ცოდნის საფუძველი ფილოსოფიაა.

• • •

ფილოსოფია, ამონიოს ერმისის მიხედვით, ორ ნაწილად იყოფა: ერთია თეორიული ფილოსოფია, მეორე — პრაქტიკული. ლოგიკა ფილოსოფიის იარაღია მხოლოდ და არა მისი ნაწილი.

თეორიული ფილოსოფიის მიზანია ჰეგელმარტიზმისა და არაჰეგელმარტიზმის გარკვევა, ხოლო პრაქტიკულისა — სიყვითისა და ბოროტების გამიჯვნა. თეორიული ფილოსოფიის დარგებია: თეოლოგია, მათემატიკა და ფიზიოლოგია. ავტორი ვრცლად მსჯელობს მათემატიკის ნაწილებზე. ესენია: გეომეტრია, ასტრონომია, მუსიკა, და არითმეტიკა. მათი სასწავლო ობიექტი განხაზღვრულია უცრაობასა და მოძრაობაში მყოფი, ასევე დაძოვნილებლად ან რაიმესთან ძმობაში მყოფი რიცხვებით.

პრაქტიკული ფილოსოფიის დარგებია: ეთიკა, ეკონომიკა და პოლიტიკა. მეცნიერებათა ამონიოსისეულ კლასიფიკაციაში წარმოდგენილია შვიდი „თავისუფალი“ ხელოვნება, ცნობილი ტრიუმი და კვადრიუმი, რაც შუა საუკუნეთა განათლების სისტემის აუცილებელ პროგრამას წარმოადგენდა.

•

ამონიოსის „მოსაყენებლები“ მდიდარ მასალას შეიცავს სამეცნიერო-საბუნებისმეტყველო დისციპლინათა განვითარების ისტორიის თვალსაზრისით, აქ დატულია გარკვეული მეცნიერული ცოდნა მათემატიკის, მუსიკის, ფიზიოლოგიის, ლიტერატურისმცოდნეობის, გრამატიკის თუ სხვა სფეროდან. მართალია, ეს მასალა დამოუკიდებელი სახით არ გვხვდება, ისინი მოტანილია როგორც საილუსტრაციო მასალა სხვადასხვა ლოგიკური ცნებების ანალიზის დროს, მაგრამ მეცნიერული ხასიათის ეს მსჯელობანი იმდენად ვრცელია, რომ მათ გარკვეული როლი და მნიშვნელობა აქვთ ამ მეცნიერებათა ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

„მოსაყენებელთა“ მთავარ მსოფლმხედველობრივ საკითხს წარმოადგენს ლოგიკურ კატეგორიების რაობისა და ჰეგელმარტიზმის წვდომის მიზნით მათი გამოყენების საკითხი. მათი ანალიზი დაფუძნებულია ზოგადისა და კონკრეტულის მიმართებაზე. რომელს ეკუთვნის რეალური არსებობა, რომელია პირველადი: ზოგადი თუ კონკრეტული? უნივერსალიები არსებობს ante rem თუ post rem? ამონიოს ერმისი ითვალისწინებს პლატონისა და არისტოტელეს თვალსაზრისს ამ საკითხზე, ცდილობს არისტოტელეს მატერიალისტური პოზიციის შერიგებას პლატონის იდეალიზმთან. ამონიოს ერმისი ზოგადასა და კონკრეტულს ზომიერი რეალიზმის პოზიციებიდან განიხილავს.

„მოსაყენებლები“ ლოგიკურ-ფილოსოფიური პრობლემების შესწავლა სპეციალურ კვლევას მოითხოვს. ჩვენს მიერ მხოლოდ რამდენიმე ფილოსოფიური ტერმინია შესწავლილი.

• • •

„მოსაყენებელთა“ ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიურმა შესწავლამ გამოამჟღავნა, რომ აუცილებელია კორექტივის შეტანა პორფირის (III ს.) ნაწარმოების „ხუთთა კმათას“ ქართული თარგმანის ისტორიაში.

გავრცელებული შეხედულების თანახმად, პორფირის „ხუთი კმანი“ ქართულად თარგმნა ზურაბ შანშოვანმა XVIII ს-ში, თარგმნა იგი სომხურიდან ამონიოსის ნაწარმოებთა შემცველი ქართული ხელნაწერების შესწავლამ გამო-

ავლინა, რომ არსებობდა პორფირის ნაწარმოების ადრინდელი ქართული თარგმანი, XII—XIII სს-ისა.

ზურაბ შანშოვანის თარგმანის მთელი რიგი ადგილების სრული იდენტურობა ძველ ქართულ თარგმანთან უეჭველს ხდის მის მიერ ძველი თარგმანის გამოყენებას.

ამონიოს ერმისის „მოსაცხენებელთა“ შესწავლის შედეგად გაირკვა ის მსგავსება-იდენტურობა, რაც მასთან აახლოვებს მეორე ალექსანდრიელი ფილოსოფოსის, დავით უძლეველის, მოძღვრებას. ამ მსგავსებამ ნათლად გამოავლინა, რომ დაუშვებელია ამ სკოლის რომელიმე ფილოსოფოსის შეხედულებათა შესწავლა ცალმხრივად, სხვებისაგან იზოლირებულად ისე, თუ არ იქნა გათვალისწინებული ის, თუ რა არის საერთო და ტიპოლოგიური ამ სკოლის მოღვაწეთა ნააზრევში.

ამონიოს ერმისისა და დავით უძლეველის თხზულებათა სტრუქტურული და შინაარსობრივი შედარების საფუძველზე, ასევე მათი ცხოვრების ქრონოლოგიური მონაცემების გათვალისწინებით, ჩვენ მიერ გამოვლენილ იქნა ის საერთო, რაც ამ ორ ფილოსოფოსს ერთმანეთთან აახლოვებს. გაირკვა, რომ ორივე ავტორი ავლენს იმ საერთო ტენდენციებს, იმ საერთო მსოფლმხედველობრივ თვალსაზრისს, რაც დამახასიათებელი იყო ალექსანდრიის ნეოპლატონური სკოლის წარმომადგენლებისათვის, რაც სკოლის სასწავლო-სამეცადინო პროგრამათაც იყო გაპირობებული. ამონიოს ერმისის მოძღვრების გავლენა საგრძნობია მომდევნო თაობის ალექსანდრიელ მოღვაწეებზე, რომელთა შორის იყო დავით უძლეველიც.

ამონიოს ერმისის „მოსაცხენებლებს“ გარკვეული გამოძახილი ჰქონდათ აღორძინების ხანის მწერლობაში. ეს არცაა გასაკვირი. განმანათლებლობის ეპოქაში, როცა სამყაროს შემეცნების გზები ბუნებისმეტყველებისა და სხვა ზუსტ მეცნიერებათა მიღწევებს უკავშირდება, როცა სამყაროს არსებობა-მოვლენათა წვდომის კრიტერიუმად გონება, აზრი ისახება, გარკვეულად ახალ ღირებულებას იძენს ის ლოგიკური კატეგორიები, რომლებიც არისტოტელედან მომდინარეობენ და კომენტირებული იყო პორფირისა და ამონიოსის მიერ, როგორც სამყაროს შეცნობის საშუალებანი.

ამონიოს ერმისის თხზულებებს ხშირად მიმართავენ ანტონ ბაგრატიონი. ანტონი მას ახსენებს, როგორც „ამონიოს ფილოსოფოსს“, ან მხოლოდ „ამონიოსს“, ან „ამონიოს ვინმე ფილოსოფოსს“. ამონიოსი არის ერთ-ერთი წყარო ანტონის „კატილორია სიმეტნისა“ და „სპეკალისა“.

ამონიოსის „მოსაცხენებლებს“ თავისი ლექსიკონის წყაროდ იყენებს სულხან-საბა ორბელიანი. ამა თუ იმ სიტყვის განმარტებისას სულხან-საბა ხან მიუთითებს წყაროს, ხან წყაროს დაუსახელებლად განმარტავს მას, ზოგი სიტყვის განმარტება ამონიოსის ტექსტიდან არის აღებული, ზოგს კი საბა თვითონ განმარტავს.

ამონიოს ერმისის „მოსაცხენებლების“ ქართულად თარგმნა ქართული ფილოსოფიის ისტორიის ერთი საყურადღებო ეტაპია. დიონისე არეოპაგელის

თხზულებებისა და პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღვთისმეტყველებითის“ გვერდით ამონიოსის „მოსაკსენებლების“ თარგმნით ერთგვარად შეიკრა წრე: ქართულ სინამდვილეში გადმოინერგა ნეოპლატონიზმის სხვადასხვა სკოლის მიღწევები.

ბ ე მ ს ტ ი ს ა ტ შ ი ს

1. ამონიოს ერმისის თხზულებათა ქართული თარგმანების წინამდებარე გამოცემისათვის გამოყენებულია შემდეგი ხელნაწერები: S 2562 (XIII ს.) ჩენი ლიტერით A; A406 (XVIII ს.) — B; A 250 (XVIII ს.) — C; S 145 (XVIII ს.) — D. ძირითად ნუსხად აღებულია A ნუსხა. BCD ნუსხები ძირითადი (A) ნუსხის ასლებს წარმოადგენენ. ამონიოსის თხზულებათა შემცველი დანარჩენი ხელნაწერები (მითითებულია გამოკვლევაში) ტექსტის დადგენისას მხედველობაში არ არის მიღებული, ვინაიდან ყველა XVIII ს. ხელნაწერია და საინტერესო ვარიანტული წაკითხვები არ გააჩნიათ. განსხვავებებიან მხოლოდ ორთოგრაფიით.

2. ქართულ ხელნაწერებს ბერძნულ დედანთან შედარებით აკლიათ მეორე „მოსაკსენებლის“ ბოლო ნაწილი, აკლიათ ფიზიკური მიზეზის გამო: A ნუსხის ბოლო ფურცლები დაკარგულია. ტექსტის ეს ნაწილი აკლია ყველა გვიანდელ ნუსხასაც. გამოჩაყლისს წარმოადგენს D ნუსხა, რომელშიც იგი დაცულია, თუმცა ბოლომდე სრული არც ეს ნუსხაა. ტექსტის დასასრული იქაც არ არის.

D ნუსხაში, ასევე დაცულია ტექსტი ერთი ფურცლის მოცულობით, რაც ABC ნუსხებს აკლია. ეს ნაკლოვანებანი ტექსტში მითითებულია. ტექსტის ის ნაწილები, რაც დაცულია D ნუსხაში, შედარებულია Q 256 (XVIII ს.) ხელნაწერთან, რომელშიც ასევე დაცულია ეს მონაკვეთები. Q 256 ხელნაწერი ტექსტის დასადგენად მხოლოდ ამ ნაწილშია გამოყენებული, იგი აღნიშნულია E ლიტერით. DE ნუსხათა ორთოგრაფია აღნიშნულ მონაკვეთებში გასწორებულია იმ ნორმების მიხედვით, რაც დამახასიათებელია მთელი ტექსტისათვის.

3. გამოცემაში ტექსტის აწიებზე მიწერილი რიცხვები ძირითადი (A) ნუსხის გვერდებს უჩვენებენ, ხოლო ტექსტის იმ ნაწილებში, რომლებიც დაცულია მხოლოდ D ნუსხაში, გვერდები მითითებულია D ნუსხის მიხედვით.

4. წინამდებარე გამოცემის ტექსტში ციფრებით აღნიშნულია:

ა) ის სიტყვები, რომლებსაც სქოლიოში ვარიანტული წაკითხვა მოეპოვებათ.

ბ) ის სიტყვები, რომლებიც კონიექტურას წარმოადგენენ. კონიექტურა სხვადასხვა ხასიათისაა:

ქართული თარგმანის ზოგი მცდარი წაკითხვა ბერძნული დედნის შესაბამისი ადგილის არაზუსტი წაკითხვის ნიადაგზეა აღმოცენებული. სქოლიოში ნაჩვენებია ორიგინალის შესაბამისი სიტყვა. მაგ.: ყველა ქართულ ნუსხაში ეწერა „დათქუმაჲ“ 127, 4. ბერძნულ დედანში: $\eta \alpha \alpha \epsilon \beta \phi \alpha \nu \alpha \text{ CA}_2$ 37,20 სქ. ცხადია, ეს ბერძნული სიტყვა, რომლის მნიშვნელობაა „ბუნებით“, გრაფიკულ ნიადაგზე მცდარად იქნა წაკითხული, როგორც $\alpha \alpha \alpha \phi \alpha \alpha \epsilon \nu$ და აქედან გაჩნდა ქართულ ტექსტში აზრისათვის შეუფერებელი სიტყვა „დათქუმაჲ“.

თარგმანის ზოგი შეცდომა ქართული ნუსხების გადაწერტა მიერ გრაფიკული აღრევის შედეგად არის დაშვებული. ქარაგმა არასწორად არის გახსნილი. მაგ.: ბერძნულ $\sigma\mu\alpha\alpha$ -ს (CA_2 44, 30) შესატყვისი „სხეულსა“ ნუსხებში ალბათ დაქარაგმებული იყო ასე: სხ-ლსა. გადაწერტა მიერ იგი არასწორად იქნა გახსნილი, როგორც „სახელსა“.

ქარაგმა მცდარად არის წაკითხული. მაგ., ად ქარაგმა, რომელიც ალბათ იყო ბერძნულ $\alpha\lambda\lambda$ -ს შესატყვისად, გადაწერტა მიერ მცდარად იქნა წაკითხული, როგორც პდ და ასე გაჩნდა თარგმანში აზრისათვის შეუფერებელი სიტყვა „პირველად“ 160,3.

ე) ქართული თარგმანის ის ადგილები, რომლებიც ხელნაწერებში არ იკითხებოდა და რომელთა აღდგენა მოწერხდა ბერძნული დედნის მოშველიებით. მაგ.: „სიმა... ვრათა“ (173,5)-ს შესატყვისად ბერძნულ დედანში იკითხება: $\xi\lambda\tau\omega\theta\delta\epsilon\alpha\upsilon CA_2$ 84, 22. საფიქრებელია, რომ ქართულ ხელნაწერებში ეწერა „სიმა[რჩვის]ათა“, რაც გადაწერის პროცესში დაძახნქდა. ჩვენს მიერ აღდგენილია ეს სიტყვა.

5. გამოცემის ტექსტში ვარსკვლავით (*) აღნიშნულია და სქოლიოში ნაჩვენები:

ა) ტექსტის ის ადგილები, როცა მთელი ფრაზა ან უფრო დიდი მოცულობის ტექსტი მიპყვება ბერძნული გამოცემის არა ძირითად ტექსტს, არამედ სქოლიოში ჩატანილი ნუსხის წაკითხვას. ეს ადგილები საყურადღებოა ქართული თარგმანის ბერძნულ ნუსხებთან მიმართების გარკვევის თვალსაზრისით. (როცა ქართული თარგმანი იმეორებს ბერძნული გამოცემის სქოლიოს ერთ წინადადებას ან ერთ სიტყვას, ასეთი შემთხვევები მითითებული არაა, ვინაიდან ეს განსხვავება ძირითადი ბერძნული ტექსტისაგან შეიძლება ქართველი მთარგმნელის ინიციატივად ჩავთვალოთ და არა მანიცდამინც ბერძნულ ნუსხებზე დამოკიდებულების გამოხატველად). ჩვენი ტექსტის სქოლიოში მითითებულია ყველა ეს შემთხვევა ბერძნული გამოცემის სათანადო გვერდისა და სქოლიოს სტრიქონის აღნიშვნით.

ბ) თარგმანის ის სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა კონტექსტისათვის შესაფერისი არაა. ეს ადგილები გასწორებული არ არის, მაგრამ სქოლიოში შესადაარებლად ნაჩვენებია ორიგინალის სათანადო სიტყვა, ან წინადადება.

გ) წინამდებარე გამოცემის ის ადგილები, როცა ქართულ ტექსტს აკლია ბერძნულ დედანთან შედარებით და ამ ნაკლებობის გამო აზრი ბუნდოვანია. ქართული ნუსხების ეს ნაკლები ადგილები არაა ბერძნული დედნის მიხედვით აღდგენილი, მაგრამ ტექსტში აღნიშნულია მრავალწერტილით. სქოლიოში შესადაარებლად ნაჩვენებია ბერძნული დედნის შესაბამისი სიტყვა, ან წინადადება, რომელიც აკლია ქართულ თარგმანს.

მაგ. „ენაცვალნეს ქსენოკრატი და არისტოტელი*... ხოლო ქსენოკრატი აკადემიას შინა“ 97, 21. მრავალწერტილის ადგილას ბერძნულში იკითხება: $\tau\acute{\iota}\nu \delta\epsilon \mu\epsilon\nu \text{ } \rho\alpha\rho\iota\sigma\tau\omicron\upsilon\epsilon\lambda\eta\gamma\eta\varsigma \ \xi\upsilon\ \Delta\lambda\alpha\zeta\epsilon\alpha\iota \ \xi\pi\alpha\delta\iota\delta\epsilon\upsilon\sigma\epsilon\nu CA_2$. 3, 12. კონტექსტის მიხედვით, საჭიროა ნაჩვენები იყოს დაპირისპირება: არისტოტელე ლიკეაში ასწავლიდა, ხოლო ქსენოკრატე—აკადემიას შინა.

დ) ქართული ტექსტის ის სიტყვა, ან ადგილი, რომელსაც ეკუთვნის ცალკეულ ქართულ ხელნაწერთა აშვიებზე არსებული „შეისწავენი“ და სხვადასხვა ხასიათის მინაწერები.

ე) ქართული ტექსტის ის ადგილები, როცა პორფირის და არისტოტელეს თხზულებებიდან აღებული განსამარტავი ფრაზები ბერძნული დედნისაგან განსხვავებით ცალკეა გამოყოფილი ან, პირიქით, ბერძნულში გამოყოფილია და ქართულ ტექსტში არა. შესაძლოა ეს შემთხვევები გაბირობებული იყოს ქართული თარგმანის უცნობ ბერძნულ ნუსხაზე დამოკიდებულებით.

გამოცემის ტექსტში ციფრებისა და ვარსკვლავების გამოყენებამ გამოიწვია ის, რომ ზოგ სიტყვასთან თავი მოიყარა ციფრამც და ვარსკვლავამც. თითოეულ მათგანს თავისი ჩვენება აქვს სქოლიოში.

6. წინამდებარე გამოცემა ითვალისწინებს იმას, რომ ამონიოს ერმისის ორივე თხზულება, რომლებიც წარმოადგენენ პორფირის ან არისტოტელეს თხზულებათა კომენტარებს, შედგება თავებისაგან. თავების სათაურები განსხვავებული შრიფტით არის დაბეჭდილი.

თითოეული თავის შიგნით განსამარტავად აღებულია ფრაზები პორფირის და არისტოტელეს თხზულებებიდან, რომელთაც ერთვის ამონიოსის კომენტარები. როგორც ბერძნულ დედანში, ისე ქართულ თარგმანში, განსამარტავი ფრაზები ცალკეა გამოყოფილი. ქართულ ხელნაწერებში ისინი ან სინგურით არის დაწერილი, ან აშიაზე უზით ციტატის აღმნიშვნელი ნიშნები. ჩვენს გამოცემაში პორფირის და არისტოტელეს განსამარტავი ფრაზები დამარცვლით არის აწყობილი.

7. ამონიოსის ორივე თხზულებას ახლავს წინასიტყვაობა. ხელნაწერებში ისინი დასათაურებული არ არის. წინამდებარე გამოცემაში სათაური აღდგენილი გვაქვს კაევებში.

8. წინამდებარე გამოცემაში დაცულია ტექსტისათვის დამახასიათებელი ორთოგრაფიული ნორმები, მხოლოდ უც კომპლექსი შეცვლილია უე-თი და A ნუსხაში დადასტურებული ქ ასო — ფ-თი.

9. [] კაევებში ჩასმულია:

A ნუსხის ის სიტყვები ან ცალკეული ასოები, რომელთა წაკითხვა ფურცლის დაზიანების გამო ჭირს;

DE ნუსხათა აღდგენილი ასოები და სიტყვები;

კონიექტურის შედეგად აღდგენილი ადგილები.

10. () ფრჩხილებში ჩასმულია ტექსტის ის მონაკვეთები, რომლებიც ბერძნულ დედანშიც ფრჩხილებშია მოთავსებული და გამომცემელს კომპილაციად ან დამატებად მიაჩნია.

11. ქართული ტექსტის სქოლიოებში შესადაარებლად ნაჩვენები ბერძნული დედნების ადგილები მითითებულია ა. ბუსეს გამოცემის მიხედვით. ლიტერები აღებულია იმ სერიის სახელწოდების მიხედვით, რომელშიც არიან გამოცემული:

| CA₁ — [Commentaria in Aristotelem graeca, 4, 3, Berlin, 1891] —
Ammonii in Porphyrii Isagogen sive V voces.

CA₂ — [Commentaria in Aristotelem graeca, 4, 4, Berolini, 1895] —
— Ammonius in Aristotelis Categoriae Commentarium.

СОЧИНЕНИЯ АММОНИЯ СЫНА ГЕРМИЯ В ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЕ

Резюме

В настоящем издании публикуются грузинские переводы двух сочинений Аммония, сына Гермия, византийского неоплатоника конца V — начала VI в. «Толкования «Введения» Порфирия» и «Толкования «Категорий» Аристотеля».

Аммоний сын Гермия является одним из основоположников александрийской неоплатонической школы. Будучи всесторонне образованным человеком, он известен как комментатор произведений Аристотеля.

Грузинские переводы его произведений представляют значительное явление в истории грузинской научной мысли: благодаря им, средневековая грузинская читательская среда познакомилась с александрийским неоплатонизмом. Она познакомилась с определениями философии, с проблемами номинализма и реализма, приблизилась к той философии, которая признавала ум, мудрость истинным путем восприятия мира и его явлений.

Настоящее издание состоит из исследования, критически установленного текста вышеупомянутых сочинений, словаря с указателем.

Исследование состоит из двух частей, первая из которых включает в себе четыре главы.

Первая глава посвящена описанию рукописей, содержащих грузинские переводы. Для установления текста нами использованы следующие рукописи Института рукописей АН ГССР: S 2562 (XIII в.), S 145 (XVIII в.), A 250 (XVIII в.), A 406 (XVIII в.). Рукопись S 2562, переписанная с неизвестной ранней рукописи, является источником для остальных списков.

Во II главе показано отношение грузинских переводов к греческому оригиналу. Выяснилось, что грузинские переводы не следуют дословно ни за одним из греческих списков. В переводах подмечены факты явной зависимости от греческого оригинала, тем не менее, часто встречаются и отклонения от него: сокращаются или, напротив, вставляются в текст отдельные слова и фразы. Оригиналом для грузинских переводов, очевидно, является такой греческий список, который не фигурирует в издании А. Бусе. Текст сочинений Аммония, сохранившийся в грузинских переводах, является современным самым древним из ныне существующих греческим спискам. По этой причине грузинские переводы представляют немалую ценность для установления и уточнения самого оригинала.

В III главе речь идет о грузинском переводчике вышеназванных сочинений. Относительно личности переводчика в грузинской научной литературе высказаны различные мнения. Часть исследователей (Пл. Иоселиани, К. Кекелидзе) переводчиком считает Иоанна Таричидзе, деятеля XII в., имя которого упоминается в литературных источниках; однако, в них ни слова не сказано о том, какую именно литературную продукцию оставил Иоанн Таричидзе.

Другие исследователи (С. Горгадзе, И. Лолашвили) перевод этих сочинений приписывают знаменитому грузинскому философу XII в.

Иоанну Петрици. Аргументы, приведенные в пользу последнего положения, на наш взгляд, малоубедительны. При изучении грузинских переводов нами выявлен ряд языковых особенностей, а также других факторов, которые дают нам право заключить, что Иоанн Петрици не является переводчиком этих сочинений.

Однако, дать определенный ответ на вопрос, кто является переводчиком сочинений Аммония, в настоящее время не представляется возможным.

В IV главе рассматриваются языковые особенности переводов. Показано, что язык текстов отличается всеми теми особенностями, которые были характерны для т. н. Петриционской школы, т. е. для представителей эллинофильского направления. Влияние греческого оригинала чувствуется явно, особенно в синтаксисе. В то же время переводчик активно использует свойственные грузинскому языку словообразовательные формы для создания новых терминов. С этой целью использованы различные аффиксы, падежные окончания, приставки, послелоги и т. д.

Во второй части исследования рассматриваются некоторые вопросы мировоззренческого характера, поставленные в сочинениях Аммония сына Гермия.

Первая глава этой части посвящается данной автором дефиниций философии. Вопреки скептикам, которые не признавали философию, Аммоний утверждал истину философского мышления, философию он объявлял высшим благом, ниспосланным человеку. Философом даны определения философии, взятые у Платона, Аристотеля и Пифагора.

სამგუარად უკუე თქუმულობასა ნათესავისასა მესამისათჳს არს ფილოსოფოსთამიერი სიტყუაჲ, რომლისაცა² წარმწერელთა გარდმოსცეს³

15 აღმრიცხუველი⁴ უკუე პორფირიოს დანიშნულთა ნათესავისათა მესამისათჳს იტყუს ყოფასა ფილოსოფოსთა სიტყუსასა, რომლისაცა წარმწერელთა გარდმოსცეს⁵. ხოლო გვქმს ჩუენ პირველად თქუმაჲ, თუ რაჲ არს წაუწერაჲ და რაჲ საზღვარი და რაჲთა განეყოფვის განსაზღვრებაჲ წარწერასა. ამის შემდგომად მიზეზისა ძიებაჲ, თუ რაჲსათჳს წარწერისა მიერ ასწავებს მას და არა განსაზღვრებისა მიერ, ვინაჲთგან ჩუეულ არიან განსაზღვრებანი დანიშნულად არსებნისა ქუემდებარისა საქმისასა და გარშესაზღვრებად ვიდრემე თჳთთა, ხოლო არარას მოხუეუად უცხოთასა.

ითქუმოდელ⁶ სადმე ვითარმედ: თითოეული საქმეთაგანი ერთცა არს და მრავალ⁷ და ამისთჳს დაინიშნვის⁸ თითოეული სახელისა მიერცა და სიტყუსა მიერ. სახელისა მიერ ვიდრემე, ოდეს ერთისა რაჲსმე შორის იხილევბოდის. ხოლო სიტყუსა მიერ, ოდეს ვითარცა მრავალკერძოდ, ვითარ-იგი კაცსა დაეპნიშნავთ⁹ სახელითაცა „კაცისაჲთა“ და სიტყუათაცა მეტყუელითა: „ცხოველი სიტყუერი, მოკუდავი“. ხოლო ესე სიტყუაჲ დამნიშნველობითი ქუემდებარეთა საქმეთაჲ ანუ მათგან მოღებული არს, რომელნი არსებითად ეთჳსებოდინ¹⁰ საქმეთა, ანუ შემთხუევეითაგან მათთა.

აწ უკუე უკუეთუ არსებითად მყოფთაგან მათდად მოიღებუოდის, იწოდების განსაზღვრებად, ვითარ „ცხოველი სიტყუერი, მოკუდავი“ (რამეთუ შესარულებენქენნი არსებნისა კაცისასა), ხოლო უკუეთუ შემთხუევეითაგან მისთა მოღებულ იყოს, იწოდების წარწერად, ვითარ-იგი, ვითარმედ „კაცი არს აღმარ-თებითმავლობითი, ბრკალბრტყელი, მკუმეველი კელთაჲ“¹¹. ესენი ზედშეემთხუნეს არსებნისა კაცისასა, რამეთუ არა შესარულებენ ესენი არსებნისა კაცისასა, არამედ ზედშემთხუნეს მას. ამით სადმე განეყოფვის განსაზღვრებაჲ წარწერასა, რამეთუ განსაზღვრებაჲ არსებისაგან აჩუენებს საქმეთა, ხოლო წარწერაჲ — შემთხუევეითაგან.

1 ამისთჳს A, ამისთჳს B. 2 რომლისათჳსცა D. 3 გარდმოსცეს B. 4 აღმრიცხუელი C. 5 ითქუმოდელ C. 6 დაინიშნვის C. 7 დაენიშნავთ C. 8 ითჳსებოდინ B.

¹¹ „რომლისაცა წარმწერელთა გარდმოსცეს“ განსამარტავ ფრაზად არის გამოყოფილი CA₁ 54, 5. ¹² ამაზე სინგურით წერია: „არსებისა და შემთხუევეითისათჳს“ D. ¹³ ამაზე მხედრულთ შინაწერია: „წარწერა შემთხუევეითი“ C 93 r.

ხოლო წარწერად ითქუმის, ვითარცა აჩრდილისწერად რადმე მყოფი, რამეთუ ვითარ-იგი მწერალთამიერი აჩრდილისწერად ცხად-მყოფს სადმე მსგავსებასა ხატისასა, გარნა არა დაჯოშებულსა, ეგრეთვე წარწერამცა აჩრდილსა რასმე საქმისასა წარმოიღვენს ჩუენ.

v ხოლო განსაზღვრებაჲ თუთ მას საქმესა ცხადად წინა დასდებს, ვინამცა 5
 აღიტყვს უკუე განსაზღვრებაჲ ვიდრემე სრულსა დაწერასა, ხოლო წარწერამ—
 აჩრდილისწერასა, რომლისათუსცა ქუეწარწერად² ითქუმის. ვინამთგან უკუე
 განსაზღვრებანი მოიხუმიან ნათესავისაგან და შემამტიკებელობითთა განყოფი-
 ლებათა, ხოლო საყოველთაოჲსა ნათესავისაჲ არა არს ნათესავი, რამთა ნათე-
 სავისა და განყოფილებათაგან გარდასცეს საზღვარი, ხოლო საყოველთაოჲსა 10
 ნათესავისათუს არს აწ სიტყუამ მისი. ამისთუს ვერ შემძლებელმან საზღვარსა
 ნათესავისასა გარდაცემად, პორფიროს ქუეწარწერისა მიერ დანიშნა იგი, რა-
 მეთუ რომელთა საქმეთა ზედა ვერ ძალ-გუედვას³ განსაზღვრებათა განჩენად,
 ქუეწარწერისა მიერ გყუარს დანიშნვამ მათი. ხოლო უღონოებთ საზღვრისა
 განჩენად ნათესავისა ზედა პირველად უკუე, ვითარცა ვთქუთ, მით. რამეთუ 15
 მარტივად ნათესავისათუს ვყოფთ⁴ სიტყუასა, რომელი ყოვლისა ნათესავისა
 თანშეტყუებად შესაძლებელ იყოს. ხოლო არა არს საყოველთაოჲსა ნათესავისა
 პოვნად ნათესავისაჲ, (რამეთუ ესრეთ არლა იყოს იგი საყოველთაო). ხოლო არა
 იყოს რამ ნათესავი, არცა შემამტიკებელობითთა განყოფილებათაჲ ეგებრს ყო-
 ფამ, რამეთუ შემამტიკებელობითნო⁵ განყოფილებანი სახეთანი იგიანივე ნათე-
 სავითანი არიან განყოფილნი, ვითარცა წამართ ვისწაოთ. და რომლისაჲ სადმე 20
 არა იყოს ნათესავი, მისი არცა შემამტიკებელობითთა განყოფილებათაჲ ეგე-
 ბის ყოფამ. და ესრეთ არცა ნათესავისა, არცა შემამტიკებელობითთა განყო-
 ფილებათა ყოფასა საყოველთაოჲსა ნათესავისად, არცა განსაზღვრებნი: ა ეგე-
 ბის ყოფამ. 25

v და პირველ ვიდრემე ამისთუს არა არს საზღვარსა ნათესავისასა განჩენად,
 მერმე, რამეთუ სახელმოდგამცა არს ნათესავი (რამეთუ ათგუარად ითქუმის,
 ვითარ-იგი „კატილორიათა“ შინა სწავლად არს). ხოლო სახელმოდგამთაჲ არა
 არს საზღვრისა განჩენად, ვინამთგან მხოლონი სახელნი ოდენ არიან ლიტონნი,
 მათ მიერ შესწავებულთა საქმეთა შემსგავსებულნი, ხოლო განსაზღვრებაჲ არ-
 სებასა დაპნიშნავს. ხოლო რომელთა განსაზღვრებანი იგივე, მათნი საქმენილა 30
 იგივე. არა სადმე შესაძლებელ არს სახელმოდგამთაჲ ერთსა ზიარსა განსაზღ-
 რებასა განჩენად, რომლისათუსცა ქუეწარწერისა მიერ დავჭნიშნავთ⁶ მათ. რამე-
 თუ შესაძლებელ არს, რამთა არსებით განყოფილთანიცა იგინივე იყენენ შემ-
 თხუევითნი, ვითარ სახელ აქაცა მრავალთა და არსებით განყოფილად მყოფთა 35
 ნათესავთა ერთი და იგივე სქესი შეემთხვა მათ სახეთა მიმართ ქუეშეშემგრომ-
 თა⁷ მათთა, რომლისა|ებრ რომელთაჲ ნათესავ სახელ-ედების, ხოლო რომელ-
 თამე—სახე.

ამისთუს უკუე პორფიროს არა განსაზღვრებაჲ, არამედ ქუეწარწერამ გარ-
 დმოსცა⁸ მარტივისა ნათესავისაჲ, რამთა ათთავე ნათესავთათუს შესაძლებელ 40
 იყოს თანაშეტყუებად.

1 არა C.. 2 ქუეწარწერა B. 3 ძალ გედვას C. 4 ყოფთ C. 5 შემამტიკებელობითთანი B.
 6 დაქნიშნავთ BC. 7 ქუეშეშემგრომთა ABC. 8 გარდამოსცა C.

ხოლო ნუუკუე და ვინმე ამათუხსცა უღონოებდეს*1 ჩუენდამო, უკუეთუ სახელმოღვაძეთა არა განვასაზღვრებთ (რამეთუ განსაზღვრებად არსებასა დაჰნიშნავს, ხოლო ივინი ლიტონნი არიან სახელნი), რამათუ ქუეწარწერათა განუჩინთ მათ? ვინაფთჳან ქუეწარწერაჲცა შემოკრებთა შემთხუევათაჲთა ქუედმდებარესა მათსა არსებასა დაჰნიშნავს, რამეთუ მოგონებად მომიყუენებს ჩუენ არსებისად, რომელსა შეემთხუნეს ივინი.

ვინაფთჳან უკუე ქუეწარწერანი სახელ-მოღვაძეთა განუჩინებით და ქუეწარწერისა მიერ მოგონებად ქუედმდებარისა არსებისად მოვალთ, იპოვნენ არა სახელთად ხოლო ესენი, არამედ საქმეთადცა, რომელი უადგილო არს. და რამეთუ ესე არიან ათნი ნათესავნი: არსებაჲ, რაოდენობაჲ, ვითარებაჲ და სხუანი, რომელთა სახელმოღვაძამ არს ნათესავი და უღონოებაჲ უკუე ესევეთარჲ.

ხოლო*2 ძალი მისი ეგერა წინააღჳესენით, რომელთა შინა ვიტყოდეთ, ვითარმედ: ეგების, რამათა არსებით განყოფილთაჲცა ივინივე შეემთხუეოდინ, რომელთაებრ ქუეწარწერად იწოდებიან, ვითარცა ათთა კატილორიათა იგივე შეემთხუეა: მათქუეშეთა მიმართ მითუალვად სქესისაჲ, რამეთუ ვითარცა არსებაჲ გარეშემცველად მყოფი სხეულისა და უსხეულომასად, ნათესავი მათი არს მათითა სახე-ყოფითა; ეგრეთვე რაოდენობაჲცა, ორთა სახეთა — შერწყმულისა და განსაზღვრებულისა — გარეშემცველად მყოფი, ნათესავ მათდა არს: და ვითარიეგრეთვე, მრავალთა სახეთა გარეშემცველი, ნათესავ მათდა არს. და სხუათა ზედა მსგავსადვე, ვინაჲცა იგივე სქესი ყოველთა კატილორიათა შეემთხუა და არა ჳერ-არს განკვრევებაჲ, უკუეთუ არსებით განყოფილთა ეგების ერთთა ქუეწარწერისა განჩინად და არა იგივედ ქმნად ქუეწარწერილთა საქმეთაჲ.

აწ უკუე ათთა ნათესავთა შორის იგივე არს სამრავლოდ შესმენილობაჲ, არამედ არა მათეჲ ანუ ეგოდენთათუს (რამეთუ რომელიმე უკუე და-თუ-ჰხუედეს*, შეისმინების ოთხთა სახეთათუს, ხოლო რომელიმე ეგოდენთათუს ანუ ესოდენთა). და ყოველნი სახელმოღვაძამ არიან და სამრავლოდ შეისმინებიან, გარნა არა მათთუხსვე, ანუ მსგავსად.

ვინაჲცა ქუეწარწერაჲ ვიდრემე მოიღებვის ანუ ეტუმოლოგიაჲმასაგან, ანუ შემოკრებლისა შემთხუევეითაჲსა, უკუეთუ საკუთრად ქუეწარწერად ითქუმის. ეტუმოლოგიაჲმასაგან ვიდრემე, ვითარ-იგი ვითარმედ „კაცი არს შემძლებელი ხედვად ზე, რომელთა მიერ ზე იხედავს, ანუ ზენათ მქონებელი სახედველთაჲ“, ხოლო შემთხუევეითაჲგან, ვითარცა ვჩნდით ეგერა მეტყუელად.

ხოლო განსაზღვრებაჲ ანუ ნივთისაგან მოიღებვის, ვითარ ოდეს განვასაზღვროთ გულისწყრომაჲ „მდურარებად გულსაგარემომასისა სისხლისად“; ხოლო სახისაგან, ვითარცა „წადიერებაჲ ნაცლისმგებისაჲ“, ანუ თანად ორთაგანვე, ვითარცა „დუღილი გულსაგარემომასისა სისხლისაჲ წადიერებთა ნაცვალმწუქხებისაჲთა“. და ოდეს ნივთისაგან მხოლომასა, ანუ სახისაგან მარტომასა მოიღოს, უსრულ არს, ხოლო ოდეს თანად ორთაგანვე, მაშინ არს სრული საზღვარი, ვინაფთჳან ორთავე დაჰნიშნავს. ხოლო არს სრული საზღვარი ნათესავისაგან და შემამტკიცებლობითთა განყოფილებათა, რამეთუ მოაქუს ნივთისა უკუე წესი ნათესავსა, ხოლო სახისაჲ — განყოფილებათა, ვინაჲცა ამას

1 არა C. 2 უკუე ესევეთარქდა ესევეთარი D. 3 არამედ ვითარმედ B. 4 და-თუ-ხუედეს C.

*1 ამაზე შენიშვნა: „უღონოებაჲ“ ABCD. *2 ამაზე შენიშვნა: „აღსნაჲ“ ABCD.

საზღვარსა საშუალნი საქმეთაგანნი შეიწყნარებენ, რამეთუ არცა უპირველეს-
თა, არცა უკუანამსენელთა აქუს ნათესავი, არცა არსებითნი განყოფილებანი,
არამედ სახენი, ვითარ-იგი განუკუთელნი, რომლისათსცა წარწერასა და არა
განსაზღვრებასა გარდავსემთ მათ. ვითარ სოკრატი არს ძე სოფრონისკომასი,
ათინელი ფილოსოფოსი, მუცელწაზილული, მტიერი, ცხვრაკვი და რამცა სხუად 5
შეკმსთხუევია მას.

V ხოლო რაოდენნი იტყვან შემამტკიცებლობითა განყოფილებათა ქონე-
ბასა ნათესავოანისასა, არა მართლიად იტყვან, რამეთუ არა შემამტკიცებლო-
ბითნი განყოფილებანი ჰქონან, არამედ განმწვალებელობითნი, ვითარმედ ყოვე-
ლი შემამტკიცებლობითი¹ უხუცესი არს შემტკიცებულისად, რამეთუ ვითარ- 10
ცა პირველ მცირედისა ვთქუ, შემამტკიცებლობითნი ვიეთნიმე განყოფილებანი
ფრიად უპირატეს ნათესავოანისანი არიან განმწვალებელობითნი. ვინამ-
ცა სიტყვერი და მოკუდავი, და უსიტყვ და მოკუდავი შემამტკიცებლობით-
თად კაცისად მყოფნი და ცხენისად, განმწვალებელობითნი არიან ნათესა- 148
ვისანი*¹, ვიტყვ ცხოველისანი, რამეთუ ესე განიწვალების სიტყვერად და უსი-
ტყუელად, მოკუდავად და უკუდავად, ვითარცა უკუე თქუემულ არს, ვითარმედ:
შემამტკიცებლობითთა ვიეთთამე განყოფილებათა უხუცეს-ყოფად მათი ჰნე-
ბავსყე², ხოლო ნათესავისა³ უხუცეს არარაა არს.

ამათსა წადმე ესრეთ ყოფასა სამართლად ყოვლითურთი მასწავლელობად
ნათესავისად წარწერისა მიერ იქნების, განსაზღვრებისა გარდაცემად არმქონე- 20
ბელი მისი.

ხოლო რამათ ვისწავთ, თუ რამ არს გარდაცემული იგი წარწერად და ვი-
ნამ მოიღებვის, ითქუმოდედ⁴ ესრეთ (გარნა ვისწავთ, ვითარმედ არა ვითარ
დამთხუევით შემოიხუნა არისტოტელი ხუთნი ქმანი, არამედ რამეთუ საქირო
V არს|სახითა რამთმე ყოვლისავე კმისად ერთისად კმათა ამთგანისად ქუეწე ალ- 25
სლვად), რამეთუ კმათაგანნი რომელნიმე არიან უნიშნონი, ვითარ კანაქსკლიტი-
რი, ხოლო რომელნიმე — ნიშნიანნი. და უნიშნოთათს ვიდრემე არცა ერთი
სიტყუად არს ფილოსოფოსთად. ხოლო ნიშნიანთაგანნი რომელნიმე მხოლომასა
რიცხუთა ერთისად ითქუმიან, ვითარ სოკრატი, პლატონი და ესე თეარი, რომე-
ლთათს ფილოსოფოსნი ურიცხუ-ყოფისა ძლით არა შთამოვლენ, ხოლო რომელ- 30
ნიმე — მრავალთად, რომელნიცა ანუ სახითა განყოფილთად რასაშინაობით
შესმენილთად და შეიქმან ნათესავსა, ანუ რიცხუთა განყოფილთა და რასაში-
ნაობითად და შეიქმან სახესა, ანუ ერთისა მარტომასა სახისად და რომელი
რამადარსინაობითად და შეიქმან განთხსებულსა.

ხოლო მრავალთა და სახითა განყოფილთა რომელი რამადარსობისაშინა შეს- 35
მენილთაგანნი რომელნიმე არსებითნი არიან და ჰყოფენ განყოფილებასა, ხო-
ლო|რომელნიმე⁵ — არსებისხედანი და შეიქმან შემთხუევითსა.

149

1 შემამტკიცებლობით B. 2 ჰნებას D. 3 ნათესავისანი B. 4 ითქმოდედ C. 5 არსე-
ბითნი... რომელნიმე—D.

* ამ სიტყვას აქვს სინგურით შემოვლებული რგოლი-წრე, რომელიც ამათვე არსებულ სქემებზე
მიუთითებს: „არსებად—სხუელად და უსხუელად, სხუელი—სულღერად და უსულად, სული-
ერად—მგძნობელად ცხოველად და უმგძნობელად ნერვად, მგძნობელი—სიტყვერად და უსი-
ტყუელად, სიტყვერი—მოკუდავი და უკუდავი, მოკუდავი—კაცად, ცხენად, ჰარად და ქვევე-
თარად, (მოკუდავი—კაცად: პეტრედ, პავლედ და სხუად თითოეულად; ცხენად, ჰარად, ძალად
და სხუად თითოეულად D) ABCD.

ამის განწვალებისაგან ჩანს, ვითარმედ ყოვლითურთ საჭირო არს ჯუმევაა ხუთთა ამით მოვსენებულთა კმათად და არცა უმრავლესთა, არცა უკნინესთად, რამეთუ ვთქუთ, ვითარმედ: კმათაგანნი რომელნიმე არიან უნიშნონი, ხოლო რომელნიმე — დანიშნვითნი. და დანიშნვითთაგანნი რომელნიმე ერთისად შეი-
5 სმინებიან, ხოლო რომელნიმე — მრავალთად, ხოლო უმრავლესთაგანნი ნათესავი არს და სახე და განყოფილებამ.

შედად ყოფასა უკუე კმათასა: უნიშნოთა და ერთისად სათქუმელთასა და მრავალთადთასა, ნათესავსა, ვიტყვ, და განყოფილებასა და სახესა და გან-
10 რამეთუ განეკუებიან ვიდრემე უნიშნონი, ვითარცა არააადთ შემწენი, არცა ღრამბატრიოსთა¹, არცა რიტორთანი, ხოლო მრავლად უფროას ვილოსოფოს-
15 კრატულოს², ვითარმედ: „ზედმიწვეწულობამა ითქუმის ზედმიწვევისა რასმე და³ საზღვრისა მიმართ ძიებთაჲსა მიყვანებისა ჩუენისათუს“⁴. ვითარ უკუე განეკრძობითნი, მრავლად მყოფნი და აღურიცხუველად⁵, ზედმიწვევანსა ვერ შეიქმან, ხოლო საერთოდ შესასმენელნი განეკრძობითთათუსცა შეისმინებიან, სამართლად განიჭლებიან და მიერთვან დაშთებიან ხუთნი კმანი: ნათესავი, სა-
20 ხე და ამითი საშუალი განყოფილებამა და განთვსებული და შემთხუევიითი, რომელთა კმათა ქუეშე ჰპოვენ შემავალად ყოველნი და ყოველი სხუამ კმა, და-
ლათუ ძრვამ სთქუა, დალათუ უზომოა.

და ესენი უკუე თქუმულ არიან აჟა გათაეებით განწვალებისა შორის, ხო-
25 ლო განეკრძელებითი განმარტებამა ამითი შემდგომად წარმოვაჩინოთ, რამეთუ კმათაგანნი რომელნიმე არიან უნიშნონი, ხოლო რომელნიმე დამნიშნველობით-
ნი. და არცა ერთი სიტყუამ არს ჩუენი უნიშნოთათუს. ითქუმიან უკუე უნიშ-
ნოდ შეუსმენელნი, ვითარცა არგისდად შესასმენელნი ანუ სათქუმელნი. ხოლო დამნიშნველობითთაგანნი რომელნიმე საერთოსოდ ითქუმიან ყოფად, ვითარცა
30 სოკრატე, პლატონი, ხოლო რომელნიმე სამრავლოდ, ვითარცა ნათესავნი და სახენი და განყოფილებანი და განთვსებულნი და შემთხუევიითნი. ხოლო თქუ-
მულ არს, ვითარმედ: განეკრძობულთათუს არცა ერთი არს სიტყუამ ფილო-
სოფოსთად. ხოლო სამრავლოდ სათქუმელნი რომელნიმე არსებითად შეისმი-
35 ნებიან, ვითარცა ნათესავნი და განყოფილებანი და სახენი (რამეთუ შემასრუ-
ლებლობითნი არიან არსებისანი), ხოლო რომელნიმე არაარსებითად, ვითარცა განთვსებულნი და შემთხუევიითნი, რამეთუ არა შესასრულებენ ესენი არსებასა ქუედმდებარესა.

ხოლო არსებითად შესმენილთაგანნი რომელნიმე სახითა განყოფილთად⁶ ითქუმიან, ვითარცა ნათესავნი და განყოფილებანი, ხოლო რომელნიმე რიცხვთა განყოფილთად, ვითარცა განუკუეთელნი, რომელნი არ განიყოფვიან ურთიერ-
40 თას სახითა, არამედ ნივითთა. ვითარ-იგი რახსი, ცხენსა ვიტყვ, და ზერდაგი, რამეთუ ესენი არა სახითა განიყოფვიან ურთიერთას, არამედ ნივითთა. და კუა-
ლად რიცხვ ათისამ თანმდებარე არს ათთა ერთთაგან არა თანშერწყუშულთა,

1 ღრამბატრიოსთა A. 2 კრატულოს B. 3 და—D. 4 აღურიცხუვლად C. 6 განყოფი-
ლად B.

* კრატელი.

151 არამედ ურთიერ|თას განჩეულთაგან, რამეთუ უკუეთუმცა თანშეირწყუნომოდეს¹ ერთნი, არ გუაქუნდა ერთთაგან თქუმათ თანდადებასა² რიცხუსა ათისასა.

და ესრეთ ამისგან გუაქუს განყოფიდა ნათესაისაცა და სახისა და განყოფილებისა. რამეთუ განყოფივიან ურთიერთას: სახე ვიდრემე რიცხვთა განყოფილთად³... ხოლო სახითა განყოფილთად შესმენილთაგანნი რომელნიმე რა-
5 მაარსობის შორის, ხოლო რომელნიმე რომელი რაამარსობის შორის შესიმინებ-
ბიან. ხოლო რაამარსობის⁴ შორისად შესმენად ვიტყვთ, ოდეს კითხულთა, თუ
„რაჲ არს კაცი?“ ნუუკუე ვთქვთ: „ცხოველი“, რომელ არს ნათესავი, (ვინამცა
ნათესავი რაამარსობის შორის ითქუმის შესმენილად). ხოლო რომელირაამარსო-
ბის შორის არს, ვითარ ოდეს მიუგოთ კითხულთა: „რომელი რაჲ ცხოველი არს
10 კაცი?“, ვითარმედ: „სიტყუერი“, რომელი განყოფილებად არს, ვინამცა რომე-
ლირაამარსობის შორის განყოფილებად შეიქმინების. და ამათ შინა განმეცხადა
ჩუენ განყოფიდა ნათესავისა და განყოფილებისა, რამეთუ ამას შინა განყოფ-
ვიან ურთიერთას, ვითარ-იგი ნათესავი ვიდრემე რაამარსობისა შორის შესი-
მინების⁵, ხოლო განყოფილებად—რომელირაამარსობისა შორის.

ხოლო არარსებითად⁶ სათქუმელთაგანნი რომელნიმე ერთისა რაჲსმე სახისა
შორის არიან, ვითარცა განთესებულნი, ხოლო რომელნიმე—მრავალთა, ვითარცა
შემთხუევითნი. ამის უკუე განწვალებისაგან აღმოძინდა ჩუენ განყოფილებადცა
განთესებულისა და შემთხუევითისა, რამეთუ ამისებრ განყოფვის⁷, ვითარ
20 განთესებული ვიდრემე ერთისა სახისაჲ არს, ხოლო შემთხუევიითი — მრავალ-
თა.

აწ უკუე ცხად-არს ამის განყოფილებისაგან, ვითარმედ საჭირო არს ყოე-
ლისაჲ კმისად ერთისა ხუთთა ამათგანისა ქუეშე დაწესებამ და ერთბამად ცხად-
152 არს, ვითარმედ შესაძლებელ არს წინამდებარისა განწვალებისაგან თითოეუ-
ლისა განსაზღვრებისა, ესე იგი არს, წარწერისა გარდაცემად, რომელნი ითქუ-
მიან საკმარებელ თითოეულისა გარდაცემისა მიმართ, ვითარ-იგი ამანცა კმნა,
რამეთუ იტყვს:

ნათესავი⁸ არს მრავალთა და სახითა
განყოფილთად რაამარსობისა შორის შესმენილი

რამეთუ „მრავალთაობად“ განარჩევს მას განუკუეთელთაგან (იგინი რაჲ
30 ერთისად ითქუმოდინ)⁹, ხოლო „სახითა განყოფილთაობად“ განარჩევს მას სა-
ხისაგან და განთესებულისა, ხოლო⁷ „რაამარსობის შორის შესმენილთაობად“ გან-
არჩევს მას განყოფილებისაგან და შემთხუევიითისა.

და ჩუენ ვიდრემე ესრეთ განვრცელებით გარდავეციით განწვალებამ მნე-
ბებელთა სწავლებად განყოფილებასა კმათას⁸ და ვითარმედ ყოველითურთ სა-
35 ჳირო არს არისტოტელისდა ხუთთა⁹ ამათ მხოლოთა ქუმევაჲ კმათაჲ და არ უმ-
რავლესთაჲ. და ვითარ ორნი რაჲ გამოეკუნენ კმათაგან, ხუთნი დაშთებიან
მხოლონი.

1 თანშეირწყუნოდეს C. 2 თანდადებასა C. 3 რაამარსობისა C. 4 არარსობითად B. 5 განყოფვის C. 6 თქმოდინ C. 7 ხოლო — B. 8 კმათას|კეთისა ABCD, შდრ. ფაუნდუსისად D CA₁ 62, 2.
⁹ აქლია αἰσθησιμότης და ძმ ἕξις αἰὶ εἰς δὲ ἄπορην αὐτῶν δὲ ἀπορροῦσαν εἶναι εἰς CA₁ 61, 2—3. ⁸ ამაზე მხედრულით მინაწერი: „ქ. ნათესავი რაამარსობის შორის შესიმინების. I ქ. განყოფილება რომელი-რაჲ არსისა მოერ“ C 98 r. ⁹ „ნათესავი არს... შესმენილი“ განსაზღვრებულ ფრაზად არაა გამოყოფილი CA₁ 61, 20.

ხოლო ფილოსოფოსი პორფირიოს არმნებავი ამისდა აღმოჩენად აწ, თუ რადასათეს მხოლონი ხუთნი კმანი იკუმინა არისტოტელმან, არამედ განყოფილებასა მხოლოსა დანიშნულობითთა კმათასა უვიწრესობით მოქმედი, განწკალებასა იტყუს ესრეთ:

5 დანიშნულობითთა კმათაგანნი რომელნიმე ერთისად ითქუმიან და რომელნიმე მრავალთად*1

(რამეთუ დაუტევებს უზენაესსა კერძოსა განწკალებისასა) და ერთისად უკუე შეისმინების, ვითარცა განუკუეთელნი, ვითარ სოკრატ, პლატონ, ალკივიადი, ხოლო მრავალთადგანნი რომელნიმე—სახითა განყოფილთად, ვითარცა ნათესავი და განყოფილებად და შემთხუევითი. და რამეთუ ნათესავი, ვითარ- 153 იგი ცხოველი, შეისმინების მრავალთა სახეთად, ვითარ კაცისად და ცხენისა და ძაღლისად. და განყოფილებად, ვითარ-იგი სიტყუერი, შეისმინების ანგელოზთა და კაცთად. და მოკუდავი ცხენისა და სხუათა ცხოველთად. ხოლო შემთხუევითიცა მრავალთა სახეთად შეისმინების და რამეთუ სითეთრისა და სიშავისად 15 და დგომისა და ჯდომისად.

ხოლო რიცხუთა? განყოფილადნი არიან სახე და განთესებულნი.

ხოლო სახითა განყოფილად შესმენილთაგანნი რომელნიმე რააარსობისა შორის შეისმინებიან, ხოლო რომელნიმე — რომელირააარსობისა შორის და ვითარ-ყოფისა. და რააარსობისა შორის*2 უკუე ნათესავი და რომელირააარსობისა—განყოფილებად, ხოლო ვითარ-ყოფისა შორის — შემთხუევითი, რამეთუ კითხულნი: ვითარ არს პლატონი? ვიტყუთ, ვითარმედ: მრთელომას ანუ სნეულებს, ანუ ზის, ანუ დგას და სხუათა ეგევითართა. |ხოლო ღირს უღონოებად*3, 20 უკუეთუ კმისა ქუეშე, ვითარცა ნათესავისა, ალვლენ ხუთნი კმანი, ხოლო ნათესავი ამათ ქუეშე აღიყვანების, იყოს ნათესავთანა ნათესავთაგანნი, რომელი დადგილო არს. ვიტყუთ*4 უკუე, ვითარმედ: არა ვითარცა საქმენი აღიყვანებიან 25 ნათესავისანი ამის განწკალებისა ქუეშე, არამედ ვითარცა კმანი, ვინამ ნათესავთანნი, ვითარცა საქმენი, არლა მერმე უსაზოგადოებისა მიმართ აღიყვანებიან.

რამეთუ შესმენილთაგანნი რომელნიმე უკუე ერთისად მხოლომასად ითქუმიან, ვითარცა განუკუეთელნი

30 ამათ მიერ ცხად-ჰყოფს, ვითარ გარდაცემული წარწერამ ნათესავისად განაშორებს მას სხუათა ყოველთაგან. და ვითარმედ ესრეთ და ვითარმედ ესე*5 და რამეთუ ესენი კერძობითად მყოფნი და რამეთუ ერთისა მხოლომასად ითქუმიან და რამეთუ მჩუენებელნი ვიტყუთ: ესე და იგი და სხუამ. და კეთილად შემოიღეს სიტყუამ ფილოსოფოსთა კერძობითთათუს, რამეთუ ესენი შე|ვლენ 154

1 ხოლო —C. 2 სირცხუთა C. 3 ვიტყუ B. 4 ფილოსოფოსთა C.

*1 „დანიშნულობითთა... მრავალთად“ განსამარტაე ფრაზად არ არის გამოყოფილი CA₁ 62, 8. *2 ამაზე მხედრულით მინაწერია: „აქ ისწავე: რამ არს: ნათესავთად. ქ. რომელი I არს განყოფილთად. ქ. და ვითარ არს შემთხუევითად, ასე შეისმინების“ C 99 r. *3 ამაზე შენიშვნა: „უღონოება“ ABCD. *4 ამაზე შენიშვნა: „ბღკსნამ“ ABCD. *5 „და ვითარმედ... ესე“ განსამარტაე ფრაზად არის გამოყოფილი CA₁ 63, 10.

ჩუენებისაჲ ქუეშე და გრძობისა. კეთილად საღმე თითოეულობითნი აღიყვანნეს ჩუენებისა ქუეშე, არა საყოველთაონი.

ხოლო განუკუთვლად ითქუმიან ესენი, ვითარ არ განიკუთვებიან არცა მსგავსისა სახისა მიმართ, არცა უმსგავსოჲსა სახისა, ვითარ-იგი სახენი და ნათესავნი, არამედ განკუთვასავე თანა განიხრწნებიან, რამეთუ ჩემშორისი ცხოველი არა არს საზოგადოჲ, არამედ ჩემ შორის გარეშეწერილ არს, ეგრეთვე სიტყუერებითი და ყოველთაგან შეზავებული კაცი გარეშისაზღვრების.

და შემთხუევითნი ზოგადად და არა განთესებით ვისნიმე*1

ვითარ სითეთრე ანუ სიშუავე, რამეთუ კერძობითნი არა მრავალთად ითქუმიან, ვითარ მას რომელსაჲმ სხეულსა შორის სითეთრე, ანუ ოდისსეოჲს შორის! ბრძული, რომლისაგან იცნობებოდა იგი, რამეთუ მის მხოლოჲსაჲ იყო იგი, რამეთუ არა თუ იყო მის მხოლოჲსაჲ, ვითარ აქუნდა მას მის მიერ საცნობელობაჲ?

ამისთვის უკუე თქუნა ზოგადნი შემთხუევითნი და არა განთესებით ვისაღმე მყოფნი ნაცვალად საყოველთაოთა, და არა კერძობითნი.

ხოლო² არს ნათესავი ვიდრემე, ვითარ ცხოველი, ხოლო სახე, ვითარ კაცი

აჩრდილისმწერლობით, ვითარ მათძლითსა რასმე ჰყოფს მასწავლულობასა მაგალითისა მიერ მსწავლელი ჩუენი თითოეულისა ხუთთაგანისაჲ.

ერთისა ვიდრემე უკუე მხოლოჲსად შესმენილთა განეყოფვიან ნათესავნი მრავალთად სათქუმელობითა მათითა

ამის მიერ აჩუენებს, ვითარ გარდაცემული საზღვარი, ესე იგი არს, წარწერაჲ განაშორებს მას სხუათა ყოველთაგან, რამეთუ შეისმინების ვიდრემე ნათესავი მრავალთა განყოფილთად არა რიცხუთა მხოლოთა, არამედ სახითა-არს ქმნაჲ განსაზღვრებასა, ესე იგი არს, წარწერასა თითოეულისა კმისასა ესრეთ, ვითარმედ: ნათესავი საღმე არს დანიშნევითი*2 კჲმად მრავალთა და სახითა განყოფილთად რაჲარსობისა შორის შესმენილი, ხოლო განყოფილბაჲ — დანიშნევითი კჲმად მრავალთად და განყოფილთა სახითა რომელირაჲარსობის შორის შესმენილი, ხოლო სახე—დანიშნევითი კჲმად მრავალთა და რიცხუთა განყოფილთად რაჲარსობისა შორის შესმენილი. ხოლო განთესებული არს დანიშნევითი კჲმად არსებითი ერთისაჲ სახისად შესმენილი, ხოლო შემთხუევეითი არს*3 კჲმად დანიშნევითი მრავალთა და სახითა განყოფილთად ვითარ-ყოფისა შორის შესმენილი.

1 + ებრ B. 2 ხოლო—B. 3 დანიშნეთი C (აქაც და ყველგან). 4 + არს ABCD.

*1 განსამარტავი ტექსტი სინგურით არ იწყება, მაგრამ გვერდზე აქვს ციტატის ნიშანი, (ამის შემდეგ ზოგი განსამარტავი ფრაზა სინგურით არ იწყება, მაგრამ ეს ნიშანი უკლებლივ ყველას ახლავს აშიაზე) ABCD. *2 აშიაზე ტექსტის ხელით მიინაწერა: „აქა იმეცნე დანიშნეთი განმარტებაჲ ხუთთა კმათავს, რომელსა ფილოსოფოსნი კლიტე და შესაყუანებელ უწოდენ ყოველთა წერალთა და საზღვართა გამოცნობისა (გამოცნობაჲ B)“ ABCD.

ხოლო ცხოველნი, ნათესავად მყოფი, კაცისა და ცხენისა და ჯარისა შეისმინებდის, რომელნი განი-
ყოფვიან სახითაცა და არა რიცხვთა მხოლოდათა

- შესწავებულ იყავნ, ვითარმედ სახითა განყოფილნი ურთიერთას რიცხვთა-
5 ცა განიყოფვიან, ხოლო რიცხვთა განყოფილნი არაა მერმე სახითაცა, რამეთუ
არ გარემოიქცევის სიტყუაჲ. ხოლო ცოდნაჲ საკმარ-არს, ვითარმედ საში არს
იგივეობაჲ: რამეთუ ანუ ნათესავითა იგივე არს, ვითარცა კაცი, ცხენი, ძაღლი,
ჯარი (რამეთუ ესენი ნათესავითა იგივე არიან, რამეთუ ყოველნი ცხოველნი
არიან); ხოლო სახითა იგივე არიან, ვითარცა თევზი და პლატონი და ალკივიადი
10 (რამეთუ ესენი იგივე და ერთ არიან სახითა); ხოლო რიცხვთა იგივე არიან,
ვითარცა კაცი, მარდი; მახვლი, დანაჲ. ვინაჲ უკუეთუ იგივეობაჲ! სამ არს, სა-
ჭიროდ სხუაობაჲცა სამევე არს; რამეთუ ანუ ნათესავითა რაჲთმე? განიყო- 15
ფვიან და სხუა ურთიერთას არიან, ანუ სახითა, ანუ რიცხვთა. ვითარ ნათე-
სავ[ი]თა განიყოფვიან ურთიერთას, ვითარცა კაცი და თეთრი (რამეთუ კა-
ცი ვიდრემე ცხოველი არს, ხოლო თეთრი — ვითარი), არამედ სახითაცა, (რა-
მეთუ სხუა არს სახე კაცისაჲ და სხუა — თეთრისაჲ, რამეთუ კაცი ღრს სახე
ცხოველისა ნათესავად მყოფისაჲ, ხოლო თეთრი სახე არს ვითარებისა და ფე-
რისაჲ), არამედ რიცხვთაცა, რამეთუ გრძობადი კაცი, ვითარ სოკრატე, სხუა
არს პლატონისაგან.
20 ვინაჲ კეთილად სადმე ვთქუთ, ვითარმედ ნათესავითა განყოფილნი ურთი-
ერთას სახითაცა განიყოფვიან და რიცხვთა, რამეთუ სახითა განყოფილნი განი-
ყოფვიან უეჭუელად რიცხვთა, გარნა არ უეჭუელად ნათესავითაცა, ვითარ-იგი
კაცი და ცხენი, რამეთუ ესენი განიყოფვიან ურთიერთას სახითა (რამეთუ სხუა
სახე არს კაცისაჲ | და სხუა — ცხენისაჲ), არამედ რიცხვთაცა (რამეთუ სხუა არს
25 ნიეთი კაცისაჲ და სხუა — ცხენისაჲ), ხოლო არ განიყოფვიან ნათესავითა, რამეთუ
ორნივე ცხოველნი არიან. ხოლო რიცხვთა განყოფილნი არცა უეჭუელად სახითა,
არცა ნათესავითა განიყოფვიან*1. ამისთვის უკუე თქუა: „რომელნი განიყოფვიან
ურთიერთას სახითაცა და არა რიცხვთა მხოლოდათ“, რაჲთა ცხად-იქმნეს, ვი-
თარმედ! ურთიერთას სახითა განყოფილნი რიცხვთაცა განიყოფვიან ურთიერთ-
30 თას.

ხოლო კჳაღად განყოფილებასა და ზოგადთა
შემთხვევითთა განყოფვის ნათესავი მათისა
უკუე ვითარი რაჲმარსობის შორის, ანუ
35 ვითარ არსობისა შესმენისათჳს, ხოლო ნათესავისა
რაჲმარსობისა შორის*2

ვინაჲცა მრავალთად ვიდრემე სათქუმელობაჲ ნათესავისაჲ განაკიდებეს
მას მხოლოდსა ერთისად შესმენილთაგან განუკუე | თელთა*3, შემოკლებით აწუ- 157
ენებეს, ვითარ თითოეულისა ნეშტთაგანისა საჭიროდ მოიღებვის წარწერაჲ ნათე-
სავისა მიმართ. რომელნი არა რაჲმარსობისა შორის, არამედ ვითარ-ჰქონებელა-

1 იგივეობა B. 2 რამე AC, რამე D. 3 ნათესავთა ABCD. 4 ვითარმედ + განიყოფვიან ABCD.

*1 ამაზე მინაწერა ნუსხურით: „პეტრე, პავლე — ესენი არ განიყოფვიან ბუნ[ებ]ით“ C 101r.

*2 „მათისა... შორის“ განსამარტავ ფრაზად არ არის გამოყოფილი CA₁ 66, 4 *3 „ვინაჲცა... განუ-
კუეთელთა“ განსამარტავ ფრაზად არის გამოყოფილი CA₁ 66, 6—10.

რსობისა შორის შეისმინებთან¹, განყოფილება და შემთხუევითნი, არა ვითარიჩააარსობისა შინა ხოლო შეისმინებთან, არამედ ვითარქონებისაცა შორის. რამეთუ გუეციტხოლის¹ რამ, ვითარ აქუს სოკრატსა², მიუგებთ: მრთელლამს, ანუ სნეულებს, რამეთუ სხუანი განყოფილებანი შემთხუევითთა თანა არიან, ვითარ-იგი ნიშნიანობაა², ცხურაკეობა, მტიერობა.

5

ხოლო რასაშინაობით³ შესმენილობაა განაშორებს მას განყოფილებათაგან და საზოგადოთა შემთხუევითთა, რომელნი არა რაააარსობის შორის, არამედ ვითარიჩააარსობის შორის, ანუ ვითარ მქონებელ-არსობის შორის შეისმინებთან

10

v ვითარიჩააარსობის შორის ვიდრემე—განყოფილება|, ხოლო ვითარქონებისა შორის—საზოგადონი შემთხუევითნი, ხოლო იტყუან ვიეთნიმე, ვითარმედ, თქუა რამ: „ანუ ვითარქონება“, გარეშეიცენა განთსებულნიცა კიანიმე შემთხუევითნი. ვიტყუთ უკუე, ვითარმედ: დაღათუ ვითარქონებისა შორის შეისმინებთან იგინიცა, გარნა ეგრეთცა⁴ ერთისად შესმენილთაგანნი არიან. ხოლო იგინი ზემოგაყუნა ნათესავისაგან მეტყუელმან: მრავალთად უკუე თქუმსა ნათესავისასა განაკიდეა იგი მხოლომსა ერთისა განუკუეთელთაგანისად⁵ შესმენილთაგან.

15

არა სადმე ნამეტავად, არცა ნაკლულად გარეშეუცავს თქუმულსა ამას წარწერასა გაგონებაა ნათესავისა

20

58 განსაზღვრებათა ჰნებას მხოლოდ მოზავებულყოფაა საქმისა და სრულად გარეშეცემა⁶ მისი. რამეთუ ამისთვის განსაზღვრებადცა ითქუმიან, ვითარცა გარეშეცეველნი საზღვრობით ყანობითშორისთა|საზღვართაგან გარდმოღებულნი. ხოლო ორისა გუარისაებრ⁷ იცნობებიან განსაზღვრებანი: ანუ დამატებულნი ანუ დაკლებულნი⁸. კეთილად სადმე უთქუამს⁹ ფილოსოფოსთა, ვითარმედ: თითოეულსა ზომიერებასა. ერთად რადმე მყოფსა, ორნი ჰქონან გუერდით მღებარენი, რამეთუ ესრეთ სიმართლე ერთი რამე არს—სათნობა, ხოლო გუერდით უსხენ მას ნაკლულმონაგებობა და მრავალმონაგებობა¹⁰. და ნაკლულმონაგები ვიდრემე არს უქნინეს სათანადომსა მოურნე თავისა თვისსა, ხოლო მრავალმონაგები — უფრომს სათანადომსა. და კუალად მრთელცნობობაა სათნობა¹¹ არს, ხოლო გუერდით უსხენ მას ქვებურობა¹² და ლირქება. და ქვებურ¹² უკუე არს კლებით მოძრავი, ხოლო ლირწ—უფრომსობით და უწესობით მოძრავი. ვითარცა უკუე ამათ ზედა არს, ეგრეთ განსაზღვრებასაცა ზედა, რამეთუ|იგი არს რჩეული საზღვარი, რომელი გარეშეკსაზღვრებდეს ვიდრემე თვისსა საქმესა და არარას გარეგნით მისსა დაუტეობდეს, ხოლო¹³ გუერდით მღებარეთა არას მოჰხუეკდეს. ხოლო გუერდით უსხენ ამასცა, ვითარ-იგი სხუთა სათნობათა, გარდარეულება და მოკლება, ვითარცა ეგერა თქუმულ არს.

25

30

35

1 გუეეთხოლის C. 2 სოკრატს C. 3 რამ შინაობით C. 4 ეგრეთა C. 5 ერთისა განუკუეთელთაგანისადქართისაგან უკუე თესლთაგანისად C. 6 გარეშეცემა ABD. 7 გუარისაებრ C. 8 ანუ დაკლებულნი—B. 9 უთქუამს C. 10 მრავალმონაგებობა—B. 11 ქუებურობა C. 12 ქუებურ C. 13 ხოლო—B.

¹ „რომელნი... შეისმინებთან“ განსამარტავ ფრანზად არის გამოყოფილი CA₁ 66, 13. ² ამაზე ნუსხურით წერია: „ვითარმინი“ ნიხე რომ მქონდეს (Sic!) C 101 v. ³ ამაზე მხედრულით შინაწერია: „სათნობა მრთელ ცნობიერე...“ C 102r.

დამეტებულნი უკუე ჰყოფენ საქმეთა მოკლებულ, ხოლო დაკლებულნი ჰყოფენ საქმეთა დამეტებულ. ვითარ-იგი კაცისა საზღვარი არს „ცხოველი სიტყუერი, მოკუდავი“ და ესე საზღვარი განაკიდებს კაცსა სხუათა ყოველთაგან და გარეშესცავს ყოველთა კაცთა. ხოლო მოკლებული ჰყოფს დამეტებასა 5 საქმისასა, ვითარ „ცხოველი მოკუდავი“, რამეთუ არა კაცი ხოლო არს ცხოველი მოკუდავი, არამედ ცხენიცა და ძაღლი და სხუანი მრავალნი. და კუალად დამეტებული მოკლებულ-ჰყოფს საქმესა, ვითარ „სიტყუერი, მოკუდავი, ღრამმატიკოსი“ 15, რამეთუ არა მერმე ყოველთა კაცთა გარეშესცავს, არამედ მხოლოთა ღრამმატიკოსთა. და ესე სამართლად! რამეთუ უთანდადებულეს ქმნილნი საქმენი უფროსს შეიწრდებიან, ხოლო უმარტივესად მყოფნი უმეტესისა მიმართ განეფინებიან და უმეტესისა მიმართ განვლენ უმახლობელესად მყოფნი ჯერეთ პირველისა და ყოველთა საზოგადოესა დასაბამისანი. ვინაჲცა „ცხოველი“ ვიდრემე თუთ იგი თავით თუსით უმეტესისა მიმართ განვალს, ხოლო თანდაედვას რაჲ „სიტყუერი“ — უცნიესისა მიმართ, რამეთუ „სიტყუერისა ცხოველისა“ „მოკუდავისადა“ შეყოფილისა მერმეცა უმცირესნი შეუცვან, ხოლო უკუეთუ დაერთოს „ღრამმატიკოსიცა“, მერმე უმცირესადრე ითქუმის, რომლისათეს 15 მოაკლდებოდინ რაჲ განსაზღვრებანი, ჰყოფენ საქმისა დამეტებასა.

ამათი უკუე დამნიშნველი პორფირიოს იტყუს, ვითარმედ გარდაცემული ნათესავისად განსაზღვრებად, რომელ არს წარწერაჲ, ორთაგანვე გამოკსნილ 20 არს, რომელნი უშუენიერო ჰყოფენ განსაზღვრებათა, რამეთუ არცა მპატს, არცა აკლს.

თქუმულ არს, ვითარმედ სამნი არიან ნათესავნი: რომელნიმე უკუე პირველ მრავალთასა, ხოლო რომელნიმე მრავალთა შორის და რომელნიმე მრავალთა ზედა, რომელნი უკუანაჲსადცა ნათესავად იწოდებიან და გასაგონებლად. 25 არ წინაუც³ პორფირის სწავლად ნათესავთათუს პირველთა მრავალთასა, არცა მრავალთა შორისთათუს, არამედ მრავალთა ზედათათუს, ესე იგი არს, გასაგონებელთათუს. ამისთუს უკუე თქუა „წარწერაჲ“ საგულისზრახვოესა, ესე იგი არს, მოსაგონებელისა ნათესავისაჲ, რომლისა გულისზრახვისაებრ⁴ მომღებელნი საქმეთანი მისსა მიმართ განვასაზღვრებთ, ვითარ-იგი მოვიღებთ გაგონებნი 30 საებრ მისისა კაცსა და მისსა მიმართ აღმგულისსიტყუეანინ⁵ ვიტყუთ, ვითარმედ: „კაცი არს ცხოველი სიტყუერი, მოკუდავი“. იტყუს უკუე პორფირიოს, ვითარმედ: ამის გაგონებისასა არცა რაჲ დამეტებული, არცა დაკლებული აქუს წარწერასა ნათესავისასა.

სხნისბთჳს

35 ხოლო სახე ითქუმის ვიდრემე თითოეულისა ცა შესახედავისა ცა ზედა

დასრულდა ნათესავისათუს სიტყუაჲ. ვინაჲცა მეორე⁶ წესი აქუს ამათ შორის განყოფილებათა, არამედ ვითარმედ ნათესავი და სახე რაჲსამიმართებ და თანად წარმოდგებიან და თანად გულისხუმა-იქმნებიან, ამისთუს|სახე წი- v

1 რამეთუ არა კაცი ხოლო არს ცხოველი მოკუდავი—B. 2 გასაგონებლად B, გასაგონებად C. 3 არ რამეთუ B. 4 გულისზრახვისაებრ C. 5 აღმოგ⁶გლის სიტყ⁶ანი C. 6 მეორე| მეორესა ABCD.

ნადააწესა განყოფილებისასა და არა ბუნებითისა წესისა, არამედ ნსწავლე-
ლობისათჳს და რამეთუ ნათესავისძლითსა მსწავლელობასა შინა მოიქსენა
სახისაჲ. და უქმდა არა მრავალჳმ დაყუდნებულ¹-ყოფიამ მსმენელისაჲ.

ხოლო ჩუეულებრისაჲ კანონისა მკუმეველი აწცა პირველად აღჰრაცხს²
ყოველთა დანიშნავთა სახისათა, მერმელა ეგრეთ განასაზღვრებს, რომლისათჳს
ჰყოფს სიტყუასა, რამეთუ არიან სხუანი დანიშნვანი სახისანი, რომელთათჳს
არა წინა-ძეს თქუმაღ, არამედ მათ აღჰრაცხს⁴ დანიშნულობათა სახისათა, შე-
სატყუსთა სიტყუერებითისა მოფარდულობისათა.

იტყუს უკუე, ვითარმედ მრჩობლი არს დანიშნულობაჲ სახისაჲ: რამეთუ
სახედ ითქუმის შესახედავიცა თითოეულისაჲ, რომლისა დანიშნვისაებრ⁵

161 ვიტყუთ კეთილსახეობასა და ჰავსახეობას; ხოლო სახ¹ედ ითქუმის დაწესებუ-
ლიცა ნათესავისა ქუეშე, რომლისა ნათესავი რაჲარსობისა შორის შესიმინე-
ბის, არამედ ესე საზღვარი არს არსახონისაჲცა და სახონისა სახისაჲ. ხოლო
ითქუმის სახე სხუებრცა: მრავალთა და რიცხვთა განყოფილთად რაჲარსობი-
სა შორის შესმენილი. ხოლო ვითარმედ სახელთა ამათ დანიშნულობანი, ვიტყუ
15 უკუე არსახონისა და სახონისა სახისანი, უცხადო არიან საზოგადოჲსა ჩუე-
ულებისა, წადმართმავალი სიტყუაჲ განაცხადებს მათ კელისმიმყოფი სიკეთე-
სა კატილორიათასა, ვიტყუ არსებასა, რომელი თვთვუამოანი საქმე არს და ნა-
თესავონი ნათესავი, რამეთუ სხუანი კატილორიანი შემთხუევითი არიან მის-
ნი. რამეთუ უკუეთუ სხუანი ყოველი არსებისა შორის არიან და მის შორის
20 იხილვებიან და თვნიერ მისსა დგომად ვერ შემძლებელ არიან, ცხად-არს, ვი-
თარმედ არსებაჲ თვთვუამოანი არს, ხოლო სხუანი ცხრანი¹კატილორიანი მას
შემთხუევიან. ვინაჲცა მიიღებს არსებასა და თხზავს მისგან ესევითარსა სი-
რასა, ვითარმედ: არსებისაჲ რომელიმე არს სხეულ, ხოლო რომელიმე უსხეუ-
ლო; და სხეულისაჲ რომელიმე—სულიერ, ხოლო რომელიმე—უსულიერ; და სუ-
25 ლიერისაჲ რომელიმე—ცხოველ და რომელიმე—ნერგ და რომელიმე—ცხო-
ველნერგ; და ცხოველისაჲ რომელიმე — სიტყუერ და რომელიმე — უსიტყუე;
და სიტყუერისაჲ რომელიმე — ანგელოზ, რომელიმე—კაც, და რომელიმე —
ეშმაკ. ამათ შორის ნათესავონი ვიდრემე ნათესავი არს არსებაჲ, ხოლო სა-
ხონი სახე — კაცი, ხოლო საშუალნი ნათესავადცა ითქუმანი იგინივე და სა-
30 ხედ, სახედ ვიდრემე უპირველესთა მათთად, ხოლო ნათესავად შემდგომთა
თჳსთად.

ხოლო ზიარად ყოველთა სახეთა სახონათაცა და ურთიერთარსთაჲ პირ-
ველი წარწერაჲ შესცავს მეტყუელი: სახე არს ნათესავისა ქუეშე დაწესებული,
162 ანუ რომლისა ნათესავი რაჲარსობისა შორის შესიმინების. 35

რამეთუ ამათ წარწერათა თვთოეულისაჲ ქუემდებარე ვიდრემე იგი არს
ორთაჲვე, ხოლო სქესითა განყოფილ არიან, ვითარ-იგი აღსავალი და შთასავა-
ლი. რამეთუ ამათ საქმეთა ქუე-უც ვიდრემე იგივე კიბე, ხოლო განყოფვის
აღსავალი შთასავალსა სქესითა მხოლოდთა, რამეთუ აღსავალი უკუე ქუენათა-
გან ზენათა მიმართ აღმგზავრებაჲ არს, ხოლო შთასავალი — ზენათაგან ქუე-
40 ნათა მიმართ შთამგზავრებაჲ. და თესლიცა და ნაყოფი ქუემდებარათა სადმე
იგივე არიან, ხოლო სიტყუთა და სქესითა⁷ განიყოფვიან⁸, ვითარცა უკუე ამათ
ზედა, ესრეთ აქუს ორკესაცა ზედა წარწერასა სახისასა, რამეთუ განყოფ-

1 დაყუდებულ C. 2 ჩუეულებრი B. 3—4 აღრაცხს C. 5 დანიშნესაგბრ C. 6 ურთიერ-
თასცა C. 7 სქესითა¹სქმთა D. 8 განიყოფვან C.

ვიან¹ ურთიერთას ერთი ვიდრემე ნათესავისაგან დაწყებითა და სახისა თანა დადგომითა, ხოლო სხუად იგი სახისაგან სადმე დაწყებითა და ნათესავისა² თანა დადგომითა, ვინამ უკუე ესენიცა მხოლოდთა სქესითა განიყოფვიან ურთიერთას, ხოლო ქუემდებართა იგივე არიან.

5 ხოლო დაიწყების³ უშესწავებულესისა დანიშნვისაგან სახისადასა მით, რამეთუ გვანება აქუს ფილოსოფოსთამიერისა მიმართ, რამეთუ ვითარ-იგი შესახედავისაგანი სახე შემცველობითი არს ყოველთა კერძოთაჲ, ეგრეთვე ფილოსოფოსთამიერი — კერძობითთაჲ.

ხოლო სახე ითქუმის ვიდრემე შესახედავსაცა ზედა თითოეულისასა

10

ვითარ-იგი ნათესავისა ზეცა⁴ პირველ სწავლულებისა, თუ რაჲ არს ნათესავი, განარჩია თანმოსახელობაჲ მისი და პირველად რომელთათუს არ წინადგა მას, ასწავა დანიშნულობათათუს ნათესავისათა, და ეგრეთლა წინამდებარისათუს მითვე გუარითა აქაცა პირველად თანმოსახელობასა განარჩევს⁵ და ეგრეთლა იტყუს, რაჲ არს სახე და ვითარი დანიშნვად.

163

15

ხოლო ითქუმის სახედ გარდაცემულიცა ნათესავისა ქუეშედ, რომლისაებრ ჩუეულ ვართ თქუმად კაცსა სადმე სახედ ცხოვლისა⁶ ნათესავ-ყოფასა ცხოვლისასა, ხოლო თეთრსა — სახედ ფერისა, ხოლო სამკუთხსა — ნაკუთისა სახედ

20

თქუნა რაჲ დანიშნულობანი სახისანი და რომლისათუს წინა-უც მას თქუმად, აწ მაგალითისა მიერ ასწავებს წინამდებარისათუს დანიშნულისა სახისა, ვითარ ნათესავისა ქუეშე აღიყვანების სახე. რამეთუ მიიღებს სამკუთხსა და ნაკუეთსა¹, ნაკუეთსა სადმე, ვითარცა ნათესავსა, ხოლო სამკუთხსა, ვითარცა სახესა. ხოლო ჰგონებენ² ვიეთნიმე მისთუს, ვითარმედ არა საკუთრად უთქუამს ნაკუეთი ნათესავად სამძვილისა ანუ სამძვიდე³ სახედ ნაკუეთისა, რამეთუ რომელთა შორის პირველ რაჲმე და მეორე არსო, იტყვან, ამათდა|საზოგადოდ შესმენილი არა არს ნათესავი. ხოლო სამძვიდე პირველი არს ოთხძვილისაჲ, რამეთუ იგი სადმე სამთაგან არს ღრამშთა, ხოლო ესე ოთხთაგან და სამნი პირველებ ოთხთასა და სხუებრცა. ყოველი ოთხძვიდე ორად სამძვიდედ


25

v

30

1 განყოფილის B. 2 ნათესავისა B. 3 ხოლო დაიწყების|დაიწყების B, ხოლო დაიწყების D. 4 ზეცა|ზედაცა D. 5 ცხოველის B. 6 + და C.

¹ ამაზე მხედრულთ მინაწერი: „კეთი: გამოკვეთილი: I...I თესვი: სამკუთხსა კ|ახესა“ C 104 v. ² D. ში, 106 v-ზე ამსიტყვაზე მითითებით ამაზე დახატულია გეომეტრიული ფიგურები:




ნახევარმრგულებად*1 და ცხად-არს, ვითარმედ თითოეული ნახევარმრგულა-
 ლთაგანი ნაკუეთი არს გარემოვლებულისაგან ნახევარმრგულისა ღრამისა და
 განრეზომისა ევთიას თანმდებარე. ვინადაც შეემთხუვევის მარტივსა ნაკუე-
 5 მარტივისა უკუე, ვიტყუ, მრგულისაგან ბუნებით პირველ-ყოფაა შენავებულ-
 სა. ვითარცა უკუე ამათ ზედა წულილმოგონებაა ჩუენი ესევითარსა ჰყოფს
 განწვალებასა და არა ამისთვის საჭირო არს, რაათა ოთხეურისასა ბუნებით
 პირველ იყვენ სხუსაივრცენი, ვითარ ეგების სხუსაივრცეთაა განთუსვავა ორად
 ოთხეურად, ვინაითგან სხუაა გუერდთაგან ორწლი არს სხუსა, ანუ რამეთუ
 10 კუალად მრგულისა შეზავებულნი ნაკუეთნი ევთითაგან და გარდმოვლებულ-
 თა თანდადებულნი პირველნი არიან. ხოლო ესრეთ უკუეთუ ეგებიან ოთხეუ-
 რისაა განრეზომობით ორად სამეურად განთუსვავა, ეგერა საჭირო არს ამი-
 სთვის სამეურთაგანცა თანდადებამ მისი და პირველად მისსა ყოფაა სამეურ-
 15 თისაა.

ხოლო უკუეთუ ნათესავისა განმჩენელთა სახი-
 5 საა მოვიქსენეთ მეტყუელთა, ვითარმედ „მრავალ-
 თად და განყოფილთა სახითა რადაარსობის შორის
 შესმენილი“ და სახისა განმასაზღვრებელნი კუა-
 20 ლად ნათესავსა მოვიქსენებთ მეტყუელნი: „სახე
 არს განჩენილი ნათესავისაგან“.

ხოლო ნუვინ მბარალობს, რამეთუ ქეშმარიტებით მეტყუელი ამათი პორ-
 ფიროს საგონებელ არს მქუმეველად ურთიერთასმჩუენებლობისად1. ხოლო
 ურთიერთასმჩუენებლობაა საგონებელ არს ფილოსოფოსთა მიერ, ვითარცა მა-
 25 თივე პირველებცა და მეორეებ2 მყოფელი და შემრეველი წესსა პროტასეოსთა
 და სიმპერაზმათასა, რამეთუ შეიქმს მეორესა უკუე პირველად, ხოლო პირვე-
 ლსა მეორედ და მათეუმათასავე უცხადესადცა შეიქმს და უცხადოლცა.
 ვითარ-იგი მრქუას თუ ვინმე, ვითარმედ: „სული უკუდავ არს“, ვიტყუ, ვი-
 თარმედ თუ: „ვითარ?“ ვითარმედ სული თვთმოდრავ, თვთმოდრავი მარადის
 30 მოძრავ3*2... უკუდავ; სული სადმე უკუდავ არს. ხოლო*3 უკუეთუ მრქუას:
 „ვინაა ცხად, ვითარმედ თვთმოდრავ არს სული?“ მერმე ამისდა ჩუენებად
 მნებებელმან ვთქუა, ვითარმედ: „სული უკუდავ არს, უკუდავი მარადის მოძ-
 რავ, მარადის მოძრავი თვთმოდრავ, სული სადმე თვთმოდრავ“4. ურთიერთა-
 სად ითქუმის ესევითარი მჩუენებლობაა, რამეთუ მნებავმან ჩუენებად, ვი-
 35 თარმედ „უკუდავ არს სული“, მივილე პირველად „თვთმოდრავი“ და შევას-
 რულე „უკუდავი“5. ხოლო მნებავმან კუალად ჩუენებად, ვითარმედ „სული

1 ურთიერთასმჩუენებლობისად BC. 2 მეორებ B. 3 თვთმოდრავი მარადის მოძრავ—B.
 4 მარადის მოძრავი თვთმოდრავ, სული სადმე თვთმოდრავ — B. 5 და შევასრულე უკუდავი—B.

*1 D-ში 107 v-ზე ამაზე დახატულია ფიგურა: 

*2 აკლი το δευτερον CA1 74,15. *3 ამაზე სინგურით შენიშვნაა: „იხილე“ ABC, „იხილე შენიერი ყოვლ-დ“ D.

თუმოდრავ არს“, მივიღე პირველად „უკუდავი“ და შევასრულე „თუმოდ-
 167 რავი“, პირველისა უკუანასკნელად მყოფელმან, ვინაცა ურთიერთასირუე-
 ნებამ არს უპირველესისა შესრულებად შექმნელი და შესრულებისა კუ-
 ლად უპირველესად.
 რომლისათვის საგიობელცა არს, რამეთუ ყოველი აღმოჩენამ პრატასეო-
 5 თა* ვიდრემე ცხადთა და აღსარებულთა მიხუამს, ხოლო სუპერასამს
 უცხადოდ მყოფსა განაცხადებს და საჩინო-ყოფს პრატასეოთა მიერ. სამარ-
 თლად სადმე ღირს გიობისა არს გარემოქცევაა წესისა ამის და სუპერასე-
 მასამ ვიდრემე, რომელი პირველად ვითარცა უცხადომ მოიღებოდა, ცხად-
 10 ქმნამ წესსა შინა პრატასეომსა მოღებითა, ხოლო პრატასეომსა, რომელი ვი-
 თარცა აღსარებული პირველ მოიღებოდა, უცხადოდ სუპერასემად შექმნამ აწ.
 კულად უკუეთუ მნებავთა ჩუენებად, ვითარმედ ეგერა სძე აქუს დე-
 დაკაცსა, ვთქუთ²: „ეგერა დედაკაცმან შვა, შმობიარესა სძე აქუს“. ხოლო
 5 მნებავნი კულად ჩუენებად, ვითარმედ შვა, ვიტყუთ: „ეგერა დედაკაცსა აქუს
 სძე და სძის მქონებელმან შვა, ეგერა სადმე დედაკაცმან შვა“. ვინამ კულად
 15 აქაცა იგინივე მათდადვე უპირველესადცა მოვიხუენით და უშემდგომესადცა,
 და უცხადესად და უუცხადოესად, რამეთუ პირველად მოვიღეთ ცხადი უკუე
 და პირველი შმობლობამ, ხოლო უცხადოდ და უკუანასკნელად — სძის ქო-
 ნებამ, ხოლო შემდგომად მოვიღეთ ცხადად ვიდრემე და პირველად სძის ქო-
 20 ნებამ, ხოლო უცხადოდ და შემდგომად—შმობლობამ, ვინამცა ესეგვითარსა
 ჩუენებასა შინა მათდადვე იგინივე პირველებად მოიხუმიან და შემდგომე-
 ბად³, და უცხადესად და უუცხადოესად. ხოლო ყოველი გამოჩენამ ანუ უცხად-
 დომსაგან უცხადოსა აღმოაჩენს, ანუ უცხადომსაგან ცხადსა, ანუ ცხადისაგან
 უცხადოსა, ანუ კულად უცხადომსაგან ცხადსა. და ცხად-არს, ვითარმედ მხო-
 168 ლომ საკუთარი ჩუენებამ არს ცხადისაგან მჩუენებელი უცხადომსაჲ, ვინამ
 25 სხუანი სამნი საგიობ[ელ და არ]ცა რამთურთით ჩუენება არიან, რამეთუ არ
 შესატყვის არს ცხადისამ უცხადომსაგან ჩუენებამ, არცა უცხადომსამ უცხად-
 დომსაგან, არამედ არცა ცხადი ჩუენებისა⁴ მოქნე არს, რამთა სხუსა ცხადისაგან
 გამოცხადნეს. ხოლო მრავლად უუადგილოეს არს უცხადომსაგან თქუმამ ჩუე-
 ნებასა უცხადომსასა, ვინამცა ერთი არს საკუთარი ჩუენებამ: ცხადისაგან მჩუე-
 30 ნებელი—უცხადოსა. სამართლად სადმე ერთმანერთისამიერი საგიობელ არს
 ჩუენებამ ცხადთა და პირველთა უცხადო და უკუანასკნელებ⁵ მყოფელი, და
 წინაუკმო, უცხადოთა და უკუანასკნელთა—ცხად და პირველებ.
 ვითარ უკუე ფილოსოფოსმან პორფირი შვაენა თავსა თუსსა ერთმანერ-
 35 თისმიერისა ჩუენებისა მკუშეველობამ (რამეთუ ნათესავისაძლითსა მასწავლე-
 ლობასა შინა შემოიღო სახე და სახისძლითსა — ნათესავი, რომელსა ნუუ-
 კუე აბრალამცა ვინმე), თთ სიტყუა-უგო⁶ სწორობით, რამეთუ თქუა, ვითარ-
 მედ⁷: ნათესავი მახისამ არს ნათესავი და სახე ნათესავისამ არს სახე. აწ უკუე
 40 საპიროდ უქუს მასწავლელსა ნათესავისათვის მოქსენებამ სახისამცა და სახი-
 სათვის მეტყუელისა ქსენებამ ნათესავისამ, რამეთუ რამსამემიმართებ და
 მყისთანად შემტკიცებულებ და მყისთანად გულისხუმისსაყოფელებ არიან. რა-

1 მოიღებოდა C. 2 ვთქუთ C. 3 შემდგომად B. 4 ჩუენების C. 5 უკუანასკნელებ B.
 6 სიტყუა-უგოთ ABCD. წერ. ძეგლებითა CA₁ 76, 2. 7 ვითარმედ¹არამედ B.
 * ამაზე მინაწერი: „პრატასეო პირველ სატქმელი. რეკტორი დავით“, D 108 v.

მეთუ ნათესავი ვისიმე არს ნათესავი, ესე იგი არს, სახისაჲ და შეუძლებელ არს ერთკერძომაჲ ამათისა თვნიერ ერთკერძომაჲ შემეცნებაჲ, რომლისათჳს საჭირო არს ერთკერძომაჲ ამათისათჳს მასწავლულობასა მყოფელისად მოკსენებაჲ სახისაჲცა, რამეთუ ერთისა რამსამიმართთაგანისა უმეცარჲან არცა სხუაჲ იგი უწყის.

169 |სახე არს დაწესებული ნათესავისა ქუეშე და რომლისა ნათესავი რაჲარსობისა შორის შეისმინების

10 15 20 25 30 35
 ორთა წარწერათა განუჩენს სახესა: ქუემდებართა ვიდრემე მათვე (რამეთუ ორნივე უმრავლესთად შეისმინებიან), ხოლო სქესითა განყოფილთა, ვითარ-იგი აღსავალი და შთასავალი, რამეთუ ზენაით დამწყებელნი შთასავალად უწყესთ მას, ხოლო ქუენაით — აღსავალად. ეგრეთვე აქაცა ორნი არიან სქესნი: სახისაჲ ნათესავისა მიმართ, ვითარ-იგი მის ქუეშე არს, და ნათესავისაჲ სახისა მიმართ, ვითარ-იგი გარშემცველობითი არს მისი. და ჰგავს სქესი ნათესავისაგან სახისამიმართი¹ შთასავალსა, ხოლო სახისაგან ნათესავისამიმართი² — აღსავალსა. და ესე არიან სხუასქესნი წარწერანი, ხოლო ამიერთგან შემდგომად ამათსა სრულსა წარწერასა³ განუჩენს განწველებისაგან კმათაჲსა მონღებულსა.

სახე არს უმრავლესთა და რიცვთა განყოფილთად რაჲარსობისა შორის შესმენილი

20 25 30 35
 სხუასა წარწერასა განუჩენს³ სახესა, მსგავსსა⁴ პირველთქუმული⁵ ნათესავისაგან განჩენილისასა. არამედ ესე ვიდრემე განჩენაჲ უსახოვნისაჲცა იყოს⁶. ესე უკუნადასკნელ განჩენილი წარწერაჲ სახისაჲო, იტყუს, არა ყოველსა სახესა შეეტყუებინს, არამედ მხოლოთა უსახესთა⁵. ხოლო რაჲთა ვისწაოთ, რანი არიან უსახეენისი სახენი, იკუმევეს ესე ვითარსა განწველებასა: არსებისაჲ რომელიმე არს სხეულეანი და რომელიმე — უსხეულეანი; ხოლო სხეულისაჲ რომელიმე სულიერ და რომელიმე — უსულიო; და სულიერისაჲ რომელიმე ცხოველ და რომელიმე — ნერგ და რომელიმე ცხოველნერგ (რამეთუ ნერგსა ვიდრემე სამნი ესე მხოლონი ჰქონან ძალნი: მოზარდობითი, მეორძინებო⁷ითი, მშობელობითი. ხოლო ცხოველნერგსა ამათ თანა აქუს გრძნობითიცა ძალი, ხოლო ცხოველსა — მიმომავლობითითიცა ადგილისაგან ადგილისა მიმართ. ვინაჲცა ცხოველნერგი საშუალ არს ორთასავე, რამეთუ აქუს სამთა ძალთა თანა შეგებითიცა გრძნობაჲ, ხოლო არღა ადგილისაგან ადგილ მიმართ მისლვაჲ, ვითარნი არიან ოსტრეანი⁸ და სპონგნი, რამეთუ შეწყებულ არიან კლდეთა და მიეხოს თუ რამემე, მოკრბებიან, ხოლო მარტობედენ რაჲ, კსნით იყოფვიან⁹. კუალად ცხოველისაჲ⁷ რომელიმე არს სიტყუერ და რომელიმე — უსიტყუელი; და სიტყუერისაჲ რომელიმე ღმერთი, რომელიმე კაცი; კუალად კაცთაგანი რომელიმე არს სოკრატე, ხოლო რომელიმე — პლატონი და თითოეულადნი. გარნა არცა ერთი არს ამათჳს სიტყუეჲ ფილოსოფოსთაჲ, ვითარცა მრავალგზის თქუმულ არს.

1 სახისა მიმართ C. 2 ნათესავისა მიმართ C. 3 + სხუასა C. 4 მსგავსსა — C. 5 უსახესთა B. 6 იყოფიან C. 7 ცხოველისა C. 8
 *1 არამედ... იყოს“ განსამარტავ ფრაზად არის გამოყოფილი CA₁ 77, 12. *2 ამაზე წერაჲ: „ოსტრეო არს სადაფი. დავით რეკტორი“ D 110 r.

v ამას უკუე განწვალებასა შინაპირველი არს არსებამ, ხოლო უკუანამსკ-
ნელი — კაცი. ხოლო წოდებულნი ურთიერთარსთა მიმართ*..., და სხუად
ითქუმიან. რამეთუ სხეული სახე უკუე არს არსებისაჲ, ხოლო ნათესავი —
სულიერისაჲ; და სულიერი სახე ვიდრემე სხეულისაჲ, ხოლო ნათესავი —
ცხოველისაჲ; და ცხოველი სახე სადმე სულიერისაჲ, ხოლო ნათესავი. კაცისაჲ; 5
ხოლო კაცი სახე უკუე ცხოველისაჲ, ხოლო არღა მერმე ნათესავიო, იტყვს,
რამეთუ შეისმინების არა განყოფილთად სახითა, არამედ რიცხვთა, ვითარ სოკ-
რატისდა, ალკივიადისდა. არა არს უკუე ნათესავ, არამედ არცა განუკუეუთელ,
ვითარ თითოეულადთა კერძობითთა არს გარშემცველობითი. დაუშუების სა-
დმე კაცსა სახე უსახეეს ყოფამ. იტყვს უკუე, ვითარმედ: სახისადა განჩენილი
უკუანამსკნელ წარწერამ არა ყოველსა სახესა შეეტყუების, რამეთუ არა
177 ცხოველსაცა და სიტყუერსა და|სულიერსა, არამედ მხოლოთა უსახეესთა სა-
ხეთა, ვითარ კაცსა და ცხენსა და ძაღლსა, რომელნი მხოლოდ სახენი არიან.

ხოლო იქმენინ ერთისა შესემენისა ზედა ცხად-
თქუმული

15

რამეთუ ყოველთა ზედა კატილორითა არიან ნათესავნი და სახენი. არა-
მედ არსებამ უკუე არს ნათესავი უნათესვესი¹, ხოლო ამის ქუეშე არს სხეუ-
ლი, და სხეულსა ქუეშე სულიერი (რამეთუ ესე კერძი მიიღო განწვალებისაჲ
დამტევებელმან უსხეულომასა, ვინაჲთგან გრძნობადნი უშესაშეცნებელეს
ჩუენდა), და სულიერსა ქუეშე — ცხოველი და ამას ქუეშე — სიტყუერი და
მას² ქუეშე კაცი.

20

v არამედ არს არსებამ ვიდრემე უნათესვესი და რომელი მხოლოდ ნათესავი
ხოლო არს (რამეთუ არარამ უბირველეს არს არსებისა); ხოლო კაცი უსახეესი
და რომელი მხოლოდ სახე ხოლო არს (რამეთუ არარამ არს შემდგომად კაცი-
სა საყოველთაოთა შორის); ხოლო სხეულ არს ნათესავიცა და|სახე, არამედ 25
სახე ვიდრემე არსებისა, ხოლო ნათესავ სულიერისა, ხოლო სულიერი
სახე, სახე სადმე არს სხეულისა, ხოლო ნათესავ — ცხოველისა, რამეთუ ცხო-
ვლად ითქუმის სულიერი და გრძნობისა თანქმონებელი. ხოლო სულიერ არს
მოზარდი და აღორძინებადი და შშობელი მსგავსისა თვისსაჲ. ვინაჲცა ნერგნი
თანქმონებელნი ამათ ძალთანი, სულიერ სადმე არიან და ამათ თანაზიარ, გარნა
არა ცხოველცა, ხოლო ოსტრიდნი და სპონგიენი სულიერ ვიდრემე არიან და 30
ამათ თანაზიარ მგრძნობელობითისაცა ძალისა (რამეთუ ბიეახლოს რამ მათ
მიძღულებელი რამე, შემოკრებიან) და ნერგთა უკუე მსგავს არიან ძირეუ-
ლობითა და ზრდითა. კუალად სიტყუერი ნათესავი ვიდრემე არს მოკუდავი-
საჲ, ხოლო სახე — ცხოველისა; და მოკუდავი ნათესავი უკუე არს კაცისაჲ, ხო-
ლო სა|ხე — სიტყუერისაჲ.

35

1 უნათესავისი C. 2 ქუეშე... სიტყუერი და მს — B.

* აქლია δ και γση και εδη προς δλλο και δλλο λέγεται δθ η μὲν οὐσία γένος γενικ-
ώτατος δ δθ ἀνθρωπος εἶδος εἰδικώτατος. τὰ δέ λοιπὰ και γση και εδη προς δλλο
και δλλο λαμβανόμενα CA₁ 78, 6—8.

და ყოველი პირველ განუკუთვლელთასა მახლობელად შესვენილი სახე ოდენ იყოს მხოლოდ და არა ნათესავიცა

ნაცვალად მესყუელისა და უსაშოვლომსა, რამეთუ არს პირველ განუკუ-
5 ვთვლთასა ცხოველიცა, გარნა არ უსაშოვლოდ, არამედ საშუალობითა კაცი-
სადათა. კაცი უკუე მახლობელ არს განუკუთვლელთასა და არს სახე! მხოლოდ.

ვინაჲ ამათ ორნი ჰქონან სქესნი*1. ხოლო არსებასა ერთი ჯქუს სქესი შემ-
დგომთა მისთამიმართი და უპირველესთა მისთამიმართი არა აქუს, ვითარ არ-
ცა უზენაეს არსებისა არს რამე. ხოლო კვალად სახესა ერთი აქუს სქესი მის-
თა უპირველესთამიმართი, რამეთუ შემდგომთა მისთა მიმართ არღა აქუს მერ-
მე, რამეთუ არცერთი რაჲ არს შემდგომად სახისა. ხოლო საშუალოთა ორნი
30 ჰქონან სქესნი: უპირატესთაცა მათთამიმართი, რომლისაებრ სახედ ითქუმიან
და შემდგომთა მათთამიმართი, რომლისაებრ—ნათესავად. არამედ განუკუთვე-
ლნიცა სახედ ითქუმიან, რამეთუ ჰქონან უსახეესსაცა სახესა სქესნი რამე თუთ
15 მათ განუკუთვლელთა მიმართ, არამედ იგივე აქუს უპირველესთაცა მისთა მი-
მართ, რამეთუ კაცი სოკრატის და პლატონისად არ ითქუმის ნათესავად, არა-
მედ სახედ, ვითარცა გარეშემცველი განუკუთვლელთაჲ. აწ*3 უკუე განსაზღვრე-
ბენ უნათესვესსა*2 ვიდრემე ესრეთ: მეტყუელი ნათესავისა და უნათესვესისა
და ურთიერთარსთა⁴ და სახისა და უსახეესისათჳს. აწ ვგერა წარსწერს მათ და
20 იტყუს: რაჲ უკუე არს უნათესვესი⁵ ნათესავი? ვითარმედ: „ნათესავი, რომელი
არა არს სახე და რომლისა არა არს უზეადმავალი ნათესავი“. ხოლო რაჲ უსა-
ხეესი? ვითარმედ: „სახე, რომელი არა არს ნათესავი და რომელსა არ განეჭ-
ყოფთ⁶ სახისა მიმართ“. ხოლო რანი ურთიერთარსნი?⁷ ვითარმედ: „იგინივე
35 |ნათესავნიცა არიან |და სახენიცა|“. ამათ უკუე ჰნებაეს სიტყუს-
ყოფაჲ და გაადვილებისა⁸ ძლით შემოიღებს მავალითსა ნათესავთმეტყუელე-
ბისასა⁹.

173

რამეთუ იტყუს, ვითარმედ: ვითარ-იგი ნათესავთმეტყუელებათა ზედა არს
ზეეს დასაბამი რამე და მხოლოდ მამა, ხოლო არღა რეცა ძეცა, ხოლო აღა-
მემნონ მამა უკუე ორესტისსა, ხოლო ძე არტემისსა; ხოლო არტევს მამა ვიდ-
30 რემე აღამემნოასსა, ხოლო ძე პელოპოასსა, ესრეთ ფილოსოფოსთა მიერ
თქუმულსაცა ზედა ნათესავსა და სახესა რომელნიმე უკუე არიან მხოლოდ ნა-
თესავნი, ვითარცა არსებაჲ, ხოლო რომელნიმე — მხოლოდ!¹⁰ სახენი, ვითარცა
კაცი.

არამედ ნათესავთმეტყუელებათა ვიდრემე ზედა
35 ერთისა მიმართ აღვალთ, მოვედ, ვიტყოდი დასა-
ბამსა. დიამსსა, ვითარცა მრავალთა ზედა

ულონობედა რამე ნუუკუე აღმიძრა ჩუენ მავალითმან, რომელსა სწო-
რობით¹¹ აღჰქსნის¹² პორფირიოს, რამეთუ ჰქგონოს ვინმე, ვითარმედ ნუსადა ვი-
v

1 და არს სახე|ცხოველიცა D. 2 მათთა მიმართ C. 3 უნათესავესსა C. 4 ურთიერთასთა C.
5 უნათესვესი B. 6 განწყოფთ B. 7 ურთიერთარსნი C. 8 გაადვლებითსა C. 9 ნათესავთ
მეტყუელეებისა B. 10 მხოლოდ ნათესავნი, ვითარცა არსებაჲ, ხოლო რომელნიმე—B. 11 სწო-
რებთ B. 12 აღქსნის C.

*1 „ვინაჲ ამათ ორნი ჰქონან სქესნი“ განსამარტავ ფრაზად არის გამოყოფილი CA, 79, 20.
*2 აწაზე ტექსტის ხელით მიწაწერია: „ეგამცდე| (ეგ მცდევე B) შთამართსა ამას“ ABCD.
*3 „აწ უკუე... უნათესვესსა“ განსამარტავ ფრაზად არის გამოყოფილი CA, 80, 13.

თარცა ნათესავთმეტყუელებათა ზედა ერთისა დასაბამისა მიმართ აღვლენ სირანი, მოვედ, ვთქუათ, დიასსა (რამეთუ ყოველთა მყოფთა მამად, კაც-თაცა¹ და ღმერთთა, დაიას² სახელ-სდებს ზღაპრისმეტყუელებად), ეგრეთვე აქ-ცა ყოველნი კატილორიანი ერთისა რაჲსმე დასაბამისა მიმართ აღიწევიან, ვითარ მყოფისა. და რამეთუ არსებაცა მყოფი არს და რაოდენობად და სხუანი 5 შესსენანი და უკუეთუ ესე ესრეთ, არა იყვენენ ათნი ნათესავნი უნათესევისნი³, არამედ მყოფი იყოს საზოგადოდ ნათესავი ყოველთად. ამისი⁴ უკუე შემსწავებელი პორფირიოსი, ვითარმედ არა ნათესავ არა კატილორიათა მყოფი, იტყუს. ხოლო ვითარმედ არა არს მყოფი ნათესავ ათთა კატილორიათა, ვაჩუენთო ეს-რეთ: ყოველნი განწვალუბანი განწვალუბულთანი ანუ ვითარცა ნათესავნი სა- 10 ხეთა მიმართ განიწვალუბიან, ვითარ ოდეს ვიტყოდით: ცხოველისად რომელიმე⁵ არს ცხენი და რომელიმე — ძაღლი, ხოლო რომელიმე — კაცი; ანუ ვითარცა სრული კერძოთა მიმართ. და ესე ორსახედ: ანუ რამეთუ მსგავსკერძოთა მიმართ განიწვალუბის, ანუ უმსგავსკერძოთა მიმართ. (მსგავსკერძოთა მიმართ განწვალუბანი: ძარღუნი და არტირიანი და ძუალნი და კორცნი, რამე- 15 თუ ესე განიწვალუნენ რაჲ, ჰქონან კერძონი ურთიერთარსცა⁶ მსგავსნი და სრულისანიცა, ხოლო უმსგავსოებისკერძონი, ვითარ ოდეს ვთქუათ: სხუელისად რომელიმე არს თავი, ხოლო რომელიმე — კელ და რომელიმე — ფერკ); ანუ ვითარცა თანმოსახელე კმაჲ თითოფერთა დანიშნულთა მიმართ, ვითარ ოდეს ვიტყოდით: ძაღლისად რომელიმე არს კმელისად, ხოლო რომელიმე — ზღუსად, 20 ხოლო რომელიმე—ვარსკულავისად.

v ვინაჲ იჩუენოს თუ, ვითარმედ მყოფი არცა ვითარ ნათესავი სახისა მი-მართ, არცა ვითარ სრული კერძომსა მიმართ განიწვალუბის კატილორიათადმი, დაუშთების, ვითარცა თანმოსახელესა კმასა, განკუეთად თითოფერთა დანიშ- 25 ნვათა მიმართ. რამეთუ ვიდრემე უკუე არ განიწვალუბის, ვითარცა ნათესავი სახისა მიმართ, ცხად-არს⁷. ნათესავი განიწვალოს რაჲ სახეთა მიმართ, სწორე-ბით არს ყოველთა შორის და არ იხილვების სახეთა შორის პირველობად და მეორეობად თანქონებისაებრ ნათესავისამსა (რამეთუ არცა უფრომს კაცი ცხოველი არს ცხენისასა. და კუალად მოისპოს რაჲ ერთი სახე, არცა საქირო 30 არს სხუათა სახეთა მოსპობად, რამეთუ მოისპოს რაჲ კაცი, არ მოისპობვის ცხოველი, არცა სხუანი სახენი, ვითარ ცხენი და ძაღლი). უკუეთუ უკუე მყოფი განიწვალუბის ათთა კატილორიათა მიმართ, ვითარცა ნათესავი სახეთადმი, არა უქმდა ყოფიჲ მათა შორის პირველობასა და მეორეობასა, არცა რომელსამე 35 მათგანსა უფრომს თანქონებაჲ მყოფისად, ხოლო რომელსამე უმცრომს. ხოლო აწ არს პირველობაჲ და უკუენამსკენლობაჲ, რამეთუ პირველად ვიტყუთ არსებასა და სხუათა შემდგომითი შემდგომად, რომლისა მოსპობასა თანმოსპობვიან შემთხუევითნი, რომლისათუს უფრომს თანქონებულად მყოფისა ვიტყუთ მას⁸, ვინაჲთგან არსებაჲ ყოფასა მისცემს შემთხუევითთა (რამეთუ მის შორის დგანან) და იგი ვიდრემე არმოქენენ არს შემთხუევითთა მყოფობისათუს. ხოლო შემთხუევითნი არსადა იყვენენ არყოფასა მისსა, რომელსა 50 შეემთხუვენესცა, რამეთუ შემთხუევითსა აქუს რაჲმე პირველ ზედმოგონებულად, რომელსა შეემთხვა. არ სადმე მყოფი, ვითარცა ნათესავი სახისა მიმართ, განიწვალუბის ათთა კატილორიათა მიმართ, რამეთუ არამცა ერთისა სახისა|მო-

1 მამად, კაცოთაცა| მამაკაცთასა C. 2 დიასსა C. 3 უნათესევისნი C. 4 ამის C. 5 რაჲმე C. 6 ურთიერთსაცა C. 7 ცხად-არს|არა ცხად არს ABCD, შდრ. ზუენონოვ ბქღოთ CA₁ 82, 4. 8 ამას B.

სპობვითა მოისპობვოდა ნათესაეი, ვითარცა ეთქუ¹, ხოლო აწ მოისპოს რაა არსება, მოისპობვიან ნეშტნი კატილორიანი², რამეთუ მის შორის აქუსეყ ყოფა.

არ სადმე ვითარცა ნათესაეი განიწვალეების მყოფი, ვინაეცა არ შესაძლებელ არს განწვალებად მყოფი ათთა კატილორიათა მიმართ, ვითარცა ნათესაეი სახეთა მიმართ. ხოლო ვიტყვ, ვითარმედ არცა ვითარ სრული კერძოთა მიმართ, რამეთუ ესე კერძომსმგავსების³ მიმართ, ანუ კერძომსუმსგავსოების მიმართ განიწვალეობის, ვითარცა ითქუა. და კერძომსმგავსებითი ვიდრემე არს ჭონება კერძოთაგან მსგავსებასა სრულისასა, ვითარ სახეი-იღებოლინ რაა კერძონი სახელითა სრულისაათა და არაარაათ განიყოფვილინ ურთიერთას, რანეთუ კერძოთა შეშისათა შეშად სახელ-ეღების თითოეულსა და არაარაათ |განიყოფვიან⁴ ურთიერთას. ეგრეთვე კერძოსაცა ძარღუსასა ჯმაღ სრულისა ეწოღების და ჯორცსა და ნაწევარსა. ხოლო შეუძლებელ არს მყოფისა, ვითარცა კერძომსმგავსებით განწვალება [ათთა]⁵ კატილორიათა მიმართ, რამეთუ⁶ კერძონი, რომელ არაან კატილორიანი, დაღათუ სახელითა სრულისაათა სახელ-იღებიან (და მყოფად იწოდებიან ყოველნი), გარნა ერთმანერთსა ვიდრემე განეყოფვიან ყოველნი სახელითაცა და საქმიითა⁷ და არა არიან მსგავს ურთიერთას, რამეთუ სხუასა დაპნიშნავს არსებამ და სხუასა — რაოდენობამ⁸. კუალად უმსგავსოებისკერძოდ განწვალებულსა არა ჭჷონან კერძონი სახელდებულნი წოდებითა სრულისაათა, რომელნი განეყოფვიანცა⁹ ურთიერთას. ვითარ-იგი კერძონი პირისსახისანი არიან ცხური, თუალნი, |რომელნი არცა სახელითა სრულისაათა იწოდებიან, არცა ურთიერთას მსგავს არიან, რამეთუ არ ვიტყუთ სადმე ცხურისა პირისსახედ ყოფასა, ანუ თუალ. არცა უკუე ვითარცა კერძომსუმსგავსოდ შესაძლებელ არს განწვალებად მყოფი, რამეთუ უკუეთუ კერძონი არიან ურთიერთას, განყოფილ სახელითა და საქმიითა და ამისთვის ითნების უმსგავსოკერძო-ყოფამ მყოფისა, არამედ სახელითა სრულისაათა იწოდებიან კერძონი (რამეთუ მყოფი არს არსებამაცა და ვითარებამ და რაოდენობამ), ხოლო უმსგავსონი კერძონი სახელითა სრულისაათა არ იწოდებიან. აწ სადმე უკუეთუ არცა ვითარ მსგავსკერძომ, არცა ვითარ უმსგავსოკერძომ შესაძლებელ არს განწვალებად მყოფი ათთა კატილორიათა მიმართ, დაუშთების, |ვითარცა თანმოსახელესა ჯმასა, თითოსახეთა დანიშნებათა მიმართ განწვალება.

არამედ იდეეინ, ვითარ-იგი¹⁰ კატილორიათა“ შინა

წინამდებარე იყავნო, იტყვს, დასაბამ საქმეთა ყოფამ აწ და ვითარცა ნათესავნი ათნი, რამეთუ აღმოჩენამ, ვითარმედ ათნი მხოლოდ არიან დასაბამნი, სხუსა უსრულესისა მოვარდულობისა არს (რამეთუ „კატილორიათა“ შინა ესე იჩუენების, ვითარმედ ათნი არიან), ხოლო აწ წინადადებულ იქმენინ მხოლოდ, ვითარცა აღსაარებული.

დაღათუ ვინმე ყოველთა მყოფად უწოდოს, თანმოსახელედ უწოდოსო, იტყვს, და არა ერთსახელად

თანმოსახელე არიან სახელისა ვიდრემე მისვე ზიარნი, ხოლო არღა საქმისაცა, სახელისა მიერ დანიშნულისა, მისნივე თანქონებელნი, ვითარ-იგი ვარ-

1 ეთქუთ B. 2 კატილორიათანი BC. 3 მსგავსებისა C. 4 განიყოფვიან C. 5 ათთა|სრულისა ABCD, შდრ. εὐδὲ πάλιν CA, 83,7. 6 ხოლო C. 7 საქმიითა|სახითა D. 8 + და C. 9 განეყოფვიან C. 10 ვითარ-იგი¹⁰ B.

v სკულავი, ძალი ზღუსად დაქმელისად, რამეთუ მოზიარენი სახელითა განიყოფვიან საქმეებითა, სახელთა მიერ დანიშნულებითა¹. ხოლო ერთსახელ არიან, რომელთადა სახელი ზიარ და სახელისთანადა საზღვარი, ვითარ კაცა და ცხენი. რამეთუ ცხოველ არს თითოეული და სახელიცა ზიარი აქუს ცხოველისად და განსაზღვრებაცა იგივე, რომელი აქუს ცხოველსა, რომელ არს „არსებამ სულიერი მგრძნობელობითი“². იტყვს უკუე, ვითარმედ: დაღათუ მყოფად სახელესდებთ ყოველთა, თანმოსახველდ ვიტყვთ, არა ერთსახელად, რამეთუ ვითარცა ითქუა: თანმოსახელე² არიან სახელითა მხოლოდთა ზიარად მყოფნი, ხოლო ერთსახელ [ლა]დ³— სახელითა და საზღვრითა. აწ სადმე მყოფი მხოლოდთა სახელითა ზიარ-ყოფასა მიატყუებთა მისქუეშეთა (რამეთუ მყოფად ითქუმიან ათნი კატილორიანი), ხოლო არა სახელისთანადაცა საზღვრითა ეზიარებთან ურთიერთას⁴, რამეთუ სხუად კატილორიად სხვა სახელისა ქონებასა მყოფობისაებრ და სახელისთანადა საზღვრისასა მიემთხვა, რამეთუ სხვად სხუად კატილორიად, რომლისაებრ აქუს ყოფად, სახელისასაცა და სახელისებრისა მიემთხვა საზღვრისასა. ამიერ, ვითარცა თანმოსახელე კმა, მყოფი ათთა უნათესვესთა შესმენათა მიმართ განიწვალების: არსებისა მიმართ, რაოდენისა, რომლისა, რაჲსამიმართისა, სადაჲსა, ოდესისა. ქმნისა, ვნებისა, დებისა, ქონებისა.

ხოლო განუკუეთელნი, რომელ არიან შემდგომად უსახეესთასა, მიუწდომელებ²⁰

v „მიუწდომელად“ იტყვს არა ყოფითა, არამედ კუალად და კუალად ქმნითა. „სახისმოქმედნი განყოფილებანი“, ვითარ-იგი ცხოველი სიტყუერად და უსიტყუელად, ნაცვალად არსებითთა განყოფილებათასა, რამეთუ არიან არსებითნიცა განყოფილებანი. ხოლო მიუწდომელად⁵ იტყვს, ვინაჲთგან არა არს ზედმიწევნულობასა მათსა მიწდომად. ამას იტყვს პლატონ „სოფისტისსა“ შინა, რამეთუ ზედმიწევნულობას⁶ ჰნებაეს მოლებად განსაზღვრებისად, ხოლო გარეშეუცავი არცა ზედმისაწვენელად შესაძლებელ არს ყოფად. აწ უკუე, ვითარცა ჩუენებულ არს „აპოდიკტიკსა“ შინა, თითოეულადთა არცა საზღვარი არს, არცა ზედმიწევნულობად, არამედ მხოლოთ⁷ საყოველთაოთად.

შთამავალთა ვიდრემე უსახეესთა მიმართ³⁰

179 თქუა, ვითარმედ: მყოფი არა არს ნათესავი უნათესვესთად, რომელნიცა მისაწდომელ და ბუნებით საცნაურ ჩუენდა არიან. ჰნებაეს ვიდრემე ზედმიხილვად უსახეესთა სახეთად, უკუეთუ |ესრეთ აქუს, ვითარცა უნათესვესთა ნათესავთა ზედა. იტყვს უკუე, ვითარმედ: უნათესვესთა ვიდრემე მიწდომილი აქუს რიცხვ და ჩუენდა საცნაური (რამეთუ ათნი არიან ნათესავოანნი⁸ ნათესავნი), ხოლო საზოვანნი სახენი, ვითარ კაცი, ცხენი, ჯარი, რომელთა შემდგომად არს მეცსეულად განწვალებად განუკუეთელთად, ბუნებითა ვიდრემე მათითა მისა-

1 დანიშნულებითა B. 2 თანმოსახელენი C. 3 ერთსახელ ABCD. შტრ. *συσσυσμα* CA, 84, 17. 4 ურთიერთარს A. 5 სახელისთანა C. 6 მათსა მიწდომად... ზედმიწევნულობასა — B. 7 მხოლოდთა C. 8 ნათესავოანნი C.

* „ხოლო მიუწდომელად... მიწდომად“ განსამარტავ ფრაზად არის გამოყოფილი CA, 85, 5.

წლომელნი არიან იგინიცა, ხოლო ჩუენდა უცნაურნი სხუათა ადგილთა შინა ქმნილობითა მათითა. ხოლო ვითარმედ მისაწდომელებ არიან, რაოდენ შესაძლებელ იყოს, ვაჩუენოთ მოძლებელთა მოსაღებლისა ნანდულ ცხადისათა. წინამდებარე იყავნ უსახეესთა სახეთა მიუწდომელ-ყოფაჲ, ვითარ უკუე თითოეულისა სახისა მრავალ არიან განუკუეთელნი (რამეთუ ერთად მყოფი სახე კაცისაჲ ბეგრეულთა მიმართ განიკუეთების, ნუუკუე განუკუეთელთა თითოეულთაჲ კაცთასა. ეგრეთვე ცხენებრ სახესა, ერთად მყოფსა, მრავალნი ჰქონან მის ქუეშე განუკუეთელნი და სხუათა ნეშტთა ზედა ესრეთვე).

კუალად ცხად-არს, ვითარმედ ყოვლისა შეკრებისა სახეთაჲსა მრავალწილ არს გარდაჩუელად შეკრებაჲ განუკუეთელთაჲ. ხოლო უკუეთუ უმრავალწილეს არიან სახეთასა სახეთაქუეშენი განუკუეთელნი, ხოლო მიუწდომელ არს უსახეესთა სახეთა რიცხუ, უფროას არს მიუწდომელისა რიცხუსა სახეთაჲსა და უმრავალწილეს განუკუეთელთაჲ. უკუეთუ უკუე შეუძლებელ არს მიუწდომელისა უმრავალწილეს, ანუ ყოვლად უფროას-ყოფაჲ, შეუძლებელ სადმე არს რიცხუსაცა სახეთაჲსა მიუწდომელ-ყოფაჲ, რამეთუ თუთ მით თქუმითა, ვითარმედ უფროას არს რიცხუსა, განვასაზღვრებთ და მივსწუთებით უცნინესსა, [რამეთუ უფროასად ვისსაჲ მყოფი უფროას ვისსაჲ არს. მოვლო რაჲ უკუე გარდაჩულობაჲ, ვინისაზღვრების მიერითგან და მიიწდომვის. ესრეთ ვიდრე-მე უკუე იჩუენა, ვითარმედ უსახეესნი სახენი არა არიან მიუწდომელ, ხოლო ეგრეთვე ვაჩუენოთ, ვითარმედ არცა განუკუეთელნი, უსახეესთაქუეშენი, არიან მიუწდომელებ და ესენი უმრავალწილეს სახეთასა მყოფნი. რამეთუ უკუეთუ ვინმე იტყოდის მიუწდომელ-ყოფასა სახეთასაჲ, ესე იგი არს, თითოეულისა სახისადაქუეშენი მიუწდომელად თქუნეს (ვითარ-იგი მოვედ კაცობრივისა სახისანი თუთ იგინი თავით თუსით მიუწდომელებ, ეგრეთვე ცხენებრისაცა სახისა განუკუეთელნი იგინიცა მიუწდომელებ და თითოეულთა ნეშტთა სახენი ეგრეთვე), ანუ უკეთუ თითოეულისა სახისაქუეშეთა გან[უკუეთელთა მისაწდომელ-ყოფაჲ ითქუას, ყოველთა ერთბაჲმად სახისაქუეშეთა განუკუეთელთა შეკრებაჲ მისაწდომელ იყოს.

აწ უკუე ვთქუათ თუ თითოეულისა სახისაქუეშეთა განუკუეთელთა მიუწდომელ-ყოფაჲ, შეემთხოოს კუალად მიუწდომელისასა უფროას რასმე და უმრავალწილეს-ყოფაჲ, რამეთუ უკუეთუ თითოეულადნი კაცი მიუწდომელებ, ორკერძოვე სადმე ორწილ იყვნენ მიუწდომელისა და ყოველთაგან უმრავალწილეს, რომელი უადგილო არს. შეუძლებელ სადმე არს თითოეულისა სახისაქუეშეთა განუკუეთელთა მიუწდომელ-ყოფაჲ. უკუეთუ უკუე თითოეულისა სახისაქუეშენი განუკუეთელნი მისაწდომელებ არიან, არამედ თუთ იგი უსახეესნი სახენიცა, ყოველთაგანცა სადმე თანდებული სიმ[რავლე მისაწდომელი არ[ს]. ვინაჲცა მისაწდომელი არს რიცხუ განუკუეთელთაჲ. ხოლო მარადის ქმნილთა ყოვლად სამარადისობისა მიმართ მყოფსა აქუს მიუწდომელობაჲ, ვითარ-იგი რიცხუთაცა ითქუმის მიუწდომელობაჲ მარადის შესაძლებელ აღორ-ძინებად მოსლვად და არა მოკლებად. აწ სადმე შორის-ქმნაჲ მოღებული მიიწდომვის³. და ეგრეთვე იჩუენების ქუშაჲცა მიწდომილად, ვინაჲ⁴ ხრიზმო-ლიცა: ვიცოო მე რიცხუ ქუშისაჲ და საწყევო ზღუსაჲ*.

1 მოსაღებლისა B. 2 სახეთას[სახელთასა ABCD, შდრ. *ἀρματα* CA, 86, 14 სქოლოო. 3 მიწდომის C. 4 ვინაჲცა B. * ჰეროდოტე.

აწ უკუე უსახეესნი ვიდრემე ბუნებითა სადმე განსაზღვრებულეს, ხოლო ჩუენდა უცნაურ არიან. ხოლო განუკუეთელნი ბუნებით უკუე არ განსაზღვრებიან კუალად და კუალად ქმნილობითა, ხოლო ჩუენდა ქმნილნი და შორის-
 v ქმნილად მყოფნი და ეგერა ქმნადნი, რომელთა დასაბამად აქუს ქმნამ, დაღ-
 თუ არ ცნობილ არს, რაოდენებ არიან, გარნა ცნობადვე, რაოდენი არს, ბუნე- 5
 ბისა მათისაებრ შესაძლებელ არიან, ვითარ-იგი უსახეესნიცა საჰენი, ვინაფთ-
 გან უკუე იჩუენა, ვითარმედ განსაზღვრებული არს ამათი რიცხვ.

ხოლო აღვიდოდინ¹ რამ უნათესვესთა მიმართ, საჭირო არს შეწვალვამ სიმრავლისა

აქა ჰნებავს პორფირიოს თქუემად, თუ რასა შეიმთხუევს უსახეესთაგან 10
 უნათესვესთა მიმართ აღსლვამ და რასა უნათესვესთაგან უსახეესთა მიმართ
 შთასლვამ და მერმეცა უფრომსლა ნათესავი², რამეთუ სახე გარშემცველობი-
 თი არს თითოეულადთა, ხოლო ნათესავი სახეთადაცა, რამეთუ ქუენამთ ვიდ-
 რემე განუკუეთელთაგან აღვლენ უნათესვესთა მიმართ. სიმრავლითა ვიდრემე
 182 შეიწრდებიან საქმენი, ხოლო ძალითა აღორძინდებიან, რამეთუ სახენი სიმრავ- 15
 ლითა ვიდრემე უკინენს არიან განუკუეთელთასა, ხოლო ძალითა ზესთა სხე-
 ნან, და ეგრეთვე სახეთასა ნათესავნი, ვიდრემდის მივიწყოდით ერთისა უნა-
 თესვესისა. და ესე სამართლად! რამეთუ ვითარ ერთი არს ყოველთა მიზეზი
 და დასაბამი, ამისთვის მისნი ვიდრემე მიახლებულნი შეიწრდებიან სიმრავლი-
 თა, ხოლო აღორძინდების ძალი, ხოლო შორს მისგან მყოფნი წინა-უკმოს სადმე 20
 განმრავლდებიან რიცხვთა და შეკნინდების ძალი.

ხოლო განეჩინენ ნათესავსა და სახესა, რამ არს თითოეული მათი

გვქალებს² პორფირიოს სწავლასა წინამდებარეთა კმათასა უსიტყუე-
 რესად, ესე იგი არს, შესატყუსად სიტყუერისა მოფარდულობისად²..., რამეთუ 25
 ვინაფთგან სიტყუერი მოფარდულობა აღმოჩენისათუს შთამოვალს, ხოლო აღ-
 მოჩენნამ არს შეგულისსიტყუევამ რამე. ხოლო შეგულისსიტყუეათა შინა მოქე-
 ნე ვართ პროტასეოთა³. ხოლო პროტასი ორთა საზღვართაგან თანამდებარე
 არს, რომელთაგანი ერთი ვიდრემე არს ქუემდებარე, ხოლო სხუამ შესმენილი.
 და ქუემდებარე⁴ ვიდრემე, რომლისათუს არს სიტყუეამ, ხოლო შესმენილი, რო- 30
 მელი მისთვის ითქუმის, ვითარ-იგი „სოკრატი იარების“ (რამეთუ ქუედ-ძეს ვიდ-
 რემე სოკრატი, რომლისათუს არს სიტყუეამ, ხოლო შესმინების სიარული,
 რომელი სამისოდ ითქუმის. კუალად უკუეთელ ვთქუა, ვითარმედ: „სული
 თუმოდრავ არს“, ქუედმდებარე ვიდრე არს „სული“, ხოლო შეისმინების
 „თემოდრავი“. და ყოვლისა პროტასეომასა ზედა ესრეთვე⁵). 35

ჰნებავს ნათესავთათუს და სახეთა სწავლად, რანი რათად შეისმინებიან და რანი ვიეთ ქუე-უსხენ, რამთა ვცნათ, ვითარ თანშეთხუელნი პროტასეონი ჰყოფენ, რომელთაგან შეიქმნების სულლოგიზმოსი⁶, რომლისათუს შთამოვალს

1 აღვიდოდინ C. 2 გვქალებს B. 3 პროტესეოთა C. 4 ხოლო სხუამ... ქუემდებარე — B. 5 ესრეთ B. 6 სულლოგიზმოსი B.

² და მერმეცა... ნათესავი“ განსამარტავ ზრახად არის გამოყოფილი CA₁ 87, 17. ³ აკლია: *μὴν ἄριστος ἐπὶ διδᾶξει περὶ γῆρους καὶ εἰδους ἢ ἐσίου ἐκᾶστρον βούληται προσθῆναι πᾶς γρησιμῆ ἐσίου ἢ περὶ ἀνῆον θῆσασία ἐν τῷ λογικῇ πραγματείαι* CA₁ 88, 4—6.

- სიტყუვერი მოფარ|დულობაჲ. [იტყუს უკუჲ ვითარმედ] ნათესაჲ ვიდრემე მარადის სახისად შეისმინების, ვითარ-იგი კაცისად ცხოველი და მისდად არსებაჲ. ხოლო სახე აროდეს შეისმინების ნათესავისად, რამეთუ არ ჰქმნარით არს თქუმად, ვითარმედ: „არსებაჲ ცხოველ არს“, ანუ „ცხოველი კაც არს“. ცხად-
 5 არს უკუჲ, ვითარმედ ნათესაჲ ვიდრემე მარადის სახეთად შეისმინების, ხოლო სახენი ნათესავისად — არასადა. და მარტივად ითქუმოდედ, ვითარმედ: უკმს შესმენილთა ანუ უმრავალწილეს-ყოფაჲ ჰქუედმდებარეთა, ვითარ ცხოველსა კაცისად, ხოლო სწორებითნი შეასმენენცა ნაცვალად, რამეთუ ვითარცა იტყუს; „ყოველი კაცი მოციწარ არს“, ეგრეთვე „ყოველი მოციწარი კაც არს“.
- 10 და ყოველნი ზენანი ქუენათა: არსებაჲ სხეულსა და სხეული სულიერსა, სულიერი ცხოველსა და ცხოველი კაცსა*1

- ხოლო რაოდენთად სახე შეისმინების, მათდავე¹ საჭიროდ ნათესავიცა სახისად შეისმინოს*2. სხუასა ხედვასა გარდმოსცემს² და ამასცა საქმარსა
 15 სიტყუვერისა მოფარდულობისა მიმართ. ხოლო არს ესევეითარ, უკუეთუ სახე შეისმინების ვისდადმე, მისდადვე შეისმინოს მის სახისა ნათესავიცა და ესე იქმნების ვიდრე უნათესვესამდე. ვითარ-იგი სოკრატისად შეისმინების კაცი, ხოლო კაცისად შეისმინების ცხოველი, ესე სადმე სოკრატისდადცა შეისმინოს; ეგრეთვე სულიერიცა—ცხოველისად³, აწ სადმე კაცისდაცა და სოკრატისდაცა; კუალად სხეული—სულიერისად და არსებაჲ—სხეულისად და ამისთვის არსებაჲცა და სხეული სულიერისდაცა და ცხოველისად და კაცისად და სოკრატისად შეისმინენ.

- რამეთუ ითქუმის უნათესვესი⁴ ვიდრემე ყოველთა მისქეთუ შეთა ნათესავთა და სახეთა და განუ-
 25 კუეთელთა

- რამეთუ⁵ უკუეთუ მარადის |ზენაკერძონი ქუენა[თად შეი]სმინებიან, ცხად-არს, ვითარმედ უნათესვესი⁶ ვიდრემე ყოველთა მისქეთუ შეთა ნათესავთა და სახეთა და განუკუეთელთად შეისმინოს, ხოლო სახე—განუკუეთელთა მხოლოთად.

- 30 ხოლო განუკუეთელად ითქუმის სოკრატი და იგი რომელიმე თეთრი

- ამისი შეძინებაჲ ყო კერძობითისა მჩუენებელმან, რამეთუ თეთრი საყოველთაო არს, რომელთა შეკრებაჲ არამცა სხუასა ზედა ოდესცა იქმნა, ეგრეთვე³ არა თქუა: „რომელთა თითოეულისაჲ“, არამედ „რომელთა შეკრებაჲო“, რამეთუ თითოეული სხუათად ყოფად შემძლებელ არს, ხოლო თანად ყოველთად—არცერთი⁴.

1 მათდავე B. 2 გარდმოსცემს B. 3 ცხოველისად B. 4 უნათესვესი C. 5 რამეთუ — B. 6 უნათესავისი B, უნთვესს C.

*1 ბერძნულში განსამარტავ ფრაზად გამოყოფილია მხოლოდ პირველი წინადადება: „და ყოველი ზენანი ქუენათა“ — *ἅπασαν εἰς ἑαυτὰς εἰς τὴν αὐτὴν* CA₁ 88, 27. *2 „ხოლო რაოდენთად... შეისმინოს“ განსამარტავ ფრაზად არის გამოყოფილი CA₁ 89, 1—2. *3 „რომელთა... ეგრეთვე“ განსამარტავ ფრაზად არის გამოყოფილი CA₁ 90, 1. *4 „ხოლო თანად ყოველთად — არცერთი“ გამოყოფილია განსამარტავ ფრაზად A.

ვინაჲცა კაცისა, ვიტყუ უკუე საზოგადოჲსა,
თუ თებანი იქმნეს მცა იგინივე

სოკრატის საღმე თუთებანი არამცა იქმნეს! სხუა კაცისა შორის, ხოლო
 კაცისანი საღმე არიან თითოეულადთა კაცთა შორის: ცხოველი, სიტყუერი, მო-
 კუდავი. | და მარტივად რომლისა? ჰნებაეს თქუმაჲ, ესე ვითარი არს. საცნაურ 5
 იყავნ, ვითარმედ ნათესავსა ჰქონან რამე თუთებანი და სახესაცა და განუ-
 კუეთელსა. არამედ ნათესავისა ვიდრემე და სახისანი სამრავლოდ ყოფად შემ-
 ძლებელ არიან, ხოლო განუკუეთელისად შეკრებულნი მის მხოლოჲსა ხოლო
 განუკუეთელისად და არავის სხუსად. ვითარ რასა ვიტყუ: თუთება ცხოვლისა^ა
 არიან, ვითარცა რამ ნათესავისა, არსებამ, სულიერი, მგრძნობელობითი. ხო- 10
 ლო ესენი სამრავლონი არიან, რამეთუ კაცისა და ცხენისა და ძაღლისა და
 თითოეულადისა ცხოვლისანი^ბ. მოვიდეთ სახესა ზედა, ვითარ კაცსა, თუთებანი
 მისნი: ცხოველი სიტყუერი და მოკუდავი და ზედმიწევნულობისა შემწყენარებე-
 ლი, ყოველთა კაცთა შორის ეგრეთვეობით არიან. მოვიდეთ განუკუეთელსა- 15
 ცა ზედა, ვითარ სოკრატსა, თუთებანი მისნი:: ფილოსოფოსი, მტიერი, მცუელ-
 185 წინად-ყოფამ, სოფრონისკომს ძეობამ და რამცა არს ესე ვითარი, თი-
 თოეული უკუე ამათი თავით თუსით ვიდრემე შესაძლებელ არს სხუათადაცა?
 ყოფად, (რამეთუ არიან სხუანიცა მტიერნი და ნიშნიანნი და ფილოსოფოსნი
 და ათინელნი, ნუუკუე და სოფრონისკომს ძენიცა), ხოლო ყოველთაგან შემოკ-
 რებამ: მტიერობისა, ნიშნოვნობისა, ფილოსოფოსობისა, მუცელწინაობისა და 20
 მას რომელსამე ჟამსა მყოფობისამ, მხოლოჲსა სოკრატისი არს და არავისი
 სხუსამ.

ხოლო სახე ნათესავისა^ა ქუე შეი, რამეთუ სრული
რამემ არს ნათესავი

რამეთუ ნათესავი ვიდრე^ე მხოლოჲ არს სრულ, და განუკუეთელი მხო- 25
 ლოჲ არს კერძო, ხოლო სახე სრულიცა არს და კერძოჲცა, სრული ვიდრემე,
 ვითარცა განუკუეთელისა მიმართ, ხოლო კერძოჲ, ვითარცა ნათესავისა მი-
 მართ.

არამედ კერძო ვიდრემე სხუსა, ხოლო სრულ არა
სხუსა, | არამედ სხუათა შორის

ვინამთგან სრული და კერძოჲ რამსამიმართთაგანნი არიან. ხოლო რამსა- 30
 მიმართსა რომელსამე მართლისაებრ პტოსისა ვიტყუთ, ხოლო რომელსამე-
 იგურდიობისა რამსაებრმე, ვითარ „მამამ ძისა მამამ“ (აჲა ნათესავობითი^ა არს
 განჩენამ. ხოლო მიცემითისაებრი განჩენამ, უკუეთუ ვთქუა: „მოყუარე მო-
 ყურისა მოყუარე“, ხოლო უკუეთუ ვთქუა: „მცემელი ცემულსა სცემს“, —
 მიზეზობითისა მიმართ). ვინამთგან უკუე ამას ესრეთ აქუს, ამისთუს თქუა: 35
 „კერძოჲ სხუსამ, ხოლო სრული სხუათა შორის“, რამეთუ ვიტყუთ: „კერძოჲ!^ა
 საღმე სრულისა კერძოჲ“ და ვპყოფთ განჩენასა, ცხად-არს, ვითარმედ ნათე-

1 იქმნეს C. 2 რომლისა B. 3 თქმა ACD. 4 ვიტყუ ნათესავისა D. 5 ცხოველისა B. 6 ცხო-
 ველისანი B. 7 სხუათადაცა C. 8 ნათესავისა C. 9 ნათესავობითი C. 10 კერძოჲ კერძოჲსა ABCD,
 შღრ. მწიგნოვ CA₁ 91,9.

სავობითისა მიმართ. ხოლო სრულსა არღა ვიტყვთ კერძოხსა სრულსა (რამეთუ არ თანამდებარე არს სრული ერთისაგან კერძოხსა, არამედ მრავალთაგან), არამედ ვიტყვთ: „სრულსა კერძოთა სრულსა“ და იქმნების განჩენამ მიცემი [თისა მიმართ, რამეთუ კერძოთა] არს სრული, ვინამთგან კეთილად თქუა, ვითარქედ: „სრული არ სხუსა, არამედ სხუათა შორის“. იფუყებოდედ ხოლო, ვითარქედ არს ნათესავობითისაცა მიმართ არა საერთოდ, არამედ სამრავლოდ განჩენამ და თქუამდ, ვითარქედ: „სრული კერძოთა არს სრული“, არამედ პორფირიოს მიცემითისა მიმართ ყო განჩენამ.

და რანი ნათესავნი და სახენი არიან

10 ვითარმედ ურთიერთარსნიცა, რამეთუ ესე ნათესავნიცა და სახენი.

და რაოდენ გუარად ნათესავი და სახე

რამეთუ ნათესავი ვიდრემე სამგუარად ითქუმის, ხოლო სახე — ორგუარად.

განყოფილებინათჳს

15 ხოლო განყოფილებამ ზოგადად და განთესებულად და უგანთესებულესად ითქუმოდედ¹, რამეთუ განყოფილებამ ვიდრემე უპირველესი არს სახისად და რომლისა მიზეზისა ძლით უპირველეს წარმოითქუა სახისათჳს, ეგერა თქუმულ არს. ხოლო აწ განყოფილებისათჳს ჰყოფს სიტყუასა და თქუნულსა მას კანონსა მკუმეველი კულად აღჰრაცხს¹ დანიშნულობათა განყოფილებისათა. ხოლო რამთა თქუამდ გულგებადთა შეუდგეთ, ვთქუათ ესრეთ: „სხუობამ ანუ განშორებითი არს შემთხუევეითისებრი, რომელსა მოუგეის განშორებამ მათი, რომელთა არს სხუობამ², ანუ განუშორებელი, ვითარჲ განყოფვიან³ ვინმე ურთიერთას ვისითამე უკუე დგომითა, ხოლო სხუსა ჯდომითა და განყოფვიან⁴ ამისებრ ურთიერთას. ესე სადმე განყოფილებამ ითქუმის განშორებადად, რომელსა პორფირიოს უწყეს ზოგადად, ვინამთგან არა გამოსაზღვრებითა მის ვისდადმე არს, არამედ ზიარად ყოველთად. და ესე ვიდრემე არს განშორებადი და შემთხუევისებრი განყოფილებამ. ხოლო უკუეთუ განუშორებელი არს განყოფილებამ, ანუთავით თჳსით არს, ესე იგი არს, თანშემასრულებლობითი არს არსებასა ქუედმდებარისასა, ანუ შემთხუევეითისებრ, ესე იგი არს, არარაით სრულყოფელი ყოფისა მიმართ საქმისამ. და ესე ვიდრემე არს განუშორებელი და შემთხუევისებრი, ვითარ-იგი არს ნერბისცხრობამ⁵, ნიშნოვნობამ, ჩხიობამ⁶, რამეთუ განყოფვიან⁶, ურთიერთას ვიეთნიმე, რომელიმე ნიშოან-ყოფითა, ხოლო რომელიმე ნერბისცხურ. ესენი შემთხუევეითებ სადმე არიან, ვითარცა არყოფნი შემასრულებელად არსებათა ქუედმდებარეთასა (რამეთუ შესაძლებელ იყო სოკრატი არყოფად ნიშნიან და ეგრეთცა ყოფად სოკრატად). ხოლო განუშორებელმე (რამეთუ არ მოუგეის

1 აღრაცხს C. 2 სხუობამ C. 3 ვითარქარა B. 4 განყოფვიან C. 5 განყოფვიან C. 6 განყოფვიან C.

¹ „ხოლო განყოფილებამ... ითქუმოდედ“ განსამარტავ ფრაზად არს გამოყოფილი CA₁ 91, 23. ² ამოზე მინაწერია: „მაღალი ცხური დ.“, D 120 r. ³ ამოზე მინაწერია: „ჩხოობა — სახიარო სანახობა, დ. რ.“ D 120 r.

განშორებაჲ ქუედმდებარისაჲ), რომელთა თჳსად სახელ-სდებს პორფირიოს, ვითარმედ განჩინებითა მისი ვისიმე არს ნიშ|ნოვნობაჲ ხოლო, განუშორებელი და არა შემთხუევისებრი, არამედ შემასრულებელი არსებისაჲ არს, ვითარ სიტყუერი, მოკუდავი, რამეთუ განვეყოფით¹ უსიტყუთა ცხოველთა, ვითარი იგი ჩუენ სიტყუერ, ხოლო იგინი უსიტყუ. ამას უკუე განყოფილებასა უთჳ-
სესად უწოდა.

განყოფილებებისა ვიდრემე რომელიმე ითქუმის ზოგადად, ხოლო რომე-
ლიმე—თჳსად და რომელიმე—უთჳსესად. ზოგადად ვიდრემე—შემთხუევისებრ-
ნი და განშორებადნი და თჳსად—შემთხუევისებრნი განუშორებელნი. ხოლო
განუშორებელნი უკუე შემასრულებლადცა არსებასა ქუედმდებარისასა და
თავით თჳსით მყოფნი უთჳსესად ითქუმიან. და პირველი სადმე განწვალებაჲ
განყოფილებათაჲ ესრეთ.

ხოლო კუალად ზედგანწვალებელი მათი იტყჳს, ვითარმედ: „განყოფილე-
ბათაგანნი რომელნიმე სხუებრობსა ჰყოფენ ქუედმდება|არისასა², ხოლო რომე-
ლინიმე — სხუაობასა. ზოგადად ვიდრემე და თჳსად სათქუმელი განყოფი-
ლებაჲ — სხუებრობასა (რამეთუ სხუებრობა არს დგომაჲ და ჭლომაჲ და
სხუებრ ნიშნოვანი და ნერბისცხერი), ხოლო უთჳსესნი — სხუაობასა, რამეთუ
სხუა³ სიტყუერი და სხუა⁴ — უსიტყუელი, რამეთუ სხუებრი უკუე საქმისა
რომლისაებრმე ჰყოფს შეცვალებასა, ხოლო სხუაჲ უეჭუელად სხუასა შეიქმს.
რამეთუ სიტყუერი სადმე ცხოველი სხუა, თხნიერ უსიტყუელისა, ხოლო
მჯდომარე მდგომარისა არა სხუა, არამედ სხუებრ, [მსგავსად]⁵ ნერბისცხერი
— ნიშნოვნისა. სამგუარად უკუე თქუმულობასა განყოფილებათასა რომელთა-
სამე უთჳსესად, უთჳსესათჳს არს სიტყუაჲ ფილოსოფოსთაი, რანეთუ
თჳსნი და ზოგადნი განყოფილებისა მიმართ ნათესაეთაჲსა არ ისაჯმრებიან⁶,
რამეთუ არავინ იტყჳს, ვითარმედ: ცხოველთაგანნი რომელნიმე სხენან|და რომე-
ლინიმე დგანან (რამეთუ⁷ არა ყოველთა⁸ გარეშევიცაეთ), არცა ვითარმედ:
რომელნიმე ნიშნიან და რომელნიმე ნერბისცხერ მსგავსადმე. ხოლო უკუეთუ
განწვალებისა მიმართ არსაქმარ, არცა განსაზღვრებათა მიმართ. მხოლონი
სადმე უთჳსესნი იქმარებიან.

და უთჳსესად ითქუმოდედ

ხოლო შეძინებითა ვითარმედ⁹: „ითქუმოდედ“ დანიშნა მისეე სახელისაჲ
ამისიცა დადებულებად, რამეთუ ჩუეულ იყვნეს ძუელნი ოდეს საჩელსა რასმე
მოლებადთათჳს იტუმევიდნ თქუმასა, ვითარმედ „ითქუმოდედ“, ხოლო ოდეს,
სახელთა დაჰსხმიდენ მათი, ჩუეულ არიან, ვითარმედ „ეწოდებოდედ“ თქუ-
მად, ვიდრე „ითქუმოდედ“.

რამეთუ განეყოფვის¹⁰ სოკრატის პლატონსა
სხუაობითა

რამეთუ ვითარცა კაცნი არ განიყოფვიან ურთიერთას, ხოლო ვითარცა
რომელიმე ნუუკუე ზის, ხოლო რომელიმე ვალს, განიყოფვიან.

1 განვეყოფით C. 2 ქუედმდებარისასა C. 3 სხუა C. 4 სხუა C. 5 მსგავსად|არამედ
ABCD, შდრ. *ἕμιστος* CA₁ 93. 8 არ ისაჯმრებიან B. 7 რამეთუ|რომელი B. 8 ~ ყოველ-
თა არა D. 9 ვითარ B. 10 განეყოფის C.

ხოლო სამარადისოდ ვითარ-ყოფათა შინა არს
| ს ხ უ ა ო ბ ა ა

187

- ესე იგი არს, განყოფილებანი ესე შემთხვევითისაებრ იხილვებიან, ხოლო¹
ნაცვალად თქუმისა „შემთხვევითისებრობისადასა“ თქუა: „ვითარ-ყოფათა ში-
5 ნა არსო სხუაობაა“, ვითარცა შემთხვევითი ვითარ-ყოფისა შორის შეისმი-
ნების.

ვითარ-იგი კაცი ცხენსა სახისმოქმედითა
განყოფილებითა განეყოფვის ვითარობითა
სიტყუერისაათა

- 10 ესე იგი არს, შემასრულებელითა სახისაათა, რამეთუ ცხოველი პირველ
მიიღებს ვიდრემე მოკუდავსა და სიტყუერსა და შეიქმს კაცსა, ხოლო მოკუ-
დავი და უსიტყუელი შეიქმს ცხენსა და ძალსა. ესე უკუე განყოფილებანი
თანშეწყობილნი ნათესავთანი შეიქმან სახეთა და ამისთვის სახეთმოქმედად²
ითქუმიან.

- 15 რამეთუ განყოფილებათა განანი რომელნიმე
სხუებრსა შეიქმან, ხოლო რომელნიმე — სხუასა

- | სხუა განწვალებად³ გარდმოეცემის განყოფილებათა, რამეთუ რომელ- v
ნიმე, იტყუს⁴, შეიქმანო სხუებრსა და შემთხვევისებრნი არიან და განშო-
რებადნი. ხოლო განშორებადად ვიტყუ ზოგადსაცა და თუსაცა და რამეთუ
20 იგიცა განშორებადი არს წულილმოგონებით. რამეთუ ძალ-მიც სოკრატისი
მტერადცა და ვარჯოვანდ ზედმოგონებამ, რამეთუ უთუსესისაა არა⁵ მერმე
არცა წულილმოგონებისაებრ ძალ-მიც განყოფამ, რამეთუ არცა შესაძლებელ
არს თვნიერ სიტყუსა ზედმოგონებამ კაცისა, თუ არა, არა მერმე იყოს კაცი,
რამეთუ ყოველნი კაცი სიტყუერ და ყოველნი — მოკუდავ. ვინამცა ნიშნოვ-
25 ნისაა საღმე ძალ-მიც ნერბისცხვრად მოგონებამ მალვე კაცად ვებულისა⁶,
ხოლო კაცისაა არა⁷ თვნიერ სიტყუერისა ანუ მოკუდავისა, რამეთუ არცა⁸
ესე იყოს კაცი. | ვინამცა უკუე თუსად და ზოგადად თქუმულნი განყოფილებანი
30 განშორებადნი არიან, რამეთუ ოდეს მდგომარე დაჯდეს, არა იქმნა სხუა, არამედ
მხოლოდ სხუებრ. ვითარ ცხად-ჰყოფს ამას მოქმედიცა ოდესსეომისთვის, სამისო-
თა⁹ შემთხვევითთა ათინაის მიერ გარდაცვალებასა, მეტყუელი: „სხუებრად არ
იხილვებისო“¹⁰, თვნიერ რაათა ნიშნოვანდ ანუ ნერბისცხვრად ზედმოგონებულ
იქმნეს, რომლითა არა სხუა იქმნა, არამედ სხუებრ, რამეთუ ძალ-უც მასვე
თვნიერ ნიშნოვანობისა ყოფად. ხოლო სახისმოქმედნი სხუასა შეიქმან, რამე-
35 თუ სიტყუერი სხუასა შეიქმს კაცსა, თვნიერ ცხენისა, რამეთუ⁸ სხუად⁹
ვიტყუთ არსებითა¹⁰ განყოფილთა, ვითარცა ვთქუთ აწ, ვითარ კაცსა და ცხენ-
სა.

1 ხოლო—B. 2 სახედმოქმედად C. 3 განწვალებად C. 4 იტყვან B. 5 არა⁷ C. 6 ვებ-
ბულისა C. 7 სამისოსთა B. 8 ხოლო B. 9 სხუად|სხუებრ ABCD, შდრ. ძღღα CA₁ 95, 4.
10 არსებით B.

* შდრ. ძღღοις μοι, ξεινε. φάτης νλον i, ε παράσιλον CA₁ 94, 21..

v სხუაობისმოქმედთა უკუე განყოფილებათაებრ
განწვალებანი იქმნებიან ნათესაქთანის სახეთა
მიმართ

რამეთუ ვიტყუთ: ცხოვლისაჲ ვიდრემე რომელიმე სიტყუერ, ხოლო რომელიმე უსიტყუელ არს და რომელიმე უკუე უკუდავ, ხოლო რომელიმე მოკუ-
დავ. და კუალად ამათ მიერვე გარდავსცემთ განსაზღვრებათა, რამეთუ
ვიტყუთ, რაჲ არს კაცი: ცხოველი, სიტყუერი, მოკუდავი...¹

განყოფილებათასა რომელთასამე ყოფასა
განუშორებადებ, ხოლო რომელთასამე განუშორებელ

191 ამიერ კუალად იწყებს განწვალებისასა, ვითარცა დასაბამისა რაჲსაგანმე
და მათსავე ერთმანერთისაგან განუშორებასა. განყოფილებათანი ვიდრემე რომელიმე არიან განუშორებლნი, ხოლო რომელიმე განუშორებელნი. და ესრეთ განირჩევიან ზოგადებლად, თესებად და უთესობებლად. ხოლო განყოფილებათანი რომელიმე შეიქმან სხუასა, ხოლო რომელიმე სხუებრსა და ესრეთ განერჩევიან უთესესნი თესთა და ზოგადთა.

15 ამათ უკუე წინაღმდგომ-დასხმათაგან, რომელთაგან განირჩევიან ურთიერთსა განყოფილებანი, შეიქმნებიან თანშეუღლვანი ექუსნი, რომელთაგანნი ორნი აღსაარებულად თანშეუღდინებელნი არიან (რამეთუ არა თანშედგებიან² განუშორებადი იგი და განუშორებელი³, ანუ სხუებრი და სხუაჲ³).

ხოლო ნეშტთა მათ ოთხთა თანშეუღლვათაგანი ერთი თანშეუღდინებელი არს, განუშორებადი და სხუაჲ⁴. ხოლო სხუანი სამნი თანშედგებიან⁵, რამეთუ განუშორებადნი უკუე და სხუებრობისმოქმედნი⁵ არიან საზოგადო, ხოლო განუშორებელნი და სხუაობისმოქმედნი⁶ — უთესესებ, ხოლო განუშორებელნი და სხუებრნი⁷ შემთხუევითისაებრ არიან თესებ, ვითარ-იგი ნერბისცხვრობაჲ. ხოლო ითნოს სადმე სხუაჲცა განყოფილებაჲ ყოფად განუშორებადთა და სხუაობისმოქმედთაჲ, ხოლო ჰეშმარიტებისაებრ, და ესეცა თანაშეუღლვად შეუღდინებელ არს. რამეთუ სიტყუერი უკუე თავით თესით არს კაციისად (რამეთუ თავით თესით სიტყუერი არს კაცი, რომლისათჳს ყოველნი კაცნი სიტყუერებ), ხოლო ნერბისცხვრობაჲ და სიშაე, ანუ დგომად, ანუ სხუაჲ რაჲმე ეგვეითართაგანი—არა თავით თესით, რამეთუ არა ვითარ-იგი კაც არს, ნერბისცხვრცა არს, შაე, ანუ სხუა რაჲმე სხუათა მათგანებ, ვითარმედ უქმდა ყოველთა კაცთა შაე, ანუ ნერბისცხვრ-ყოფად? ვინაჲ დაღათუ არ ვინმე იყოს ნერბისცხვრ ანუ შაე, არა უღარეს კაც არს⁸. არცა⁴ ერთი სადმე ესევითართა განყოფილებათაჲ შეიქმს სხუასა.

1 ცხოველისა B, ცხოვლისა B. 2 თანშედგებიან B. 3 თანშეუღდებიან B. 4 არც ABD.
¹ აკლია ითმ დაჲ ჰარძოქუეჲ ბარძოქუე CA₁ 95 10. ² ამაზე ტექსტის ხელით მინაწერია: „განუშორებადი და განუშორებელი“ ABCD. ³ ამაზე ტექსტის ხელით მინაწერია: „ა ანუ სხუებრი და სხუაჲ“ ABCD. ⁴ ამაზე ტექსტის ხელით მინაწერია: „გ განუშორებადი და სხუაჲ“ ABCD. ⁵ ამაზე ტექსტის ხელით მინაწერია: „დ განუშორებლნი და სხუებრობის-მოქმედნი“ ABCD. ⁶ ამაზე ტექსტის ხელით მინაწერია: „ე განუშორებელნი და სხუაობის მოქმედნი“ ABCD. ⁷ ამაზე ტექსტის ხელით მინაწერია: „ვ განუშორებელნი და სხუებრნი“ ABCD. ⁸ ამაზე ნუსხურით მინაწერია: „სიჩხიე სიბლიტეს უნდა ერქვას“ C 120 r.

ხოლო შემქმნელნი სხვსანი* სიტყუასა შინა
არსებისასა მოიხუმიან

- ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ „სიტყუასა! შინა“, რომელი ცხად-ჰყოფდეს
ბუნებასა საქმესასა, ესე იგი არს, განაზღვრებასა, რამეთუ განაზღვრებანი¹ 192
- 5 ნათესაისაგან და შემამტკიცებლობითთა არიან განყოფილებათა, ესე იგი არს,
სახისმოქმედთა, რომელნი არ მითუალევენ უფროსსა და უმცროსსა; რამე-
თუ არა ითქუმის ვინმე უფროსს მოკუდავად, არცა უფროსს სიტყუერად და უმ-
ცრო სიტყუერად, რამეთუ მცირენიცა² ყრმანი მსგავსადვე სიტყუერ არიან. ხო-
ლო დაიყენებინან ორღანოვან³ მიერ სიტყუერებითთა შორის ქმნათა მიმართ. და
- 10 მარტივად ჯერ-არს ცოდნად, ვითარმედ იგინი მითუალევენ უფროსუმცრო-
სობასა, რაოდენნი მისვე ქუემდებარისათუს შემტკიცებობდინ წინააღმდგომად
მყოფნი, რომელნი შეირწყობიანცა ურთიერთას, ვითარ-იგი თეთრი თეთრისა
უფროსს ითქუმის და უმცროსს, ვითარ იგივე ქუემდებარე ოდესმე უკუე⁴
თეთრ იქმნების, ხოლო ოდესმე მელან და შეირწყუმიან⁵ ესენი ურთიერთას,
- 15 თეთრსა, [ვიტყუ, და მმელნობსა⁶. და ოდესმე უკუე უწმიდესობად, ხოლო v
ოდესმე ზედშერეულებად შეემთხუევის ქმნილად. ხოლო არსებათა ზედა არა
არს უფროსი და უმცროსი, ვითარ არარაჲ წინააღმდგომ არს არსებისა, არცა
სიტყუერი და უსიტყუ მისვე ქუემდებარისათუს შემტკიცებინან. ხოლო უკუეთუ
თქუას ვინმე, ვითარმედ: „ვითარ უკუე არისტოტელმან თქუა „კატილორიათა“
- 20 შინა ხოლო: „არსებად არს ყოვლად საკუთარი და პირველი უფროსად სათქ-
უმელი“. რამეთუ აჲა, „უფროსიცა“ თქუა, ვითარცა რაჲ უფროსუმცროსობა-
სა მითუალეველისათუს, ვიტყუთ, ვითარმედ პირველად ვიდრემე, ვითარცა
ჩუენისა მეცნიერებისა მომართ ითქუმიან ესენი მისგან, რამეთუ „პირველად“
თქუა და „უფროსად“ განუკუეთელი უფროსს თანშერეთებულებისათუს ჩუ-
ენისა და პირველ წარდგომისა, რამეთუ ამისგან ჟამ[ი]თა⁷ და ზედმიწევნულო-
ბითა წარმატებულნი მივჰმართებთ|მეორისა ზედა—სახისა მიმართ და ნათესა- 193
- 25 ვისა. მერმე უკუეთუ შეუნდოსცა ვინ მათ შორის⁸ ყოფად უფროსუმცროსობ-
ისაჲ, არა სიერცეთა შორის იყოს, არამედ სიღრმეთა შორის, რამეთუ არცა კაცი
კაცისა უფროსს კაც, ანუ უფროსს სიტყუერ არს, არცა ცხენი ჯარისა უფროსს
ცხოველ, ანუ ამათსა კაცი, არამედ სიღრმისებრთა შორის, ვითარცა ვთქუ, შე-
საძლებელ არს შორის სახილველობად ამისი, რამეთუ უზენაესნი უდიდესს უქუ-
ენაესთასა, რაოდენ მიიღებენცა უაღრესთაგან, ვითარ-იგი სიტყუერი უფროსს
არს გონებისა შორის. ხოლო უმცროსს⁹— სულისა შორის; და უფროსს—ან-
გელოზთა შორის, ხოლო უმცროსს — ზეციერთა სხელუთა შორის, ვითარ
- 35 იგინიცა სულიერ არიან და სიტყუერ. მერმე უფროსს მათ შორის, ვიდრემე
ჩუენ შორის და სხუებრცა. არსებად უფროსს არს ცხოველი|სა¹⁰, ვიდრე კაცისა v
შორის და უფროსს ამის შორის, ვიდრე სოკრატის შორის, არამედ საშუალობითა
კაცისაჲთა ამასცა ზედდაენერგვის. წინა-ცხად¹¹ უკუე, ვითარმედ პირველთა და
უსაშოვლოდ ვისთამე თანმქონებელთა მეორედ და საშუალობითა ვისთამე
- 40 თანმქონებელთასა უფროსს თან-აქუს. და კეთილად თქუმულ არს, ვითარმედ
სიერციისაებრნი არ შეიწყინარებენ უფროსუმცროსობასა.

1 სიტყუას|სხვსანი B. 2 მცირენიცა C. 3 ურღანოვან ABCD. 4 უკუეთუ C. 5 შეირწყუმან B. 6 მმელნობას B. 7 კმათ ABD, კამთ C. 8 შორის—B. 9 უმცროსი ABCD. 10 ცხოველისა B. 11 ვინა ცხად B.

* „ხოლო შემქმნელნი სხვსანი“ განსამარტავ ღრაზად არ არის გამოყოფილ CA₁ 96, 9.

ერი და მოკუდავი თანშედგებიან, რამეთუ არს კაცი სიტყვერი, მოკუდავი; და სიტყვერი და უკუდავი თანშედგებიან, რამეთუ არს ღმერთი. და უსიტყუელი და მოკუდავი — ცხენი. ხოლო არღა მერმე არს უსიტყუ და მოკუდავი, რამეთუ იძიების ნეშტისა შეუღლებისათჳს¹ უსიტყუსა, ვიტყუ, და უაუდავისა, ვითარ შედგების. და არს რამე უსიტყუ უკუდავი, ვითარ-იგი სთნავს სიტყუსმოქმედსა სკვლისათჳს თქუმაღ: „არამედ უკუდავი ჰავი არს“, ანუ — არა. რამეთუ რომელნიმე იტყუან ყოფად რასმე უსიტყუსა ნათესავსა საეშმაქოსა უკუდავსა, რომელსაცა მიონამსაი მოაქუსო წესი, რომელთაცა გარემივქცევთ. ხოლო რომელნიმე იტყუან მოკუდავი-ყოფასაცა ეგევითარისა² მის ნათესავისასა, რამეთუ რომელი უკუდავ, სიტყვერცა არს უეჭუელად.

მოვიდეთ არსებისაცა ზედა და ივინივე უპოვნეთ, რამეთუ აქაცა ორ-ყოფასა წინაუქმობათასა: სულიერისა, უსულომასა; მგრძნობელობითისა და უგრძნობელისა, და ამათსა თანშეთხულობასა სამნი მხოლონი შედგებიან თანშეუღლვანი, ხოლო ნეშტი იგი შეუღდინებელ არს. რამეთუ სულიერი უკუე და უგრძნობელი — ნერგი, და უსულომ და უგრძნობელი — ქვაბ, ხოლო სულიერი და მგრძნობელობითი — კაცი. ხოლო უსულომ და მგრძნობელობითი არაა არს, რამეთუ რომელსაცა აქუს გრძნობა, მრავალთად უფრომს ზუნებითი აქუს სული, რამეთუ სადა ნერგობითი, არ ეუქუელად მგრძნობელობითიცა. ხოლო სადა მგრძნობელობითი, უეჭუელად ნერგობითიცა.

20 არამედ ესენი განმწვალებელობითნი ნათესავთანი, შემაბტკიცებელობითნი და შემდგომნი³

ხოლო ვითარ-იგი არიან რამე მხოლოდ სახენი ოდენ და რომელნიმე მხოლოდ ნათესავნი ოდენ, ხოლო რომელნიმე ნათესავნიცა და სახენი, ეგრეთ განყოფილებათა ზედა, რამეთუ სახისმოქმედთა განყოფილებათანი რომელნიმე არიან მხოლოდ განმწვალებელობითნი უნათესვესთანი და რომელნიმე მხოლოდ შემადგინებელობითნი უსახეესთანი, ხოლო რომელნიმე შემადგინებელობითნი და განმწვალებელობითნი ურთიერთარსნი. რამეთუ არსებისა ვიდრემე განყოფილებანი, სხეულსა, ვიტყუ, და უსხეულოსა, მხოლოდ განმწვალებელობითნი არსებისანი, ხოლო არსადა შემადგინებელობითნი; ხოლო კაცისა განყოფილებანი, ვითარ სიტყვერი და მოკუდავი, [მხ]ოლოდ შემადგინებელობითნი⁴ კაცისანი; ხოლო საშუალთაგანნი, ვითარ-იგი ცხოველისანი მოკუდავი და უკუდავი, სიტყვერი და უსიტყუ, შემადგინებელობითნიცა და განმწვალებელობითნი, რამეთუ წინააღმდეგობითნი განწვალებულვებანი ცხოველისანი, ვითარ მოკუდავი და უკუდავი (რამეთუ ამათდა მიმართ განიყოფვის ცხოველი) და სიტყვერი და უსიტყუ ეგრეთვე. ხოლო ურთიერთსმიმართნი სახეთანი არიან შემადგინებელობითნი, რამეთუ სიტყვერი უკუე და მოკუდავი — კაცისა შემადგენელ, ხოლო სიტყვერი და უკუდავი — ანგელოზისა, და უსიტყუ და მოკუდავი — ცხენისა.

ხოლო უსიტყუსა და მოკუდავისანი უსიტყუთა ცხოველთანი⁵ დააშთინა პორფირიოს უსიტყუ და უკუდავი, ვითარცა საქქუელი, გინათუ არიან ეგევითარნი. არსებანი, გინა არა. რამეთუ არიან, ვითარცა ვექუ,

¹ შეუღლვასთჳს C. 2 შემადგინებელობითნი C. 3 ტანქუსა C.
² „არამე... ნათესავთანი“ განსამარტავ ფრაზად არ არის გამოყოფილი ბერძნულში, „შემადგინებელობითნი და შემდგომნი“ — CA₁, 100, 21. ³ „ხოლო უსიტყუსა... ცხოველთანი“ განსამარტავ ფრაზად არ არის გამოყოფილი CA₁, 100, 25.

უსიტყუნიცა ეშმაკნი მინოაჲს* წესსა მქონებელნი ყოვლისა შორის და განჩინებულნი ტანჯვისა¹ ღირსთა სულთა მიმართ, რომელნი ვიეთგანმე უკუე უკუდავად, ხოლო ვიეთგანმე მოკუდავ-ყოფად იგონებინან.

და უფრო მსლა ამისი არს საკმარებაჲ განწყალები-
სა მიმართ ნათესავთა მსა და შემდგომნი

5

198 უფრო მსლაობაჲ დაპართ, რამეთუ მრავალგზის კაცობრივისა უძღურები-
სათეს უღონოქმნილნი ესევითართა განყოფილებათა მოვიხუამთ შემთხუევი-
თთაგან, ვითარ-იგი ყორანსა ზედა ნაცვალად განყოფილებათაჲსა მმელნობო-
ბასა მოვილებთ და კჯნოსა ზედა—თერთობასა. რამეთუ² ოდეს ცხენისა განმა-
საზღვრებელნი ვიტყოდით „ცხოველად უსიტყულად, მკვევანობითად ყოფა-
სა“, არსებისზედალ³თუსად მყოფსა ნაცვალად არსებითთა განყოფილებათაჲსა
მივილებთ, არ შესაძლებლობისათეს არსებითსა განყოფილებასა, მოველ, ცხე-
ნისა და ვირისასა პოვნად.

რომელთაცა განმასაზღვრებელნი ვიტყუთ: განყო-
ფილებებაჲ არს, რომლითა ჰმატს სახე ნათესავსა

15

აღმრიცხუველსა დანიშნულობათა განყოფილებისათა და მეტყუელსა,
რომლისა დანიშნულისათეს არს უფრო მსლა სიტყუაჲ ფილოსოფოსთაჲ. ჰნე-
ბავს წარწერისა გარდაცემაჲ მისი. იტყუს უკუე, ვითარმედ: „განყოფილებაჲ
არს, რომლითა ჰმატს სახე ნათესავსა“, რამეთუ კაცი სიტყუერობითა და მოკუ-
დაობითა ჰმატს ცხოველსა. ხოლო უღონოებასა რასმე უღონოებს პორფირიოს
განსაზღვრებისა ამისგან და აღჰქნის⁴ მას. ხოლო უღონოებისასა წინამოიხუ-
ვიან ორნი რაჲმე|ცხადნი ღირსებანი, რომელნი ესრეთ იწოდებინან პერიპატოე-
ლთაგან, ვითარცა: შინაგან თესსა მქონებელნი რწმუნების ღირსებისანი. ხო-
ლო არიან ღირსებანი⁵ ესე:

პირველი უკუე, ვითარმედ „არარაჲ იქმნების არვითა არსალა მყოფისა-
გან“. ვითარ-იგი ნავი შეიქმნა შეშისაგან, რომლისაჲ რომელიმე უკუე იყო
(რამეთუ შეშაჲ იყო), ხოლო რომელიმე არ იყო, რამეთუ არღასალა იყო ნავი,
რამეთუ იყო თუმცა, არა უკმდა შემქმნელობაჲ ხურისაჲ. და ქვანიცა რომლი-
თამე არიან მყოფ, ვითარცა ქვანი, ხოლო რომლითამე — არა მყოფ. რამეთუ
არღა სახლ. არსალა მყოფისაგან ვითარმცა იქმნა რაჲმე?

25

ხოლო მეორე, ვითარმედ „წინააღმდგომნი მასვე ქუემდებარესა შინა მასვე
და ერთსა ეჲმსა ერთბამად არ ეგებიან ყოფად, რამეთუ ურთიერთის დაჲმარ-
ლუთეველობითნი⁶ არიან წინააღმდგომნი“. ამათ პირველთქუმულთაგან უღო-
ნოებაჲ გამოვალს გუარითა მით|. საკირო არს[განყოფილება]თაჲ ანუ ნათე-
სავისაგან სახეთა ზედა მიწევნაჲ პირველვე მყოფთაჲ მის შორის, ანუ არ ვი-
თარ არსალა მყოფისაგან. ხოლო უადგილო არს თითოეული ამათი, რა-
მეთუ უკუეთუ ნათესავთა შორის არიან განყოფილებანი, იყვნენ წინააღ-
მდგომებ მასვე შორის ერთსა და მასვე ეჲმსა მოკუდავი და უკუ-
დავი, სიტყუერი და უსიტყუ, რომელი უადგილო არს. ხოლო უკუეთუ არა

30

199

35

1 ტანჯვა C. 2 რამეთუ|ხოლო B. 3 აღქნის CD. 4 ხოლო არიან ღირსებანი — B. 5 და-
მარლუეველობითნი B.

• აშიაზე შინაწერია: „შინოაჲ გინა მოინა, რეკტორი დავით“, D 126 r.

- არიან განყოფილებანი ნათესავთა შორის, სადაჲთ იქმნებიან სახეთა შორის? რამეთუ იყოს რამჲმე ქმნილი არ ვითარ არსადა მყოფისაგან, რომელი უადგილო არს, რამეთუ არა სხუა ვისგანმე შესაძლებელ არს ყოფად, ვითარმედ არარაჲ არს სხუა საშუალ ნათესავთა და სახეთა, თვნიერ განყოფილებანი.
- 5 ცხად-არს უკუე, ვითარმედ უულონოესი არს სიტყუაჲ.
 ვინაჲცა ულონოქმნილი¹: აღჰქსნის² ულონობასა პერიპატოულად, | რამეთუ³ v
 იტყუს პორფირიოს, ვითარმედ: „წინაღმდგომნი მასვე შინა და ერთსა უამსა მოქმედებით ვიდრემე ყოფად ვერ შესაძლებელ არიან, ხოლო ძალითა შემძლებელ არიან ყოფად“. ხოლო რაჲთა ცხად-იქმნენ თქუშულნი, ვიტყუდით ეს-
 10 რეთ: სხუაჲ არს ძალითა რაჲმე ყოფაჲ და სხუაჲ—მოქმედებითა. რამეთუ ძალითად სადმე უსრული ითქუმის და არწარმოჩენილი მოქმედებისა მიმართ, ხოლო ძალისა და სიმარჯვსა მქონებელი — მოსლვად მოქმედებისა მიმართ. ვითარ-იგი ძალითა ღრამმატიკოსი არს ყრმაჲ (რამეთუ ძალ-უც ღრამმატიკოს¹ — ყოფად) და ცივი წყალი ითქუმის ძალითა ცხელად. ესე ვიდრემე არს ძა-
 15 ლითი. ხოლო მოქმედებით ღრამმატიკოსად ითქუმის ეგერა საღრამმატიკოსო-
 მთა ზედმიწევნულობითა ანაგებისაებრ განსრულებული და რომელი სიტყუა-
 20 თა მისცემდეს ღრამმატიკოსთა|და გრილი უკუე [წყალი ძალ]ითა ითქუმის 200
 ყოფად ტფილად*!... ცხელად.
 იტყუს უკუე, ვითარმედ: წინაღმდგომნი, ვითარ გრილი და ტფილი, მოქ-
 20 მედებით სადმე ერთბამად ყოფად რამსადმე შეუძლებელ, ხოლო ძალითა შე-
 საძლებელ არიან, რამეთუ ნელტფილი წყალი არცა ცხელი, არცა ცივი არს მოქმედებით, ხოლო ძალითა არს ორივე. და ჩჩხუაჲ ძალითა სათნობებაცა*²
 აქუს და სიბოროტე. და ნიეთი ძალითა ყოველბ არს წინაღმდგომებ.
 ვინაჲცა უკუეთუ ნათესავსაცა ნიეთისაჲ მოაქუს სიტყუაჲ, ვითარცა წა-
 25 მართ იტყუს, ცხად-არს, ვითარმედ ჰქონან მის შორის ყოველნი წინაღმდგომნი
 განყოფილებანი. ხოლო სხუებრცა შესაძლებელ არს ერთისა შორის ყოფაჲ
 ყოველთაჲ. დაღათუ სხუაჲ უკუე აქუს მოქმედებად და სხუაჲ — ძალიად. რა-
 მეთუ მოქმედებითა ცივი ძალითა|არს ცხელი, ვითარმედ მ|ოუგიეს გარდაქ-
 30 ცევაჲ ცხელად. ხოლო ესე ვთქუ, ვითარ არიან რამჲმე მხოლოდსა ერთეკრო-
 მსა წინაღმდგომთაჲსა შემწყნარებლობითნი. რამეთუ მყინვარი გრილად
 მყოფი არაოდეს განტფეს სადმე, არცა ცეცხლმან წინაუტყუმოჲ³ სიცივე მი-
 თუალოს ვიდრემე⁴. ხოლო აირი და წყალი ნაწილებითა არიან შემწყნარებე-
 35 ლებ წინაღმდგომთა, რამეთუ*⁵... არათუმცა ორი აქუნდა ძალითი, არამცა
 მოქმედებითცა გარდაიცვალებოდა თითოეულისა მიმართ, არამედ ვითარ წი-
 40 ნაუკუმონი ჰქონან ძალითნი, ამისთვის თითოეულისა მიმართ გარდაიცვალების
 ნაწილებითა.
 ესრეთ უკუე ნათესავსაცა ჰქონანო, იტყუს, წინაღმდგომნი განყოფილებანი
 ძალითა და არცა არ ვითარ არსადა მყოფისაგან იქმნებიან, არცა წი|ნაღმ- 201
 40 დგო|მნი მისვე შორის არიან] მოქმედებით.
- ამას აღქსნასა ი[კ]უმევენ პერიპატოულნი, რომლისათვის პორფირიოსცა გარ-

1 ულონოქმნილი C. 2 აღქსნის C. 3 რამეთუ|ხოლო D. 4 არს ყრმაჲ, რამეთუ ძალ-უც ღრამმატიკოსი — B. 5 წინაჲგობა C. 6 ვიდრემე — C.

*1 აკლი: εὐ δὲ τῶν θερμασθῆν λέγεται ἐκρησείθ θερμῶν CA₁ 102, 13. *2 აშიაზე მხედრულთ მინაწერი: ქ. ნახვედვე სათნობა სიცივე C 124 v. *3 აკლი: θύσεται γὰρ τὰ θύσεται ἐν τῇ ἀντὶ παρῆσαι δμα θύσται CA₁ 103, 1.

დასცა, ვითარმედ ეგერა ითქუა, „კატილორიათა“ შინა არისტოტელისთა საკ-
მარსა წერს წიგნსა.

ხოლო საკმარ-არს ცნობად, ვითარმედ პლატონეთნი წინააღმდეგებიან აღ-
ქსანსა ამას და რამეთუ მოქმედებითაცა იტყუან ყოფად განყოფილებათა ნათე-
სავთა შორის და იტყუან, ვითარმედ: არა ჯერ-არს შემინებად მოქმედებით დას-
მხისათს ნათესავსა შორის სიტყვერსა და უსიტყუსა, მოკუდავსა და უკუდავსა. 5
და ივუმევენ აღმოსაჩენლად ამისსა ესევითართა სიტყუათა, რამეთუ პირველად
უკუე, არა არს, იტყუან, წინააღმდეგომ სიტყვერისა უსიტყუელთა, არცა მოკუდა-
ვი უკუდავისა, რამეთუ წინააღმდეგომნი განხრწნიან ურთიერთ|თას, ხოლო [ესენი 10
არა], ხოლო არა განხრწნელ ერთმანერთისა, არამედ შემადგინებელცა არიან
ურთიერთას. რამეთუ სიტყვერი და უკუდავი შემადგინებლობითი არს მოკუ-
დავისა და უსიტყუელისა, რამეთუ ღმერთი უკუდავად და სიტყვერად მყოფი,
შეადგენს მოკუდავთა და უსიტყუთა; და კაცი სიტყვერად მყოფი, მოურნე იქ-
მნების უსიტყუსა და მაცხოვარ; და ანგელოზნი უკუდავად მყოფნი, მოკუდა-
თა არიან მოურნე და მცველებ. 15

ვინაჲ არ წინააღმდეგომებ² სიტყვერი და უსიტყუ, არცა მოკუდავი და უკუ-
დავი, ხოლო უკუეთუ არ წინააღმდეგომებ³, არ შეუძლებელ არს ერთბაჲად ყო-
ფაჲ მათი ნათესავისა შორის, ვითარ უსიტყუნიცა ძალნი, გულისწყრომისა
ვიტყუ და გულისტუქმასა და გრძნობასა, და სიტყვერი ცხობებაჲ მყის თანად 10
იხილებიან ერთისა ცხოველისა შორის—კაცისა. მერმე იტყუანდა, დაღათუ
წინააღმდეგომცა არიან, არაჩაით უადგილო არს მისეე ნათესავისა შორის მოქ-
მედებით ყოფაჲ მათი⁴, ვითარ არა ვითარცა ერთისა ქუედმდებარისა შორის
არიან — სხეულისა, არამედ უსხეულოჲსა რაჲსმე შორის (რამეთუ უსხეულო
არს ნათესავი). და უსხეულოჲსა შორის შესაძლებელ არს ყოფაჲ წინააღმდე-
გომთაჲ, რამეთუ ამისთვის ვერ ძალ-უც წინააღმდეგომთა⁵ ქუედმდებარესა რას-
მე სხეულსა შორის ყოფაჲ, ვითარ ორთავე ჰნებაჲს თანქონებაჲ ქუედმდებარ-
ისაჲ. ხოლო განწაფილებულად მყოფი სხეული ურთიერთას განხრწნელობი-
თთა მყის თანადშეწყნარებად ვერ შემძლებელ არს. ხოლო უსხეულოთა ზედა
არა არს ესე. 15

ამას თანა ბუნებასაცა ჰქონან სიტყუანი ყოველთა წინააღმდეგომთნი და 20
v შეგუამებულსაცა, ვითარ-იგიოთუალთა მყის თანად მიეხების თეთრისა და მშე-
ლნობისა სიტყუები, კეთილისა და ჰავისა, ცივისა და ცხელისაჲ. და სულსაცა
მყის თანად ჰქონან მაშინვე სიტყუანი წინააღმდეგომთანი, ვითარ ერთი არს ზედ-
მიწევნულობაჲ წინააღმდეგომთაჲ. ვინაჲცა არაჲ უადგილოთაჲ⁶ შეჰ-
ხუდების⁷ მეტყუელსა სიტყუასა მოქმედებით ყოფისა განყოფილება- 25
თამასა ნათესავისა შორის. ესრეთვე ნავისაცა⁸ შორის სხეულუანად ვიდრე-
მე სამყურისა და ოთხყურისა და მრგულისა ქმნად ვერ შემძლებელ ვართ, ვი-
თარ ურთიერთას შეირვევიან სახენი, ხოლო სულისა⁹ შორის გუქონან ესე ყო-
ველნი შეურვენელად. რომლისათსაცა შეურვენელად წარმოვადგენთ ამათ და
ვარუენებთ... პირველსაცა სახილავსა და მეორესა და მესამესა, და მრგული- 30
203 სათუს და სამყურისათუს, რომლისათსაცა [უსხეულო]თა შორის შესაძლებელ
არს მოქმედებით ერთბაჲად ყოფაჲ წინააღმდეგომთაჲ. და სხუებერცა. უკუეთუ
ძალითა არიან ნათესავთა შორის განყოფილებანი, რაჲ არს მოქმედებაჲ. მქონე-

1 არ AC. 2-3 არ წინააღმდეგომებ D. 4 ~ ყოფა მათი მოქმედებით C. 5 რამეთუ ამისთვის ვერ ძალ-უც წინააღმდეგომთაჲ—B. 6 უადგილობაჲ C. 7 შეხუდების C. 8 ნავისაცა|ნათესავისაცა D. 4 სულსა|სხეულისა D.

- ბელი მათი სახეთა შორის? რამეთუ ყოველი ძალითა მყოფი მოიყვანების მოქმედებად ვისმე მიერ, მოქმედებით ეგვეითარად მყოფისა. რამეთუ უყალი ცივი, ძალითა ცხელად მყოფი, იქმნების მოქმედებით ცხელ [ც]ცხლისა¹ მიერ, მოქმედებით ცხელად მყოფისა. და ყრმაა ძალითა ღრამმატიკოსად მყოფი, მოქმედებით იქმნების ღრამმატიკოს მოქმედებით ღრამმატიკოსად მყოფისა მიერ.
- აწ სადმე უკუეთუ ძალითა არიან [ნათესავთა]² შორის განყოფილებანი, ხოლო წარმოიჩინებან მოქმედების მიმართ, მოქმენ იქმნენ სხსხა ვისმე მოქმედებით განყოფილებათ მქონებელისა. ხოლო არცა ერთი რაა ა|: [რს თვნიერ მათსა]. არ სადმე ძალითა არიან [ნათესავთა]³ შორის. და კუალად ყოველი სადმე ძალითა მყოფი უსრულ არს, ხოლო მოქმედებითი — სრულ. უკუეთუ უკუმ სახეთა ვიდრემე მოქმედებით ჰქონან განყოფილებანი, ხოლო ნათესავთა — ძალითა, იყვენ უსახეისნი სადმე ყოველთასა უსრულეს და უპატიოსნეს, ხოლო უნათესავისნი — ყოველთასა უუსრულეს და უუპატიოეს, რომელი უადგილო არს, რამეთუ იყვენ ნაიზიზხევენი უსრულეს და უშჯილეს მიზეზთასა.
- საკირო სადმე არს განყოფილებათათს მოქმედებით ყოფაა [ნათესავთა]⁴ შორის.
- აწ უკუე განსაგდებელ არსა ყოვლითურთ პერიპატოელთა სიტყუაა? ვიტყუე უკუე, ვითარმედ: არასადა, რამეთუ⁵ სამგუარობასა ნათესავთასა, ვითარცა მრავალგზის გვთქუამს, პლატონურნი სადმე მრავალთასა პირველთა შორის იტყოდეს (რამეთუ მრავალთა [ნათესავთასა]⁶ შორის არიან მოქმედებით განყოფილებანი, [რამეთუ სიტყუანი ყოველთანი] მუნ არიან მოქმედებით), ხოლო პერიპატოელნი — მრავალთა შორისათს, რამეთუ ცხად-არს, ვითარმედ ბუნებაა უსაყოველთაოესთაგან უეკრობობითესთა მიმართ მოგზაურობს და კერძობითნი ძალითა უსაყოველთაოესთა შორის წინამშემტკიცენს. ვითარ-იგი შთათესულისა თესლისაგან პირველ კორცი დაიბადების, ვითარცა იტყუნ მკურნალნი, საშოსა შინა, რომელ არს სხეული. ხოლო სხეული საყოველთაო. არამედ ესე, ვითარცა სხეული უკუე, მოქმედებით არს, ხოლო ვითარცა სულიერი, ძალითი, რამეთუ არაა სულიერი არს მოქმედებითი. ხოლო ოდეს ზრდელი და აღორძინებული სულდგმულობდეს, მოქმედებით ვიდრემე სულიერად ითქუმის, ხოლო ძალით—ცხოველად, არაა მიმთხუეული გრძნობისა და მოძრაობისა. ხოლო ოდეს ესენი მიიხუნეს, მოქმედებით სადმე—ცხოველად, ხოლო ძალით—სიტყუე [რად, ხოლო ოდეს] განსრულდეს და სიტყუა მიილოს, იქმნების მოქმედებით სიტყუერ. ამა უკუე ნათესავთა შორის ძალითა იხილვებიან მრავალთა შორის განყოფილებანი და კეთილად ესრეთ იტყუნ ბუნებითნი.
- ვინადა ვითარცა პორფირიოს წინადევა მწერლობაა წიგნისაა ამის არა პლატონურთა მოფარდულობათა, არამედ არისტოტელურთა მიმართ თანშეტყუებულისაა, ამისთვის პერიპატოელთა იქუშია აღესნაა, ვითარცა ეგერა წინაწარმოვთქუენით ყოველნი. და ვითარმედ ცხადი არს ლექსი, აღმოვიკითხოთ უკუე იგი.

1 ცხელ ცხელისა ABC, ცეცხლ ცხელისა D. 2 ნათესავთა კქმნათა ABCD. ტექსტში „ქმნათა“ სიტყვის აზის ნიშანი. ამ ნიშნით ამაზე, ტექსტის ხელითვე წერია: „ნათესავთა“. ბერძნულ ტექსტში სათანადო ადგილას იკითხება *γένεσις*. 3 ნათესავთა კქმნათა ABCD. ტექსტში „ქმნათა“ სიტყვის აზის ნიშანი. ამ ნიშნით ამაზე, ტექსტის ხელთვე წერია: „ნათესავთა“. ბერძნულ ტექსტში სათანადო ადგილას იკითხება *γένεσις*. 4 ნათესავთა (ყველა ხელნაწერის ამაზე) კქმნათა ABCD. 5 რამეთუ ხოლო B. 6 ნათესავთასა (ყველა ხელნაწერის ამაზე) კქმნისასა ABCD.

არცა ერთი ამათგანი რაჲ არს¹, რამეთუ არა
 თუმცა თანაქუნდა სიტყუერისა და მოკუდავისაჲ
 ცხოველსა, სადაჲთ აქუნდა შეწყყნარებაჲ სახისაჲ?
 არცა ყოველნი ჰქონან წინააღმდეგობანი², თუ
 არა იყვენენ წინააღმდეგომნი მყისთანაღ, არამედ
 ვითარცა აღირსებენ

2405 [ვითარ პორფირიოს [პლატონურად] მყოფი არა თვსთა სთნოყოფილთა
 იტყუს, რამეთუ თქუა, ვითარმედ: „აღირსებემო პერიპატოელნი“, რამეთუ ბუ-
 ნებათმმეტყუელებნი კეთილად მადიდებელობენ ესრეთ, ვითარმედ საყოველ-
 თაოთა პირველვე ძალითა ჰქონან კერძობითნი და ეგრეთ მოქმედებისა მი-
 მართ წარებატებთან.

ხოლო განასახლერებენ ესრეთ

აქა სრულსა წარწერასა იტყუს მოღებულსა განყოფილებისაგან კმათასა
 მეტყუელისა, ვითარმედ: კმათაგანნი რომელნიმე უნიშნონი არიან, ხოლო რომ-
 ელნიმე დამნიშნელობითნი.

რამეთუ საქმეთა ნივთისაგან და სახისა შედგო-
 მილობასა

მიზეზსა გარდასცემს აწ, თუ რამათს ნათესავი უკუე რაჲარსობისა შო-
 რის შეისმინების, ხოლო განყოფილება — რომელირაჲარსობისა შორის.
 იტყუს უკუე, ვითარმედ: ყოველნი ანუ საკუთრად ნივთისაგან და სახისა ქარიან,
 ანუ აღსიტყუევით სახისა და ნივთისაჲ აქუს შედგომაჲ. ყოველთა ვიდრემე უკუე
 ბუნებითა საქმეთა ქუმედებარე არს, რომელსა უწოდენ საკუთრად ნივთად,
 უშუენიეროჲ და უსახოჲ. ხოლო არს საკუთარი სახეცა შემამკობელი მისი და
 მის შორის ქმნილი. ესრეთ ვიდრემე უკუე საკუთარი ნივთი და საკუთარი სახე
 ბუნებითა საქმეთა შორის იხილვების, ხოლო კვლოვნებათა შინა—აღსიტყუევი-
 თი. ვითარ-იგი რვალისაგან იქმნების ანდრიანტი, ვინამცა რვალი ითქუმის ნივ-
 თად, ვარნა არ საკუთრად, არამედ აღსიტყუეითს რამეთუ არუსახო არს რვალი,
 არამედ ვითარ დაერეცების კვლოვანსა და მიითუალავს სახესა ანდრიანტისასა,
 ვითარ საკუთრად ნივთიცა, ამისთვის ნივთად ითქუმის. და ნაკუეთიცა სახედ აღ-
 სიტყუევით იწოდების, ვითარ [დასტუფრავს :[რვალსა, ხოლო რამეთუ]
 ერთსა რასმე ნივთსა ქუმე შეხენან ბუნებითნი, ამისთვის ურთიერთას მიმართ
 შეიცვალებიანცა ყოველნი, რამეთუ შეუძლებელ იყო ურთიერთას მიმართ
 შეცვალებაჲ ყოველთაჲ, არათუმცა ერთი რამე იყო ნივთი და საზოგადოდ
 ქუმე-ედვა³ ყოველთა. ამისთვის უკუე ჰურკელთა რვალისათა შესაძლებელ არს
 ურთიერთას გარდაცვალებაჲ, ვითარცა ზოგადისა ნივთისა მქონებულთაჲ, ვი-
 თარ-იგი სიავისაგან ანდრიანტად, რამეთუ არმქონებულთა ერთისა ნივთისათაჲ
 შეუძლებელ არს გარდაცვალებაჲ ურთიერთას მიმართ, რამეთუ არა იქმნეს
 ოდესცა სიავისაგან ნავი, ხოლო იქმნების აირისაგან წყალი და წყლისაგან --
 აირი და აირისაგან — ცეცხლი, ვითარმედ⁴ ერთი აქუს ქუმედებარე — ნივთი.

1 აღსიტყვით C. 2 მიმართ — D. 3 ქუმე-ედვა]ქუმედ ვითარცა B. 4 ვითარმედ]რამეთუ C.

11 „არცა... არს“ განსამარტაჲ ფრაზად არის გამოყოფილი CA₁ 105, 15. ² „არცა... წინა-
 აღმდეგობანი“ განსამარტაჲ ფრაზად არის გამოყოფილი CA₁ 106, 1.

6. მ. რაფაჲა

ყოველი უკუე ბუნებითი საქმენი ნივთისაგან არიან საკუთრად და სახისა, ვითარ-იგი|[კაცი, ცხენი] და სხუანი, ხოლო კელოვნებითი—აღსიტყუვისაგან ვიდრემე ნივთისა, ვითარ ცხოვლისას, ხოლო აღსიტყუვისაგანევე სხე ეგვეთარისა ნაკუთისა.

5 იტყუს უკუე, ვითარმედ: ნათესავსა ვიდრემე ნივთისაჲ მოაქუს სიტყუაჲ, ხოლო განყოფილებათა — სახისა, რამეთუ ვითარ-იგი არსებისაებრ უკუე არა-რამთ განყოფივნიან¹ ურთიერთას ჭურჭელნი რვალისანი, ხოლო განყოფილებაჲ ნაკუთისაებრ იქმნების, ეგრეთვე ნათესავისაებრ ვიდრემე, ვითარ-იგი ცხოველი ვართ, არა რამთ განყოფივიან კაცი და ცხენი და ძალი და სხუანი, ხოლო განყოფილებათაებრ განყოფივიან, რამეთუ ცხოველი, მიმთუალველი 10 სიტყუერისა და მოკუდავისაჲ, შეიქმს კაცსა, ხოლო უსიტყუსა და მოკუდავისა მიმთუალველი, კუალად შეიქმს ცხენსა. ვინაჲცა ნივთსა უკუე აღსიტყუავს² ნათესავი, ხოლო სახესა—განყოფილებანი. ვითარ უკუე ნივთი ყოფასა მიჰმადლებს თითოეულსა, ხოლო სახე—რომელობასა და ეგვეთარობასა, სამართლად ნათესავი ვიდრემე რაჲარსობისა შორის შეისმინების, ვითარცა აღსიტყუეული ნივთისაჲ, ხოლო განყოფილებაჲ — რომელირაჲარსობისა შორის, ვითარცა აღსიტყუევი სახისაჲ.

15 საზოგადოდ და განთესებულად, საზოგადოდ³ თითოეულისაჲ და განთესებულად საყოველთაოჲ⁴. ხოლო წარსწერენ ესრეთცა: განყოფილებაჲ არს განკიდებებისა მომგებელი მისვე ნათესავისა ქუე-შეთაჲ

რამეთუ შემო-რამ-ვიდა „სიტყუერი“ და „მოკუდავი“, განაკიდეა კაცი ცხენისაგან, არმცირებოდა თქუა რაჲ განმაკიდებელთაჲ, რამეთუ არა კინი არს განყოფილებაჲ და რამეთუ არცა ზოგადი, არცა განთესებული, არცა მჯდომარეობაჲ და მდგომარეობაჲ ანუ ნიშნოვნობაჲ და ნერბისცხრობაჲ განაკიდებს, არამედ უგანთესებულესი და შემადგენელი: „გონებისა და კელოვნებისა და ზედმიწევნულობისა შემწყნარებელობითად ყოფაჲ“. რამეთუ ესე მხოლოდ არს 25 კაცისაჲ, ვითარ არცა ღმრთისაჲ, ვითარცა ყოვლისა მეცნიერებისა უაღრესისაჲ, არცა უტყუთაჲ არს, ვითარცა არმომგებელთაჲ და კუალად არცა ამის რამსმე ზედმიწევნულობისა (ვითარ ღრამმატიკოსობაჲ ღრამმატიკოსთა მხოლოთა შემოიყვანებს), არამედ ყოვლისაჲ.

და რაჲსა იყო ყოფაჲ და რომელი საქმისაჲ არს კერძოჲ

35 ნაცუალად ვითარმედ „საზღვრისა მიმართ“, რამეთუ „რაჲსა იყო ყოფაჲ“ საზღვარსა დაჰნიშნავს⁵ არისტოტელისებრ (ვითარ-იგი ღრამმატიკოსთაებრ ძურმდგომობაჲ რისხეასა), ვითარმედ საზღვარი რაჲარსობასა დაჰნიშნავს⁶, [რომელი უკუე] კერძოჲ არს საზღვრისაჲ, მას განსჯის და განარჩევს, რამეთუ „გონებისა და კელოვნებისა, ზედმიწევნულობისა შემწყნარებელობითი“ კერძო 40 იქმნების საზღვრისა. ამისთვის განყოფილებაჲ იგი სხუათაგან განარჩევს კაცსა.

1 ცხოველისა BCD. 2 განყოფივიან B. 3 აღსიტყუავს C. 4 საზოგადოდ + უკუე D. 5-6 დანიშნავს C.
* სიზოგადოდ... საყოველთაოჲ განსმარტავ ფრაზად არ არის გამოყოფილი CA₁ 107, 23.

რამეთუ არ მოუგეის ცურვაჲ¹, ესე იგი არს, მენავეობაჲ. და რამეთუ კაცსა თჳს ეყვის ესე, გარნა არ დაიხატვის მენავეობისა მიერ კაცი, თუ არა, არლასადა მენავექმნილნი არამცა იყვნეს კაცებ.

თჳსისათჳს

ხოლო თჳსსა განჰყოფენ ოთხგუარად

5

სრულმყოფელი განყოფილებისძლითისა სიტყუსაჲ თჳსისათჳს მეტყუელებს
 V მიერიტვან, რამეთუ ესე შესაღვიებელ იყო თქუმულიანებრ წესისა. რამეთუ
 წარმოთქუა რაჲ არსებითათჳს, საჭიროდ წარმოიტყუს არსებისზედათათჳსცა,
 არამედ თჳსისაგანცა დაიწყებს¹, ვითარცა საშუვალ [ად მყოფისა], რამეთუ
 ეზიარების² არსებითთაჲცა, ვითარ-იგი მხოლომსა და ყოვლისა და მარადის არს, 10
 რომლისა იგი არს. ხოლო ეზიარების შემთხუევეითაჲცა, ვითარცა ივინი წული-
 ლმოგონებით განეშორებიან ქუედმდებარეთა, ეგრეთვე თჳსიცა წულილმოგო-
 ნებით განეშორების. კუალად წესისა მისებრ მასწავლელობისაჲსა პირველად
 დანიშნულობათა აღჰრაცხს მისთა და ეგრეთ იტყუს, რომლისათჳს არს სიტყუამ
 ფილოსოფოსთაჲ. გუარითა უკუე რადთმე ოთხად განსწვალებს თჳსსა და იტყუს 15
 ესრეთ: თჳსი ანუ მხოლომსა რაჲსმე სახისაჲ არს, ანუ არამხოლომსაჲ. და უკუ-
 ეთუ მხოლომსაჲ, ანუ სრულისა სახისაჲ არს, ანუ არსრულისაჲ; და უკუეთუ
 არამხოლომსაჲ, კუალად ანუ არასრულისაჲ, | ანუ სრულისაჲ; [ანუ მარადის]
 209 ანუ არ მარადის.

განსწვალებაჲ უკუე ვიდრემე ესე, ხოლო არს ერთი სადმე დანიშნული³ და 20
 პირველი, რომელი მხოლომსა ვისმე შეემთხვა, ხოლო არა სრულსა სახესა, ვი-
 თარ-იგი კაცსა მკურნალობაჲ, ფილოსოფოსობაჲ, ვარსკულავემოციხუეველობაჲ.
 მეორე, რომელი სრულისაჲ სადმე, არა მხოლომსაჲ ხოლო, ვითარ-იგი კაცსა
 ორფერჯ-ყოფაჲ, რამეთუ ყოვლისა კაცისაჲ არს, არა მხოლომსა გარნა, არამედ
 მფრინველთაჲცა. ხოლო მესამე⁴..., ვითარ კაცისა სიბერესა შინა მკცოვნობაჲ,
 რამეთუ მხოლომ და ყოველი, არამედ არა მარადის მკცოვნდების, არამედ სიბე- 25
 რესა შინა. ხოლო მეოთხე, რომელსა თანაურბის მხოლოობაჲ, ვითარ კაცსა მო-
 ცინარობითი და ცხენსა მკვეანობითი და ძალსა მყეფარეობითი. ხოლო ამათი
 თითოეული ითქუმის ძალისაებრ⁴, არ მოქმედებისაებრ, | რამეთუ ვითარ-იგი
 V იციანის ანუ ჯუივის, მოცინარობითად ითქუმის ანუ მკვეანობითად, არამედ ვი- 30
 თარ-იგი მოუგეის.

რამეთუ ესე არს საკუთრად თჳსი მხოლომსა და ყოვლისად და მარადის-
 ყოფაჲ, ვინაჲ პორფირიოს მოიკუთმია სხუათა დანიშნულობათა ზედა და მარტი-
 ვად საზოგადოდ თქუმულისა თჳსისა მიმღებელმან განყო ოთხად. სამ-ყოფასა
 უკუე წინააღმდეგომ-დადებათასა, რომელთაგან დანიშნულობანი თჳსისანი მოი- 35

1 დაიწყების C. 2 + არსებითათჳს, საჭიროდ წარმოიტყუს არსებისზედათათჳსცა, არა-
 მედ თჳსისაგანცა დაიწყებს, ვითარცა საშუვალად მყოფისა, რამეთუ ეზიარების ABCD. 3 და-
 მნიშნველი D. 4 ძალისაებრ|ძალისაებრ B.
¹ „რამეთუ არ მოუგეის ცურვაჲ“ განსამარტავ ფრაზად არს გამოყოფილი CA₁ 108, 15.
² აქლი: ἢ καὶ μοῦσθ καὶ παντὶ, οὐκ αὖθις δὲ δὲ καὶ πῶς CA₁ 109, 17.

მას), ვინაეცა სამთათსვე საჭიროდ წარმოიტყვს უეჭველად. არამედ ჭერ-არს, რაათა საქმეთათს მეტყუელნი საშუალ შემოყვანებულ იქნენ, ვითარ უკუე მათგანნი რომელნიმე ლიტონისა წულილმოგონებისა შორის არიან მხოლოდ, ვითარცა ვაცირემი და იპპოკენტაეროსი და რაოდენნი ეგვეითარნი ეგვეითარებ, ხოლო რომელნიმე ნანდულ შეგუამებულნი არიან. არ სადმე ჭერ-არს 5 ლიტონსა წულილმოგონებასა შინა მდებარეთათს წარმომეტყუელად თქუმაი ფილოსოფოსისად, არამედ ნანდულ მყოფეთათს. ხოლო ამათ გუასწავებს ჩუენ 243 არა თითითა მჩუენებელი, ვითარმედ ესე უკუე ძელი, ხოლო ესე ნუუკუე ქვაჲ არს, არამედ კმადა რათმე მიერ, დამნიშნველთა ნათთა საშუალობითა, ცხად-არს, ვითარმედ გულისხუმის -ყოფათათა, არამედ მეტყუელთაცა 10 მიმართ, ვითარმედ მხოლოთა გულისხუმის-ყოფათათს არს სკოპოსი, ვიტყვთ, ვითარმედ გულისხუმის-ყოფანი საქმეთანი არიან გულისხუმის-ყოფანი¹ და მასწავლელი მათი დამნიშნველთა მათთა ასწავებს კმათა.

ვინაეცა თქუას თუ ვინმე სამთაგანი, საჭიროდ აღიარნეს ორნიცა სხუნანი. კეთილად სადმე ჩუენ შემომაკლებელნი ვიტყვთ, ვითარმედ: სკოპოსი ფილოსოფოსისად არს წარმოთქუმაი კმათათს, დამნიშნველთა საქმეთასა², საშუალობითა გულისხუმის-ყოფათათა. და ესე სამართლად! რამეთუ წინაძედაბე წიგნი 15 სიტყუერებითისა მოფარდულობისა და ყოელისა არისტოტელებ|რისა ფილოსოფოსობისა პირველი არს, პირველ ვიდრემე უკუე, ვითარცა სიტყუერებითისა კმათათს ასწავებს, ხოლო ვითარ წინძლუანეთ, სხუაცა არისტოტელებრისა 20 ფილოსოფოსობისაგან წვალებასა ჰყოფს მყოფთასა, ესე იგი არს, საქმეთასა, ხოლო ამისგან ცხად-არს, ვითარმედ საშუალთა გულისხუმის-ყოფათა, რამეთუ მწუერვალნი ნასწავლებნი საჭიროდ თანასწავებენ საშუალსა.

არამედ რაათა უმკაცრესად შევეწინეთ სკოპოსსა, მოვედ, მცირედ უწინარეს წარმოთქუმულთაგანნი მოვიკენნეთ. ვიტყოდეთ, ვითარმედ: ფილოსოფოსობისანი ორნი არიან ნაწილნი: ხედვითი თანად და საქმითი; და ვითარმედ ხედვითი ვიდრემე აქუს მიწოდობისათს ტყუილისა და ჰეშმარიტისა, ხოლო საქმითი განჩრევისათს კეთილისა და ბოროტისა. არამედ ვითარმედ ამათგანი თითოეული მალკარ არს ვითამე, ვითარცა ჰეშმარითი, არმყოფი ჰეშმარითად, ხოლო 244 ვიქ|თამე³, ვითარცა კეთილნი, არმყოფნი კეთილად, რაათა არა სცთებოდინ მათ მიერ კაცნი, სავმარ-არს მათდა ორლანოზსა რაამმე მიერ განჩრევაჲ, რაათა ვითარცა მეცნიერებისა და კანონისა რაამმე მკუმეველნი არშესატყვსთა განჰყარდნენ. ესე იგი არს აბოდაქსის⁴. არამედ⁵ ცოდნაჲ სავმარ-არს, ვითარმედ ქმნილთაგანთა ქმნისათს და აღქმნისა ორთა რათმე არს სავმარებდა ხედვისა და საქმისად და ნაცვალმენებელობისა მქონებელთა ორთავე ერთმანეროთისა მიწართ. 35 რამეთუ სხუსა დასასრული სხუსა იქმნების დასაწყისად (და სხუსა დასაწყისი სხუსა იქმნების დასასრული) არამედ რაათა უცხადეს იქმნეს ჩუენდა მასწავლელობაჲ, მოვედ, ვიკუმეოთ მაგალითი. ჰნებავს თუ ვისნი შემზადებულ თავისა თვისისათს მაყენებელი სიცხისა და სიცივისა და ქართა და წყმათა, რომელ არს სართული, განიზრა|ხავს ეგვეითარნი იგი, ვითარმედ უკედლოჲ სართული 40 დგომად ვერ შემძლებელ არს, არამედ მოქენე არს მტერთველთა მისთა, ხოლო ესე იყვენენ სადმე ზღუდენი. არამედ რაათა ესენიცა დგენ საფუძველთა,

1 საქმეთანი არიან გულისხუმისყოფანი — B. 2 საქმეთათს C. 3 ვითამე C.

²1 აშინზე ტექსტის ხელით წერია: „აღმოჩენაჲ“ AC. ³2 არამედ... საშუალ მათსა“ CA, 10,22—11,7 სქ.

წინაშთასხმითა მათითა, ხოლო რამთა ესენიცა შთაისხნენ, ჭერ-არს აღმოთხრა მქუეყანისაჲ. ესრეთვე მხედველმან იწყო ვიდრემე სართულისაგან, ხოლო დააცა-
 და თხრისათჳს ქუეყანისა. ესე ესრეთვე წინაუქმო საქმესა შინა: და იწყებს სად-
 5 მე თხრად ქუეყანისა, ხოლო აღმოთხაროს რაჲ, შთაჰსხამს საფუძველთა, საფუ-
 ძველთა¹ ზედა—ზღუდეთა, ზღუდეთა ზედა—სართულსა და დაწყებასა თანა ხედ-
 10 მისასა დასრულდა საქმე. ეგრეთვე უკუე აქაცა აღმომჩინებლობისა ზედა, რა-
 მეთუ ვითარცა აპოლიქსისა² ცოდნაჲ გუნებაჲს, ხოლო აპოლიქსი სჯლოგოზ-
 მოსი რამემ არს, მისსა მიმართ სადმე იძიებოდდე: [რაჲ არს მარტივი სჯლო-
 გიზმოსი? გარნა ვითარცა სჯლოგიზმოსი არა მარტივი საქმე არს, არამედ თან-
 15 დადებულთ, ვითარცა თუთ იგი სახელი ცხად-ჰყოფს, რამეთუ შეყრაჲ რამემ არს
 სიტყუათაჲ, ჭერ-არს სადმე პირველად მათი სწავლაჲ, რომელთაგან თანდაისხ-
 ნიან. ხოლო ესე არიან პროტასნი, გარნა ვითარ ესენიცა თანდაისხნიან ქუმედ-
 ბარისაგან და შესმენილისა და ქუე-სხენან სახელნი, ხოლო შეისმინებიან სიტ-
 20 ყუანი, განიხილოდდე უკუე ამათჳსცა, არამედ ესენიცა და თან-სხენან მარ-
 ცულთაგან, გარნა იგინი თავით თჳსით არას დაჰნიშნვენ, ვინაჲ არცა რაჲ იძიოს
 მათჳს ფილოსოფოსმან, რამეთუ უნიშნოთათჳს ვთქუთ, ვითარმედ: არცა ერთი
 არს მათჳს სიტყუაჲ. აწ სადმე სახელთა და სიტყუათა ზედა დავადგრეთა?
 ვიტყუთ, ვითარმედ: არა, არამედ მიერ-კერძო წარგლოთ, გარნა მიერ-კერძო
 25 ამათსა მარცულანი არიან³. ვიძიოთა უკუე მარცულთათჳს? ვიტყუთ, ვითარ-
 მედ: არცა მათჳს. აწ უკუე უკუეთუ სახელთაცა და სიტყუათასა მიერ-კერძო
 ევლოთ და მარცულთათჳს არაჲ ვიუბნოთ, საქირო იქმნეს ყოფაჲ რამსადმე
 საშუალ მათსა⁴.

ვიტყუთ, ვითარმედ: არს პირველ ამათსა პირველი ღებაჲ მარტივთა ჯმა-
 25 თაჲ. რამეთუ ცოდნაჲ საქმარ-არს, ვითარმედ ბუნებაჲმან მეციერიმან, ვითარ-
 მედ ზიარობითად ყოფაჲ ეგულებოდა ცხოველსა ამას, მისცა მას ჯმაჲ, რამთა
 ამის მიერ დაჰნიშნვიდენ სულნი მათშორისთა თნებათა⁵ და შემოკრებულნი კა-
 ცნი, რავდენთა ჰნებაჲს მისიეე ზიარ-ყოფაჲ მოქალაქობისაჲ, თანდაისხნენ ურ-
 თიერთას მიმართ და ამის რამსმე უკუე ხედ სახელისმდებელი, ხოლო მისი
 30 ქედ და რომლისაჲმე — სოკრატობისა ჯმითა, ხოლო რომლისაჲმე — არსებად
 რადმე ყოფად დამნიშნვილით, სხსსაჲ — სიარულთაჲ და სხსსა რომლისაჲმე —
 მოქმედებითა, ამათ უკუე დანიშნულთაებრ ყოველნი ჯმანი სახელ-იდებიან. 246

ხოლო მეორისა ზედმისლვისაებრ განიხილეს, ვითარმედ რომელთაჲმე ჯმათა-
 განთა შესაძლებელ არს თანდაწესებაჲ ართრონთაჲ, ხოლო ხრონოთაჲ — არა.
 რამეთუ რომელთაჲმე ხრონონი უკუე თანდაიწესებიან, ხოლო ართრონნი — არა.
 35 და მათ უკუე უწოდეს სახელუბად, სადა ართრონნი, ხოლო სადა ხრონნი — სიტყუე-
 ბად. აწ სადმე არისტოტელი: სკობოსი არს აქა წარმოთქუმად არა სახელთათჳს
 მარტივად და სიტყუათა, არამედ დადებისათჳსცა მარტივთა ჯმათა, დამნიშნვილ-
 თა მარტივთა საქმეთასა საშუალობითა მარტივთა გულისხუმის-ყოფათაჲთა.
 და ხედვისაებრ⁶ ვიდრემე ესრეთ აღმკსნელნი მოვიწიენით პირველისა და-
 40 დებისაებრ თუნიერ, ხოლო საქმისაებრ ვიწყეთ|ვიდრემე „კატილორიათაგან“⁷,
 რომელთა შინა პირველი ღებაჲ მარტივთა ჯმათაჲ მოუცემის. ხოლო შემდგომად

1 საფუძველთა — C. 2 ~ მათსა საშუალ C. 3 სათნობათა D. 4 მხედვისაებრ B.

⁵1 ამაზე ამ სიტყუებზე მითითებთ ტექსტის ხელით წერია: „აპოლიქსისათჳს შეიძენენ აქა“
 ACD. ²2 „და ხედვისაებრ... ჩუენ აქა არა სადმე“ (105) CA, 12,1 სქ.

მისსა „პერი ერმინიაჲ“ აღვლექსით, მერმე „პირველნი ანალუტიკანი“ და ესრეთ უკუანაჲსკენელ „აპოდიქტიკანი“.

აწ უკუე „კატელორიათა“ შინა ყოველთავე კმათათს მეტყუელუბს ფილოსოფოსი და ყოველსავე კმასა მომცემს ჩუენ აჲა? არა სადმე! რამეთუ ურიცხუ არიან, ხოლო ურიცხუნი ზედმიწევნულობისა მიმართ არ თანმიიხუჭიან. ვინაჲ ამისთვის არ წარმოითქუმის ყოველთათს თითოეულობითთა, არამედ საყოველთაოჲსა მიმართ აღმავალთა რათმე კმათათს და ამით არ განუსაზღვრებულად, არამედ ათეულისა რიცხვთა გარეშეცეულთა. ხოლო ამით ქუეშე აღვლენ ყოველნი.

რამეთუ ვითარ-იგი ღრ[ა]მმატიკოსნი*1 ლექსთა ყოველთა რგათა რათმე ზოგადობთა ქუეშე აღიყვანებენ და ვითარცა რამდე ვინმე რამდე მოიგონოს, ერთისა ამათგანისა ქუეშე აღვალს, ეგრეთვე ფილოსოფოსთა, ყოველთა მყოფთა მნებებელთა სწავლუბისათა, ვითარ თითოეულადნი გარშეუსაზღვრებელნი არიან, შემომკრებელთა ყოველთასა, გარემოკლებნეს და გარეშეწერნეს ათთა რათმე კმათა ქუეშე. რამეთუ მიმღებელთა კმისა სოკრატის და პლატონის და ალკივიდისსა, უსაყოველთაოჲსისა სახისა ქუეშე აღიყვანეს ბუნებაჲ კაცისაჲ; და თითოეულადთა ძაღლთაჲ! ფრთისა სახისა ქუეშე—ძაღლისსა; და თითოეულადთა ცხენთაჲ—ცხენისა ქუეშე. ამითა შემკრებელთა ყოველთასა ერთისა მიმართ უსაყოველთაოჲსისა შეკრებეს — უსიტყუსა. და ეგრეთვე ანგელოზისაჲ და კაცისა ქუეშე რაჲსმე შემკრებელთა ერთი შექმნეს — სიტყუერი. კუალად სიტყუერისა და უსიტყუსა შემკრებელთა ერთი ზოგადი შექმნეს — ცხოველი. მერმე შემკრებელთა ძელქვისა² და ლელუსა და კუპროსიოასათა³ და თითოეულადთა სახეუთასა, ერთისა რაჲსმე ნათესავისა ქუეშე აღიყვანეს — ნერგისა. ეგრეთვე შემკრებელთა ექინთა და ოსტრიდიათა და მსგავსთა მათთასა აღიყვანეს ერთისა ნათესავისა მიმართ — ცხოველნერგისა, საშუალ ცხოველისა და ნერგისა, ვითარმედ არცა იძრვიან ადგილობით, ვითარცა ცხოველნი, არცა კუალად უგრძნობელ არიან, ვითარცა ნერგნი. კუალად ამით სამთავე, ვიტყვ ცხოველსა და ნერგსა და ცხოველნერგსა, შემკრებელთა ერთი რამდე საზოგადოჲ შექმნეს [სულეერი]⁴; ქვისა⁵ და ძელისა და სხუათა შემკრებელთა აღიყვანეს უსულოჲსა ქუეშე. და კუალად სულეერისა და უსულოჲსა შემკრებელთა აღიყვანეს სხეულისა ქუეშე; მერმე სული და ანგელოზი და მსგავსნი მათნი უსხეულოჲსა ქუეშე. მერმე შემკრებელთა ამთა ყოველთასა აღიყვანეს უნათესავისა (ა) არსებისა⁶ მიმართ, რამეთუ მისსა უზენანეს არაჲ არს.

კუალად შემკრებელთა რიცხუსა და ორწყრთასა, აღიყვანეს ერთისა ქუეშე უნათესავისა — (ბ) რაოდენობისა. კუალად შემკრებელთა თეთრსა და შიშვლისობსა, და ღრამმატიკოსსა და ზედმიწევნულობასა, და ცხელსა და ცივსა, აღიყვანეს ზოგად ერთისა რაჲსმე უნათესავისა ქუეშე — (გ) ვითარებისა. და კუალად მარჯუენე და მარცხენე, და მოყუარე და მტერი — (დ) რაჲსამე მიმართობისა. და კუალად რომელნი ადგილისა რომლისაჲ შორის ითქუმიან, ვითარ ლუკიას შინა, აკადიმიას შინა ანუ უზანთა შორის, (ე) სადაობითსა შე-

1 ძაღლთაჲ|ძაღლთაჲ ABC. 2 ძელქვისა C. 3 კუპროსიოათა D. 4 სულეერი|სული ABCD, შდრ. *ἔμψυχον* CA₂, 12,5 სქ. 5 ქვისა C. 6 რაჲსმე B.

*1 „რამეთუ ვითარ იგი ღრ[ა]მმატიკოსნი.. კჳინან უკუე არსებასა“ (106) CA₂, 12,5 სქოლიო. *2 ამაზე ტექსტის ხელით წერია: „არსება“ ABCD. ამაზე იწყება ასოთი სათვალავი: ა, ბ, გ,.... ACD, B-ში არაბული ციფრებითა (213V—214V).

სმენისა ქუეშე აღიყვანებიან და რაოდენნი ჟამსა რასმე ქუეშე აღვლენ — (ვ) ოდესობისა ქუეშე. ხოლო რაოდენნი მწოლარედ ანუ მჯდომარედ ითქუმიან — (ზ) დებისა ქუეშე. ხოლო რაოდენნი შემოსად და შეკურვად — (თ) ქონებისა ქუეშე. ხოლო რაოდენნი კუეთილად დამწურად — (ი) ვნებისა ქუეშე. ხოლო რაოდენნი კუეთად, წუვად — (ი) ქმნისა ქუეშე.

3 ქონან უკუე არსებასა: რაოდენი, ვითარი, რამემგმიმართი, სადაა, ოდესი, ქმნაა, ვნებაა, დებაა, ქონებაა. და სკოპოსი ვიდრემე ესრეთ.

ხოლო საკმარი ამიერ ცხად-არს, რამეთუ უკუეთუ დასაწყისი სიტყურებიითისა მოფარდულობისაა ესა წიგნი „კატილორიათაა“, ხოლო¹ სიტყურებითი, ვითარცა ვთქუთ, განმირჩევს ჩუენ ჰეშმარიტსა ტყუილისაგან და კეთილსა—ბორჯისაგან, სარგებელ მეყოფვის სადმე ჩუენ წინამდებარე წიგნი. არამედ კულად წესი ამიერ აღმომიჩნდების ჩუენ, ვიტყოდით რაა ჩუენ, ვითარმედ პირველი უკუე დებაა მარტივთა კმათაა წინაუძღუს სახელთა და სიტყუათა, რიმათა. ხოლო სახელნი და სიტყუანი—მარტივთა სიტყუათა და ესენი — სჯლოგობოსთა საყოველთაოთასა, ხოლო იგინი — აპოდიკტიკთა. წესისა მიმართ ვიდრემე ამათისა ქმნილ არს წიგნიცა.

ხოლო საძიებელ² არს, თუ რაასათჳს „კატილორიათად“ ზედწარწერა წიგნი. ვიტყუთ სადმე, ვითარმედ: ზედწარწერა² სახელი ესე აღწერილსა, არა ვითარ—იგი სამსჯავროთა შორის გათითოფერდდების კმა ესე, რამეთუ არა წინა-უც მის რიტორობად, არამედ უფროხსლა სწავლად ნათესავთათჳს და სახეთა და უწყებად, ვითარმედ სახენი სადმე ნათესავთა მათთა ქუე-უსხუხ, ხოლო შემდგომთა მათთად შეისმინებიან. ხოლო უნათესავისი მხოლოდ შე-ოდენ-ისმინების, ვითარ უკუე ათნი კმანი უნათესევსნი არიან და მხოლოდ შეისმინებიან ოდენ არვისდად ქუემდებ|არენი. ამისთჳს „კატილორიალ“ წარწერა.

რამეთუ ცოდნაა საკმარ-არს, ვითარმედ ძუელთა წიგნისსადებთა შინა „ანულიტიკათანი“ სადმე წიგნი იპოებიან, ხოლო „კატილორიათანი“ — ორნი. და ერთსა ვიდრემე სხუთა აქუნდა ზედწარწერილი ნანდულ დასაწყისსა მყოფთასა, რამეთუ „რომელნიმე თანმოსახელედ ითქუმიან, ხოლო რომელნიმე თანსახელად“. ხოლო მეორესა, რომელი აწ წინამდებარედ გუაქუს, აქუნდა³ წარწერაა ესევითარი: „თანმოსახელედ ითქუმიან, რომელთაა სახელი მხოლოა ზიარ, ხოლო სახელისთანაა სიტყუაა არსებისაა სხუთა“

წინააბტივეცემულ არს ესე, ვითარცა წესითა და საქმითა მიმხუეჴელი, აღზეებულ² და ყოვლით კერძო მამად მქადაგებელი არისტოტელისსა³. ხოლო ვითარმედ საკუთრად არისტოტელისი არს, ყოველნი აღიარებენ, რამეთუ ჩანს თუთ არისტოტელი ყოველთა შინა წიგნთა მისთა|მომქსენებლად აქათა თქუმულთა ხედვათად. ვინაა ვთქუათ⁴ თუ ნარდომ-ყოფთა წიგნისაა ამის, იგიცა ყოველნი თანვანარდომნეთ ამისსა. ანუ უკუეთუ იგინი საკუთრებ, ესეცა ცხად-არს, ვითარმედ მათ თანა.

საკმარ ვიდრემე არს ცნობაა, ვითარმედ მოპოვნებაა კატილორიათაა არა არს მისი, არამედ პირველ იყო, ხოლო დაწყ[ო]ბაა⁴ ამათი მისი არს.

1 ხოლო — B. 2 აღზუებული D. 3 არისტოტელისსა B. 4 დაწყობაა|დაწყებაა ABCD, შდრ. ძეგლნი CA₂ 14,2.

¹ ამოზე ტექსტის ხელით წერია: „იხილე მიზეზი კატილორიალ წოდებისა წიგნისა ამის“ ABCD. ² „ზედწარწერა...არამედ უფროხსლა“ CA₂ 13, 13 სქ. ³ აქუნდა... არსებისაა სხუთა CA₂ 10,23 სქ. ⁴ ვინაა ვთქუათ... ვითარმედ მათ თანა“ CA₂ 13,27 სქ.

ხოლო განიყოფვის წიგნი სამად: პირველთა მიმართ კატელორიათასა, თვთ კატელორიათა მიმართ, შემდგომთა მიმართ კატელორიათასა. ხოლო პირველნი კატელორიათანი თანმოქმედ არიან ჩუენდა მასწავლელობასა შინა კატელორიათასა, რამეთუ ვითარ-იგი ქუეყანისმზომელნი*1 პირველ ღრამმეულთა ხედვათა მოძღურებისასა მასწავებენ ჩუენ: რამ არს ნიშანი და რამ მართლ-
 v ავანაველი და რამ კუთხი, ვითარცა შეეწეოდეს ესენი მათძლითა შინა მასწავლებლობასა, ეგრეთვე ფილოსოფოსთა აქა, ვითარ ენება მოძღურებებსა შინა კატელორიათასა მოკვებება ლექსთა რათმე ჩუენდა უმეცართაჲ, ამისთვის პირველად მათთვის ასწავებს, რათა იჩუენოს1 არა აღმძრველად სიტყუსა, მერმე შემდგომად*2 მათსა ასწავებს თვთ მათ კატელორიათათვის და უკუანამსკენელ
 10 დასასრულსა თანა სიტყუსმგებელობს შემდგომთათვის კატელორიათასა, ვითარცა სწავლასა შინა კატელორიათასა იკუმინა ლექსნი რამემ არსაცნაურნი. არამედ იძიებოდელ: რამათვის და შემდგომთა ამითა და პირველთა კატელორიათათვის ასწავა? და ვიტყვთ, ვითარმედ: რომელნიმე დასაწყისსა მოიკვსენნა წინასწარობით, ვითარცა ყოვლად უცნაურნი. უკუეთუმცა უკუე ესენიცა ზათანავე
 15 251 დაეწესნეს, დასაწყისსავე სიბრძნელ განფენა*2 შეემთხუეოდა, დაჰმარხნა| უკუე იგინი სადასარულოდ, ვითარცა საცნაური ვიდრემე ჩუეულმბისავე, ხოლო არა დაართრონილისა მეცნიერებისა მათისა ქონებითა ჩუენგან. ვინა-
 იცა პირველ არწარმომეტყუელმან მათთვის იკუმინა იგინი მოძღურებასა შინა კატელორიათასა.

რამეთუ ყოველთა კაცთა უქმან ჩუეულებისაებრ ერთბამად ლექსი და უპირველესი და მოძრაობისა სახელი, ვინაჲ სიმკაცრით გარდმოსცემს. რამოდეს არიან მათ მიერ დანიშნულნი. ხოლო ვიეთმე თქუეს: წინადაიწერნესო ესე ნატაცენი მნებებელთაგან, რათა მყის „კატელორიათავე“ თანა წარიკითხვოდინ „ადგილნი“ ესე. ესრეთ უკუე წინამდებარისაცა წიგნისა ესრეთ არს
 25 „პირველი ადგილი“ ზედწარწერილი4. ხოლო ესენი და სიცხადე და წესი წინამდებარეობით იბრძოლებიან, დაღათუ ასწავა, ვითარმედ სახელთა უკუე და სიტყუათა წინაუძქს პირველი* დადებამ მარტივთა კმათაჲ მახლობელად, ხოლო ასწავებს „კატელორიათა“ შინა ვიდრემე დადებისათვის მარტივთა კმათაჲსა,
 ხოლო „პერი ერმინიასა“ შინა სახელთათვის და სიტყუათა, ვინაიცა ურთიერ-
 30 თას თანმქონებელ არიან, ვითარცა სირაჲ რამემ და ვერცა ვის პირველ მისსა ძალ-უც აღმოკითხუაჲ სხუსა რაჲსაიმემ*, თვნიერ „კატელორიათაჲ“, არცა ამათსა შემდგომად სხუსაჲ, თვნიერ „პერი ერმინიასაჲ“.

თანმოსახელედ ითქუმიან, რომელთაჲ მხოლოჲ სახელი ზიარ, ხოლო სახელისთანაჲ სიტყუაჲ არსებობსაჲ — სხუა

სულნი*3 ზემო რამ ვიდრემე იყენეს თვნიერ სხეულისა ამის, ყოველნი სადმე უწყოდნეს მათ თითოეულმან, შინაგან თუსსა არცერთისა7 ვის სჯუსა მო-

1 აჩუენოს B. 2 განფენა B. 3 თქუეს ABCD. 4 ზედწარწერილი|ზედწარწერილისაჲ ABCD. 5 პირველ B. 6 რაჲსმე B. 7 არცერთსა C.
 *1 „ქუეყანისმზომელნი.. ფილოსოფოსთა აქა“ CA₂ 14,5 სქ. *2 „შემდგომად... სიტყუსმგებელობს“ CA₂ 14,8 სქ. *3 ამაზეჲ ამ ადგილს შენიშვნა: „ელენებრი არს თნებაჲ ესე, არა ქრისტიანებრი, სულდათეს (სულისათვის B) ესევეთარი ესე თქუმაჲ პირველ მყოფობისა (D), რამეთუ აღმწერელი ამათი და განმარტებელ კელმყოფელი ესე აშონიეთა ელენი არს. ნუ უცხო იგინს, ნუცა განაკერდები მტკიცედ მპერობი უცთომელთა სულთა ეკლესიისათა“ = AB.

- ქენთა, არამედ ვითარცა შთამოვიდეს ქმნისა მომართ და თანაშეჯერნეს სხეულსა, და მისმიერთა აღმურთთა აღვსებულნი მრუემობენ და არფლობილ იქმნებიან ცნობად საქმეთა, ვითარცა აქუს ბუნებისაგან, ამისთჳს ურთოერთასისა მოქენე იქმნენს ზიარობისა მსახურ-ყოფითა სამათოდ კმისათა გამოსაცხადებელად ურთიერთას გულისზრახვათა, რამეთუ გამოცხადნებიან ყოველნი და სახელთა მიერ და სიტყუათა. და ესე სამართლად უკუეთუ მყოფთაგანი თითოეული ერთიცა რამე არს და თანაცა ძეს უმრავლესთაგან კერძოთა თჳსთა, რომელთა თანმოსლამან¹ განასრულა ბუნებაჲ მისი. ვითარ-იგი კაცო ერთიცა რამე არს და თანმდებარე არს ნათესავისაგან და შემამტკიცებლობითთა მისთა განყოფილებათა², ვითარცა ერთი ვიდრეჲ უკუე, რომელი ცხად-იქმნების კმისა ამისგან, ვითარმედ „კაცი“, რომელი მარტივი სახელი არს, ხოლო ვითარცა თანამდებარე რათაგანმე, ცხად-იქმნების სიტყუსა მიერ იმეტყუელებინა: v
- „ცხოველი სიტყუერი, მოკუდავი“ — სიტყუთა ამით თითოეულისა კაცისა თჳთებათა წარმოთქმითა. ამათსა უკუე ესრეთ თქუემასა შინა უკუეთუ მოვი-
 ხუნეთ ორნი საქმენი, ესენი ანუ ორკერძოვე ზიარ არიან, ვიტყუ ვიდრემე სახელისაებრ და სიტყუსა, ანუ ორკერძოვე განიყოფვიან, ანუ ერთისაებრ სადმე ეზიარებიან, ხოლო ერთისაებრ³ განიყოფვიან. და ესე ორგუარად: რამეთუ ანუ სიტყუსაებრ უკუე ეზიარებიან, ხოლო სახელისაებრ განიყოფვიან, ანუ წინაუკუემო, სახელისაებრ ვიდრემე ეზიარებიან, ხოლო სიტყუსაებრ განიყოფვიან, ვიდრემდის ოთხ არიან განყოფილებანი. უკუეთუ ორკერძოვე ვიდრემე ზიარ არიან, სახელ-ედების თანსახელებ, სახელისა თანა საზღვრისაცა მიძცემელთა ურთიერთას. ვითარ-იგი შეისმინებიან ნათესავნი სხუათა სახეთად თჳსთა; სა-
 ხეთა მიერ, რამეთუ კაცი ცხოვლადცა ითქუმის და არსებად სულიერად, მგრძნობელობითად. 253
- ხოლო უკუეთუ ორკერძოვე განიყოფვიდინ, სახელ-ედების სხუასახელებ, ვითარ-იგი აქუს კაცსა და ცხენსა, რამეთუ თჳთ იგი კაცი არა სთქუა ცხენად, არამედ არცა ცხენი — კაცად, რამეთუ არცა იგივე აქუსყე საზღვარი, არამედ სხუაჲ და სხუაჲ.

ხოლო უკუეთუ სახელისაებრ ვიდრემე ეზიარებოდინ და სიტყუსაებრ განიყოფვიდინ, თანამოსახელედ ითქუმინ. ვითარ-იგი აქუს ორთა ეასთა, რამეთუ ამით ერთითა უკუე სახელითა ზიარებაჲ აქუს, ვითარმედ ეას², ხოლო საზღვარი არა იგივე, რამეთუ ტელამონოს განმსაზღვრებელნი ვიტყუთ, ვითარმედ: სალამინოსგან³, რომელი ემარტოდმბრძოლა ეკტორსა. ხოლო ილეოს არ ესრეთ.

ხოლო უკუეთუ სიტყუსაებრ ვიდრემე ეზიარებოდინ და სახელისაებრ განიყოფვიდინ, სახელ-იდებიან მრავალსახელად, ვითარ-იგი აქუს, ვითარმედ: აორ, ქსიფოს, მაქერა, ფასლანონ, სპათი.

ვინაჲცა ამით ვიდრემე ოთხთაგან ორთათჳს მხოლოდ სიტყუსმგებლობს აქა არისტოტელი, ვიტყუ თანმოსახელეთათჳს და თანსახელთა, პირველად უკუე, რამეთუ ესე მხოლონი შეეწვიან მას საკმრად მყოფნი მასწავლელობასა შინა კატორორიათასა⁴. მერმე ამათგან ცხად-იქმნებიან ორნიცა სხუანი, ვითარცა წინააღმდეგომნი ამათნი, რამეთუ წინააღმდეგებიან თანმოსახელეთა სადმე მრავ-

1 თანმოსლამან D. 2 განყოფილებითა ABC. 3 სალამინოსგანი B. 4 კატორორიათასა B.

*1 შორ. *Ξερον* CA, 15, 19. *2 აზიაზე მინაწერია: „ეას“ ვიდრემე შეისმინების ერთისათჳს, ხოლო „ას“ სხესათჳს, არამედ თჳთოეულისათჳს განუწულებელ, არამედ შეისმინების „ეას“, რეკტორი დაეთ. D 159 v.

ვალსახელნი, ვითარ ესენი სახელისაებრ ვიდრემე ეზიარებთან, ხოლო სიტყუსა-
 საებრ განეყოფვიან, ხოლო მრავალსახელნი სახელისაებრ უკუე გაიყოფვიან,
 254 ხოლო სიტყუსაებრ ზიარ|არიან. ხოლო თანმოსახელეთა—სხუასახელნი, რამეთუ
 ესენი ვიდრემე ზიარ არიან ორისაებრე, ხოლო იგინი ორისაებრე განეყოფ-
 ვიან. ვინამა ამთმან მეცნიერმან წინააღმდეგომნიცა მათნი იცნისე, ხოლო ესე 5
 კნინსიტყუაობით მოიქვლოვნა ფილოსოფოსმან, რამათა ორთა სიტყუათაძლი-
 თისა მიერ სხუათაცა ორთათს ასწავოს. არამედ ორთა ამთ შორის თანმოსახე-
 ლენი წინადაწესნა ერთსახელთასა, არა ვითარცა ვითენიმე იტყვან, ვითარბე-
 უმარტივესთაა არეგევითართასა მარადის წინდაწესებაჲ მასწავლელობისაებრ. 10
 ხოლო უმარტივეს არიან თანმოსახელენი თანსახელთასა, დაღათუ ამთ
 v ვიდრემე მხოლოდ სახელისაებრ ოდენ აქუს ზიარებაჲ, ხოლო თანსახელთა ამას
 თანა სიტყუსაებრცა.

ხოლო სათქუმელ არს, ვითარმედ სხუაებ² ვიდრემე არიან სხუანი და
 სხუაებ სხუასახელნი. და სხუაებ სადმე არიან ყოვლითურთ განუცნობებულნი³, 15
 ვითარ კაცი და ცხენი, რამეთუ ამთ არცა სახელი იგივე აქუს, არცა საზღვარი
 იგივე, ხოლო სხუასახელებ, რაოდენნი გუამებთა განეყოფვიან და ქუემდებარ-
 რე იგივე არს, ვითარ აღსავალი და შთასავალი, რამეთუ ამითა არცა სახელი იგი-
 ვე არს, არცა საზღვარი იგივე, ხოლო ქუემდებარითა იგივე არიან, რამეთუ მის-
 ვე კიბისათს იხილვებიან. და ეგრეთვე თესლიცა და ნყოფი ორისაებრე გან- 20
 ყოფილნი მისთს იხილვებიან, რამეთუ ესრეთ ეგერა ყოფისა მიმართ ვიდრემე
 ითქუმის ნყოფი, ხოლო გულვებადისა მიმართ ითქუმის თესლი.

255 | თ ა ნ მ ო ს ა ხ ე ლ ე დ ი თ ქ უ მ ი ა ნ , რ ო მ ე ლ თ ა ს ა ხ ე ლ ი მ ხ ო -
 ლ ო მ ზ ი ა რ , ხ ო ლ ო ს ა ხ ე ლ ი ს თ ა ნ ა მ ს ი ტ ყ უ ა მ . ა რ ს ე ბ ი -
 ს ა მ ს ხ უ ა

ესე სადმე ცხად-ჰყოფს ყოველსა ძალსა ლექსისასა, რამეთუ ესენი არიან,
 იტყუს, თანმოსახელებ, რავდენნი სახელისაებრ ვიდრემე ზიარ არიან, ხოლო საზ-
 ღვრისაებრ განეყოფვიან. ხოლო ჭერ-არს თუს-თუს განხილვით თითოეულისა ლექ-
 სისა, რამეთუ ესრეთ ზედმიწევნით წარმართებულ ვიქმნნეთ ძიებულისა. ეძი-
 ებს სიტყუაჲ ამთ; რამათს თქუნაო „თანმოსახელენი“ და არა „თანახელ- 30
 ნი“⁴ მერმე რამათს თქუა: „ოთქუმიანიო“ და არა ვითარმედ: „ვიტყუთ“? ამო-
 სსა შემდგომად რამათს თქუა, ვითარმედ: „სახელი მხოლომ ზიარ“ და არა
 თქუა, ხოლო მერმე „რიმამცა“⁵ იძიებოდედ, რამათს თქუა „ზიარი“, ხოლო
 v მერმე და რამას|თს⁶ თქუა, ვითარმედ: „სიტყუაჲ არსებისაჲ სხუა“⁷ და არა თქუა
 „საზღვარი“ ანუ „წარწერაჲ“ და რად არა შემთხუევითთაცა მოიქსენა? 35
 იხილე უკუე, ვითა სადმე სიმეცირით არა თქუა თანმოსახელედ. არამედ თანმო-
 სახელეებად, სამრავლოდ მკუმეველმან კმისამან⁸, ვითარცა მრავალთა საქმეთა
 შორის იხილვებიან ესენი, ანუ უკნინესად ორთა შორის, ხოლო ერთისა შორის
 არაოდეს ითქუმიან.

ხოლო საკმარ-არს ცნობად, ვითარმედ თანმოსახელეთა უკმან სამნი ესე: 40
 ტონოა, პტოსი, პნევმატოსი. რამეთუ უკუეთუ ეპოვნეთ სადმე სახელნი ერთი-

1 არაქარამედ ABCD, შდრ. იმჟ CA, 16,19. 2 სხუაებრ D. 3 განუცნობებულნი D.
 4 არა თანსახელნი — C. 5 რომელიცა D. 6 რამას B. 7 თქუა C. 8 კმისამან — B.

თა რომლითამე¹ ამათგანითა განყოფილად, არ არიან თანმოსახელებ, ვითარ-იგი ამას ზედა, ვითარმედ „არდრს“ და „პრლოს“. აჰა, აქა ტონოსმან განყენა, რამეთუ პაროქსონომენი დაჰნიშნავს „პელლოპონისოსნ შინასა ქალქისა“, ხოლო ოქსენომენი დაჰნიშნავს „უგუანესსა კაცსა“, რამეთუ ვიტყვით მრავალგზის ვის-
 5 თვსმე „არლოსი“ არსო. ეგრეთვე პტოსისაცა ზედა ვიტყვით უკუე „ო ელატის“ და „ო ელატის“. და ონისა მიერ ვიდრემე ართრონისა დაგნიშნეთ „მარბეველი“, ხოლო ონისა მიერ დაგნიშნეთ „ხე ელატი“^{*1}, ვინაჲ ამისთვის არ იყვენენ თან-
 მოსახელე შეცვალესათვის პტოსისა.

ამათვე ვიტყვით პნევმატოსისაცა ზედა, რამეთუ ვიტყვით, ვითარმედ „ო
 10 უონ“^{*2}. დასუნომენი სადმე დაჰნიშნავს „ეგვევითარსა“, ხოლო ფსილომენი — „მარტოსა“, რომლისათვის არცა² ესე არს თანმოსახელე. ხოლო ამას ემასა ზე-
 და, წითარმედ „ეას“ ტონოსიცა იგივე არს და პტოსი ეგვითივე, არამედ პნევმა-
 ცა ზიარი ორთავე ზედა, და შეემთხუევის მათვე თანმოსახელე-ყოფაჲ.

|ხოლო უწყოდა ფილოსოფოსმან, ვითარმედ თანმოსახელენი დაღათუ
 15 მრავალნი არიან, გარნა ეგრეთცა ერთისა ჳმისა მიერ ცხად-იქმნებიან. ამის-
 თვის მანცა თქუა „ითქუმისო“ და არა ვითარმედ: „ითქუმიან“. რამეთუ მარადის
 ჩუეულებდა არს ატიკელთაჲ ესევითარისა ჳმისა ჳუმევაჲ, ვითარ-იგი პლატონ-
 ნის მიერ ვჰპოებთ: „ითქუმიანო ესენი „ლორგიაჲსა“^{*3} შორის თემისტიკლეო-
 20 ვითარისა ლექსისაჲ: „ითქუმისო“. ისმინებოდედ საქმენი, რამათა იყოს ესრეთ:
 თანმოსახელედ ითქუმის საქმენი. ხოლო ოდეს თქუას „ითქუმისო“, ცხად-არს,
 ვითარმედ ძუელთაგანცა მოიპოების და მოიღების სახელი და არა მისი არს
 ესევითარი დადებამ. ხოლო ოდეს მისი იყოს, იტყვს „უწყსო“, ვითარ-იგი
 25 „ანალტიკათა“ შინა: „ხოლო საზღვრად უწყს“, რომლისა მიმართ დაიკსნების
 პროტასი“.

რომელთაჲ სახელი მხოლოჲ ზიარ

აჲ სადმე რიმათა შორის თანმოსახელობასა ვერ ვჰპოებთ? დაღათუ ვიტყვით
 „ვიტყუო“ და დავჰნიშნავთ ამას და „დავპლექსავთ“ და „მტრფილებლობით
 30 მდებარე ვარ“. ვითარ უკუე იტყვსო თანმოსახელედ მხოლომასა სახელისა ზიარ-
 რად მქონებულთა? ვიტყვით ამისდა მიმართ, ვითარმედ: სახელსა მოიღებს აქა
 არა წინაუტყუმო განყოფილსა რიმამასა მიმართ, არამედ უზიარესსა, რომლი-
 საებრ ყოველი ჳმამ დაჰნიშნველობითი სახელად ითქუმის, ვითარცა „პერი ერმი-
 35 ნისას“ შინა იტყვს: „თუთ“^{*4} იგი ვიდრემე უკუე რიმანი თავით თვისით სახელემ
 არიან“ და დაჰნიშნვევ“^{*4} რასმე. ვინაჲცა ვითარმედ „ვჰპლექსაქ“ და „მტრფი-
 ლებლობით მდებარე ვარ“ თანმოსახელენი არიან, რამეთუ ზიარი აქუს სახელი,
 ვითარმედ: ერო“^{*5}, ხოლო საზღვარი განყოფილი, და არს რიმათა შორის თან-
 მოსახელეობაჲ.

1 რომლითაგანმე D. 2 არცაქა B. 3 ლორგიაჲ B. 4 უწყს D. 5 თვითთუ B.

*1 ამაზე ტექსტის ხელით წერია: „ესე იგი არს მშინებელი გინა მწაჭელი“ ABCD.
 *2 ამაზე ტექსტის ხელით წერია: „უონ“ AC. *3 არამედ არისტოტელმან... ცხად-არს, ვითარ-
 მედ“ CA₂ 18, 11 სქ. *4 და დაჰნიშნვევ... ვითარმედ ერო“ CA₂ 18, 24 სქ. *5 ამაზე
 ამ სიტყვის ვასწვრთ ტექსტის ხელით წერია: „[შისწავე, ვითარმედ] ჳმითა ელადელთათა ჳგვა-
 ნან სიტყუანი ესე: „ვიტყვ“ და „მტრფილებ“, რამეთუ ორისათჳსვე ითქუმის ესე, ვითარმედ
 „ერო“, ხოლო ქართულებრ ყოველად უმსგავსო არიან“ ACD.

მ ხ ო ლ ო დ

ორგუარად ითქუმის მხოლოდ: — ანუ წინააღმდეგომ განთვსებული თან-
მეუღლისა მიმართ, ვითარ ოდეს ვიტყვოდით: „მხოლოდ კაცი აბანოს შინა“,
წინააღმდეგომ განმთვსებელი სხვა კაცისა მიმართ, ანუ ვითარცა ოდეს ვთქუათ:
„მხოლოდ დაშთომილი ბრძოლასა შინა“, დაღათუ არა არამხოლოდ, რამეთუ
ჰქონან თავისა თვისისა თანა ნუუყუე საქურველნი და შესამოსელნი და სხუად
რამდე, არამედ მხოლოდ ეწოდა მოკლებითა შედგომილთა მისთადათა; — ანუ
მხოლოდობითსა, ვითარ-იგი ვიტყუთ, ვითარმედ „მხოლოდ მზე“. ხოლო აქა პირ-
ველი იქუმაი.

258

შ ი ა რ

ზიარი ითქუმის ოთხგუარად¹: ანუ² განუწვალებელი, ანუ განწვალებული.
და განუწვალებელი უყუე არს, ვითარ ცხოველისა ზედა, ხოლო განწვალებუ-
ლი, ვითარ ველისა ზედა; ანუ განუწვალებელი თანსაქონებელი, ცხოველი ვი-
თარ, რამეთუ იგი თანაგუაქუს ყოველთა განუწვალებელად, რამეთუ არა რო-
მელნიმე უყუე არსებისა მხოლოდსაგან მიიღებენ და რომელნიმე—სულიერისა,
ხოლო რომელნიმე — გრძობისაგან მხოლოდსა; ხოლო განწვალებული თანსა-
ქონებელი არს, ვითარ-იგი ველი, რამეთუ მიჰხუდეს არა ყოველნი სრულსა,
არამედ თითოეული—კერძოსა. განუწვალებელობით უყუე თანქონებულისა ზია-
რისათვის იტყუს აქა, რამეთუ³ არა კმისად ამის, ვითარმედ „ეას“, „ე“ ვიდრე-
მე შეისმინების ერთისათვის, ხოლო „ას“ — სხვათს, არამედ თითოეული-
სათს განუწვალებელად შეისმინების „ეას“.

ხოლო სახელისთანად სიტყუთა ირსებისად სხუა,
ვითარ ცხოველი კაციცა და დაწერილი

მაგალითნი ყოველნი უცთომელობით თქუნა ფილოსოფოსმან, ვითარ ჰგო-
ნნამცა ვინმე რამეთურთით არცა ყოფად თანმოსახელედ, არამედ თანსახელად.
რამეთუ „ეასთა“ აქუსყე სახელიცა ზიარი და საზღვარი: „ცხოველი, სიტყუერი,
მოკუდავი“. კეთილად უყუე თქუა „სახელისთანად“, რათა არა მარტომ საზღ-
ვარი მივიღოთ, არამედ სახელისთანად, რომლისაგებ ზიარ არიან, რამეთუ
„ეასთაგანი“ რომელიმე არს ტელამონოს ძე სალამინელი, რომელი ემარტო-
მბრძოლა ეკატორსა, ხოლო სხუად ილეოას ძე ლოკროსელი, ფერკმალე. ვინამ-
ცა სახელისთანად საზღვარი თითოეულისადა სხუა. ხოლო თქუას ვინმე, ვითარ-
მედ: შესაძლეველ არიან თანმოსახელენი თანსახელადცა წოდებად, ვითარ-
იგი ორთა „ეასთა“ ზედა, რამეთუ ესენი თანმოსახელე არიან, ვითარ-იგი სა-
ხელი უყუე ზიარი აქუს, ხოლო სახელისთანად საზღვარი — განყოფილი. რა-
მეთუ¹ პირველი სადმე არს ტელამონოსი, ხოლო მეორე—ილეოასი. არამედ
კუალად თქუას ვინმე, ვითარმედ: სახელისთანადსა სიტყუსაებრცა თანსახელნი
არიან, რამეთუ ვითარ-იგი „ეასნი“ არიან, ეზიარებთან ერთმანერთსა სახელისა
ამისებრ, ვითარმედ „ეას“, არამედ სიტყუსაებრცა სახელისთანადსა, რამეთუ²

1 რამეთუ|ხოლო B. 2 რამეთუ|არამედ B.

² ლაპარაკია ოთხგვარ განწვალებაზე, მაგრამ დასახელებულია მხოლოდ ორ. ეს ასეა ბერნ-
ნულში CA₃ 19, 10, სქ. ³ „ანუ განუწვალებელი... ანუ განწვალებელი“ CA₃ 19, 10 სქ.
⁴ „რამეთუ არა კმისად... ეას“ CA₃ 19, 14 სქ.

ორნივე — ტელამონოსიცა და ილეომსი—კაცნი არიან და კუალად იყვნენ თან-
სახელ რამთა უკუე განიკიდებთან ურთიერთას ამით? რამეთუ თანმოსახელე-
თა სადმე, ვითარ-იგი „ეასთა“, აქუს ზიარებამ ჟრთიერთას მიმართ სახელი-
საებრ, ხოლო აქუსყე ზიარებამ ორთავე თუთ მის თანმოსახელეობისაცა მი-
5 მართ, ვითარ თანა აქუსყე ორთავე თანამოსახელეობისა ამის. ვინაა თანსახელ-
თა არა აქუსყე ესრეთ, რამეთუ აქა მხოლოსა ურთიერთსმიმართსა სქესსა მო-
ვილებთ.

ს ი ტ ყ უ ა ა

რამსა მიზეზისათეს „სიტყუაჲ“ თქუა ნაცვალად „საზღერისა“?. ვიტყუთ,
10 ვითარმედ: ვითარ არა ყოველთა საქმეთა ზედა კეთილზოვნიერობით საზღერისა
გარდაცემად, რამეთუ უნათესვესნი ნათესავთანი განსაზღვრებათა არ მიითუა-
ლვენ, არამედ არს ოდესმე, რომელ წარწერათა ვიკუმვეთ. ხოლო არს თანმო-
სახელეობამ საქმეთაცა შორის, რომელთა შინა ვიკუმვეთ ზედწარწერათა. ამი-
სთვის არა თქუა „განსაზღვრებამ“, ვითარ დაუშთებოდეს წარწერისა მიერ და-
15 ნიშნულნი. და კუალად უქ[უ]ეთუმცა¹ ეთქუა: „რომელთა წარწერაჲჲ“, [და- 260
მცა-შთომოდეს განსაზღვრებისა მიერ დანიშნულნი. ამისთვის უკუე სიტყუაჲ
იკუმვი, რამეთუ შეისმინების ესე საზიაროდ განსაზღვრებისა და წარწერისა.

ა რ ს ე ბ ი ს ა ა

სადმე ხოლო არა არს შემთხუევიითა შორის თანმოსახელეობამ, დაღათუ
20 ვხედავთ, რამეთუ სიმახულე შეისმინების ბალღმისათეს და კვისა და კვილისა²
და მახვლისა, რამეთუ ვიტყუთ: „მახული ბალღამიო“ და სხუათა ზედა ესრეთ-
ვე. ვითარ უკუე ხოლო სახელისთანაჲ სიტყუაჲ არსებისაჲ სხუა? ვიტყუთ
უკუე, ვითარმედ; არსებად იტყუს აქა არა წინააღმდეგომ განყოფილსა შემთხუე-
ვითა მიმართ, არამედ უზიარესსა დამნიშნველსა თითოეულისა ყოფასა, რომ-
25 ლისაებრ შემთხუევიითიცა ითქუმიან ყოფად არსთა შორის. არსებასა უკუე
იტყუს ნაცვალად ბუქნებისა თითოეულისაჲსა, რომლისაებრ შემტყინა.

რამეთუ უკუეთუ ვინმე გარდასცეს, რაჲ არს
მათი თითოეჲსაჲ ცხოველ-ყოფისაჲ, თუსად
თითოეულსა გარდმოსცემს სიტყუაჲ

30 რამეთუ უკუეთუ ვისმე ენებოს განსაზღვრებისა გარდაცემად თითოეული-
სა მათისაჲ, ვითარცა ნანდულ ცხოველისაჲ, სხუაჲ და სხუაჲ საზღვარი გარდა-
სცეს ჰემშარიტისა უკუე კაცისაჲ: „ცხოველ“, სიტყუერ, მოკუდავ, გონებისა
და კელოვნებისა შემწყნარებლობითობამ“, ხოლო დაწერილისა: „ცხოველ, და-
წერილ მათ რომელთაჲმ ანუ მათ ფერთაგან“.

35 და ესენი* უკუე ესრეთ. ხოლო ჟამი სადმე იყოს თქუმაჲ, თუ რომლისა
მიზეზისათეს არა თქუა „ცხოველი ყოფად“, არამედ „ცხოველ-ყოფისაჲ“?
ვიტყუთ, ვითარმედ საქმენი ანუ ნიეთისაგან დაიტუფრვიან, ანუ ესე იგი არს,
სახისა. ანუ თანად ორისაგანვე: ნიეთისაგან და სახისა. ეთქუა თუმცა „ცხო-
ველი“ უკუე, დაენიშნამცა ნიეთი და სახე, ხოლო თქუა რაჲ „ცხოველ-ყოფი- 261

1 უკუმცა, A, უკუმცა B, უკუმცა C. 2 ტკვილისა CD. 3 სახელისთანაჲ BC.
4 ცხოველი C. 5 სიტყუერი C.

* „და ესენი... თქუმაჲ“ CA 2, 7 სქ.

სა“, დანიშნა, რომლისაებრ დაიტყფრვის, ესე იგი არს, სახე, რამეთუ ვისებრმე ყოფიდა სახე მისსა არს. და საკუთარნი განსაზღვრებანი ამისგან მოიხუმიან, დალათუ ნათესავისაგან ჭერ-არს ყოფიდა და შემამტკიცებლობითთა განყოფილებათა.

ხოლო არს განწვალებამ თანმოსახელეთა ესე: თანმოსახელეთაგანნი რომელნიმე დამთხუევისაგან, ხოლო რომელნიმე გავონებისაგან არიან. და დამთხუევისაგანნი ვიდრემე ითქუმიან შემთხუევისაებრცა, ვითარ-იგი უკუეთუ დამთხუევისაებრ: იპოს ვინმე აქაცა წოდებული სოკრატად და ვიზონტიასაცა შინა, ხოლო ესქენი დამთხუევისაგან ჰვიან განუწვალებულად. ხოლო გავონებისაგანნი რომელნიმე ურთიერთას არიან თანმოსახელე და რომელთაგანმე სახელნართულადცა ითქუნიან, ხოლო რომელნიმე ურთიერთას თანმოსახელე, რომელთაებრ ითქუმიან თანმოსახელედ და ურთიერთას ვიდრემე თანმოსახელედ მყოფნი, რომლისაებრ ითქუმიან სახელმოდგამადცა. რომელნიმე შექმნელობითისა მიზეზისაგან ითქუმიან. ვითარ სამკურნალოდ ზმილი ანუ წიგნი (ხოლო ესენი არიან ერთისაგან და ერთისა მიმართ: ერთისაგან სადმე შექმნელობითისა, ხოლო ერთისა მიმართ—დასასრულობითისა), ხოლო დასასრულობითისანი, ვითარცა მამრთელობელი წაშალი. ესენი არიან ერთისაგანნი და ერთისა მიმართნი. ხოლო ურთიერთას თანმოსახელედ მყოფნიცა და რომელთაგან ითქუმიან თანმოსახელედ, რომელნიმე განუყოფიან ეპისაებრ მას. რომლისაგან იწოდებოდის, ხოლო რომელნიმე არ განუყოფიან ეპისაებრ, რომლისაგან იწოდებოდის. და ეპითა ვიდრემე განუყოფილი მისნი, რომლისაგან იწოდებიან, რომელნიმე კსენებისაებრ ითქუმიან, ვითარ მქსოვნმან ვინმე თესისა მამისამან უწოდის ყრმასა თესსა სახელითა მისითა, ესე იგი არს, მასწავლელისაძთა, ანუ ეგევითარისა ვისითამე; ხოლო დამთხუევისაებრ, ოდეს კეთილდამთხუევად ვინმე თქუს ყრმად; ხოლო სხუანი სასოებისაებრ, ვითარ-იგი მოსაემან ეგევითარად ქმნისამან სახელ-სდვის. ხოლო არგანყოფილნი ეპისაებრ, რომლისაგან იწოდებიან, რომელნიმე ითქუმიან მსგავსებისაებრ საქმეთამსა, ხოლო რომელნიმე — თანქონებისაგან. ვითარ მუსიკი დიაკი და მუსიკი ზედმიწევნულობა და ღრამმატიკი⁶ დიაკი და ღრამმატიკი⁷ ზედმიწევნულობა. ხოლო რომელნიმე თანშეტყუებისაებრ, ვითარ აქუს ამას იმისდა მიმართ⁵, ეგრეთვე იმას ამისდა მიმართ, ვითარ ფერკნი ცხედრისანი და ფერკნი⁸... და რომელნიმე მსგავსებისაებრ საქმეთამსა. ზოგნი უკუე მსგავსობისათუს შორის-ქმნისასა, ვითარ-იგი სიმალე მღლეობისაგან მის ვისისამე, ხოლო რომელნიმე მსგავსებისათუს შესახედავისამსა, ვითარ-იგი საბისაებრ და მაგალითისა, ხოლო რომელნიმე გარდაღებისაგან. ვითარ ფერკი იხილო და თხემი.

ხოლო თანსახელად ითქუმიან, რომელთადასახელიცა ზიარ და სახელისთანადა სიტყუადა არსებობსა იგივე

შემდგომად თანმოსახელეთა⁶ სიტყუსა თანსახელათუს მოიკსენებს. ხოლო თანმოსახელეთაგან ცხად-იქმნების თანსახელთაძლითი მასწავლულობა.

1 დამთხუეობა B. 2 რომლისაგან—B. 3—4 ღრამმატიკი ACD. 5 ამისდა მიმართ B. 6 თანმოსახელეთაძლითა B.

⁷ აკლია ძეგლს CA₂ 22,6.

რაშეთუ იგევე მაგალითი იქუშია აქაჲ მნებებელმან ჩუენებად, ვითარმედ იგი- 263
 ვედ თანმოსახელუ და თანსახელი მრავალგზის შესაძლებელ არიან თქუმად
 სხვასებრ ვიდრემე და სხვას, ვითარ-იგი ეას თანმოსახელუ სხვას ეანტომასსა
 და თანსახელცა არს. თანმოსახელუ უკუე, რამეთუ სახელითა ვიდრეჲე ეზიარე-
 5 ბის, ხოლო განეყოფვის საზღვრისაებრ, ვითარცა რამ ეას, ხოლო შემძლებელ
 არს ზიარებად საზღვრისაებრცა, ვითარცა რამ კაცი, და არს თანსახელ.

ხოლო სახელმოდგამითქუმიან, რავდენთა ვისგანმე
 განყოფილისა პტოსითა სახელისაებრი ფოდებაჲ
 აქუს

10 მეტყუელი*1 თანმოსახელეთათს ზიარობასაცა და განყოფილებასა, ვითარ-
 იგი თანმოსახელენი მხოლოდთა სახელითა ხოლო ზიარ არიან თანსახელთა, ხო-
 ლო არღა მერმე საქმეთაცა, აწ სახელმოდგამათს წარმოიტყუს ფილოსოფო-
 სი. ხოლო უწყებულ იყავნ, ვითარმედ სახელმოდგამთად ოთხნი რამე იხილვე-
 ბიან: ორნი უკუე სახელისათს, ხოლო ორნი საქმისათს, მზიარებლობაჲ და გა-
 15 ნყოფილებაჲ სახელისაებრ და კულად მზიარებლობაჲ და განყოფილებაჲ საქ-
 მისაებრ. ვითარ-იგი ღრამმატიკოსი და ღრამმატიკოსობაჲ, რამეთუ არს ამით
 შორის მზიარებლობაჲ სახელითა უკუე ცხად, ხოლო განყოფილებაჲცა დასას-
 რულისა მარცულითა. ეგრეთე საქმისაებრცა მზიარებლობაჲ რამე არს და გან-
 ყოფილებაჲ. ხოლო ღრამმატიკოსი ვიდრემე არსებდა არს, ხოლო იგი ზედმიწე-
 20 ვულობაჲ რამე, ვითარცა რამ ვითარებაჲ. რამეთუ უკუეთუ ამით შინა ქუე-
 ბულ იქმნენ, არა არიან სახელმოდგამ. ხოლო იყავნ სახელისათს მზიარებლობაჲ
 და განყოფილებაჲ. ხოლო იყავნ საქმისათსცა მზიარებლობაჲ, ხოლო განყო-
 ფილებაჲ*2|ნუ არნ და არ იყოს სახელმოდგამი. ვითარ პლატანოს და პლატა-
 264 ნისტოს, რამეთუ არამცა ვთქუთ სახელმოდგამი, რამეთუ იგივეობა არს. კულად
 25 იყავნ სხუათა ყოველთა შემდგომობაჲ, ხოლო მზიარებლობაჲ ნუ არს საქმისა-
 ებრ და ეგრეთე არა იყოს სახელმოდგამი, ვითარ-იგი „ელენის ზე“ და „ელე-
 ნომასა“. ხოლო იყავნ შემდგომობაჲ სხუათაჲ და განყოფილებაჲ ნუ არნ და-
 სასრულისა მარცულისაჲ. და კულად არა იყვენნ სახელმოდგამნი, ვითარცა მუ-
 სიკსა ზედმიწევნულობასა და მუსიკსა დედაკაცსა ზედა, რამეთუ თანმოსახელ
 30 და არა სახელმოდგამ არიან. და კულად იყავნ სხუათა ზიარობაჲ და ნუ არნ
 სახელისძლითი. და ეგრეთე არ იყოს სახელმოდგამ, ვითარცა სათნოებისა ზედა
 და მოსწრაფისა.

უქმს უკუე სახელმოდგამთა ყოველთაჲ ქონებაჲ თქუმულთაჲ, ვითარცა|
 ღრამმატიკოსობისა ქელოვნობისა ზედა და ღრამმატიკოსისა, რამეთუ ითქუმის
 35 მათ ზედა სახელმოდგამად.

ყოვლად სადმე ფილოსოფოსმან შემოკლებით გარეშეცენა თქუმულნი ყო-
 ველნი, რამეთუ თქუა რამ, ვითარმედ „ვისგანმე“, საქმისაებრი ზიარებაჲ და
 განყოფილებაჲ (ცხად-ყო. რამეთუ უკუეთუ ვისგანმე, ცხად-არს, ვითარმედ აქუს
 ზიარებაჲ მისდამი, ხოლო უკუეთუ ყოვლად ვისგანმე, ცხად-არს, ვითარმედ გან-
 40 ეყოფვისცა. რამეთუ არა თუმცა განეყოფეოდა, განობაჲ არ ითქუმოდა, არა-

1 სახელისაებრ და კულად მზიარებლობაჲ და განყოფილებაჲ—B. 2 საქმისათს B.
 3 განობაჲ B.

*1 „მეტყუელი... წარმოიტყუს ფილოსოფოსი“ CA₂ 22, 21 სქ. *2 „განყოფილებაჲ + და
 თქუმოდღ... ამოგან განაკიდოს“ (117,14—35) BC.

მედ იგივე საქმე იყო. ხოლო თქუა რაჲ „განყოფილთაო*1 კტოსითა“, ცხად-ყო გარდანაკუთულებჲა დასასრულისა მარცულისაჲ და არა ვითარ-იგი ღრანმატიკოსნი ორთისაგან გენიკისა მიმართ და დოტიკისა, ანუ სხუსა რომლისამე. ხოლო ვითარმედ სახელისებრი წოდებჲა აქუსო, ცხად-ჰყოფს ზიარობასა სახელისასა.

265 ხოლო ცნობაჲ საკმარ-არს, ვითარმედ ვითქნიმე სახელნართაულთა ს-
შუალ-ყოფად იტყუან უმკაცრესობით თანმოსახელეთა და თანსახელთასა, რომელნი ზიარ არიან ვიდრემე მათდა*2, ვითარ-იგი ზიარობაჲ სახელისაჲ ამით თანაქონებად ჰნებავს მათცა, ხოლო განყოფილთა თანმოსახელეთაგან, რამეთუ მათ ვიდრემე ყოველითურთ განყოფილად ჰქონან საქმენი, ხოლო ამით ზიარებულად. ხოლო თანსახელთა განყოფვიან, რამეთუ მათ ვიდრემე ყოველად სრული ზიარობაჲ მოაქუს საქმეთაჲ, ხოლო სახელმოდგამნი განყოფილებასაცა ეძიებენ. ხოლო ცოდნაჲ სათანადო არს, ვითარმედ სიმკაცრით არა არიან სახელმოდგამნი, არამედ უმეტეს ახლვენ თანსახელთა, რამეთუ ეზიარებიან მათ ზიარობისაებრცა სახელისადასა და ზიარობისაებრ საქმისადასა. თუნიერ მხოლოდ ამით ოდენ განყოფვიან მათ, რამეთუ სახელმოდგამთა არა ყოველად სრული ზიარებდა: აქუს საქმისაჲ და სახელისაჲ, არამედ განყოფილებანი რამეჲ ჰქონან ამათ შორის. ხოლო თანმოსახელეთაგან არ კინითა რამთმე განეკიდებვიან სახელმოდგამნი, ანით ხოლო მახლობელთა მათთა ზიარობითა სახელისადათა, არამედ ამის შინაცა იხილვების განყოფილებჲა რამეჲ, რამეთუ თანმოსახელეთა ვიდრემე ყოველად სრული ზიარებჲა სახელისაჲ ჰნებავს ჰონებად, ხოლო სახელმოდგამთა და განყოფილებჲადაცა რამეჲ ჰნებავსყე. ვინაჲ სამართლად ჰვონებენ, ვითარმედ თანსახელთა უფროამს ახლვენ*3 სახელმოდგამნი.

თქუ მუ ლთაგანნი რომელნიმე უკუე თანშეთხზვისაებრი ითქუმიან, ხოლო რომელნიმე თუნიერ თანშეთხზვისა. თანშეთხზვისაებრნი ვიდრემე უკუე. ვითარ-იგი „კაცირბის“, „კაცი სძლევს“

266 მიზეზთა რათათესმე თანშეთხზვისაებრნი წინდააწესნა თუნიერთაგან თანშეთხზვისათა. სამართლად! რამეთუ ვითარ თუნიერთაგან თანშეთხზვისათა ჰგულავს განწვალებჲა, ამისთვის უკუანასკნელ თქუნა იგინი, რამთა მეყსეული მასწავლელობაჲ ყოს მათთვის, უფროამსა განწვალებჲა მათი ოდეს თქუას: „ხოლო რომელნიმე თუნიერ თანშეთხზვისა, ვითარ კაცი, ჯარი, რბის, სძლევს“. სიმარჯუთ⁴ დასხამს თანად ორთა სახელთა და ორთა თანად სიტყუთა: „რბისო“, „სძლევს“, რამთა არავინ თანშეთხზვისაებრად ჰვონოს სიტყუაჲ მისი სახელთა თანწარმკითხველმან სიტყუათამან.

მყოფთაგანნი რომელნიმე უკუე ქუემდებარისავერსებრადმე ითქუმიან, ხოლო ქუემდებარისა შორის არაჲ არს

რამეთუ შესადგინებელ იყო თვთ მათ კატილორიათათეს⁵ ქმნაჲ | სიტყუსაჲ, არამედ ვითარ უწინარეს თვთ მათ კატილორიათა მასწავლელობისა ჰნებავს განწვალებისა რამსმე ოთხეულობითისაჲ უუნაკლულესად სრულ-ყოფა[ა]⁶, ამისსა

1 სახელისაებრი B. 2 ამათ C. 3 ახლენიხილვენ BD. 4 სიმარჯუთ B. 5 კათილორიათათეს B. 6 სრულ-ყოფა|სრულ-ყოფასა ABCD, შდრ. *ποιησις* CA₂ 24,24.
*1 „განყოფილთაო... ზიარობასა სახელისასა“ CA₂ 23, 20 სქ. *2 ამაზეჲ ამ სიტყვის განწვარიჲ, ტექსტის ხელთ მინაწერი: „ამათცა და მათცა ზიარობაჲ სახელსაჲ ჰონებად ჰნებავსყე“ ABCD.

წინდაწესებს, ვითარ ერთეულისაგან შემწყობელნი, ვიდრე ოთხეულისამდე
 ვჰყოფთ რიცხუსა ათისასა, ვითარ ა ბ გ დ¹ და ესრეთ იქმნების ათი, რამეთუ არ-
 სება ათეულისა და ვითარ-ქმნა არს ოთხი. აჲ უკუე ოთხად განჰყოფს მყოფთა
 და ეგრეთ თანად ორთავე ათეულად უსაკუთრესთა [რიცხუთა]² მიერ განყოფი-
 5 ლებინააჲ ნოსრული და ყოლადისა ზედა და უსრულესისა დასასრულთაა მისისა
 მიწვეულნი. და ცოდნაჲ საკმარ-არს, ვითარმედ მყოფთა ვიდრემე განყოფილება-
 სა ოთხთა რათმე მიმართ თანშეთხზვისაებრ ჰყოფს, ხოლო უკუანამსკენელ ათთა
 ნათესავთა|სა თანშეთხზველად იქმს აღრიცხუვასა.

267

ხოლო არს განყოფილებაჲ ესე: მყოფთაგანნი რომელნიმე უკუე არიან საყო-
 10 ველთაებ, ხოლო რომელნიმე—კერძობითებ. და კუხლად მყოფთაგანნი რომელ-
 ნიმიე არიან არსება, ხოლო რომელნიმე — შემთხუევითებ. ვინაჲცა იქმსებინ
 თანმოსახელებანი ექუსნი, ვითარ-იგი „ისალოგასა“³ შინა ვისწავეთ, რომელ-
 თანი ორნი უგუამო, ხოლო ნეშტნი ოთხნი, ვიტყუთ, ვითარმედ ურთიერთას და
 სიმძიმით შემტყიციენებიან. ხოლო არიან ესენი მყოფთანი⁴ საყოველთაონი უკუე
 15 არსებებ, ხოლო კერძობითნი—შემთხუევითებ, და საყოველთაონი ვიდრემე
 შემთხუევითებ, ხოლო კერძობითნი—არსებაჲ. ვითარ-იგი კაცი და რომელიმე
 თეთრი, ანუ რომელიმე ზედმიწევნულობაჲ და თეთრი და რომელიმე კაცი, ხო-
 20 ლო არს ჩუენდა მკვალთისა შორის ესჯ. გარნა ეცენი თუმცა ეკუთმინჲს არისტო-
 ტელს კმანი,|ცხადნცა იყო თქუშული. ხოლო სხუათა იკმარებს სახელთა, რამთა
 უცხადლობაჲ მოიგვლოვნოს მან, ვითარცა ითქუა, და რამეთუ ჰნებავს მას უთუ-
 სესითარე სახელთა კმარებაჲ და უწოდა საყოველთაოსა საქუემდებარეობა მით,
 რამეთუ უკუშულად ქუემდებარისა ვისდამე ითქუმის, ხოლო კერძობითისა —
 არსაქუემდებარეოდ, რამეთუ არ ითქუმის ვისდამე ქუემდებარისად (ხოლო
 25 უწოდა მას უკუთქუმაჲ⁵ სხუსაჲ), ხოლო ვითარმედ შემთხუევითი ქუემდებარისა
 შორის მით, რამეთუ მოქენე არს სხუსა ვისმე ქუემდებარისა შესაღგოჲლად,
 ხოლო არსებაჲ თქუა არქუემდებარისა შორის. ვინაჲ⁶ ღირს ძიებვისსაცა არს,
 რასათუს არა უწოდა მას ქუემდებარედ, არამედ უკუთქუმაჲ⁷ კმისა დამნიშნვე-
 ლისაჲ შემთხუევითსა?

v

ვიტყუთ⁸, ვითარმედ: პირველად უკუე არა ყოველი არსებაჲ ქუემდებარე
 30 არს, რამეთუ არსადა პირველნიცა და საღმრთონი არსებანი ქუემდებარე არიან.
 ვინაჲ სამართლად არა უწოდამ⁹ მას ქუემდებარედ. მერმე განწვალდებისცა საქ-
 მეთასაჲ მოქმედმან ინება უკუთქუმისაგან და დათქუმისა⁹ თქუემამ მისი, რამთა
 ყოველნი გარეშეიცენს, ვითარმცა იტყოდა: მყოფთანი რომელთანიმე არიან
 მმელნობებ, რამეთუ ესრეთ მეტყუელმან ყოველნი თანად გარეშეიცენა¹⁰ და
 არაჲ არს მყოფთაჲ, რომელი განველთის განწვალებასა ამას. ვინაჲცა მეტყუ-
 35 ელმან, ვითარმედ: „მყოფთანი რომელნიმე არიან მმელნობებ, ხოლო რომელ-
 ნიმიე თეთრებ“, არა ყოველნი გარეშეიცენა, რამეთუ არაღ ფერონი და კატო-
 ხრანი და სხუანი ფერნი. კეთილად საღმე უკუთქუმისაგან და დათქუმისა გარ-
 დმოსცა განწვალებაჲ.

268

1 ა ბ გ დ| 1 2 3 4 B. 2 რიცხუთა|:ახელთა ABCD, შდრ. ძმემუძუ CA₂ 25,1.3 ისალოგას
 B. 4 ყოფთანი ABC. 5 არსებაჲ B. 6 უკუთქუმა|უკუთქუმა ABCD, შდრ. ძმორთაც
 CA₂, 25,18. 7 უკუთქუმა|უკუთქუმა ABCD. 8 უწოდა|უწოდა AC, „ჲ“ ათო სხვა მელ-
 ნითაჲ განახლებული A-შ-ი. 9 დათქუმისა|თქუმისა C. 10 შეიცენა B.
⁹ აშიაზე ტექსტის ხელით წერია: „ულონობაჲ“ ABCD. ¹⁰ აშიაზე ტექსტის ხელით
 წერია: „აღქსნაჲ“ ABCD.

ანუ რამეთუ ქუემდებარე ორგუარად ითქუმის: ერთი უკუე მყოფობისა მიმართ, ვითარ არსებამ შემთხუევიითათუს, ხოლო სხუამ—შესმენისა მიმართ, ვითარ კერძობი|თნი არსებანი საყოველთაოთათუს, რამეთუ ქუე-უსხუნ მთ კერძობითნი, არა რამათა შედგენ, არამედ რამათა სამათოდ ითქუმოდენ. მარტივად თუმცა უკუე იტყოდა არსებასა ქუემდებარედ, ორგულდამცა ვინაჲ გეტყუელი: ნუსადა მხოლოსა კერძობითისა არსებასა იტყუს შესმენისა მიმართ ქუემდებარესა საყოველთაოთათუსა. და ამათ სახელთა მკმატრებელი წარმოიტყუს ოთხთა თანულლობათაჲ. და პირველი, საყოველთაოთა არსებამ, ვითარცა უპატეოსნენსი, მერამე წინააღმდეგომი, ვიტყუ კერძობითისა შემთხუევიითა. ანისა შეძღვომად წინაპატეოსნე-სა საყოველთაოსა შემთხუევიითა კერძობითისა არსებისასა მით, რამეთუ საყოველთაოთათუს სიტყუამ ფილოსოფოსთამ.

ხოლო დაქურეტამ საქმარ-არს, ვითარ იტყუს ფილოსოფოსი: „მყოფთან რომელნიმე საქუემდებარეოდ ითქუმიან¹, ხოლო ქუემდებარისა შორის არამ არს“. |² და ითქუმოდედ, ვითარმედ: აქა ვიდრემე კმათათუს წარმომეტყუელმან იტუმი, ვითარმედ „ითქუმიან“, ხოლო ოდეს არსებათათუს, ესე იგი არს, ქუემდებარისშორისობასა იტყოდის³. რომელი რამემ შორის არა ვითარცა ნაწილი იყოს, ვერშემძლებელ არს ყოფად, თუნიერ რომლისა შორის იყოს.

ოთხნი რამემ აღმოჩნდეს ჩუენდა ექუსთა თანულლუ-თაგან. წინამდებარე არს აწ განსაცხადებელად არისტოტელისდა, ვიტყუ ხოლო კერძობითისა შემთხუევიითსა⁴ და კერძობითისა არსებასა და საყოველთაოსა შემთხუევიითსა⁵ და საყოველთაოსა არსებასა. და დაწყებასა ჰყოფს კერძობითისა შემთხუევიითისაგან. ვითარცა უცხადესად მყოფისა სამისოდ და უმარტივესად. ვითარ უკუე საქმეთა განსაზღვრებათაგან ვისწავებთ, გარდასცემდეს რამ იგი ვიეთიმ არა საზღვარსა უკუე აღსიტყუვასა, უფროსს|ლა საზღვრისასა. ხოლო აღსიტყუავს რამსამეშორის⁶ უკუე ნათესავსა, ხოლო ნეშტთა—განყოფილებით. რამეთუ ითქუმის რამსამეშორისი ათერთმეტგუარად:⁷ შორის ეამსა, შორის აღვილსა, შორის ჰურტელსა, ვითარცა კერძომ ყოველითურთისა შორის, ვითარცა ყოველითურთი კერძოთა შორის, სახე შორის ნათესავსა, ვითარცა ნათესავი შორის სახენსა, ვითარცა სამთავროთანი შორის მთავრისა, ვითარცა სახე შორის ნივთსა, ვითარცა შორის შესრულებითსა, ვითარცა შორის ქუემდებარესა, ვითარ-იგი შემთხუევიითი შორის არსებისა.

ამას უკუე რამსამეშორისისა მიიღებს განსაზღვრებისა შორის, ვითარცა ნათესავსა და სამრავლოდ სათქუმელსა. ხოლო შესძინა, ვითარმედ: „არა ვითარცა კერძოდ მყოფი“, რამათა განაკიდფოს იგი რამსამე-შორის მყოფთაგან, ვითარცა კერძომ, ვითარ ჯელი, რამეთუ ესე მყოფი კაცისა შორის ეგრეთცა ვითარ კერძომ არს მისი. რამათა უკუე ამათგან განაკიდელს იგი, შესძინა, ვითარმედ: „არა ვითარცა კერძოდ მყოფი“, ხოლო „შეუძლებელი ყოფად, თუნიერ რომლისა შორის არს“ შესძინა, რამათა განამარტოოს⁸ იგი სხუათაგან.

1 ამათ—B. 2 უღლობთა B. 3 წინაპატეოსნე B. 4 იტყუან D. 5 შემთხუევიითისა B. 6 + საყოველთაოსა შემთხუევიითსა B. 7 რამსამე შორის B. 8 განმარტოს B.

¹...და ითქუმოდენ... რამათა უკუე ამათგან განაკიდფოს“ ეს ფრაგმენტი წინ არის ვადაქმული B (227r—228r), C (164 v). ² „ქუემდებარისშორისობასა იტყოდის“ განსამარტე ფრაზად არის გამოყოფილი CA, 26, 25. ³ ამაზე სინგურით არის ასოთი ნუმერაცია A; არაბული ციფრებით B; ასოთი ნუმერაცია შიგ ტექსტში C; ასოთი ნუმერაცია ამაზე, შიგ ტექსტში კი არაბული ციფრებია D.

- ხოლო იუწყებოდედ, ვითარმედ ვიეთნიმე აძკრებენ განსაზღვრებასა ამას
 მჩინობლთაებრვე ჭრობათა განსაზღვრებათაჲსა, ვიტყვ ხოლო, გარდასატები-
 საებრ და დაკლებისა საზღვარსა საქმისასა. მერმე მაკლებლობისაებრცა და არა
 ყოველსა გარეშესაზღვრებისა მეტყუელნი, ვითარმედ არ გარემოიქცევისო გან-
 5 საზღვრებულისა მიმართ, რომლისა ქონებაჲ ვთქუთ საზღვართაჲ. ვითარ: კაცი
 არს ცხოველი სიტყუერი, მოკუდავი, გონებ[ისა და]¹ ზედმიწევნელობისაჲ
 მიმთუალველობით[ი]². ესე გარემოიქცევის. და რამეთუ რაჲცა ცხოველ, სიტყ-
 10 უერ, მოკუდავ, გონებისა და ზედმიწევნელობისა მიმთუალველ³, იგი კაცა, და
 რაჲცა კაც, იგი—ცხოველ, სიტყუერი, მოკუდავ, გონებისა და ზედმიწევნელო-
 15 ბისაჲ მიმთუალავ. იტყვან⁴ უკუე რომელნიმე გარდაცემულისა საზღვრისა არა
 ყოველთა შემთხუევითთა მზაყებულობასა, ხოლო სხუანი—სხუათაჲცა რათმე
 კულად შემთხუევითთა. რამეთუ იტყვან, ვითარმედ: სოკრატის, შორის ადგილი-
 20 მსა მყოფთ, შორის რასმე არს და არა ვითარ კერძოჲ შორის სრულსა (რამეთუ არა
 კერძოჲ არს ადგილისაჲ). და შეუძლებელ არს თნიერ ადგილისა ყოფად, ვი-
 25 ნაჲცა ამის სიტყუსაებრ შემთხუევითი არს სოკრატი, რომელი უადგილო არს.
 ვიტყუთ უკუე, ვითარმედ: შესაძლებელ არს ყოფად სოკრატი, თნიერ რომლისა
 შორის არს, რამეთუ დაღათუ წინდავდვათ იგი დამტევებელი ადგილისაჲ. რომ-
 30 ლისა შორის იყო პირველ, წარსრულად სხუსა ადგილი[სა მიმართ, არა უდარე] 271
 სოკრატ არს. ხოლო შემთხუევითი განშორებული ქუემდებარისაჲ ვანიხრ.წნა.
 35 იუწყებოდედ, ვითარმედ შეერაბამების სოკრატსა ადგილი არა ვითარცა
 თანმსრულე არსებისა მისისაჲ, არამედ ვითარცა შედგომილი, ვითარ-იგი ნათ-
 ლისა შორის მოარულსა შეუდგს აჩრდილი არ სადა შემასრულებელი თვისისა
 არსებისა მისისაჲ. სხუერცა „შორისი“ მხოლოსა ყოფასა თანდაიწესებოდედ,
 40 რაჲთა იყოს ოდეს არს-შორის. ხოლო შორის ადგილისა ყოფასა არსუბისასა არ
 25 ვიტყუთ, არამედ ყოფასა, რამეთუ მას მხოლოსა შემთხუევითისა ზედა ვიტყუთ,
 ვიტყვ შორის-ყოფასა. კულად იტყვან სახესა ნივთისა შორის და შეუძლებელ-
 ყოფად თნიერ ნივთისა და არა არს კერძოჲ ნივთისაჲ. აწ სადმე პირველ თქუ-
 მულისაებრ სიტყუსა და[სახეცა შემთხუევითი არს. ვიტყუთ უკუე, ვითარმედ
 30 პირველად სადმე სახე დაღათუ არა კერძოჲ არს ნივთისაჲ, არამედ თანად ორ-
 თაჲვე ვიდრემე (რამეთუ ესრეთ კელსაჲცა ვიტყუთ არა ნეშტისა სხუელისა კერ-
 35 ძო-ყოფად, არამედ ყოველითურთისად). და კულად სახე ვიდრემე თანშემა-
 რულებელობითი არს თითოეულისა არსებისაჲ და ამისითა განხრწნითა განხ-
 რწნების ქუემდებარე. ხოლო შემთხუევითი არცა თანშემასრულებს არსებასა
 40 ქუემდებარისასა და განხრწნას რაჲ იგი, არარაჲ ვერო ქუემდებარესა.
 და ესენი ვიდრემე მეტყუელთა⁵ მიმართ, ვითარმედ განსაზღვრებაჲ შეემ-
 სავსების სხუათაჲცა. ხოლო რომელნი იტყვან, ვითარმედ: არა ყოველად შეემს-
 35 გავსების იგი, ამათ ვიტყუთ, ვითარმედ მხოლონი განუშორებელნი განსაზღვრ-
 ნა, რამეთუ აჰა, ვაშლისშორისი სულს[ი]კლებმა⁶ განეშორების და ჩუენ, ვაშლის-
 40 აგან შორის მყოფთა, მიმართ მოიწევის, ხოლო არს შემთხუევითი. დაღათუ
 უკუე განეყოფვის ქუემდებარესა, არ თანშეიცვის გარდაცემულსა საზღვარსა,
 ვიტყუთ უკუე მათდა მიმართ, ვითარმედ ორგუარად აღვჰქსნით ამას: პირველად

1 გონების დაქონება ABCD. 2 მიმთუალველობით ABCD, შდრ. ჭმფო ლიკიანო მირეხო
 რთი და მირეხოუს მხარდაჲ CA, 27, 13—ცხოველი სიტყუერი, მოკუდავი, გონებისა და ზედ-
 მიწევნელობისა მიმთუალველობითი. 3 მიმთუალველი B. 4 იტყვს B. 5 მეტყუელთა (არა „მეტ-
 ყუელთა“) A. 6 სხუნებება B.

უკუე, რამეთუ არა არისტოტელმან, „რომლისა შორის იყო“, არამედ „რომლისა შორის არსო“ (ვინადაც შეუძლებელ არს ყოფად სულნელებამ¹ ვაშლისაჲ თვნიერ ადგილისა, რომლისა შორის არს, რამეთუ ანუ ვაშლისა შორის არს, ანუ აირისა შორის). ამას თანა არა მხოლოდ სულნელებამ² ვაშლისაჲ მოიწვევის ჩუენდა მომართ, არამედ არსებისა რაჲსმე თანა ვაშლისაჲსა. ნიშან ამისსა არს სიმ- 5 რავლესა თანა ჟამისასა წარქდომად ვაშლისაჲ და განრყუნამ. ვინაჲ ცხად-არს, ვითარმედ განეყოფეოდა არსებასა ვაშლისაჲ სუ|ლნელებამ³, რომლისა შორის იყო. ხოლო იტყვს თუ ვინმე, ვითარმედ: „მერმეცა მყოფი ხესა შორის ვაშლისასა არა უდარეს მოიწვევის ჩუენდა მომართ სულნელებამ⁴ არა განრყუნასა ოანა ვაშლისასა, ხოლო არს ოდეს და ორძისცა“, ვიტყუთ მისდამი, ვითარმედ: „ეუმეც- 10 რები მზრდელობითსა და აღორძინებითსა ძალსა ბუნებისასა, ანუ თუ არ გხვდავთ ცხოველთაცა ზედა ქმნილსა აღორძინებასა? და არსადა ამისთვის ვიტყუთ მათ არცვალეზულად თითოეულსა დღესა⁵, არამედ ვითარ უფროს არს ზრდისა ძლით მიხუმულთა რაოდენობაჲ განნაჯუმევისასა, ესრეთ განმგებლობითა ბუნებისაჲთა არა ხოლო უგრანო ცვალეზულებამ, არამედ წინაუკმო უფროსდა 15 გრძნობადი არს აღორძინებამ“. ესრეთვე უკუე ვიტყუთ ვაშლსაცა ზედა, არა რამეთუ ვითარ უგრ|ძნობელ ჩუენდა არს ხისაშორისი⁶ განჯუმევეამ, ამისთვის არ განიყოფვის არსებამ რაჲმე მისგან, არამედ რამეთუ უფროს არს ზრდისა 20 ოლით შემოსრული მისდა არსებამ განნახუმევისასა.

ხოლო არს სხუებრცა სარწმუნო-ყოფამ ამისი, რამეთუ წარმველნი სულმყარალსა ადგილსა, შესამოსლითა დავიყოფთ ცხურთა და შევინაიებთ აირსა უსულმყარალსა. ვინადაც ცხად-არს, ვითარმედ არ შესაქლებელ არს სულმყარალობისა განვლამ შესამოსლისაჲ სიზრქისათვის მისისა, რამეთუ აირსა წულილობისკერძოდ მყოფსა, განვლის. ცხად-არს, ვითარმედ მყარლობამ იგი არსებისა რაჲსმე თანა ქუმედებარისაჲ⁷ მოიწვევის ჩუენდა. ხოლო ცხად-აკოფენ ამას 25 საკუმეველისაგან აღტევებულნი ორთქლიცა ხედვისადა წინადასმულნი⁸ მისგან მალიადისათვის განყოფისა და სიზრქისა ქუმედებარისა არსებისაჲსა.

ხოლო ითქუმის შორისი-რაჲსმე ათერთმეტგუარად: ¹ ა) შორის ჟამისა (რამეთუ შორის რაჲსმე ჟამსა იქმან ტროული ბრძოლამ ანუ პელოპონისური), ბ) შორის ადგილისა (რამეთუ ვიტყუთ სოკრატსა შორის ადგილსა რაჲსმე, ვითარ-იგი შორის ლუკიომასა), გ) შორის ჭურჭლისა (რამეთუ ვიტყუთ ღვნოსა შორის ჭურისა ყოფად. ხოლო განეყოფვის ადგილის-შორისი ჭურჭლისშორისსა მით, რამეთუ ჭურჭელი ვიდრემე ადგილი არს მიმოსაღები, ხოლო ადგილი — ჭურჭელი⁹ მიმოუღები), დ)² და ვითარცა კერძომ შორის სრულისა, ვითარცა თითი შორის კელისა, ანუ კელი შორის სრუ- 35 ლისა სხეულისა, ე) ვითარცა სრული შორის კერძოთა (რამეთუ სრულსა კაცსა ვიტყუთ ხილულად შორის კერძოთა, არა შორის კერძოთა), ვ) ვითარცა სახე შორის ნათესავისა|, ვითარცა კაცი შორის ცხოველისა, ზ) ვითარცა ნათესავი შორის სახისა, ვითარცა ცხოველი შორის კაცისა, მ) ვითარცა სამთავროთანი შორის მთავრისა (რამეთუ ვიტყუთ, ვითარმედ ესე რაჲმე საქმე შორის მთავრისა არს), 40 თ) ვითარცა სახე შორის ნიეთისა, ვითარცა კაცობრივი სახე შორის ნიეთისა, ანუ სამყური გინა ოთხყური ნაკუეთი შორის რვალისა, ი) ვითარცა შორის სრუ-

1—2 სუნელებამ B. 3—4 სუნელებამ B. 5 დღესა—B. 6 შორისი B. 7 + და ABD.

8 ადგილი—ჭურჭელი⁹ ჭურჭელი ადგილი ABCD, შდრ. ო მძ ძაძავ ძყვიოს CA₂ 29,9.

¹ დანომერა B-ში აზაბული ციფრებით ხდება. ² დ² ასოთი ნიშანი აშაზე წერა A.

ლებისა, ვითარცა მკურნალობითი შორის სიმრთელისა, ია) ვითარცა შორის ქუემდებარისა, ვითარცა შემთხუევიითი შორის არსებისა. თქუას ოუ ვინმე: ნათესავი შორის სახისა, ანუ სახე შორის ნათესავისა, ვითარცა სრული კერძოთა შორის, ანუ კერძონი სრულისა შორის იხილვებინან, ვი-
 5 ტუთ უუეე მისდა მიმართ, ვითარმედ: გარეშე ყოველთა კერძოთა თუსთასა არს სრული, ხოლო ნათესავი ერთისაცა სახისა, ანუ ერთისა განუკუეთელისა სისრულითა სრულ არს, რამეთუ სოკრათი სოკრათიცა არს და ჳაციცა და
 10 ცხოველიცა, კინაჲვე ცხად-არს, ვითარმედ კერძოჲ ვიდრემე არ სრულ-ჰყოფს! ყოველიურთსა, ხოლო სახისშორისი სრულ-ჰყოფს ნათესავსა.

10 რამეთუ რომელნი*! საქუემდებარეოდ ითქუმიან და ქუემდებარისაცა შორის არიან

განმცხადა რაჲ ჩუენ ფილოსოფოსმან კერძობითი შემთხუევიითი, აწ მოიქცევის მოცემასა ზედა ჩუენდა საყოველთაოჲსა შემთხუევიითისაძლითისა² მაგალითისასა.

15 ხოლო რომელნი არცა შორის ქუემდებარისა არიან, არცა საქუემდებარეოდ ითქუმიან

გარდმომცემელი ჩუენდა ფილოსოფოსი მაგალითთა შემთხუევიითისა კერძობითთაცა და საყოველთაოთასა აწ გარდავალს მაგალითსა ზედა კერძობითისა არსებისასა.

20 ხოლო მარტივად განუკუეთელნი და რიცხუსშორისნი არ რომლის საქუემდებარისოდ ითქუმიან

ქამას ხედვასა შორის შემოიღებს ფილოსოფოსი, მნებავი ჩუენებად ამის მიერ, ვითარმედ არარაჲ განუკუეთელთა შემთხუევიითთაცა და არსებათაჲ სა-
 25 ვისოდმე შეისმინების. მერმეცა განასაზღვრებს მას და განაკიდებს განუკუეთელთა შემთხუევიითთა განუკუეთელთაგან თუთგუამონათა.

მარტივად²

მარტივი სამგუარად ითქუმის: რამეთუ ანუ საკუთრად, ანუ მარტოდ, ანუ საყოველთაოდ. ვინაჲცა საყოველთაოჲსა დამნიშნველი იქუმიან აჳა, რამეთუ იტყუს: „საყოველთაოდ განუკუეთელნიო“. ხოლო ვითარ განუკუეთელი მრავალ-
 30 გუარად ითქუმის: ვითარ-იგი ბუნებით განუწვალეზელი, ვითარცა მხოლოობაჲ და ნიშანი. ხოლო ითქუმის ძნიად განსაწვალეზელი ვიდრემე, ვარნა განწვალეზელივე, ვითარ ადამასი. ითქუმის განუკუეთელად არშესაძლებელიცა განწვალეზად, ვითარ სახე. ხოლო ითქუმის მომგებელიცა განწვალეზაჲ, არღა
 35 განწვალეზული გარნა, ვითარცა ველი. ხოლო³ ითქუმის, ვითარმედ: ერთი განუკუეთელი. არამედ ვითარმედ ერთი მრავალგუარად ითქუმის: რამეთუ ანუ

1 არ სრულსა-ჰყოფს C. 2 შემთხუევისაძლითისა ABC. 3 + ხოლო A.

*1 „რამეთუ რომელნი... შორის არიან“ CA₂ 29, 24 სქ. *2 ეს სიტყვა განსამარტავად არ არის გამოყოფილი CA₂ 30, 8 სქ.

ლნიცა ურთიერთას, ვითარ ზედმიწევნულობად და ცხოველი, ხოლო ითქუმიან არა ყოვლითურთ განკიდებულნიცა, ვითარ ჳმელისაჲ და წყლისშორისი. რამეთუ აქუსე ზიარი ნათესავი — ცხოველი. ხოლო ითქუმიან ურთიერთასნიცა სხუანათესავად, ვითარ არსებად და სხუელი). ამისთვის თქუა: „და არა ურთიერთას დაწესებულნიო“. რამეთუ ამათი მისათუალველი არს იგივე-ყოფად განყოფილებისაჲ, ვითარ სულიერისა და ცხოველისაჲ, მოკუდავისა და უკუდავისა, სიტყუერისა და უსიტყუსაჲ. ხოლო კეთილად შესძინნა „სახენიცა“. რამეთუ აჰა, სხუანათესავთა ზედა იგივე განყოფილებანი, რამეთუ ვიტყუთ ჳურჯელთა რომელთამე უფერჯოდ და რომელთამე ფერჯებად. და უფერჯოდ ვიდრემე თვასა, დვდუქსსა და რავდენნი ეგევითარნი, ხოლო ფერჯებად — საყდარსა, ცხელარსა და ეგრეთვე ცხოველთა ვიტყუთ რომელთამე უფერჯოდ და რომელთამე ფერჯობნად. გარნა ესე განყოფილებანი არა არიან სახისმოქმედნი, არცა საკუთრად სათქუმელნი, არამედ აღსიტყუვისა რამსაებრმე.

რამეთუ ცხოველისა ვიდრემე განყოფილებანი, ვითარ-იგი და ორფერჯობად და მფრინველობად და წყლისშორისობად

განყოფილებანი ნათესავთანი მრავალგუარად შესაძლებელ არიან განწვალებად. ვითარ-იგი ცხოველისა განყოფილებად სიტყუერად და უსიტყუად. არამედ გუარისაგანცა ცხორებისა, ვითარ მოკუდავი და უკუდავი; და ადგილისაგან, ვითარ აირისაჲ და წყლისშორისი და ჳმელისაჲ; და ფერჯობაგან: ფერჯობანი და უფერჯობა. და ესე სხუანი განყოფილებანი არიან. ხოლო არისტოტელმან. მაგალითისა მკუმეველმან, ადგილისათაგან შემოიხუნა საშუალ სხუანიცა განყოფილებანი, კელოვნებით მწებებელმან სწავლად, ვითარმედ უქრძალველობა არს სხუათაცა მოხუმაჲ განყოფილებათაჲ.

ხოლო ურთიერთარსთა ნათესავთა არაჲ აყენებს მათვე განყოფილებათა ყოფასა

კეთილად თქუა: „არაჲ აყენებსო“, რამეთუ არცა ჳირის გამოქარიან ურთიერთარსთა ნათესავთა განყოფილებანი, არამედ არსებითნი ვიდრემე განყოფილებანი ურთიერთარსთანი უეკუელად მათნი არიან, ხოლო შემთხუეკითებნი არ უეკუელად. ამისთვის უკუე შესძინა „არაჲ აყენებსო“ მრავალგზის ვიდრემე იგივე-ყოფასა პირველთქუმულისა კანონისათვის მეტყუეელისა; „რავდენნი შესმენილისაჲ ითქუმიან, ეგოდენნი ქუმედბარისადცა ითქუნენ“.

არც ერთი თანშეთხზვისაებრჲ თქუმულთაგანი თითოეული, ესე იგი არს არსებასა ცხად-წყოფს, ანუ რაოდენობასა, ანუ რომელობასა

გარდმო-რაჲ-მცა ჩუენ პირველად არისტოტელმან ოთხეულად განწვალეობად: საყოველთაოისა არსებისა და კერძობითისა და საყოველთაოისა შემთხუეკითისა და კერძობითისა, აწ ათად განწვალეობასა გარდმოსცემს მავალითისა მიერ, რადთა გულისზრახვისა რამსმე მომართ ამათისა მომიყვანნეს

1 ცხოველისა B. 2 შესმენილად C. 3 თანშეთხზვისაებრ C.

ჩუენ, ხოლო უკუანაფსენელ სხუათასა თითოეულისა დანიშნულისათჳს*1 ასწავოს. ხოლო არს ესე მახლობელ უზემოეისისა სიტყუსა მეტყუელისა: „თქუმულთანი რომელნიმე თანშეთხზვისაებრ ითქუნიან, ხოლო რომელნიმე—თნიერ თანშეთხზვისა“. ხოლო იტყუსს¹ შემდგომობით ამისსა, ვითარმედ: „არცა ერთი თანშეთხზვისაებრ თქუმულთაგანი“. ხოლო თქუამა, ვითარმედ „არცერთისაებრ“, 5 მრავალ-ყოფასა ცხად-ჰყოფს თანშეთხზვათასა, რამეთუ ანუ მარტივად მყოფი კმაჲ დანიშნულისაებრ თანშეთხზული, ვითარ ოდეს ვთქუა: „რბის“ (განუცხადებ რამეთუ თავსა ჩემსა შორის-ქმნასა); ანუ კმაჲ ვიდრემე თანშეთხზვისაებრ არს, ხოლო დანიშნული—მარტივი, ვითარ „ცხოველი სიტყუერი, მოკლდავი“(რამეთუ კმაჲ ვიდრემე შეზავებული, ხოლო კაცი² — დანიშნული): ანუ ორისაებრ- 10 ვე შეზავებული, ვითარ ოდეს ვთქუა: „სოკრატი იარების“; ანუ ორნივე—მარტივებ. ეგრეთვე კატელორიანი. აჲ უკუე არცერთისა თანშეთხზვისაებრ თქუმულთასა ჰყოფს ეგერა განწვალებასა, ესე იგი არს, ათთა კატელორიათასა.

ხოლო*2 არს არსებამა უკუე, ვითარცა სახედ ითქუნ, ვითარ კაცი, ცხენი. კაცთმოყუარედ მოქმედი არისტოტელი თავთანად გარდმოცემს ჩუენ განმარტებასა ათთა კატელორიათასა, რამათა პირველად გულისზრახვისა მომართ მომიყვანნეს ჩუენ მათძლითისა მასწავლელობისაჲსა და³ ესრეთ უკუანაფსენელ სიმკაცრით განვიხილოთ თესაგან თითოეული კატელორიათაჲ და იტყუს არსებამა- 280 ყოფად კაცსა და ცხენსა. ხოლო შენ გესმოდედ არსებანი დაქნეზნი რაჲდენნი თუთგუამოვანი⁴ საქმენი არიან და არცერთისა სხსა მოქმენნი შეგუამებისა მიმართ. და ესენი საღმე არსებისათჳს. ხოლო სხუანი კატელორიანი ცხადად ვისწავნეთ ლექსეულად. ხოლო ქონებამა*3 ვითარ შესხმამა, შექურვამა. ეძიებენ⁴, რად ვითარმედ ქმნასა წინააღდეგების ენებამა? კატელორიად დააწესა „ვიცა, ვიტყვ ენებასა. ვითარ ქონებისა⁵ცა წინააღმდეგომად მყოფი ქონებულეზაჲ, არა ვთქუა იგიცა კატელორიად, ვიტყვ ქონებულობასა, არამედ მხოლოა ქონებამ- 25 ვიტყუთ“⁵ უკუე, ვითარმედ: დებისა ქუეშე შესაძლებელ არს აღყვანებამა ქონებულობისაჲ, ხოლო ქონებისაჲ არც ერთისა სხსა ქუეშე და ამისთჳს იძიულა, რამათა კატელორიად განაჩინოს იგი.

ხოლო ქეთინიმე*6 იტყვან, ვითარმედ: არა ყოველნი მყოფნი ათთა კატელორიათა ქუეშე აღყვანებად შესაძლებელ არიან. რამეთუ სასწაული და მოკლემამა რომელსა კატელორიასა ქუეშე აღყვანნეთ? სასწაულისათჳს*7 ვიდრემე უკუე ვიტყუთ, ვითარმედ: აჲ არისტოტელი მეუბნარობს საქმეთათჳს, რომელნი გრძნობისა და მრავალთადა საცნაურ არიან. ხოლო სასწაული თით ვიდრემე წარმოდგომილ საქმე არა არს, ხოლო დასაწყისი არს ყოველად საქმეთამ. რამეთუ ეგრეთვე უკუეთუ ვინმე უღონოებდეს ნიეთისათჳს⁶ და სახისა, არამედ ვითარცა ვთქუთ, არცა მარტივისათჳს და შეზავებულისაგან უმჭობებისა⁷, არცა მარტივისათჳს და შეზავებულისაგან უღარესისა, არამედ შეზავებულისა არსებისათჳს არს აჲ სიტყუამ მისი. ხოლო მოკლებისაჲ ვიეთმე მის კატელო-

1 იტყვან C. 2 ხოლო კაცი—D. 3 და—C. 4 თუთგუამოვანი B. 5 არს—B. 6 ნიეთისათჳს-სცა ABC. 7 უმჭობესა C.

*1 ამ სიტყვაზე მითითებით ამაზე ტექსტის ხელით წერია: „დაართონიელისათჳს“ ABCD.

*2 „ხოლო...კაცი, ცხენი“ განსამარტავ ფრაზად არის გამოყოფილი CA₂ 33,6. *3 „ხოლო ქონებამა... შექურვამა“ განსამარტავ ფრაზად არის გამოყოფილი CA₂ 33,15. *4 ამ სიტყვაზე მითითებით ამაზე ტექსტის ხელით წერია: „უღონოებამა“ ABCD. *5 ამ სიტყვაზე მითითებით ამაზე ტექსტის ხელით წერია: „აღქსნამა“ ABCD. *6 ამ ამაზე წერია: „უღონოებამა“ ABCD. *7 ამ სიტყვაზე მითითებით ამაზე ტექსტის ხელით წერია: „აღქსნამა“ ABCD.

რიადასა ქუეშე თქუესა¹ აღსღვამ, რომლისა ქუეშე აღვას ექსიცა², რამეთუ წინააღმდეგომნი მისვე|კატილორიადასა ქუეშე აღიყუანებთან. ხოლო ჩუენ ვიტყუთ არცა ყოვლად აღყვანებასა მისსა რომლისამე კატილორიათაგანისა ქუეშე, რამეთუ კატილორიათა იჟუე მყოფთან არიან, ხოლო მოკლებად მყოფი ვიდრემე არა არს, ხოლო მოკლებად მყოფისადა.

ხოლო თითოეული თქუმულთა იგი ვიდრემე თავით თუსით არც ერთითა დათქუმითა ითქუმის

ამას იტყვს მნებავი წარმოდგინებად ჩუენდა, ვითარმედ არა დათქუმისა და უკუთქუმისათს წინაუც მას მეტყუელებად აწ და იტყვს, ვითარმედ: თითოეული კატილორიათა იგი ვიდრემე თავით თუსით არცა რას ტყუილსა, არცა ჰუმარიტებასა დაპნიშნავს, რომელი დათქუმისათს ეყვის, ვითარ უკუე ვთქუა: „სოკრათი იარების“, და-თუ-ემთხვოს უკუე მოარულად, ვიკეშმარიტე, ხოლო არა თუ, ვტყუე. და უკუთქუმასა ზედა ეგრეთვე. ხოლო უკუეთუ ბეგრავის ვთქუა „კაცი“, | არცა ვკეშმარიტებ, არცა ვტყუი, და ესრეთვე ვითარმედ „იარების“. ხოლო თქუას თუ ვინმე, ვითარმედ უკუეთუ იტყოდის, ვითარმედ „იარებიო“, ჰუმარიტებს ანუ ტყუის⁴ (რამეთუ უკუეთუ დაემთხვოს მოარულად, ჰუმარიტებს, ხოლო უკუეთუ არა, ტყუის). ვპრქუთ, ვითარმედ: რომელმან-იგი თქუა: „ვიარებიო“, ძალითა გარეშეცა მეობად, ვითარმეცა იტყოდა: „ვიარებიო მე“. ვინადაცა კუალად სახელისნაცვალი სიტყუასა დაუშების წარმოჩენისა მიმართ ჰუმარიტებისა ანუ ტყუილისა, ვითარ ვერ შეუძლებდა ერთი კატილორია იგი თუთ თავით თუსით ჰმნად ამისსა. ცხად-არს უკუე, ვითარმედ ათითოეული კატილორიათა იგი თუთ თავით თუსით არცა უკუთქუმად არს, არცა დათქუმად, ხოლო თანშეთხზულნი ურთიერთას მიმართ ჰყოფენ ამას, ვითარ „კაცი იარების“. არსებისაგან და ჰმნისა იქმან დათქუმად. ხოლო შემომღებელი საშუალ უარქმინითისა ნაწილისადა, ვიტყვ უკუთქუმასა: „კაცი არ იარების“.

არცერთისა⁵ დათქუმისა⁶ თანა მრავალთა წიგნთა, კარგ-ყოფად საგონებელთა, არა აქუს უკუთქუმად⁷, რამეთუ უკუეთუ დათქუმასა არცერთი კატილორიათა დაპნიშნავს, მრავლად უფრომს არცა უკუთქუმასა, ვითარმედ მოქენ არს სხუსა უარქმინითისა ნაწილისა და უფრომსლა იქუენეულ იქმნეს ვინმე, ვითარმედ ჰმნად ცხად-ჰყოფსო დათქუმასა ანუ უკუთქუმასა.

რამეთუ საგონის არს ყოველი დათქუმად, ესე იგი არს, ჰუმარიტ ანუ მტყუარ-ყოფად

საგონებლობად დართულ არს, ვითარმედ არ უმეტეულად დათქუმად ჰუმარიტებს, ანუ არ უმეტეულად უკუთქუმად ტყუის⁷, ვითარ თქუას ვინმე, ვითარმედ: „ვრბი“, ანუ „არა ვრბი“, ვითარ უკუე ამათ შორის ძალი სასმენელ იქმნების, ვითარმედ „მე“. ამის მადლისათს თქუა, ვითარმედ: „საგონის|არს“. ანუ ესრეთ, რამეთუ შეუთქს საგონისობად, ანუ რამეთუ ცთომად არს მწერლებრი, ანუ ნაცვალი ამისი, ვითარმედ „საგონის არს ყოველთადა“.

1 თქუეს A. 2 ექუსიცა D. 3 ვიტყვ B. 4 ტყუის AC. 5 არცერთისა C. 6 უკუთქუმად უკუთქუმად ABC, შდრ. *ἀποφθεσε* CA₂ 34, 29. 7 ტყუის AC.

* „არცერთისა დათქუმისა“ განსამარტავ ფრაზად არის გამოყოფილი CA₂ 34, 28 სქოლიო.

არსებობის

ხოლო არსება არს უყოლადსაკუთრესი და პირველად და უფროხსად სათქმელი

პირველი წესი აქუს არსებასა კატილორიათა შორის. და ამისთეს სამართ-
 ლად იგი დააწესა პირველ სხუათასა. რამეთუ იგი თანწიყვანების ვიდრემე 5
 სხუათა კატილორიათა, ხოლო არ თანწიყვანებს მათ. და თანწიკლავს ვიდ-
 რემე წათ, ხოლო არ თანწიოკლვის მათ მიერ. რამეთუ იგი უკუე თვთუჟამ არს,
 ხოლო მის შორის აქუს სხუათა კატილორიათა ყოფამ. რამეთუ არსებისა ყო-
 ფასა არ საჭირო სხუათა კატილორიათა ყოფამ¹. ხოლო ამისსა არყოფასა შეუქ-
 283 ლებელ სხუათა შეგუქამებამ. ხოლო არსებისამ რომელიმე უკუე არს მარტივი, 10
 ხოლო რომელიმე—შეზავებული. და მარტივისამ რომელიმე უმჯობესი შეზავე-
 ბულისასა, ხოლო რომელიმე — უღარესი. ხოლო არს შეზავებული ვიდრემე
 არსებაჲ კაცი და ეგვიითარნი. ხოლო მარტივი და [უღარესი]² შეზავებული-
 სამა—საღმრთოთა არსებაჲ, ხოლო მარტივი და უღარესი შეზავებული-სამა—ნიეთი
 პირველი და სახე, რამეთუ ესენი შეზავებულთათეს მოიხუმიან. ხოლო სხვათეს 15
 მოხუმულნი მარადის უღარეს არიან მისსა, რომლისათეს მოიხუმიან. ესრეთ ვი-
 ნაჲვე კელოვნებათაცა ზედა ვთქუათ უღარეს-ყოფად აღურობისმოქმედებითი³
 ცხენობისასა, რამეთუ აღურისმოქმედობითისა შესრულებასა ვითარ ორღანოდ
 უქუმევიეს ცხენებრივი. და არს აღური ვიდრემე თეს მის რამსმეღლითი, ხოლო
 v ცხენებრივი—რომლისათეს. და|სხუათა ზედა მსგავსადვე. ხოლო მეუბნარობს 20
 აქა არისტოტელი არა მარტივისა და უღარესისათეს შეზავებულისაჲან (რამეთუ
 ესე ბუნებათმეტყუელებისამ არს), არცა მარტივისათეს და უღარესისა შეზავე-
 ბულისაგან (რამეთუ ესე ღმრთისმეტყუელებისამ არს), არამედ შეზავებულო-
 ბათეს და სქეტიკისა, ვითარ იგი ამაღ რადმე დაინიშნის. ხოლო იტყუს ამის
 არსებისამ რომელიმე უკუე არსო პირველი, ხოლო რომელიმე მეორე, პირვე- 25
 ლად ვიდრემე კერძობობითისა მწოდებელი, ხოლო მეორედ—საყოველთაოამამ.
 ვინამ⁴ ღირს ძიებისა არს, თუ რომლისა მიზნისათეს იტყუს ესრეთ, უკუე-
 თუ კერძობობითასა უპატიოსნეს არიან საყოველთაოანი. ვიტყუთ⁵, ვითარმედ
 ბუნებით უპირველესნი ჩუენდა მეორე არიან და ჩუენდა უპირველესნი ბუნე- 30
 ბით—მეორეებ. ვითარ-იგი უკუეთუ ითქუას, [ვითარმედ: ბუნებით ვიდრემე პირ-
 ველნი არიან ნიეთი და სახე, ამის შემდგომად საზოგადონი ასონი, რამეთუ ბუ-
 ნებით პირველებ ესენი, და ამათგან—თესლი და სისხლი, ხოლო ამათგან- -კაცი.
 ხოლო ჩუენ პირველად კაცსა. და ეგრეთდა პირველთქუმულთა გავიჯონებთ თუ
 მის მოხუმულთა, ვინამ უცხადეს ჩუენდა არიან უმანლობელესნი. ვითარ უკუე
 სიტყუამ მისთ, ვითარცა შეყვანებალთა მიმართ არს, ხოლო შეყვანებალთათეს⁶ 35
 მასწავლელობისა მიმართ გრძნობისამიმართნი უსაკუთრეს არიან, ვინამ კაცთ-
 მოყუარებისა მოქმედი თანშთამოპყეების გავიჯონებასა ჩუენსა.

სამართლად სადმე კერძობობითა პირველად იტყუს შორის აწინდელისა,
 რამეთუ კერძობობითაგან ალვალთ საყოველთაოთა მიმართ, რომლისათეს ვი-

1 ხოლო—B. 2 + რამეთუ არსებისა ყოფასა არსაჭირო სხუათა კატილორიათა ყოფამ
 ABC. 2 3 უღარესი|უღარესი ABCD, შდრ. *απελευθερω* CA₂ 35, 20, შდრ. უღარესისა (სტრ. 25).
 4 მოქმედებითი C.

⁵ აწინაზე ტექსტის ხელით წერია: „ულონობამ“ ABCD. ⁶ აწინაზე ტექსტის ხელით წე-
 რია: „აღქსნამ“ ABCD. ⁷ „შეყვანებალთათეს... გავიჯონებასა ჩუენსა“ CA₂ 36, 11 სქ.

თარცა არნოწონებთა მისდა მეტყუელმან არა თქუა, თუ: „პირველი და უფროასლა არსო“, არამედ „სათქუმელი“. ხოლო ზედმიწევნად საკმარა-არს, თუ ვითარ ჰმარტებს ამას არისტოტელი, რამეთუ ვითარცა ვთქუთ, მოუწონელად იტყვს კერძობითსა არსებასა პირველად, რომელი „არცა ქუემდებარისა ვისდადმე ითქუმისო“ — იტყვს. არა თქუა, თუ „არს“. რამეთუ ნანდულ პირველი არსებად, რომელ არს საყოველთაოდ, ქუემდებარისა ვისდამე არს, ვითარცა არმომწონელმან ვიდრემე „ითქუმისო“ თქუა. ხოლო ვითარმედ უწყოდა, ვითარგინა თუ პირველი არსებად, გინა მეორე არა არს შორის მდებარისა, თქუა, ვითარმედ „არს“ ხოლო: „შორის ქუემდებარისა არცა ურთისა არსო“. აქა უკუე, ვითარმედ „არსო“ შესძინა, ვითარმედ მოეწონა მასცა.

ხოლო „ზემოსათქუმელობად“ თქუა, რამეთუ არ მოეწონა მას*1, ვითარ ვინმე კაცი, ანუ ვინმე ცხენი.

ეძიებენ ვიეთნიმე, რამათვს უკუთქუმისა მიერ განასაზღვრა უპატიოსნესი, უკუეთუ დათქუმათასა*2| არიან უუპატიოვონსი. ვიტყვთ, ვითარმედ არარა უადგილოა არს, რამეთუ ჩუენ, ღმრთისა დანიშნევისა მნებნი, არა წარვიტყვთ რასმე მისთვის, ვითარცა იტყვს საღმრთოდ პლატონი, არამედ უკუთქუმისა მიმართ ვიქცევით. ხოლო უღონოებენ ვიეთნიმე მეტყუელნი: ნუსადა ნამდვლვე პირველსა არსებასა შეეცყუების გარდაცემული საზღვარი არსებიაა, ვიტყვს საღმრთოსა და კერძობითსა სულსა? და რამეთუ ღმერთი არცა ქუემდებარედ რამასდმე ითქუმის, არცა ქუემდებარისა შორის არს, მერგე და სულიცა, ვიტყვთ უკუე, ვითარმედ: არა შეემგავსების საზღვარი ამათგანსა რომელსაცა, რამეთუ საღმრთოთა ზედა ვიდრემე ყოვლად უგულსებურთება არს ზედმოგონება ამის საზღვრისა, რამეთუ არყოფად საქუემდებარედ განსაწინაუქრობებულად ქუემდებარისა შორის მყოფისა თქუმულ არს და შექემსგავსების საქმე სქესისა რამსმე მქონებელთა ქუემდებარეს შორისსა თანა. ხოლო საღმრთოდ უსქესო ყოვლითურთ და ყოველთაგან განკიდებულ ქუემდებარისა შორის მყოფთაგანცა და არ მყოფთაგან ქუემდებარისა შორის, ხოლო ქმნილთა ქუემდებარედ შემთხუევითად. ხოლო სულისა ზედა უკუეთუ განკიდებულობა ვიდრემე მოილოს ვინმე, არ შეემსგავსების კუალად საზღვარი მის მიზეზისათვს (ვითარცა ყოველთა სიტყუათა და მეცნიერებისაგან განკიდებულად და უსქესოდ მქონებელსა მასცა თავისა თვისასა): ხოლო კერძობითსა თუ ნუუკუე შეემსგავსოს ესე, რამეთუ დამოვრდომილი ქმნისა მომართ და დავიწყებითა დაპყრობილი, მერგე აღტენებად პირველთა მოსრული, იქმნების ქუემწინამდებარე ოდესმე უკუე ღრამმატიკოსობითისა, ხოლო ოდესმე მკურნალობითისა და სხუათა ჰელოვნიებათა ეგრეთვე და არა: არს საკვრველ, რამათა ოდესმე სულსა შეეტყუებოდის უკუე საზღვარი, ხოლო ოდესმე—არა, რამეთუ საშუალი აქუს წესი ნივთისაგან სრულიად განკიდებულთა: მიმართ და სრულიად ნივთის შორისთა. და ოდეს ვიდრემე განეკიდეოს სხეულთა, არ შეემსგავსების მას საზღვარი ესე, ხოლო ოდეს დამოვრდომილი ნივთისა შორის მოვიწყუე იქმნეს, მაშინ შეემსგავსების. და არარა უადგილობა არს თქუმისა მიერ*3 უკუე, ვითარმედ უფროასლა დანიშნა, ვითარმედ იგი არს უფროასლა არსება ნათესავთაცა და სა-

*1 „ხოლო ზემოსათქუმელობა თქუა, რამეთუ არ მოეწონა მას“ CA₂ 36, 21 სქ. *2 284 v-285 r, ფურცლების ათიზე XIV—XV სს. ზედრულით მინაწერია: „ქ. არისა“. ტუტელი: უფალო ღმერთო! სახიერო და კაცობურყო ტბალი: და მრავალმოწყალე: I მრწამსა: უფალო პირი. შენი: ღმერთუ: შემ(ი)წყ(ა)ლე მე“ A. *3 „არს თქუმისა მიერ.. პატიესცა მას“ (127, 15) CA₂ 37, 20 სქ.

ხეთასა, არამედ პირველადი, ნაცვალად ვითარმედ პირველი, ხოლო უყოლადს-კუთრესი არა მხოლოდ დანიშნული, არამედ საქმედ მყოფი.

ხოლო ვეძიებთ*¹ აქა, რამსათჳს ესოდენთა შესხმათა მიერ პატივ-სცა პირ-ველსა არსებასა? და ვიტყუთ*², ვითარმედ: [ბუნებით] შესმენა, კატელორია, | იქმნების ამის განუყუთელისა არსებისად ქუემდებარისად და შემასმენელისა 5 მისისა ანუ სახედ, ანუ ნათესავად. და სახედ ვიღრებე, ვითარ ოდეს ვთქუა: „სოკრათი კაცი არს“, ხოლო ნათესავად — „სოკრათი ცხოველ არს“, არამედ შემთხუევითინია ოდეს მის შორის შეისმინებოდენ, ვითარმედ: „სოკრათი თეთრ არს“. ხოლო გარეგან ბუნებისა, ოდეს თთ იგი განუყუთელი სახისა და ნათესავისად შეისმინებოდის, ვითარ-იგი, ვითარმედ: „იგი რომელიმე კაცი სოკრათი 10 არს, ხოლო ცხოველი სოკრათი არს“. არს ოდესმე, რომელ არ ეშმარებებს ბუნების გარეშე შესმენად, ვითარ ოდეს ვთქუა: „კაცი სოკრათი არს“. ხოლო იქმნების ბუნების გარეშე შესმენად, ოდეს განუყუთელი არსებამ შეისმინებოდის შემთხუევითისად, ვითარმედ: „ესე თეთრი სოკრათი არს“. ამისთჳს მრავ-ლითა შესხმითა პატივ-სცა მას. 15

ხოლო მეორე არსებებ ითქუმიან*³.

287 |ხოლო ღირს ძიებისა*⁴ არს, რომლითა გუარითა იქუმევს განწვალებასა არსებისა შორის. რამეთუ განყოფილთანი რომელნიმე ვითარცა ნათესავი სახე-თა მიმართ განიწვალების, ხოლო რომელნიმე ვითარცა სრული—კერძოთა მი-მართ, ხოლო რომელნიმე ვითარცა თანმოსახელუ. კმა თითოეულთა დანიშნულ-თა მიმართ. ვიხილოთ უკუე, რომლისა ამათ განწვალებათაგანისაებრ განწვა-ლებს არისტოტელი. 20

ვიტყუთ*⁵, ვითარმედ: პირველად უკუე არა ვითარცა ნათესავი სახედ მი-მართ, რამეთუ არაოდეს განწვალებულთა სახეთასა ერთსა შეუცავს სხუი, ვი-თარ-იგი ცხოველისა^ა რომელიმე სიტყუერ და რომელიმე უსიტყუელ. ხოლო 25 ვერ ძალ-გვც თქუმად, ვითარმედ: ცხოველისა^ბ რომელიმე უსიტყუელ, ხოლო რომელიმე ცხენ არს, რამეთუ გარშეიცვის პირველისა მიერ მეორე. აწ სადმე არცა აქა ვიტყუთ განწვალებისა ქმნასა, ვითარ ნათესავისასა სახისა მიმართ, რა-მეთუ პირველი არსებამ მეოქრისაგან გარეშეიცვის, გარნა არცა ვითარ სრული 30 კერძოთა მიმართ^ა, რამეთუ არცა შესაძლებელ არს თქუმად, ვითარმედ: „სრულ-ლისა^ა რომელიმე კელ, ხოლო რომელიმე თით არს“ (რამეთუ გარეშეიცვის ეგ-რეთვე კელისა შორის თითი). არამედ სრული^ა რომელიმე უკუე კელ, ხოლო რომელიმე ფერკ არს. ეგრეთვე აქაცა გარეშეცავს მეორე არსებამ პირველსა.

გარნა არცა ვითარ თანმოსახელუ კმამ თითოეულთა დანიშნულთა მიმართ მისვე მიზუნისათჳს, რამეთუ არცა განწვალებულთა შორის, ვითარცა თანმო-სახელესა კმასა თითოსახეთა დანიშნულთა მიმართ ვპაოებთ გარეშეცვულად 35 სხუასა სხუსა მიერ, ვითარ-იგი „ძალი“ კმამ შეისმინების ვარსკულავისა და ფილოსოფოსისად და კმელისა ძალისად. ხოლო არცერთი ამათი გარეშეიცვის სხუსაგან. და სხუებერცა განწვალებულთა ზედა, ვითარცა თანმოსახელუ კმამ

1 ბუნებით|დათქუმა ABCD, შდრ. ἡ ἄριστὸς τῶν CA₂ 37. 20 სქ. (ერთმანეთს უპირის-პირდება „ბუნებით შესმენა“ და „გარეგან ბუნებისა“, რაც არის მომდევნო ფრაზაში. 2—3 ცხოველისა B. 4 მიმართში [თუ]რთ (კავებში ჩასმული აღდგენილია) A, მითურთ BC.

*¹ ამაზე ტექსტის ხელი მინაწერია: „ულონობამ“ ABCD. *² ამაზე ტექსტის ხელი მინაწერია: „აღსნამ“ ABCD. *³ ხოლო მეორე არსებებ ითქუმიან* განსამარტე ფრაზად არის გამოყოფილი CA₂ 37, 21. *⁴ ამაზე ტექსტის ხელი წერია: „ულონობამ“ ABCD. *⁵ ამაზე ტექსტის ხელი წერია: „აღსნამ“ ABCD.

თითოეულთა დანიშნულთა მიმართ | მხოლოდთა თანმოსახელოობითა იპოების და არღა ზიარობითა საზღვრისათა, რამეთუ სოკრატი, პირველად არსებად მყოფი, მგორისათა იწოდების სახელითა, ესე იგი არს, კაცისა სახელითა, ხოლო საზღვარიცა იგივე აქუს სოკრატსა და საყოველთაოსა კაცსა, რამეთუ

5 - „ცხოველიცა“, ვგრეთვე არსებამ სულიერი, მგრძნობელობითი ცხოველად ითქუმის. ვიტყუთ უკუე, ვითარმედ წესსა გარდასცემს მას, ხოლო არღა მერმე განწვალებასაცა.

ცხად-არს თქუმულთაგან, ვითარმედ საქუმედებარეოდ თქუმულთაგანთა*1 პირველად თქუმისა*2 შესხმათა არსებისათა და სწავლისა მის ძლით, ვითარ-

10 მედ ითქუმის და გულისხუმა-იყოფის და არს, და უყოლადსაკუთარესობასა უკუე დაწინაშავს სათქუმელობითა (რამეთუ თქუმულნი ანუ საკუთარად, ანუ კმარებისაგერ ითქუმიან). ხოლო პირველისა მიერ, ვითარმედ გულის|ხუმა-იქმნე-

15 ბის (რამეთუ საგულისხუმონი ანუ პირველად, ანუ საშუალობითა ვიეთითამე იგულისხუმებთან). ხოლო უფროსობისა მიერ ვიდრემე, ვითარმედ არსო დამნიშნველი, აჩუნებს ხედვისაცა² მიერ და მოპოვნებისა მიერ, ვითარმედ განუკუეთელი არსებამ და პირველი და უფროსლაფ არსებამ არს.

გულის ჩუენ ცოდნამ, რამ არს ხედვამ და რამ მოპოვნებამ და რამ უწყებამ. და ხედვამ ვიდრემე უკუე არს საქმისა აღქცენებამ, ვითარ ოდეს ვთქუა: „კაცი არსებამ“ და ვიხედვო: ვითარ არსება არს? ხოლო მოპოვნებამ³ თანშესრულებამ ხედვისამ: კაცი ცხოველი არს, ცხოველი—არსებამ, კაცი არსებამ არს. აღმოიჩინდა ჩუენ უკუე, ვითარმედ: „კაცი არსებამ³ არს“. მოპოვნებამ ვიდრემე არს აღმოიჩინდა საქმისაგან, ვითარ ოდეს გუენების⁶ ჩუენებად ჩუენ, ვითარმედ უკუედაე არს სული, აღმოიჩინდის ჩუენ, ვითარმედ თეთმობამ⁷ არს. ხოლო უწყებამ, ოდეს შესრულებამან მან შესიტყუვისამან, რომელ არს მოპოვნებამ, მიიღოს დასაბამი სხსა შესიტყუევისამ⁸, ვითარ-იგი ვითარმედ: კაცი არსება, არსებამ — არქუმედებარისა შორის, კაცი არქუმედებარისა⁷ შორის.

25 ჰპოებ უკუე და მხედველად⁵ მას ჩუენებასა შინა პირველისა განუკუეთელისასა და მოპოვნებისა მიერ მჩუენებელად, ვითარმედ სამართლად პირველი არსებამ ითქუმის და რამეთუ-მეორენი არსებანი შემთხუევეითად⁶ შესიმინებთან მისდად. ხოლო მოიქცენებს თესავანისაცა და საყოველთაოსა შემთხუევეითისასა, ვითარცა განუკუეთელთა არსებათად შესმენილთათეს, ხოლო განუკუეთელთა—ქუმედებარედ და არცა ნათესავობითისა, არცა კერძობითთა შემთხუევეითთამ მოიქცენა ჩუენდად დამშუენელმან|ამისისა ცნობისამან, ვითარმედ იგი-

30 ნიცა შესიმინებთან მათდად.

მერმე იტყუს, ვითარმედ: სახენი უფროს არსება არიან ნათესავისასა. და ულონობენ ვიეთინემ სა⁷თა ულონობათა, რომელთა პირველი არს: არსებამ უფროსლუმცროსობასა არ მიითუალავს, ვითარ თუთ იგი აჩუნებს და ვითარ სახეთა ზედა „უფროსი“ ვიტყუთ? ვითარმედ დაღრმობილთა⁹ არსებათათეს თქუა, ვითარმედ: არს საპოვნელ უფროსისი, რამეთუ უზუნავსთა უქუენავსთაგან,

40 ვითარცა უსაყოველთაოესთა, აქუსყე უფროსობამ. ხოლო შორის სივრცისებრობისა არა არს საპოვნელ უფროსისი, ვითარ კაცსა ზედა და ცხენსა, რამეთუ

1 ცხოველად B. 2 ხედვსაცა C. 3 მოპოვნებამ B. 4—5 არსებამ B. 6 გვეენების D. 7 არა ქუმედებარისა C. 8 დამხედულადცა C. 9 დაბრმობილთა D.

*1 „ცხად-არს.. თქუმულთაგანთა“ განსმარტავ ფრაზად არის გამოყოფილი CA₂ 38, 22 სქ. *2 „პირველად თქუმისა.. მათი უროიეროსა“. (129) CA₂ 38, 22 სქ. *3 ამაზე მხედრულით შინაწერია: „შესიტყუე მოპო... ქება C 180 f.

290 არა რომელი უფროს არსება. მერმე იტყუნ: „უკუეთუ მეორენი არსებანი, ეგრეთვე და შემთხუევითნიცა მოქენე არიან პირველთა არსებათა. ვითარცა იტყუს, რად არა შემთხუევითნიცა არიან არსებებ?“ | ვიტყუთ უკუე, ვითარმედ: მეორენი არსებანი მხოლომასა შესმენისა მიმართ ოდენ მოქენე არიან მათდა, ხოლო შემთხუევითნი შემთხუევითთა შესმენისათუსცა და მყოფობისა. მერმე 5 უკუეთუ უფროს არსებად თქუა ნათესავისასა სახე², რად არა მეორემ არსებამ უწოდა მას და მესამე—ნათესავსა? და ვიტყუთ, ვითარმედ: სახე ნათესავისა არს სახე და გარმოიქცევის. ვინაჲ სქესისათუს ვერ უძლო განკიდებამ ნათი ურთიერთას.

შორის რომელთა სახენი, პირველსათქუმელებ არსება არიან

10

რამათუს არა თქუა: „მეორე არსებებ ითქუმიან სახენი და ნათესავნი“ საყოველთაებ, არამედ „შორის რომელთა სახენი?“ ვიტყუთ, ვითარმედ: ყოველად უცთომელობით, რამეთუ უკუეთუმცა ეთქუა „ნათესავნი და სახენი“, ვითარ სხუათაცა კატილორიათა შორის არიან ნათესავნი და სახენი (ვი- 15 თარ-იგი რომელობისა შორის ნათესავ ვიდრემეფერი, ხოლო სახე—თეთრი და მშელნობი), გუაქუნდა საგონისობამ მეორე არსება-ყოფმასა შემთხუევითთაცა შორის. ამისთუს არა დამხუდარნი სახენი თქუნა, არამედ რომელთა სახეთა შორის იპოებიან პირველნი არსებანი.

ესენიცა და სახეთა³ ამათ ნათესავნი⁴

აქა შეჰკრებს ფილოსოფოსი მის მიერ თქუმულსა და თქუმის მიერ, ვითარ- 20 მედ „ესენიცა“, დაჰნიშნავს პირველსა არსებასა, ხოლო თქუმისა მიერ, ვითარმედ „სახეთა ამათ ნათესავნი“, დანიშნა მეორე არსებად. ვითარცა ვინმე კაცი⁵ შორის სახესა ვიდრემე არს კაცისასა, მაგალითსა მოიღებს პირველისა არსებისასა. ხოლო მაგალითისა მიერ აჩენს, ვითარმედ პირ- 25 ველი არსებამ გარმოიქონების მეორისა შორის. რამეთუ ვინმე კაცი სახესა შორის ვიდრემე არს კაცისასა, ხოლო ნათესავი სახისამ არს ცხოველი, რამეთუ 291 ვითარ ცხოველი უკუე საყოველთაოსა კაცსა გარემოაქუს, ხოლო საყოველთაომ კაცი ვისმე კაცსა, ხოლო ვინმე კაცი პირველი არსებამ, საყოველთაომ სადმე კაცი და⁶ ცხოველი—მეორენი არსებანი.

მეორედ უკუე არსებად ითქუმიან ესენი

30

კეთილად თქუა კუალად „ითქუმიანო“, ვითარმედ ბუნებისაებრ პირველნი არსებანი არიან ესენი.

საკირო არს სახელითაცა და სიტყუთა ქუმედებარისათა შესმენილობამ

პორიზმისა² შეჰკრებს არისტოტელი ესევითარსა, რამეთუ იტყუს: რაოდენნი საევისოდმე ითქუმიან, ვითარცა საქუმედებარეომასა რამსადმე, გარჯასცე- 35

1 რომელიჰალი D. 2 სახედ C. 3 სახეთასხუათა B. 4 ნათესავნი ნათესავთანი ABCD, შდრ. ძდ... ყაურ CA₃ 39, 9; ასევე: „სახეთა ამათ ნათესავნი“ (სტრ. 22). 5 და — D.

*1 „ვითარცა ვინმე კაცი“ განსამარტაჲ ფრანად არის გამოყოფილი CA₃ 39, 12 სქ. *2 აშო-სხე XVIII ს. მხედრული წერია: „მრავალმეტყუელებამ“ A. D ს შიზზე მინაწერია: „პორიზ-მა არს მრავალმეტყუელება“. რეკტორი დავით, 182 რ.

მენ ქუემდებარესა სახელისაცა და საზღერისასა (ვითარ საყოველთაოჲ^ა კაცი ითქუმის სასოკრატოსოდ და ითქუმის სოკრატი კაცადცა და ცხოველად სიტყურად, მოკუდავად). ხოლო რადენნი ქუემდებარისა შორის არიან, განსაზღვრებისასა ვიდრემე არაოდეს გარდასცემენ, ხოლო სახელისასა არს ოდესმე, v
 5 რამეთუ სითეთრე სხეულსა შორის არს და განსაზღვრებისასა არაოდეს გარდასცემს ვიდრემე (რამეთუ არამცა ვთქუთ სხეული ფერად განსარჩევლობითად ხედვისად), ხოლო სახელისასა გარდასცემენ, რამეთუ ვიტყვთ, ვითარმედ: თეთრი სხეული, ხოლო უწყებულ იყავნ, ვითარმედ არ მარადის, რამეთუ აჰა. სათნობეჲ არცა განსაზღვრებისა, არცა სახელსა გარდასცემს ქუემდებარესა, რამეთუ არ ითქუმის მესათნობედ თანმქონებელი სათნობისაჲ, არამედ მოსწრაფედ.

ხოლო სხუანი ყოველნი, ესე იგი არს საქუემდებარედ ითქუმიან პირველთა არსებათად

კეთილად თქუა კუალად „ითქუმიანო“, რამეთუ არ მოქენე არიან საყოველთაონი პირველთა არსებათა, რამეთა შეუდგენ, არამედ რამეთა სამათოდ ითქუნენ.

| ა ნ უ ქ უ ე მ დ ე ბ ა რ ე თ ა შ ო რ ი ს ა რ ი ა ნ ე ს ე

292

კეთილად თქუა აჰა „არიანო“, რამეთუ შემთხუვეითთა კერძობითთა არსებათა შორის აქუს მყოფობაჲ. შესხმასა უკუეჲ პნებაჲს თქუმეჲ პირველისა არსებისასა, რამეთუ ვითარ საშთა საქმეთა მიმართ განიყოფვის: საყოველთაოთა არსებათა მიმართ, კერძობითთა მიმართ, შემთხუვეითთა მიმართ. მოქენე არიანო, იტყუს, თითოეული პირველთა არსებათა, რომელნიმე, რამეთა შედგენ (რამეთუ ამათ შორის აქუს შემთხუვეითთა ყოფაჲ) და რომელთამე, რამეთა შესასმენელ იქმნენ (რამეთუ ვისდადმე შესიმინებთან საყოველთაონი). და მოსპობითაჲ პირველთა არსებათაჲთა მოსპობვიან შემთხუვეითნიცა, არმქონებელნი, რამესა შორის შედგენ. ეგრეთვე საყოველთაონიცა, არმქონებელნი, სავისოდ ითქუნენ? ხოლო საყოველთოდ იტყუს არა [პირველთ]თაჲ მრავალთასა, არამედ მრავალთაშორისთაჲ. ხოლო ამის ძლით დართულ არს ესე „შეყვანებისა“ შორის პორფირისსა თქუმულისათუს, ვითარმედ ეგების სახეთა ყოველთა წინადადებისაებარ მოსპობილთა ნათესავსა ყოფაჲ. მუნ უკუეჲ მეუბნარობდა გონიერთათუს, ხოლო აჰა გრანობალთა ნათესავთა და სახეთათუს მეუბნარობს, ესე იგი არს, მრავალთაშორისთათუს.

ა ნ უ ქ უ ე მ დ ე ბ ა რ ე თ ა შ ო რ ი ს ა რ ი ა ნ ე ს ე ნ ი

ესე იგი არს, საყოველთაონი უკუე არსებანი საკერძობითთოდ ითქუმიან, ხოლო შემთხუვეითთა არსებათა შორის აქუსყე ყოფაჲ.

არყოფასა უკუე პირველთა არსებათასა არცა საყოველთაონი არიან, არცა შემთხუვეითნი. სამართლად უკუე კერძობითნი და პირველნი არსებანი პირველებად ითქუმიან ყოფად.

1 ხოლო—D. 2 მოსპობთა|მოსპობთა ABC. 3 პირველთა| არა თა (მათ შორის დაუწერელი იდგლია დატოვებული) AC, არათა BD, შდრ. *περὶ τῆς ποιότητος* CA, 41, 6. 4 მრავალთაშორისთა C. 5 მრავალთაშორისთათუს BD.

“ ვითარ საყოველთაოჲ.. მოკუდავად” CA, 40, 10 სქ.

2273

ხოლო მეორეთა არსებათაჲ უფრომს არსება
სახე ნათესავისასა

თანშეშჯასა ჰყოფს მეორეთა არსებათაჲსასა ურთიერთას, სახეთას სახე-
თა თანად და ნათესავთასა და იტყვს უფრომს არსება-ყოფასა სახისასა ნათესა-
ვისაგან და აჩუენებს ამას ორთა კელ-ყოფათა მიმართ: ერთისა ვიდრეჲ სქე-
სისაგან პირველისა არსებისმიმართისა¹, ესე იგი არს, უმახლობელესისა, ხოლო
სხსა — აღსიტყუვისაგან, რამეთუ უმახლობელეს არს სახე პირველისა არსე-
ბისა, ესე იგი არს, განუკუეთელისა, უფრომს ნათესავისასა. და კულად ვითარ
აქუს პირველსა არსებასა სახისა მიმართ, ეგრეთვე სახესა—ნათესავისა მიმართ.

რამეთუ უკუეთუ გარდასცემდეს ვინმე, პირველი
არსებაჲ რაჲ არს

რამეთუ უკუეთუ გარდასცემდეს ვინმე: რაჲ არს სოკრატი, საკუთრად ვიდ-
რემე „კაც“² და „ცხოველობა“, მიუგოს ხოლო: უსაკუთრესად უფრომსლა „კა-
ცისა“³ „ცხოველობა“, რამეთუ „ცხოველისა“ მეტყუელნი მრავალთა შემოვიყ-
ვანებთ და რამეთუ სიტყურთაცა და უსიტყუთა, ხოლო „კაცობისა“ მიმგებელ-
თა უმახლობელესობით გარდასცეთ ბუნებაჲ სოკრატისი⁴.

რამეთუ თვისი ვიდრემე კაცისაჲ ვისმე, იგი
სოკრატისცა⁵ თვისი არს: უფრომს კაც-ყოფაჲ, ვიდრე
ცხოველ. რამეთუ ესე უსაზოგადოესი არს და
და სხუათა მრავალთა სახეთაჲ.

მერმეცა პირველნი არსებანი სხუათა ყოველთა
ქუემდებარეობისათს

მეორე კელ-ყოფაჲ აღსიტყუვისაგან, ესე იგი არს, რამეთუ იტყვს, ვითარ-
მედ: პირველნი არსებანი ამისთს პირველებად ითქუმიან, ვითარ შემთხუევითთა
ქუე-უსხენ ყოფისა მიმართ და საყოველთაოთა შესმენისა მიმართ. რამეთუ ვი-
თარცა აქუსყე პირველთა არსებათა შემთხუევითთა მიმართ და საყოველთაოთა,
ეგრეთ აქუს სახეთა ნათესავთა მიმართ, რამეთუ ქუე-უსხენ სახენი ნათესავთა
შესმენისა მიმართ და არა ნათესავნი—სახეთა.

და სხუანიცა ყოველნი⁶ სამათოდ შეისმინენ,
ანუ ამათ შორის ყოფად

ყოვლად სიმკაცრით⁷ შესძინა, ვითარმედ „შეისმინენო“, ანუ „მათ შო-
რის მყოფად“, რამეთუ პირველნი არსებანი ქუე-უსხენ უკუე ყოველთა. გარნა
არა მსგავსად, არამედ შემთხუევითთა—ყოფისა მიმართ, ხოლო საყოველთაო-
თა — შესმენისა მიმართ.

რამეთუ⁸ ნათესავნი ვიდრემე სახეთად
შეისმინებიან

ვიტყუთ, რამეთუ „ყოველი კაცი ცხოველ“, ქუე-ძეს უკუე კაცი, ხოლო
შეისმინებნი ცხოველი, ესე იგი არს, ქუე-ძეს ვიდრემე სახე, ხოლო შეისმინებნი

1 არსებისა მიმართისა. 2 სოკრატისა. 3

„იგი სოკრატისცა... სახეთაჲ“ განსაზარტე ფრაზად არ არის გამოყოფილი CA₂ 42,6—7.

4 და სხუანიცა ყოველნი... შესმენისა მიმართ“ CA₂ 42, 15 სქ. 5 ამაზე XVIII ს. მხედრუ-
ლით წერია: „სიღრთხილ“ A. 6 „რამეთუ... შეისმინებიან“ განსაზარტე ფრაზად არ არის გა-
მოყოფილი CA₂ 42,15.

ნათესავი. რამეთუ ვერღარა შემძლებელ ვართ თქუმად, ვითარმედ: „ყოველი ცხოველი კაცი“, არამედ „ყოველი კაცი ცხოველ“¹. ვინამ ამითგანთაცა სახე უფროდს არსება² ნათესავისა არს.

1 სოლო³ თუთ სახეთანი რავდენნი არა არიან
5 ნათესავ, არა უფროდს სხუაჲ სხუსასა არსებ [ა] არს⁴

„რავდენნი არა ნათესავ არიანო“—იტყუს სიმკაცრით, რამათა არა მიიღო⁵ ცხოველი და კაცი და ცხენი, და რამეთუ ცხოველი სახე არს, გარნა ნათესავიცა. ვინაცა საკმარ-არს არა ამათი მიღებაჲ, არამედ რავდენნი მხოლოდ სახენი არიან, ესე იგი არს, უსახეენნი, ვითარ კაცი. ცხენი⁶.

10 წარმომეტყუელსა უკუე სიღრმით გამოწულიღვასა არსებისასა. ესე იგი არს, განუკუეთელთაგან სახეთა მიმართ და სახისაგან—ნათესავისა მიმართ, აწ
3 ნენბავს ვითარ სასივრცისებოდ ქმნამ იგავისაჲ, რომელ არს სახე სახისა მიმართ და განუკუეთელი განუკუეთელისა მიმართ. იტყუს უკუე, ვითარმედ: არა-
15 რათთ განეთუსვის სახე სახესა მეორე-ყოფისა მიმართ, არცა განუკუეთელი გან-
15 ნუკუეთელსა ყოფისა მიმართ პირველ-არსებაჲ.

ანუ⁷ რომელისაჲმე ცხენისაჲ ცხენსა. რამეთუ⁸ რომელი აქუს კაცსა სიტყუაჲ ვისიმე კაცისა მიმართ, იგივე ცხენსა რახისა ცხენისა მიმართ, ვითარ-იგი სოკრატისთვის არაჲაჲ უსაკუთრესი, უთუსესი ითქუმის კაცობისასა, ეგრეთვე არცა რახისათუს—ცხენობისასა.

20 სოლო სამართლად შემდგომად პირველთა
არსებათასა მხოლონი სხუათაგან სახენი და
ნათესავნი მეორე არსება ითქუმიან

მიზეზსა იტყუს აწ, რომლისა ძლით სახეთა ვიდრემე და ნათესავთა მეორე არსება უწოდა, ხოლო შემთხუევითნი არლა მესამედ არსებად თქუნა. რამეთუ
25 ორკეცსა კელ-ყოფასა შემოიღებ: პირველსა უკუე განსაზღვრებისა და გარდაცემისაგან საზღვრისაჲსა, ხოლო მეორესა—აღსიტყუებისაგან. პირველი კელ-ყოფაჲ გარდაცემისაგან საზღვრისაჲსა, რამეთუ⁹ იტყუს, უკუეთუ კითხულთა: რაჲ|არს სოკრატი? ვთქუათ: „კაცი“, ანუ „ცხოველი“, თუსსა და საცნობელსა
30 ვიტყუთ, ხოლო „თერთი“ ანუ „მსრბოლი“, ანუ ეგვიეთარი რაჲმე—უცხოსა. სამართლად სადმე სახეთა და ნათესავთა მეორედ არსებად ვიტყუთ, ხოლო შემთხუევითთა ყოვლად არა ვიტყუთ არსებად.

მერმეცა პირველნი არსებანი სხუათა ყოველთა
ქუემდებარეობისათუს ყოვლად საკუთრად არსებად ითქუმიან

35 ესე მეორე კელ-ყოფაჲ აღსიტყუვისაგან, რამეთუ იტყუს, ვითარმედ: პირველნი¹⁰ არსებანი ამისთვის პირველად ითქუმიან სხუათა ქუემდებარეობისათუს.

1 ცხოველი B. 2 არსებათა B. 3 ხოლო — B. 4 მიიღოს B. 5 რამეთუ|ხოლო C. 6 რამეთუ|ორმოდ D. 7 პირველი|ორმოდნი D.

*1 „ხოლო თუთ სახეთანი... არსებ[ა] არს“ განსამარტავ ფრაზად არ არის გამოყოფილი B-ში, რადგან A-ში ამოაზე ოდნავ ჩანს ~ ციტატის ნიშანი. *2 ქართულს აკლია ბერძნ. განსამარტავ ფრაზა: *εἶδηξ γὰρ οὕτως εἶναι τὸν ἀνθρώπου* CA₂ 43,3. *3 „ანუ რომლისაჲმე ცხენისაჲ —ცხენსა“ განსამარტავ ფრაზად არის გამოყოფილი CA₂ 43 10.

ხოლო ესრეთ ქუე-უსხენ სახენი და ნათესავნი შემთხუევიითა. სამართლად უკუე მეორე არსება ითქუმიან ესენი, ხოლო ესრეთვე სხუათაცა ზედა.

ხოლო საზოგადო ყოვლისა არსებისად არ ქუემდებარისა შორის ყოფამ

296 განმყოფელსა არსებისასა პირველად¹ და მეორედ და შემატყუებელსა მათსა ერთმანერთისა მიმართ. აწ კეთილწესიერებით ქმნამ ჰნებავეს გარდაცემად საზღვარსა არსებისასა. ხოლო ვითარმედ არსებამ ნათესავი არს უნათესვესი, ხოლო უნათესვესისა განსაზღვრებასა ვერ ძალ-გვცვ გარდაცემად მით, რამეთუ განსაზღვრებანი, ვითარცა უწყით, ნათესავისაგან და შემამტკიცებლოებითა განყოფილებათა მოიხუმიან, სახესა ეიებეს არსებისასა. რამეთუ ჰგავს ვითამე² ესე განსაზღვრებამ, რამეთუ ვითარ-იგი განსაზღვრებამ მხოლომსა და ყოვლისამ არს და განსაზღვრებულისა მიმართ გარმოიქცევის, ეგრეთ თვისცა მხოლომსა და ყოვლისა არს, რომლისა არს თეს და მიიქცევიან ურთიერთას მიმართ. ამის უკუე მიზეზისათჳს თესსა არსებისასა ჰნებავეს გარდაცემად (ხოლო არმეყსეულად მოს|ცემს სათნოყოფილთა მისთა, არამედ უწინარეს ამისსა იტყუს თესსა არსებისასა „არა ქუემდებარისა შორის ყოფამ“, რამეთუ ყოველსა უკუე შეეტყუების, ხოლო არა მხოლოსა, არამედ სხუათაცა. ხოლო თესსა უქმს მხოლომსა და ყოვლისად ყოფამ. ხოლო თქუმისა მიერ³, ვითარმედ „საზოგადო“, წინაღობამასა თავისა თვისისა ჰგავს მეტყუელად, რამეთუ უკუეთუ თესსა არსებისასა ჰნებავეს გარდაცემად, რამეთუ იტყუს „საზოგადოსა“, ვიტყუთ, ვითარმედ ორად რაღმე ჯერ-არს განალა ყოფამ თვისისად, ვიტყუ: „მხოლოდ“ და „ყოვლისად“, თქუმისა მიერ უკუე „საზოგადომასამ“ დანიშნა ყოვლისაობამ. ხოლო გარდაცემული თესი საჩინო ვიდრემე არს პირველთაცა არსებათა ზედა. ცხად-არს, ვითარმედ მეორეთამეცა არს ამისგან, რამეთუ ცხოველი და კაცი კერძობითსა კაცსა შორის ვითარ არიან,⁴ არა ვითარცა ქუემდებარისა⁵ შორის...⁶

ხოლო ქუემდებარისა² შორის მყოფთა სახელსა ვიდრემე არამ ვეყნებს შესმენად ოდესმე ქუემდებარისათჳს. და ამისთჳს ჰნებავეს ჩუენებად, ვითარმედ გარდასცემენ ქუემდებარესა სახელისასა, ხოლო განსაზღვრებისასა—არაოდეს. რამეთუ ვიტყუთ თეთრსა სხეულსა⁴ და აჰა, სითეთრემან ქუემდებარისა სხეულისა შორის მყოფმან, სახელისამ გარდასცა ქუემდებარესა, ხოლო განსაზღვრებისამ არაოდეს გარდასცეს. რამეთუ არცა ვიტყუთ სხეულსა ფერად განსარჩევლობითად შესახედავისად. ხოლო მეორენი არსებანი სახელისასაცა და განსაზღვრებისასა გარდასცემენ. და რამეთუ სოკრატი ითქუმის კაცადცა და ცხოველად, სიტყუერად, მოკუდავად.

ხოლო უღონობენ³ ვიეთნიმე, უკუეთუ ქუემდებ|არისა შორისად შეისმინებანი არსებანი განუკუეთელთანი, ეგრეთვე და მეორენიცა არსებანი, რად არა არიან ქუემდებარისა შორის მეორენი არსებანი? და ვეტყუთ, ვითარმედ: ქუემდებარისა შორისნი თანმოსახელედ შეისმინებანი განუკუეთელთა არსება-

1 ვითარმედ D. 2 მართ C. 3 ქუემდებარეთა B. 4 სხელსასახელს ABCD, შდრ. იამა CA₂ 44,30.

² აკლა ძღღ თც აძმ'θραοαμλου CA₂ 44, 24. ³ ხოლო ქუემდებარისა... მყოფთა განსამარტავ ფრაზად არს გამოყოფლი CA₂ 44,26. ⁴ „ხოლო უღონობენ.. იწოდების ლილად“ (134, 16) CA₂ 45, 4 სქ.

თად, ხოლო იგინი თანსახელად არასადამე! არიან ქუემდებარისა შორის. და სხუებრცა მრავალგზის ქუემდებარისშორისნი არცა თანმოსახელედ მათად შეი- სმინებთან, არამედ სახელწართულად. მერმეცა ქუემდებარისშორისანი შითუა- ლეენ უფრომსსა და უმცრომსსა და სივრცისებრსა, ხოლო იგინი—არასადა, მერ- 5 მეცა ქუემდებარისშორისნი სამარადისოდ სხუამ სხუსა შორის არიან, ვითარ სითეთრე სხეულისა შორის, ხოლო იგინი — არა მერმე. კუალად აროდეს ქუემ- დებარისშორისთა თუსთა განუკუეთელთა შორის|აქუს მყოფობამ (რამეთუ არცა 298 ზედმიწევნულობასა ღრამმბატოკოსობისა შორის და სხუათა შორის), ხოლო იგი- ნი განუკუეთელთა შორის არიან, ესე იგი არს, სახენი და ნათესავნი. მერმეცა 10 ქუემდებარისშორისნი ანუ მოქმედებითა, ანუ წულილმოგონებითა განეციდე- ბიან ქუემდებარესა. ხოლო იგინი არცა მოქმედებითა, არცა წულილმოგონებითა განეციდებიან.

საკმარა-არს ცნობად, ვითარმედ საქმეთაგანნი რომელნიმე თავით თუსით არიან, ხოლო რომელნიმე სქესისა შორის. და ესენი ანუ გარდასრულთაებრ 15 მოიხუმიან და იწოდების პროზიმად, ანუ გულკებალთაებრ და იწოდების ლილ- მაღ.

ა რ ა თ ხ ს ა რ ს ე ბ ი ს ა ე ს ე , ა რ ა მ ე დ გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა მ ც ა
ა რ ქ უ მ დ ე ბ ა რ ი ს ა შ ო რ ი ს თ ა გ ა ნ ი ა რ ს

გარდაცემულსა თუსსა არსებისასა განაჰყდის, ვითარცა არ მხოლოდ მისად² 20 მყოფსა, არამედ|განყოფილებათადცა. და ა[მთ]გან ცხად-არს განკიდეებამ გა- ნყოფილებათამ არსებათაგან, ვიდრემდის შეემთხვოს მათ შემთხუევით-ყოფამ, რომელი უადგილო არს. და რამეთუ სთნავს თვთ არისტოტელის არსება-ყო- ფამ მათი, რამათა ამათგან სრულ-იქმნებოდინ სახენი, და არსებითად შესმენილ- ყოფამ მათი, რამეთუ არა თუმცა იყენეს არსებებ, შემთხუეოდა შემთხუევით- 25 თაგან ქმნამ არსებისამ, რომელი უადგილო არს, ვითარ უკუე განყოფილებანი- ცა არსება არიან (რამეთუ კერძონი არსებისანი არიან არსება და განსაზღვრე- ბამ კერძოთაგან არსებისათა შედგების), ვითარ იტყუს არისტოტელი, ვითარმედ: „არა თუს ესე არსებისა?“ ვიტყუთ უკუე, ვითარმედ: არსებათანი რომელნიმე არიან გონიერნი, ხოლო რომელნიმე—გრძობადნი. და გრძობადთანი უკუე 30 რომელნიმე სამარადისონი, ვითარცა ზეციერნი, ხოლო რომელნიმე—ქმნისა და | ხრწნილებისშორისნი. და ქმნისა და ხრწნილებისშორისთანი რომელნიმე მარტი- ვებ, ვითარცა სიტყუერი, მოკუდავი, რომელითამ განყოფილებათა არსებითთა შეზავებს ბუნებამ ქმნისათუს კაცისა, ხოლო რომელნიმე—თანდადებულებ, ვი- თარცა ნათესავნი და სახენი და განუკუეთელნი.

35 ასწავებს უკუე აქა არისტოტელი მხოლომსა შეზავებულისა არსებისა ქმნი- სსა და ხრწნილებისშორისისათუს, ვითარ პირველცა³ ვიტყოდეთ, ხოლო ვიტყუთ განუკუეთელთათუს და სახეთა და ნათესავთა. ამის თანა და თან შემტყუებელ- მანცა ურთიერთას მიმართ არსებათამან შეატყუნა სახენი მხოლონი და ნათე- სავნი, მერმე და განუკუეთელნიცა, ვითარმედ ამითუს წინა-უც მას მასწავ- 40 ლელობამ, ხოლო განყოფილებათამ არასადა ყო მოკსენებამ, ვითარმედ მარტი- ვებ არიან, ხოლო შეზავებულთასა ჰყოფს სიტყუესა, ვითარცა|ითქუა ამის.

1 არასადამე BC. 2 მისდა B. 3 პირველცა|პირველ სახეთა D.
* ეელზე XVIII ს. მხედრულთ მინაწერია: „გარდასრულ[....]გინა ექმისად დამარ[...].ლიო A.

უკუე მიზნისათჳს თქუა არისტოტელი, ვითარმედ: არა არს ესე თჳს არსებისა, ხოლო არა ყოვლისად მარტივად, არამედ თანდადებულისად თქუა. სამართლად ესეცა! რამეთუ არს არა მხოლოდ თანდადებულისა ხოლო, არამედ მარტივისა-ცა, ესე იგი არს, განყოფილებათად სიტყუერისა და უსიტყუსა. ვინაჲ სამართლად თქუა არა თჳს არსებისა ყოფად მისი. და ამისთჳს სთნდა განკიდებდა განყოფი-
ლებათად არსებათავან.

ხოლო სხუანი იტყუნ, ვითარმედ: განყოფილებანი მარტივად არა არიან არსებებ, არამედ ამათგანნი რომელნიმე არიან არსებისა მიმართ, ვითარცა სიტყუერი და მოკუდავი, ხოლო რომელნიმე—შემთხუევეითა მიმართ და ამით უფროას [ემეზობლებიან]¹, ვითარცა ყორნისა შორის მელნობაჲ, ანუ კჳნოასა შორის — თეთრი. ხოლო რომელნიმე სიმკაცრით საშუალ არსებათა და შემ-
თხუევეითაჲსა, ვითარ ცეცხლისა შორის სიმკუერვალე, რამეთუ ესე ეზიარების უკუე შემთხუევეითაჲსა, ხოლო ეზიარების არსებასაჲსა, ვითარცა შენასრულე-
ბელი ქუემდებარისაჲ. ხოლო² ამით გულისხმუიერად ვიდრემე ნოაიოეს, გარნა არა ყოვლითურთ ჰეშმარიტად, რამეთუ რომლისა კატალორიასა ქუემე აღვი-
ყვანნეთ ესენი, ანუ მოქენე ვიქმნნეთ მეათერთმეტისა, რომელი უადგილო არს?

ხოლონუ აღმაშფოთებენ ჩუენ კერძონი არსებ-
ბათანი, ვითარცა ქუემდებარის შორისად მყოფ-
ნი ყოველთათჳს

რომლისაჲ ეგულვა ვისმე უღონობაჲ არისტოტელის მიმართ, ესე სწო-
რებით აღვსნაჲ მან, რამეთუ უღონობებამცა ვინმე, მეტყუელი, ვითარმედ: „კერ-
ძონი არსებათანი რამსმე შორის (რამეთუ კაცისა შორის იხილვებიან კელნი და
წვენი) და შემთხუევეითნიცა რამსმე³ შორის ეგრეთვე, ვითარ რეცა კაცისა შო-
რის იხილვებიან სითურთ და სიმკუერვალე. ეკრძობე სადმე არსებ[ბათა შემ-
თხუევეითნი, რომელი უადგილო არს“. აღმკსნელი უკუე ამისი იტყუს, ვითარმედ:
გარდასცა თუ, ვითარ ვთქუთ, შემთხუევეითი რამეშორისად, არა ვითარცა კერ-
ძობა ქუემდებარისაჲ, რამეთუ სხუა-ყოფად ჰნებაჲს ქუემდებარესა, ხოლო გან-
ყოფილებანი სავმარსა მისცემენ სრულსა და იგინი შეამტკიცებენ ქუემდებარე-
სა. ვინაჲცა დაღათუ ეზიარებიან რამსმეშორისობისაებრ, არამედ არს რამმე
მათ⁴ შორის განყოფილებად, ვითარ ესენი ვიდრემე შეასრულებენ და კერძობ
არიან, ხოლო იგინი არ ესრეთ არიან.

სავმარ-არს ცნობად, ვითარმედ არცა გრძნობადთა კერძოთათჳს არს სი-
ტყუად მისი, ვითარ კელთა და ფერქთათჳს, არამედ გონიერთა და ნამდულ კე-
რძოთათჳს, ვითარ სიტყუერისა და მოკუდავისა. რამეთუ კერძოთანი რომელ-
ნიმე არიან გრძნობადნი, ხოლო რომელნიმე გონიერნი. გონიერთა უკუე კერ-
ძოთათჳს არს სიტყუად მისი, [[ხოლო]⁶ ესრეთ და ჟამიცა აქუს ხედვისთჳს ამის
წესსა, რამეთუ ვითარცა თქუა, ვითარმედ: „არა თჳს არსებისა არს არ-ყოფად
ქუემდებარისა შორის, ვითარ განყოფილებანიცა არქუემდებარისა შორის არი-
ან“, რამათა არავინ ჰგონოს ამისდა მეტყუელად იგი, ვითარმედ განყოფილებანი
არა არიან არსებებ, რომელნი საკუთრად არსება არიან⁷. ამისთჳს თქუა: „ნუ
აღმაშფოთებენ ჩუენ კერძონი არსებათანი, ვითარცა ქუემდებარისა შორისად

1 ემეზობლებიანემიზნებანი ABCD, შდრ. γεινόμενα CA₂, 46, 13. 2 ხოლო—B. 3 აღ-
კსნა ACD. 4 რამე ABD. 5 მათ—B. 6 ხოლო|ვითარ C. 7 რომელი საკუთრად არსება არიან—B.

მყოფნი ყოველათესა. ვითარ უქამოდ საგონის იქმნების შემოღებაჲ ამის ხედვისაჲ, არა თუ მივითუალოთ იგი მეტყუელად გონიერთა კერძოთათესა!—სიტყუერისა და მოკუდავისა, რომელნი თჳსნი კერძონი არიან კაცისანი, რამეთუ ამათგან არს კაცი.

5 რამეთუ არა ესრეთ ქუემდებარისა შორისად ითქუმოდეს, ვითარცა კერძოდ მყოფნი რამსმე შორის

ესე არს ითქუმული, ვითარმედ შემთხუევითნი დაღათუ რამეშორისნი არიან, არა ვითარცა კერძო არსებათანი, არამედ თქუმულ არს, თუ ვითარ რამეშორისნი არიან იგინი, ვითარმედ არა ვითარცა კერძომ სრულისა შორის. v

10 ხოლო არს არსებათა და განყოფილებათა ყოველთათანსახელად ითქუმაჲ მათგან

მეორისა შემდგომობისა მიმართ გარდავიდა არსებისაჲსა დაძუედნელი პირველისაჲ. არცა აწ საკუთარსა თჳსსა არსებისასა ეძიებს, რამეთუ მეყსეულად დაქუედნა ესეცა. ხოლო ცხად-არს თანშეყოფისაგან განყოფილებათაჲსა და ცხად-ყოფს კუალად ამათსაცა თანშეტყუებასა და ესე არს თჳსი. ხოლო სხუებრ ამისთვისა მხოლოდ არ თანშეეტყუების თჳსი არსებათა, აქამედ რამეთუ ყოვლისა არსებაჲსა არა არს იგი, რამეთუ პირველი არსებაჲ საჯარაჲდ-სოდ შესმინების. 15

ესე იგი არს, საგანუკუეთელთოდ შეისმინებიან, ანუ სასახეთოდ 20

|პირველად ასწავებს, თუ რანი არიან [მ]იმიტულეველნი შესმენისანი და მერმე ეგრეთა თანსახელსა შესმენასა მოუზავენს მათ ზედა. რამეთუ განუკუეთელნი ვიდრემე არცერთისა საქუმედებარისოდ ითქუმიან, ხოლო სახენი—საგანუკუეთელთოდ, კუალად ნათესავნი—საორთავეოდ, რამეთუ ესენი თანსახელადცა სარომელთოდ შესმინებისანი, ითქუმიან, რამეთუ რავდენნი საშესმენლისოდ ითქუმიან, ეგოდენნივე² საქუმედებარისოდცა ითქუნენ. რამეთუ ითქუმის სოკრატი „არსებაჲ სულიერი, მგრძნობელობითი“ და „ცხოველი სიტყუერი, მოკუდავი“. ხოლო ითქუმის კაციცა „არსებაჲ სულიერი, მგრძნობელობითი“ და ესე სამართლად! რამეთუ ვითარ ნათესავი სახისაჲ შესმინების და განუკუეთელისაჲ, ხოლო სახე—განუკუეთელისაჲ. ხოლო რაოდენნი საშესმენელისოდ ითქუმიან, ეგოდენნივე საქუმედებარისოდცა ითქუნენ. სამართლად ნათესავი ვიდრემე საგანუკუეთელთოდ და სასახეთოდ თანსახელად შესმინების, ხოლო სახე—საგანუკუეთელთოდ. v

35 რამეთუ ყოველი არსებაჲ საგონებელ არს ამის რამსმე დამნიშნველად

შემდგომად განყრისა* პირველთა ორთა თჳსთა არსებათასა მესამისა მიმართ გარდავიდა და ვეძიებთ წესსა მათსა და მერმე, თუ რამსათჳს ამის რამს-

1 ვონორთა კერძოთათესა|გონიერთათჳს D. 2 ეგოდენნი C.

* „შემდგომად განყრისა... სხუელისაჲ არს“ (137, 25) CA₂ 48, 12 სქ.

მეობა იქმარა¹ და მესამედ, თუ რაასათს დამნიშნველობა იქუმი და არა ვითარმედ დანიშნულად. რამეთუ დამნიშნველობა კმათა არს, ხოლო დანიშნულობა — საქმეთა. ვითარ უკუე არქუემდებარისშორისობა მრავალთაგან იქუმი, ხოლო გუარიცა შესმენისა, თუ ვითარ იქმნების, აჩუენა. ეგერა საქიროდ წინდააწესა არქუემდებარისშორისობა, ხოლო მეორედ თანსახელობით კომბი- 5
 303 ლობა მათვამო მით, რამეთუ სხუანიცა თუნიქრ: მეორეთა არსებათასა თანსახელად შეისმინებიან განუკუეთელისა არსებისად, ვითარცა განყოფილებანი. ხოლო მესამე წესი განუჩინა ამისრამსმეობას, ვითარმედ სხუანი თუსნი საქმეთა ზედა² მოიხუმიან, ვითარ უფროსი და უმცროსი და არქონება წინააღმდგომისა. ხოლო ესე მხოლოთა კმათა ზედა ხოლო იქმარა³, ვითარმედ ამის რამ- 10
 სმე. ვითარ არისტოტელმან ამისრამსმეობა განსაზღვრებისა მჩუენებლობითა განსაზღვრებულთა საქმეთა ზედა და მყოფთა მოილო, ხოლო ეგევითარი რამე—განუსაზღვრებულთა ზედა და საყოველთაოთა (რამეთუ სამართლად მოაქუს სიტყუა მართვად ყოვლისა საყოველთაოსად). ხოლო პლატონ ამისრამ- 15
 სმეობასა და ესერამეობასა⁴ საყოველთაოსა ზედა მოიღებდა საქიროდ ვითარ განმსაზღვრებელსა, ვითარცა არსებათა ზედა (რამეთუ იტყოდა მყოფობისშინა⁵ 20
 v ნად⁶ არსება-ყოფად მათ), ხოლო ეგევითარრამეობასა—თითოეულსა ზედა, (რამეთუ ამთ იტყოდა განუსაზღვრებულად არყოფისათს დგომისა შორის, არამედ დენისა და წარდენისა შორის ქონებისათს ყოფისა.) ორნივე უკუე სხუსა- 25
 ებრ⁷ და სხუსა მომღებელნი კეთილად იტყოდეს. ხოლო დამნიშნველობა თქუა. ვითარმედ არს, ოდეს არისტოტელი ვენებას საქმისასა კმასა ზედა აღიყვანებს და კმისა ვენებასა—საქმესა ზედა, ვითარ-იგი ამას ზედა, ვითარმედ „სოკრატე იარების“, მოქმედებასა სოკრატისსა⁸ კმასა ზედა აღიყვანებს; კუალად „კაცი იგონებს“, რომელი სულისა თუსი⁹ არს მგონებლობა; კუალად „კაცი ხუროვ- 25
 ნობს“, რომელი მხოლოსა სხეულისა არს.

ხოლო ყოველი არსება და გონებელი არს ამის რამსმე დამნიშნველად

განწყრელი, ვითარცა ითქუა, ორთა შენადგომთა არსებისათა, რომელ 304
 არიან არქუემდებარისა შორის ყოფა და თანსახელად თქუმა ყოველთა მისგამო, მესამისა მიმართ გარდავიდა — ამის რამსმე დამნიშნველობისად. არს 30
 ვიღრემე უკუე ამისმეობა მჩუენებლობისა დამნიშნველობითი, ხოლო ესე რამე—საქუემდებარი-საარსებისო, რამეთუ ჰგია და არმოქენე ვისსამეა და არცა არს ქუემდებარისა შორის, არამედ იგი ქუემდებარე არს ყოველთა და მი- 35
 ზეზ არს ერთობითობისა, ესე იგი არს, ერთსა დამნიშნავს, ვითარ ესე ძელი და ესე კაცი რამეთუ ამისრამსმეობა ითქუმის საქუემდებარეობასა არსებისათს, 35
 ესე იგი არს, განუკუეთელისა მჩენისა, რამეთუ იგი არს საჩუენებლობისა მიმთულაველი. ხოლო დაქუედენის ამსცა თუსისა, ვითარცა მხოლოსა არსებისა შედგომილსა, არ ყოვლისასა გარნა. რამეთუ სახე, ვითარცა იტყუს, და ნათესავი, ვითარცა¹⁰ კაცი და ცხოველი, საგონებელ არს უკუე, ვითარმედ ამას რამე 40
 v დაქნიშნავს ხატისშორისისა შესახედავისა წარმომაჩინებლობისათს, ხოლო 40

1 იქუმაო B. 2 ზედა — D. 3 იქუმაო B. 4 და ესერამეობასა — BD. 5 მყოფისამიარ-თად D. 6 სხუსაებრსიტყუსაებრ BD. 7 სოკრატისსა BD. 8 ნათესავი, ვითარცა ნათესავიერ ABCD, შდრ. თბ ვსფრ ად CA₂ 49, 5.

* ამაზე მხედრულთ წერა: „მგონებლობა სულ [...] თუსი არს. თუსი ამას ქენა“ C 189 r.

დაპნიწნავს უფროასლა სიმრავლესა და ვითარებასა რასმე. რამეთუ ზოვადობაა და შესაკრებელი თითოეულადთა წარმოაჩენს, რომლისათვის იტყვს: „არა არსო ვითარი, ვითარცა შემთხუვეითი, არამედ არსებისათვის განასაზღვრებს ვითარსა“, ესე იგი არს, შესაკრებელსა და თანმოსრულობასა თითოეულადთა კაცთასა.

5 რამეთუ ვითარი, გინა რომელი, ვითარცა შემთხუვეითი, ზედმივალს არსებისა უკუანამსქმნილად მყოფი და მოქენე მისი მდგომობისათვის, ხოლო იგი არასადა.

ხოლო არსებათად არარაჲს² წინააღმდეგომ მათდა ყოფაჲცა

ხოლო იტყვან^{*1} ვიეთნიმე, ვითარმედ მეტყვ და უტყვ, მოკუდავი და უკუდავი, და სხეული და უსხეულოჲ [ვითარ]³ არიანა წინააღმდეგომნი? და ვიტყუთ მათდა მიმართ: ენსტასისაებრ და ანტიპარასტასისაებრ. ენ[ს]ტასისაებრ ვიდრემე, ვითარმედ ესენი არა ხოლო განხრწნიან ურთიერთას, ვითარცა წინააღმდეგომნი, არამედ ურთიერთასისა მაცხოვნებელობითნიცა არიან. რამეთუ უკუეთუ უკუდავი, ვითარცა უკეთესი შეზავებულსაჲ მოვილოთ, აცხოვნებს, ვითარცა ღმერთი — კაცსა. ხოლო უკუეთუ უსხეულოჲ⁴, ვითარცა უღარესი შეზავებულსაჲ — ცხოვნდების სხეულისა მიერ, ვითარცა სახე. ხოლო⁵ ანტიპარასტასისაებრ, ვითარმედ არა წინააღმდეგომად მივითულაღვთა მათ? რამეთუ ვითარცა არსებითნი განყოფილებანი, მარტივნი არსებანი არიან ივინი. ხოლო შეზავებულთათვის არს სიტყუჲჲ არისტოტელისი, ვინაჲცა არა ტყუილ არს სიტყუჲ, რომელი განასაზღვრა, ვითარმედ არარაჲ წინააღმდეგომ არს არსებისა. მერმეცა უღონოებენ სიმჭურვალისათვის ცეცხლისა და ნოტიობისათვის წყლისა, ვითარცა ამათ არსებითთა განყოფილებათა წინააღმდეგომად მყოფთათვის. და იტყვს მათდა მიმართ ალექსანდროს: „ვითარ ითქუმიან ივინი წინააღმდეგობად? უკუეთუ ვითარ სხეულნი ვიდრემე, იპოვნენ ივინი მბრძოლად თავთა თესთა, ხოლო უკუეთუ ვითარცა ვითარებანი სხეულისა შორის, არარაჲ უადგილობაჲ არს, რაჲთა სხსაებრ და სხსა იბრძოლინ“⁶.

ხოლო არს არსებათად არარაჲს წინააღმდეგომ მათდა ყოფაჲცა

მეთხისა შემდგომობისა მიმართ გარდავიდა არსებისაჲსა, მეტყუელი არსებისა რაჲს წინააღმდეგომ მათსა ყოფასა. ხოლო დაჰყუედნის ამასცა, ვითარცა სხუათა ვიეთლადმე მყოფსა, რამეთუ რაოდენისაჲ არარაჲ არს წინააღმდეგომი, ეგრეთვე არცა რიცხსა, რამეთუ რაჲცა იყო⁷ წინააღმდეგომ ათისა? რამეთუ უკუეთუ სიტუა სამი წინააღმდეგომ ათისა⁸, მაშინ დიდსა და მცირასა მიიღებ და ამის⁹ გამო არა არიან წინააღმდეგომებ, არამედ — რაჲსამიმართებ. ხოლო არაჲვე რაჲ არს წინააღმდეგომ არცა კაცისა, ანუ. ცხოველისა^{10*2}, რამეთუ არცა ვითარ ცხელისა ცივი წინააღმდეგომ და თეთრისა — შავი, ეგრეთ სოკრატისსა არს რაჲმე წინააღმდეგომ ანუ კაცისა ანუ ცხოველისა¹.

1 შესაკრებელი A. 2 არარაჲ B. 3 ვითარ| არა ABCD, შდრ. ძეი CA₂ 49, 12 სქ. 4 უსხეულოჲ C.5 ხოლო — B. 6 ბრძოლინ D. 7 იყოს C. 8 რამეთუ უკუეთუ... ათისა — B. 9 მის B. 10—11 ცხოველისა. B.

*1 „ხოლო იტყვან... სხსა იბრძოლინ“ CA₂ 49, 12 სქ. *2 „არცა კაცისა, ანუ ცხოველისა“ განსამარტავფრაზად არის გამოყოფილი CA₂ 49, 19 სქ.

ართუ ვინმე ფრადისა მცირედი თქუას წინააღმდეგომ-ყოფად ანუ დიდ-
 ცოტასა*1, ხოლო ქეშმარიტებით არცა ესენი საკუთრად წინააღმდეგომნი არიან,
 ვითარცა თუ მან გამააჩინოს შემდგომად მცირედისა. ხოლო შენდობისაებრ
 იტყვს, უკუეთუ წინააღმდეგომა არიან ესენი, არარაა უადგილოა შეუდგეს
 წინამდებარესა, რამეთუ კმა-არს ერთისა და მხოლომსა დარღუევაჲ საყუე-
 ლაოდ1. ვინაჲ თუ ორწ|ერთისაჲ არარაჲ არს წინააღმდეგომი, ცხად-არს, ვითარ-
 მედ არა მხოლომსა არსებამსაჲ არს წინააღმდეგომი და არამს2 ქონება წინააღ-
 მდეგომისაჲ.

ხოლო შეეტყუების არსებასა არმითუალვად უფ-
 რამესუმცრომობისაჲ

მეხუთესა შესადგინებელსა ზედა გარდმოვიდა. ხოლო სამართლად არ მიი-
 თუალავს უფრომობასა და უმცრომობასა, ვინაჲთვან არცა წინააღმდეგომობაჲ
 აქუს. რამეთუ რომელთა შორის წინააღმდეგომობაჲ, მათ შორის უფრომობი და
 უმცრომობი და რომელთა შორის უფრომობი და უმცრომობი, ნათ შორის — წი-
 ნააღმდეგომობაჲ. რამეთუ ქსოასა წინააღმდეგომისასა იშუების2 მბრძოლი, სლო
 არა შესძინა დასასრულსა თანა მისსა, ვითარმედ: „არა არს ესე თეს არსებისა და
 რამეთუ რაოდენი თუ ვითარ არა მიითუალავს უფროსუმცრომობასა“. ხო-
 ლო ვითარმედ შეყოფილ|იყუნეს შესადგინებელნი1, შენ დავიშინა გასაგონებ-
 ლად და შესასწავებლად ესე, რომლისა ზემომქ[უ]მელი ყოფილ იყო.

ხოლო ვიტყვთ არა, რამეთუ არსება[ა] არსებისასა
 არა არს უფრომობს და უმცრომობს

ხოლო ვითარ უზენაესრე თქუა უფრომობს არსებად სახისასა განუკუეთელი
 არსება, ანუ სახე—ნათესავისასა, აწ იტყვს, არა ამას ვიტყვო, ვითარმედ: არსე-
 ბა[ა] არსებისასა არა არს უფრომობს არსება, არა მიითუალავს უფრომობს და უმ-
 ცრო[ა]სობასა. ვითარ სოკრატე არ ითქუმის ოდესმე უკუე უფრო[ა]ს სოკ-
 რატად, ხოლო ოდესმე—უმცრო[ა]ს, არცა კაცო—კაცად.

D 192 რამეთუ არცა არს მოყუასი მოყუსისა უფრო[ა]ს*2|კაც, რამეთუ არა სოკ-
 რატე ოდესმე უკუე იქმნების უფრო[ა]ს კაც, ხოლო ოდესმე — უმცრო[ა]ს,
 არცა კუალად სოკრატ—პლატონისსა უფრო[ა]ს კაც, ვითარ-იგი ცხოველ. სიტ-
 ყვერ, მოკუდაობისაებრ. ვითარცა თეთრი სხუაჲ სხუსასა უფრო[ა]ს თეთრ არს,
 და სხუათა ზედა ეგრეთვე. ხოლო ითქ[უ]მის თავისსა თვისისა უფრო[ა]ს თე-
 თრქმნილად. ხოლო აწ თეთრსა ძალ-უცს უქ[უ]ანა[ა]სკენელ უთეთრეს ქმნა[ა]
 თავისა თვისსა[ა] უსპეტაკეს ქმნითა თეთრობისა[ა]თა. ხოლო ულონობენ*3 ვი-
 ეთნიმე მკურვალეებისათს ცეცხლისა და ა[ი]რისასა, ვითარმედ ა[ი]რი უმეტეს
 განკურვებული განიხრწნების, შეცვალებული ცეცხლობად. და ვიტყვთ ამათდა
 მიმართ, ვითარმედ სხუაჲ არს მკურვალეება[ა] აირისა[ა] სახისაებრ ცეცხლისა-
 გან. ვინა[ა] დღათუ გარდამიტება[ა] ქმნეს მკურვალეებისაგან ცეცხლისა, არ სა-

1 საყოველთაოდ D. 2 არს D. 3 იშუების B. 4 იყუნეს შესადგინებელნი... გარდაცვალება
 ცეცხლად, ცხად არს (გვ. 140, 1)—ABC.

*1 „ართუ ვინმე ფრადისა მცირედი თქუას წინააღმდეგომ-ყოფად“ განსამარტავ ფრაზად
 არის გამოყოფილი CA₂ 50, 1. *2 „რამეთუ არცა არს... უფრომობს“ განსამარტავ ფრაზად არის
 გამოყოფილი CA₂ 50, 14. *3 „ხოლო ულონობენ... გარდამცვალებელი ცეცხლად“ CA₂
 51, 3 სქ.

ხისაებრი არს მისი გარდაცვალება [ა] ცეცხლად, ცხად-არს|უკუე, ვითარმედ ესე 307
 განყოფილებანი არა ნაკლულად! დახატვენ² ქუემდებარეთა თესთა: აირისაჲ ვი-
 დრემე აირისასა და ცეცხლისაჲ—ცეცხლისასა, და უფროას თავთა თესთასა მჭუ-
 5 რვალე იქმნებიან. მერმეცა არაოდეს უფროასლაობაჲ განხრწნელ თავისა თესი-
 სა იქმნების, ვითარ-იგი უფროასლა სიმრთელე არ განხრწნის სიმრთელესა, ხო-
 10 ლო აირსა ზედა უფროასლაჲ მჭურვალეობაჲ განხრწნის თავსა თესსა გარდა-
 ცვალებელი ცეცხლად.

ხოლო უფროასლა თეს არსებებისა საგონებელ არს 10
